

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალური ბაზრის გამოსცემა



# საისტორიო მოკება

წიგნი II

## BULLETIN HISTORIQUE

Livre II

თბილისი 1924 TIFLIS

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალური ბიბლიოთეკის გამოსცემა

# საისტორიო მოკვება

წიგნი II

## BULLETIN HISTORIQUE

Livre II

საქართველოს  
საისტორიო  
ბიბლიოთეკის  
გამოსცემა

თბილისი 1924 TIFLIS

ს. ჯავახიძე. სასისხლო სიგელების შესახებ . . . . . 1—107

Д. Гордеев. Материалы к обследованию кутаисских древностей . . . . . 108—128

ვ. თოფურია. შიდა-ქართლში დაცულ ზოგიერთ სიძველეთა წარწერები . . . . . 129—135

მ. ამირანაშვილა. ხონის ეკლესიის წმიდა გიორგის ხატი . . . . . 136—151

ს. ჯავახიძე. ვეფხის-ტყალის 1600 წლის ანლო-დროინდელი მხატვრული ხელნაწერი . . . . . 152—158

ლ. ბელიძეთ-შვი. კაწარეთი . . . . . 159—172

ს. ჯავახიძე. მასალები მსაჯულის იესე ოსეს ძის შესახებ . . . . . 173—198

М. Полиевктов. Архивное «дело» о восстании в Имеретии, Гурии и Мингрелии в 1819—1820 гг. . . . . 199—220

Д. Гордеев. Предварительное описание росписи хонской георгиевской базилики . . . . . 221—228

ლ. ბელიძეთ-შვი. ვახუშტისეული „იშიტუტრუქისა“-თვის . . . . . 229—232

Д. Гордеев. О второй выставке древне-грузинской архитектуры, состоявшейся в Тифлисе в марте 1924 г. . . . . 233—240

S. Kakabadzé. Sur les chartes fixantes le prix du sang . . . . . 1—107

D. Gordéeff. Les matériaux pour servir à l'étude des antiquités de Koutais. . . . . 108—128

W. Thopouria. Les inscriptions de quelques monuments de Cartalinie centrale . . . . . 129—135

Ch. Amiranachvili. L'image de St.-George de l'église de Khoni . . . . . 136—151

S. Kakabadzé. Un manuscrit du poème „L'homme en peau de panthère“ d'environ 1600] . . . . . 152—158

L. Melikseth-beg. Katzarethi . . . . . 159—172

S. Kakabadzé. Les matériaux concernant la juge lécée, fils d'Océ. . . . . 173—198

M. Poliévkiouff. Le dossier d'archive concernant l'insurrection en Imerethie, Gourie et Mingrelie en 1819—1820 . . . . . 199—220

D. Gordéeff. Description préliminaire de la peinture de la basilique de St-George de Khoni. . . . . 221—228

L. Melikseth-beg. Sur le terme „Ichitoutrouk“, employé par Wakhouchti. . . . . 229—232

D. Gordéeff. De la deuxième exposition de l'ancienne architecture géorgienne qui a eu lieu à Tiflis en mars 1924. . . . . 233—240

პატარა წერილები და შენიშვნები:

Petits articles et remarques:

- ს. ჯავახიძე. 1) ეგრედ წოდებულ ბაგრატ კუროპალატის სამართლის შესახებ 241—247
- 2) განჩინება მთის გიორგის ყმათა სისხლის შესახებ . . . . . 247—254
- 3) გუფუავას გვარის სასისხლო სიგელი . . . . . 254—256
- 4) სიტყვა რკინა ფულის მნიშვნელობით. 256—257

- S. Kakabadzé. 1) Code de lois de Bagrate Couropalate . . . . . 241—247
- 2) Un document fixant le prix du sang des vassaux (serfs) du monastère de St-George en Ratcha . . . . . 247—257
- 3) La charte fixante le prix du sang de la famille de Goupava. . . . . 257—256
- 4) Le terme rkina (fer) en signification de la monnaie . . . . . 256—257

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია 258—294

ახალი წიგნები, 1924 წ. გამოხული და ჟურნალების მიმოხილვა . . . . . 295—298

Critique et bibliographie . . . . . 258—294

Revue des livres et des articles de journaux parus en 1924 . . . . . 294—299

## სარგის კაკაბაძე

## სასისტრო სიგელების შესახებ

(ახლად მოპოვებულ სასისტრო სიგელებთან დაკავშირებით).

სასისტრო სიგელები წარმოადგენენ ერთს ფრიად საინტერესო დარგს ქართული დიპლომატიკისას. მნიშვნელობა მათი მრავალმხრივია. უპირველეს ყოვლისა მათ აქვთ მნიშვნელობა როგორც სამართლის ძეგლებს საგვაროვნო უფლებებრივ ნორმების დახასიათების მხრივ და ამასთან ერთად სახელმწიფო სამართლის განვითარების თვალსაზრისითაც. სასისტრო სიგელები, როგორც სახელმწიფოებრივ ნიადაგზე აღმოცენებული და ცალკე გვარებისთვის ინდივიდუალურ უფლებებრივ უპირატესობათა გამომსახველი ძეგლები, ყველაზე ფართოდ და ხანგრძლივ საქიროებდნენ პრაქტიკულ მსვლელობას იმ პროვინციებში, სადაც სახელმწიფოებრივი სამართალი უფრო ნაკლებ ვითარდებოდა და სამართლის პრაქტიკაც ამიტომ საგვარო სოციალურ შეგნებისაგან მეტს დამოკიდებულებას გრძნობდა. ამიტომ ქართულ სახელმწიფოებრიობის საქართველოს ცალკე მხარეებში განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებო ხდება ის გარემოება, რომ სასისტრო სიგელები ჩვენ გვხვდება ყველაზე მეტად და ხანგრძლივ, ამავე დროს მეტი ინდივიდუალური სახეობითაც დასავლ. საქართველოდან წარმოშობისა. ეს, რასაკვირველია, ფრიად საინტერესო ფაქტია, რომლის ახსნა ჩვენ უნდა ვცდებოთ ადგილობრივ სოციალურ და უფლებებრივ ნორმების თავისებურ განვითარებაში.

როგორც სამართლის ძეგლებს, სასისტრო სიგელებს თავისი შინაარსიანობით მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფოებრივ და სოციალურ წყობილების შესწავლის თვალსაზრისითაც. უკანასკნელ ამ სიგელებს აქვთ მნიშვნელობა თავისი აგებულობით და კანცელარული სტილითაც, რომლის მიხედვით მათ ქართულ დიპლომატიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ.

მაგრამ რამდენადაც სასისტრო სიგელები წარმოადგენენ მნიშვნელოვან და ფრიად საინტერესო ძეგლებს, იმდენად ისინი ჯერ ნაკლებ არიან შესწავლილი და გამოყენებული. ეს ითქმის, რასაკვირველია,



აქამდის ბეჭდვით ცნობილ სიგელებს შესახებ. მაგრამ მარტო ამ უკვე ცნობილ სიგელებზე გაჩერება არ კმარა. სასისხლო სიგელების მნიშვნელობის შესათვალად და მათი ჯეროვნად გამოსაყენებლად საჭირო იყო მასალების შექლების დაგვარად გამრავლება და გაფართოება. ეს მუშაობა, ყოველს შემთხვევაში ნაწილობრივ, ამ ჟამად შესრულებულია.

ქუთაისის ყოფილ სათავადაზნაურო საკრებულოს არქივში მუშაობის დროს, სხვა მასალათა შორის, მე წაეაწყდი რამოდენიმე სასისხლო სიგელს, რომელნიც ძლიერ საყურადღებო არიან თავისი შინაარსით და ზოგი მათგანი თავისი შედარებით სიძველითაც. ეს სასისხლო სიგელები, ისე როგორც საერთოდ ამავე ხასიათის სხვა საბუთები, მნიშვნელოვანი არიან არა მარტო როგორც იურიდიული ძეგლები, — ამ მხრივ სასისხლო სიგელები ნათქვამისამებრ ჯერ კიდევ მოვლიან ჯგროვან დაფასებას, — არამედ ფართო ისტორიულ კვლევადიების თვალსაზრისითაც. ჩვეულებრივ სასისხლო სიგელები ძვირფას მასალას იძლევიან, მაგალითად, სახელმწიფოებრივ წყობილების დასახსიათებლად, ხშირად სოციალურ ურთიერთობათა შესასწავლადაც. ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს შესახებ მე-13—15 საუკუნის სიგრძეზე საზოგადოდ მასალების სიმცირეს, მაშინ კერძოდ დასავლეთ საქართველოს სასისხლო სიგელებს ეძლევა განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა.

ქუთაისის არქივის ამ ფრიად საყურადღებო სიგელებს გარდა ჩვენს ხელთ არის ამ ორი წლის წინად ჩვენ მიერვე გამოწერილი პირი ქუთაისის საისტ. მუზეუმში დაცულ ერთი სასისხლო სიგელისა, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგ. და საქ. საისტ. — საეთნ. საზ-ბის მუზეუმებში დაცულ სამი სასისხლო სიგელის პირის ტექსტს და კიდევ ცენტრარქივის მიერ გასულ წელს შექმნილ საბუთებს შორის მყოფი მე-15 საუკ. ერთი სასისხლო სიგელის პირი, რომელიც ამ ჟამად მთავარარქივში ტფილისშია დაცული. უკანასკნელი სიგელის ტექსტი საყურადღებოა იმით, რომ ის წარმომდინარეობს კახეთიდან, ხოლო აღმ. საქართველოს სასისხლო სიგელები, როგორც ცნობილია, ძლიერ ცოტაა შენახული. ამ გარემოებების, ე. ი. აღმოს. საქართველოს საზოგადოდ სასისხლო სიგელებით სიღარიბის ერთი მთავარი მიზეზთაგანი ქვემოთ იქნება ნაჩვენები.

ესლა ჩვენ შევუდგეთ ახლად მოპოებულ სასისხლო სიგელების გაცნობას.

ყველაზე ძველი ამ სიგელთაგან შინაარსის მიხედვით არის ორო, ორივე მიქაბაძეთა გვარეულობისა (საქმე № 289). დაწერილია ეს სიგელები ტყავზე, მაგრამ წარმოდგენენ ძველად გადაწერილს პირს.

I. პირველი, ჩვენთვის საინტერესო სიგელი მიქაბაძეთა წარმოდგენილია, ხელის მიხედვით, მე-16 საუკუნეში ტყავზე გადაწერილი პირით.

გადამწერს, როგორც სჩანს, ხელთ აქონდა სიგელის დედანი უკვე ცალ-  
 კე ნაჭრებად დაშლილი, რის ვაშო მას გადაწერის დროს ტექსტის ცალ-  
 კე ადგილები ერთმანეთში გადაურევია. ისედაც ზოგიერთი მნიშვნელო-  
 ვანი ადგილი გადამწერს კარგად ვერ წაუკითხავს. თვით სიგელის ტექ-  
 სტი, ისე როგორც ის არის წარმოდგენილი მე-16 საუკუნის პირის  
 მიხედვით, იკითხვის შემდეგ ნაირად:

ქ სახელითა: ღთისათა: დავითისგან: ბაგრატიონისა: ძისა: ვახტან-  
 გისგან: აფხაზთა: ქართველთა: რანთა: კახთა: და: სომეხთა: მე-  
 ფეთა: მეფისა: შარვანშე: და: შანშე: ყოვლისა: აღმოსავლეთისა:  
 და დასავლეთისა: ჩრდილოეთის: [კელმ]წითობითა: მპყრობელისა:  
 მოვიდეს: ჩუენსა: წინაშე: გიორგი: და: ოლი: და: სიხარულ: ნი-  
 ქაბაძენი: გელათისა: წინა: მდევნი: და: ყმანი: და: [გ]ვიჯნეს:  
 და: მოგვახსენეს: რათამცა: რათამ: (sic) სასისხლოთა: წიგნითა:  
 შეგვიწყალნეს: და: გუაჯერნა: ღთმან: და: ფისმინეთ: აჯა: და:  
 მოხსენება: და: ამოუბოძეთ: სასისხლორ: სიგელი: გიორგის: და  
 ო[ლი]: და: სიხარულს: და: გაუჩინეთ: ოთხმოცი: ათასი: თეთრი:  
 ძული (sic) ცხუმური: მათისა: ერდგულად: სამსახურისათუის: პირ-  
 ველ: გელათისა: ყმანი: ყოფილიყუენთ: და: დიდა: ნამსახურნი:  
 ჩუენისა: კარისანი: და: პირველთა: მეფეთა: დიდად: შეგიწყალეთ:  
 გიორგი: და: ოლი: და: სიხარული და გაგიჩინეთ სრული სისხლი  
 ოთხმოციათასი: ძველი: ცხუმური. აწე: ვინცავინ: ნახოთ: ბაბა: და:  
 სიგელი: ესე: შექდგომად: დიდათ: სხუათა: მეფეთა: დედოფალთა:  
 კათალიკოზთ: ებისკოპოზთა: და: მთავარ: ების: კოპოზთა: ერის-  
 თავთა: დიდებულთა: აზნაურთა: ჩუენისა: კარისა: კელის: მქონე-  
 ბელთა: მოურავთა: მეჯინიბეთა: ბაზიერთა: მერემათა: მესაკლა-  
 ვეთა: მებანურეთ: (sic) ყოველთავე: დაუმტკიცეთ: ნუვინ: უშლით:  
 ბაბასა: ჩუენსა: ნუცა: ვინ: რას: აკლებთ: თვინიერ: შეწევ-  
 ნისა: და თანა: დგომისა: მეტად: დაიწერა: სიგელი: სასისხლო:  
 და: ბაბა: ესე: ოთხმოცი: ათასი: ძველი: ცხუმური: ნიქაბაძისა:  
 გიორგისა: და: ოლისა: და: სიხარულისა: ინდიკოტო: (sic) მეფო-  
 ბასა: ჩუენისათა: იოვანე: კლითა: მწიგნობარი: ეფთვიმესითა: ასუ-  
 რისთა: და: თქუენ: ქრისტეს: მიერ: კურთხეულნო: მშლნი: და:  
 მქცეველნი: ნუვინ ხართ: ბაბასა: ამის: ჩუენისა: შეწევნითა: და-  
 მამტკიცებელთა: კურთხეული: მიანგელი: (sic) ესე: დაიწერა: სა-  
 სისხლოი: სიგელი: ინდიკიონსა: (sic) მეფობასა: რაიას: სამოცდა:  
 სამსა: კელითა: მწერალ: მწიგნობარისა: ჩუენისათა: ნუ ვინ რას:  
 აკლებთ: ნუ მდიდარნი: და: ნუ მცირენი: და: ნუ: გლხკნი: და: ნუ  
 აზაურნი: (sic) და: მღრღელნი: და: ნუ მალზონნი: და: ნუ: ეფის:  
 კოპოზნი: ნურა: ვინ რას: უშლით: გიწერია: კანს: ქუეყანშიგან!

თავ: საჯდომი: და: ტაბლის: ნახევარი: სრლუად: უცლებლდ: და: ორნი: კუამლნი: კაცნი: სამკვიდროდ: მოვარდუკადე: და: მორჩიაშვილი: გიორგის: და: ოლის: და: სიხარულს: შვითა: (sic) და: მომავალთა: სახლისა: თქუენისათა: ყოველთავე: ვინ: ცოლი: წაულოს: ნახევარი: სისხლი: დაგეურვებოდეს: ვინ: ქალი: დაუგდოს: ნახევარი: სისხლი დაეურვებოდეს: გრძნეულობა: შეყვივლოს: მართაი: (sic) იყოს: ნახევარი: სისხლი: დაეურვებოდეს: სადალოდ: და: კოდოს: სამი: გერში: დაეურვებოდეს: ვინცა: ლალატითა: მოკლას: მისისა: სისხლს: თორმეტი: ათასი: სხუა: ემატოს: ვინცა: ცოლი: კელდაკელ: წაულოს: და: შვირთოს: სრული: სისხლი: დაეურვოს: თუ: კაცმან: დასწავლი: ქალი: უმიზეზოდ: და: გიგდოს: სისხლისა: ნახევარი: დაგეურვოს: თუ: სახლად: დაესხნენ: და ზედან: გაუკდენ: და გამოათრონ: და: კელდაკელ: ვაგძარცონ: რასაცა: გუარისა: იყოს: ნახევარი: სისხლი: დაეურვოს: ნაკრავითა: თელის: წაყრა: კელფერკისა: დაშეება: პირის: დალი: ესენი: სისხლისა: ნახევარი: არის: რასაცა: გუარისა: არის: და: თუ: უჩინარსა: ადგილსა: იყოს: მას: გერში: გაუჩინე: და: თუ: კაცმან: დედა: კაცი: გიგნოს: (sic) თორმეტი: გლეხი: დაეურვოს: მარტივითა: სახსრითა: და: თუ: კაცმან: ნაბრ: კკობი: (sic) და სისხლი: დაგიკვიროს: (sic) ათი ათასი: სხუა: ემატოს: ვახშად: და: თუ: კაცმან: ნაკრავითა: წინა: კბილი: ჩაგადებინოს: ნახევარი: სისხლი: დაგეურვოს: და: თუ: უკანა: კბილი: ჩაგადებინოს: სისხლისა: მეოთხედი: დაეურვოს:-

ამ ტექსტის განხილვიდან ცხადად სჩანს, გარდა მეორე ხარისხოვან დამახინჯებათა ცალკე სიტყვების წაკითხვაში, თვით სიგელის შინაარსის მთლიანობის დარღვევა. ბოლო სიგელისა (აწე ვინცავინ ნახოთ ბა და სიგელი ესე შემდგომად დიდთა სხუათა მეფეთა) მიკერებულია სიგელის დასაწყისში, რის გამო ტექსტის შუა ნაწილი ბოლოში არის მოყოლილი. გარდა ამისა საყურადღებოა ინდიკტიონის მაჩვენებელ შიფრის წაკითხვა გადამწერის მიერ: „დაიწერა სიგელი სასისხლო და ბა ესე... ინდიკოტო (უნდა: ინდიკტიონსა) მეფობასა ჩუენისათა იოანე კლითა მწიგნობარი ეფთვიმესითა ასურისთა“. ჩვენის აზრით, ეს ადგილი უნდა იკითხებოდეს ამ გვარად: „დაიწერა სიგელი სასისხლო და ბა ესე... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა იე კელითა მწიგნობრისა ეფთვიმე ასურისათა“. ცხადია, შიფრი იე ქარაგმის განხნით გადამწერს სრულიად სამართლიანად „იოანედ“ წაუკითხავს.

ნახსენებ ციტატას ტექსტში მიყვება სიტყვები: „და თქუენ ქრისტეს მიერ კურთხეულნო მშლნი და მქცევლნი ნუ ვინ ხართ. ბაბასა ამისა ჩუენისა შეწევნითა დამამტკიცებელთა კურთხეული მიანგელი ესე დაიწერა სასისხლოი სიგელი ინდიკიონსა მეფობასა რაიას სამოცდასამ“.

სა კელითა მწერალ მწიგნობარისა ჩუენისათა“. ეს სიტყვები შეიძლება წარმოადგენდეს დამახინჯებულად გადმოწერილს შემდეგ დროინდელ მინაწერს, რომლის ქორონიკონი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი შიფრით (აპისი მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ხუცური გამოსახულება ასოსი ა—მე-15 საუკუნეში ამ ასოს მხედრული გამოსახულება ჯერ კიდევ არ არსებობდა—გადაწერს გაუგია როგორც ა) და ამასთანავე სიტყვებითაც: „ქორონიკონსა რა[გ] ას სამოცდასამსა“. ამ შენიშენების მხედველობაში მიღებით და ტექსტის შეცდომების შიგადაშოგ შესწორებით, ჩვენ მივიღებთ სიგელის ტექსტს შემდეგი სახისას:

ქ. სახელითა ღთისათა დავითისაგან ბაგრატიონისა, ძისა მისისა ვახტანგისგან, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშე და შანშე, ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოეთის კელმწიფობით მპყრობელისა. მოვიდეს ჩუენსა წინაშე გიორგი და ოლი და სიხარული ნიქაბაძენი გელათისა წინამდგენი და ყმანი და გუეაჯნეს და მოგუაქსენეს, რათამცა სასისხლოთა წიგნითა შეგუეწყალნეს. დაგუაჯერა ღთმან და ვისმინეთ აჯა და მოკსენება და ამოუბოძეთ სასისხლო სიგელი გიორგის და ოლის და სიხარულს და გაუჩინეთ ოთხმოცი ათასი თეთრი ძეგლი ცხუმური მათის ერდგულად სამსახურისათუის. პირველ გელათისა ყმანი ყოფილიყუენით და დიდად ნამსახურნი ჩუენისა კარისანი და პირველთა დიდთა მეფეთა. შეგიწყალეთ გიორგი და ოლი და სიხარული და გაგიჩინეთ სრული სისხლი ოთხმოციათასი ძეგლი ცხუმური. ვინც ცოლი წაუღოს, ნახევარი სისხლი დაეურვებოდეს. ვინ ქალი დაუგდოს, ნახევარი სისხლი დაეურვებოდეს. გრძნეულობა შეყივლოს, მართალი იყოს, ნახევარი სისხლი დაეურვებოდეს. [ვინცა] სადალოდ დაკოდოს, სამი გერში დაეურვებოდეს. ვინცა ღალატითა მოკლას, მისისა სისხლს თორმეტი ათასი სხუა ემატოს. ვინცა ცოლი კელდაკელ წაუღოს და შეირთოს, სრული სისხლით დაეურვოს. თუ კაცმან დასწავლილი ქალი უმიზეზოდ დაგიგდოს, სისხლისა ნახევარი დაგეურვოს. თუ სახლად დაესხნენ და ზედან გაუკდენ და გამოათრიონ და კელდაკელ გაგძარცონ, რასაცა გუარისა იყოს, ნახევარი სისხლი დაეურვოს. ნაკრავითა თვალის წაყრა, კელფერკისა დაშაება, პირის დალი ესენი სისხლისა ნახევარი არის, რასაცა გუარისა არის და უჩინარსა ადგილსა იყოს, მას გერში გაუჩინე და თუ კაცმან დედაკაცი გიგინოს, თორმეტი გლეხი დაეურვოს მარტივითა სახსრითა. თუ კაცმან ნაბრკობი სისხლი დაგიქიროს, ათი ათასი სხვა ემატოს ვახშად და თუ კაცმან ნაკრავითა წინა კბილი ჩაგადებინოს, ნახევარი სისხლი დაგეურვოს და თუ უკანა კბილი ჩაგადებინოს, სისხლისა



მეოთხედი დაეურვოს. აწე ვინცა ვინ ნახოთ ბზა და სიგელი ესე შემდგომად დიდთა სხუათა მეფეთა, დედოფალთა, კათალიკოზთ ებისკოპოზთა და მთავარებისკოპოზთა, ერისთავთა, დიდებულთა, აზნაურთა, ჩუენისა კარისა კელის მქონებელთა, მოურავთა, მეჯინებთა, ბაზიერთა, მერემაეთა, მესაკლავეთა, მესაბანჯრეთა, ყოველთავე დაუმტკიცეთ, ნუვინ უშლით ბზასა ჩუენსა, ნუცა ვინ რას აკლებთ თუინიერ შეწევნისა და თანა დგომისა მეტად. დაიწერა სიგელი სასისხლო და ბზა ესე ოთხმოცი ათასი ძველი ცხუმური ნიქაბაძისა გიორგისა და ოლისა და სიხარულისა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა იე კელითა მწიგნობრისა ეფთვიმე ასურისათა. მინაწერი რამეჲც დედანში აწმიაზე მთავსებუჲი უნდა ყოფილიყო: კანს (?) ქუეყანაშიგან თავსაჯდომი და ტაბლის ნახევარი სრულიად უცილებლად და ორნი კუამლნი კაცნი სამკუიდროდ მოვარდუკაძე და მორჩიაშვილი გიორგის და ოლის და სიხარულს შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

სიგელის ტექსტს, მეფის ხელისმეწერის შემდეგ, რამეჲც გადამწერს ან გადმოუცია, მისდეჲდა მე-15 საუკუნის მინაწერი — დამტკიცება, რამჲის დავი სიგელის გადაწერის დრფს ან იკითხებოდა: --- და თქუენ ქრისტეს მიერ კურთხეულნი --- მშლელნი და მაქცეველნი ნუ ვინ ხართ ბზისა ამის ჩუენისა. შეწევნითა დამამტკიცებელნი კურთხეულნი --- დაიწერა --- ქნსა რა[გ] ასსამოცდასამსა კელითა მწერალმწიგნობრისა ჩუენისათა. ნუ ვინ რას აკლებთ, ნუ მდიდარნი და ნუ მცირენი და ნუ აზნაურნი და მღრდელნი და ნუ მალაზონნი და ნუ ეფისკოპოზნი, ნუ ვინ რას უშლით.

სიგელი ამგვარად ბოძებულია დავით ნარინის მიერ, რომელსაც მართლაც ყავდა შვილი ვახტანგი. რომ სიგელი არ შეიძლება მე-14 ან მე-15 საუკუნეს ეკუთვნოდეს, ამას ცხადად გვიჩვენებს საერთო სტრუქტურა სიგელისა, განსაკუთრებით მოხელეთა ჩამოთვლის რიგი და აგრეთვე სიგელის დათარიღება მეფობის ინდიკტიონით. კერძოდ უკანასკნელი გარემოება (სიგელის დათარიღება მეფობის ინდიკტიონით) დამახასიათებელია ქართული დიპლომატიკისათვის მე-14 საუკუნის დასაწყისამდის. სიგელი მიცემულია დავით-ს მეფობის მე-15 წელს, — დავით ნარინი მეფედ გამოცხადდა 456 ქორონიკონს (თ. ე. ო. რ. დ. „ქრონიკ.“ II, 124), — მაშასადამე 470 — 471 ქორონიკონს (დაახლოვებით 1251 წელს).

II. მეორე სიგელი მიქაბაძეთა, დაცული იმავე არქივში (საქმე № 289) წარმოადგენს აგრეთვე პირს, გადაწერილს კარგს თეთრს ტყავზე მე-15 საუკუნის ხელით. სიგელი იკითხვის შემდეგ ნაირად:

ქ: სახელითა ღთისათა: იასიან: დავითიან: სოლომონიან: ბაგრატიუნისა: ნებითა: ღთისათა: აფხაზთა: ქართუელთა: რანთა: კახ-

თა: სომეხთა: შან შე: და შარვანზე: <sup>1</sup> აღმოსავლეთისა: და და: საველეთისა: (sic) სამხრის: და ჩრდილოეთისა: ლიხთიშერისა: და ლიხთამერისა: ორისავე: საკელმწიფოსა: ტახტ: გვირგუინისა: ღთისა: მიერ: მფლობელ: მპყრობელისა: გიორგი: მეფეთ: მეფი: სა: წინაშე: (მოვიდა) მებაჯრეთ: ზხუცესი: გოგატი: ჩხეტიძე: ჩუენის: მეფობისა: დიდად: მომჭირნე: და გუფაჯნეს: <sup>2</sup> და მოგუთკსენეს: <sup>3</sup> მათის მკუიღრისა: ყმისა: სასისხლოთა: სიგელითა: და დაგუთაჯერეს: <sup>4</sup> და: მოგვართუეს: ძუელთა: ჩუენთა: ჰპ(ა)თაგან: ბოძებულნი: სიგელნი: და: ჩუენ: ახლად: გაუახლეთ: და დაუმტკიცეთ: მიქაბაძეთა: მათნი: სასისხლონი: სიგელნი: დავითს: და გიორგის: და მათთა: შვილთა: და მომავალთ[ა]: და რა(კა): ჩუენთა: ჩამომავალთა: ძუელთა: გაეჩინეს: აღარ(კა): ჩუენ: დაუმტკირეთ: <sup>5</sup> (sic) და დაუმტკიცეთ: სრული: სისხლი: ასი: ათასი: ძუელი: თეთრი: მისითა: საზაოთა: და სანახშიროთა: ესე: ასრე: მიგუიციემია: და დაგუიმტკიცებია: მიქაბაძეთათუის: ასი: ათასი: ძუელი: თეთრი: მისითა: საზაოთა: და სანახშიროთა: თუ ვინმე: მოკლას: მიქაბაძისა: გუარისა: კაცი: ესე: ასი: ათასი: ძუელი: თეთრი: დაეურვებოდეს: მისითა: საზაოთა: და სანახშიროთა: ამას აქეთ ვინ ცოლი: წაუღოს: ნახევარი: სისხლი: <sup>6</sup> დაუურვოს: ვინ: უმიზნოდ: გუირგუინ: შესკუნილი ქალი: დაუგდოს: ნახევარი: სისხლი: დაუურვოს: ვინ: ჯვარ: გაცულილი: ქალი: დაუგდოს: სისხლის: მეოთხედი: დაუურვოს: თუ ვინმე: უმკითხაოდ: გრძნეულობა: უთხრას: ნახევარი: სიახლი: დაეუროს: ამას: აქით: ვინ: სადალოდ: დაკოდოს: სამი: ათასი: ძუელი: თეთრი: დაეუროს: ვინ: უპატრონოდ: (sic) სახლად: დაესხას: მესამედი: სისხლი: დაეუროს: ვინ: მწყემსი: უცეს: ათასი: თეთრი: დაეუროს: ექუსნი: ასონი: არიან: კაცისნი: რომელიცა: ნაკრავითა: დაუშავდეს: მეექუსედი სისხლი დაეუროს: გერში: ვინ: აღინოს: ათასი: თეთრი: დაეუროს: სხვა: სახალო და სადალო: და საუპატიო: ამა: სრულ(ი)სა: სისხლისაგან: იანგარიშეთ: და აგრე: დაეურვებოდეს: ესე: ასრე: გაგუიჩენია: და დაგუიმტკიცებია: და მიგუიბოძებია: მიქაბაძეთათუის: და მათთა: მომავალთათუის: აწ: ვინცა: ნახოთ: ბზა: და სიგელი: ესე: შემდგომად: ჩუენთა: მეფეთა: დედოფალთა: ამი(რ)სპასალართა დადიან: გურიელთა: ამირეჯიბთა: ერისთავთა: ამილახორთა: მუშორიბთა: დივანთა: მოლარეთა: მეჯინიბეთა: ბაზიერთა: მოურავთა: კელოსანთა: პურისა: და საკლავის: მკრებელთა: მეღვინეთა: ყოველთა: კარისა: ჩუენისა: წარვლინებულთა: მოსამსახურეთა: დაუმტკიცეთ: და ნუენ: უშლით: თვინიერ: თანა: დგომისა: და შეწვენის: მეტად: დამამტკიცებელნი: ღწ: აკურთხოს: მშლელი:



კრულმცა: არის: და (თ)ქუენ: ქრისტეს მიერ: კურთხეულნო:.  
 ქართლისა: და აფხაზეთისა: ქათალიკონო: უჯუ(ა)რობითა: დაუმ-  
 ტკიცეთ: დაიწერა: ბზა: და სიგელი: ესე: მეფობის(ა): ჩუენისასა:  
 ინდიკტიონს: 7 ქ(ო)რონიკონსა: ხუთას: ორმოცდა: ხუთას: კელითა:  
 კარისა: და საწაღის: მწიგნობრისა: დავითისითა: გარდა იწერა:  
 ძუელისაგან: მეორედ: ახლად: კიდე: მიბოძებია: ვარძიას:  
 რაბიძისოული წყალობათ \*)

ნუსხა ხუც: ქართლისა და აფხაზეთისა ქათალიკონი ჯ'ითა უამტკიცებთ:  
 ხვეუდად გამოუგანელი ვოფილა: მეფეთმეფე გიორგი ვამტკიცებთ  
 მეორე კვერდზე სხვა გუდა ხელით, მეტად მქრალად (მე-16 საუგ. ხელით,  
 მინაწერს ახსიათებს ზედმეტი ა-ს ჩატანება ზოგიერთ სიტყვაში):

ქ: ესე წიგნი: მოვეცი: მე: ხეფანიძემნ: ივანამნ: მა ეამსა: ოდეს:  
 ვით(ა)ხოე: შენი: ქალი: და: დაგიგდე: მოვეც: მე: სასის-  
 ხრად: ერ(ა)თი: ასისა: (?) ვინაც ესე შეგიც[ვალ]ოს და:  
 დამრავსა: კიდც: შეც--- და: ცნობ--- ნუმცა იხსენების: ჯოჯო-  
 ხეთისაგან ნუცა წირვითა ამისადა: თავდებლ: ---წმიდა--- მომიცე  
 ... ხრისა წმიდა გიორგი... მოგვიცემია---

სიგელის ტექსტში შეტანილია ზოგიერთი აქვე აღნიშნული შეს-  
 წორება და ამას გარდა ზოგიერთ ადგილას აშკარად ნაკლულევანი  
 ასოები, ერთ ადგილას სიტყვაც ფრჩხილებში არის ჩასმული. კოპიოს  
 ბოლოში გადამწერი იხსენიებს საბუთის „ახლად“ გადამწერას. ამას მის-  
 დევს სიტყვები— „კიდე მიბოძებია ვარძიას რაბიძისოული წყალობათ“,  
 რაიც დედანში არ შიაზე იქნებოდა.

სიგელი ბოძებულია გიორგი მეფის მიერ, როგორც სიგელის ბო-  
 ლოშია მოხსენებული, 545 ქორონიკონს. სიგელის მიმცემი, როგორც  
 სჩანს, ეკუთვნის აფხაზეთის სამეფო დინასტიის შტოს. ამისი მაჩვენებ-  
 ლი უნდა იყოს ის გარემოება, რომ გიორგი მეფე პირდაპირ ამბობს—  
 „მოგუართვეს (მიქაბაძეთა შესახებ) ძუელთა ჩუენთა პაპათაგან ბოძებულ-  
 ნი სიგელნი და ჩუენ ახლად გაუახლეთ და დაუმტკიცეთ მიქაბაძეთა  
 მათნი სასისხლონი სიგელნი“. აქ, რასაკვირველია, უნდა იგულისხმე-  
 ბოდეს ზემოდ მოტანილი, დავით ნარინის მიერ ბოძებული სიგელი  
 იმავე მიქაბაძეთა. ფრიად საინტერესოა სიგელის დათარიღებაც. ქორო-  
 ნიკონის მაჩვენებელი რიცხვი 545 მართალია უცნაურად სჩანს, მაგრამ  
 თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ აქ შეიძლება ქორონიკონის აღ-  
 რიცხვაში ადგილი ჰქონდეს წინანდელ ციკლის წელიწადების რიცხვთან  
 (532) ახლად დაწყებულ ციკლის წელიწადების მიმატებას, მაშინ მივი-

\*) ტექსტში: 1) შარავანშთა 2) გუეაჯნეს 3) მოგვასხსენეს 4) და დაგუაჯერეს 5) დაუმ-  
 ცირეთ 6) სისხლნი 7) ინდიკტიონს.

ლებთ ქორონიკონის მაჩვენებელს ნამდვილად (545—532=) 13-ს. ამისდა მიხედვით შეიძლება სიგელის დათარიღებაც 13 ქორონიკონით (1324 წ. სექტ.—1325 წ. აგვისტ.). მაშასადამე გამოდის, რომ ჩვენთვის საინტერესო სიგელი შეიძლება მიცემული იყოს 13 ქორონიკონს (1325 წ.) გიორგი აფხაზთა მეფის მიერ.

საინტერესოა ამ გარემოებასთან შესათანხმებლად მოხსენებულ იქმნას, რომ როგორც მე წინადაც არა ერთხელ მიჩვენებია (უკანასკნელად — კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, გვ. 12—17), მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში მართლაც სჩანს გიორგი მეფე, რომელიც იმერული ძველი გარიგების წიგნის ქრონიკის მიხედვით გარდაცვლილა 34 ქორონიკონს (1345 წ. სექტ.—1346 წ. აგვ.) და რომელიც სხვა პირივით უნდა იყოს და არა გიორგი ბრწყინვალე. ის გარემოება, რომ აღნიშნულ გიორგი მეფის გარდაცვალების თარიღი მოხსენებულთა იმერული ძველი გარიგების წიგნის ქრონიკაში, თავის თავად შეიძლება ჩაითვალოს ამ მეფის აფხაზეთის სამეფო დინასტიიდან წარმომავლობის მაჩვენებლად. ეხლა ეს მოსაზრება, მიქაბაძეთა ზემოდმოყვანილ სიგელის შემდეგ, კიდევ უფრო მტკიცდება. აღსანიშნავია, რომ გიორგი მეფე მიქაბაძეთა სიგელში უწოდებს დავით ნარინს წინაპარს („ჩუენთა პაპათაგან ბოძებულნი სიგელნი“). თუ ამის მიხედვით დავით ნარინს გიორგი მეფის პაპად წარმოვიდგინოთ, მაშინ მივიღებთ ახალს გენეალოგიურს ცნობას მე-14 საუკუნის აფხაზეთის ჩეფეების შესახებ. დავით ნარინს, უფროსი შვილის ვახტანგის სიკვდილის შემდეგ დარჩა მ შვილი — კოსტანტინე, მიქელ და ალექსანდრე. „ხოლო მიიღო მეფობაჲ კოსტანტინემ პირმშობისა ძალით, რომლისა მეფობასა წინააღუდგა ძმა მისი მიქელ და დაიპყრა ქუეყანა რაქისა და არგუეთისა და დღეთა მათთა იშლებოდა ქუეყანა იგი, რომელთა საქმენი არაა მოხსენებულ არიან და არა ყვეს მშვიდობა ვიდრე არა მიიცვალნეს, რამეთუ რომელსა ჟამსა დაიზავნიან, მყის შეიშალნიან“ (ქართ. ცხოვ. I, 427). თათართა ბატონობის ეპოქის მემბტიანის თხზულება, როგორც ცნობილია, თავდება ულჯათ-სულტანის გარდაცვალების შემდეგ გიორგი ბრწყინვალისთვის საქართველოს უზენაეს გამგებლობის დამკვიდრების შესახებ ცნობაზე — ანუ 1316 წელზე. ვინაიდან მემატიანეს მოხსენებული აქვს დავით ნარინის შვილების კოსტანტინეს და მიქელის სიკვდილი, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მათი გარდაცვალება უნდა მომხდარიყო 1316 წელზე ადრინდელ ხანაში. მაშინ ჩვენთვის გასაგები იქნება, თუ რატომ 1325 წ. ახლოს იხსენიება მიქაბაძეთა სიგელში გიორგი მეფე. 14 ქორონიკონს (1326 წ.) ცნობილია კიდევ აფხაზეთის სამეფოს ფარგლებში მიქელ მეფე (საქართ. სიძვ. II, 33). თუ ამ მიქელ მეფეს სახელის მიხედვით უახლოესი ნათესაური კავშირი

აქვს მიქელ დავით-ნარინის შვილთან, მაშინ მიქაბაძეთა სიგელის მბოძებული გიორგი მეფე შეიძლება მიღებულ იქნას მიქელ მეფის წინამორბედად.

მე-14 საუკუნის საქართველოს სამეფო დინასტიების გენეალოგიური ძიებანი ჯერ კიდევ მოელის დამთავრებას, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრივ კოსტანტინე მეფის მემკვიდრედ გიორგი მცირის ცოლის თამარის გულისხმობას (ს. კაკაბ., ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარეშემო, საისტ. მ. I, 121—130), მეორეს მხრივ გიორგი მეფის სიკვდილს, ზემოდ მოხსენებულის მიხედვით, 1346 წელს და ამასთანავე 1326 წლიდან მიქელ მეფის წარმოჩენას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დავით-ნარინის შვილებს კოსტანტინე და მიქელ მეფეებს ლიხთ-იმერეთს შეუდგა დაახლ. 1315 წლიდან გიორგი მეფე, რომელიც უფრო მიქელის შვილად არის საფიქრებელი. ხოლო 1326 წელს მოხსენებული მიქელი შეიძლება იყოს ამ გიორგის შვილი მამის სიცოცხლეშივე მეფის ტიტულით აღიარებული, რომელი მოვლენაც მე-14 საუკუნეში საქართველოში გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო.

III. შემდეგი სიგელი, რომელიც აქამდის ცნობილი არ იყო, არის დიმიტრი მეფის მიერ მიცემული, ამ ჟამად დაკული ქუთაისის მუზეუმში. სიგელი თვით ასლი არ არის, არამედ პირი, მაგრამ მე-15 საუკუნეში გადაწერილი. სიგელი დაწერილია ტყავზე, თავში ოდნავ დაზიანებულია. მისი ტექსტი უცვლელად დეფექტიანი ნაწილის აღდგენით წარმოგვიდგება შემდეგნაირად:

--- მეფ---მეფეთა: ჩეფისა: დიმიტრისა: [მე]ვეანდეთა: მისთა: დადიან: გური[ელისა:] და მათათა: (sic) ნიადგთა: და კამყოლთა: [დაგუ]იმტკიცებია: სიგელი: ესე: გაჩენით: [გარდა]ნახადი: და გარდაგბდილი: (sic) გიბედნი[ერ]ოს: ღმერთმნ: სიგელი: ესე: თქვენ: [კაპ]ანაძესა: და შენთა: ნათესავთა: და მომა[ვალ]თა: ყოველთავე: და სახლიშვილთა: შენ[თა:] აწ: ახლად: დაუმტკიცეთ: მეფეთა: ბრძანებითა: სასისხლო: სიგელი: ესე: სა[ნახშირ]ოდ: საზაოდ: და შესამყრელოდ: ორი ათასი: სადალოდ: სამი: ათასი: საგერშოდ: ორი ათასი: თეთრი: დაგურვებოდეს: თუ ვინმე: ცოლი: მოგიტყნას: ანუ: წაულოს: ნახევარი: სისხლი: ამისგნ: გარდაიხადოს: თუ ვინმე: სახლი: დაგიწვას: ანუ: დაგიბიოს: მაშინც: ნახევარი: სისხლი: დაგიუროს: თუ ვინმე: მუქარა: [გთხ]ოვოს: ანუ: გილალატოს: მაშინც: ნახევარი: სისხლი: დაგიუროს: თუ ვინმე: სასაძოვრე: გაგიტეხოს: ანუ: ცხენ: ხვასტავი: წაგისხას: ორი: ათასი: გარდაიხადოს: თუ ვინმე: გირ[ძნ]ეულობა: (sic) შემოგყივლოს: ნახევარი: სისხლი: დაგიუროს: თუ ვინმე: ცოლი: მოგიტყნას: ანუ: წაგიღოს: ნახევარი: სისხლი: დაგიუროს: თუ ვინმე: ექვსთა: კელ-

ფერხთა: და თვალთაგნ: დაგიშავოს:<sup>1</sup> მეექუსედი: სისხლი: და-  
 გიუროს: თუ ვინჰე: მწყემსი: გაგიუპატიოს: როგორაც: ამისგნ:  
 ხვდებოდეს: აგრე: გარდაგიხადოს: ვინც: ეკლესია: ანუ: სასაფლაო:  
 ანუ: წისქვილი: გაგიტეხოს: ნახევარი: სისხლი: დაგიუროს: თუ  
 ვინმე: მეწისქვილე: გაგიუპატიოს: როგორაც: ამისგნ: ხვდებო-  
 დეს: გარდაგიხადოს: აწ: ვინც: ნახოთ: ბრძანება: და სიგელი:  
 ესე: ჩვენთა: შემდგომად: მეფეთა: უჯუ(ა)რობით:<sup>2</sup> დაუმტკი-  
 ცეთ: ჩვენ: მეფეთა: ბრძანებითა: და ნუვინ: უშლით: ამა:  
 ჩვენგნ: განჩენილსა: სიგელსა: ქონდეს: თქვენ: კაპანაძესა: და  
 ვითს: შენთა: შვილთა: და სახლიშვილთა: და მომავალთა: ყოველ-  
 თავე: როგორაც: ჩვენგნ: ბოძებასა: მართებდეს: მართებდეს: (bis)  
 ამა: სიგელსა: აგრე: ქონდეს: და წმიდანო: მე(უ)ფენო: ქრისტეს:  
 მიერნო: დაუმტკიცეთ: და ნუვინ: უშლით ნუც: ების: კობოზნი:  
 ნუც: ქათალიკოზნი: ნუც: მღღელთ: მოძღვარნი: ნუც: ციხის-  
 თავნი: ნუც: აზნაურნი: ნუც: დიდებულნი: ნუც: უზედანდ:  
 ნუც: უქვდადანი: დედოფალთა: დედოფალთა: (bis) აზნაურთა:  
 სვ(ი)ანთა: ოთხმიზურთა: და ყოველთა: ჩვენისა: კარისაგნ: გამო-  
 სრულთა: მოსამსახურეთა: ჩვენთა: უჯუ(ა)რობით:<sup>2</sup> დაუმტკიცეთ:  
 როგორაც: ზემოთ: სწერია: ბრძანება: და სიგელი: ესე: ინდიკ-  
 ტიონსა:<sup>3</sup> მეფობასა: შინა: ჩვენისასა: თუესა: სეკნდებერსა: ოცდა-  
 ერთსა: კელითა: ოდიკიტრისა: გურგენისათა: ამინ: უფალო\*).

სიგელის პირი აქ მოყვანილია უცვლელად. პირი, როგორც ეტ-  
 ყობა, თვით ტექსტს აქაც წარმოგვიდგენს დამახინჯებულად. ზოგ ად-  
 გილას აღდგენილი ნაკლებეკანი ასოები ფრჩხილებში არის ჩასმული:  
 ბოლოში დამატებული „ამინ უფალო“ ზედმეტია და დედანში აღბად  
 არც იქნებოდა.

სიგელის მიმცემი დიმიტრი მეფე ექვს გარეშეა, არის აფხაზ-იმე-  
 რეთის მფლობელი. ეს ცხადად სჩანს დადიან-გურიელის მეფის „მოავეყნ-  
 დედ“ მოხსენებით. უკანასკნელი გამოთქმა განსაკუთრებით საინტერე-  
 რესოა, რადგან ნათლად ასურათებს ფეოდალურ წყობილების დროს  
 დადიან-გურიელის მეფისაგან სამსახურის დამოკიდებულების გარეგან  
 გამოხატულებას. საყურადღებოა, რომ მე-18 საუკუნეშიდაც, მე-19  
 საუკ. მეორე ნახევარში ჩაწერილ ზეპირგადმოცემის მიხედვით, დადიან-  
 გურიელის მიერ იმერეთის მეფის უფროსობის აღიარება თითქმის ანა-  
 ლოგიურ გამოხატულებას პოულობდა. სოლომონ I-ის დროს კათალიკ-  
 კოზი რაჭის ერისთავთან როსტომთან ბაასის დროს, აქ გადმოცემის  
 მიხედვით, ამბობს, რომ „დადიანისა და გურიელისაგან ნამეტანი მორჩი-

\*) დედანში: ღადანაკოს (sic) უჯერობით ზინკოტინისა. ეს დამახინჯე-  
 ბანი, ცხადაა, დამწერლობით ნიადაგზეა წარმოშობილი.



ლება არის მეფისადმი: ცხენზე შეჯდომის დროს ერთმა აღვირი უნდა დაუკავოს და მეორემ უზანგი უნდა დაუწიოსო“ (იმერ. მეფე სოლომონ დიდი, ტფ. 1895 წ., 32).

სიგელის მიმცემი დიმიტრი მეფე უნდა იყოს დიდ ალექსანდრე მეფის უფროსი შვილი, რომელიც ცხენმა მოკლა 1452 წ.. სიგელი იძლევა საინტერესო დეტალს ალექსანდრე მეფის დროს მრამხდარ საქართველოს განაწილების შესახებ მის შვილებს შორის. რომ ამგვარი განაწილება მეფობისა ტერიტორიალურად, საქართველოს ცალკე ნაწილებში სათითაოდ ალექსანდრეს შვილებს უფლებდს განმტკიცებით, რეალურ ფაქტს წარმოადგენს, ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, კახეთის სამეფო სახლში მე-16 საუკ. დასასრულსაც ამის შესახებ არსებული გარკვეული გადმოცემა. ალექსანდრე II კახთა მეფე 1589 წ. რუსეთის ელჩს ზვენიგოროდსკის ეუბნება: „истари Иверское государство было подь однимъ царемъ; и прадедъ нашъ то царство Иверское розделилъ на три части“ (С. Бѣлокуровъ, Снош. Рос. съ Кавк., 169—170). აქ უნდა იგულისხმებოდეს დიდ ალექსანდრე მეფის ხანა. ცნობილია, რომ ალექსანდრეს უმცროსი შვილი გიორგი მამის სიცოცხლეშივე კახეთის შეფედ იწოდებოდა, სახელდობრ 1433—1434 წლიდან (ს. კაკაბ., ვახტანგ უცნობი აფხაზ-იმერ. მეფე, 15.). უფროსი შვილი ვახტანგი მეფედ იხსენიება ჯერ კიდევ 1429 წ. (ს. კაკაბ., საისტ. საბ. III, 14); ესლა ჩვენ ვპოულობთ დადასტურებას მეორე შვილის დიმიტრის მეფედ ყოფნის შესახებაც და ისიც დასავლ. საქართველოს ტერიტორიაზე. შეზღობილია ამიტომ ისიც, რომ ზემოდ მოყვანილი სიგელი მიცემული იყოს ჯერ კიდევ დიდ ალექსანდრე მეფის სიცოცხლეში დაწყებული 1429 წლიდან, მაშასადამე დაახლოვებით 1429—1452 წლებში (უკანასკნელი წელი არის დიმიტრის სიკვდილის წელიწადი).

IV. მეოთხთემეტე საუკუნისავე უნდა იყოს ერთი სიგელი, რომლის პირი აღმოჩნდა საქ. საისტ.-საეთნ. საზოგადოების მუზეუმში. პირი გადაწერილია თაბახის მეოთხედზე მე-19 საუკუნის შუაში. ტექსტი სიგელისა არის საკმაოდ დამახინჯებული, როგორც ამას ჩვეულებრივ ადგილი აქვს ძველი სიგელების გადაღებისას განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში. ასეთი დამახინჯება რასაკვირველია აძნელებს სიგელების ტექსტის სისწორით აღდგენას, მით უმეტეს რომ მე-15—16 საუკუნის სამეფო კანცელარიების სტილი ეჭვს გარეშეა ერთგვარ დეგრადაციას განიცდის და ამ ეპოქის ყოველი საბუთი შეიცავს სხვადასხვა ლაპსუსებს, რომელნიც ყოველთვის არ შეიძლება დამოკიდებული იყოს შემთხვევით მოვლენებისაგან და უმეტესად დაკავშირებულნი უნდა იყვნენ კანცელარულ სტილის განსაკუთრებულ მიმართულებით მსვლელობასთან. ეს საკითხი, ჩვენი დიპლომატიკისათვის ძალიან სერიოზული, თა-

ვისი მნიშვნელობით ღირსია ფართოდ დასმისა, მით უმეტეს რომ მე-15—16 საუკუნის ლიტერატურულ ენასაც ჩვენ ვატყობთ იმგვარადვე მიმართულებით მსვლელობას, უკეთ გარდაქმნას და შეიძლება ითქვას იმავე ხასიათის დეგრადაციასაც, როგორც ეს ცხადად დასტურდება ამავე ეპოქის საბუთების მიხედვით.

მაგრამ გარეშე ამ, ფრიად სერიოზულ და ცალკე ძიების ღირსად საცნობ ჰაკითხისა, მხედველობაში მისაღებია კოპიების მიხედვით ძველი სიგელების ტექსტის აღდგენისას ის დამახინჯებანი, რომელიც წარმოადგენილია და ხშირად ფრად ფართოდ ძველი სიგელების კოპიებში ვინაიდან სასისხლო სიგელებმა ჩვენამდის მოაღწიეს უმთავრესად კოპიების სახით, ამიტომ ეს გარემოება თხოულობს თავისთვის ფრიად სერიოზულ ანგარიშის გაწევას. თუ რამდენად შესაძლებელი იყო ძველის სიგელების გადაწერის დროს ტექსტის დამახინჯების დაშვება, სათანადო ცდის მოსახდენად მე მივეცი გადასაწერად მე-17 საუკუნის ფრიად გარკვეული ხელით და იმავე დროს ადვილ და მარტივ ტექსტის შემცველ ერთი საბუთის (ნუსხის) დედანი ტფ. უნივერსიტეტში საისტორიო დარგზე სწავლა დამთავრებულს პირს, რომელსაც ქართული დიპლომატიკის სპეციალური კურსი ქონდა გავლილი. ეს სანიმუშოდ მოხდენილი ცდა საინტერესო გამოდგა. დამახინჯებანი იყო ძლიერ ბევრი და სასტიკიც. აქვე მოვიყვანთ მაგალითისთვის რამოდენიმე ასეთ დამახინჯებათ ფრჩხილებში ნამდვილის წაკითხვის მოთაესებით: მკვევი-შვიდი (მოუტიშვიდი), კვეისჯურელი (ჯვრისჯურელი), ამირანსანაშვიდი (ამირანაშვიდი), თამაზასი (თამაზარი), მგლისჯოგი (მგლისჯანი), ზემოურს (ზემაურს), ძაგანა (ზმაგან), ქურციკი (ქურიციკე), კოჭლი (ვაჭარი); ნადირა (ნიარა), მასა (მისა), აბრამ (ბრმა), ადუა (ანუკა), ბაღჩია (მასარა) და სხ. თუ ასეთი დამახინჯებანი შესაძლებელია ეხლაც უნივერსიტეტში ქართულ დიპლომატიკის სპეციალურ კურსის გავლის შემდეგ და ისიც მე-17 საუკუნის მარტივი ტექსტის წაკითხვისას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელი უნდა ყოფილიყო უფრო ძველი და იმავე დროს რთული შინაარსის საბუთების სისწორით აღმოკითხვა იმ უმეტესად უვიც პირების მიერ, რომელთა მიერ უმთავრესად არის შესრულებული სიგელების კოპიები მე-19 საუკუნის პირველ ნახევარსა და ნახევარში. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ მე-17 საუკუნეზე უწინარეს საბუთების სისწორით წაკითხვა პალეოგრაფიულ ხასიათის მიზეზების გამო ყოველთვის ადვილი საქმე არ არის თვით სპეციალისტისთვისაც. მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქმნას თ. ჟორდანიას, ქართული პალეოგრაფიის პრაქტიკულად ჩინებული მკოდნე. 1513 წლის ერთს სიგელში, მაგალითად, თარიღი მან სრულებით ვერ შენიშნა, ხოლო ტექსტიდან ციტატა — „შემოგწირე... ქუთათ(ა)ისა ცის(ა)კარას(ა)შვილი“



დიდკარსა შიგნითა უფლისაი და მიქაელი ციხის(ა)თავისეული ქილაძისა ლიპრისაგნა მიყილია“... წაიკითხა შემდეგნაირად: „შემოგწირეთ... ქუთაისსა ცისა (ციხისა?) კარსა შავლი დიდ გარსა შიგნით უფლისა და მიქაელი ციხისთავისეული ქილაძისა ჰპრისაგანა (გაურჩევად) მიყილია“ (ქრონიკ. II, 343, შეად. ს. კ ა კ ბ., დასავლ. საქართვ. საეკლ. საბუთ. I, 4). ამისდა მიხედვით ტექსტის დამახინჯებანი ძველი საბუთების ძველადვე გადაწერილ, თუ ახლად მე-19 საუკუნის პირველ ნახევარს და ნახევარში სათანადო მომზადების არამქონ პირების მიერ შესრულებულ კოპიებში არათერს მოულოდნელს არ უნდა წარმოადგენდეს. ეს აუცილებლივ საგულისხმებელი დამახინჯებანი ჩვენ გვავალებს მხოლოდ მეტის ბეჯითობით მოვექცეთ სიგელების კოპიებს და მათი დეტალურად შესწავლით აღვადგინოთ ის ადგილი, რომელიც ჩვენს დიპლომატიკაში უნდა ქონოდა ხშირად ეხლა უკვე საბოლოოდ დაკარგულ მათ დედნებს.

ეს განმარტება ეხება საერთოდ ძველი საბუთების კოპიებს და განსაკუთრებით სასისხლო სიგელებს, რომელნიც წარმოადგენენ ჩვენი დიპლომატიკის ერთს ფრიად საინტერესო დარგთაგანს. ზემოდ მოხსენებული სასისხლო სიგელი, რომლის კოპიო დაცულია საისტ.-საეთნოგრ. საზოგადოებაში, იკითხება შემდეგნაირად:

სახელითა ღთისათა ჩუენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრა-ტონიან(მან) ყოვლისა აღმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდე ფლობით მქონებელმან ორისავე<sup>1</sup> საკელმწიფოისა ტახტისა და გუირგუინისა მქონებელმან<sup>2</sup> მეფეთმეფემან გორგასალ და დედოფალთ დედოფალმან ბატონმა თამარ და ჩუენთა ლაშკართა, რანთა<sup>3</sup> კახთა, სოქებთა, ქართველთა, ლიხთიმერთა და ლიხთამერთა, მესხთა, მეგრელთა, აფხაზთა, ჯიქთა, ალანთა, ყოვლისა სახელმწიფოისა მქონებელმა მეფეთმეფემან გორგასალ, დედოფალთ დედოფალმან თამარმან. მოდგეს ჩუენთა კართა ჩუენი დიდად ერდგული აზნაურშვილი ქველი და არდაშელ, მოდგეს ჩუენთა კართა ზედა ასათიანი ქველი და არდაშელ, ვისმინეთ აჯა და მოხსენება და გაუჩინეთ სრული სისხლი. ვისმე ასათიანის გვარის კაცი შეაკუდეს, ეს ჩუენგან გაჩენილი სრული სისხლი ერთი მონასტერი ასოც(ი)თა გლეხითა, თეთრ(ი)თა ქორ(ი)თა, თეთრ(ი)თა მეძებარ(ი)თა, თეთრ(ი)თა ჯორ(ი)თა დაეურვებოდეს სანახში(ირ)ოს აქათ, სანახში(ირ)ოთ ასოცი ათასი თეთრი დაეურვებოდეს. ვინც ქალი დაუგდოს, ანუ ცოლი წაულოს, ნახევარი სისხლი დაეურვოს. ვინც სასაფლაოვო გაუტეხოს, საღთო საქვე უპატიობა დიდი არის და სისხლის ნახევარი დაუურვოს. ვინც უომარსა<sup>4</sup> შვილი გიცეს ანუ ბატონთან შეგარცხინოს, სისხლის ნახევარი დაუურვოს. დალისა და.

კბილის ჩაგდებისათვის ოცდაათი ათასი თეთრი დაგეურვოს. ვინც ჯოგი გაგიტეხოს, ჯოგი უკლებლად შამოგეჭყცეს და თორმეტი ათასი თეთრი დაგეურვოს. ვინც მოახლე ან შიმუნვარი (sic) გიციეს, თუთხმეტი ათასი თეთრი დაგიურვოს, ანუ კაცის ანუ ქალის უკაცრავობა გკადროს და გაგილახოს, ხუთი ათასი თეთრი დაგიურვოს. ვინც უკაცრავობა გკადროს, კელი მოგყოს, გაგძარცოს, ექუსი ათასი თეთრი დაგეურვოდეს თქუენ ასათიანსა ქველსა და არდაშელსა, ნათესაეთა და ზომავალთა და სახლის შვილთა თქუენტა და ყთავე თქუენტა ამა წესითა დაგეურვებოდეს. თქუენც ასრე დაუმტკიცეთ ქართლისა და აფხაზეთის ქათალიკოზნო, ვეზირნო და დარბაზისერნო, აზნაურშვილნო, მესტუმრენო, მეღვინენო, მეჯინიბენო, მზარეულნო<sup>5</sup>, მეტულუხჩენო, ფარეშნო, გამოძღებელნო<sup>6</sup> და გამცემელნო, უქვენაენნო და უზენაენნო, თქუენც ესრეთ დაუმტკიცეთ. დაიწერა ბრძანება ესე ინდიკტიონსა<sup>7</sup> მეფ(ობ)ისა ჩუენისასა ქორონიკონსა--- \*).

სიგელი საინტერესოა ისტორიულ ცნობების შეგერების თვალსაზრისითაც. სიგელი მიცემულია დასავლ. საქართველოს დინასტიის წარმომადგენლის მიერ. ერთი რომ სიგელის მვატრონე ასათიანთა გვარეულობა ლეჩხუმში ბინადრობდა და გარდა ამისა ამას ადასტურებს სიგელის მიმცემ. მეფის ტიტულატურაც. მართლაც, მეფე გორგასალი, იგივე ვახტანგი, კარგად ცნობილია დასავლ. საქართველოს ფარგლებში მე-15 საუკ. პირველ ნახევარში (ს. კ ა კ ბ., ვახტანგ, უცნობი მე-15 საუკ. აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი). მის მიერ არის მაცემული ჩინებულ გარეგნობის ტყავის სიგელი, ბოძებული გელათის საყდრისადმი. სიგელის ტექსტი უკვე დაბეჭდილია (ს. კ ა კ ბ., იქვე, 3—6). მასვე ეკუთვნის ორი სასიხლო სიგელი, მიცემული ერთსა და იმავე 1432 წ., პირველი—კოტრიძეთა და მეორე—გურალიძეთა (ს. კ ა კ ბ., დასახელ. შრ.) საყურადღებოა, რომ კოტრიძეთა სიგელში ვახტანგი იწოდება გორგასლადაც („მოვიდნეს ბატონის მეფეთმეფის ვახტანგ გორგასლის წინაშე“, იქვე, 10). როგორც უკვე დადასტურებულია (ს. კ ა კ ბ., დასახელ. შრ. და კიდევ—კვლევა-ძიებანი 3—6, ბაგრატი მეფე—მე-15 საუკ. რაჭა-არგვეთის მფლობელი), ხსენე-

\*) დედანში: „ყოველისავე მჯდომარემან ჰრანთა ლომრად აზნაურო შამომღებლო ინდიკორსა. სიგელის კოპიოში ყველგან რბილი უ-ს ნაცვლად წარმოდგენილია ვ, რომელსაც ჩვენ არ ვიცავთ. სიგელის ტექსტის ბოლოში სიტყვების „მეფ(ობ)ისა ჩვენისასა“ შემდეგ მოთავსებულია ნუსხა ზუცურის დავარ ასოებით: „სჟდ“, რაც სიგელის ძველი დროსვე აღნუსხვის მაჩვენებელი შიფრი უნდა იყოს. ფრჩხილებში მოთავსებულია ნაკლულევანი აღდგენილი ადგილები, რომელიც კოპიოში არაა წარმოდგენილი.

ბული ვახტანგ, გორგასალად წოდებული, იყო მემკვიდრე ბაგრატ აფხაზ-იმერეთის მეფისა, მეფობდა, როგორც მოხსენებულ სასისხლო სიგელებიდან სჩანს, 1432 წლის ახლოს და გარდაიცვალა 1445 წ. მას შეუღლა ძმა მისი გიორგი, მამა ბაგრატ აფხაზ-იმერეთის მეფისა (1455—1478 წ.). ვახტანგს ყავდა შვილი ბაგრატი, რომელიც აგრეთვე მეფედ იხსენიება მის მიერ 1446 წ. მიცემულს სიგელში (ს. კაკაბ., ბაგრატ—მე-15 საუკ. რაქა-არგვ. მფლობ.). ასათიანების ზემოდ მოყვანილა სიგელი ადასტურებს ვახტანგ მეფის ვინაობას და ამავე დროს იძლევა კიდევ ერთს. საყურადღებო ცნობას. სახელდობრ ასათიანების სიგელში დასახელებულია ვახტანგ გორგასლის ცოლი თამარ დედოფალი. შესაძლებელია ეს თამარი სწორედ ის პირი იყოს, რომელიც მეფის ხარისხით ცნობილია იაკობიძეთა 1433 წელს მიცემულს სიგელში (საქ. სიძვ. II, 372—374, ს. კაკაბ., უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ II). საყურადღებოა, რომ სამეფო ტიტულატურითაც 1433 წელს თამარ მეფის მიერ მიცემული იაკობიძეთა სიგელი თვალსაჩინოდ უდგება ასათიანთა სიგელს. სახელდობრ თამარი ამ სიგელში თავისს თავს უწოდებს: „ჩუენ აფხაზთა, ჯიქთა, სუანთა და მეგრეთა, კახთა და სომეხთა, ლიხთიმერისა და ლიხთამერისა, ორისავე საკელმწიფოსა მპყრობელმან მეფეთა მეფემან თამარ“... ეს გარემოება ყოველს შემთხვევაში ადასტურებს მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზ-იმერეთის სამეფო კანცელარიებში შემოღებულ სიგელის თავისებურ ფორმას და ასეთსავე თავისებურს, შედარებით წინა ხანასთან, სამეფო ტიტულატურას. რასაკვირველია, თვით საკითხი 1433 წ. მოხსენებულ თამარ მეფის ვინაობის შესახებ კიდევ მოითხოვს ახალი საბუთების მოპოვებას, მაგრამ ფაქტები ხსენებულ თამარ მეფის სახელის შეხვედრისა ამავე ხანებში მეფედ ცნობილ ვახტანგ გორგასალის ცოლის სახელთან ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული.

ასათიანების სასისხლო სიგელი ინტერესს იწვევს კიდევ სისხლის რაოდენობის თავისებური განსაზღვრით ფულის ნაცვლად მეკომურ გლეხთა რიცხვის ჩვენებით. ერთგვარ პარალელს ამ მხრივ შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ვახტანგ გორგასალის მიერ კოტრიძეებისადმი მიცემული სასისხლო სიგელი, რომლის მიხედვითაც სისხლი გარდახდილი იქმნა ნატურით—გლეხებით, ცხენით და სხვადასხვა ნივთებით.

V. სასისხლო სიგელი ელიოზისძის სახელზე, მიცემული ბაგრატ აფხაზ-იმერეთის მეფის მიერ 1457 წელს. ამ სიგელის მხოლოდ პირმა მოაღწია ჩვენამდის. ეს პირი, მე-19 საუკუნეში ძლიერ ცუდად გადაწერილი, წ. კ. ს. წიგნთსაცავის ერთ-ერთ ხელნაწერ-კრებულში არის დაცული. დედანი, როგორც ამავე კრებულში მოთავსებულ ცნობიდან სჩანს, დაწერილი ყოფილა ტყავზე სიგრძით 3—4 არშინი. თავში და-



ხატული ყოფილა მეფის სურათი: სამეფო ტანისამოსით: სურათს: ქონია ასომთავრული წარწერა წითურად: მეფეთამფე: ბ' გ' რ' ტ'. სიგელის პირი, როგორც მოვიხსენიეთ, ძლიერ გადამახინჯებულა. ეტყობა გადამწერი ვერ არჩევდა ძველი დედნის ხელს.

(ქ.) ზეგარდამო სიწმიდისა და ნელისაცხებელითა განბანელ (?) განმწმედლომა ღთავ გუირგუინოსანჲა მეფეთა მეფემან ბაგრატ ღთისაგან დამყარებულმან და ღთისაგან შეწყალებულმან იესიან დავითიან ბაგრატუ(ნიან)მან ძემან გიორგისამან, ძლიერმან<sup>1</sup> და უძლეველმან<sup>1</sup> აღმა[ტებულმან]-- აღჭურვილმან, ამშვენებულისა სოწმინდისა მეფ[ობ]ისა მცველმან<sup>1</sup> ნებითა ღთისათა ჯიქთა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, შანშე, შარვანშე ვიდრე აღმოსავლეთით დასავლეთამდის საქართველოსა ჩრდილოეთისა ღობითმერისა ტახტისა კელმწიფედ მპყრობელ[ობ]ითა მპყრობელმან, მოვიდეს წინაშე ჩუენსა მცხეთის შვილნი ჩუენი ერთგულათ ნამსახურნი, დაგვეაჯნეს და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე სასისხლო სიგელი თქუენ ელიოზისძესჲ სეფიშვილსა მამისთვალსა და შენსა ძმასა სეფისა<sup>2</sup>, ისრაელსა და თქუენთა შვილთა შამოელსა, ისხაკასა, მოშიასა, ყაზნიასა, მამიასა, (ი)ბრაიმსა, შალომასა, დავითს და მიხელასა, მომავალთა სახლისა თქუენისა(თა) ყოველთავე. შეგიწყალეთ და გიბოძეთ სასისხლო სიგელი მოკითხული ვქენით ჩუენ მათისა საქმისა და გვარისა და პირველადცა შეწყალებულნი იყუნეს, ჩუენის წინაპართაგან მამათაგან შეწყალებისა ბოძებული მცხეთის შვილობისა სასისხლო სიგელი მოიხუნეს ძველი. ჩუენ კიდევ შევიწყალეთ და გაუახლეთ. ამას იქითა თუ ოდესმცა კადრებულა უბრალოსა (კაცისა) კლევა, სისხლისა ღურა და თუ ვისმე<sup>3</sup> სოფლისა სირეგუნითა და ეშმაკის მანქანებისაგან თქუენის გუარის კაცი შეაკუდეს, აზნაურსჲ და გინდა ვინმე თავადსა და ანუ<sup>4</sup> გლენსა და ანუ<sup>4</sup> უზენაესსა და გინა უქვენაესსა, როგორც ძველადც გქონდათ გაჩენილი სიგელი მცხეთის შვილობისა წესად<sup>5</sup>, მამაპაპათა ჩუენთაგან იყო გაჩენილი და აწა ჩუენა გაგიჩინეთ ექუსასი ათასი კირმანეული<sup>6</sup> თეთრი, ჩუენცა ახლათ კიდევ გაგიახლეთ ამა რიგითა და დაგიმტკიცეთ ექუსასი ათასი თეთრი როგორც ჩუენსა გაჩენილსა მართებს, ეგრე დაგეურვოს მცხეთის შვილობისა და მეფეთა საფლავისა წესითა სისხლი ექუსასი ათასი თეთრი სანახშიროს (და) საგერშოს გარეთ თქუენ თითინასძეთა მამისთვალსა, სეფისა, ისრაელსა და თქუენთა შვილთა შამოელსა, ისხაკასა და ყაზნაგასა (sic), მოშიასა, მამიასა, იბრაიმსა, შალომასა, დავითსა, ხელსა და თქუენთა მომავალთა ყოველთავე. გქონდეს ბ... და სიგელი ესე სასისხლო როგორც ჩუენგან გაჩენილსა მართებს...

113  
113  
113  
113  
113

ექუსასი ათასი თეთრი დაგეურვოს სანახშიროსა და საგერშოსა გა-  
რეთა და ვინცა ზედა მოგიხდეს, ნახევარი სისხლი დაგეურვოს და  
ვინცა გაგაუპატიოს<sup>7</sup>, მეექუსედი სისხლი დაგეურვოს და ვინცა მუ-  
ქარა დაგიგ[დ]ოს [ოც?] და ათი (?) ათასი თეთრი დაგეურვოს. ვინცა  
უბრალოთ დარბაზსა შეგასმინოს<sup>8</sup>, ნახევარი სისხლი დაგეურვოს  
და ვინცა ჯოგი გაგიტეხოს, მეშვიდედი სისხლი დაგეურვოს და  
ვინცა ნახირი და ცხვარი გაგიტეხოს, ისევე დაგეურვოს და ვინ-  
ცა და[გ]კოდოს და საჩინოსა ალაგსა დაღი გაჩნდეს, მეშვიდედი  
სისხლი დაგიურვოს და მარჯვენა კელი მოგკვეთოს, სამი  
ჩარქვი სისხლი დაგიურვოს და ვინც მარცხენა (ხელი) მო(გ)-  
კვეთოს, ნახევარი სისხლი დაგიურვოს და ვინცა კბილი ჩა-  
გაგდებინოს მეშვიდედი სისხლი დაგიურვოს და ვინცა უომარი<sup>9</sup>  
შვილი გიცეს, თორმეტი ათასი დაგიურვოს და ვინცა სეფექალი  
მოგიტყნას, მეექუსედი სისხლი დაგიურვოს და ვინც გიცეს, თორ-  
მეტი ათასი თეთრი დაგიურვოს და ვინცა ეკლესია გაგიტეხოს,  
სრული სისხლი დაგიურვოს და ანუ ეკლესიის გატეხა შემოედვას<sup>10</sup>,  
უბრალოსა ნახევარი სისხლი დაგიურვოს და ვინც ყური მოგკუე-  
თოს, ოცი ათასი თეთრი დაგიურვოს. ვინც თვალი წამოგიდოს,  
ნახევარი სისხლი დაგიურვოს. ვინც ცხვირი მოგკუეთოს, ისევე  
დაგიურვოს და ვინც ცერი ანუ სალოკი მოგკუეთოს, იგივე ნა-  
ხევარი სისხლი დაგიურვოს და ვინც ცოლი მოგიტყნას და დააგ-  
დო, ნახევარი სისხლი დაგიურვოს და თუ არ დაადო, მეოთხედი  
სისხლი დაგიურვოს. ეს გაგიჩინეთ ჩუენს ერთგულათ სამსახურსა  
შაგან. აწჳ ვინცა ნახოთ ჩუენის მომავალთა მეფეთა და დედო-  
ფალთა, კარისა ჩუენისა ვეზირნო და მოურავნო და ერისთავთ  
ერისთავნო და<sup>11</sup> ამირსპასალარო, დიდებულ აზნაურნო, მსაჩხურ-  
ნო], ქუეშეთა კელისა მქონებელთა, კარითა ჩუენითა წარვლენი-  
ლთა მოსამსახურეთა, მეტკბილე მეკულუხეთა, პურისა და ხარ-  
ჯისა მკრეფელთა, ძროხისა და საკლავისა მკრეფელთა<sup>12</sup> და ლა-  
შქრისა გამოწვევაზე<sup>13</sup> მემალეთა (sic) და მერმე მეჯინიბეთა, ყო-  
ველთავე საქმის მომქმედთა, დიდთა და პატარებთა, უზედანსთა  
და უქვეანსთა და ბრძანებისა ჩუენისა მორჩილთა, დაუმტკი-  
ცეთ და ნუ ვინ უშლით და არცა ვინ გუიბრძანებია, მშლე-  
ლი და მაქცეველი ბრძანებისა ამის ჩუენისა, (არცა) მეუნებლმე მავნე-  
ბელი და დამაკლემელი თუინიერ თანამდგომისა კიდე (და) თქუენ წმე-  
დანო რჯულისა მადიდებელნო, აფხაზეთისა და ქართლისა კათა-  
ლიკოზნო, ყოველთავე მღუდელთმოდღუარნო, ვინც თქუენ(ი)  
საქმე მცხეთის წესითა არ და(გ)ი(უ)რვოს, ამა<sup>14</sup> წიგნი(თ) და გა-  
ჩენილი(თ) დაგიურვონ მცხეთის შვილობის წესითა, თქუენი საქ-

მე და დასაურვებელი ესე მტკიცე გაჩენილი გაგითავდეს, ბრძანება(და) წიგნი გუიბრძანებია და გიბღღნიეროს ლ'თმან. დი-წერა სიგელი ესე ინდიკტიონსა შეფობისა ჩუენისასა ქ'ქნსა რმე აპრილის პირველსა, კარისა ჩუენისა მწიგნობარისა ჰაჰაშვილის მურედლის ზელით(ა). ხვეუდად: ბაგრატ ვამტკიცებ\*).

სიგელი გადმოწერილი ყოფილა, როგორც ამ სიგელის შემცველ კრებულში მოხსენებულ ცნობიდან სჩანს, ცხინვალის ბოქაულის იოს. მიქაძის მიერ 1870 წ. მიქაძე ამასთანავე უმატებს, რომ აზნაური ელიოზიშვილ[-აბიათარიშვილები] ცხოვრობენ სოფ. დღვრისში და ცხინვალში, ხოლო ებრაელები მამისთვალაშვილები—სოფ. ცხინვალშია. ორივე გვარი თავისს თავს სთვლიდა ებრაელ ელიოზისაგან წარმომდგარად. სიგელის მეპატრონე ელიოზისძეები, როგორც მათი სახელებიდან სჩანს, პირველად ისრაელები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სიგელში სისხლი დადებულია, სხვათა შორის, ეკლესიის გატეხისთვისაც, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ელიოზისძეები მეფის მიერ სიგელის მიცემისას უკვე ქრისტიანები უნდა ყოფილიყვნენ. ამ შემთხვევაში ჩვენ გვეჩნებოდა ფაქტი, ახლად გაქრისტიანებულ ისრაელთათვის ალბად აზნაურობაში დამტკიცებით, სასისხლო სიგელის მიცემისა.

სიგელი მიცემულია 1457 წ. მეფის ბაგრატ გიორგის ძის მიერ. კიგელი ადასტურებს ლიტერატურაში უკვე აღნიშნულ ფაქტს (ს. საკაბ., გენეალოგია ბაგრატ VI აფხაზთა მეფისა, ტფ. 1912 წ.), რომ ბაგრატის მამას ერქვა გიორგი. ამ გარემოებას აქვს, რასაკვირველია, მე-15 საუკ. არა მარტო საქართველოს მეფეთა გენეალოგიისთვის, არამედ პოლიტიკურ ისტორიის ზოგიერთ საკითხების გასარკვევად თავისი ნიშნენლობა. თუ ელიოზისძეთა გვარი, როგორც ეს ი. მიქაძის მიერ ჩაწერილ და ზემოდ მოყვანილ ცნობიდან სჩანს, ცხინვალის რაიონში ბინადრობდა მე-15 საუკუნეშიდაც, მაშინ ბაგრატ მეფის აფხაზთა სამეფო დინასტიის წევრობის მხედველობაში მიღებით, ვაშულობთ ახალს დადასტურებას იმ ფაქტისას; რომ მე-15 საუკუნეში და მე-16 საუკ. პირველ ნახევარშიდაც ქართლის დასავლ. ნაწილი აფხაზ-იმერეთის დინასტიის მფლობელობაში მყოფ ტერიტორიას მიეკუთვნებოდა.

VI ქუთაისის არქივში დაშლილ საქმეებს შორის (საქმე № 30) აღმოჩნდა მე-19 საუკ. ნახევარში გადაწერილი პირი ძველი სიგელისა. სიგელი წარდგენილი ყოფილა მალნარაძეების მიერ აზნაურობის დაამტკიცებლად, მაგრამ თვით ასლს სიგელისას მე არქივში ვერ შევხვდით. შესაძლებელია არქივის დეტალურად გადასინჯვის შემდეგ აღმოჩნ-

\* კომიოში (ნაჩვენებია მხოლოდ მთავარი დამახინჯებანი): <sup>1</sup>ძლიერისა <sup>2</sup>რეთიასა <sup>3</sup>თორიადამ <sup>4</sup>ასულ <sup>5</sup>წესედ <sup>6</sup>მარარ... რმნე... <sup>7</sup>გაგავიპატიოს <sup>8</sup>შენვასა მინ <sup>9</sup>ხვისი <sup>10</sup>შემადევას <sup>11</sup>და ტურა <sup>12</sup>ამუვანელთა <sup>13</sup>გამოწივებაზე <sup>14</sup>ესე.



დეს თვით დედანი. ჯერჯერობით კი ჩვენ ვსარგებლობთ ამ ძლიერ ცუდად შესრულებულ პირით, რომლის აღდგენილი ტექსტი აქვე მოგვყავს.

[ქ] სახელითა სახიერისა<sup>1</sup> ღმრთისათა<sup>2</sup>, მამისა, ძისათა და სულისა წმინდისათა [ჩუენ] იესიან დავითიან ბაგრატოვანმან<sup>3</sup> ნებითა ღმრთისათა<sup>4</sup> აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სვანთა, ბერძენთა, სომეხთა [მეფისა], შანშე და შარვანშე<sup>5</sup>, ყოვლისა აღმოსავლეთისა, დასავლეთისა, ჩრდილოეთისა<sup>6</sup>, ლიხთ იმერისა და ლიხთამერისა ნებითა ღმრთისათა ორთავე საკელმწიფოთა<sup>7</sup> ტახტგვირგვინთა კელმწიფეებითა<sup>8</sup> მფლობელისა მპყრობელისა დიდისა მეფეთმეფისა ღმრთივ გუიერგუინოსნისა<sup>9</sup> დავით მეფისა წინაშე; მოვიდეს ჩუენთანა ჩუენი დიდათ ნამსახურნი თქუენ, საყდრის შვილნი ინლოეთს (?) მოსახლენი მალნარაძენი ივანე და გიორგი, გეგელიას ძისა შვილი<sup>10</sup> ივანე, გუგუაი, მამისთვალა<sup>11</sup>, ესტატე, მუქაფაი<sup>12</sup>, ივანე-ში<sup>13</sup>, ქრისტეშია, ღმრთისავარი, მამისთემნა, კირველიში და უქლემბაი<sup>14</sup>, მიქაი, კაკიაი, კუგალია, გუაგუვინაი<sup>15</sup>, მამაბედი, ივანე<sup>16</sup> გვეაჯენით<sup>17</sup> და ვაჯებინეთ, შეგიწყნარეთ და გიბოძეთ და გაგიჩინეთ და მოვიკითხეთ თქუენი გვარისა იადგარი თქუენით<sup>18</sup> მოკითხული ქუთათის თქუენი ნათესავისა კაცისა იადგარი, წმინდა აზნაურიშვილი გამოვიდა<sup>19</sup> საძოვრითა, სათიბითა, ტყითა, წყლითა, საბალახოთა, ყოველითა ფერითა წმინდა აზნაურიშვილი გავმოვიდა. აწ ჩუენ მეფეთმეფემან დავით<sup>20</sup> თქუენ მალნარაძესა ივანეს, გიორგის, გეგელიას, ივანეს, გუგუვანის, მამისთვალას<sup>21</sup>, ესტატის, მუქაფაის, ვანეშის, მიქაიას, თქუენთა შვილთა და მომავალთა<sup>22</sup> ყოველთავე. [ვინც] ადამის ტომისა ნათესავისა კაცსა თქუენ მალნარაძის ნათესავნი კაცნი შემოაკუტეს<sup>23</sup>, გინა მამა(კა)ცი გინდიაცი შემოაკუდეს, თავი სისხლი გაუჩინეთ ოთხასი ათასი ძველკირმანაული თეთრი დაგეურვოს. მას გარედ სანახშიროდ ოც ათასი თეთრი დაგეურვოს. ვინცა ცოლი წაგიღოს, სისხლისა ნახევარი დაგეურვოს. ვინცა ქალი დაგივდოს, სისხლისა მესამედ დაგეურვოს. ვინცა შინა მოგიხთეს, სრული სისხლი დაგეურვოს<sup>24</sup> ვინცა დაგკოდოს ანუ იარალი დაგასვას, მეექვსედი სისხლი დაგეურვოს. თუ კბილი ჩაგადებინოს, მეშვიდედი სისხლი დაგეურვოს. თუ ანუ ჩინსა ადგილსა გაჩნდეს, მერვე[დი] სისხლი დაგეურვოს. თუ ანუ შვილი წაგივიდეს, მეექვსედი სისხლი დაგეურვოს. თუ ანუ თუ ფეხი დაგიშავდეს, მეოთხედი სისხლი დაგეურვოს. თუ ვინმე სათლავო გაგიტეხოს, სრული სისხლი დაგეურვოს. თუ ვინმე გრძელდება უმეცრად შემოგყივლოს, სისხლისა ნახევარი დაგეურვოს. თუ ანუ ანუ ჯოგი გაგიტეხოს, მეექვსედი სისხლი დაგეურვოს. თუ ვინ

უკაცროვმან კაცმან ნაბანი შეგასვას ანუ გაფიცოს, მართალი დარჩე, ნახევარი სისხლი დაგეურვოს. თუ უსამართლოდ პატრონსა ჩაგასმინოს, მართალი გამოხვიდე, სრული სისხლი დაგეურვოს. თუ ვინმე შინა ყმა ანუ ბაზიერი ანუ მონადირე ანუ სეფექალი ანუ მწყევსი ანუ მენადილე ვინც ეს ავად<sup>24</sup> გაგხადოს, მეცხრედი სისხლი დაგეურვოს. სხვანი ნაკოდნი, ნაძარცენი, ნაგინენი, ნაუპატივები ზემოწერილისა ზედა ანგარიშით მისი<sup>25</sup> წესითა დაგეურვოს. აწი ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულნო, ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნო, თქუენითა ჯვართა თქუენცა აგრე დაუმტკიცეთ, მეფეთმეფეთა, ერისთავთ ერისთავთა, შემდგომთა, თქუენცა აგრე დაუმტკიცეთ. აწ არიან ამისნი მოწამენი ქართლისა ამირეჯიბი, ციციშვილი დავით, ერისთავი აბლაქელიძე გიორგი, ამილახორი<sup>26</sup> ჩხეტიძე ივანე, მებაჯრეთუხუცესი<sup>27</sup> ლოლაბერიძე<sup>28</sup> დავით, ჩიჯავაძე გიორგი, ქილაძე ქუელი, ქილაძე<sup>29</sup> თქულამ ციხისთავი, ეჯიბი აფაქიძე<sup>30</sup>, გოშოძე, ჩუნჩუაბი<sup>31</sup> გავაშელ ამუნასკირი, მოლარეთუხუცესი<sup>32</sup> ქორთოძე, მელვინეთუხუცესი რომანავიძე, ქარხალაძე ივანე, ქოჩაქიძე როსტან, შიქელაძე, ნაფიცხვიძე თანოველ. სხვანი ქართლისა ებისკოპოზნი, დამამტკიცებელი ამა დაწერილისა რომანოზ, ბიჭვინტელი აბრამ, ქყონდიდელი აბრამ, ვეთიმე ცაიშელი, საბა მოქველი<sup>33</sup>, სვიმეონ გელათელი, გელათისა მოძღვართ მოძღვარი. ჩუენ მეფემან დავით გიბოძეთ თქუენ მალნარაძესა ივანეს, გიორგის, გეგელიას ძისა<sup>34</sup> შვილსა ივანეს, გუგულიას, უკლებიას, მიქაილს, ესტატის, მუქაფაის, ხეთისავარის, მამისთემნას, კირველიშის<sup>35</sup>, კაკიალის, ივანეს, გუნგულიას<sup>36</sup>, გუაგინაის, მამაბედის, გუგუნაის, სულამიას, მახუტიას<sup>37</sup>. გიბედნიეროს ღმერთმან. დამწერა [ბრძანება] და სიგელი<sup>38</sup> ესე ნებითა ღმერთისათა, დამიწერია<sup>39</sup> მეფისა მწიგნობარსა ლომინაძესა<sup>40</sup>, მოწამეცა ვარ ნებითა ღმერთისათა \*).

სიგელი ჩვენის აზრით არის საინტერესო სხვათა შორის იმიტო-

\*) დედანში: დიდისა <sup>1</sup>+ჩუენისა <sup>2</sup>ხეთისათა <sup>3</sup>ზაგრატოვან იო (sic). <sup>4</sup>ისიანთა <sup>5</sup>შარვაშთა <sup>6</sup>საჩრდილოეთისა <sup>7</sup>ხელმწიფეთა <sup>8</sup>ხელმწიფებთა <sup>9</sup>გვირგვინოსანმან <sup>10</sup>გეგლაისძისა <sup>11</sup>შვილსა <sup>12</sup>ივანეს <sup>13</sup>გუგულიას <sup>14</sup>მამისთველას <sup>15</sup>მუქაფაძე <sup>16</sup>ივანეშვი <sup>17</sup>უკლაბაძე <sup>18</sup>გვაგუონაძე <sup>19</sup>+თქუენთა <sup>20</sup>შვილთა <sup>21</sup>და მომავალთა <sup>22</sup>თქუენთა. <sup>23</sup>გვიანჯენით <sup>24</sup>თქუენითი <sup>25</sup>+ჯაქვითა <sup>26</sup>დავითი <sup>27</sup>მამისთვენას <sup>28</sup>+შვილთა <sup>29</sup>და მომავალთა <sup>30</sup>შემოაკვჯა <sup>31</sup>დავად <sup>32</sup>+მისი <sup>33</sup>აიულახრი <sup>34</sup>მებაზრეთუხუცესი <sup>35</sup>ღვალაბერიძე <sup>36</sup>ქილაგიძე <sup>37</sup>აფაქიძე <sup>38</sup>ჩუნჩუაბი <sup>39</sup>ვლასუდუხუცესი <sup>40</sup>მოქუელი <sup>41</sup>მიქა <sup>42</sup>პირველის მის <sup>43</sup>გუნგულია <sup>44</sup>სულამია (სიტყვა „მახუტია“ როგორც სჩანს განზე ყოფილა დამატებით მიწერილი) <sup>45</sup>სინგელი <sup>46</sup>მე დამიწერია <sup>47</sup>+მე. ნაცალსახელნი „ჩუენ, თქუენ“ ყველგან ხელნაწერში წარმოდგენილია მართლწერით ჩუენ თქუენ.

მატ, რომ ის შეიცავს ძლიერ საყურადღებო გლოსებს სახელმწიფო წყობილების შესახებ. მაგრამ ჯერ საჭიროა სიგელის დათარიღება. სიგელში მოხსენებული პირნი სახელების მიხედვით უდგებიან თოფურიძეთა ცნობილ სასისხლო სიგელში მოხსენებულ პირთ. თოფურიძეთა სიგელი ჩვენ მიერ გარჩეულ იქმნა „კვლევა-ძიებებში“, გვ. 73—78. ჩვენის აზრით ის დაწერილი უნდა იყოს 178 ქაორონიკონს (1490 წ.). მალნარაძეთა სიგელი, ისე როგორც თოფურიძეთა, ჩამოთვლის ღიბთ-იმერეთის წარჩინებულთ, თუმცა არა ისეთი სისრულით. მალნარაძეთა სიგელი იხსენიებს დავით ციციშვილს, რომელიც თოფურიძეთა სიგელშიც არის ცნობილი. მადნ.—ერისთავი აბლაქელიძე გიორგი, თოფურ.—ერისთავი გიორგი. მადნ.—ნაფიცხვიძე ფანოველ, თოფურ.—ფანოველ ლაფიცხვიძე. ეს გარემოება უკავშირებს მალნარაძეთა სიგელს იმავე ხანას, რომელსაც ეკუთვნის თოფურიძეთა სიგელი ანუ მე-15 საუკ. დასასრულს. მართლაც 1486—1488 წლებში იმერეთი ეჭირა კოსტანტინე ქართლის მეფეს, რომლის უფროსი შვილს ერქვა დავითი. შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ დავით მეფე, მალნარაძეთა სიგელის მიმცემი, იყოს ამ კოსტანტინეს შვილი, რომელიც ალბად მეფის ტიტულით იმერეთის მართველად ყოფილა გამოცხადებული. დავითი მართლაც იხსენიება მეფის ტიტულით 1488 წლის ფრთს, ეხლა უკვე დაღუპულ, ტყავის სიგელში (ს. კაკაბ., სიგელი ქართლ. მეფე კოსტანტინესი 1488 წ.). ამგვარად მალნარაძეთა სიგელის მიმცემი დავითი არის ქართლის მეფის კოსტანტინეს შვილი, იმერეთის მართველი 1486—1488 წლებში მეფის ტიტულით.

სიგელი განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ ერთის მხრივ ადასტურებს თოფურიძეთა სიგელის სინამდვილეს და დათარიღებას მე-15 საუკუნის დასასრულისთვის და მეორეს მხრივ თოფურიძეთა სიგელთან ერთად წარმოგვიდგენს ქართულ დიპლომატიკაში ცალკე მდგარ კანცელარულ ტიპს, რომელიც შემუშავებული ყოფილა ღიბთ-იმერეთის სამეფო კანცელარიაში მე-15 საუკუნის დასასრულისთვის. კერძოდ სახელმწიფო წყობილების შესწავლის თვალსაზრისით. მალნარაძეთა სიგელი ავსებს თოფურიძეთა სიგელის ცნობებს და წარმოგვიდგენს ღიბთ-იმერეთის სათავადო გვარეულობათა დამატებით სახელებს. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ სხვადასხვაობა ზოგ გვარეულობის წარმომადგენლების სახელებისა მადნ. და თოფურ. სიგელებში შეიძლება აიხსნას არა მარტო სიგელების სხვადასხვა დროს დამწერლობით, არამედ უფლების ნიადაგზე ლეგიტიმურ დინასტიასა და ქართლის დინასტიას შორის შეცილების დროს აუცილებელი გადაჯგუფებით როგორც წარჩინებულ თავადთა შორის, ისე საეკლესიო ხელმძღვანელ წრეებში.

VII. საისტ.-საეთნოგრაფიო მუზეუმში ტფილისის დაცულია ალექსანდრე იმერეთის მეფის მიერ 1488 წელს დამტკიცებული თალავანდისშვილის სასისხლო საქმის განაჩენის პირი. პირი დაწერილია ლურჯ ქაღალდზე, როგორც ბოლო მინაწერიდან სჩანს, 1820 წ., როდესაც დედანი საბუთისა წარდგენილი ყოფილა საქართველოს საგუბერნიო სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში. სიგელის ტექსტი იკითხვის შემდეგნაირად:

[ქ] გუირგუინოსანის მეფეთმეფის ალექსანდრესაგან (ი)ესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატიონიანთა ნებითა და შეწვენითა ღთისათა და წარმომართებულო მეფობისა ჩუენისაო წმიდაო სკიპტრა პორფირო და გუირგუინო, მეტებთა და ხახულისა ღთის მშობელო, მეოხებითა თქუენითა აფხაზთა, ქართველთა, ჯიქთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისათა, შანშე, შარვაშთა და ყოველთა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის და ჩრდილოეთისა და ორისავე ტახტის ქართლისა და ლიხთამერისა თვით მტკიცედ ფლობით მპყრობელმან ღთივ გუირგუინოსანმან მეფეთა შორის უმეტეს წარჩინებულმან მეფეთა მეფემან ალექსანდრე და პატრონმან დედამა ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან ელენე და თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონმან დედოფალმან თამარ. მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი ერთგული სანიადაგოდ თავდებით ნამსახურნი და ჩუენისა მორკმისათუის მომპირნენ(ნი) ჩუენი თავადნი თალავანდისშვილნი სიაოშ, ბევროზ, ზვიადი, ბეჟან, ჩიჟან, თალავანდი, რუსი, მზექაბუკ, დავით და ივანე, რათა გვეაჯნეს და ვიჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი, რათამცა შეგვეწყაონეს სიგლითა ამით და მიგვებოძა მტკიცე და უქცეველი სიგელი ესე და შეგიწყალებთ და გიბოძებთ უკუნისამდის გასათავებელი და შეუცვალგებელი, ნას ჟამსა ოდეს მამა თქუენი გაბელიძესა ამირანის ძმას მოეკლა. ამაზდან ჩამოვედით შუა თავად მე პატრონი მეფეთმეფე ალექსანდრე და პატრონი. დადიანგურიელი გიორგი და ჩუენნი დარბაისელნი ამერელნი და ქართველნი და გურიულნი. დიდი საქმე იყო თალავანდისშვილსა და გაბელისძესა შუა. დაგიდვა და მოგცა ჩუენითა საშუალობითა და მისითა ნდომითა გუნებითა მარტომან ამირან, ასე და ამა პირსა ზედან რომე არა რომელი მისი გვარის კაცი იმა მოსაცემშიგან არ შეიყენა ამირან, ესე ჩუენ(ი) მოზავებულ(ობ)ითა და საშუალობითა დაგიდვა და მოგცა მკვიდრად და მოუსარჩლოვად მარტომან ამირან ოქონა მონასტერი და სოფელი სხვითა ეკლესიებითა (sic), გლეხებისითა, საფუძვლითა და სასახლითა, ველითა, ვენახითა, მთითა, სანადიროთა, ბართა, სახნავითა, მინდორით, სათიბითა, ქა(ლა)სასართა, წყლითა, საწის-



ქვილოთა და მისითა სანადიროთა, მისითა შესავლითა და გამო-  
სავლითა, მისითა სამძღვრითა და ყოვლითურთ ერთობილითა და  
გვიბოძებია და შეგიწყალეთ მტკიცე და მოუშლელ შეუცვალე-  
ბე(ლი) ჩუენ პატრონმან მეფეთამეფემან ღთიფ გუირგუინოსანმან  
ალექსანდრე და პატრონმან დედოფალთა დედოფალმან დედამან  
ჩუენმან ელენე და თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონმან დედო-  
ფალმან თამარ თქუენ ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსა-  
ხურთა და ჩუენისა მორკმისა მომჭირნეთა ჩუენსა თავადთა ფა-  
ლავანდისშვილთა სიაოშს, ბევროზს, ზვიადსა, ბეჟანს, ჩიქანსა,  
ფალავანდსა, რუსის, მზექაბუკს, დავითს და ივანეს, შვილთა და  
მომავალთა სახლისა თქუენისათა, მას ჟამსა როდეს გაბელიძესა  
ამირანის ძმასა მამა თქუნი მოეკლა და სხვა ავიცა საქმე დიდი  
მოეხდინა თქუენზედან, ჩამოვედით საშუალოთ მე პატრონი მეფე  
ალექსანდრე და პატრონი დადიანგურიელი გიორგი და ჩუენნი  
დარბაისელნი იმერელნი და ქართველნი და დაგიდვა მარტომან  
ამირან არა რომელი მისი გვარის კაცი არა მიყენა მისისა გვარის  
კაცთა(გან), სასამართლოდ დადვა რაცა მართალმან სამართალმან  
გაგიჩინოს ფალავანდისშვილსა ისრე დაგიურონ სისხლი. მე მა(რ)ტო-  
სა ამირანს ჩემად კერძად მამიცემია მკვიდრად და მოუსარჩლოდ  
ყოვლისა კაცისაგან ოქონა. კულავე მე მეფეთმეფესა ალექსანდრეს  
მიბოძებია ოქონა ნასისხლად მოცემული მარტო ამირანისაგან მო-  
ნასტერი და სოფელი სხვითა ეკკლესიებითა, გლეხნი მისითა სა-  
ფუძვლითა და სასახლითა, მთა მისითა სანადიროთა, ბარი მისითა  
სახნავითა, მინდორი მისითა სათიბითა, ქალა მისითა სასარითა  
და საქიღვითა, წყალი მისითა საწისქვილოთა და სანადიროთა,  
შესავლითა და გამოსავლითა, მისითა ერთობილითა სამძღვრითა  
ყოვლითურთ უკლებად და უცილებელ და მოუ(ს)არჩლოდ ყოვ-  
ლისა ადამიანისა კაცისაგან ვითა ზემოთ დაგვიწერია, (ო)ქონა  
მის(ი)თა ერთობილითა ჰქონდეს ფალავანდისშვილთა ნასისხლად.  
არავინ<sup>1</sup> გუიბრძანებია ამა ჩუენგან დაწერილისა შლა(დ) და ქცევა(დ),  
არასა ჟამსა ცვლისა და შემოსულობისათუის არა ჩუენგან და არა  
შემდგომად ჩუენსა სხუათა მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან  
და თქუენ წმიდანო და მღვდელთ მთავარნო, ქრისტეს მიერ კურთ-  
ხეულნო აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოსნო, უჯვარობით  
დაგვიმტკიცეთ. სხუანო კარისა ჩუენისა წარჩინებულნო, ციხის-  
თავნო, მოლარეთუხუცესნო და მოლარენო, მეაბჯრეთუხუცესნო  
და მეაბჯრენო, მეჯინიბეთ უხუცესო და მეჯინიბენო, მოურავნო  
და კელისუფალნო, ტბილისი და ხარჯის მკრეფელნო, მზა-  
რეულნო, ძროხა საკლავისა მკრეფელნო და სხუანო ყოველნო

კარისა ჩუენისა მოხელენო და წარჩინებულნო, ნუ ვინ იკადრეთთ ბრძანებულსა ამას ჩუენსა შლასა და ქცევასა, თქუენცა ნება დაურთეთ ჩუენგან დამტკიცებულსა ამას სიგელსა. ამისნი მოწამენი<sup>3</sup> არიან და შუა დაძხდურნი არიან პატრონი დადიანგურიელი გიორგი, ქუთათელ მთავარებისკოპოსი ბართლომე, ჭილაძე ლიპარი, რაჭისა ერისთავი ჩხეტიძე ივანე და მისი ძმა კახ(ა)ბერი და აბესალომ ჩიჭავაძე საზვერელი და ვამიყ, ციხისთავი ლოლაბერიძე ესტატე, ჩხეტიძე ამილახორი სანასარ, მოლარეთუხუცესი მხეციძე სარგის, სახლისუხუცესი აფხაქელიძე ივანე, ინასარიძე აბესალომ, გურიულნი ბერიძე, მაჭუტაძე, მახაძე, ლაშხიშვილი<sup>4</sup> ზაზაი, კუჭეიძე სიაოშ, ჯაფარიძე შანშე და ქველი, საწოლის მწიგნობარი არიშიძე სიაოშ, გარაყანიძე ხელო, ჩხეტიძენი ვახტანგ და აბესალომ, ა[ბა]შიძე თაყა და აბაში, წერეთელი განონაი, ქავთარაძე როსტევეან, მიქელაძე ყერგძელი (sic), დიდებული ზვიადი, იაშვილი ბეჟან და სრულად ჩუენნი დარბაისელნი იმერელნი დიდნი და ცოტანი ამისნი მოწამენი თავდებნი<sup>6</sup> და შუადაძხდომნი არიან. დაიწერა სიგელი ბრძანება ესე ჩუენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა სამსა ქორონიკონსა ასსამოცდა თექვსმეტსა თვესა ივლისსა ერთსა ქუთათის დღესა იარშათასა\*).

ხვეუჯი ხელის მოწერა.

სიგელი არის მრავალ მხრივ საყურადღებო. უპირველეს ყოვლისა ის არკვევს ისტორიულ ფაქტებს. ამ მხრივ, სხვათა შორის, საყურადღებოა სიგელის თარიღი ალექსანდრე იმერთა მეფის ინდიქტიონის ჩვენებით. სიგელი მიცემულია 1488 წ. 1 ივლისს ალექსანდრეს მეფობის მესამე ინდიქტიონს. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ 1488 წ. 1 ივლისი მოდიოდა სამშაბათს და არა ორშაბათს, როგორც ეს სიგელშია აღნიშნულია, მაგრამ ეს შემთხვევითი ხასიათის შეცდომა რასაკვირველია

\*) დედანში: ჰარავის არავის (sic) ჰიკადრეთთ<sup>3</sup> და ჰლშრშვილი. მართლწერა დაცულია, მხოლოდ სიტყვებში გვირგვინი, ჩვენნი, სხვა, თქვენნი ვ შეცვლილა რბილ უ-დ.

სიგელის კოპიოს ბოლოში მისდევს შემდეგი მინაწერი:

Сія копія съ подлиннымъ документомъ верно въ томъ за подписомъ дворянскаго собранія и съ приложеніемъ печати князю Палавандову выдана декабря дня 1820 года

ლუბერნიის მარშალი მუხრანის ბატონი კოსტანტინე გორის უეზდის კეთილშობილთ დეპუტატი თა მირვანო ერისთავი ტფილისის კეთილშობილთ დეპუტატი გიორგი თა ორბელიანი თელავის უეზდის დეპუტატი თაი ქობულოვი სიღნახის უეზდის კეთილშობილთ დეპუტატი თა ინე ანდრონიკოვი. ბოლოში დასმულია სათავად-აზნაურო საკრებულოს ლუქის ბეჟედი.



წერილობის წარმოდგენს. რადგანაც 1495 წ. ალექსანდრე მეფის მე-12 ინდიკტიონი იყო (ქრონიკ. II, 311), ამიტომ საფიქრებელია, რომ ფალავანდიშვილის ზემოდ მოყვანილ სასისხლო სიგელში 1488 წ. მოხსენებული უნდა იყოს ამავე მეფის სრული ინდიკტიონი. გამოთქმა „ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა სამსა“ თითქოს ამას ადასტურებს. სიგელს ამიტომ აქვს ის მნიშვნელობა, რომ ამ განმარტების მიხედვით ალექსანდრეს ვამეფებას ადასტურებს, თანახმად ქრონიკულ ცნობებისა; 1484 წლისთვის და სახელდობრ ამ წლის მეორე ნახევრისთვის. ალექსანდრეს ქუთაისის ტახტზე წინაუსწრობდა ბიძა მისი კოსტანტინე, ძმა ბაგრატ აფხაზ-ქართველთა მეფისა (†1478 წ.). მეფეების თანდათანობა ქუთაისის ტახტზე შემდეგის რიგით — ბაგრატ (†1478 წ.), კოსტანტინე (1478—1484 წ.) და 1484 წლიდან ალექსანდრე (†1510 წ.) ამით საბოლოოდ დასტურდება (შეად. ს. კაკაბ., კოსტანტინე VI, უცნობი აფხაზთა მეფე, ტფ. 1912 წ.).

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ვახუშტის მიერ დაცულ ქრონიკული ცნობით 1487 წელს (175 ქორონიკონს) ლიხთ-იმერეთი დაიპყირა კოსტანტინე ქართლის მეფემ. ამავე ქრონიკული ცნობით იმერეთის ტახტი ალექსანდრემ კვლავ დაიბრუნა 1489 წელს (177 ქორონიკონს). ფალავანდიშვილების სასისხლო სიგელს აქ ამ თარიღებში შეაქვს შესწორება. როგორც სჩანს, 1488 წ. ივლისში ალექსანდრე ისევ იმერეთის მეფედ ყოფილა. უნდა ითქვას, რომ, როგორც უკვე ნახვევები იყო (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი, 17—21), ეს ცნობები ვახუშტის ამოღებული უნდა ჰქონდეს იმერული ძველი გარიგების წიგნიდან, სადაც ქრონიკული ცნობები უმეტესად წარმოდგენილია 1—2 წლის შეცდომით. შესაძლებელია ამიტომ, რომ კოსტანტინეს მიერ იმერეთის დაქვემდებარეობა არა 1487 წელს, არამედ 1486 წელს და ალექსანდრეს მიერ კვლავ იმერეთის ტახტის დაბრუნება 1488 წ..

სიგელი შეიცავს მთელს სიას მე-15 საუკ. დასასრულის წარჩინებულ პირებისას. თვით სიგელის მეპატრონეთაგან ფალავანდი და ზვიადი ფალავანდიშვილნი მოხსენებულნი არიან სვანების მიერ ჯაფარიძეებისადმი მიცემულს ცნობილ სასისხლო სიგელში, რომელიც ჩემის აზრით მიცემული უნდა იყოს ალექსანდრე იმერთა მეფის მიერვე 191 ქორონიკონს — 1503 წ. (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი, 77, თვით ამ სიგელის ტექსტი იხ. ს. კაკაბ., წერილ. და მასალები საქართ. ისტორიისათვის, 126—131, სადაც ის შეცდომით არის დათარიღებული რკო ქორონიკონით ნაცვლად რვა — 1503 წ.). ფალავანდი ფალავანდიშვილი 1495 წ. იხსენიება გელათის სიგელის დამწერად. სვანების მიერ ჯაფარიძეებისადმი მიცემული სასისხლო სიგელიც ამავე ფალავანდის დაწერილი ყოფილა. ცხადია ის ყოფილა ალექსანდრე მეფის ერთ-ერთი მწიგნო-

ბარბ. სიაოშ ფალავანდიშვილი შიოშის სახელით იხსენიება 1490 წ. მიცემულს თოფურიძეთა სასისხლო სიგელში (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი, 74).

დიდად საყურადღებოა ფალავანდიშვილების სასიხლო სიგელში დადიან-გურიელის გიორგის მოხსენება. ამ გიორგის სამფლობელოს, როგორც ეტყობა, მხოლოდ გურია შეადგენდა, ამას უნდა გვიჩვენებდეს სიგელში „გურიულ“ წარჩინებულ პირთა ჩამოთვლა, მაშინ როდესაც ოდიშიდან არც ერთი პირი არაა დასახელებული. მართლაც ვახუშტის მიერ დაცულ ქრონიკული ცნობით, რომელიც შეიძლება იმერული ძველი გარიგების წიგნიდან არის ამოღებული, ცნობილია, რომ 1483 წ. გარდაიცვალა კახაბერ გურიელი და მას შეუდგა შვილი მისი გიორგი. თუმცა ამ გენეალოგიურ ცნობის შეჯერება ჯერჯერობით ძნელია, მაინც ძლიერ საყურადღებოა, რომ ფალავანდიშვილთა სასიხლო სიგელი არსებითად ადასტურებს გურიის მთავრის ვინაობას 1488 წ. სახელის მხრივ, ძლიერ საინტერესოა გიორგის მოხსენება სიგელში დადიან-გურიელად მიუხედავად იმისა, რომ მის ფაქტიურ მფლობელობაში მხოლოდ გურია იყო. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გახსენებულ იქმნას საქართველოს მეფის გიორგის მიერ 1483 წ. მიცემული ორალელისძეთა-კვიტასშვილთა სასიხლო სიგელი, რომელშიდაც მოხსენებული არიან დადიანი ლიპარიტ და ძე მისი გურიელი მამია (საქ. სიძვ. III, 426). ამ ფრიად მნიშვნელოვან ცნობის გათვალისწინებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში გურიის მფლობელად გამხდრა დადიანის სახლის ერთი შტო, რის დადასტურებას ჩვენ ვბოულობთ 1488 წ. გურიის მთავრის გიორგის დადიან-გურიელად მოხსენებით. ინტერესს არ არის მოკლებული ის გარემოებაც, რომ მე-15 საუკუნეში გურიელებს სამკვიდრო სოფლები ქონიათ ოდიშში, რაც მტკიცდება როსტომ გურიელის მიერ ოდიშში სოფელ ხიბულას პიჭვინტისადმი შეწირულობის ფაქტით (ს. კაკაბ., დასავლ. საქართ. საეკლ. საბ. I, 16). ყველაფერი ეს უნდა გვიჩვენებდეს გურიის სამთავრო სახლის წარმომავლობას მე-15 საუკ. მეორე ნახევრიდან ოდიშის დადიანთა სახლისაგან.

ფალავანდიშვილების სასიხლო სიგელი იხსენიებს სხვა ისტორიულ პირებსაც. კილამე ლიპარი ცნობილია 1513 წელს გელათისადმი მიცემულს ერთს სიგელში (ს. კაკაბ., დას. საქართ. საეკლ. საბ. I, 5). ჩხეტიძე ივანე იხსენიება, მხოლოდ უკვე არა როგორც ერისთავი, ზემოდ დაბეჭდილ დავით მეფის მიერ 1486—1488 წლებში მიცემულ მალნარაძეთა სასიხლო სიგელში. საინტერესოა, რომ მაშინ როდესაც დავით მეფე 1486—1488 წლებში ერისთავად გიორგი აბლაქელიძეს იხსენიებს, 1488 წ. რაჭის ერისთავად უკვე გიორგი ჩხეტიძე არის

მოხსენებული. სხვადასხვა გვარის პირთა ცვალებადობა ამ მაღალ თანამდებობაზე ცხადად გამოხატავს პოლიტიკურ მდგომარეობის მერყეობას იმერეთში მე-1480 წლებში სამეფო ტახტის გარეშემო ატეხილ ცილობის გამო. ჩხეტიძე გიორგი ერისთავად არის მოხსენებული 1490 წელს თოფურძეთა სასისხლო სიგელში (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი, 74).

სიგელში მოხსენებულია აგრეთვე მოლარეთუხუცესი სარგის მხეციძე. ეს პირი წყაროებში კარგად არის ცნობილი. ქრონიკული ცნობით ის მოკვდა 1531 წელს (Chronique Géorg., 5). ცოლი მისი იყო „მეფეთა მეფის ბაგრატის დისწული, ამილახორისა ზედგინიძისა ამირინდოს ასული ელენე“ (ქრონიკ. II, 354). აქ მოხსენებული ბაგრატი არის გიორგის ძე († 1478 წ.), ზედგინიძე ამირინდო მოხსენებულია როგორც თავისი სახლის უმცროსი წევრი ჯერ კიდევ 1453 წ. (ქრონიკ. II, 267).

სიგელი საყურადღებოა კიდევ იმით, რომ საბოლოოდ ადასტურებს ეხლა უკვე კარგად ცნობილ ფაქტს, რომ მე-15 საუკუნეში ქუთაისის სამეფო დინასტიას ემორჩილებოდა შიდა-ქართლის დასავლეთი ნაწილი. ამას ამტკიცებს ფალავანდიშვილებისადმი ოქონის მონასტრის და მისი შესავალი მამულის და გლეხების სასისხლოდ დამტკიცება იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ. ეს გარემოება, ეხლა უკვე როგორც ზემოდაც (გვ. 19) ნაჩვენები იყო, საკმაოდ გამორკვეული, მტკიცდება კიდევ ერთი საბუთით, რომელიც თავის თავადაც ძლიერ საინტერესოა და ამიტომ ყოველ შემთხვევისათვის აქვე მოგვყავს. ამ საბუთის პირი, 1905 წ. პოლიევქტო კარბელაშვილის მიერ დედნიდან გადმოწერილი, ამ ეჟად დატულია მთავარარქივში. ნიშნად საბუთში ყოველ სიტყვის შემდეგ ორი წერტილი იხმარება.

ქ. ნებითა და შეწვენითა ლთისათა ჩუენ ლთივ გვირგვინოსანის მეფეთმეფის ბაგრატისგან, ძმათ(ა) ჩუენთა პატრონის ვახტანგისგან და პატრონის გიორგისგან, აფხაზთ(ა), ქართველთ(ა), რანთა, კახთ(ა), სომეხთ(ა), შანშე და შარვანშე და ყოვლის აღმოსავლეთის ვიდრე დასავლეთამდის, ლიხთიმერის და ლიხთამერის, ორისვე სამეფოს ტახტის თვით მტკიცედ ფლობით მპყრობელმან, მოვიდა ჩუენი და ჩუენზედან დიდად ვალდებული თავადთა შიგან საჩინო ფანასკერტელი ზაქარია, ციცი, თაყა და მათნი ძმანი და დაგვეაჯნეს. ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი და როგორც მათს ვალდებულობას ვემართლებოდით და ჩუენზედან ობლობას და მათგან ნამსახურს და გვერც მოდგომას და მიუბოძეთ რუვის თვალთაშვილი მისით მამულით მომატებულით და მკვიდრითა, გივიაშვილები სრულიად მისით მამულით, სამივე განაყოფით, ზერის ბოლოს

ნაზერევი ხუთის. დღის მიწა და წინუბანს ოთხმოცდათხუთმეტის დღის მიწა, სხვა სახასოსგან ტინის კიდი თავქალაშვილის სეჟული ბახჩიაშვილი და მისნი<sup>1</sup> განაყოფნი, მკერველისშვილნი მისით მამულით, წყლით და წისქვილით, ველით და ვენაკითა, ქალითა და სათიბითა, შესავლით და გამოსავლითა, ყოვლითურთ მისით სამართლიანითა უნაკლულოდ და სრულიად მოგვიცემია და ვერვინ იყოს მოცილე თქვენი ვერა ნეფენი (sic) და ვერა დედოფალნი, ვერა უზედაესნი და ვერა უქვედაესნი, მტკიცე და შეუცვალეგელი სიგელი ესე ოდენ არის. ვისაც სხვას ამისი ოდენ სიგელი ქონდეს, ყველა ამით გავვიცუდებია, ამაღ რომე ობლობაშიგან დიდი ვალი დაგვდევით და მოგვეკმარენით. აწე თქვენის ვალის და სამსახურის სამუქფოდა<sup>2</sup> ესე ოდენ მამულნი მოგახსენეთ, ასრე რომე სამეფო კელი ერთის მალის მელის მეტი არა შევიდესრა და ვერცვინ მიუდგეს კარზედან. რომე ბაზიარს ქორი უკვდებოდეს შიმშილითა, არა ძალქონდეს თხოვად და კარზედან მიდგომად მათად, ასრე ამომიკვეთია სამეფო კელი, არასთანა არა ეთხოვებოდეს. დაიწერა სიგელი ესე ინდიკტიონს მეფობისა ჩუენისასა ქორონიკონს რჰთი თვეს სეკდენბერს ათხუთმეტს.\*).

ხეუჯი ხელისმოწერა.

ეს წყალობის წიგნი მიცემული უნდა იყოს ბაგრატ იმერეთის მეფის მიერ 1511 წ. (ქორონიკონი რჰთი აღბად ნამდვილად უნდა იკითხებოდეს რჰთი). ბაგრატი მისი მამის ალექსანდრე იმერთა მეფის სიკვდილის შემდეგ 1510 წ. დარჩა 15 წლის, ასე რომ ის ამ დროს თავისს ძმებთან ერთად მართლაც „ობლობას“ განიცდიდა. სიგელი საყურადღებოა იმიტ, რომ ადასტურებს იმერეთის მეფეთა მფლობელობის გავრცელების ფაქტს თვით მე-16 საუკუნის დასაწყისშიდაც ქართლის დასავლეთ ნაწილზე. სიგელი ამასთანავე ადასტურებს ფანასკერტელ-ციციშვილთა იმერეთის სამეფო სახლთან მტკიცე ქვეშევრდომობითი კავშირის ქონას, რაც მტკიცდება სხვა საბუთებითაც, მაგ., თოფურიძეთა სასისხლო სიგელით 1490 წ., რომელშიდაც ალექსანდრე იმერთა მეფის დარბაზის წევრთა შორის მოხსენებულია დავით ციციშვილი (ს. კ ა კ ა ბ., კვლევა-ძიებანი, 74).

უნდა ითქვას ამასთანავე, რომ მე-15 საუკუნეში დასავლეთ ქართლის ტერიტორიაზე ადგილი უნდა ჰქონოდა საზღვრების ერთგვარ მიწევ-მოწევას. ყოველს შემთხვევაში 1467 წელს ფანასკერტელები ჯერ კიდევ ქართლის მეფის მფლობელობას აღიარებენ. ამას ამტკიცებს ერთი სიგელი, რომლის პირი, გადმოწერილი ტფ. სათ.-აზნ. დეპუტატთა საკრებ. არქივიდან, დაცულია ტფ. საისტ.-საეთნ. მუზეუმში. სი-

\*) დედანში: ღდა რანი შესუქმოდა. სხვაფრივ კოპიოს მართლწერა დაცულია



გელი საინტერესოა ფანასკერტელ-ციციშვილთა გვარის ისტორიისთვისა. მისი ტექსტი იკითხვის შემდეგნაირად:

ქ. ჩუენ ლთისაგან შეწყალებულმან და პატივცემულმან იესიან. დავითიან სოლომონიან ბაგრატიონია(ნ)მან პატრონმან კოსტანტინე ესე სიმტკიცე და სიგელი დაგიწერეთ, მოგეცით და მოგახსენეთ თქუენ ჩუენისა ამოდ ყოფისა მეცადე მომჭირნესა და სახლისა ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქუენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბს და ზაქარიას, მას ეამს ოდის ჩუენისა სიყუარულნიათუის შავშეთს თქუენი მკუიდრი მამული დასთმეთ და ჩუენად საერთოგულოდ მოხუედით და ჩუენ მოგაკსენეთ კუედღურეთს ორბოძლისეული მამული რომელი ხოსაშვილსა ბალათარს ჰქონდა, სასახლე, ჭურმარანი და ზუარი მეზურითა, გლეხნი ბარამაშვილი, ჯაბიაშვილი, შულლასძე, შაოტრისძე ესტატა, კოხარტული, ვათაზური, ჭილა ახუსებასძე, ლაფაური მამული, ვირშელაური, მახარაული და ტეტაური, ბოგანო ხაბელაშვილი და ამბოკონაშვილი. კეხისჯუარს მეთევზიშვილი, მათეშვილი ბოლღია, სარგისაშვილი და ხაბიაშვილი მათითა მამულითა და გამოსავლითა. ორბოძლისეული მამული მაშინაც თქუენ გმართებდა, ამად რომე ორბოძლელსა პაპისა თქუენისათუის ელალატა და მისი მამული ნასისხლად მოეცა და განაღამცა თქუენ გქონდა სამკუიდროდ. ამას გარეთ მოგაკსენეთ და დაგიმტკიცეთ სრულ[ლად] მამული ქვაჭურელი, უფლისციხე და კარალეთი მისითა ეკლესიითა, სასახლითა, ჭურმარნითა, გლეხებითა, ველითა, ვენაკითა, წყლითა, წისქულითა, ქვლითა, სათიბითა, ტყითა, სანადირითა, მითა, ბარითა, შესავალ გამოსავალითა და მისითა მიმდგომითა და სამართლიანითა; საძებრითა და უძებრითა ყუელათა, მკუიდრად სამამულოდ საბოლოოდ და უცილებელ უსარჩლელად ყოვლის ადამის ნათესავთაგან, ვითა თქუენისა მკუიდრისა მამულისა სანაცულოსა და ჩუენგან თქუენთუის სამკუიდროდ ბოძებულსა მამულსა მართებს, აგრე ვერავინ დაგეცილოს. თუ ვინ დაგეცილოს, მისი პირი და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ და გქონდეს თქუენ ჩუენსა ერთგულსა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქუენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს; მერაბს და ზაქარიას, შვილისშვილთა და მამავლთა სახლისა თქუენისათა ყოველთა კუედღურეთს ორბოძლისეული თქუენი ნასისხლი რაცა ხოსაშვილსა ბალათარს ანუ კუედღურეთს ჰქონია და ანუ კეხისჯუარს და ამა სიგელშიგა გიწერია სრულად და უკლებად. ამის გარეთ [სრულად] მამული ქვაჭურელი, უფლისციხე და კარალეთი სრულად და უკლებად როგუარცა თქუენსა მკუიდრსა მამულსა მართებს, აგრე კელგეწიფების გასყი-

დ(ვ)ად, გაზითვებად, შეწირვად, თანა შეტანად და რაც ფერად გინდა. არავინ გუიბრძანებია ამისი მოცილედ და მოსარჩლედ, არცა მეუნებელ მავნებელ და დამაკლებელი. კიდევ გუითარხნებია ყოვლისა სათხოვარისა და გამოსაღებისაგან, ასრე რომე საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვბოდეს რა არა დიდი და არა ცოტა და ჩუენი ძოასილი ამა თქუენტა მამულთა შიგა ვერსად შევიდეს და ვერცავენრა საქმე დაიგდოს. ასე ყოველივე ჩუენგან ასრე გაგითავდეს და არას ჟამისა გამოცუულილობისათუის არ მოგეშალოს. გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ. დაიწერა მტკიცე ნიშანი ესე ჩუენი ქნსა: რნე კელითა მდივანმწიგნობრისა თუმანის-შვილისა უღირსისა საბრალოს ზაქარიასითა. დიდი ულუფა, სრულად და საბოლოოდ ამოგუიკუეთია, ასრე რომე არაოდის და არა ჟამშიგა დიდი ულუფა არ გეთხოვოს.

ხვეულად: კოსტანტინე მეფე ვამტკიცებ.

ამ სიგელის მიხედვით ჩვენ ერთი რომ ვპოულობთ საინტერესო ცნობას ფანასკერტელთა საბოლოოდ დამკვიდრების შესახებ შილა-ქართლში და ვარდა ამისა ვტყობილობთ, რომ 1467 წ. ხვედურეთის რაიონი ვარკვევით კოსტანტინე ქართლის მეფის მფლობელობაში ყოფილა. როგორც ცნობილია, ბაგრატ აფხაზ-იმერეთის მეფემ ქრონიკული ცნობით 1466 წ. დაიპყრა ქარაღლი, რაც მტკიცდება 1468 წ. 20 ნოემბერს ბაგრატ მეფის მიერ მიცემულ სიგელში მისი მეფობის მესამე ინდიკტიონის მოხსენებითაც (საქ. სიძე. II, 40). საყურადღებოა, რომ კოსტანტინე მეფედ იხსენიება ქართლში 1466 წელსაც (საქ. სიძე. II, 20—21). ეს კოსტანტინე, ცხადია, არის დიმიტრის ძე. ძმისწული გიორგი ალექსანდრეს ძის—საქართველოს მეფისა. მე-1460 წლებში ამერ-იმერეთის დინასტიების ცალკე შტოების მეთაურებს შორის საქართველოს ტახტის ვარეშემო ამტყდარმა ცილობამ გიორგი მეფე ბოლოს ვარიყა კახეთს, რომლის მართველად მეფის ხარისხით ის აღიარებული იყო ჯერ კიდეს თავისი მამის დიდი ალექსანდრე მეფის სიცოცხლეში 1434 წ. (ს. კაკაბ., ვახტ. უცნობი აფხ.-იმერ. მეფ., 15), ხოლო კოსტანტინე დიმიტრისძეს საბოლოოდ დაუმკვიდრდა ქართლი. კოსტანტინე და გიორგი შემდეგ გახდნენ ქართლის, resp. კახეთის სამეფო შტოების დამწყებად. როგორც სჩანს, ბაგრატ აფხაზ-იმერეთის მეფის მიერ 1466 წ. ქართლის დაპყრობას შედეგად მოყვა მისი პრიორიტეტულ უფლების დამყარება ლიხთ-იმერეთს და ქართლს, მაგრამ ამას შედეგად არ ჰქონია კოსტანტინესთვის ფაქტიურად ქართლის მფლობელობის ჩამორთმევა. მეფის ხარისხით კოსტანტინე განაგრძობდა ქართლის განსაზღვრულ რაიონის გამგებლობას ბაგრატის პატრონობის აღიარებით.

ამ საკითხის დეტალურად გარკვევა თხოულობს კიდევ ახალს მასალებს. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ როდესაც 1478 წლიდან ბაგრატიის სიკვდილის შემდეგ კოსტანტინე ცხადდება ფორმალურადაც ქართლის მეფედ—1487 წ. იყო კოსტანტინეს მეფობის მე-10 ინდიკტიონი—(ქრონიკ. II, 305—306), ქართლის დასავლეთი ნაწილი რჩება იმერეთის მეფეთა ხელში. ამას ცხადად ამტკიცებს მალნარაძეთა და თოფურიძეთა სასისხლო სიგელებში დასავლეთ ქართლის წარჩინებულ პირთა მოხსენება იმერეთის მეფის დარბაზის წევრებად და მოხელეებად და აგრეთვე, ფალავანდიშვილის სასისხლო სიგელის მიხედვით, იმერეთის მეფის მიერ თავისი იურისდიქციის ქართლის ამ ნაწილზე გავრცელება.

თუ სახელდობრ რომელი ნაწილი ქართლისა შედიოდა მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის და ცალკე იმერეთის მეფეთა მფლობელობის ფარგლებში, ამის გამოსარკვევად შეიძლება გამოყენებულ იქმნას კოსტანტინე ქართლის მეფის მიერ, ჩვენის გამოანგარიშებით 1503—1504 წლის ახლოს, კათალიკოზ დოროთეოსისადმი მიცემული აღთქმის წიგნი, რომელშიდაც უკითხულობთ: „რაცა ჩუენს საპატრონოშიგა მცხეთისა საყდრისა სოფელნი, აგარაკნი და მამულნი არიან, ყველანი უკლებლად უსარჩილელად და კელშეუვალად მოგუიჯსენებიან: კოდმანი, კარსანი, წეროვანი, გოროვანი, მუხანი, ალაიანი, არმაზი, მუხათგუერდი, თელოვანი, კავთისკევი, საქადაგო ივანიასძისა მამული, ქალაქს და გორს რაც გლენი არიან, ორბეთის ძირს ყორანთა. ხვედურეთს რაც მცხეთის სოფელი ყოფილა, ციხედავი, ტაირიშვილი, გაბრიელიშვილი“ (ქრონიკ. II, 320). ამ სიგელიდან ცხადად სჩანს, რომ კოსტანტინეს საპატრონო 1503—1504 წლებში მტკვრის ჩრდილოეთით დაახლოვებით მცხეთა—გორის ხაზზე ითვლებოდა, დასავლეთით გორის რაიონამდის, მტკვრის სამხრეთით კი ამავე საპატრონოში ხვედურეთის რაიონიც შედიოდა. ხვედურეთის რაიონი კოსტანტინეს იურისდიქციის ქვეშ იხსენიება, როგორც ვნახეთ, 1467 წლის ზემოდ დაბეჭდილ სიგელშიდაც. ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლიხთ-იმერეთის სამეფო სახლის მფლობელობა მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-16 საუკუნის დასაწყისში უფრო მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქართლის დასავლეთ ნაწილზე ვრცელდებოდა. საყურადღებოა; რომ 1526 წლისთვის ერთი ქრონიკული ცნობა ადასტურებს იმერეთის მეფის ბაგრატ ალექსანდრეს ძისთვის ქართლის დასავლეთ ნაწილის დამტკიცებას მტკვრის ჩრდილოეთით: „მოსცეს ბაგრატს არადეთის წყაღი(ს) გამოღმა ალი, სურამი და ახალდაბა“ (ქრონიკ. II, 369). ამ ქრონიკულ ცნობაში, რომელიც, როგორც სჩანს, ლიხთ-იმერეთს უნდა იყოს დაწერილი, ჩვენ ვპოულობთ მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში.

იმერეთისა და ქართლის სამეფო სახლებს შორის ურთიერთ მიმართ არსებულ ტერიტორიალურ პრეტენზიების ახალს ამოძახილს, ამ შემთხვევაშიდაც ლიხთ იმერეთის სამეფო სახლის მფლობელობის დადასტურებით ქართლის დასავლეთ ნაწილში.

ფრიად საყურადღებოა ზემოდ მოყვანილ სიგელში თვით ცნობა ფანასკერტლების ქართლში საბოლოოდ დამკვიდრების შესახებ მე-15 საუკუნის ნახევარში. ესევე სიგელი ადასტურებს, რომ ფანასკერტლებს სოფლები ჰქონიათ შიდა-ქართლს ამ.ხე წინანდელ დროშიდაც. თოფურიძეთა და მღნარაძეთა სიგელები იხსენიებენ მე-15 საუკ. დასასრულს დაწით ციციშვილს, საიდანაც სჩანს, რომ ფანასკერტელთა ერთის, ალბად შიდა-ქართლში დაბინავებულ შტოს საგვარო წოდებულება ციციშვილი ყოფილა. ჩვენ შეგვხვედრია საისტ.-საეთნ. მუზეუმის გადასარჩევ საბუთებსა და საბუთების ნაჭრებში ერთი საკმაოდ დაზიანებული, მაგრამ მე-15 საუკუნის ლამაზი ხელით დაწერილი საბუთის ნაჭერი, რომელშიდაც ციციშვილი იხსენიება. ეს გარემოება ადასტურებს სახელწოდების ციციშვილის არსებობას უკვე მე-15 საუკუნეში.

ყველა ზემოდ მოხსენებულის მიხედვით და სასისხლო სიგელებზე დაყრდნობით ჩვენ ვღებულობთ საკმაოდ მტკიცე საფუძველს მე-15 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-16 საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლისა და იმერეთის სამეფო დინასტიათ სამფლობელოთა ტერიტორიალურად გამიჯვნის შესახებ.

თვით ფაქტს—ლიხთ-იმერეთის მეფეების მიერ მიცემულ სასისხლო სიგელებში დასავლეთ ქართლის წარჩინებულ გვარეულობის პირთ მოხსენებას აქვს აგრეთვე თავისი ინტერესი. მომავალში, იმედია, შესაძლებელი იქნება ამ საკითხების უფრო დეტალურად განხილვა და გამოარკვევა.

**VIII.** შემდეგი სიგელი, დაკული ქუთაისის არქივში, მოღწეულია დედნად, დაწერილია ტყავზე, რომელიც წარმოადგენს ნუსხა ხუცარის ტექსტის პალემსესტს. სიგელი ოდნავ დაზიანებულია, თავისი სინამდვილეში ის არავითარ ეკვს არ იწვევს. ხელის მიხედვით ის ეკვს გარეშეა მე-16 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის. სიგელი ბოძებულია გაბელიძისადმი, რომელიც მოხსენებულია როგორც „ერთობ გვარიანი მსახური და ერთგული“. სისხლის შედარებით მაღალი შეფასება (400 ათ. თეთრი) შეიძლება გვიჩვენებდეს, რომ აქ სიტყვა მსახური იხსენიება არა წოდებრივი მნიშვნელობით. საჭიროა ამასთანავე აღინიშნოს, რომ გაბელიძენი ამირეჯიბნი იყვნენ. გაბელისძე ამირეჯიბი რაშინ იხსენიება 1451 წელს (ქრონიკ. II, 261, საისტორ. საბუთ. II, 7—10) გაბელიძეთა მამულები ქართლის დასავლეთ ნაწილში კრცხილვან—ერგნეთის



რაიონში ყოფილა (იქვე). ხოლო ზემოდ აფხაზ-იმერეთის და ქართლის სამეფოების ტერიტორიალურ მოცულობის შესახებ მე-16 საუკ. დასაწყისში ნათქვამის 'მედივე ცხადია, რომ გაბელიძენი მე-16 საუკ. დასაწყისში აფხაზ.-იმერეთის სამეფოს ქვეშევრდომნი უნდა ყოფილიყვნენ და ამიტომ მათ სიგელს 1512 წ. ზაგრატ მეფე აძლევს. ტექსტი სიგელისა უცვლელად იკითხვის შესდგენაირად:

ქ.: ნებირა: და: შეწვევ[ნითა:] ღმრთისათა: ჩვენ: იეს[იან დავი]თი  
 ან: სოლომონი[ან ბაგრ]ატუნიანმან: ნებირა: ღმრისა[თა აფხაზ]-  
 ზთა: ქართველთა: რანთა: კახთა: და [სო]ქებთა: ჯიქთა: აღან-  
 თა: მეფ სა: შანშე: და: შაჰვანშე: აღმოსავლეთით: [ვი]ღრე: და-  
 სავლეთამდე: ჩრდილო[ე]თისა: ლიხთ: იმერსა: და ლიხთ: ამერი-  
 სა: მპკრზბელმან: ღმრთივ: გვირგვინოსანმან: ბატონმან: მღვთ: მფეჟმან: ბაგრატ: ნებირა: ღმრთისათა: მოვიდეს: ჩვენსა: ჩვენი: ერგუ[ლ]ნი: და: თავ: დადებით: ნამსახურნი: გაბელიძენი: გვი-  
 ვეს: და ვისმინეთ: აჯა: და მოხსენება: მათი: ვიცანთ: (sic) ვითარო  
 ბა: მათი: და: ერთობ: გ[ვ]არნიანი: მსახური: და ერთგულნი: გამო-  
 ვიდენ: გაბელიძენი: გვიჯგებია: [და ი]აჯნეს: ღმერთმან: გაბელი-  
 ძესა: ხუტუას: და თქნსა: შვილსა: მახუს: შვილთა: [და] მომა-  
 ვალთა: თქნთა: ყოველთავე: [მო]გვეციოთ: სასიხლო: სიგელი:  
 ესე: დაგიწერეთ: და გიბოძე: მტკიცე: სიგელი: ე[სე] ვინცა: თქ-  
 ნის: გუარის: კაცი: მოკლ[ას] ოთხასი: ათასი: ძუელი: კირმანე-  
 ული: თეთრი: გარდაიხადოს: და დაგიურვოს: ვინცა: ცოლი: წა-  
 გილოს: ნახევარი: სასხლი: დაგიურვოს: სანახ შ[ირეთ] გაგვიჩენია:  
 ოცი ათასი: [კი]რმანეული: თეთრი: ვინცა: ე[ქუსი ას]ოთაგან: და-  
 გიშაოს: თვალისა: კე]ლისა: და: ფერკისა: ათი: ათასი: თეთრი:  
 დავეურვოს: ვინცა: უ[ბო]ლოსა: გრძნულობა: (sic) გითხრას: ნახე-  
 ვარი: ს [სხლი] დაგიურვოს: ვინცა: საღალ[ატო]ღ: წინა: დაგიდ-  
 გეს: ოცი: ათ[ასი] თეთრი: დაგიურვოს: ვინცა: სას[აფ]ლო: გაგი-  
 ტქოს: თოთხმეტი: ათასი: თეთრი: დაგიურვოს: ვინცა: ცოლი:  
 მოგიტყნას: ოცი: ათასი: თეთრი: დაგიურვოს: ვინცა უომარი:  
 შვილი: გიცეს: ექუსი: ათასი: თეთრი: დაგიურვოს: ვინცა: მოახ-  
 ლე: გავიტყნოს: ხუთი: ათასი: თეთრი: დაგიურვოს: ვინცა:  
 ჯოვი: გაგიტყნოს: ოთხი: ათასი: თეთრი: დაგიურვოს: ვინცა: ახ-  
 ლად: მოგიხდეს: ოცდა: ოთხი: ათასი: თეთრი: დაგიურვოს: ვინ-  
 ცა ქალი: დაგივოს: მესამედი: სისხლი: დაგიურვოს: ვინცა: მწ-  
 ყმსი: და მეჯოვე: გიცეს: რვა: ათასი: თეთრი: დაგიურვოს: ვინ-  
 ცა: სათიბი: და: ვენახი: დაგიშაოს: ხუთი: ათასი: თეთრი: დაგი-  
 ურვოს: ვინცა: უბრალო: დარბახს: დაგასმინოს: მესამედი სისხ-  
 ლი: დაგიურვოს: ვინცა: დაღი: დაგასვას: ათი: ათასი: თეთ-  
 რი: დაგიურვოს: სხვა: რაგინდარა: უბატობა: დაგეპართოს: ესე:

წვენგან: ბოძებული: სიგელი: დაიდევით: და მას: ზედა: დაეურვე-  
 ბოდეს: აფხაზეთისა: კათალიკოზო: ქუთათის: ქუთათელო: ჭკონ-  
 დიდლო: წინამძღვარ: მოძღუართ: მოძღუარო: ოდიშს: ბედიე-  
 ლო: მოქუელო: ცაიშელო: ქართლს (sic) კათალიკოზო: სამცხეს:  
 მაწყვერლო: და: ათორმეტ: მეუდაბნოენო: მღწელთ: მოძღუარ-  
 ნო: თქნც: ასრე: დაუმტკიცეთ: სხვანო: კარისა: ჩვენისა: თა-  
 ვანო: ერისთავთ: ერისთავო: და სვანთ: ერისთავო: და მანდა-  
 ტურთ: უხუცესო: დადიანო: გურიელო: და: ამის: პასალარო:  
 ათაბაგო: თქნცა: ასრე: დაუმტკიცეთ: სხვანო: კარი[სა] ჩვენისა:  
 ვაზირნო: მსახურთ: უხუცესო: ამირეჯიბო: ამილახორო: ციხის-  
 თავო: სახლის: უხუცესო: ამირათ: ამირაო: თქნც ასრე: დაუმ-  
 ტკიცეთ: სხვანო: კარისა: ჩვენისა: კელისა: მქონებელნო: მეჯი-  
 ნიბეთ: უხუცესო: მოლარეთ: უხუც [სო:] მეაბჯრეთ: უხუცესო:  
 ბოქა[ულთ] უხუცესო: მღვინეთ: უხუცეს[სო:] გამგეთ: უხუცესო.  
 ბაზია[რთ] უხუცესო: თქნცა: ასრე: დაუმტკიცეთ: სხვანო: ჩვე-  
 ნისა: კარისა: [პო]კელენო: მოლარეთ: მო[დ---] და მერიქიფეთ:  
 მეჯინიბე: [ბაზ]იარო: მღვინეთ: და: მეჭურ[ქლო:] მზარეულო: და:  
 მუქიფო: სხვანო: [კარისა] ჩვენისა: მექუდმენო: მალისა [და ხარ-  
 კისა] და ყალანისა: მკრეფელნო: ზროზა საკლავისა: მკრეფელნო:  
 პურისა და ]ღვინის: მკრეფელნო: გოქ: ქათმისა: მკრებელნო:  
 თქნცა: ასრე: დაუმტკიცეთ: [ნებ]ითა: ღთისათა: დაიწერა: ინ-  
 დიკტიონსა მეფობისა: ჩვენისა: ქო[რონ]იკონსა: მეორასესა:  
 თუესა: აპრილსა: ცამეტსა: მთოვარესა: ოცდახუთსა: გათავდა:  
 ესე: სიგელი: გელათს: ამინ:

ხეუელი ხელის მოწერა.

სხვა ხელით ძლიერ მქადად: ქ.: სახელითა: ღთისათა: მამისათა: .  
 ძისათა: . სულისა: . წმიდისათა: . ესე: . დაწერილი: . წიგნი: . წყალო-  
 ბისა: . [სა]კვიდრო: . სამამ--- რისა: . მტკიცე და უ--- მირო და  
 უი--- შემო--- გათავ---

**IX.** ტფილისში ერთ ბუკინისტთან უზოპო ფასში გასაყიდად მიტანი-  
 ლი იყო ერთი სიგელის პირი, მე-18 საუკუნის პირველ ნახევრის ხელით  
 გადაწერილი თეთრ ქაღალდზე გრაგნილად. ნიშნად ყოველი სიტყვის  
 შემდეგ იხმარებოდა სამი წერტილი. ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით, ეს  
 სიგელი გადმოვწერეთ და ტექსტს დაუკარგველობისათვის აქვე ვათა-  
 ვსებთ. სიგელი მიცემულია მე-16 საუკუნის აფხაზ-იპერეთის მეფის ბაგ-  
 რატის მიერ მისი მეფობის მე-4 ინდიკტიონს დასაბამითგან 7178 წ..  
 უკანასკნელ რიცხვში რაღაც შეცდომა უნდა იყოს. მაგრამ თუ მივი-  
 ლებთ მხედველობაში, რომ ჩვენ ვიცით ორი სხვა სიგელი ამავე ბაგრატ

მეფისა 1544—1545 წლებში დაწერილი მეფობის იმავე თე-4 ინდიქსიონის ჩვენებით—ეს სიგელებია ნიკორწმინდის, 1544 წ. 9 აგვ. მიცემულა და გელათის წმ. გიორგისა, 1545 წ. 12 იენ. დაწერილი (ს. კაკაბ., სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, საქ. სიძვ. I, 17—25, ს. კაკაბ., აფხაზ. საკათალ. გლებ. დიდი დაეთარი 58—69) მაშინ შე ძლება დავუშვათ ამ ახლად მოპოებულ სიგელის თარიღად 1544—1545 წლები. სიგელი იბეჭდება უცვლელად მხოლოდ ნიშნების არდაცვით.

--- დამყარ--- სანმან ჩუენ--- [სამე]ფოსა მფლობით ---თ იპერსი და ლ--- [ლ] თივ გვირგვინო[სანმან მეფეთმეფემან] პატრონმან ბაგრა[რატ და თანამეცხე]დრემან ჩუენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ელენე და ძეთა [ჩუ]ენთა პირმშომან გიორგი და პატრო[ნმან] თაიმურაზ და პატრონმან კოსტანტ[ინე]ნებითა ღთისათა აფხაზთა, რანთა, ქართველთა, ჯიქთა, აღანთა, კახთა, სომეხთა მეფისა, შანშე შარვანშ[ა], მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი ერდგუ[ლი] და დიდათ ერდგულად თავდადებით ნანსახურნი კალანდაძე გიორგი და დედისმა[მა] და მახარებელი თოლიკავა და ქომიშ[--], შვილნი და მომავალნი სახლისა მათსანი ყოველნივე მას ჟამსა ოდეს დაგვეაჯ[ნეს] და მოგვახსენეს და სასისხლო სიგელი გუთხოვეს. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ სასისხლო სიგელი ესე მოკითხული ვქენით და ძველათაც საპატიო სიგელი გქონებოდა, მაგრამ ჟამთა აშლილობაშიგ[ან] წაგბთომოდა. აწე ჩუენ ახლად შეგიწყალეთ და გიბოძეთ სასისხლო სიგელი ესე. ნუმცა იკადრების უბრალოსა კაცისა სისხლისა და ლუარა (sic) და თუ ვშმაკისა მანქანებითა შენი გვარი კაცი ვისმე შეაკუდეს სრული სისხლი ესე გაუჩინეთ ოთხას ოცი ათასი ძველი კირმანეული თეთრი დაგიუროს და გადაგიხადოს და ამს გარეთაც ცხრა ათასი კირმანეული თეთრი სანახშირედ და[გიუ]როს და გარდაგიხადოს. ვინც ცოლი მოგიტყნას, ნახევარი სისხლი და[გიუ]როს და გარდაგიხადოს. ვინც ცოლი წაგართვას, ნახევარი სისხლი დაგივროს და გარდაგიხადოს. ვინცა ექუსთა ასოთაგან ერთი დაგიშაფოს, გინა კელსა, თვალსა ან ფერხისაგან, მეექუსედი სისხლი დაგიუროს და გარდაგიხადოს. ვინცა დალი დაგასვას საჩინოსა, შვიდი ათასი ძველი თეთრი დაგიუროს. ვინცა გერში გადინოს, ხუთი ათასი ძველი თეთრი დაგიუროს. ვინცა სასაფლაო გაგიტეხოს, რვა (sic) ათასი თეთრი დაგიუროს. ვინცა ცეცხლი შეჰოგიდვას და დაგწვას, თორმეტი ათასი თეთრი დაგიუროს. ვინცა სახლად შინ მოგიხდეს, ათი ათასი თეთრი დაგიუროს. ვინცა დარბას დაგასმინოს და მართალი გამოხვიდეთ, მესამედი სისხლი დაგიუროს. ვინცა უბატონოდ მამული წაგართვას, მესამედი სისხლი დაგიუროს. ვინცა

მართალსა გრძნოულობა ვითხრას, ნახევარი სისხლი დაგიუროს. ვინცა შენი გვარისა ქალი დაგივდოს, ნახევარი სისხლი დაგიუროს. ვინცა ჯოჯი წაგისხას, მესამედი სისხლი დაგიუროს. ვინცა ჯოჯი გაგიტეხოს, ათას ხუთასი თეთრი დაგიუროს. ვინცა მენახირე და მეჯოჯე გაცეს, ათასი თეთრი დაგიუროს. ვინც მუახლე გაგიუპატიოს, ორი ათასი თეთრი დაგიუროს. ვინცა უომარი შვილი გიცეს და ან გაგიბერტყოს, ხუთი ათასი თეთრი დაგიუროს. გაგზაუნილი კაცი გაგიუპატიოს, სამი ათასი თეთრი დაგიუროს. სხვა რაგინდარა უპატიობა დაგემართოს, ესე ჩუენგან ბოძებული სიგელი დაიდვან და ამაზედან გარდავიხადონ და დაგჭურონ. აფხაზეთისა და ქართლისა ქათალიკოზო და ეპისკოპოზნო და მღღელთ მოძღვარნო, ესე ჩუენგან ბოძებული სიგელი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და გაუთავეთ, ქუთათისა ეპისკოპოზნო, ქუთათელო და წინამძღვარნო და მღღელთ მოძღვარნო, ესე ჩუენგან ბოძებული სიგელი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. ოდიშისა ეპისკოპოზნო, მოქველო, ბედიელო, ცაიშელო, ქყონდიდელო და სხვანო ეპისკოპოზნო და წინამძღვარნო და მღღელთმოძღვარნო, ესე ჩუენგან ბოძებული სიგელი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და გაუთავეთ. სხვანო კარისა ვეზირნო, ერისთავთ ერისთავო და სვანთ ერისთავო. მანდატურთ უხუცესო პატრონო დადიანო და პატრონო გურიელო და ამისაპასალარო (sic) პატრონო ათაბაგო, ესე ჩუენგან ბოძებული სიგელი სასიხლო თქვენცა ასრე გაუთავეთ და დაუმტკიცეთ. სხვანო კარისა ჩუენისა მოხელენო, ერისთავო და ციხისთავო და ამირათ ამირაო, ესე ჩუენგან ბოძებული სიგელი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. სხვანო კარისა ჩუენისა მდგომელნო, მებაჯრეთ უხუცესნო, მებჯრენო, მესტუმრედ უხუცესო, მესტუმრენო, ბაზიართ უხუცესნო, ბაზიარნო, მეღვინეთ უხუცესნო, მეღვინენო, ესე ჩუენგან ბოძებული სიგელი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და გაუთავეთ. სხვანო კარისა ჩუენისა მოხელენო, მოხელეთ უხუცესნო, სახლთ უხუცესნო, საქურჭლისა უხუცესნო, ესე ჩუენგან ბოძებული სიგელი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. სხვანო კარისა ჩუენისა მოხელენო ქალაქისა უხუცესნო, მოურაუნო (sic) მამასახლისო, ხაბაზნო და პურისა და ღვინისა მკრებელნო, მამულისა და ხარაჯისა მკრეფელნო, ულუფისა და ჯურუმისა მკრეფელნო, ზროხა საკლავისა მკრეფელო, გოჭქათმისა მკრეფელნო, ესე ჩუენგან ბოძებული სიგელი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და გაუთავეთ. სხვანო კარისა ჩუენისა მოხელენო, უზერაენო და უქვედაენო, დიდნო და მცირენო, ვინგინდ ვინ იყოთ ესე ჩუენგან ბოძებული სასიხლო სიგელი ყოველმავე (sic) დაუმტკიცეთ და გაუთავეთ. დაიწერა სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა.



ჩუენისა მეოთხესა და ქორონიკონსა შ(ვ)იდი ათას ას საჰოცდა-  
თრვამეტსა აპრილსა ოცდა ცხრასა ნებითა ღთისათა.

ხეუდად: ბაგრატ ელენე.

X. სასისხლო სიგელი, მიცემული ტყავაძეებისადმი როსტომ იმერთა  
მეფის მიერ 1601 წელს, დაწერილია კარგს ტყავზე. ნიშნად ყოველი  
სიტყვის შემდეგ იხმარება სამი წერტილი. ნაშნებს ტენიკურ დაბოკო-  
ლებათა გამო ვერ ვიცავთ.

--- თა ღმრთისათა --- რანთა ქართველთა ----ა შანშესა და შარვა-  
შესათა -- შორის უწარჩინებულესმენ--- ირმნ და აღმკულმნ ჩუენ  
ოჩისავე-- წიფოსა ლიხთ იმერისა და ლიხთ --- ფლოზით მტკი-  
ცედ მპყრობელმან ძლიერმ--- ჩუენ ღმრთივ გვირგვინოსანმნ პა-  
ტრონმნ როსტომ ესე წყალობისა სასისხლო [სიგელი] შევიწყა-  
ლეთ და გიბოძეთ შენ ტყავაძესა --- და შენსა შვილსა დავითს,  
შვილთა თქვენთა [და მო]მავალთა, მახ ეამსა ოდეს დაგვიჯენით  
და ვისმ[მინე]თ აჯა და მოხსენება თქვენი და მოგიბოძეთ სასის-  
ხლო სიგელი ესე და უწინ ძველათაჲ ჩვენთა პაპათაგან გქონებო-  
და სასისხლო სიგელი და ცეცხლისაგნ და[გ]წოდა. და აწე ჩუენცა  
იმ წესითა გაგიახლეთ და [გა]გიჩინეთ და დაგიმტკიცეთ აწე ნუმ-  
ცა კადრე[ბუ]ლარს უბრალოსა კაცისა კლევა და სისხლისა ღურა,  
ვინცა ეშმაკისა მანქანიებითა: (sic) შენი გვარის კაცი ანუ [სა]ხ-  
ლის შვილი მოკლას ანუ დიდმნ და მცირემნ სისხლად ოთხმოცი-  
ათასი ძველი კარმანაული თეთრი დაგიურვოს სანახშირედ რვასი  
ათასი თეთრი დაგიურვოს და სადაღო ოთხასი თეთრი დაგიურ-  
ვოს, საგერშოთ ორასი ათასი თეთრი დაგიურვოს. ვინცა სა-  
ჩინოსა დაღი დაგასვას და დაგახანჩოს (sic), ნახევარი სისხ-  
ლი დაგიურვოს. ვინცა ცოლი წაგართვას და ანუ გაგვიპილოს,  
ნახევარი სისხლი დაგიურვოს ვინცა [ქ]ლი დაგიკდოს, ნახე-  
ვარი სისხლი დაგიურვოს. ვინცა გრძნეულობა შემოგყიველოს  
და მართალი გამოხვიდე, ნახევარი სისხლი დაგიურვოს. ვინცა ექუს-  
თა ასოთაგან ერთი დაგიშავოს ანუ თვალი ანუ ხელი ანუ ფერხი,  
მექუსედი სისხლი დაგიურვოს. ვინცა ბატონსთანა უბრალო[დ]  
შეგაბეზლოს და ბატონმა კელი გდვას (sic) ნახევარი სისხლი და-  
გიურვოს. ვინცა უომარი შვილი უბრალოთ გაგიბერტყოს მეცხრე-  
დი სისხლი დაგიურვოს. ვინცა თავს დაგესხას და შინ მოგიხდეს  
სრული სისხლი დაგიურვოს. ვინცა ცოლი გამოგიტრიოს, ნახევარი  
სისხლი დაგიურვოს. ვინცა გილალატოს და ისარი გეჩოღლოს და  
დაგაცდინოს, სრული სისხლი დაგიურვოს. ვინცა ღალატათ წინ  
გარდაგიდგეს და გილალატოს და მორჩე, ნახევარი სისხლი დაგი-  
ურვოს. ვინცა სასაფლაო გაგიტეხოს, სრული სისხლი დაგიურვოს.

ვინცა ცეცხლი შემოგიდვას და დაგწვას, სრული სისხლი დაგიურვოს. ვინცა ჯოგი გაგიტეხოს და წაგისხას შენი ისრე მოგცეს და ათასი თეთრი დაგიურვოს. ვინცა სეფექალი მოგტაცოს და ანუ გაგიწბილოს, ათასი თეთრი დაგიურვოს. ვინცა მეჯოგე ანუ მწყესი უბრალოთ გაგიბერტყოს, სამასი თეთრი დაგიურვოს. ვინცა ნალია დაგიწვას, ორი ათასი თეთრი დაგიურვოს. ვინცა წისქვილი გაგიტეხოს, ხუთასი თეთრი დაგიურვოს. სხვა რაგინდარა რამე უკაცრაული საქმე გკადროს, დაიდევით ესე ჩვენგან განაჩენი სიგელი და იმ წესითა გაუჩინეთ. აწე ქრისტეს მიერ კურთხეულო ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. ჰყონდიდისა ჰყონდიდელო, ბედის ნიტრაპოლიტო (sic). ბედიელოცაიშელო და ღრანდელო, ჰელენჯიხელო (sic), მოქველო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. ქუთათისის ქუთათელო, გენათელო, ცაგერელო, ნიკარწიდელო, უჯვარობით თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. ქართლის ეფისკოპოზნო თბილელო ნიტრაპოლიტო (sic), ბოდბელო და ბოვენელო, მროელო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. მაწყვერელო, ერუშნელო და თორმეტმეუდაბნოელო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. აწე ერისთავთაერისთავო მანდატურთა უხუცესო დადიანო, ამისპასალარო ათაბაგო, სვანთა ერისთავო გურიელო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. სხვანო კარისა ჩვენისა სახლისუხუცესო, ვაზირთა უხუცესო და ვაზირნო და კამყოლო ბოქაულთა უხუცესო ო ბოქაულნო, მესტუმრეთუხუცესო და მესტუმრენო, მოლარეთუხუცესო და მოლარენო, მეჯინიბეთუხუცესო და ჰეჯინიბენო, ახოხალართუხუცესო და ახოხალარო, ბაზიართ უხუცესო და ბაზიარნო, მუქიფთა უხუცესო (sic) და მუქიფო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. სხვანო ხელისა ჩვენისა ექონებელნო, ამირმეჭურჭლენო, პურისა და ღვინისა მკრებელნო და ძროხა საკლავისა მკრებელნო, მალისა და ხარაჯისა მკრებელნო, მესტვარე მენატარენო, მენაფირენო, მეჩალხე მედაბაბენო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშლით ბრძანებასა ამას ჩვენსა. დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ონდიკითიონსა (sic) მეფობისა ჩვენისა მეცხრესა ქკს ორას ოთხმოცდაცხრასა ხელითა კარისა ჩვენისა მღვინისა თავაქარაშველისა ხმაფილანდროსითა (sic).  
ხვეუჯად: როსტომ.

ეს სიგელი თავისი სინამდვილით არავითარ ექვს არ იწვევს, მწიგრობარი ხმაფილანდრე თავაქარასშველი კარგად ცნობილია. მას დაწერილი აქვს 1586 წლის შეწირულობის სიგელი იმერთა დედოფლის თამარისა გელათის წა. გიორგის ტაძრისადმი (ს. კაკაბ., დასაჯო. საქ. საეკლ. საბუთ., I, 32—34). ეს სიგელი შემთხვევით გადაჩა 1922 წ. სექტემბერში ქ. გეორგიევსკში დაღუპვას და ამ ეამად მთავარარქივშია დაცული. ხმაფილანდრე ამ სიგელში იხსენიება ხვაფილანდრედ. გარდა

ამისა როსტომ იმერთა მეფის ხელისმოწერაც გელათის ერთი სიგელის მიხედვით (იქვე, 35—36) უკვე ცნობილი იყო. ამ მხრივაც ჩვენ ვხედავთ სრული მსგავსების გამო ტყავაძეთა სიგელის ნამდვილობის დადასტურებას.

ტყავაძეთა სასისხლო სიგელი წარმოადგენს დროის მხრივ აქ დარგის უკანასკნელს საბუთს, რომელიც ჯერ კიდევ ცნობილია ლიტერატურაში. ამის შემდეგ დაწერილი სასისხლო სიგელი ჩვენ უკვე აღარ გვხვდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზედაც, თუ რასაკვირველია მხედველობაში ხარ ვიქონიებთ მაღალაძეთა ერთ სასისხლო სიგელს, რომელიც მიცემულია 1675 წ. შაჰნავაზის მიერ (ქრონიკ. II, 489) და რომელიც, როგორც ჩვემთ იქნება ნახვენები, წარმოადგენს ძველი სიგელის ახლად დამტკიცებულს პირს. ტყავაძეთა სიგელი, გარდა ქრონოლოგიურად უახლოეს დროისთვის მიკოთენებისა, საყურადღებოა მასში დაცულ რეალებით. სხვათა შორის ძალიან საინტერესოა მე 16—17 საუკუნეთა მიჯნაზე იმერეთის სახელმწიფოებრივ წყობილების შესასწავლად სიგელში ჩამოთვლილი მოხელეთა თანამდებობანი და პირველ რიგში სახლის უხუცესი, ვაზირთა უხუცესი, ვაზირნი და კამყოლი.

ტყავაძეთა სასისხლო სიგელი ამასთანავე იძლევა სწორ თარიღს ოფიშკვითის ცნობილ ომის შესახებ, რომელშიადაც დამარცხდა ქართლის მეფე სვიმონ და რომელსაც მოყვა როსტომის იმერეთს გამეფება. სახელდობრ ეს ომი მომხდარა, ტყავაძეთა სიგელში მეფობის ინდიკტიონის ჩვენების მიხედვით, არა 1590 ან 1591 წელს, როგორც ამას უჩინებენ ქრონიკული ცნობები (ქ. ცხ. II, 346, ქრონიკ. II, 426—427), არა ედ 1592 წელს და შესაძლებელია 1593 წელსაც, როგორც ამას უჩინებს ერთი ქრონიკული ცნობა (ქრონიკ. II, 427).

**XI.** შემოდ მოყვანილს სასისხლო სიგელებს, რომელნიც დასავლეთ საქართველოს ფარგლებში არიან წარმოშობილნი, შეიძლება მივმატოს ერთი ფრიად საყურადღებო სასისხლო სიგელი ვაჩნაძეებისა, რომლის წარმოშობა უკვე კახეთს უკავშირდება. სიგელის დედანი ცნობილი არ არის, მთავარარქივმა შეიძინა მისი პირი, რომელიც საბედნიეროდ ძლიერ კარგად არით შესრულებული. სიგელი გადაწერილია სფირიდონ იაშვილის ხელით ლურჯ თაბახ ქალაქზე მე-19 საუკუნის დასაწყისის ხელით. სიგელი აქვე მოგვყავს. მართლწერა. შესწორებულია მხოლოდ ზოგიერთ ადგილას. ნაცვლად ჩუქისის, ორიგინალში წარმედგენილია ჩენისს, ნაცვლად თქუენისს—თქენასს. ზოგიერთ ადგილას კიდევ ვ. ჩვენ გამოვცვალეთ უი-თი (გუირგუინოსანმან, თუით). რბილი უ-ს ნაცვლად კოპიოში აგრეთვე წარმოდგენილია ყველგან ვ.

ქ ჩუენ იესიან დავითიან სოლოაონიან ბაკოატანმან და ლთივ გუირგუინოსანმან მეფეთ მეფემან გიორგიმ და თანა მემცხედრემან ჩუენმან პატრონმან დედოფალთ დედოფალმან ნესტარჯან ნებით.

და შეწევნითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კაბთა და სომეხთა მეფისა, შაჰანშაჰ და შაჰრვან შაჰ და ყოვლისა ჩრდილოეთისა, აღმოსავლეთით) ვიდრე დასავლეთამდის თუთ კელმწიფედ მტკიცედ მფლობელ მპყრობელთასა. მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი და ჩუენისა მორკმისა და ჰამოდ ყოფისათვის გაურჯელად ნამეტნავად ჰირანანხნი ზაჩნასძე მეღვინეთ უხუცესი ჩუენსა თანა აღზრდილ შეზრდილი ასათ და შვილნი მათნი შალვა და ძმის წულნი მისნი სულა, ივანე და სიაოშ და ბიძას შვილი მისი დავით. გუეაჯენს და მოგუახსენეს, რათამცა მრავალთა ერთგულობა ნამსახურთა მათთასა ძველნი სიველნი და მათ სულკურთხეულთა მამათა და პაპათა ჩუენთაგან ნაბოძარნი სოფელნი, სასახლე და მამულნი სიგლითა ამით აწ ჩუენცა ახლად გაგვეხლნეს და დაგვემტკიცენს და მერმე მათი და მათისა სახლისა კაცისა საბატო სისხლი გაგვეჩინა. დაგვაჯერა ღმრთი და ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი და აღრითგანნი ძველნი და მათნი მკუიდრნი მაჟულნი და სოფლოანნი აწ ახლად მტკიცითა და უქცეველითა სიგლითა ჩუენცა გაუახლეთ და დაუმტკიცეთ, მიუბოძეთ ვეჯინს და ვეჯინის პირთა სოფელი კარდანები, კარდანუცი, ბაჟურციხე, ჩალამოტი, კოლაგი, კეჟა, კალაურნი, ალექსის შვილი და ვეთჰმის შვილი, ვანას შვილი და ხუცის შვილი, მათითა სამძღვრითა, მითა და ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ტყითა, სანადიროთა, ქალითა, სათიბითა, საყანითა, ჭურ მარნითა, სასახლოთა (sic) და გეკლესიითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, საძმრითა და უხმრითა და მისითა სამართლიანითა ერთობ სრულად და უკლებად და ყოვლის კაცის მოუღდეგრად და მოუსარჩლელად და არაფინ იყოს მოცილე და მოსარჩლე თქუენი და არცა ვინ მეუნებლე მავნებელ დამაკლებელი თუინიერ შეწევნისა და თან(ა)დგომისაგან კიდე, და გავიჩინეთ თქუენისა გვარისა კაცსა სისხლად რვა ასი ათასი ძველი კირმან(ა)ული თეთრი, სანახშიროსა და საზაოსა გარეთ და სანახშიროთ და საზაოთ გავიჩინეთ ორასი ათასი კირმანაული თეთრი. ვინცა უბრალოდ მოგკლას ანუ გილალატოს, ანუ დაგკოდოს, ანუ სასახლესა დაგესქას ანუ არგნითა და მჯილთა გცეს, გინა ქალი დაგიგდოს, ანუ კბილი ჩავადგებინოს, გინა ცხვირ პირი ჩავ(ი)ლეწოს, ანუ ჯოგი და ცხვარი დაგიფორიაქოს, გინა ისარი გესროლოს, ანუ მზირად ჩავიჯდეს და რაგინდ რამე ვინ უკაცრავი გიყოს, ანუ დიდმან და ანუ მკირემან, რა რივადცა დიდსა ბრქობისა განაჩენსა შიგან სწერია, იმა წესიდა ამარვა ასი ათასისა კირმანაულისა ანგარიშისა თეთრი დაგიურვოს. ვინადგან მოკით-



ხულიცა ვქენით, და თქუენნი გვარნი ძველთა მეფეთაგან დიდათ პატივცემულნი იყვენით და მეფეთაგან პატივისა და დიდებულობისა ძველნი სიგელნიცა გქონდეს. აწ ჩუენცა სიგლითა ამჟა შეგიწყალეთ და გავიჩინეთ თქუენის გვარისა სისხლი რვა ასი ათასი კირმანაული და საზაოდ და სანახშირედ ორასი ათასი კირმანაული. ვინცა თქუენი გვარის კაცი მოკლას, ესე რვა ასი ათასი კირმანაული თეთრი დაგიურვოს და ორასი ათასი კირმანაული საზაოდ და სანახშირედ მოგცეს და ამა თეთრისა საქმე ასე უწყოდეთ. ბერძენთა მეფეს კირმანაულ ერქვა და მისეულად კირმანაოლისეული ჰქუიან, არის წონითა ერთი თეთრი ერთისა დრამისა წონა, წმიდა და ხალასი ვეცხლი. გქონდეს და გიბედნიეროს ოთხ მკვიდრად და სამამულოდ სფგრძესა შინა ჟამთასა მტკიცე ესე და შეუცვალებელი უთუო და უთუძკაო სიგელი ესე თქუენ, ჩუენთა დიდათ ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა და ჩუენსა თანა აღზრდილ შეზრდილსა და ჩუენისა მორქმისა და ამოდ ყოფისათჳს გვარეულად ჰირნანახთა ვაჩნასძესა მეღვინეთ უხუცესსა ასათს, თქუენთა შვილთა შალვას, ძმის წულთა თქუენთა სულასა, ივანეს და სიაოშს და ბიძას შვილსა თქუენსა დავითს, შვილსა და მომავალსა სახლისა თქუენისათა. ვაგვიახლებია სიგელი და გვიბოძებია და დავგიმკვიდრებია თქუენივე ძველივე მკვიდრი სოფლები და მამულები ვეჯინს და ვეჯინის პირთა სოფელი კარდანები, კარდანუცი, ბაკურციხე, ჩალამოტი, კოლავი, კეჭა, კალაურნი, ალექსის შვილი და ვეთჳმის შვილი, ვანას შვილი და ხუცის შვილი ამათით სამძღვრითა, მითთა და ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ტყითა, სანადიროთა, ქალითა, სათიბითა, საყანოთა, ქურ მარნითა, სასახლითა და ეკლესიითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, საკმარითა და უკმარითა და მისითა სამართლიანითა ერთობ სრულად და უკლებად. გქონდეს მკვიდრი თქუენი მამული და სოფლოანნი ყოვლისა დაბადებულისა კაცისაგან მოუდევრად და მოუსარჩლელად და არავინ ვუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ამის ბრძანებულისა ჩუენინისა, არცა ვინ მეუნებელი მავნებელ დამაკლებელი, თუნიერ შეწევნისა და თანადგომისაგან კიდე. ვინცა ვინ მოგვრჩოდეს, პირნი და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ. აწ ვინცა ვინ ჰნახოთ ბრძანება და სიგელი ესე შემდგომად ჩუენსა მომავლთა მეფეთა და დედოფალთა, ერისთავთ ერისთავთა, კარისა ჩუენისა ვეზირთა, დივანთა და მოსაქმეთა, პურისა და ხვარბლისა მკრეფელთა, ტყისა და მპარავთ მეძებართა, მეკულუხეთა, მერემეთა, ბაზიერთა, მესაბანჯრეთა და ყოველთა კარით ჩუენით წარვლელინთა (sic) მოსაქმეთა,

დიდთა და მცირეთა ყოველთავე დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ მტკიცედ ბრძანებულსა ამას ჩუენსა და თქუენ ქრისტეს მიერ ქართლისა და აფხაზეთის კათოლიკოსნო და ყოველნო ეპისკოპოსნო და მღვდელთა მოძღვარნო გუჯრობით (sic) დაუმტკიცეთ ბრძანებული ესე ჩუენი. დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ი ქკსა რმგ (sic) ოკდომბერსა 3 კელითა წირქვადელის ძისა რატისათა.

ხელჩართული ხელისმოწერა.

სიგელის ტექსტში შესწორებას თხოულობს მეფობის ინდიკტიონი. რადგანაც სიგელი მიცემულია გიორგი ალექსანდრე მეფის ძის მიერ (ნესტან-დარეჯანი მისი ცოლი იყო) და მისი მეფობის მე-10 ინდიკტიონს, ხოლო გიორგი ალექსანდრეს ძე, როგორც ცნობილია (ს. კაკაბ., ვახტანგ უცნ. აფხ.-იმერ. მეფ., 15), გამეფდა 1447 წ. 31 იანვარსა და 11 ივნისს შორის, ამიტომ 1455 წ. ოქტომბერში, როდესაც მიცემულია ვაჩნაძეთა სასისხლო სიგელი, იქნებოდა გიორგის მეფობის მე-9 ინდიკტიონი. ამის მიხედვით სიგელის ბოლო უნდა იკითხებოდეს ამგვარად: „ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა თ ქკსა რმგ ოკდომბერსა 3“. ასოების თ და ი ს არევა გადამწერლის მიერ ადვილად მოსალოდნელია, განსაკუთრებით თუ ამ ადგილას სიგელის დედანი დეფექტიანი ან ტექსტის მჭრალად შემცველი იყო.

სიგელი არის, როგორც ეს ქვევით ნაჩვენები იქნება, ფრიად მნიშვნელოვანი, ტექსტიც მისი კარგად არის დაცული.

**XII.** ზემოდ მოყვანილი ტექსტი უკვე დაბეჭდილი იყო, როდესაც წელს ქუთაისის მუზეუმში ახლად მიღებულ საბუთების გადათვალიერებისას ჩვენ წავაწყდით ორს ახალს საყუარადღებო სასისხლო სიგელს, ორსავე ტყავისას.

პირველი სიგელი (№ 484) მიცემულია ალექსანდრე მეფის მიერ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში, დაწერილია ტყავზე ცუდის ხელით. მართლწერას ახასიათებს ყოველს სიტყვაში ზედმეტი ა-ს ხმარება. უნდა ითქვას ამასთანავე რომ სიგელის ტექსტში სიგელის მბოძებელ მეფის სახელი შესწორებულია: ალექსანდრე. რა იყო პირველად ამ სახელის მაგიერ, აღარა სჩანს, მაგრამ შესაძლებელია ყოფილიყო სიტყვა ბაგრატ. ამისდა მიხედვით ჩვენ გვგონია, რომ სიგელი თავისი წარმოშობით უნდა მიეკუთვნოს ბაგრატ-ალექსანდრე აფხაზ-იმერეთის მეფეების ხანას. მაშასადამე 1455—1510 წ. წ., ხოლო თავისი მოწვევული სახით სიგელი უნდა წარმოადგენდეს 1500 წლის ახლო ხანებში შესრულებულ პირს. რომ სიგელი არის არა თვით დედანი, არამედ პირი ეს სჩანს იქიდან, რომ ბოლოში სიგელის დამწერად მოხსენებულია „ვაჯბია ქარელიძე“

გირიანი ერისთავი“ და შემდეგ კიდევ — „ამისი მწერალი არისა ვახტაგ თურმანიშვილი“. ცხადია, ქარელიძე ერისთავი არის დედანის დამწერი, ხოლო თურმანიშვილი — ჩვენამდის მოწვენილ პირისა. შეიძლება ამავე გარემოებით აიხსნებოდეს მეფის სახელის შეცვლის ფაქტი სიგელის დასაწყისსა და ბოლოში. თუ მართლაც ტექსტში ამოფხეკილი სახელი შეიძლება წაკითხულ იქნას როგორც ბაგრატი, მაშინ ჩვენ მივიღებდით სიგელის დაწერის თარიღს ბაგრატ გიორგისძის დროს (1455—1478 წ.), ხოლო ჩვენამდის მოწვენილი პირი კი შესრულებული ყოფილა ალექსანდრე მეფის (1484—1510 წ.) დროს. სიგელის გადაწერის დროს დაშვებულია ზოგიერთი შეცდომა, რომელთა შორის აღსანიშნავია შერზადიშვილის სისხლის რაოდენობის დამახინჯება — „ექვსა ოცჯერა ოცი ათასი და ათი ათასი“. შესაძლებელია დედანში ეწერა „კირმანაული ასა ოცი ათასი თეთრი და ათი ათასი სანახშირე“. სიტყვაში ოცჯერა — ოცის მაგივრად დედანში ასო კ-ს გულისხმობით ხოლო ასის მაგივრად დედანში რ-ს ხმარებით შეიძლება წარმოდგენილი იყოს დამახინჯება სიტყვებისა კირმანაული რ ოცი ათასი.

[ქ. სახელითა?] ღმრთისათა: ესე: დაწერილი: და სიგელი: დაგიწერეთ -- მეთა: . მეფეთა: მეფემა: [ბაგრატ? შესწორებ: ალექსანდრე] და ჩემთა: . დარბაისე[ლთა] ყოველთავე: ქართველთა: კახთა. და მესხთა. და ო---რათა. და მეგრელთა. და სრულა. მრაველთა. შუ[ამ-დგო.]მლობითა. და მოწმობითა. შენ. შერზადიშვილ[სა] შალვასა. და გიორგისა. და ქველსა. და ქავთარს. [მას] ჟამსა. ოდეს. შემამაკვდა. მე ლეჟერასა. ჩიკვილა[ძე]სა. და ჩემსა. შვილსა. მარუშიანსა. შემამაკვდა. შერზადიშვილი. სტუმარსა. თავზედა. კაჭადესა: . ცხენი. წავართვი. და მაზედა. შემამაკვდა. შერზადიშვილი. ივანე. მე ლეჟერასა: ჩიკვილაძესა. მაზედა. დიდი. მტერობა მოგვიყვა. მაზედა. ქარელიძეც. გამიწყრა. თუ ჩემი აზნაურშვილი შენგან მაკვდარარო. (sic) მაზედა. [მო]მიკდი. დამწვი. და დამკაფე: და არა შემარჩინე. კაცი-სა. ნა[ხირისა? მ]რავალი: მაზედა შუა. შემოვიდნესა. დარბაისელნი. იაშვილი. ვარდან. და გარაყანიძე. გიორგი. და ფურთუხიძე. რომსტევან. და მანოელ. კანაჩიძე. და ნავროზა. თულაშვილი. ექენით. მოკითხული. ძველსა. სიგალსა. (sic) ძველსაცა აგრე. ეწერა ექვსა: ოცჯერა. ოცი ათასი და ათი ათასი. ძველი. თეთრი. კირმანიული. ეწერა. სიგელსა. შერზადიშვილსა. მისითა. სანახშირითა. მოგეც-მე ლეჟერმა ჩიკვილაძემა. შენა. შერზადიშვილსა. შალვასა. და გიორგისა. და ქველსა. და ქავთარასა. სისხლათა. ველეთასა. საყდარი. მისითა. შესავალითა. და მისითა. სასაფლაოთა: და მისითა. ხატითა: მოგეც. შენ. შერზადიშვილსა. მე ლეჟერმა. ჩიკვილაძემა. მოგეც. კეკანაძე. გურაკანაშვილი. და გამეკელაშვილი. და მახარებელიშვი-

ლი. და ზაქარაშვილი. და კუტუშიძე. და ივანაძე. და გაღმა. წინა. მკარსა. ოქროძე. დათაქუეთასა. თაკაფაძე. მოგეც. შენა. შერზადა-  
 შვილო: მე ლეფერმა. ჩიკვილაძემა. ცხრა გლეხი. მისითა. მამულითა.  
 მოგეც. ათი: ტანი. აბჯარი. მისითა. იარაღითა: მოგეც. თექვსმეტი.  
 ცხენი. და ჯორი. და სამი. თასი. და რვისა: კაცისა. საზიდავი:  
 ქვაბი: და კარი. და ზროზა. მრავალი: რაც შენმა. ავ. ნაქმარმა.  
 არ გაკლო. შერზადიშვილო. მე არა. და: მიკლია. მოსამართ-  
 ლეშაც: შემადლებია. ყმაც: დავალარიბე. შენისა. სიკვდილისათვი-  
 ნა. შერზადიშვილო: მე ლეფრასა: ჩიკვილაძესა: აღარა: შემრჩა:  
 ერთისა: ცხენისამეტი: და ერთისა: იარაღისა. მეტი. წელთა.  
 ჩალა: შემოვირტყი: შენმა: სიკვდილმა: აგრე. გამხადა: შერზა-  
 დიშვილო. ვინაც: დავაშაოს. ანუ: შინა. ჩამოგიხდეს: ანუ: და-  
 ღი. დავასვასა. ანუ: დავატყვეოს. ანუ. ცოლი: მოგიტყნასა:  
 ანუ. ბატონთან. დავასმინოს: ნახევარი. სისხლი: მან. დავიუ-  
 როს. ვინც. უდალოდ. გერში. ვადინოს: ანუ მწყემსი. გავი-  
 ცრცო(ს). ათასი. მან. დავიუროს: პირსა. და საუბნება. მამი-  
 ცემია. ვიანასა: (sic) ერთი საგლეხო. და კორატანასა. ჩიკვილაური  
 ყანა. დაუმ. ტკიცესა. და უბოძეთა: სიგე. (sic) შერზადიშვილსა:  
 მეფეთა. მეფემან: [ბაგრატ?] (შესწო. ალექსანდრე) და ჩემთა:  
 დარბაისე. ღთა. ყოველთა: მე დამიწერია ვაჯბია. ქარელიძესა.  
 მირიანს. ერი(ს)თავსა. ამისი მწერალი: არისა: ვახტაგ (sic) თურ-  
 მანიშვილი:

ხვეული ხელისმწერა

XIII. მეორე სიგელი აგრეთვე ტყავისა (№ 591), შიცემულია კოსტანტინე მეფის მიერ ფარიჯანიანის ყმის თოღადისადმი მაშინ, როდესაც კოსტანტინე დიმიტრისძეს ეჭირა იმერეთიც, მაშასადამე 1486—1488 წლებში. რომ ეს კოსტანტინე სწორედ დიმიტრის ძეა, ეს უნდა მტკიცდებოდეს სიგელის ცნობით—თურქების ყაენთან ლაშქრობაში კოსტანტინე მეფის ყოფნის შესახებ.

ქ. საბიერისა: ღთისა: არსისა: მბადისა: და გარემოუწერელისა: მამისა: ძისა: და სულისა: წმიდისათა: ჩუენ: მეფეთ: მეფემან: იესიანმან: დავითიანმან: სოლომონიანმა: ზეგარდამო: ცხებულმან: ღმრთიულმან (?) გვირგვინოსანმან: და სრულიად: ჩუენტა: ლაშქართა: რანთა: კახთა: აფხაზთა: ქართველთა: ჯიქთა: სვანთა: მესხთა: შანშე: და შარვაშთა: ლიხთა იმერთა: და ლიხთა ამერთა: აღმოსავლეთისა: და დასავლეთისა: ჩრდილოეთისა: და ყოულისა: საქარისტიანოსა: პირველ: დასაბამითგან: და ვიდრე: უკუნისამდის: ნებითა: ღთისათა: ხელმწიფედ: თლობით: მპყრობელმან: და შორს:



წარჩინებულმან: ღმრთიულ (შესწორებ.: თმრთიულ) გვირგვინოსანმან:  
და ორთავე: ტახტთა: ფლობელ მპყრობელმან: დიდმან: კოსტან-  
ტინე (შესწორებ.: კოსტანტინეს) დაგვეაჯნეს: ჩუნი: (sic) დიდად: და  
თავდადებით: ნამსახური: ფარიჯანიანი [სარგის და გგი და გუეაჯნეს  
ვითა] მათისა:<sup>1)</sup> ერდგულისა: ყმისა: თოდოდესა: ვარდან: და  
ვიორგი: თოდოდენი: დაგუეაჯნეს: ვისმინეთ: აჯა: და მოხსენე-  
ბა: და მოხსენება: (bis) თოდოდენისა: ვქენით: მოკითხული: მათი:  
გუეარისა: ძველისა: და ახლისა: და ესე: შევიგენით: ერთობ:  
წმიდა: ქებული: მსახური: კაცი: ყოფილან: ხატითა: აბჯრითა: ში-  
ნა და გარე ყმითა: ყოულითა იარალითა: თოდოდენი: ვარდან: და  
გიგი: მერმე: დავსხედით: თავად: პატონი: (sic) მეფეთმეფე: კოსტან-  
ტინე: და ჩუნი: დარბაისელნი: და გაუჩინეთ: სრული: და უკ-  
ლები: სისხლი: თოდოდეთა: ორას: სამოცი: ათასი: თეთრი: სის-  
ხლად: დაგუერებოდეს: დიდთაგან: და მცირეთაგან: უზედესთა:  
და უქუედაესთაგან: ესე: ჩუნგან: ნდომითი: გაჩენილი: სისხლი:  
ორას: სამოცი: ათასი: თეთრი: გაგვიჩენია: სისხლად: დაგუეუროს:  
საზაოსა: და სანახშიროსა: გარეთ: და ცამეტი: ათასი: თეთრი:  
სანახშიროდ: გარდაგიხადოს: ნუმცა: ოდეს: კადრებულ არს შლად  
და ქცევად<sup>2)</sup> ამისდა: რომე ღთისა: სამართალისა: შიდა: (შესწორებ.:  
მედა) შეუშვით: ლაშქარს: ვიყავით: სამი: თათარი: გამოიჩინა:  
ყაინმან: ვითა: სამი ქრისტიანე: შეაბითო: სამართალსა: ზედა:  
მერმე: ერთი: ესე: თოდოა: (sic) ვარდან: შევაბით: და ორი: სხვა:  
იპრიანა: ღმერთმან: და: სამივე: დაქრეს: და მოკლეს: ამისდა: სა-  
ჯილდოდ: გაუჩინეთ: სრული: და უკლები: სისხლი: ორას: სა-  
მოცი: ათასისა: გაგვიჩენია: და: გქონდეს: ძველი: ესე: აწა: და  
უკუნისამდის: აწა: ვინცა: ცოლი: წაგილოს: და ანუ: ასული:  
დაგიგდოს: ნახევარი: სისხლი: დაეუროს: ვინცა: დიდსა: პატონ-  
სა: ჩავასმინოს: მართალი: ანუ: ღალატი: ეცადოს: ნახევარი:  
სისხლი: დაეუროს: ვინცა: შიგნითი: დაგესხას: და ანუ: დაგწვას:  
იგივე: ნახევარი: სისხლი: (შესწორებ.: სისხლია) ვინცა: ჯოგი: გა-  
გიტეხოს: პირუტყუსა და ანუ ცხენისა: თუთხმეტი: ათასი: თეთ-  
რი: გარდაგიხადოს: და ნაძარცვი: შემოგაქციოს: ვინცა: მკუდა-  
რი: გაგიძარცოს: და ანუ: სასახლე (? შესწორებ.: სახათელა) გა-  
გიტეხოს: თორმეტი: ათასი: თეთრი: გარდაგიხადოს: ვინცა: უსა-  
მართლო: ქორი: დაგიგდოს: უმეცროდ თუ მართალი დარჩე: ნა-

<sup>1)</sup> ამ ადგილას სიტყვიდან ფარიჯანიანი შესწორებულია მე-16 საუკ. ხე-  
ლით ასე: მარად მთავარ ანგელოზის ეკლესიის კარს.

<sup>2)</sup> სიტყვიდან კადრებულ არის შესწორებულია მე-16 საუკ. ხელით ასე:  
მთავარ ანგელოზი კაჩხურის კართა.

ხევარსა: სისხლსა: ემატოს: ვინცა: ბაზიარი: ანუ: მეჯოგე: გი-  
 ცეს: ხუთი: ათასისა: თეთრისა: გარდაგიხადოს: ვინცა: უომარი:  
 ვაჭი: ანუ: ქალი: სკეს: და ანუ: გაძარცოს: მეოთხედი: სისხლი:  
 გარდაგიხადოს: ვინცა: ცოლი: გაგიუპატიო(ს): ძალითა: იგივე:  
 მეოთხედი: სისხლი: დაგეუროს: სხვა ნაკოდი: ნაძარცვი: ნაუპა-  
 ტიო სასი(ს)ხლო (შესწარება: სასიგლო) საქმე ზემო სასისხლოსაგან:  
 იანგარიშეთ: და მათ მათითა: წესითა: დაეუროს: აწა ვინცა: ნა-  
 ხოთ: ბრძანება: ესე: ჩვენი: მეფეთა: დიდებულთა: თავადთა: ფთის-  
 კობაზთა: ერისთავთა: ეჯიბთა: მსახურთ უხუცესთა: ოთხმიზორ-  
 თა: მოლარეთა: უხუცესთა: მესტუმრეთა: მეჯინბეთუხუცესთა: და  
 ყოველთა: კარისა: ჩუენისა: ვაზირთა: და მოურაუთა: ხელის მქო-  
 ნებელთა: ერთბამად: დაუმტკიცეთ: აწა: ქრისტეს: მიერ: კურთ-  
 ხეულნო: ებისკობაზნო: ქათალიკოზნო: ესე: ჩუენი: ვაჩენილნი:  
 სიგელი: თქუენითა: ჯუვარითა და კურთხევეთა: თქუნცა (sic) აგრე:  
 დაუმტკიცეთ: [ა]მისნი დამხლო[მნი და მო]წამენი არიან. მერე---  
 შავასძე ჯაენი (sic) ცოტნე ფარიჯანიანი ერისთავი შონელასძე გიორ-  
 გი გელაზ--- არიანი დაიწერა სიგელი სასისხლო ესე თვესა დეკენე-  
 ბერსა (sic) ხუთსა და დღესა პარასკეუსა ჯუარისასა პატიონისასა  
 ეამსა (შესწარება: გუამსა) მექუსესა ხელითა კარისა მწიგნობრისა  
 ფილიპესითა: ამა: სიგელსა შიგან ესეცა: დაგვიწერია და ვაგვი-  
 ჩენია: მეპატრონესა კაცსა აბჟანდსა ჩამოეზიდოს წყალობა უყოს  
 და უბოძოს--- (შესწარება სამართალი) გოგის და ვარდანს მომა-  
 ვალსა მათსა გუვარსა ფანჯიექი (შესწარება: ფანჯიკი) არა ვეთ-  
 ხოებოდეს აწა ვინცა ესე სიგელი დაწერილი უარყოს კურლ (sic)  
 წყეულ შეჩუენებულომც: არის: ქრისტეს: მადლითა: და ნაწილი  
 მისი ურწმუნოსა თან დიდებობს ებლითას ლოაბი (?) დაბირონს თანა  
 დიდსა დღესა მას განკითხვისასა აქა და საუკუნოსა:  
 ხვეუჯად: ქ. მტკიცე არს ნებითა ღმრთისა ამენ და უკუნისამდენ.

საბუთი წარდგენილი ყოფილა სამეგრელოს მართებლობის საბჭო-  
 ში, რის შესახებ სიგელს აქვს მინაწერი რუსულად (სამეგრელოს მართ-  
 ველობის საბჭოს არქივი დაიღუპა 1919 წ., როდესაც ის ქუთაისის  
 მთელი საკუბერნიო არქივთან ერთად გაიყიდა ქუთაისის საკუბერნიო  
 კომისარის განკარგულებით). მინაწერიდან სჩანს, რომ თოღაძეთა გვა-  
 რი სამეგრელოში მობინადრე ყოფილა, რასაც სხვათა შორის ამტკი-  
 ცებს თვით სიგელში თოღაძის თოდოა-დ მოხსენება.

Сей документъ въ Совѣтъ Управленія Мингрелією крестьяннвомъ  
 Тодуевымъ явленъ и въ книгу подлинникомъ. подъ № 829 записанъ въ  
 чемъ подписомъ присутствующихъ и приложеніемъ казенной печати  
 свидѣтельствуется.

Старшій членъ Совѣта (подпись)  
 (Печать) Членъ отъ дворянства К. Габунія  
 Секретарь Совѣта (подпись)

სიგელი ფრიად საყურადღებოა თავისი შინაარსით. ცნობა, ლაშ-  
ქარში ყანთან ყოფნიას სამართალზე სამი ქრისტიანის და სამი მაჰმა-  
დიანის შეპყობის შესახებ ყურადღებას იპყრობს თავისი თავისებურობით.  
საყურადღებოა აგრეთვე ცნობა ამ შებმაში გამარჯვებულ პირის შთა-  
მომავლობით ფანჯიეკიდან განთავისუფლების შესახებ.

**XIV.** მთავარარქივის თანამშრომელმა გიორგი ბოჭორიძემ მოგვა-  
წოდა მის მიერ მთაში პოვნილ და გადმოწერილ სასისხლო სიგელის  
ტექსტი. სიგელი დაწერილია ტყავზე, მაგრამ სამწუხაროდ სიგე-  
ლის უმეტესი ნაწილი გადასული ყოფილა იმდენად, რომ მისი წაკით-  
ხვა ტექსტის ხელოვნურ განცხოველებამდის შეუძლებელი ყოფილა.  
სიგელი მიცემულია ბაგრატ მეფის მიერ გერგეტელთა წმიდის სამების  
საყდრის შვილთათვის. პალეოგრაფიულად გადმოღებულ ცალკე სი-  
ტყვების ნიმუშების მიხედვით სიგელი შეიძლება მიეკუთვნოს მე-15  
საუკ. მეორე ნახევარს ან მე-16 საუკ. პირველ ნახევარს. სიგელის უფ-  
რო დანამდვილებით პალეოგრაფიული თვალსაზრისით დასათარიღებ-  
ლად საჭირო იქნებოდა სიგელის დედნის გასინჯვა. ჩვენის აზრით სი-  
გელი უნდა ეკუთვნოდეს ბაგრატ გიორგის ძეს (1455—1478), რომე-  
მელიც 1466 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოსაც, ყოველს შემ-  
თხვევაში ქართლს ფლობდა. ნაკლებ მისაღებად უნდა სჩანდეს სიგე-  
ლის მიკუთვნება ბაგრატ კოსტანტინესძე მუხრან-ბატონისთვის მე-  
16 საუკ. პირველ ნახევარში, თუკაც, როგორც ცნობილია, ეს ბაგრატ  
მუხრან-ბატონი მეფის ხარისხს ატარებდა. რომ სიგელის მიმცემი სწო-  
რედ მეთე ბაგრატ გიორგის ძე უნდა იყოს, ამისი მაჩვენებელი შესა-  
ძლებელია იყოს ის გარემოება, რომ სიგელში მოხსენებულია: (გერ-  
გეტელთა სიგელი) „ჩუენთა გუართაცა დაემტკიცებინათ]-ო“. ბაგრატ  
გიორგის ძე არ იყო აღმოსავლეთ საქართველოს ბაგრატიონთა შტოს  
წევრი, ამიტომ ამ ადგილას ნაცვლად ჩვეულებრივ მიღებულ გამოთ-  
ქმისა („მამა-პაპათა“ ანდა „ჩუენთა შთამომავალთა მეფეთა“) „გვარის“  
მოხსენება შესაძლებელია სიგელის ამა თუ იმ მეფისთვის მიკუთვნების  
თვალსაზრისით მთლად მნიშვნელობას არ იყოს მოკლებული.

სიგელის ტექსტი იკითხვის შემდეგნაირად:

ქ: ჩუენ: ლთივ გუირგუინოსანმა მეფეთა მეფემან ბაგრატ ესემტკიცე  
უქცვეელი: ბა და სიგელი ამისად: ნიშანი გიბოძეთ: თქუენ: გერგეტე-  
ლთა: საყდრიშვილთა: წმიდისა: სამებისა: მოსამსახურეთ საყდრი:  
შვილთა: ასრე და: ამა: პირსა: ზედან რომე: თუ ვისმე თქუენი: განი  
კაცი შე[ა]კუდეს: სამ სისხლად: აზლუევინეთ: ამის[თ]ჯს რუმე: ძუელი:  
სიგელიცა: გქონდა: და ჩუენთა: გუართაცა: დაემტკიცებინათ]  
ვნახენით: სიგელი: და გავსინჯეთ: და: დიდი: სისხლი: ეწერა: თქუ-

ენი: ჩუენცა: ახლად: დაგიმტკიცეთ ასრე და: ამა: პირსა ზედან:  
რომე ენცა თქუენის: ადგილისა: გერგეტელს: კაც[ი] [მ]ოკლას:---  
სიგელი საყურადღებოა სისხლის ერთი სამად გადიდების მოხსენე-  
ბით. სრგელი ამასთანავე დაკავშირებულია არა ცალკე გვარეულობას-  
თან, არამედ მთელი სოფლის მოსახლეობასთან.

ზემოდ მოყვანილი სასისხლო სიგელები სხვა უკვე ცნობილ ანალო-  
გიურ საბუთებთან ერთად უნდა ჩაითვალოს ფრიად საინტერესო ძეგ-  
ლებად. ჩვენი სამართლის ისტორიისათვის. კერძოდ სახელმწიფოებრივ  
წყობილებისა და აგრეთვე პოლიტიკური ისტორიის ცალკე საკითხების  
გასარკვევად ისინი წარმოადგენენ ფრიად საყურადღებო დასაყრდნობ  
მასალას. დეტალური განხილვა ყველა სასისხლო სიგელებისა ამ მხრივ  
ექვს გარეშეა დიდი შედეგების მომცემი იქნება. ჩვენ ამ ჟამად შევეხე-  
ბით ზემოდ მოყვანილ სასისხლო სიგელებთან დაკავშირებით მხოლოდ  
ზოგიერთ კერძო საკითხს, რომელსაც აქვს მნიშვნელობა ქართული  
სამართლის ისტორიის განვითარებისთვის. ამ შემთხვევაშიც სასისხლო  
სიგელები შეიძლება მასალად გამოყენებულ იქნას მხოლოდ განსაზ-  
ღვრული დროიდან, სახელდობრ მე-13 საუკუნიდან, რადგანაც ამაზე  
აღრინდელ სასისხლო სიგელებს ჩვენამდის არ მოუღწევია. უძველესი  
სასისხლო სიგელი, რომელიც ჯერჯერობით ჩვენ ვიცით, ეს არის ზე-  
მოდ დაბეჭდილი 1251 წლის სიგელი დავით ნარინისა. თავის თავად  
იგულისხმება, რომ სისხლზე აგებული სამართალი, თავისი წარმოშობით  
საგვარო წყობილებაზე დამყარებული, ადრე ხანებში იპოვიდა ჩვენში-  
დაც ერთგვარ უფლებრივ ჩამოყალიბებას, მაგრამ თუ ამის შესახებ ჯერ-  
ჯერობით არ მოიპოვება მე-13 საუკუნეზე აღრინდელი ტექსტუალური  
დადასტურება, ეს უნდა აიხსნას, რასაკვირველია, განვლილ საუკუნეთა  
მანძილით, რამაც შემდეგ საუკუნეებში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში  
მომხდარ ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ განვითარების პირო-  
ბების გარდაქმნის გამო ძველი სასისხლო სიგელები, როგორც იური-  
დიული დოკუმენტები, გახდა უსარგებლო და ამიტომ დაღუპვისაგა-  
ნაც ნაკლებ უზრუნველყოფილი. ამასთან დაკავშირებით საყურად-  
ღებოა ის გარემოებაც, რომ მოწვეულ სასისხლო სიგელების  
უმეტესობა მომდინარეობს დასავლ. საქართველოდან, მაშინ როდესაც  
აღმოსავლეთ საქართველოდან ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ  
რამოდენიმე სიგელი—მათ შორის ზემოდ მოყვანილი საბუთი ვაჩნაძეთა.  
ეს გარემოება, ჩვენის აზრით, იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ  
სასისხლო სიგელების საჭიროება ქართლ-კახეთში უფრო ადრე შესუსტ-  
და, ვიდრე ლიხთ-იმერეთს. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ვახტანგ VI-ის  
დროს ქართლში ჯერ კიდევ ქონდათ ცალკე გვარეულობათ დაცული



ძველი სასისხლო სიგელები. ვახტანგ სჯულმდებელი თავის კანონების მე-23 მუხლში ამას გარკვევით ადასტურებს. ეს დადასტურება საინტერესოა კიდევ იმით, რომ ვახტანგ VI-ის წარმოდგენით ცალკე გვარეულობათა სისხლი ძველად თვალსაჩინოდ უფრო მეტს ფასობდა, ვიდრე ეს მის დროს, ქვეყნის ეკონომიურად დაცემის გამო, შესაძლებელი იყო. ვინაიდან ვახტანგის ამ მოწმობას აქვს მნიშვნელობა ძველი სასისხლო სიგელების რეალურად შესაფასებლად, ამიტომ ის აქვე მოგვყავს. „არიან ზოგნი თავადნი და აზნაურნი, ძველითგან კელმწიფეთაგან სისხლის განაჩენები აქვსთ, იმისი ჩვენ არა დაგვიწერია, ამიტომ რომე არიან თავადნი; მაშინდელს დიდებაზე ისრევ მოუშლელნი იყვნენ და არიან ზოგნი ჩამომცრობილიყვენ და ზოგნი მდაბალნი ამაღლებულიყვენ. ამიტომ იქ ძველის განაჩენებით თუ არ მოუშლელის დიდებულისას ჩვენ ვერას ვიტყვით. რომელსაც მოსამართლის ჟამში მათი საჩივარი და განაჩენები მოვიდეს, იმისი იმან იცის. მაგრამ მე ასრე მგონია იმ ძველს განაჩენებზედ სამართალი ძნელი იყოს, ამიტომ რომე მაშინ ქართველი ბატონიც დიდი კელმწიფე ყოფილა, დიდნი ალაგი სჭერია და მის თავადსაც მ.მ.შლი და მორკმა ბევრი ჰქონებიათ, ამიტომ ის განაჩენები უბოძებიათ. ახლა მაშინდელზე ქართველს ბატონსაც ბევრი ადგილი აკლია და მისი თავადიც მამულზე დამცრობილა, გაყრილა და მისი სიდიდე თვითანვე დაუჩაგრავს. ამ განაჩენით ან იმის სისხლი როგორ აეღების და ან მიცემას როგორ შეიძლებს ვინმე. რაც ახლა სისხლები გავვიჩენია, ვეჭობ ესეკ კმარიყოს“ (ვახტ. სამარ., § 23).

ამ ცნობიდან ცხადად სჩანს, რომ ვახტანგის დროს ქართლში კიდევ ყოფილა საქართველოს დაყოფის წინააღმდეგობა, მაშასადამე მე-15 საუკ. და ამაზე ადრინდელი სასისხლო საბუთები, რომელთა უფლებრივი მნიშვნელობა უკვე თვალსაჩინოდ შესუსტებული იყო. ვახტანგის კანონების გამოცემის შემდეგ ამ სისხლის სიგელებს დაეკარგათ ყოველგვარი პრაქტიკული მნიშვნელობა და მე-18 საუკუნის სიგრძეზედვე სასისხლო სიგელების დარჩენილი ნაწილიც დაიღუპა. მაგრამ არა თუ მე-18 საუკუნეში, უფრო ადრეც ამისა ქართლ-კახეთში სასისხლო სიგელების მნიშვნელობა შესუსტებულად სჩანს. ამას უნდა ადასტურებდეს ის გარემოება, რომ ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მე-16—17 საუკუნეთა წარმოშობის არც ერთი სასისხლო სიგელი არა სჩანს, თუ არ ჩავთვლით მალაღამეთა 1675 წლის სიგელს (ქრონიკ. II, 489), რომლის შინაარსი ქვემოთ მოყვანილი იქნება და რომელიც არსებითად ძველი სიგელის გადმონაწერს წარმოადგენს. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ზიდმოხსენებული ცნობა ვახტანგ სჯულმდებელისა სასისხლო სიგელების შესახებ თითქოს გულისხმობს მე-15 და მის უწინარეს დროს სასისხლო სიგელების არსებობას ქართლში. თუმცა არა პირდაპირ,

მაგრამ მაინც ეს ცნობა უნდა გვიჩვენებდეს, რომ მე-15 საუკ. შემდეგ ქართლში სასისხლო სიგელების მიცემა თუ არ შეჩერებულა, ყოველს შემთხვევაში ძლიერ შესუსტებულა.

ამ ფრიად მნიშვნელოვან გარემოების გასარკვევად საჭიროა მხედველობაში იქმნას მიღებული, რომ ყველა დასავლეთ საქართველოს წარმოშობის სასისხლო სიგელები, როგორც ზემოდ დაბეჭდილი, ისე წინადაც ლიტერატურაში ცნობილი, დაწყებული მე-13 საუკუნიდან და გათავებული ტყავაძეების 1601 წლის სიგელით, შეიცავს სისხლის დაწვრილებით განსაზღვრას გარკვეულ დანაშაულობათათვის და თუმცა ეს განსაზღვრა ჩვეულებრივ თითქმის ერთი და იმავე სისტემაზეა აგებული, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შიგადაშიგ ცალკე დანაშაულობათა კვალი ფიკციის დროს სიგელებს შორის მაინც ვხვდებით განსხვავებას. ქალის დაგდებისათვის, მაგ., ჩვეულებრივ სისხლის ნახევარია დადებული, მაგრამ ზემოდ დაბეჭდილ დავით მეფის მიერ 1486—1488 წ. მიცემულ მანნარაძეთა სასისხლო სიგელში ამავე დანაშაულისათვის გარდაწყვეტილია სისხლის მესამედი. ექვსი ასოთაგან დაშვებისათვის ნიქაბაძეთა 1251 წლის სიგელში სისხლის ნახევარია განსაზღვრული, იმავე ნიქაბაძეთა 1325 წლის სიგელში— $\frac{1}{6}$  სისხლისა (ზემოდ, გვ. 5 და 8), ხოლო თულასძეთა 1446 წლის სიგელში—სისხლის  $\frac{1}{3}$  (ს. კაკაბ., ბაგრატი მეფე, მე-15 საუკ. რაჭა-არგვეთის მფლ., ტფ. 1913 წ., 4). ტყავაძეთა 1601 წლის სიგელში კიდევ ქალის დაგდებისათვის სისხლის მესამედი განსაზღვრული და, მაგ., კბილის ჩაგდებინებისათვის სისხლის მეშვიდედი. ეს გარემოება, რომლის მაგალითების გამრავლება ადვილია, ცხად ყოფს, რომ ლიხთ-იმერეთს არ იყო შემუშავებული მე-13—16 საუკუნეთა სიგრძეზე განსაზღვრული და ზოგადი ხასიათის კანონმდებლობითი ნორმები ცალკე დანაშაულობათათვის პროპორციულად სისხლის რაოდენობის გასარკვევად და კანონმდებლობითი ძალა იძულებული იყო სისხლის რაოდენობა ცალკე დანაშაულობათათვის ყოველ კერძო შემთხვევაში ცალკე განესაზღვრა. სხვა მდგომარეობას ვხედავთ კახეთიდან წარმოშობილს ზემოდ მოყვანილს ვაჩნაძეთა სასისხლო სიგელში. აქ განსაზღვრულია საერთოდ სისხლის რაოდენობა, ხოლო დეტალების შესახებ მეფე იხსენიებს „დიდი ბრჭობის განაჩენს“. „გაგიჩინეთ თქუენისა გვარისა კაც(ი)სა სისხლად რვა ასი ათასი ძველი კირმანაული თეთრი, სანახშიროსა და საზაოსი გარეთ და სანახშიროთ და საზაოთ გაგიჩინეთ ორასი ათასი კირმანაული თეთრი. ვინცა უბრალოდ მოგკლას ანუ გილალატოს, ანუ დაგკოდოს, ანუ სასაზღესა დაგესხას, ანუ არგნითა და მჯილითა გცეს, გინა ქალი დაგიგდოს, ანუ კბილი ჩაგაგდებინოს, გინა ცხვირპირი ჩაგ(ი)ლევწოს, ანუ მზირად ჩაგიჯდეს და რაგინდ რაშე ვინ უკაცრავი გიყოს, ანუ დიდმან და ანუ მცირემან, რა რიგადცა დიდსა

ბრჭობისა განაჩენსა შიგან სწერია იმა წესითა ამა რვა ასი ათასისა კირ-  
მანაულისა ანგარიშისა თეთრი დაგიუროს“ (ზემოდ, გვ. 41).

ამ ციტატიდან ცხადია, რომ მე-15 საუკუნეში ქართლ-კახეთში უკვე არსებობდა „დიდი ბრჭობისა განაჩენი“, კანონმდებლობითი ძეგ-  
ლი, რომელსაც საყოველთაო მნიშვნელობა ჰქონდა. ქართული სამართ-  
ლის ისტორიისათვის ამ გარემოების დადასტურებას აქვს; რასაკვირვე-  
ლია, თვალსაჩინო მნიშვნელობა. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ვახ-  
ტანგ სჯულმდებელი თავისი კანონების სისხლის განაჩენის ნაწილში  
პირდაპირ ამბობს (§ 34) — «ეს სისხლის განაჩენები რაც დაგვიწერია,  
ძვილად განაჩენი დაგვიწერია, თუ არა სხვისა არა დაგვირთავს რა“.  
ცნობა არის ფრიად საყურადღებო. ეს ძველიდან გადმოდებული სისხ-  
ლის განაჩენები ვახტანგს მოთავსებული აქვს თავისი კანონების §§  
25—34-ში ტექსტი ამ განაჩენებისა მათი გარჩევის გასაადვილებლად  
მოგვყავს აქვე.

§ 25. მეფისა და კათალიკოზის საქმე უკადრისი თუ რაც რამ  
ფერხ, ორისავ სწორი არის, ამიტომ რომ ერთი კორცის კელმ-  
წიფე არის და მეორე სულის. კურთხევა და პატივიც ღვთი-  
საგან და კაცთაგან სწორედ აქვსთ, დასტურ მეფეს უფროსს პა-  
ტივს სცემენ, მაგრამ კორციულის შიშით იქმენ. ამიტომ მათი  
საქმე ჩვენ სწორედ დაგვიწერია. თუ არა სჯობდეს, ვინც უკეთ  
იკოდეს ჩვენ ნურას გვაბრალებს. ნუმცა ვინ იკადრებს და ნუმცა  
ვინ შევთხვევის, ესე ვითარი ავნებს კოცსა და უმეტესად სულო-  
სა, ნუცა საღმრთო კაცისა და ნურცა სხვათა ძეთა ამისათა რო-  
მელსამე ვხმობ, ესე ვითარი ნუთუ პირველითგანვე სამოთხილამ  
პირველისა მამის ადამის გამომძებნელმან, მარადის მბრძოლმან და  
მტერმან უხილავმან ეშმაკმან თვისითა მანქანებითა და საბრხე გე-  
ბითა აღძრას ბუნებანი კაცთანი შურად და კვლად კაცისად გინა  
სამლოთოგანთა ზედან, გინდა თუ დიდებულთა და თავადსა ზედან,  
ანუ თუ აზნაურთა და გლეხთა ზედან, ანუ თუ მამა ძესა და ძე  
მამაზედა, გინა ძმა ძმაზედა და მოყვასი მოყვასზედა. ესე ვითარს  
საქმეს შევთხვევის, მასუკან ამის მეტი აღარა გაეწყობის რა, რო-  
გორც დაგვიწეროს, ასრე უნდა იქნას.

§ 26. დიდებულის თავადის მთელი სიკვდილის სისხლი ათას ხუთას-  
ას ოცდა თექვსმეტი თუმანი.  
ამ დიდებულის თავადის ტოლად მთავარეფისკოპოზის სისხლი. ამ  
მთავარეფისკოპოზის სისხლზე მენუთედ ნაკლებად მიტრაპოლიტას  
სისხლი.

§ 27. დიდებულის ქვემოთის შუათის თავადის სისხლი შვიდას სა-  
მოცდა რვა თუმანი. ამასთან ასრე ეფისკოპოზის სისხლი.

§ 28. ამას ქვემოს მესამეს თავადის სისხლი სამას ოთხმოცდა ოთხი თუმანი. ამასთან ასრე არქიმანდრიტის სისხლი.

§ 29. გადიღებულის აზნაურის სისხლი ას ოთხმოცდა თორმეტი თუმანი. ამასთან ასრე წინამძღვრის სისხლი.

§ 30. ამას ქვემოთის შუას აზნაურის სისხლი ოთხმოცდა თექვსმეტი თუმანი.

ამასთან ასრე მღვდელმონაზონის სისხლი. ამასთანავე ამის მეხუთედად სისხლ ნაკლებით მწირის მონაზონის. ამ შუას აზნაურის მთელის სისხლის ტოლადვე დიდებულის დიდ ვაჭრის მოქალაქის სისხლი.

§ 31. ცალ მოგვის მესამის აზნაურის სისხლი ორმოცდარვა თუმანი. ამასთან ასრე მღვდლის სისხლი. ამასთან დიდებულის ვაჭარს ქვემოთის ჰეორეს ვაჭრის სისხლი.

§ 32. ამასთან ასე დაკლებით მსახურის სისხლი ოცდა ოთხი თუმანი. ამასთან მთავარდიაკვნის სისხლი. ამასთან შუა ვაჭრის ქვემოთ მესამეს ვაჭრის სისხლი.

§ 33. გლეხის კაცის სისხლი თორმეტი თუმანი. ამასთან მეოთხე ვაჭრის სისხლი.

ესე ასე არის გარეგებული. გლეხის სისხლზე ერთი ორად მსახურისა არის. მსახურზე ერთი ორად ცალ მოგვის აზნაურისა, ცალ მოგვზე ერთი ორად შუას აზნაურშვილისა. შუას აზნაურ შვილზე ერთი ორად დიდის აზნაურშვილისა, დიდს აზნაურს შვილზე ერთი ორად დაბლის თავადისა, დაბლის თავადზე ერთი ორად შუას თავადისა, შუას თავადზე ერთი ორად დიდებულისა, სხვა სამლოთო კაცისა და ვაჭრისა თან უწერია. მეფისა და კათალიკოზისა და უფლის წულისა არა დაგვიწერია რა.

§ 34. ეს სისხლის განაჩენები რაც დაგვიწერია, ძველად განაჩენი დაგვიწერია, თუარა სხვისა არა დაგვირთავს რა, მაგრამე ზოგნი არიან კელმწიფის მოხელენი საქვეყნოთ თუ კარზედ გამრიგეთ, ამათი სიკვდილი და ქრილობა რომ მოხდეს ვისგანმე, იმათ სისხლი დადებულთანაც სდისთ, თავადთანაცა და აზნაურთანაც. ვისაც ჟამში მოხდეს, გვარობის სისხლს გარეთად სახელოს სისხლიც ზედ დაურთონ და ისოე გაუჩინონ. ესეცა არის, მოხელე თუ სხვა ბატონის წარვლენილი ყმა ბატონის სამსახურზე მოჟკლავთ, იმისი კიდევ მეტი არის. თუ ხელმწიფემ იმ მქნელს არ უწყრომა რაჟე, ის გვარეულობისა და სახელოს სისხლი რაც გაუჩნდეს, ის იკმარონ.

უკანასკნელად აქ მოყვანილ § მე-34-ში ვახტანგი კატეგორიულად ცხადებს, რომ მის კანონებში შეტანილი სისხლის განაჩენები „ძვე-



ლად განაჩენი“ ყოფილა. ჩვენთვის რასაკვირველია ძალიან საინტერესოა, თუ რომელ ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს ეს განაჩენი. გამოსავალ წერტილად ჩვენ უნდა ავიღოთ სათანადო ტექსტი იმ მოცულობით და რედაქციით, როგორც ეს ვახტანგის კანონშია მოხსენებული. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ, როგორც ზემოდ მოხსენებული იყო, 1455 წ. კახეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გაცემულა სასისხლო სიგელი (ვაჩნაძეთა). თუნდაც რომ ვახტანგის მიერ მოხსენებულს სისხლის ძველს განაჩენს თავის დროზე მხოლოდ აღმოსავლ. საქართველოში ჰქონოდა ოფიციალური მსვლელობა, მაინც თვით თაქტი ვაჩნაძეთა სისხლის სიგელის გაცემისა 1455 წელს ცხად ყოფს განაჩენის term. ante quem non ხანას. სისხლის ძველ განაჩენის შედგენის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს ვახტანგის მიერ შეტანილ სიას დიდებულ თავადებისას, რომელიც განაჩენს თან მისდევს სამართლის მე-15 მუხლის სახით. „დიდებული თავადი ეს არის: ერთი თავი თვითონ არაგვის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ქსნის ერისთავი, გაუყრელი ერთი თავი თვითონ ამილახვარი, გაუყრელი ერთი თავი ორბელიშვილი, როსცა გაუყრელხ ყოფილა ციციშვილი. ამათ თან კი არა და სომხითის მელიქიც ითქმის. ამათ გარდაისად ამათსავე სახლის კაცებს ამათთანა სისხლი არა სდის, სხვა უფროსი თავადი რომ დაგვიწერია დიდებულის ქვეითი, იმათოდენი სისხლი ედინების“. სია, როგორც ეს ტექსტის ხასიათიდან სჩანს, ვახტანგის მიერ არ არის შემუშავებული, არამედ აქ ადგილი აქვს, ექვს გარეშეა, წინადროინდელ ხანის ამოძალილს. ამას ამტკიცებს ციციშვილის და სომხითის მელიქის უკუთქმით დიდებულთა სიაში შეტანა. ციციშვილი ვახტანგის დროს გვარის გაყრილობის მიზეზით, როგორც სჩანს, უკვე დიდებული არ არის. აგრევე სომხითის მელიქიც, რომელიც ამ დროს შედარებით დამცირებული ყოფილა. მართლაც საინტერესოა, რომ თავისს სამართლის შესავალში ვახტანგი ჩამოთვლის იმ პირებს, რომელთა „დამოწმებითა და თანაზრახვითა“ შედგენილ და დამტკიცებულ იქმნა სამართალი. ეს პირნი, დომენტი კათალიკოზის გარდა, არიან—მუხრანის ბატონი ერეკლე, არაგვის ერისთავი გიორგი, ქსნის ერისთავი დავით, ორბელიძე სარდარი ლუარსაბ, ამილახვარი ავთანდილ და მდივანბეგი ერასტი ორბელისშვილი (ყაფლანიშვილი). უკანასკნელი პირი, როგორც სჩანს, დასახელებულია თანამდებობის მიხედვით. როგორც მდივანბეგს, მას უშუალოდ მონაწილეობა უნდა მიეღო სამართლის შედგენაში. აქ ამგვარად არ იხსენიებიან ციციშვილი და სომხითის მელიქიც, მაგრამ ისინი, როგორც ვნახეთ, მაინც მოხსენებული არიან სამართლის მე-15 მუხლში სხვა დიდებულებთან ერთად. ვახტანგს ამიტომ, საფიქრებელია, ალბად ხელთ ჰქონდა დიდებულთა ისეთი სია, რომელშიდაც ციციშვილი და სომხით

თის მელიქიც შეტანილი იყვნენ. აღსანიშნავია, რომ მე-16 საუკ. პირველ ნახევარში სომხითის მართველი მაშინდელ ქართულ წყაროებში სომხითის ერისთავთ-ერისთავად არის დასახელებული და ისიც დადიან-გურიელთან და შარვანის ერისთავთ-ერისთავთან ერთად. ამას ვხედავთ 1529 წლის გელათის საეპისკოპოზო კათედრის დაფუძნების ძეგლში (ს. კაკაბ., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები I, 11), და აგრეთვე ნიკოზწმინდის 1544 წლის სიგელში (ს. კაკაბაძე, სჯულმდ. ბაგრატ კურაპ., 8), რომელშიც მოხსენებული არიან ერთად „ათაბაგნი და სპასალარნი, დადიანი და გურიელი, შირვანისა და სომხითისა ერისთავთ-ერისთავნი“. ეს სომხითის ერისთავთ-ერისთავნი მე-16 საუკუნეში კრდე ათაბაგებად იწოდებოდნენ, ყოველს შემთხვევაში მე-16 საუკუნის მეორე ნახევარშიდაც და მე-17 საუკ. პირველ წლებში, როგორც ამას ადასტურებს მე-17 საუკ. მწერალი არაქელი (*Քիրք պատմութեանց*, 1669 წ. გამ., 15). მე-16—17 საუკ. მიჯნაზე ათაბაგის სახლის, რომელიც არაქელის სიტყვით ქართული შთამომავლობისა იყო, თავი კაცები გადადიან მაჰმადიანობაში. ქართული სომხითი ამის შემდეგ დანარჩენ ქართლთან შედარებით სპარსეთის უფრო მეტს პოლიტიკურ ზედგავლენას განიცდის. როსტომ მეფის დროიდან სომხითის მელიქნი უკვე ქართლის თავადების პირველ რიგში არ სჩანან: ამისდა მიხედვით საფიქრებელია, რომ სომხითის ერისთავთ-ერისთავთა, იგივე ათაბაგთა, შემდეგ მელიქად წოდებულთა დიდებულ თავადების რიცხვში გულისხმობა დანამდვილებით მე-16 საუკუნეში უნდა იყოს შესაძლებელი. ეს გარემოებაც უკავშირებს ს ი ს ხ ლ ი ს გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს მე-16 საუკუნეს.

დიდებულთა ნუსხა, ისე როგორც ის ვახტანგს აქვს მოყვანილი, შეიცავს ზოგს მისდროინდელ გლოსას. ასეთი უნდა იყოს, მაგალითად, ორბელისშვილის დიდებულთა რიცხვში მოხსენება. მე-16 საუკუნეში ორბელისშვილნი ახალი გამოყოფილნი იყვნენ. ორბელ ბარათაშვილის გაყრა იოთამისაგან 1536 წ. მოხდა (ს. კაკაბ., ბარათიანთ გაყრის წიგნი 1536 წ., ს ა ი ს ტ. მ ო ა მ ბ ე, წ. I, 175—192). იოთამიშვილების შტო აჰასთანავე უფროსობის მატარებლად სჩანს და მხოლოდ მე-17 საუკ. პირველ ნახევრიდან, როგორც საბუთების შესწავლიდან სჩანს, იწყება ორბელიშვილთა გვარის დაწინაურება მაშინ, როდესაც იოთამიშვილნი დაქუცმაცდნენ, სხვათა შორის ალბად გაყრის მიზეზითაც. შესაძლებელია ასევე ვახტანგის დროინდელ მდგომარეობის ანარეკლს წარმოადგენდეს დიდებულთა სიაში პირველ ადგილას არაგვის ერისთავის მოხსენება. ყოველს შემთხვევაში მე-16 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, სახელდობრ სვიმონის მეფობის მეორე ნაწილში არაგვის ერისთავის უპირატესობის, სხვა ქართლის დიდებულებთან შე-

დარებით, კანონით ასეთი დადასტურება ძნელი დასაშვები იქნებოდა, რადგან ამ დროს არაგვის ერისთავობა ახალი დაპყრობილი ჰქონდა ვანათელ აზნაურს, გვართი მაშასადამე არც თუ დიდი ჩამომავლობისას (ქ. ცხ., II, 37). თუ მივიღებთ მხედველობაში რომ არაგვის ერისთავი შესაძლებელია თავდაპირველადაც ყოფილიყო ნუსხაში შეტანილი, აგრეთვე გავითვალისწინებთ სისხლის განაჩენის საერთო ხასიათს, განსაკუთრებით დასავლ. საქართველოს მე-16 საუკუნის პირველ ნახევრის სასისხლო სიგელებთან შეფარდებით, რომელთაგან ის, როგორც დავინახავთ, სისხლის რაოდენობის განსაზღვრაში მაინც საკმაოდ განსხვავდება, შეიძლება, განაჩენის ზოგად ნიშანდობლივ თვისებების მიხედვით სისხლის განაჩენის შედგენის დრო მე-16 საუკუნის სიგარძეზე უფრო მე-1570—1580 წლებით განსაზღვრულ იქმნას.

სისხლის განაჩენი წარმოადგენს ფაქტიურად სისხლის საკითხის კოდიფიკაციას წოდებრივ დანაწილებისთვის ანგარიშის გაწევით. ამ მხრივ განაჩენი წარმოადგენს, ნაცვლად ყოველ კერძო შემთხვევაში სასისხლო საქმის სეპარატულად გარდაწყვეტისა, როგორც ამას მე-16 საუკუნემდის ვხედავთ, სამართლის წარმოებისთვის ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხის საერთო საკანონმდებლო გზით და ფართო სახელმწიფო მასშტაბით სრულს ამოწურვას. სასისხლო საქმის კერძობით მოგვარებას ემსახურებოდა „დიდის ბრჭობისა განაჩენიც“, რომელიც ვაჩნაძეთა 1455 წლის სასისხლო სიგელში იხსენიება როგორც არსებული ფაქტი. სახელდობრ ამ განაჩენში დადასტურებული ყოფილა ცალკე სასისხლო დანაშაულობათა ფასის პროპორციული ურთიერთობა. დიდის ბრჭობის განაჩენის შემდეგ, რომელსაც, როგორც სჩანს, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ჰქონდა პრაქტიკული მსვლელობა, უკვე საკმარისი იყო ცალკე გვარეულობის სისხლის რაოდენობის ჩვენება კერძო დანაშაულობათა პროპორციულ ფასის აღუნიშვნელად. მე-16 საუკუნეში ქართლში შედგენილი და გამოცემული სასისხლო განაჩენი კი საერთოდ სპობდა ცალკე გვარეულობათა განკერძოებით სისხლის ფასს და სასისხლო საქმის გარდაწყვეტას გარკვეულ წოდებრივ ჩარჩოებში ათავსებდა.

უნდა ითქვას აქასთანავე, რომ სასისხლო საქმის სახელმწიფოებრივ მასშტაბით და წოდებრივ ნიადაგზე დაყრდნობით გარდაწყვეტა მარტო სასისხლო განაჩენს არ ახასიათებს. ჯერ კიდევ ბექას სამართალში ვხედავთ გარკვევით ამავე გარემოებას. მხოლოდ, რადგანაც ბექას კანონებს სამცხე-შავეშეთ-ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ჰქონდა მსვლელობა, ამიტომ ბექას მიერ სასისხლო საქმის კოდიფიკაციას რეალური მნიშვნელობა პრაქტიკულად საქართველოს მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებისთვის უნდა ჰქონოდა. ყველა ამ საკითხების გარკვევა საქმი-

როა არა მართო ქართულ სამართლის ისტორიის თვალსაზრისით, ამის გარკვევას აქვს უაღრესი მნიშვნელობა მე-13—16 საუკუნის ქართულ სახელმწიფოებრიობის შინაგან როგორც კულტურულ, ისე სოციალურ სტრუქტურის გასაგებად, მით უმეტეს რომ საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში სასისხლო საქმე კანონმდებლობით სხვადასხვა სახით პოულობს თავისს ჩამოყალიბებას. მაშინ როდესაც დასავლ. საქართველო მე-17 საუკ. დასაწყისამდის შერჩა სასისხლო საქმის კერძობით გარდაწყვეტის პრაქტიკას, სახზრ.-დასავლ. საქართველოში (მესხეთში) ჯერ კიდევ მე 13 — 14 საუკ. მიჯნაზე ბექას დროს წარმოებს სასისხლო საქმის კანონმდებლობის გზით და ფართო სახელმწიფო მასშტაბით გარკვევა, და აზვევ პროცესს ვხედავთ ჩვენ ამიერ-საქართველოში მე-15 — 16 საუკუნის სიგრძეზე. ყველა ამ ფაქტებისთვის ანგარიშის გაწვევა აუცილებელ საქმეებს წარმოადგენს. მაგრამ უპირველეს ყოვლისა საქირთა თვით საკითხი სასისხლო საქმის კერძობით, სასისხლო სიგელების პრაქტიკით, კანონმდებლობით გარდაწყვეტისა სათანადოთ გარკვეულ იქნას. ზედმეტი არ იქნება ამიტომ ყველა აქამდის ცნობილ ან ზემოდ ეხლა გამოქვეყნებულ სასისხლო სიგელის აღრიცხვა ქართულ სამართალში მათი მნიშვნელობის და ადგილის გასარჩევად.

როგორც ახლად მოპოვებულ და ზემოდ მოყვანილ, ისე აგრეთვე აქამდის ბეჭდვით ცნობილ სასისხლო სიგელების ქრონოლოგიურ რიგზე დალაგებით მივიღებთ მათ შემდეგ ნუსხას.

I. სასისხლო სიგელი ნიქაბაძეთა (ზემოდ, გვ. 2—5), ბოძებული აფხაზთა მეფის დავით ნარინის მიერ 1251 წლის ახლოს. ნიქაბაძენი იხსენებიან როგორც „გელათისა წინა მღევნი და ყმანი“. სასისხლო—80 ათასი თეთრი ძველი ცხუმური.

II. იმავე ნიქაბაძეთა (=ნიქაბაძეთა) სასისხლო სიგელი. (ზემოდ, გვ. 5—7), ბოძებული აფხაზ-იმერეთის მეფის გიორგის მიერ, როგორც ზემოდ ნაჩვენები იყო, შესაძლებელია 1325 წელს. მეფე ხელახლავ ამტკიცებს ამ გვარის ძველად გაჩენილ სასისხლოს და განსაზღვრავს მას 100 ათ. ძველი თეთრით. ნიქაბაძე აქ მოხსენებულია ჩხეტაძის ყაღ.

III. მიქელ აფხაზ-იმერეთის მეფე 14 ქორონიკონს (1325 წელს სექტ.—1326 წ. აგვ.) ამტკიცებს მიქელაძის ძველს სასისხლოს 80 ათას ძველს კირმანულს თეთრს, სანახშიროდ 6 ათასს. ამ თანხის სათვალავში გოგიტაშვილმა მიქელაძეს მისცა „რვა ტანი აბჯარი მისითა მოწყობილობითა, მისცა შვიდი გლეხი მას, ცხენი და აბჯარი უთვალავი“ (საქ. სიძვ. II, 33—34).

IV. გელაძის სასისხლო სიგელი, მიცემული დავით მეფის მიერ (საქ. სიძვ. II, 34—35). ამ დავით მეფის ვინაობა გამოურკვეველია. შესაძლებელია, როგორც ამ სიგელის გამოცემისას ფიქრობდა ე. თა-



ყაი შვილი, რომ ეს დავიანთ იყოს გიორგი ბრწყინვალის შვილი დავითი, მაგრამ სიგელის საერთო ხასიათის მიხედვით და აგრეთვე, მიუხედავად სახელმწიფოებრივ ერთიანობისა, ლიხთ-იმერეთს ამ დროს მაინც ცალკე გამგებელ დინასტიურ შტოს არსებობის გამო ეს მოსაზრება რამოდენადმე საეჭვოდ სჩანს. სიგელი მაინც უფრო მე-14 საუკუნეს და ამ საუკუნის ნახევარს მან მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს, ვიდრე მე-15 საუკუნეს. ამ საკითხის გარდაწყვეტა გადავიღდებოდა სიგელის პალეოგრაფიულ თვისებების მიხედვით, მაგრამ სიგელის პირის ნახვა ჩვენ ვერ მოვახერხეთ. ამასთანავე სიგელის პირი შუა ადგილას, როგორც სჩანს, კარგად არ იკითხებოდა. სიგელი მიცემულია გელაძისადმი, ამ გვარის ერთი წევრის მკვლელობა გარდაიხადა სისხლი 80 ათასი კირმანელი. ამ თანხის ანგარიშში მან უდაღვა თორმეტი გლეხი, მისცა აბჯარი სიმრავლე, ცხენი სიმრავლე, ნაქსოვი და ხვასტაგი სიმრავლე, რითაც ვერ ამოუვიდა, აპატივა საყდარსა და მეფესა და ჭიდაობის ბაისელთა საყდრის შვილთა“.

V. ცირლილასძეთა სასისხლო სიგელი, მიცემული საქართველოს მეფის კოსტანტინეს მიერ 1408 წ. 4 ივნისს (საქ. სიძვ., III, 434—435. ს. კაკაბ. — გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფ. 1913 წ. გვ. 4—6). „მიუბოძეთ (გენათის მელვინეთუხუცესს ცირლილასძეს) ახლად ძეული იგივე სისხლი პაპ(ა)თა ჩუენთაგან გაჩენილი ასოცი ათასი ძეული თეთრი მისითა დასამსმელო სანახშიროთა“.

VI. სასისხლო სიგელი ყიფიანთა, მიცემული ბაგრატ მეფის მიერ (საქ. სიძვ. II, 398—399). სიგელი მოწვენილად სჩანს მე-15 საუკუნის პირის მიხედვით. რომ სიგელის ტექსტი თვით ასლი არ ყოფილა, ეს სჩანს იქიდან, რომ სიგელს არ ქონია ხელისმოწერა. სიგელი, ჩვენის აზრით, მისი საერთო ხასიათის მიხედვით მიცემული უნდა იყოს მე-15 საუკუნის დასაწყისში ბაგრატ აფხაზ-იმერეთის მეფის მიერ. ყიფიანთა სასისხლო „საყდრიშვილობით“ გაჩენილია „ოთხმოცი ათასი გოგაური თეთრი, ოცი ცხენი, სამი ქორი მისით ბაზიარითა და მეძებრითა“. გოგაური აქ, ცხადია, დამახინჯებული გიორგაული უნდა იყოს. რადგანაც ტექსტი, როგორც მოვიხსენიეთ, პირის მიხედვით არის დაბეჭდილი, ამიტომ შესაძლებელია ამ სიტყვის დამახინჯება თვით დედანში არ ყოფილიყო.

VII. ამავე მე-15 საუკუნის დასაწყისში აფხაზ-იმერეთის მეფის ბაგრატის მიერ მიცემული სასისხლო სიგელი გირგალიძეთა (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი საქართ. ისტორ. საკითხების შესახებ, I—3). გირგალიძე დასახელებულია მელვინეთუხუცესად, მისი სასისხლო ნაჩვენებია 200 ათ. ძეული თეთრი ყაზნაური (sic), „საზ(ა)ო.დ. შესამყრელოდ“ ექვსი ათასი, სანახშიროდ თხუთმეტი ათასი.

VIII. კოტრიძეთა სასისხლო სიგელი, ბოძებული აფხაზ-იმერეთის მეფის ვახტანგ (გორგასალის) მიერ 1432 წ. (ს. კაკაბ., ვახტანგ, უცნობი აფხ.-იმერ. მეფეთაგანი, 9—11). ეს ვახტანგ, ძე ზემოდ მოხსენებულ ბაგრატ აფხაზ-იმერეთის მეფისა, ეხლა უკვე კარგად ცნობილია. ის გარდაიცვალა 1445 წ.. სიგელი მიცემულია ქარულიძეების მიერ აბესალომ კოტრიძის მოკვლის გამო. „მოიღეს სიგელი კოტრიძეთა მეფეთა მეფის ვახტანგ გორგასლისაგან გაჩენილი და ძველადაც სულკურახელისა მეფისა დავით კურატპალატისაგან გაჩენილი სისხლი კოტრიძეთა ასოცი ათასი ძველი თეთრი, ორი ათასი სანახშირე საზაოთა საპიროთა<sup>1</sup> და ედიდა ქარულისძეთა ციცისა და მირიანსა და ამოვიდნეს ბატონის მეფეთმეფის ვახტანგ გორგასლისა [წინაშე] და ასრე უბრძანა ქარულიძეთა: კოტრიძენი ჩემნი სახასონი არიან და რაც ძველად გაჩენილი აქუსთ კოტრიძეთა, არას დაეამცრობ. მაშინლა წარმოდგეს კოტრიძენი<sup>2</sup> ვაკია, ნიშრუმანი, ჭურახი და იასიბულა და დაიფიცეს სახლიშვილი იყო მათი აბესალომ. ფიცეს ოთხთა კოტრიძეთა<sup>3</sup> და აღარცხმა ამოიღეს ქარულიძეთა და დაიჯერეს მეფის ბრძანება, გაეშართა სისხლზე და ქარულიძე[თ] გამოიყუანეს ქუთათისს ერთი აბლაცი ცხენი, ორი ათასად დაფასებული, მოჭედლით უნაგირითა, შეკაზმული, სანახშიროდ და ისი ხმალი, რომლითა მოკლა კოტრიძე—ესე სანახშირედ მოსცა და დაუდვა სოფელი ჭურისთავი, სამნი განაყოფნი კვისავიძენი და ორნი განაყოფნი ტაბირასძენი— გიორგი და მისნი შვილნი და წყისერს ფუტურაძე ბერი, გლახა მათითა მამულითა, ტყითა, ველითა, ვენახითა, მთითა, ბართა, სანადიროთა, ღუნდას ეკვლესიის წყლითა და საფლავითა უცილებელად, მეფისა და მოურავთა ბრძანებითა. ესე ქუთათისს იყო. ცხენი ისე შეკაზმული მეფესა მოახსენეს კოტრიძეთა. მეფემან ასრე უბრძანა ქარულიძეთა: გაუძედ წინა კოტრიძეთაო და რაც ჩვენითა ბრძანებითა და ამ მოურავთა ბრძანებითა ძველადგან გასჩენია, ნურას დააკლებ კოტრიძეთა. აღიყუანა სორს ქარულიძემან და მოსცა ერთი ჯაჭვი მოწყობილი მისითა ყოვლითა, რკინის ქალამანი და ერთი საზროხო ქუაბი, ერთი ჭირღათო, ერთი ოთხთავი, ორი ჯორი, ხუთი ცხენი, თორმეტი ხარი, სამი ორხუა ნაქუსოვი, ორი ტყავი სინჯაფისანი და სხუა საჩუქარი დიდი მოსცა<sup>4</sup> კოტრიძეთა და გარდასწყვიტეს იგი“ (ს. კაკაბ., ვახტანგ, უცნობი აფხ.-იმ. მეფ., 10—11).

სიგელი არის თავისი დეტალებით ფრიად საყურადღებო. კოტრიძეების მიერ თავისი ძველი სასისხლო სიგელის დავით კურატ-

1) კოპიოში: გუპირულა (?).  
 2) კობ.: ბაქრიძენი.  
 3) კობ.: ბაქრიძეთა.  
 4) კობ.: ბაქრიძეთა და.

პალატის სახელთან დაკავშირება, რასაკვირველია, გაუგებრობას წარმოადგენს. დავითის სახელით აქ; ალბად, იგულისხმებოდა დავით ნარინი.

IX. გელოანის, სვანთა ერისთავის, სასისხლო სიგელი, მიცემული ბაგრატ მეფის, მისი თანამეცხედრის ელენესი და ძის ვახტანგის სახელით (საქ. სიძე. II, 514—515). სასისხლო—ორი ათი ათასი კირმანეული თეთრი... „სანახშირე ორმოცი ათასი, სავირო და საზაო თორმეტი ათასი“ და სხ.. ჩვენამდის მოწვევული ყოფილა არა თვით დედანი, არამედ სიგელის ძველი პირი, ტყავზე დაწერილი. ეს სჩანს სიგელის ბოლო მინაწერიდან: „მე გურგენასა, მამისასა, ბევროზასა, მამუასა ჩუენ ძმათა გარდმოვიწერეთ სვანეთიდან დიდათა მოქირვებითა და ქრთამითა“. ამის გამო ჩვენ გვგონია; რომ სისხლის რაოდენობა ძველადვე დედნიდან სწორად არ უნდა ყოფილიყო გადმოწერილი, თუ რასაკვირველია აქ ადგილი არა აქვს ე. თაყაიშვილის მიერ სიგელის წაკითხვის დროს დაშვებულ შეცდომას. ნაცვლად „ორი ათი ათასისა“ ჩვენის აზრით უნდა იკითხებოდეს „ორი ასი ათასი კირმანეული თეთრა“.

სიგელის მიმცემი ბაგრატ მეფე უნდა იყოს მე-15 საუკუნის დასაწყისის აფხაზ-იმერეთის მეფე ბაგრატ, რომელსაც, როგორც ეხლა უკვე გამორკვეულია (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი, 1—6); შეუდგა შვილი მისი ვახტანგ გორგასალად წოდებული.

X. გურალიძეთა სასისხლო სიგელი, მიცემული 120 ქორონიკონს (1432 წ.). იმავე მფევე ვახტანგ გორგასალის მიერ. სიგელი, ბროსეს ნაქონ ქალღმერთში მყოფ მე-19 საუკუნის ნახევარში გადაწერილ პირის მიხედვით, დაბეჭდილია და განმარტებული ჩვენ მიერ (ს. კაკაბ., ვახტანგ, უცნობი მე-15 საუკ. აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი 11—13). ამ ჟამად მთავარარქივში მოიპოვება ორი პირი ამ სიგელისა. ერთი პირი გადაწერილია ცუდის ხელით და ბლომად შეცდომებით და უნდა ეკუთვნოდეს ხელის მიხედვით მე-17 საუკუნეს. მეორე პირი კი გადაწერილია მე-18 საუკუნეში მტკიცე ხელით. ტექსტი ამ სიგელისა აქვე ხელახლავ მოგვეყვას მე-18 საუკუნის პარის მიხედვით და შენიშვნებში უფრო ძველი პირის ვარიანტების ჩვენებით. ნიშნებათ იხმარება მე-18 საუკუნის კოპიოში თითქმის ყოველთვის სიტყვის შემდეგ თითო წერტილი, მე-17 საუკუნის პირი კი ყოველ სიტყვის შემდეგ ოროლ წერტილს წარმოგვიდგენს. ორივე პირი სიგელის ქორონიკონს უჩვენებს 120-ს და არა 125, როგორც ეს ბროსეს ნაქონ კოპიოში იყო.

ქ. სახელითა ღთისათა<sup>1</sup> და<sup>2</sup> ყოვლად წმიდისა ღთისმშობლისათა<sup>3</sup> იესიან დავითიან პაკრატო(ვან)<sup>4</sup> ზეგარდამოცხებულ<sup>5</sup> ღთივ გვირგვინოსანმან<sup>6</sup> და ორთავე ტახტთა მსხდომარე-მან<sup>7</sup> მეფეთ მეფე(მან)<sup>8</sup> რანთა კახთა, სვანთა, ბერძენთა<sup>9</sup> სომეხთა,

მეგრელთა, <sup>10</sup> ქართველთა, <sup>11</sup> ჯიქთა, აფხაზთა, ალანთა, <sup>12</sup> შარვან-  
თა და შარვაშიანთა ლიხლ იმელისა (sic) და აღმოსავლეთისა და  
ჩრდილოეთისა, <sup>13</sup> და ყოვლისა საქრისტიანოსა მეფეთ მეფემან და  
ამათმან მპყრობელ მჭირავმან, <sup>14</sup> პირველ დასაბამიდგან ვიდრე  
უკუნისამდე შეუცვალეებელი და ხელმწიფობითა დამტკიცებული  
ესე წიგნი სიგელისა დაგიწვრინეთ იადგარი ესე, ასე რომე ჩუენისა  
დარბაზის წინაშე შემოხვეწით მრდით და ვისპინეთ თქუენი  
შეხვეწა და გაგიჩინეთ სისხლი პირველ ძეობისგან <sup>15</sup> მეფისა ნაშა-  
ხური ვახტანგისა და ერთგული ყოფილა გურალიძენი ჩარაჩე (sic)  
და მისი შვილი და მომავალი, და გამოვიდა ხასი აზნაურისა შვი-  
ლი გარეთ <sup>16</sup> მოსახლე კაცითა, შიგნიბა ყმითა, ეკლესიისა კარი-  
თა, საფლავითა, ცხენითა, ცხენისა საომარისა <sup>17</sup> იარაღითა, ჯა-  
ქვითა და მუზარადითა, ქორითა და ბიზაერითა, ტყითა, სათევზო-  
თა, <sup>18</sup> მიწითა, წყალითა, საძებართა და <sup>19</sup> უძებართა, მისითა ყო-  
ვლისფერითა. გამოვიდა გურალიძე ჩარაჩე და მისი შვილი ხასი  
აზნაურისა შვილი და გაუჩინეთ სრული სისხლი ხუთასი ათასი ძე-  
ელი თეთრი დაეურვოდეს, სანახშიროდ თუთხმეტი ათასი ძეელი  
თეთრი. <sup>20</sup> თუ ვინმე ცოლი გაუუპატიუროს, სრული სისხლი და-  
გიურვოს. თუ ვინმე ან ქალი დაგიდოს ან ორსულს დედაკაცს  
გიცეს და შვილი მოაგდებინოს, <sup>21</sup> სრული სისხლი დაუურვოს.  
თუ ვინმე(მ) გურალიძის გუარი კაცი მოკლას, სრული სისხლი და-  
გიურვოს. <sup>22</sup> თუ ვინმე ექვსთაგან ერთი დაგაკლოს, სრული სი-  
სხლი დაგიურვოს. თუ ვინმე სახლში <sup>23</sup> მოუხდეს, ან(უ) დაგიწვას,  
ან(უ) აგიალაფოს, <sup>24</sup> სრული სისხლი დაგიურვოს. თუ ვინმე გრძნე-  
ულობა შემოგწამოს და მართალი დარჩე, სისხლის ნახევარი დაგიურ-  
ვოს. თუ ვინმე ჯოგი წაგისხას <sup>25</sup> და ან(უ) მეჯოგეს გიცეს, თორ-  
მეტი ათასი თეთრი დაგიურვოს. თუ ვინმე მეხადილე <sup>26</sup> გაგიცარ-  
ცოს ან გიცეს, ხუთი ათასი თეთრი დაგიურვოს. თუ ვინმე დარ-  
ბაზს შევაბეზლოს და <sup>27</sup> მართალი დარჩე, სისხლისა ნახევარი და-  
გიურვოს. თუ ვინმე გურალიძის გუარის კაცს სცეს ანუ მჯიღით <sup>28</sup>  
ან(უ) ქუსლით ან(უ) არგნით, სისხლის ნახევარი დაგიურვოს.  
აწე რაცა ამას ზემო სწვრია თუ რამე საქმე მოხდეს, დაიჯერეთ  
მართლისა <sup>29</sup> სამართლისა გამგენო, პირველ ჯარი დასხედით და  
ეს სიგელი გამოიღეთ <sup>30</sup> და ამავე წესითა და საქმითა დაეურვო-  
ბოდეს სისხლი და აწ(ე) ქრისტეს მიერ კურთხევითა აფხაზეთისა,  
ქართლისა კათალიკოზნო, თქვენცა აგრე დაუმტკიცენითა თქვენი-  
თა ჯურითა და კურთხევითა. მამა ჭყონდიდელი, თქვენცა აგრე  
დაუმტკიცენით ჯურითა <sup>31</sup> და კურთხევითა, დრანდელ <sup>32</sup> მოქველო,  
თქვენცა აგრე დაუმტკიცენით თქვენითა ჯურითა და კურთხევითა.



ცაიშელ(ო) ხოფელო, თქვენცა აგრე დაუმტიცენით თქვენითა ჯუ-  
რითა და კურთხევითა. აწ(ე) რაცა ამას ზემო სწერია<sup>33</sup> რამე, აწე  
ამისი მოწამენი არიან თავად ღმერთი და კაცთაგან აპერეჯიბი აფა-  
ქიძე ციხისთავი და ერისთავი და ციხე-ქალაქთა<sup>34</sup> მოაბჯრე მო-  
ლარეთუხუცესი და პურისა ხარჯისა მომკრეფელი. აწე დაიწერა<sup>35</sup>  
სიგელი ესე მეფეთ მეფისა ვახტანგსობასა, ქორონიკონსა ასოცსა  
ხელითა მწიგნობარისა გიორგი მოლაზონისძისა ამინ \*).

XI. სასისხლო სიგელი იაკობიძეთა, ბოძებული 121 ქორონიკონს  
(1433 წ.) თამარ მეფის მიერ. სიგელი დაბეჭდილი იყო საქ. სიძ. II,  
371—374 და მეორეჯერ პალეოგრაფიული პირითურთ ს. კაკაბ., უც-  
ნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ II, ტფ. 1913 წ.. ამ თამარ მეფის  
ვინაობა საძიებელია. ხსენებულ მონოგრაფიაში ამ თამარის შესახებ ჩვენ  
რომ ის არის დასავლეთ საქართველოს სამეფო შტოსთან დაკავშირებუ-  
ფიქრობდით, რომ თამარი შესაძლებელია ყოფილიყო ასული აფხაზ-  
იმერეთის მეფის კოსტანტინესი და თვითონაც ღიხთ-იმერეთის მფლო-  
ბელი. ზემოდ (გვ. 14—15) დაბეჭდილი სასისხლო სიგელი ასათიანთა,  
სადაც მოხსენებულია „მეფეთა მეფე გორგასალ და დედოფალთ დე-  
დოფალი ბატონი თამარ“, შესაძლებლად ხდის სხვა მოსაზრების წამო-  
ყენებასაც და თამარ მეფის პიროვნების დაკავშირებას აფხაზ-იმერეთის  
მე-15 საუკუნის მეფის ვახტანგ გორგასალის თანამეცხედრის სახლს ან.  
იაკობიძეთა სიგელში ამ გვარის სისხლი განსაზღვრულია „ასოცი  
ათასი კილმანაური (sic) თეთრა“.

\*) ყველა ვარიანტები ქვემოდ ნაჩვენებია უფრო ძველი პირის მიხედვით.  
6 ადგილას ნაჩვენებია წაკითხვა ჩვენი დედნის მიხედვით (მე-18 საუკ. პირი):  
1 ღმურთისათა. 2 abs. 3 ღმთისა შობელისა. აქ ორივე პირი უმატებს მეფეთა  
ჩვენთა 4 ბაგრატუფანი. 5 ღმეთელ (sic). 6 დედანში (მე-18 საუკ. კოპიოში):  
გვირგვინოსანი. 7 დედ.: მსხდომარე. 8 მეფნი მეფეთა. 9 abs. 10 მერგლითა. 11 ქარ-  
თლითა. 12 ღმეთისა. 13 რჩილეფისა (sic). 14 უკანასკნელი 6 სიტყვა დაწყებული  
სიტყვიდან მეფეთ არ არის. 15 სიტყვიდან ხქელ მწიფობითა უფრო ძველს  
კოპიოში ტექსტი იკითხება შემდეგნაირად: და ხელმწიფობით ფლანითა და  
მპყრობლითა მოვიდენ დარბაზისა წინა კართა რათამცეც სასი(ს)ხლო სი-  
გლი გბიძეთ შეგიწყლეთ ვსმინთ აჯა და მოხსენება მითი და შეიგენით პირ-  
ველი ძეობისაგან. 16 დედ.: ხასნი აზნაურისშვილისა გარე. 17 საომართა. 18 სათი-  
ზოთა, დედ.: სათაზოთა. 19 abs. 20 უფრო ძვე. კოპიო აქ უმატებს: დაე(უ)რ(ვე)რ  
ბ(ო)დეს გრში შვიდი ათასა ძველი თეთრი დაე(უ)რ(ვე)ბოდეს. 21 დედ.: მოაგ-  
დოს. 22 დაგიუროს. 23 სახლსა შიგან. 24 გაგილაფოს. 25 აგსხასა. 26 ორივე კოპიო-  
ში: მესადილე. 27 თუ. 28 ჯლლი ანუ მართახით. 29 მართალა. 30 პირო ჯანი დასხდენ  
და მისა სრულისა სიგლისა გამოლევი (sic). 31 დედანში ამ შემთხვევაში, ისე  
როგორც ქვემოდ ამ სიტყვის ადგილს ყველგან სწერია: ჯერითა. 32 დარდელ.  
33 სწერიანა. 34 ციხ(ი)ს თავი ერ(ი)სთავი ციხე ქალაქი. 35 დაიწერეთ. სიგელი  
ესე მეფეთა მეფემან ვახტანგისა ქრანიკონი ასი ოცი ხელის მე მწიგნობარის  
გიორგი მოლასონისა ძესა ამინ.

XII. სიგელი ალექსანდრე მეფის ძის დიმიტრი მეფისა, კაპანაძისადმი 1429—1452 წლებში მიცემული (ზემოდ, გვ. 9—10). სიგელში სასისხლო ფასი არ არის ნაჩვენები.

XIII. სიგელი, მიცემული თულასძეების მიმართ ვახტანგ გორგასალის ძის ბაგრატის მიერ 1446 წ. (ს. კაკაბ., ბაგრატ მეფე, მე-15 საუკ. არგვეთის მფლობელი, შვად. საქ. სიძვ. II, 13—14). სასისხლო ნაჩვენებია ასოცი ათასი ძველი თეთრი კირმანაული.

XIV. ვაჩნაძეთა სასისხლო სიგელი, ზემოდ დაბეჭდილი, მიცემული 1455 წ., სასისხლო—800 ათ. კირმანაული თეთრი.

XV. ზემოდ დაბეჭდილი სასისხლო სიგელი ელიოზისძეთა, მიცემული ბაგრატ აფხაზ-იმერთა მეფის მიერ 1457 წ., სასისხლო—600 ათასი კირმანაული თეთრი.

XVI. გამყრელიძეთა სასისხლო სიგელი მიცემული-გიორგი მეფის მიერ 1458 წ., სასისხლო—220 ათ. ძველი ცხუმური (საქ. სიძვ. II, 17—18).

XVII. ჟურულის სასისხლო სიგელი მიცემული 1460 წ. საქართველოს მეფის გიორგი ალექსანდრის ძის მიერ (საქ. სიძვ. I, 3—7, ქრონიკ. II, 278—280). სასისხლო განსაზღვრულია 160 ათასი კირმანაური (sic) თეთრი. სიგელს 1472 წელს ამტკიცებს ბაგრატ მეფეც, რომელიც ამასთანავე გაწმარტავს—„ვინცა კირმანაულისა თეთრისა ვითარობა არ იცოდეს, კირმანური თანგისა ზომა არის“.

XVIII. ქვენიფნეველის ერისთავის სახლის სასისხლო სიგელი, მიცემული ალექსანდრეს ძის გიორგი მეფის მიერ 1460 წ. (Brosset, *Voyag. archéol.* IV, 84, ქრონ. II, 280) სასისხლო—170 ათ. კირმანეული.

XIX. სიგელი ორალელისძეთა-კვიტაშილთა, მიცემული საქართველოს მეფის გიორგის მიერ 1463 წ. ქუთაისს. სასისხლო—400 ათასი ძველი ცხუმური 30 ათასით წინსაძღომითა (საქ. სიძვ. III, 436—439).

XX ავშანაძეთა სიგელი, რომლის ტექსტი პირის მიხედვით დაბეჭდილი იყო ქრონიკ. II, 265—266 და დედნის მიხედვით საქ. სიძვ. II, 42—44. სიგელის თავში მოხსენებულია მეფე კოსტანტინე დიმიტრისძე, ხოლო თვით სიგელი დაწერილია ბაგრატ მეფის სახელით. „...სულკურთხეულისა მეფეთმეფისა დემეტრესი ძემან პატრონმან აღმშენებელმან კოსტანტილემ და დედათა დედამან ჩემან პატრონმან გულაშარ ესე მტკიცე უქცეველი და უცილებელი დრო დაუდებელი და მიზეზ შემოუღებელი და სულისა წმიდისა ჩუენ ღმრთივ გუიერგუინოსანმან ძლიერმან (sic) და უძლეველმან მეფეთ მეფემან ბაგრატ“... და სხვა. სათაური სიგელისა ამ გვარად დიდად არეულია. სიგელი, ჩვენის აზრით, არ უნდა იყოს თვით დედანი, არამედ მხ-16 საუკუნეში შესრულებული პირი. სიგელი, როგორც სჩანს, თავდაპირველად მიცემული ყოფილა მეფის კოსტანტინე დიმიტრის ძის და მისი დედის გულაშარის მიერ, შემდეგ გან-

მეორეული ან დამუკიცებული მეფის ბაკრატ გიორგისძის მიერ. მე-16 საუკუნეში სიგელის პირის შესრულებისას ამ გარემოებამ პოვა სიგელის შესავალში თავისებური, ზემოდ ნაჩვენები გამოხატულება. საყურადღებოა, რომ სიგელში თვით ბაკრატის სულკურთხეულად არის ნახსენები („კულადვე მისი სულიკურთხეულისა მეფეთა მეფისა ბაკრატისა დედოფალთა დედოფლასამან ილენე, მოსდევნი ჩუენსა კაზენდან“ . . .) ეს გარემოება უნდა ადასტურებდეს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სიგელი არ არის თვით ასლი, არამედ შემდეგ შესრულებული პირი. ბოლო მინაწერში სიგელის განმახლებელიც არის მოხსენებული. „ქ [სვი]პონ ქუთათელს გამიხლებია წყალობა და ხელიც ჩამირთავს ამ სიგელში. . . მოწამე ქაიხოსრო მოწამე არის“ . . . ე. თაყაიშვილი ქუთათელის სახელად სვიმონს კითხულობს, მაგრამ დედნის გასინჯვის მიხედვით (დედანი დაკულია წერა-კითხ. საზოგადოების წიგნთსაცავში) ჩვენის აზრით აქ უნდა იკითხებოდეს [ევდემონ. სიგელის განმახლებელი ამ გვარად ყოფილა მე-16 საუკუნეში ევდემონ (თუ სვიმონ) ქუთათელი.

ავშანდაძეთ სიგელი არის უაღრესად საყურადღებო. სიგელში მოხსენებულია, რომ „მოკითხული ვქენით (ავშანდაძეთ სისხლი) დუძველიცა გაჩენილი იყო ლიონ მეუისაგან, აწ ჩუენცა გაგიახლეთ“ . . . აქ მაშასადამე ჩვენ გვაქვს დადასტურება სასისხლო სიგელის მიცემისა ლეონ მეუის დროს (საფიქრებელია ლეონ აფხაზთა მეფე 957—967 წ.), რაც წარმოადგენს უძველესს ჯერჯერობით ცნობილ ფაქტს საქართველოში სასისხლო სიგელის გაცემის შესახებ. ამას გარდა სიგელი შეიცავს საყურადღებო გადმოცემას დავით აღმაშენებლის გელათის გალავნიდან გადმოვარდნის შესახებ. დავით აღმაშენებლის დროს, როგორც სჩანს, ავშანდაძეს ებოძა სატყვის მცველო სკანდას დალმა და გოგს დალმა, ფისისანს და ჩხარას.

თვით სიგელში სისხლის რაოდენობა ნაჩვენებია 200 ათასი ძველი ცხუმური თეთრი, 12 გლეხი, 12 თეთრი ჯორი, თორმეტი თეთრი ქორი, 12 მეძებარი, 12 თეთრი მიმინო, ერთი ჩექმის ყელი, ატლასის ფერფლი. ამაზე წინ კიდევ სიგელის რაოდენობა სიგელში ნაჩვენებია — „ორასი ათასი ძველი თეთრი, ბოტინატური თეთრი, სანახშირე და გეურვოს სან(ა)ხშიროთ და შესამყრელოდ ორმოცჯერ ათი ათას სრული სისხლი დაგეურვოს.“ თუმცა აქ ტექსტი არევით არის წარმოდგენილი, მაგრამ ჩვენის აზრით აქ უნდა იგულისხმებოდეს სისხლი 200 ათ. ბოტინატური თეთრი, სანახშირე და შესამყრელო 400 ათასი თეთრი. საერთოდ კი სიგელში დაცული ცნობები ავშანდაძეთა სხვადასხვა დროის სისხლის რაოდენობის გამოხატვისა უნდა იძლეოდეს შიშვეს სურათს: სასისხლო სიგელი პირველად მიცემულ იქნა მე-10 საუკუნეში ლეონ აფხაზთა მეფის მიერ, დავით აღმაშენებლის დროს ავშანდაძეთა სისხლი დამ-

ტყიცილა 200 ათასი ბოტინატური თეთრი, მე-15 საუკუნეში კიდევ 200 ათასი ცხუპური თეთრი, რომლის ექვივალენტს წარმოადგენდა 12 გლეხი, 12 თეთრი ჯორი, თორმეტი თეთრი ქორი და სხ..

XXI. ზემოდ დაბეჭდილი (ვ. 44—45) სასიხლო სიგელი შერზადი-შვილთა, მიცემულია ბაგრატ გიორგის ძის დროს (1455—1478 წ.) და ხელშეორედ დამტკიცებულია ალექსანდრე მეფის დროს (1484—1510 წ.), როდესაც შესრულებულ იქნა ჩვენამდის მოწვევნილი შერზადიშვილთა სასიხლო სიგელის პირი. პირის შესრულების დროს ტექსტის დამახინჯების გამო სიხლის რაოდენობა გარკვევით არ სჩანს.

XXII. ზემოდ დაბეჭდილი (ვ. 48—49) სასიხლო სიგელი გერგეტელთა საყდრის ყმათა, მიცემული მეფის ბაგრატ, ალბად გიორგის ძის, მიერ. სიგელით გერგეტელთა სიხლი გადიდებულია ერთი სამად.

XXIII. მალნარაძეთა სასიხლო სიგელი, მიცემული დავით მეფის მიერ ლიხთ-იმერეთს 1456—1488 წლებში, დაბეჭდილია ზემოდ (გვ. 20—21). სიხლის რაოდენობა—400 ათასი ძველი კირპანაული თეთრი, სანახშიროდ 20 ათასი თეთრი.

XXIV. თოდოძეთა სასიხლო სიგელი, მიცემული მეფის კონსტანტინე დიმიტრის ძის მიერ 1485—1488 წლებში, სიგელი დაბეჭდილია ზემოდ გვ. 45—47. სიხლი განსაზღვრულია 260 ათასი თეთრი.

XXV. ფალავანდიშვილთა სიხლის შესახებ განაჩენი და სიგელი, დაბეჭდილი ზემოდ (გვ. 23—25), მიცემულია ალექსანდრე მეფის მიერ 1488 წ., სიგელში სიხლეს რაოდენობა ფულად არ არის ნაჩვენები.

XXVI. თოფურიძეთა სასიხლო სიგელი (საქ. სიძვ. II, 35—37, ქრნიკ. II, 233—235, ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი, გვ. 73—78), მიცემული, ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებით (დასახელ. ნაშრომში) 1490 წ. ალექსანდრე იმერეთის მეფის მიერ. სიხლი ნაჩვენებია 365 ათასი ძველი კირპანეული. სიგელი, რომელიც უნახავს 1891 წ. ე. თაყაი-შვილს, როგორც სჩანს თვით დედანი არ ყოფილა, არამედ შემდეგში, — აღწერილობის მიხედვით მე-16 საუკუნის მიწურულს ან მე-17 საუკუნის დასაწყისში, — შესრულებული პირი. პირს შესრულებისას სიხლის რაოდენობა შესწორებულად სჩანს. სახელდობრ სიხლად 365 ათას კირპანეულის ჩვენების შემდეგ ნათქვამია: „არავინ კადრებულა თუ ვისმენ ეშმაკის მანქანებითა თოფურიძისა გუარის კაცი ზოკლას, ექსასი (sic) ასი ათასი ძველი კირპანეული დაგიუროს, სანახშიროდა ცხრა ასი ათასი [თეთრი] და მას გარეთ ათი მეხადილე გლეხი, თეთრი ჯორი, ვერცხლის იარაღითა, მეჯინიბითა, თეთრი ქორი, თეთრი მეძებარა, მისითა ბაზიარითა დაგეუროს“. სიხლის რაოდენობის ასეთ დიდ რიცხვად გადიდება, ჩვენის აზრით უნდა გვიჩვენებდეს სიგელის შინაარსის ინტერპრეტაციის ცდას მე-16—17 საუკუნის მიჯნაზე, როდესაც, როგორც დავი-



ნახავთ, ფულის ჯამის გამოხატვის ხასიათი ასეთ ინტერპრეტაციის გამოთლებების საბუთს იძლევა.

XXVII. სასისხლო სიგელი ფონჯავიძეთა, მიცემული 1497 წ. ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ. ამ სიგელის დედანი და პირი ჩვენ არ გვინახავს, ტექსტი დაბეჭდილი იყო ჟურნ. „მნათობში“ 1869 წ. № V VI. ჟურნალ „მნათობს“ ხელთ ქონია მე-1810 ან მე-1820 წლებში მდივანევის დავით ჩხვიძის მიერ გადაწერილი პირი, სიგელის ტექსტი აქვე მოგვყავს.

ნებითა ლუთისათა ჩუენ იესიან დავითიან ბაგრატი(ონ)ანმა სოლომონიანმან ჩუენ ლუთივ გვიოგვინოსანმან ლიხთიმერისა და ლიხთავერისა ორისავე ტახტისა მპყრობელმან პატრონმა მეფეთა მეფემან ალექსანდრე და პატრონმან ძემან ჩემმან ბაგრატი. შოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენი ერდგული ფონჯავიძენი მღრდელი ადამ და მისნი ძენი შამილაი, ნიკოლოზ, ბასსარი და მისნი ძენი, გუეაჯენს და მოგუაკენენს, რათაქცას სასიხლოს სიგლითა შეგუეწყალენს. დაგუაჯერა<sup>1</sup> ლვერთმან და გიბოძეთ ჩუენ(ს) ერდგულსა ფონჯავიძეს ჩამომავალსა ყოველთავე გაუჩინეთ სასისხლო სიგელი. ძუელთა ჩუენთა გუართაგან დავითაღმაშენებელისაგან ბოძებული სიგელი გქონდა და ჩუენცა იმაზე გავჩინეთ. თუ ვისმე თქუენი გუარის კაცი შეაკუდეს, ოთხმოცი ათასი ძველი კირმანეული თეთრი გარდაგიხადოს, თეთრი ჯორი, თეთრი ქორი, სისხლი გარდაგიხადოს. ბოლოს<sup>2</sup> (?) ექუსი გლეხი მისითა სისხლითა, ჩხერესუბანს სამი გლეხი ფიწალაძე გვიბოძებია. ესე ძუელსა სიგელიშიგან გეწერა და ჩუენცა ახლადვე დაგიბტკიცეთ და ორი პატახტი ლუერკს გიბოძეთ და უფროსობა მოგეცით. გაგიჩინეთ სანახშირე სამი ათასი ძუელი კირმანეული თეთრი, გერში ოცი ათასი გიორგოული თეთრი. ვინცა ექუსთა ასოთაგან ფერკთა, კელთა და თუალთა დაგიშაოს, მეექუსედი სისხლი დაგიურვოს. ვინცა დაღი დაგაჩინოს, ორი ათასი კირმანეული გადაგიხადოს. ვინცა ზედა მოგიხდეს და სახლად ჩაპოგიხდეს, ალაფი შემოგექცეს და ორი ათასი კირმანეული დაგიურვოს. ვინცა ცოლი გაგიუპატიოროს, შეგბილწოს, ნახევარი სისხლი დაგიურვოს, ვინცა ანუ ვენახი, ანუ წიქვილი, ანუ სათიბი დაგიშავეს, ათასი თეთრი გადაგიხადოს. ვინცა გრძნეულობა გითხრას უბრალოსა, ორი ათასი თეთრი გარდაგიხადოს. ვინცა უბრალოთ დარბაზს დაგასმინოს, ათასი თეთრი გარდაგიხადოს. ძუელად გადანახადიცა ვნახეთ შარვაშიძსაგან და დაგდებია ითხვის ჟრველთა და ლაბზიშვილის ბეგლიკისაგან დაგდებია

<sup>1</sup> დიბეჭდილია: და გუეაჯეს.

<sup>2</sup> აქ უნდა იყოს დამახინჯებული ადგილის სახელი.

ნადიგორს სამი გლეხი ფიწალაძე და თექუსმეტი ათასი თეთრი; ესე დაურვებული და გარდანახადი არის. აწ ჩუენცა ახლადვე ესე სიგელი გარდგიწერეთ და მოგეცით. აწ წმიდანო მეუფენო აფხაზეთისა და ქართლისა ქათოლიკოზო, უჯუარობით დაუტკიცეთ ჩუენგან ბოძებული სიგელი ესე. ამისი მოწამენი დამსწრობნი არიან აწირაჯიბნი ხაზინადარი რამინ, რაქის ერისთავი კახაბერი და სრულად მრაქველნი, ღეხუმელნი დარბაზის ერნი. დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათესა, ქორონიკონსა ას ოთხმოცდახუთსა, კელითა კარისა ჩუენისა მდიუნის თავაქალაშვილის აღდადისითა.

გადმომწერელია (ა)მის მღვანბეგი დავით ჩხეიძე.

სიგელი შეიცავს რამოდენიმე სხვადასხვა ეპოქის გადანაწერს ცნობას. პირველად სასისხლო სიგელი ფონჯავიძეებისთვის მიცემული ყოფილა დავით აღმაშენებლის მიერ და ამ დროინდელი უნდა იყოს სიგელში მოხსენებული ცნობა სისხლის გარდანახადის შესახებ ითხზისურველთა და ლაბიშვილის ბეგლიკის მიერ (სამი გლეხი ფიწალაძე და 16 ათასი თეთრი). შემდეგ, როგორც ჩანს, ფონჯავიძეს სისხლი კიდევ განსაზღვრული ყოფილა, როგორც საგულისხმებელია მე-14 საუკუნეში—80 ათასი ძველი კირმანეული თეთრი, სანახშირე 3 ათასი ძველი კირმანეული თეთრი, გერში 20 ათასი გიორგოული თეთრი. ალექსანდრე მეფის დროს კი 1497 წელს სიგელი პირდაპირ „გარდაუწერიათ“.

სიგელში ყურადღებას იპყრობს ალექსანდრე მეფის ინდიკტიონის ჩვენება—მე-10, ქორონიკონს 185-ს. აქ უნდა იგულისხმებოდეს მეფობის ინდიკტიონის დაწყება 1488 წლიდან, როდესაც ალექსანდრემ ხელმეორედ დაიპყრო იმერეთი (ვახუშტით ეს მოხდა 1489 წ., მაგრამ ცხადია ეს თარიღი შესწორებას საბოლოოს, რადგან მართლაც 1488 წ. ალექსანდრე მეფე უკვე აძლევს სასისხლო სიგელს ფალავანდიშვილებს; იხ. ზეიორ).

XXVIII. სასისხლო სიგელი ბაქრაძეთა, მიცემული ალექსანდრე იმერეთის მეფის მიერ 1501 წ. (საქ. სიძ. II, 22—23). სასისხლო განსაზღვრულია 900 ათასი თეთრი.

XXIX. სასისხლო სიგელი გორგაძეთა, მიცემული იმავე ალექსანდრე მეფის მიერ. სიგელი დაბეჭდილი აქვს თ. ჟორდანიას (ქრონიკ. II, 193—194). თვით ასლი კი დაცულია ტფ. უნივერსიტეტის (ყოფ. საეკლესიო) სიძველეთ-საცავში. სიგელს თ. ჟორდანიას აკლავნებდა 1392 წ., რადგან სიგელის ბოლოს ნაჩვენებია ქორონიკონის ოთხმოცი. უნდა აღინიშნოს, რომ მოწეკნილი სიგელი, ტყავზე დაწერილი, თვით დღემდე არ წარმოადგენს, არამედ მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში გადაწერილ პირს, რაც მოხსენებულია იმავე გრაგნილის მი-

ნაწერში ტექსტის ხელით: „ქ ესე სიგელისა ძველისა დედოსსგან გარ-  
შოვწერეთ“. თავში სიგელი იწყება შემდეგ ნაირად: ქ. სახელითა: : ღმრ-  
თისათა: : ჩუენ მეფეთა : მეფემან: ალექსანდრემან და ძეთა ჩუენთა--  
ვახტანგ დავითიან ბაგრატიონმან“ და სხ.. ნაკლულევან ადგილას უნ-  
და იკითხებოდეს ბაგრატი. (...ძეთა ჩუენთა [ბაგრატი და] ვახტანგ....).  
ბოლოშიდაც ქორონიკონის წაკითხვა წარმოდგენილ ძველს კოპიოში  
„ქონსა (sic) ოთხოცსა თვესა იენისსა ცამეტსა“ — შეიძლება წარმოად-  
გნდეს ძველი დედნის წაკითხვის დროს დამახინჯებას შიფრისას: „ქნსა  
ას ჰა თვესა იენისსა ცამეტსა“. მაშინ მივიღებდით სიგელის დაწერის  
თარიღს 1501 წ., როდესაც ალექსანდრე იმერთა მეფეს ყავდა ორი  
შვილი ბაგრატი და ვახტანგ, ხოლო მესამე მისი შვილი გიორგი ჯერ კი-  
დედ დაბადებული არ იყო. გიორგი, მაგ., არ იხსენიება 1502 წლის სა-  
ბუთში (საქ. სიძვ. II, 516), მაგრამ იხსენიება 1505 წ. (საქ. სიძ. II, 517).

გორგაძეთა ამ სიგელში მათი სასისხლო ნაჩვენებია „სამჯერ ასი  
ათასი კირმანეული თეთრი სანახშიროსა და სადალოსა აქათ“.

XXX. ჯათარიძეთა სასისხლო სიგელი, უკეთ განჩინება; მიცემული  
სევანების მიერ ალექსანდრე აფხაზ-იმერთა მეფის დროს (ფრანგული  
თარგმანი დაბეჭდილი ჰქონდა ბროსეს *Bullet. scientif. t. IV, 268—  
272*, ქართული ტექსტი—„ცისკარი“, 1866 წ. № 10, ს. კაკაბ.,  
წერილ. და მასალ. საქართ. ისტორ. I, 126—131). ამ უდიდეს მნი-  
შვნელობის საბუთს თარიღი აქვს ქორონიკონი რკა, მაგრამ ეს თ-  
არიღი შემდეგ ჩვენ მიერ იქმნა შესწორებული რკა-დ (ს. კაკაბ., კვლე-  
ვა-ძიებანი, 77—88). განჩინების სიგელი მაშასადამე, ჩვენის აზრით,  
დაწერილი უნდა იყოს 1503 წელს. საბუთში ჯათარიძეების სისხლი  
გარკვევით განსაზღვრული არ არის, მაგრამ განჩინების ტექსტიდან  
სჩანს, რომ საქმის გარჩევის დროს ჯათარიძეებს მიუტანიათ თავისი სი-  
გელი, რომელშიდაც „მეტად უზომოდ დიდი სისხლი და სანახშირე  
ქწერა“. სამწუხაროდ ამ სისხლის რაოდენობა განჩინებაში ნაჩვენებია  
არ არის.

XXXI. ქერობიძეთა სასისხლო სიგელი, რომელიც ამ ეამად ქუ-  
თაისის მუზეუმშია, მიცემულია ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ 1505 წ..  
სასისხლო ნაჩვენებია 120 ათასი ძველი თეთრი და 12 ათასი სანახ-  
შირე სიგელი დაბეჭდილი იყო საქართ. სიძ. II, 516—517.

XXXII. გაბელიძეთა სასისხლო სიგელი, დაბეჭდილი ზემოდ გვ-  
34—35, მიცემულია ბაგრატი აფხაზ-იმერთა მეფის მიერ 1512 წელს.  
სასისხლო—400 ათასი ძველი კირმანეული თეთრი.

XXXIII აფაქიძის სასისხლო სიგელი, რომლის შინაარსი მე ვიცი ამ  
სიგელის ტექსტის ბროსეს ფრანგული თარგმანით. სასისხლო განსაზ-  
ღვრულია 350 ათ. ძველი თ.. ფრანგული თარგმანი სიგელისა შემოკ-  
ლებით იკითხება შემდეგ ნაირად (*Introduction dans l'Hist. de la Gé.,  
XCIV*):

Au nom de Dieu, Père, Fils et S. Esprit. Le roi issu de Salomon et de Bagrat, affermi de Dieu, maître et autocrate de tout trône et empire, de l'orient à l'occident, du Likhth-Imer et du Likhth-Amier; de par Bagrat, par la volonté de Dieu, maître des Karthles, des Raniens, des Alains. chanché et charwanchidzé. Les vassaux de l'Archange, de Phasa-Edjen, à savoir Caland Aphakidzé et ses fils Athanasé et Philippé sont venus en notre présence, gens très loyaux... nous leur avons octroyé ce sigle de snag, et nous avons fixé leur sang à 350.000 blancs anciens... Celui qui, par la suggestion et la malice du démon, tuera un homme de votre race, paiera 350.000 blancs anciens, sans rémission, avec paiement préalable de 12,000 blancs anciens. Qui vous attaquera dans votre maison, paiera la moitié du sang. Qui enlèvera votre femme, vous accusera de sorcellerie, si vous prouvez votre innocence; qui profanera votre sépulture, paiera la moitié. Qui fera une offense à un fils de votre maison, paiera la moitié du sang. Qui attentera à votre haras, vous enlèvera un garçon propre à la guerre, paiera le tiers du sang. Qui vous fera une marque au visage, paiera 3000 blancs. Qui insultera une femme à votre service personnel, ou un écuyer, paiera 3000 blancs... Maintenant, vous saints catholiques d'Aphkhazeth et de Karthli, reines et aznaours, vizirs de notre cour, hôtelliers, trésoriers, armuriers, musiciens, connétable, écuyers, fauconniers, garde-vin, veneurs de lièvres, méssaihé? pages de notre personne, envoyés de notre cour, vous tous confirmez ceci... Dieu vous fasse prospérer Amen, kyrié éléison! En 1008“.

ბროსეს თვით დედანი არ ქონია ხელთ, არამედ პარი, გადმოწერილი ტყავზე დაწერილ დედნიდან გურიაში. ბოლოში მოქცეულ თარიღის მიხედვით ბროსე სიგელს აკუთვნებდა ბაგრატ III-ს, მაგრამ აქ ცხადი შეცდომაა: თარიღი 1008 წელი ჩვენის აზრით იყო ნანგარიშევი 228 ქორონოკონის მიმატებით მხოლოდ არა მე-14 მოქცევისთვის, არამედ მე-13 ციკლისთვის. ნამდვილი თარიღი სიგელისა უნდა იყოს მაშასადამე  $(1312 + 228 =)$  1540 წელი და სიგელის მიმატებით მეფეც უნდა იყოს ბაგრატ აფხაზ-იმერეთის მეფე.

XXXIV. კლანდაძის სასისხლო სიგელი, 1544—1545 წ. მიცემული ბაგრატ აფხაზ-იმერთა მეფის მიერ. სიგელის ტექსტი ზემოდ იყო დაბეჭდილი გვ. 36—38. სასისხლო—420 ათასი კირმანეული თეთრი.

XXXV. აზნაურის შვილის შერგილაძის სასისხლო სიგელი, მიცემული იმავე ბაგრატ მეფის მიერ 1554 წ. (ქრონიკა II, 397—398). სასისხლო—210 ათასი კირმანეული ძველი თეთრი.

XXXVI. სასისხლო სიგელი ტყავაძეთა, მიცემული როსტომ იმერ-



თა მეფის მიერ 1601 წელს, დაბეჭდილი ზემოდ (გვ. 38—39), უნდა იყოს ძველი სიგელის გადმონაწერი. 80 ათ. კირმანეული სისხლად—ეს არის ძველი სიგელის გლოსა, ხოლო სანახშირედ 800 ათასი თეთრის და სადალოდ 400 ათასი თეთრის ჩვენება—უკვე სიგელის დაწერის დროინდელ განსაზღვრას წარმოადგენს.

XXXVII. მალალაძეთა სასისხლო სიგელი, მიცემული შაჰნავაზ მეფის დროს 1675 წ.. სიგელის მოკლე ექსცერპტი დაბეჭდილი აქვს თ. ყორღანისას (ქრონიკ. II, 489): მეფე შაჰნავაზ, ძენი მისნი კახთა მეფე არჩილ და სხვანი სისხლის სიმართლის სიგელს აძლევენ მცხეთის სახლობეცეს მალალაძეს პაპუას და ბეჟანს და „ქადაგს ძესა შენსა მონოზანსა ნიკოლოზს“, რევაზს და სხვასა: ვინც შენის გვარის კაცი მოკლასო, 300 ათასი თეთრი გადისხდოსო. თუ შენის გვარის ბერი ან მონაზონი შეიპყრას—სრული სისხლიო, თუ ერისგანი—ნახევარიო, თუ ცოლი მოგიტყუონ—ნახევარიო, თუ ხუცესს შენის გვარისას მოუტყუონ—სრულს სისხლს 40 ათასი ემატოსო და სხ..

სიგელი, როგორც სჩანს, არის ძველი სიგელიდან გადმონაწერი და უკვლელად ხელახლავ შაჰნავაზ მეფის დროს დამტკიცებული. ნამდვილი სიგელი უნდა იყოს შედგენილი მე-15 საუკუნეში და უფრო ამ საუკუნის პირველ ნახევარს, სახელდობრ. ბრტკობის განაჩენის შედგენამდი, რადგან მალალაძეთა სიგელში ჯერ კიდევ წარმოდგენილია სისხლის დეტალიზაცია ცალკე დანაშაულობათა მიხედვით.

XXXVIII—XXXIX. ცალკე შეიძლება მოხსენებულ იქნას შამანდავლან დადიან-გურიელის მიერ (1470—1474 წ.) ძველი იადგარიდან გარდაწერილი ზოფის საყდრის ყმათა სასისხლო, რომლის თანახმად ზოფის საყდრის ყმის სისხლი ორ ზომად არის შეფასებული, ზოფის ძმაგანი ვინება—ათასი ბოტინატი, ზოფის საყდრის გარეშეჰო უზატიობისათვის (გლეხის ან ჯოგის წასხმა, ქურდობა და სხ.) უნდა დაეურავოს თვით საყდარს ათი გლეხი (ს. კაკაბ., დას. საქ. საეკლ. საბ. I, 2). იადგარი, ბოტინატის მოხსენების გამო (იშპერ. ნიკიფ. ბოტინატი 1078—1081 წ.), შეიძლება დაწერილი ყოფილიყო მე-12—13 სს. მთის წმ. გიორგის მონასტრის (რაჭაში) ყმის სასისხლო მეფის ბაგრატ გიორგის ძის მიერ დაახლ. 1455—1467 წ.წ. განსაზღვრულია აბჯრიან-გაზრდილიანისა=120 ათასი თეთრი, სანახშირო 2 ათასი თ., და მის ქვეშეთისა—100 ათ. თ., სანახშიროთ 1000 თ. (ამის შესახებ იხ. ამავე წიგნში პატარა წერილები და შენიშვნები, ს. კაკაბ., განჩინება მთის წმ. გიორგის ტაძრის შესახებ).

ყველა ამ, აქამდის ცნობილ სასისხლო სიგელების აღრიცხვის შემდგომ შესაძლებელი ხდება თვით ამ სიგელების განჩევანზე გადავიდეთ. მაგრამ ასეთი გარჩევა შეუძლებელი ხდება, სანამ არ არის გამოკვეთული მთავარი მნიშვნელობის საკითხი, რომელიც მკიდროდ დაკავშირებული

ბუღია სასისხლო სიგელის გაცემის შესაძლებლობასთან. ეს არის საკითხი ფულის სისტემის შესახებ საქართველოში კერძოდ მე-12—13 საუკუნიდან, რომელი დროიდანაც (სახელდობრ მე-13 საუკუნიდან) თარიღდება ჯერჯერობით ცნობილი სასისხლო სიგელები. ამ საკითხს აქვს მნიშვნელობა რასაკვირველია არა მარტო სასისხლო სიგელების პრობლემის გასარკვევად. მასთან მჭიდროდ დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიურ განვითარების საფეხურების გარკვევა საშუალო და ახალ საუკუნეებში. სამუშაოდ, რამდენადაც საკითხი საქართველოში ტრიალებულ ფულის სისტემის შესახებ მნიშვნელოვანია, იმდენად ის არის ჯერჯერობით სრულებით გამოურკვეველი. ამით უნდა აიხსნებოდეს ერთგვარი სკეპტიციზმი სასისხლო სიგელების მიმართ. და მართლაც უნდა ითქვას, რომ სასისხლო სიგელების გაცემა ფულის სისტემის ჯეროვნად გარკვევამდის თუ არ შეუძლებელი, ყოველს შემთხვევაში ძლიერ ძნელი ხდება. ამ სკეპტიციზმმა აშკარა გამოხატულება ჰპოვა გასულ წლის ნოემბერში საისტ.-საეთნოგრ. საზოგადოების კრებაზე ივ. ჯავახიშვილის მიერ წაკითხულ მოხსენებაში ქართული ბიბლიომატიკის შესახებ. როგორც ამ მოხსენებიდან გამოირკვა, ივ. ჯავახიშვილი სასისხლო სიგელებს უყურებს უარყოფით და ყველა ამ დარგის ჩვენამდის მოღწეულ საბუთს სთვლის ყალბათ. ამგვარი მსჯავრი, რომელიც შეუძლებელია მიღებულ იქნას თუნდაც იმიტომ, რომ ყველა სასისხლო საბუთების უარყოფით არ არსებობს უკვე გამოსავალი წერტილი ნამდვილის გასარჩევად ყალბისაგან, პირველად გაუგებარი სჩანდა, მაგრამ გასაგები გახდა, როდესაც ივ. ჯავახიშვილმა ამა წლის მარტში იმავე საზოგადოების კრებაზე წაკითხა მოხსენება ძველი ფულის სისტემის შესახებ საქართველოში. ამ მოხსენების დებულებები, მეთოდოლოგიურად არა-სწორ საფუძველზე აგებული, ცალკე ფაქტების გაგების მხრივაც შეუძლებელია მიღებულ იქნას. საკპარისია ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილისათვის გაურკვეველად დარჩენილა ისეთი გარეპოებაც კი, როგორიც არის თუმნის და მინალთუნის და მათი შემადგენელ ნაწილების ალაუნის ერთეულზე დამყარება, რაც, მართალია გაკვრით, აღნიშნული ჰქონდა ამ ნწ წლის წინად ჯერ კიდევ ბროსეს. ასეთ პირობებში ფულის ძველი სისტემის გაგების საკითხს ეძლევა სასისხლო სიგელებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ამაზე და მოკიდებული თვით სასისხლო სიგელების გარკვევის ბედი. მაგრამ უნდა ითქვას ამასთანავე, რომ საქართველოში ფაქტიურად მოქმედ ფულის სისტემათა გარკვევა ძლიერ რთულ საქმეს წარმოადგენს განსაკუთრებით ჩანაძლის, სანაძლის მეცნიერულად შესწავლილი არ იქნება ქართული და ამასთან ერთად საქართველოსთან ეკონომიურ ურთიერთობის მქონ ქვეყნების ნუმისმატიკა დაწყებუ-

ლი მე-13 საუკუნიდან. საკითხი ფულის სისტემათა შესახებ საქართველოში, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიურ ფაქტების გასაგებად, თავიდანვე გვიან ტერესებდა ჩვენც და ჯერ კიდევ ამ ოციოდეწლის წინად, 1905 წლიდან დამხადებული გვიქონდა ამის შესახებ გამოკვლევის ერთი ცდა. შემდეგს ხანებშიდაც, მუშაობის განახლების პერიოდებში, ამ საკითხით ჩვენ დაინტერესებული ვიყავით და მართალია საკითხის გასაღრმავებლად ვერ ვიცდიდით, მაგრამ ესლა საქიროდ ეთელით შევიყრდეთ ზოგიერთი ცალკე დაკვირვებებზე, თუმცა სხვა პირობებში ჩვენ ვაჯღობინებდით მოცდას სათანადო სპეციალურ ლიტერატურის გადათვალერების შესაძლებლობის მიღებამდის და აგრეთვე სათანადო ნუმისმატიკურ ფაქტების პრაქტიკულად შესწავლამდის. ამასთანავე ფულის სისტემის შესახებ აქ ლაპარაკი იქნება უშთავრესად იმდენად, რამდენად ეს საქირო ხდება სასისხლო სიგელების გასაგებად.

სასისხლო სიგელების დიდი მნიშვნელობა, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატება, რომ ისინი გვაძლევენ ჩვენ საკმაოდ ნათელს სურათს კერძოდ დასავალ. საქართველოში—მოწვეული სასისხლო სიგელების დიდი ზმრავლესობა წარმოშობით ლიხთ-იქერეთიდან არის—ტრიალებულ ფულის შესახებ. ამ ფულს სასისხლო სიგელები აძლევენ სახელს ცხუმური და კირმანელი თეთრი. ორივე სახელი არის ძალიან საინტერესო და მათი სწორად გაგება აუცილებელ საქიროებას წარმოადგენს. ცხუმური თეთრი სახელის მიხედვით გენეტიური წარმოშობით დაკავშირებულად სჩანს ცხუმთან, კირმანელი კიდევ ლიტერატურაში (სხვათა შორის Langlois, Essai de classification des suites monét. de la Gé., 80), დაკავშირებულია ტრავპუნტის იმპერატორის კირმანოელ I-ის (1238—1263 წ.) სახელთან. და მართლაც ამ კირმანოელის I-ის ვერცხლის ასარებმა მრავლად მოაღწიეს ჩვენამდის ქართული აღნაბეჭდებით.

მაგრამ სანამ ამ ტერმინების რეალურ შინაარსის გარკვევაზე გავჩერდებოდეთ, საქიროა მხედველობაში იქნას მიღებული ერთი ფრიად საყურადღებო და ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება,—რომ თვით სიტყვა თეთრი, როგორც გარკვეულ ფულის აღნიშნელი ტერმინი, ჩნდება ქართულ ნიდაგზე მხოლოდ მე-13 საუკუნიდან. ამგვარს დადასტურებას ამ ტერმინისას ვპოულობთ არსენი კათალიკოზ ყოფილის სიგელში, რომელიც მიცემული იყო შიო-მღვიმისადმი (ქრონიკ. II, 97—102) დაახლოვებით 1233—1249 წლებში (ს. კაკაბ., მე-13 საუკ. პარგ. ნახევრის საქართვე. კათალიკოზები, ტფ. 1913 წ.) და ამას გარდა კიდევ დავით ნარინის 1250 წლის ახლოს გელათისადმი მიცემულ სიგელში (ქრონიკ. II, 129). მე-13 საუკუნის დასაწყისზე უწინარეს გარკვეულ ფულის აღნიშნელ ტერმინად, საქართველოში

ვეცხლი იხმარებოდა. ვეცხლი, როგორც საზოგადოდ ფულის აღნიშვნელი ტერმინიც, იხსენიება, მაგალითად, თამარ მეფის სპილენძის ფულეებზე, რომლებზეც ვკითხულობთ: „იქნა ქედაი ვეცხლისა ამის ქირონიკონსა უზ“ (Пахомов, Монеты Грузии, 99—102. თარიღი უზოგიერთ სერიის ფულეებზე უნდა შესწორებულ იქმნას ჩვენის აზრით რო. გორც უზ, შეცდომა წარმომდინარეობს ასომთავრულ ასოების ზ და ჯ ერთმანეთთან მსგავსებით). აქსიტყვა ვეცხლი, სპილენძის ფულზე წარწერილი, ცხადია ინიშნავს საზოგადოდ ფულსაც. თამარის ეპოქის შემდეგ უკვე შემოდის ხმარებაში ფულის აღსანიშნავად სიტყვა თეთრი, თუმცა რამოდენიმე ხანს ამავე მნიშვნელობით ვეცხლიც იხმარება, როგორც ამას ადასტურებს ხოფის ხატის ერთი წარწერა ნათელა და მისი შვილების ვარდან და ბედან დადიანების მიერ შეკვეთილი, ჩვენის გამოანგარიშებით დაახლოვებით 1260—1270 წლის ახლოს (ხატის წარწერა იხ. Brosset, Voyages archéol. VIII, ქრონიკ. II, 130). თეთრი არის პირდაპირი თარგმანი ბერძნული ასპრისა (ἄσπρος), რაც აგრეთვე თეთრს ნიშნავს, ხოლო ასპრი არის ჩვეულებრივი ფული ტრაპეზუნტის სამეფოში. საუკუნადებოა, რომ ἄσπρος თეთრი ლითონის მნიშვნელობით იხსენიება ჯერ კიდევ 710 წლის ერთს პაპირუსში ეგვიპტედან (Greek papyri in the Brit. Mus. v. IV, 72. ამ გარემოებაზე თავაზიანად მიმითითა პროფ. გრ. წერეთელმა). ხოლო ტრაპეზუნტის სამეფოში ἄσპრაც უკვე გარკვეულ ვერცხლის ფულს ნიშნავს. ცხადია მაშასადამე, რომ თეთრი სპეციალური მნიშვნელობით უკავშირდება იმ დროს, როდესაც ახლად დარსებულ ტრაპეზუნტის სამეფოს ასპრი იწყებს ტრიალს საქართველოში, უფრო რასაკვირველია სამესხეთოს და ლიხთიმერეთს: ტრაპეზუნტის სამეფოსა და ლიხთიმერეთს შორის მე-13—15 საუკუნეში არსებობდა მტკიცე ეკონომიური ურთიერთობა იმდენად, რომ ტრაპეზუნტის სიქის ფული ტრიალებდა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოშიც. ამ გარემოებას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან საქართველოს ფულის სისტემის მეზობელ ქვეყნებზე დამოკიდებულების მხედველობაში მიღებით, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ თეთრის ვითარება მე-14—15 საუკუნეში. კირ-მანოელ I-ის ასპრი იწონიდა 3,17—2,25 გრამს, ესევე ასპრები ქართული აღნაბეჭდებით იწონიან ორთაშუა რიცხვით 2,35 გრამს (O. Retowski, Die Münzen der Komnenen von Trapezunt, Mosk., 1910. S. 35—63) ანუ ქართულ წონაზე გადატანათ 3,3 დანვ ვერცხლს. იოანე II-ის (1280—1297 წ.) ასპრი იწონის 3,14—2,1 გრამს (იქვე). თუმცა ასპრს თვალსაჩინოდ არ დაუკლია, სამაგიეროდ მისი ლიგატურა იოანე II-ის დროს წახდა, ასე რომ, რეალური ღირებულებაც ასპრისა უნდა დაცემულიყო (შეად. O. Retowski, დასახელ. შრ., 109 და Langlois, დასახელ. შრ., 104).



იოანე II-ის ასპრებიც ბლომად მოიპოვება ქართული აღნაბეჭდებით. ამ გვარი აღნაბეჭდით ფული საქართველოში ამოღებულ იქმნა მიწიდან ჯექან-შაჰის (ყარა-ყოინლუ) და შაჰ-რუხის ღირჰმთან ერთად, — ფრიად საინტერესო ფაქტია, რომელიც ადასტურებს, რომ იოანე II-ის ასპრი ქართული აღნაბეჭდით ტრიალებდა ჩვენში ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის ნახევარში (O. Retowski, დასახ. შრ., 190). იოანე II-ის შეპდეგ ასპრის ზომა თანდათან კლებულობდა. ანდრონიკე III-ის დროს (1330—1332 წ.) ასპრი 2,05—1,88 გრამს იწონიდა, ბასილი იმპერატორის დროს (1332—1340 წ.) ასპრი დავიდა უკვე 1,65 გრამამდის (=2,3 ქართული დანგი). მიხაილის (1344—1349 წ.) ასპრი 1,75—1,10 გრამს იწონიდა, მანოელ III-ისა (1390—1417 წ.) უკვე 1,17—0,73 გრამს, ხოლო ალექსი IV-ისა (1417—1447 წ.)—0,95—0,75 გრამს, საშუალოდ 0,85 გრამს ანუ 1,19 დანგ ვერცხლს (O. Retowski, დასახ. შრ.). ამ ციფრების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქმნას თეთრის თანდათან დაცემა მე-14—15 საუკუნეთა სიგრძეზე. ტრაპეზუნტის ასპრთან ერთად მე-15 საუკუნის ნახევრიდან საქართველოში ჩნდება უკვე ოსმალური ასპრიც, რომელიც, როგორც ქვემოთ ნაჩვენები იქნება, ზომის მხრივ ტრაპეზუნტის ასპრის პარალელს და გაგრძელებას წარმოადგენდა. ვინაიდან დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს და მეორეს მხრივ ტრაპეზუნტის სამეფოს შორის მკიდრე ეკონომიური ურთიერთობა არსებობდა, ამიტომ თეორიულად ჩვენ შეგვეძლო მიგველო, რომ თეთრი, კერძოდ დასავლ. საქართველოში ტრიალებული თეთრი, ტრაპეზუნტის ასპრის ცვალებადობას განიცდიდა. მაშინ ჩვენ მივიღებდით დასავლ. საქართველოს თეთრის დაახლოვებით სათანადო ეპოქის ასპრთან შესატყვისობას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც საკითხი ცხუმურის და კირმანეულის შესახებ რჩება ღიად, რადგან ექვს გარეშეა, რომ ორივე ეს ტერმინი უნდა წარმოადგენდეს სპეციალურ ფულის აღმნიშვნელ სახელებს.

მართლაც ტერმინი ცხუმური, რომლის ეტიმოლოგია სიკუთარ სახელ ცხუმთან დაკავშირებით ჩვენთვის მთლად დამაჯერებელი არ არის, გარკვევით იხსენიება ნიქაბაძეთა 1251 წლის სასისხლო სიგელში. რადგანაც ნიქაბაძე, რომლის სისხლი სიგელში 80 ათ. ძველ ცხუმურად არის შეფასებული, ჩხეტიძის ყვად სჩანს, ხოლო ბექას სამართალით, 1300 წლის ახლოს, მაგალითად უციხო აზნაურის სისხლი 12 ათ. (ორიანი) თეთრი ღირდა, ამიტომ მართა ამ ფაქტიდანაც საგულისხმებელია, რომ ცხუმური იყო წვრილი ფული, თეთრის დაახლოვებით 1/4-ის ოდენა. ბიზანტიურ ფულის სისტემით, რომელთანაც ქართულს სისტემას (და არაბულ-სპარსულსაც) ჰქონდა უახლოესი კავშირი, ოქროს დუკატში (სოლიდში) ითვლებოდა 12 მილიარესი, 24 კერატ და 288

ფოლი. მილიარესი არის იგივე არაბულ-სპარსული ღირებულება და ქართული დრამა. დრამაში მაშასადამე მოდის 24 ფოლი. სპარსულ ღირებულებაში ითვლებოდა 4 დანგი (دانا). დანგი აქ იგულისხმება უკვე როგორც ფულის წოდებულება. თითო დანგი მაშასადამე შეიცავდა 6 ფოლს. ეს უნდა იყოს ფულის ერთ-ერთ ერთეულთაგანი, რომლის გამოხატულებას ბიზანტიის იმპერიის საგადასახადო სისტემაში ვპოულობთ ეგრედ წოდებულ ექვსფოლიან ( $\xi\kappa\sigma\phi\alpha\lambda\iota\sigma\iota\nu$ ) გარდასახადში (ეს გადასახადი შეძობლებულ იქნა ჯერ კიდევ ლეონ ისაერის მიერ). ექვსი ფოლი არის დრამის (თეთრის)  $\frac{1}{4}$ . ბიზანტიური ოქრო შეიცავდა დაახლოვ. 1 მისხალს ოქროს. მე-13 საუკ. ოქროს და ვერცხლის შეფარდება საქართველოსა და მის მიმდებამ ქვეყნებში გამოიხატებოდა როგორც 1:10. ამის მიხედვით დრამის  $\frac{1}{4}$  უნდა ყოფილიყო დაახლოვებით (60 დანგ.:  $12=5:4=$ ) 1,25 დანგი ვერცხლი. მაგრამ მე-13 საუკუნეში დრამა უკვე სრული წონისა არ იყო. ჯერ კიდევ მხითარ გოში 1184 წ. ამბობს, რომ ოქროს დრამიანი 13 დრამს შეიცავს. რუსუდანის დროს დრამა 3,6 დანგ ვერცხლს შეიცავდა. 1247 წ. მოჭრილი დრამა, რომელიც ჩვენის აზრით დავით ნარინს ეკუთვნის, უკვე  $3\frac{1}{2}$  გრანს (3,08 დანგი) იწონის (Баратаев, Нумизм. факт. II, 4). ყაზან-ყაენის ღირებულება ამდენსავე იწონის. შეიძლება ამის მიხედვით ვითქვოდ, რომ 1245—1304 წლებში 3 დანგიანი თეთრი ჩვეულებრივი საფასე უნდა ყოფილიყო. მცირეოდენი განსხვავება ზოგიერთ შემთხვევაში ამ საერთო სურათს არ უნდა არღვევდეს. სამ დანგიანი თეთრის  $\frac{1}{4}$  იქნებოდა დაახლ. 0,75 დანგის წონა ფული. და მართლაც ლიტერატურაში ცნობილია დავით მეფის დროს მოჭრილი რვა გრანიანი ( $=0,7$  დან.) ვერცხლის ფული, რომელიც თავისი ნიშანდობლივი თვისებებით ენათესავება რუსუდანის დრამებს და აგრეთვე ტრაპეზუნტის ამ დროინდელ ასპრებს (სახელდობრ ერთნაირი გამოხატულება მაცხოვარისა ფულის ერთ მხარეზე) და რომელიც ამიტომ ჩვენის აზრით დავით ნარინის ფულთარიცხვს უნდა ეკუთვნოდეს (Баратаев, Нумизм. факт. II, 15—18 მ. ბარათაევი მას შეცდომით ეკუთვნებს დავით აღმაშენებელს). ჩვენის აზრით ცხუპური უნდა ყოფილიყო დრამის ანუ თეთრის  $\frac{1}{4}$ -ის შესატყვისი ვერცხლის ფული, რომელიც თავდაპირველად 1,2 დანგის წონის უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ დრამის თანდათან შეცირების გამო კერძოდ მე-13 საუკუნის ნახევარსა და მეორე ნახევარში შეიძლება წარმოდგენილ იქმნას დაახლ. 0,75 დანგის ვერცხლის შემცველად.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ 1187 წლიდან საქართველოს შავ ფულზე და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარშიდაც ხშირად გვხვდება აღნაბეჭდები ასომთავრული შ და სხვა შემთხვევებში.

მკ. ჩვენის აზრით ეს აღნაბეჭდი უნდა ნიშნავდეს დანგს და 3 დანგს. შავი ფულს სპარსეთში საკრედიტო მნიშვნელობა ჰქონდა (Марков, Катарл. джелаир: мон. LXXXI), ამიტომ სპილენძის ფული სათანადო აღნაბეჭდით (ლ) მისი წონისდა მიუხედავად, გათვალისწინებით იმ გარემოებისა, რომ მილიარესში (=აზაბ.-სპ. დირჰემში) ითვლებოდა 24 ფოლი, ხოლო დირჰემში 4 დანგი ირიცხებოდა, შეიძლება ნიშნავდა დანგს (=6 ფულს), ხოლო აღნაბეჭდით ლ 3—სამ დანგს. თუ ეს მოსაზრება მომავალში გამართლდა, მაშინ მივიღებთ მე 13 საუკ. პირველი ნახევრის სპილენძის ფულების მიხედვითაც დრამის (თეთრის) 1/4-ს როგორც ერთ-ერთ ფულის ნიშანის არსებობის ახალს დადასტურებას.

კირმანეული თეთრი, როგორც საგულისხმებელია, ცხუმურის შემდეგ დროინდელი ექვივალენტი, აგრეთვე თეთრის 1/4 იქნებოდა. რადგანაც კირმანეული დაკავშირებულია ტრაპეზუნტის მეფის მანოელ I-ის სახელთან (მე-15 საუკუნეში, როგორც ვახანაძეთა სასისხლო სიგელიდან სჩანს, საქართველოში დარწმუნებული ყოფილან კირმანეულის ბერძნების, იგულისხმებოდნენ ტრაპეზუნტის მეფის მანოელის, სახელიდან წარმოშობაში), ხოლო მანოელ I-ის ასპრები ქართული აღნაბეჭდებით იწონის დაახლ. 3,3 დანგ ვერცხლს, ამიტომ კირმანეული იქნებოდა დაახლ. 0,8 დანგი ვერცხლის შემცველი.

ზემოაღნიშნული სისტემა უმთავრესად ახასიათებდა შავი ზღვის სანაპიროს მიმდებარე საქართველოს პროვინციებს, კერძოდ ლიხთ-იმერეთს. ეხლა საჭიროა განვიხილოთ ფულს ის სისტემა, რომელიც თავიდანვე და შემდეგ ხანებშიდაც უმთავრესად აღმოს. საქართველოს დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს და რომელიც დაკავშირებულია სპარსულ სისტემასთან.

ამ სპარსულ სისტემას შემდეგს დროებში ახასიათებდა შაურობით, თუნობით და შუაში სხვა წოდებულებათა მატარებელ ერთეულების ანგარიში. საკითხი ჩნდება, თუ სახელდობრ როდის შეზღოდა ჩვენში შაურობით და თუმნობით ანგარიში. თუმანი ეს მონღოლების დროს განმტკიცებული ტერმინია 10 ათასის აღსანიშნავად და მე-13—14 საუკ. სპარსელი ისტორიკოსები მას ამ მნიშვნელობით ხმარობენ. ქართულშიდაც თუმანს დაცული ჰქონდა 10 ათასის მაჩვენებელი შიფრი (შ). ეს სჩანს იქიდანაც, რომ თუმანი, ვახტანგის კანონების მიხედვით (§ 16), შესდგებოდა ათი მინალთუნისაგან, მინალთუნი კი თურქულად ნიშნავს ათას ალთუნს. თუმანი მაშახადავე იყო 10 ათასი ალთუნი. ალთუნი ამ გვარად წარმოადგენდა ფულის ანგარიშის ერთეულს. თუმცა სათანადო ძიების წარმოება ჩვენთვის გაძნელებულია საჭირო ლიტერატურის ხელთ უქონლობის გამო, მაგრამ არსებულ ქართულ

მასალები სიფრთხილით გათვალისწინებით და აგრეთვე საქართველოს ეკონომიურ განვითარების მეზობელ დიდ ხალხებზე დამოკიდებულების მხედველობაში მიღებით შესაძლებელია მთავარ ხაზების მხრივ მაინც საკითხის გარკვევა. მართლაც, საყურადღებოა ის გარემოება, რომ თუმანის შიფრი ფულს ანგარიშის დროს 10 ათასი არის და ერთეულად აქ ალთუნი იგულისხმება. მაგალითად, უხალთუნი რაც თურქულად ას ალთუნს ნიშნავს, არის ორი შაჟრი ანუ თუმნის  $\frac{1}{100}$ , მინალთუნი კიდეც—ათასი ალთუნი ანუ თუმნის  $\frac{1}{10}$ . ორივე ეს ტერმინი ცნობილი იყო საქართველოს მეზობლად სპარსეთში, საიდანაც ის უნდა იყოს შემოდებული. ცნობილია, რომ მე-13—14 საუკუნეში სპარსეთის ტერიტორიაზე თუმანი წარმოადგენდა ფულის ძალიან დიდს ჯამს, სახელდობრ თუმანი შეიცავდა 10 ათ. დინარს, დინარში კიდეც 6 დირჰემი ითვლებოდა, ასე რომ თუმანში 60 ათ. დირჰემი ირიცხებოდა (Н. Бартольд, Перс. надп. на стене андиск. меч. Мангуче, 17—19). სიტყვა თუმანი 10 ათასის მნიშვნელობით სპარსეთში შემოვიდა მონღოლებიდან, მონღოლებს კიდეც ის შეთვისებული ჰქონდათ ჩინეთის თურქესტანიდან (დასახ. შრ., 16). ვ. ბარტოლდი სრულიად სამართლიანად ასწორებდა დ'ოლსონის და ბლოშეს აზრს თუმნის შესახებ, როდესაც ამტკიცებდა, რომ თუმანი შეიცავდა 10 ათ. დინარს და არა 10 ათ. დირჰემს, როგორც ამას ხსენებულნი მეცნიერნი ფიქრობდნენ (დასახელ. ძღვ.). მართლაც, სპარსეთში ეხლაც თუმანში იგულისხმება 10 ათასი დინარი. ეს ფაქტი ამგვარად ექვს გარეშე უნდა ჩაითვალოს.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ თურქულად *تومان* ოქროს ნიშნავს. ალთუნი მაშასადამე შეიძლება განმარტებულ იქმნას როგორც ოქროს ფული და დინარის ექვივალენტი. თუმანი ამ გვარად მართლაც შეიცავს 10 ათ. დინარს ანუ ალთუნს. მართლაც დინარი (არაბ. *دينار*)—ეს გარკვევით ოქროს ფულის სახელწოდებაა, ხოლო არაბულ დინარის შესატყვისის სპარსულში დაჰკანი (*دکانه*) წარმოადგენდა მე-14 საუკუნეში (და წინადაც) ქართულად ოქროს ფულს ამ სპარსულ სახელწოდებიდან წარმოებული სახელი—დრაჰკანი ჰქონდა.

ზემოთ თქმულის მიხედვით გამოდის, რომ თუმანი, საზოგადოდ პირობითი და კრებითი მნიშვნელობით ხმარებული, ამავე დროს შეიცავდა 10 ათას დინარს ანუ დრაჰკანს და 60 ათას დრამას (=თეთრს), და რომ მის ერთეულად იგულისხმება დინარი და უფრო წვრილ ერთეულად დრამა (თეთრი). ასეთი იყო მდგომარეობა მე-14 საუკუნეშიც, როდესაც თუმანს ჯერ კიდევ საანგარიშო მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ შემდეგ თუმანი გარდაიქცა ფულის სახელად, როგორც ეს არის მე-19 საუკუნის და თანამედროვე



სპარსეთშიც, სადაც სპარსული თუმანი უდრის 5,3 — 3 მანეთს. რადვანაც სპარსეთში თუმანში 10 ათ. დინარი იგულისხმება, მაშასადამე დინარი გამოდის 0,023 კაპ. ოქროს ფულის სახელწოდების მატარებელი ერთეული გადაიქცა ამ გვარად სრულ ფიქვიად, რომელიც მხოლოდ თეორიულად განაგრძობდა არსებობას თუმანის შემაღლებულ ნაწილად. თუმანის და დინარის ამგვარი დეგრადაცია დიდი ხნის მომხდარი იყო და არათუ მე-17 საუკუნეში, არამედ მე-15 საუკუნეშიც თითქმის შესრულებულ ფაქტად არის მისაღები. სპარსულ წყაროების სათანადო გარკვევა მომავალში, იმედია, ამ საკითხს საბოლოოდ გააშუქებს. ამ უმად კი ჩვენ ვუჩვენებთ ზოგიერთ მომენტებს, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ისტორიისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს ფულის შესახებ რამოდენადმე მაინც გავვრკვეთ.

როგორც ნაჩვენებია იყო, თუმანის უმცირეს ნაწილას (ერთეულს) ღირებები ანუ ღრამაქ შეადგენდა. ყაზან-ყენის დროს (1195—1204 წწ.) ღირებები იწონიდა 2,15 გრამს, ანუ დაახლოებით 3 დანგს. 1316 წ. აბუ-სეიდმა ღირებები 1,75 გრამზე (=2,45 დანგი) დაიყვანა. 733 წ. (1332—1333 წ. სექტ.) ღირებები ისევ შემცირებულ იქნა. ახალმოჭრილი ღირებები უკვე 1,4 გრამს (=1,96 დანგი) იწონიდა. ჯელოაირის ჰუსეინის დროს (1374—1382 წ.) ღირებები უკვე 0,86 გრამს (=1,2 დანგს იწონიდა (A. Марков, Каталог джелаиридских монет. СПб. 1897 წ., LXXIX—LXXX). ფისკალური პოლიტიკა იწვევდა ღირებების წონის თანდათან შემცირებას. ღირებების ამ გვარ შემცირებას ადგილი ჰქონდა მე-13 საუკუნის სიგრძეზედაც. სახელდობრ რუსუდანის დროს ღრამა იწონიდა 2,43—2,83 გრამს, ორთა შუა რიცხვით 2,65 გრამს, ხოლო ამდროინდელი სელჯუკიდების ღრამები 2,80—3,00 გრამს იწონიდნენ (Пахомов, Монеты Грузии, 122). მისხალზე გადატანით მივიღებთ, რომ მე-13 საუკ. პირველ ნახევრის სელჯუკიდების ღირებები (ღრამა) იწონიდა 0,7 მისხალს, რუსუდანისა საქართველოში 0,62 მის., ყაზან-ყენის—0,5 მისხ. და აბუ-სეიდისა 0,4—0,3 მისხალს. აღბუღას კანონებში იხსენიება გიორგი ბრწყინვალის დროინდელი თეთრი „ორიანი ხუთი დანგი“. აღბუღა სახელდობრ ბექას. შესახებ ამბობს, რომ „პატ(რ)ონის პაპის ჩემისაგან განაჩენი ყაზანაური თეთრი იყო. ამა უამსა შინა ყაზანაურობა არღარა იყო, დიდისა მეფისა გიორგის უამისა თეთრი გავაჩინეთ ორიანი ხუთი დანგი წმიდა ვეცხლი“ (ქონ. II, 257). ამ ცნობიდან ერთი რომ ვღებულობთ თარიღს ბექას კანონების შედგენისას ყაზან-ყენის დროს (1295—1304 წ.); უფრო ახლოს უკანასკნელ თარიღთან (თვით კანონმდებელ ბექას და აღბ. ვინაობის შესახებ იხ. ს. კაკაბ.—სჯულმდებელთა ბექას და აღბ. ვინაობა, ტფ. 1912 წ.) და მეორეს მხრივ ვტყობილობთ გიორგი ბრწყინ-

ვლის დროინდელ ქართული თეთრის წონას. „ორიანი (თეთრი) ხუთი დანგი“ გულისხმობს, რომ ერთი თეთრი ყოფილა  $2\frac{1}{2}$  დანგის წონა. მისხალში 6 დანგია, მაშასადამე გიორგი ბრწყინვალის თეთრს, რომელიც მტკიცე კურსისთვის მიღებული აქვს აღბუღას თავის კანონებში, უჭირავს ყაზან-ყაენისა და აბუ-სეიდის მეორე მოქრის დრამას შორის შუა ადგილი (ყაზან-ყაენის დრამა იწონიდა 3 დანგს, ხოლო აბუ-სეიდისა დრამა მეორე მოქრისა—დაახლ. ორს). გიორგი ბრწყინვალის თეთრი თავისი ზომით უდგება აბუ-სეიდის მიერ 1316 წელს მოქრილ დირჰემს, რომელიც აგრეთვე დაახლოვებით  $2\frac{1}{2}$  დანგს იწონიდა. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ გიორგი ბრწყინვალის  $2\frac{1}{2}$  დანგიანი თეთრი 1316—1332 წლებში იჭრებოდა და ტერმინიც გიორგაული, როგორც განსაზღვრულ ფულის აღმნიშვნელი სიტყვა, ამ ხანებში ჩამოყალიბდა. დეტალური ცნობების მოყვანა ილხანების და ჯელაირების დროინდელ ფულის სისტემას შესახებ ჩვენ აქ არ შეგვიძლია სათანადო ლეტერატურის ხელთ უქონლობის გამო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ზემოდ მოხსენებულის შემდეგაც ცხადია, რომ მე-13—14 საუკუნის სიგარძეზე დირჰემი და მისთან დაკავშირებული თეთრი თანდათან კლებულობდა, ასე რომ 4,2 დანგის ზომიდან (მე-13 საუკუნე პირვ. ნახევ.) ის დავიდა 1,2 დანგამდის (მე-14 საუკ. მესამე მეოთხედი).

ფრიად საყურადღებოა ტრაპეზუნტის სამეფოს ასპრების ზომის მხრივ სპარსეთის ტერიტორიაზე მოქრილ დირჰემებთან შედარება. მანოელ I-ის (1238—1263) ასპრი ორთა შუა რიცხვით იწონიდა  $2\frac{1}{2}$  გრამს (1,96—2,95), იოანე II-ის (1280—1297) ასპრი—2,6 გრამს (2,1—3,21). ეს ზომა დაახლოვებით უდგება როგორც რუსუდანის დრამას (ორთა-შუა რიცხვით 2,65 გრ.), ისე მე-13 საუკ. პირველ ნახევრის სელჯუკიდების დირჰემს (2,8 გრ.). ალექსი II-ის (1297—1330) ასპრი იწონიდა ორთაშუა რიცხვით 1,8 გრ. (1,35—2,5), ხოლო ყაზან ყაენის (1295—1304) დირჰემი—2,15 გრამს და აბუ-სეიდის დირჰემი 1316 წლიდან—1,75 გრამს. ბასილი მეფის (1332—1340) ასპრის წონა იყო 1,45 გრამი (0,9—1,95), ხოლო აბუ-სეიდის დირჰემი 733 წ. ჰიჯრიდან (1332—1333 წ. სექტ.) 1,4 გრამს იწონიდა. მიხაილის (1344—1359) და ალექსი III-ის (1349—1390) ასპრი—1,4 (1,04—1,75), ხოლო დირჰემი ჰასან-ბტუზურგის (1335—1356)—1,28 გრამს, შეიხ-უვეისისა (1356—1374)—1,05 გრამს, ჰუსეინისა (1374—1392)—0,85 გრ. და სულთან-აჰმედისა 1382 წლიდან ისევ 1,05 გრამს (Марков და Retov.).

ყველა ამ ცნობებიდან ცხადად სჩანს, რომ საერთოდ ტრაპეზუნტის ასპრი თავისი ზომით მისდევს სპარსულ დირჰემს. ეს გარემოება, სახელდობრ რომ მათელს აღმოსავლეთში ფულის ერთეული თითქმის

ერთნაირ ზომისა გამოდის, რასაკვირველია მნიშვნელობას და ინტერესს არ არის მოკლებული.

ზემოდ ხსენებულის მიხედვით შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ იმიერ და ამიერ საქართველოში ტრიალებული ფულის ერთეული მე 13—14 საუკუნეში, მიუხედავად იმიერ საქართველოს უფრო ტრაპეზუნტის საფასესთან და ამიერ საქართველოს უფრო სპარსულ საფასესთან დაკავშირებისა, დაახლოვებით ერთნაირი ზომისა უნდა ყოფილიყო და დაახლოებითვე ერთნაირ ცვლილებას განიცდიდა ზომის თანდათანობით შემცირების მხრივ.

მე-15 საუკუნის პირველ წლებიდანვე აზერბეიჯანსა და შირვანში შემოდის თემურლენგის ტენგა (Марков, op. cit., LXXX). ტენგა, ქართული გამოთქმით, თანგა, მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში შემოდის აღმოს. საქართველოშიც. თანგა შემოსულია სპარსეთიდან, ხოლო სპარსეთში ეს სახელი შემოვიდა მონღოლურიდან. თანგა არის იგივე თათრულ-მონღოლური ტენგა, რომელიც სპარსეთში და რუსეთშიც იხმარებოდა. ჩუხეთში მე-14—15 საუკუნეში დენგა უდრიდა თავისი წონით და სიდიდით ღირებეს. სპარსეთში თიმურიდების თენგა გარკვევით იხმარება მე-15 საუკ დასაწყისიდანვე.

მე-15 საუკ. პირველ ნახევარში, 1433 წელს, თანგა დადასტურებულია უკვე აღმ. საქართველოშიც (ისტორ. საბ. III, 15, ქრონიკ. II, 239). იღმო სავლეთ საქართველოში ამავე დროს იხსენიება თეთრიც, მაგ. ალექსანდრე მეფის 1440 წლის განჩინებაში მალის ამოკვეთის შესახებ (ქრონიკ. II, 248), რაც ცხადად ამტკიცებს თეთრის და თანგის ექვივალენტობას. მე-15 საუკუნის თეთრის ვითარების შესახებ მნიშვნელობა აქვს იტალიელ მოგზაურის ბარბაროს ერთს ცნობას, რომელიც მე-1470 წლებს ეკუთვნის. სახელდობრ, კერძოდ სამეგრელოს აღწერილობაში ის ამბობს, რომ „მეგრულად თეთრი ფულს ნიშნავს. ისიც უნდა ითქვას, განაგრძობს ბარბარო, რომ საკუთრად თეთრი ფერს ნიშნავს და რადგან ვერცხლი თეთრია, ამიტომ ამ სიტყვით ფულს აღნიშნავენ. ბერძნების ფული ასპრი, თურქების აქია, ჯაგატაილების ტენგი აგრეთვე თეთრს ნიშნავს. ვენეციაში წინელ ხმარებაში იყო და ახლაც არის ფული, რომელსაც უწოდებენ ბიანკო ანუ თეთრს. ესპანიაშიც არის ფული, რომელსაც თეთრს უწოდებენ. აქედან ვხედავთ, რომ სხვადასხვა ერი თვითეული თავისი ენით ერთს და იმავე საგანს ერთნაირად აღნიშნავს“ (ბარბაროს მოგზაურობის ექსცერპტის ქართული თარგმანი „მოამბე“ № 9, 1894 წ.). მართლაც ბერძნული ἀσπρις და ოსმალური აქია (სიტყვიდან აქ—თეთრი) ნიშნავს თეთრს. მაგრამ გარეშე ამისა ამ ცნობაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართული თეთრი დაპირდაპირებულია ასპრთან და ტენგ-

ანუ თანგთან. შეიძლება ამის მიხედვით ვიფიქროთ, რომ ბარბაროს დროს თეთრი ასპრის ზომისა ყოფილიყო. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს კიდევ ის, რომ თეთრი და თანგა ამ დროს საქართველოში ჩვეულებრივი საფასე იყო, სწორედ ისე როგორც ოსმალეთში ასპრი, ბერძნებისაგან მემკვიდრეობით შეთვისებული. თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ, რომ ოსმალეთის იმპერია თავისი პოლიტიკური ჰეგემონიის გამო შავ ზღვაზე, ეჭვს გარეშეა ძლიერ ეკონომიურ ზედგავლენას ახდენდა მეზობელ ქვეყნებზე და კერძოდ საქართველოზე, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ისე, როგორც ამას ვხედავთ წინა საუკუნეებში და კერძოდ მე-13—14 საუკუნეში. როდესაც ქართული, საფასე დამოკიდებული იყო თავისი ზომით მეზობელ დიდ ქვეყნების საფასეზე (მე-13—14 საუკუნეში ილხანების იმპერიის საფასეზე), ასევე, ყოველს შემთხვევაში მე-15 საუკ. მეორე ნახევარში, საქართველოს უნდა ჰქონოდა დაახლოვებით ისეთივე საფასე, როგორც მეზობელ ძლიერ ოსმალეთის იმპერიაში იყო. მხოლოდ როდესაც დასავლ. საქართველოში ეს საფასე ისევ თეთრის სახელს ატარებდა, აღმ. საქართველოში თეთრის ექვივალენტად ჩვენ ამ დროს ვხედავთ თანგას. ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ თეთრი მე-15 საუკ. მეორე ნახევარში და ამასთან ერთად თანგაც დაახლოვებით ოსმალურ ასპრის ზომისა უნდა ყოფილიყო.

თანგას ზომის გასაგებად ქართულ ნიადაგზე მნიშვნელობა აქვს ვაჩნადის სასისხლო სიგელსა და ჟურულისშვილის სასისხლო სიგელის მინაწერში დაცულ ცნობას. ვაჩნადის სასისხლო სიგელში 1455 წ. სახელდობრ ვკითხულობთ, რომ, „კირმანეული არის წონითა ერთი თეთრი ერთისა დრამისა წონა წმიდა და ხალასი ვერცხლი“. დრამად აქ ცხადია ფული დირჰემი უნდა იგულისხმებოდეს. ჟურულისშვილის სასისხლო სიგელის ბაგრატ მეფის 1472 წლის მინაწერში ვკითხულობთ: „ვინცა კირმანაულისა თეთრისა ვითარობა არ იცოდეს, კირმანური თანგისა ზომა არის“ (საქ. სიძე. I, 4, ქრონიკ. II, 280). თანგა მაშასადამე ამ დროს ქართული გაგებით იგივე დირჰემი ყოფილა; დირჰემი კი, გორც ზემოდ ვნახეთ, ქართულად იგივე თეთრია. თანგა და თეთრი მაშასადამე მე-15 საუკუნეში საქართველოში ერთმანეთს უნდა უდრიდნენ, eo ipso წარმოადგენდნენ ტრაპეზუნტის სამეფოს, resp. ოსმალეთის იმპერიის ასპრის შესატყვისობას.

ოსმალურ ასპრი მე-15 საუკ. მეორე ნახევარში დაახლ. უდრიდა 0,83 გრამს ანუ 1,167 დანგს (875 წ. ჰიჯრ., 1470—1471 წ. იენ., მოჭრილი ონ ლიკი—10-ასპრიანი ფული—იწონის 2,6 ოსმალ. დრაქმას, ანუ 8,3 გრამს, Зап. восточ. отд. ИРАО, т. VI, 366). სულეიმან დიდის დროს (1520—1566 წ.) და საზოგადოდ მე-16 საუკუნეში 50



ასპრი შეადგენდა ერთს ღუკატს (Hammer, Geschichte des Osman-Reiches II, 335 და სხვ.), ხოლო 1512 წ. ღუკატი 60 ასპრს უდრიდა (დასახ. შრ. I, 694—695). ღუკატი (ოქროს ფული) არის იგივე ქართ. ფლური, რომელიც ქართლში მომდინარეობს გენუელების და ვენეციელების ფლორინიდან და გამოითქმის ისე, როგორც ოსმალური  $\text{قرص}$ . შესაძლებელია ამ სიტყვის ქართული გამოთქმა ოსმალურის შუაგობით იყოს განმტკიცებული, ყოველს შემთხვევაში მისი ქართულ ნიადაგზე პირველი დოკუმენტალური დადასტურება შეიძლება 1460 წელს (ქრონიკ. II, 278; ისტ. საბ. III, 36). ოსმალთა ნუმისმატიის გალიბ ედჰემის სიტყვით, ოსმალური ღუკატი ალთუნი ოსმანი პირველად შემოღებულ იქმნა მაჰმად II-ის დროს 883 წ. (1478—1479 წ. მარტ.), წონით 1,075 ოსმალ. დრაქმა (= 3,447 გრ., 4,825 დანგი). ეს ალთუნი ოსმალეთში ტრიალებულ ვენეციურ ღუკატების და უნგრულ ფლორინის წაბადვით იქმნა მოჭრილი. ამ ალთუნის ტიპის ოქროს ფული იჭრებოდა შემდეგ ოსმალეთში ვიდრე 1143 წ. ჰიჯრ (1730—1731 წ. ივლ. Зап. вост. отд. ИРАО. т. VI, 368). თეორიულად ღუკატი უნდა ყოფილიყო 24 ყირათი ანუ 1 მისხალი, მაგრამ ნამდვილად კი თითქმის ყოველთვის ნაკლები იყო. 1687 წ. ქაიროში მოჭრილი ღუკატი 22 ყირათს იწონიდა (Hammer, op. cit. III, 892—893, 906). ძველი კარგი ფლურის ადგილი წინა-აზიის ბაზარზე ეგვიპტეში, ტუნისსა, ალჟირსა და სხვაგან მოჭრილმა ცუდმა ღუკატმა დაიჭირა. ეგვიპტური ღუკატი კი მე-17 საუკ. მიწურულს კოსტანტინოპოლის ძველ ღუკატთან შედარებით  $4,6\%$ -ით ნაკლებს იწონიდა (შეად. სათანადო ცნობები Hammer, op. cit. IV, 892—893, III, 287). ყოველს შემთხვევაში 1725 წ. ოსმალეთში და კერძოდ ეგვიპტეში მოჭრილი ღუკატი ისევ 24 ყირათს იწონიდა (Hammer, op. cit. IV, 248). ვახტანგ VI-ის მიერ ნაჩვენებ ზომით, ფლური მის დროს ვერცხლის ორი შაურის წონა ოქროს შეიცავდა. ამ დროს ქართლში ორი შაური შეიცავდა  $4\frac{1}{5}$  დანგ ვერცხლს ანუ  $19\frac{1}{5}$  ყირათს (შეად. იქვე § 16). აქედან გამოდის, რომ ვახტანგის დროს ქართლში შემოდინდა შემცირებული ზომის ფლური, რომელიც ამ დროს მსვლელობაში იყო წინა-აზიაში და ისიც ყველაზე უფრო შემცირებულ წონისა. ცნობილია, რომ კარგ და წამხდარ ფულის ერთად მსვლელობის დროს კარგი ფული სწრაფად ქრება და მის ადგილს იჭერს ყველაზე უფრო ცუდი ფული. ეკონომიური ცხოვრების ეს კანონი მტკიცდება ქართლის მაგალითზე ვახტანგ VI-ის ცნობის მიხედვით ქართლში წამხდარ ფლურის მსვლელობის შესახებ.

რადგანაც ოსმალური ღუკატი თეორიულად ერთს მისხალს (24 ყირათს, ანუ 6 დანგს) იწონიდა, ამიტომ ანგარიშის ქართულ ნიადა-

ვისთვის დასაახლოვებლად შეიძლება მოგონებულ იქნას, რომ ვახტანგით 1 მისხ. ვერცხლი  $2\frac{1}{2}$  შაურის წონის იყო. რადგანაც ვახტანგით  $4\frac{1}{5}$  დანგი ოქრო (ფლური) საშუალოდ 7 აბაზი და 1 შაური ანუ (29 შაური) ფასობს, ამიტომ სათანადო ანგარიშის გაკეთებით მივიღებთ, რომ 1 მისხლიანი ღუკატის ფასი ვახტანგის დროს იქნებოდა  $36\frac{1}{5}$  შაური, რომელიც ვერცხლზე გადატანით იძლეოდა  $14\frac{1}{2}$  მისხალს. 1:  $14\frac{1}{2}$  ამგვარად არის ოქროსა და ვერცხლის ღირებულობას შეფარდება მე-18 საუკ. პირველ წლებში ქართლში. მაგრამ ვერცხლმა მსოფლიო მასშტაბით გაიაფება იწყო მე 16 და უფრო მე-17 საუკუნეში. უფრო ადრე კიდევ ოქროს და ვერცხლის შეფარდება საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში უდრიდა 1:10. გიორგი ბრწყინვალის დროს დრაჰკანი შეიცავდა 6 ხუთ დანგიან თეთრს. დრაჰკანად აქ იგულისხმება  $\frac{1}{2}$  მისხლიანი დინარი, რომელიც აბუ-სეიდის დროს იჭრებოდა, წონით 2,125 გრამი ანუ თითქმის 3 დანგი (2,975 დან.; Марков, op. cit. LXXX). ამის მიხედვით ოქროს და ვერცხლის შეფარდება მე-14 საუკ. გამოდის 1:10. ასეთივე შეფარდება საგულისხმებელია მე-15 საუკუნეშიც. მაშასადამე შეიძლება ვიფიქროთ, ღუკატში ზემოდ ნაჩვენებ 1512 წლის ცნობის თანახმად 50—60 ასპრის ჩაუვლით (Hammer, op. cit. II, 335 I, 694—695); რომ მე-15 საუკ. მეორე ნახევარში (უკვე მეოთხე მეოთხედში) ოსმალურ ასპრის ექვივალენტად აღიარებული ქართული თეთრი და თანგა შეიცავდა დაახლოვებით 1—1,2 დანგ ვერცხლს. მე-15 საუკ. უკანასკნელ მეოთხედის ქართული თეთრი (თანგა) შეადგენდა მაშასადამე დაახლ. ვახტანგის დროინდელ ბისტს. ზემოდ ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ყაზან-ყაენსა, შუაში გიორგი ბრწყინვალესა და აგრეთვე აბუ-სეიდის დროს თეთრი იწონიდა 3, resp.  $2\frac{1}{2}$  და 2 დანგ ვერცხლს. მე-15 საუკ. მეორე ნახევარსა თუ უკანასკნელ მეოთხედში თეთრი მხოლოდ 1—1,2 დანგის წონისა ყოფილა.

თეთრის შემდეგ დროინდელ ვითარების გასაგებად შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ცნობა. ხონის საყდრის დავთარი ადასტურებს, რომ თეთრი იყო ბიშტის ახლო ერთეული (ს. კაკაბ. გამ., 8: „ერთი ბიშტის საყველიერო“. ანალოგიურ შემთხვევებში ამ დავთარში ყველგან ბიშტის მაგივრად თეთრია მოხსენებული). ხონის საყდრის დავთარი, ტექსტის გამოცემისას ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებით, მე-16 საუკ. დასასრულს იყო მიკუთვნებული (იქვე, 3). ამ ჟამად ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხონის საყდრის დავთარი უნდა იყოს იმავე ხანის წარმოშობის, როგორც ქუთაისის საყდრის 1578 წლის თარიღიანი დავთარი. შესაძლებელია, ორივე დავთარი საეკლესიო წრეებში აღწერის შესახებ გატარებულ გეზის გამომსახველი იყოს და მაშინ ჩვენ მივიღებდით ხონის საყდრის დავთრის შედგენას დაახლოვებით 1580 წლის ახლო ხანებ-

ში. ბიშტი (სპარს. *بيست* — *ოცი*) არის შაურის  $\frac{2}{5}$ , ხოლო  $\frac{2}{5}$  შაური მე-16 საუკ. მიწურულში შეიცავდა 1,34 დანგ ვერცხლს.

საერთოდ ოსმალურ ასპრის შესახებ მე-15—16 საუკ. შეიძლება წამოყენებულ იქმნას შემდეგი სურათი: მაჰმად II-ის დროს 875 წ. ჰიჯრ. (1470—1471 წ. ივნ.) ასპრი — 0,83 გრ. (1,16 დანგ.), სულეიმან I დიდის დროს (1520—1566) თითქმის ასეთივე ზომის — 1,12 დანგი (გალიბ ელჰემი გადმოგვცემს, რომ სულეიმანის დროს სირიისა და არაბეთისთვის მოჭრილი ღირებში 1,5 დრაქმის წონისა 5—6 აყჩეს უღრიდა, *Зап. вост. отд. ИРАО., т. VI, 366—367*). 1584 წლამდის ერთი ოყა ვერცხლიდან ოსმალეთში იჭრებოდა 500 ასპრი. მაგრამ ამ წლიდან დაწყებული ოყადან ათას და მეტს ასპრს სჭრიდენ, ასე რომ დრაქმა ვერცხლი ხუთი ასპრის მაგივრად ათ და თორმეტ ასპრს უღრიდა (*Hammer, op. cit. II, 566—567*). ამ საყურადღებო ცნობის მიხედვით ვტყობილობთ, რომ ოყა მე-16 საუკუნეში 100 დრაქმას შეიცავდა, ოსმალური დრაქმა კიდევ 3,207 გრამს უჭრის. დრაქმა ვერცხლიდან 5 ასპრა გამოდიოდა, ასპრი მაშასადამე 0,64 გრ. (0,9 დანგ) ვერცხლს შეიცავდა. 1584 წლიდან კი ასპრი უკვე 0,375—0,45 დანგ ვერცხლს შეიცავდა. მე-16 საუკუნის მიწურულში ასპრი კიდევ უფრო დაპატარავდა. „ფულის ზომა (1598 წელს) წახდა იმდენად, რომ დუკატი 130 ასპრამდის და პიატრი 70 ასპრამდის ავიდა. მალე დუკატი 160 ასპ. და პიატრი 110 ასპრს ფასობდა... მალე ჰასან ემიშის დროს მოჭრილ იქმნა ახალი ფული, რომლის მიხედვით დუკატის კურსი 220 ასპრიდან 180 ასპრზე იქმნა გაჩერებული, ხოლო პიატრისა 80 ასპრზე“ (*Hammer, op. citat. II, 670*). აქედან გამოდის, რომ მე-16 საუკუნის მიწურულში ასპრის წონა დაცემულა 0,27 და 0,2 დანგამდის. შემდეგ ხანებში ასპრი განიცდიდა კიდევ ახალს შემცირებას. მე-18 საუკ. პირველ მეოთხედში, 1718 წელს მაგალითად, დრაქმა ვერცხლიდან უკვე 20 ასპრი გამოდიოდა. ასპრი მაშასადამე შეიცავდა 0,22 დანგ ვერცხლს (*Hammer, op. cit. IV, 164*). მე-18 საუკუნეში ასპრი უკვე იმდენად პატარა ერთეული იყო, რომ ის შემდეგ ფაქტურად გაქრა და თვლის უმცირეს ერთეულად ფარა გარდაიქცა (ფარაში პირველად 4 ასპრი და შემდეგ 3 ასპრი ირიცხებოდა). შემოდ მოხსენებულის მიხედვით ჩვენ ვტყობილობთ, რომ თეთრი ანუ თანგა, თანგის სპარსულ ამავე სახელის ფულთან და დასავლ. საქართველოში ხმარებელ თეთრის ოსმალურ ასპრთან დაკავშირებით, განიცდიდა მე-15—16 საუკუნეში ცვალებადობას წონის შემცირების მიმართულებით. თეთრი (=ასპრი) მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში შეიცავდა 1,16 დანგ ვერცხლს, მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში 1584 წლამდის 0,9 დანგს, 1584 წლიდან 0,45—0,375 დანგს, 1598 წლის ახლოს კიდევ 0,27 და 0,2 დანგ ვერცხლს. საქართველოს ამ საუ-

კუნეების ნუმისმატიკა გამოჩვენებული და შესწავლილი არ არის, თეორიულად კი უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საუკუნეების სიგრძეზე საქართველოს ცალკე სამეფოებში და შესაძლებელია რომელსამე სამთავროშიც ადგილობრივ ფულის ქრას ჰქონდა ადგილი და ეს ადგილობრივი მოჭრის ფული ზომის და წონის მხრივ, საგულისხმებელია, დაახლოებული იქნებოდა სპარსულ და ოსმალურ ფულთან. ასეთს დაახლოებით შესატყვისობას ვხედავთ ჩვენ საქართველოში მოჭრილ ფულსა და საქართველოსთან ეკონომიურად დაკავშირებულ დიდ სახელმწიფოების ფულს შორის უწინარეს მე-16 საუკუნისა და ამავე მოვლენას უნდა ჰქონოდა ადგილი მე-15—16 საუკუნეთა სიგრძეზედაც. მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ლევან II დადიანი, როგორც ცნობილია, აქრევიანებდა თავისს ზარათხანაში სპარსული სიქის ფულს (Arch. Lambert, Rel. della Colchide, Napoli. 1654, p. 183, ქართული თარგმ. ვ. ჯყონიასი, გვ. 166). სპარსულ ფულს ჰქონდა მე-1650 წლებში იმერეთშიც (Tavernier, Voyages... II, 365). რომ მართლაც მე-16 საუკუნეში კერძოდ ლიხთ-იმერეთს. სპარსული ფული და შესაძლებელია ოსმალურ ფულზედაც მეტად იყო გაბატონებული, ამას ცხადად ამტკიცებს მე-1540 წლების ერთი ცნობა, რომელიც დაკუთვნილი იყო ნიკორწმინდის მე-11 საუკუნის ტყავის სიგელის მინაწერში (ეს სიგელი დაიკარგა 1922 წ.). ამ მინაწერში, რომელიც მიეკუთვნება იქვე კურაპალატად მოხსენებულ ბაგრატ მეფის ხანას და რომელიც დაწერილია მანოელ-ნიკორწმინდელ ეპისკოპოსის მიერ, ნათქვამია, რომ ნიკორწმინდის ეპარქიაში „მღუდელთაგან წელსა შა (ეპისკოპოსს) მარჩილი მიეცემოდეს, დაიკონთაგან ო(რი) რუბი, გლეხთაგან კომლზე კოდი პური და შაური, დიდებულთა და აზნაურთაგან ნიშანი“ (ს. კაკაბ., სჯულმდებ. ბაგრატ კურაპალ., ტფ. 1912 წ., გვ. 5). რუბი თურქულად მეოთხედს ნიშნავს და ის უნდა იყოს მარჩილის მეოთხედი, როგორც ამას ვხედავთ ლიხთ-იმერეთის ტერიტორიაზე მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის დასაწყისში. მარჩილი კიდევ, რეალურად პიასტრის ექვივალენტი, ჩვენის აზრით შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ოსმალებზე წინაღობინდელ ხანასთან, თუმცა გარკვევით ის ყველაზე ადრე ზეოდ მოხსენებულ მინაწერში და აგრეთვე 1545 წლის გელათის წმ. გიორგის ცნობილ სიგელში იხსენიება (ქრონიკ., II, 339, ს. კაკაბ., აფხაზ. საკათალ. გლეხების დიდი დავთარი, ტფ. 1914 წ., 65). სახელდობრ, მარჩილი უნდა უკავშირდებოდეს ევროპიულ მარკას, მხოლოდ ამ სიტყვის იტალიური გამოთქმის ქართულ ნიშნავზე განვითარებიერ. ამის მიხედვით სიტყვის მარჩილის წარმოშობა შეიძლება დაკავშირებული იყო ვენეციელების და გენუელების სავაჭრო ურთიერთობის ფაქტთან შავ ზღვაზე საქართველოს სანაპიროს მიმართულებით.



ოსმალეების ბატონობის გამკვიდრებასთან ერთად სიტყვა მ ა რ ჩ ი ლ ი  
ვერობიულ მარკის მაგივრად გახდა ოსმალურ პიასტრის გამომსახველი.

ნიკორწმინდის მე-XI საუკუნის სიგელის ზემოდმოყვანილ მინა-  
წერში საინტერესოა აგრეთვე შ ა უ რ ი ს. მოხსენება. ეს ფული უკვე  
სპარსულია და რაქის ტერიტორიაზე მისი დადასტურება ცხადად ამ-  
ტკიცებს, რომ უკვე მე-16 საუკუნის ნახევარში ლიხთ-იმერეთის ტე-  
რიტორიაზე სპარსული ფულიც გადიოდა. იმავე დროს, როგორც სჩანს,  
ოსმალური სიქის ფულიც იქნებოდა გავრცელებული — ოსმალეთიდან შე-  
მოტანილი თუ ადგილობრივ მოჭრილი, ეს სხვა საკითხია — მაგრამ პარა-  
ლელურად ამისა მე-16 საუკუნეში ლიხთ-იმერეთის ტერიტორიაზე, ამ-  
გვარად, ვხედავთ სპარსულ ფულსაც. საყურადღებოა, რომ შაური  
მოხსენებულია ქვენიფნეველის 1460 წლის სასისხლო სიგელში. ამი-  
ტომ აუცილებელი ხდება ამ ტერმინის გარკვევა. სამწუხაროდ სათა-  
ნადო ლიტერატურის ხელთუქონლობა ამისთვის დიდ დაბრკოლებას  
წარმოადგენს. მისტერ ჟოზეფ ბირი ტოჯნირ-ის დიდ სპარსული ლექ-  
სიკონით (شمس‌الغناس, კალკუტა, 1220 წ. ჰიჯ. — 1809 წ. ქრ., ტ. II,  
გვ. 7) — شاهى سكه دار ولايتى خراسان از شاه طهماسب  
ვიღაიეტის ფული შაჰთამაზის (დროიდან). ამ ცნობის მიხედვით შაური —  
ქართული დამოლოებით ური წარმოებული სპარსული შაჰისაგან — უკვე  
შირდება თავისი წარმოშობით შაჰ-თამაზის (1524—1576 წ.) ხანას.  
მართალი ამ ცნობაში ყოველს შემთხვევაში შეიძლება იყოს ის, რომ  
შაური თავისი წარმოშობით უკავშირდება სეფიანთ დინასტიის საბო-  
ლოდ დამკვიდრების ხანას ანუ მე-16 საუკუნის დასაწყისს, შაჰ-თამა-  
ზის მეფობის დასაწყისს ან, შესაძლებელია, შაჰ-ისმაილის (1502—  
1524 წ.) მეფობასაც. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ შაურის შიფრი  
არის 50, მასში მაშასადამე იგულისხმება 50 დინარი. რადგანაც შაური  
უკვე მე-16 საუკ. პირველ ნახევარში წვრილ ფულად არის მოხსენებუ-  
ლი, ამიტომ ამ დროს ფულის სისტემის გარდაქმნა, რომელსაც მოყვა  
ძველი დინარის დეგრადაცია, უკვე შესრულებული ფაქტი იყო.  
თუ წინად მე-13—14 საუკუნეში თუმანი შეიცავდა 10 ათ. სრულწო-  
ნის მქონ დინარს და ასეთსავე სრული წონის მქონ 60 ათას დირჰემს,  
ეხლა კი უკვე დინარი და დირჰემი გადაიქცნენ სულ მცირე, მხო-  
ლოდ თეორიულად წარმოსადგენ ერთეულებად. ეს საყურადღებო თავისი  
სიძლიერით დეგრადაცია ფულის აღმნიშვნელ ტერმინისა, როდესაც  
არა თუ ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი სახელი დირჰემი, არამედ თავ-  
დაპირველად ოქროს ფულის მაჩვენებელი დინარიც სრულ ფიქტიათ  
გარდაიქცა, მაჩვენებელი უნდა იყოს სპარსეთის ტერიტორიაზე მომხ-  
დარ რაღაც ფინანსიურ გარდაქმნისა დაახლოებით მე-15 საუკუნის  
სივრცეზე, ამ ფინანსიურ გარდაქმნას მოყვა ფაქტიურად ფულის ახა-

ლი სისტემის ჩამოყალიბება, რაც საერთო ისტორიულ პერსპექტივის გათვალისწინებით, განსაკუთრებით სპარსეთში მე-15—16 საუკ. მიჯნაზე სეფიანთ იმპერიის დაარსების მხედველობაში მიღებით, მართლაც შეიძლება, როგორც ეს ჩვენ ტერმინის შაურის განხილვაზე ვნახეთ, მე-15 ს. დასასრ. ან მე-16 ს. დასაწყისს დაუკავშირდეს. ამ ახლად ჩამოყალიბებულ სისტემის მიხედვით დირჰემი, როგორც მცნებაც კი, ფაქტიურად სრულიად გაქრა. ის შევიდა შემადგენელ ნაწილად ახალ ერთეულში— ალთუნ, რაც თურქულად, როგორც ვნახეთ, ოქროს ნიშნავს. ალთუნი— დინარის ექვივალენტი, წარმოადგენდა ფაქტიურად ფულის სისტემის დაწყებითი ერთეულს. 50 ალთუნი შეადგენდა შაჰი-ანუ ქართული გამოთქმით შაურს, 1000 ალთუნი კიდევ— მინალთუნს, რაც თურქულად ათასი ალთუნის აღმნიშვნელი იყო, 10 მინალთუნი კიდევ შეადგენდა თუმაქსს.

ყველა შემოდ მოხსენებულის მიხედვით ფულის სისტემის შესახებ საქართველოში საერთო პერსპექტივის წარმოდგენის ცდის შემდეგ შესაძლებელია სასისხლო სიგელების ჯეროვნად შეფასებასა და გაგებას შევეცადო. მაგრამ პირველად ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს სისხლის შეფასების რაოდენობის შესახებ საქართველოში სხვადასხვა ეპოქის მიხედვით გარეშე თვით სასისხლო სიგელებისა. უძველესი ცნობა, რომელიც ამ მხრივ ჯერჯერობით ცნობილია (აქ საგულისხმებელია სისხლის ფულით შეფასების შესახებ ცნობა), ეკუთვნის თამარ მეფის ეპოქას. სახელდობრ სირიელი მწერალი ბარპებრაი (1226—1286), რომლის შესახებ ცნობა თავაზიანად მოგვაწოდა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა, აგვიწერს 1197 წელს ქართველ-სომეხთა შორის ეგრედწოდებულ ცრუ პასექის გამო მომხდარ ეკლესიურ განხეთქილების დროს მომხდარ ამბებს: „როდესაც ქართველებმა დაინახეს რომ სომხები მათთან არ უქმობენ (პასექს), თავს დაესხნენ მათ რა ცეცხლით დასწვეს ერთი ეკლესია სომეხთა. ეკლესიაში დაიღუპა 40 კაცი (ვარიანტი: 4 კაცი). როდესაც ეს გაიგეს სხვადასხვა მხარეების სომხებმა, შეიკრიბნენ დაახლოვებით 40 ათასი კაცი ქართველებთან ომის დაწყების მიზნით. მაგრამ ქართველებმა გაიღეს დამწვარ ეკლესიის ასანაწლურებლად 100 ათასი დინარი და თითო კაცისათვის, რომელიც ცეცხლში დაიწვა, ათასი დინარი და ამით დააყარეს მშვიდობა სომეხებთან“ (Gregorii Barherbrai, Chronicon ecclesiasticum, ed. J. B. Abbeoos et J. Lawy, t. II). კონტექსტის მიხედვით საგულისხმებელია, რომ ხსენებული ქალაქი ყოფილა ქართველების ქალაქი, რომელშიდაც და ყოველს შემთხვევაში რომლის ახლო მდებარე მხარეებში სომხებიც მოსახლეობდნენ. ქალაქი იმავე დროს ყოფილა საკმაოდ დიდი, თუ სომხებს 40 ათასი კაცის შეკრება გარდაუწყვეტიათ, რათა ქალაქზე წასულიყვნენ. ამისდა

მიხედვით თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ქალაქი უნდა იყოს ტფილისი. ჩვენი მიზნისთვის ბარჰებრაის ცნობა საყურადღებოა იმით, რომ ამ დროს ტფილისში სომეხ მოქალაქის სისხლი ათასი დინარი ღირებულა. ხოლო ოქროს დინარი, მხითარ გოშის ცნობის მიხედვით (*წაათანაჲქრე ჩაკიე*, გვ. 309), უდრიდა 13 დრამას.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა მხითარ გოშის ცნობა, რომელიც 1184 წელს მიეკუთვნება. მხითარ გოში გადმოგვცემს, რომ აღამიანის ფასი 365 ოქროს დაჰეკანი არისო, ხოლო დაჰეკანი ეხლა 13 ვერცხლის დრამა ფასობსო. ბუნებრივად მაღლისა და ქრისტიანობისათვის ფასი შეიძლება ორმაგი იყოს და მდგომარეობის მიხედვით საფეხურებად მივამატო. სხვა ტომის (ე. ი. არა ქრისტიანის) ფასი სამ ნაწილთაგან ერთი იყოსო (ე. ი. ერთი მესამელიო. *წაათანაჲქრე...* 309 \*).

სისხლის რაოდენობის მკაფიოდ ჩამოყალიბებას ვპოულობთ ბექას და შემდეგ გიორგი ბრწყინვალისა და აღბუღას სამართალში. ბექას მიხედვით, დიდებულის სისხლი ღირს 40 ათასი, (კიხოსან — მონასტროსან ტაძრეულ აზნაურისა — 20 ათასი თეთრი, უციხო და უმონასტრო აზნაურისა — 12 ათასი თეთრი, მსახურის სისხლი — „თუ მისსა პატრონსა აზნაურის შეილაღ ჰყავს, თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს და თუ მსახურად ჰყავს, ათასი დაუურვოს“. ქოთლოსან, აბჯროსან და კარვოსანის, იგულისხმება მსახურის, სისხლი — 12 ათასი თეთრი, ხოლო ისეთი მსახურისა, რომელსაც „პატრონთან საჩინო ხელი არა აქვსდეს და არც ჰქონებოდეს (მაგრამ) აზნაურად ჰყვეს, მისი ექვსი ათასი თეთრი იყოს“. გლეხის სისხლი — 400 თეთრი (სამართალი, §§ 4—11). ეს განაჩენი ბექას დროინდელია. თვით აღბუღას შეტანილი აქვს მუხლი ვაჭარის სისხლის შესახებ — საპატიო ვაჭრისა 12 ათ. და მისი ქვეშეთისა 6 ათ. თ. (§ 96).

საყურადღებოა, რომ გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებითაც აზნაურის სისხლი მთაში ღირს 12 ათ. თეთრი, ხოლო განმგებელის და კვეისბერისა — 6 ათასი თ. და ჰეროვანისა — 12000 თეთრი.

ხსენებულ ცნობებს აქვს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა, რადგან ამისდა მიხედვით ჩვენ გვეძლევა მტკიცე საფუძველი სისხლის რაოდენობის გამოსარკვევად მე-14 საუკუნეში, აღბუღას დროს, მით უფრო რომ აღბუღას ამავე დროს ნაჩვენებია აქვს თეთრის ზომაც. სამართლის წინასიტყვაობაში მას ნათქვამია აქვს, რომ თეთრის ის გულისხმობს ორიანს (ე. ი. ორ ღირჰემიანს), წონით 5 დანგი ვერცხლის შემცველს. ამისდა მიხედ-

\*) მხითარ გოშის „სამართლის წიგნის“ მე-II-ე ნაწილის 1 § უდრის ვახტანგის „კანონთა კრებულის“ სომხური სამართლის 152 თავს: „...სხვა ფასი არის კაცისა თულითა დღეთა წელიწადთა სამას სამოცდა ხუთი დაეკანი რომელია ფლური ოქრო და ერთი დაეკანი ფლური ცამეტი დრამი ვერცხლია. ეს არის ფასი კაცისა და ქრისტიანთა რიგითა პატრონთა და რიგით მეორედ ოუმატონ და მოვმატონ. და ურჯულოთა სამის წილისაგან ერთი მიეცეს...“

ვით ჩვენ ვღებულობთ, რომ დიდებულის სისხლი აღბუღას დროს, მაშასადამე დახლოვებით 1350—1370 წლებში, ღირდა 200 ათასი დანგი ვერცხლი, ციხიან აზნაურისა—100 ათასი დანგი ვერცხლი, უციხო აზნაურისა—60 ათასი დან., მსახურისა—60, 30 და 5 ათასი დანგი, გლეხისა—2 ათასი დანგი ვერცხლი.

ბეჟა-აღბუღას სამართალში მოხსენებული ნორმები სასისხლო გარდასახადისა შემუშავებულია ბეჟას მიერ 1300 წლის ახლო ხანებში. ამის შესახებ აღბუღა თვით ამბობს: „დავიდევით წე [პატრიანის] პაპის ჩემის ბეჟას განაჩენი იგი, აღსრულობითა და უკლებად დავსწერეთ... და რაჟსა გინდა თეთრისა საურავისა საქმე იყოს პატ(რ)ონის პაპის ჩემისაგან განაჩენი ყაზანაური თეთრი იყო, ამ ეჟმსა შინა ყაზანაურობა არღარა იყო, დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ ორიანი ხუთი დანგი წმიდა ვერცხლი და როგორცა თეთრი იყოს ანგარიშად, იმა წესითა აიღებოდეს, ამაღ არ ჩამოვამცირევეთ რომე ავი საქმე ნუ ვისგან ვაადვილდების“ (ქრონ. II, 257). რადგანაც აღბუღა გიორგი მეფის თეთრს (იგულ. დრამას) გულისხმობს, ამიტომ საფიქრებელია ყაზანაურა თეთრიც ორდირჰემიანი უნდა იყოს საგულისხმებელი. ყაზან-ყაენის დირჰემი იწონიდა 3 დანგს, ორიანი მაშასადამე 6 დანგს. ამის მიხედვით დიდებულის სისხლი ბეჟას მიერ 1300 წლის ახლოს განსაზღვრული ყოფილა ( $40 \times 6 =$ ) 240 ათ. დანგი, ციხოსან აზნაურის—120 ათ. დ., უციხო აზნაურის ( $12 \times 6$ ) 72 ათ. დან., მსახურის—72 ათ., 36 ათ. და 6 ათ. დან. და გლეხის—2400 დანგი ვერცხლი.

მეორე მკვიდრს საფუძველს სისხლის ფასის რაოდენობის დასადასტურებლად იძლევა სისხლის განაჩენი, შეტანილა ვახტანგის სამართალში. დიდებულის სისხლი ამ განაჩენით ღირს 15,360 შინალთუნნი ანუ მაშინდელი ზომის მიხედვით ვერცხლზე გადატანით ( $2\frac{1}{2}$  შაური შეიცავდა 1 მისხალს ანუ 6 დანგ ვერცხლს, სამართ., § 16). 737,280 დანგ ვერცხლს. მეორე ხარისხის თავადის სისხლი ღირდა 7680 მინ. (368,640 დანგ. ვერცხ.), მესამე ხარისხის თავადის—3840 მინ. (184,320 დან. ვერცხ.), პირველი აზნაურის სისხლი—1920 მინ. (92,160 დანგ. ვერცხ.), მეორე აზნაურისა და დიდებულის დიდ ვაჭრის მოქალაქის—960 მინ. (46,080 დან.), მესამე აზნაურისა—480 მინ. (23,040 დან.), მსახურის სისხლი—240 მინ. (12,520 დან.), გლეხის სისხლი—120 მინ. (6,260 დან. ვერცხლი). ამგვარად გამოდის, რომ დიდებულის სისხლი 1300 წლ. ახლოს 240 ათ. დანგი ვერცხ., 1360—1370 წ.წ. 200 ათ. დანგი ვერცხლი ფასობდა, ვახტანგის დროს კი  $737\frac{1}{4}$  ათ. დანგი, გლეხის სისხლი 1300 წ. ახლოს—2,4 ათ., 1360—1370 წ.წ. 2 ათ. დანგი, და ვახტანგის დროს— $6\frac{1}{4}$  ათ. დანგი.

სისხლის სხვადასხვა საუკუნის ფასობის ამ მტკიცე საფუძველის დადა-



სტურების შემდეგ შესაძლებელი ხდება თვით სასისხლო სიგელების სათანადო გარჩევაზე გადასვლა. მე-13 საუკუნიდან ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ერთი სიგელი ნიქაბაძეთა, რომელშიდაც 1251 წ. სისხლი განსაზღვრულია 80 ათასი ძველი ცხუმური თეთრი, ეს თანხა ზემოდმოხსენებულის ანგარიშის მიხედვით დაახლოვებით უდრდა 60 ათას დანგ ვერცხლს. 1197 წ. ტფილისში მოქალაქის სისხლი საშუალოდ ღირდა ათასი დინარი, ანუ 13 ათას. დრამა, ვერცხლზე გადატანით დაახლ. 60 ათ. დანგი ვერცხლი. ხოლო ბექას სამართალით უცხო აზნაურის სისხლი 72 ათ. დანგი ვერცხლი ფასობდა: ნიქაბაძეთა სისხლის ფასი პირველ რიცხვს ეშესატყვისება, შეიძლება იმითომ, რომ ნიქაბაძე არ იყო აზნაური, არამედ მსახური. საყურადღებოა, რომ მეორე სასისხლო სიგელში ნიქაბაძე ჩხეტიძის ყმად იხსენიება.

ნიქაბაძეთა (მიქაბაძეთა) მეორე სიგელში, რომელსაც ჩვენ 1325 წელს ვაკუთვნებთ, მათი სისხლი შეფასებულია უკვე 100 ათასი ძველი თეთრი. „ძველი თეთრად“ აქ იგივე ცხუმურის თეთრის შესატყვისი ფული უნდა იგულისხმებოდეს. საყურადღებოა, რომ სიგელში პირდაპირ ნათქვამია: „მოგვართუეს (გიორგი მეფეს) ძუელთა ჩუენთა პაპ(ათ)ავან ბოძებულნი სიგელნი (მიქაბაძეთა)... და რაცა ჩუენთა ჩამომავალთა ძუელთა გაეჩინნეს, აღარცა ჩუენ დაუმცირეთ და დაუმტკიცეთ სრული სისხლი ასი ათასი ძუელი თეთრი“ (ზემოდ, გვ. 7). ამისდა მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გიორგი მეფის მიერ 1325 წელს ნაგულისხმევი „ძველი თეთრი“ კურსით ოდნავ ნაკლები იყო, ვიდრე 1251 წ. იმავე გვარის სასისხლო სიგელში ნაგულისხმევი ცხუმური თეთრი. 1251 წლის 80 ათ. ცხუმური უდრის 1315 წლის 100 ათასს ძველ თეთრს, მართლაც ჩვენ ვიცით, რომ უკვე იოანე II-ის (1280—1297) ასპრი, რომელმაც ბლომად მიიღწია ჩვენამდის ქართული აღნაბეჭდებითაც, თუმცა წონის მხრივ წინანდელ დონეზე იდგა, მაგრამ ლიგატურის მხრივ გაუარესებული იყო (იხ. ზემოდ, 73). იოანე II-ის ასპრი კი თავისი შემადგენელ ერთეულებითურთ შესაძლებელია 1325 წელს ცნობილი ყოფილიყო როგორც ძველი თეთრი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქ „ძველი თეთრი“ ნაგულისხმევი ცხუმურის ექვივალენტად, მაშასადამე სრული თეთრის (ასპრის) ერთი მესამედად, მხოლოდ გაუარესებული ლიგატურით, მაშინ ცხადი იქნება, თუ რატომ გიორგი მეფე 1325 წელს ნიქაბაძისთვის სისხლის ფასის იმავე რაოდენობით დამტკიცებისას სასისხლოს განსაზღვრავს ნაცვლად წინანდელ 80 ათასი ცხუმურისა 100 ათასი ძველი თეთრით.

ამასთან ერთად ჩვენ ვღებულობთ საინტერესო ფაქტს ფულის კურსის ცვალებადობის შესახებ დასავლეთ საქართველოში მე-13 საუკ. დასასრულისა და მე-14 საუკ. დასაწყისისთვის. სახელდობრ ფულის

ლიგატურის გაუარესების გამო ფულის კურსის დაცემა და ფულის ნიშნების გაიაფება ამ დროს, შედარებით მე-13 საუკუნის. მეორე ნახევარის ეპოქასთან, გამოიხატა როგორც 4 : 5.

მიქელაძეთა სისხლი 1326 წ. და მე-14 საუკუნეშივე გელაძის სასისხლო, როგორც ვნახეთ, განსაზღვრულია 80 ათასი ძველი კირმანეული თეთრით. მიქელაძის სასისხლო, ამის მიხედვით შეიძლება განსაზღვრულ იქნას დაახლოვ. 64 ათ. დანგი ვერცხლით.

გელაძის სასისხლო სიგელის შესახებ, პირობით მათი წარმოშობის დაკავშირებით მე-14 საუკუნესთან, და ფონჯავიძეთა სიგელის შესახებაც შეიძლება ითქვას იგივე, რაც მიქელაძეთა სასისხლოს შესახებ, რადგან აქაც სასისხლო განსაზღვრულია 80 ათ. კირმანეული.

მე-15 საუკუნიდან ჩვენ უკვე ვხედავთ სისხლის რაოდენობის მარჯვენა რიცხვის ცვლილებას. 1408 წ. გელათის მეტყინეთ უხუცესის ცირლილასძის სისხლი ნაჩვენებია 120 ათასი ძველი თეთრი. აქაც დასავლეთ საქართველოში ტრიალებულ თეთრის ტრაპეზუნტის ასპრებთან დაკავშირებით, აგრეთვე მხედველობაში მიღებით იმისა, რომ მიხაილის (1344—1349) ასპრი, იწონიდა 1,75—1,10 გრამს, ალექსი III-ისა (1349—1390) 1,72—1,27 გრამს, შესაძლებელია ორთა შუა რიცხვით ცირლილასძეთა სიგელში მოხსენებული ძველი თეთრი ვიგულისხმობთ დაახლოვებით 1 1/2 გრამიან ასპრის მეოთხედი ანუ ქართულ წონაზე გადატანით 2,1 : 4 = 0,5 დანგი ვერცხლი. ამ ანგარიშის მიხედვით ცირლილასძეთა სიგელში მოხსენებული 120 ათასი თეთრი შეიძლება მიღებულ იქნას დაახლ. 60 ათასი დანგ ვერცხლად, რაც უდრის აღბუღლას მიერ მესხეთის ტერიტორიაზე ნაჩვენებ უციხო აზნაურის, სისხლის რაოდენობას (60 ათ. დანგი ვერცხლი).

მე-15 საუკ. პირველ ნახევარშივე მიცემულ სასისხლო სიგელებში ყიფიანისა და გირგალიძისა იხსენიება პირველში გოგაური, მეორეში ყაზნაური თეთრი. გოგაური ცხადია, იგივე გიორგაულია, რომელსაც როგორც ძველად ხმარებულ ფულს იხსენიებს სამართალში ვახტანგიც (§ 14). როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, აღბუღლას იხსენიებს გიორგი ბიწეინვალის თეთრს ორიანს წონით ხუთი დანგს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, თუ სახელს გოგაურს (გიორგაულს) დაუკავშირებდით ამ ზომის ორიან თეთრს. შემდეგს დროებში გიორგაული ათვლებოდა წვრილი ფულის სახელად. ეს ჩინებულად მტკიცდება მე-16 საუკუნის ერთი საბუთით, სადაც მოხსენებულია „გიორგაული თანგა“ (1508 წლის ნასყიდობის საბუთი, შესრულებული ქართლში, საქ. სიძ. II, 401). რადგანაც თანგა ამ დროს ქართლში ჩვეულებრივ საფასეს წარმოადგენდა, ამიტომ შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ სიტყვა გიორგაული თუ აქ სპეციფიკურ სახელის აღმნიშვნელია, ყოველს

შემთხვევაში ჩვეულებრივ თანგიდან დიდად განმასხვავებელ მნიშვნელობისა არ უნდა იყოს. გიორგაული მაშასადამე გადაქცეულა ჩვეულებრივ თეთრის აღმნიშვნელად, ხოლო ვინაიდან მე-14—15 საუკუნეში ლიხთ-იმერეთს თეთრის სახელით ცნობილი იყო დაახლ. ასპრის  $\frac{1}{4}$ -ის ოდენა, ან ოდნავ ნაკლები ფული; ამიტომ შეიძლება ვიგულისხმოთ ყიფიანის სასისხლო სიგელშიდაც გოგაური თეთრი როგორც კირმანეულის შესატყვისი. სიტყვებ გოგაური შეიძლება აქ ნახმარი იყო სასისხლო სიგელში თეთრის უფრო ძველის ზომით საანგარიშებლად. ამ შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქმნას ყიფიანის სისხლი 70 ათ. გოგაური თეთრი (თეთრის შესატყვისობით  $1\frac{1}{2}$  გრამიან ასპრის მეოთხედისადმი) წონით 35 ათასი დანგი ვერცხლი. ამას გარდა სასისხლოში შედის კიდევ 20 ცხენი, სამი ქორი მისით ბაზიარითა და მეძებრითა.

რაც შეეხება გირგალიძის სიგელში მოხსენებულ „ყაზნაურ“ თეთრს, ესეც, ჩვენის აზრით, უნდა წარმოადგენდეს თეთრის უფრო ძველი ზომით ანგარიშის აღნიშვნის ერთ საშუალებას. სჯულმდებელი აღბუღა, როგორც ცნობილია, გადმოგვცემს, რომ უკვე მის დროს (მე-1350—70 წლებში) ყაზნაური თეთრი არ იხმარებოდა. ცხადია მაშასადამე, რომ მე-15 საუკუნის სიგელში ხმარებიდან უკვე გამოსულ ფულის და ისიც დამახინჯებული სახელით მოხსენება უნდა გვიჩვენებდეს მხოლოდ ამ სახელის მოხსენებით თეთრის ძველი, უფრო მოდიდო ზომით ანგარიშის ჩვენების მისწრაფების ცდას.

ამისდა მიხედვით ჩვენ გვგონია, რომ გირგალიძეთა სიგელში მოხსენებული 200 ათ. ძველი თეთრი ყაზნაური, — მხედველობაში მიღებით იმისა, რომ მანოელ III-ის (1390—1417) ასპრი 1,27—0,70 გრამს იწონიდა, ხოლო ალექსი IV-ისა—0,95—0,75 გრ., ორთა შუარიცხვით მაშასადამე 0,90 გრამიან ასპრიდან მეოთხედი თეთრისთვის 0,20—0,22 გრამის (0,28—0,31 დანგი) ჩათვლით, — შეიცავდა დაახლოვებით ანგარიშით 56—66 ათას დანგ ვერცხლს, ე. ი. გირგალიძეთა სისხლი განსაზღვრული ყოფილა აღბუღას სამართალით უციხე-აზნაურისთვის მიღებულ გარდასახადით (60 ათ. დანგი).

სვანთა ერისთავის გელოანის გვარის სისხლი მე-15 საუკ. პირველ მეოთხედში განსაზღვრულია 200 ათ. კირმანეული თეთრი (ზემოდ, გვ. 70) — აქ კირმანეულის თეთრის ვითარების გასაგებად მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ აღმ. საქართველოში დაახლ. 1316—1333 წლებიდან, გიორგი ბრწყინვალის დროიდან თეთრად იწოდება ორ ღრამიანი („ორიანი“) ფული. 6 ორიანი თეთრი შეადგენს ღრამკანს, რომელიც აგრეთვე სრული დინარი არ არის, არამედ აბუ-სეიდის დროს მოჭრილი ნახევარ მისხლის წონა ოქროს ფული (ნახევარი დი.

ნარი). ეს გარემოება ქვემოლ აღნიშნული იქნება ქვენიფენველის სასისხლოს გარჩევის დროს. შესაძლებელია ამის მიხედვით ვიფიქროთ, რომ ლიხთ-იმერეთსაც მე-14 საუკუნის მეორე მესამედიდან ან მეორე ნახევრიდან შემოდის „ორიანი“ შემცველობა თეთრისთვის. ვინაიდან მე-14 — 15 საუკ. მიჯნაზე ტრაპეზუნტის ასპრი შეიცავდა დაახლ. 2 დანგ ვერცხლს, ამის მიხედვით ორიანი თეთრის  $\frac{1}{4}$  (კირმანეული) იქნებოდა 1 დანგის ლითონის შემცველი. ამ გარემოებას თითქოს ადასტურებს ჟურთლოსშილის სიგელში ბაგრატ მეფის მინაწერი 1472 წლისა, რომ კირმანეული თანგისა ზომა არისო, ანუ მაშინდელი კურსით დაახლ. 1,1—1,2 დანგი ვერც. ამის მიხედვით სვანთა ერისთავის გელოვანის სისხლი უდრის 200 ათ. დანგ ვერცხ., ე. ი. აღბუღას მიერ დიდებულისთვის განსაზღვრულ ნორმას.

ამავე ანგარიშით, გათვალისწინებით ამ გარემოებისა, რომ „ძველი კირმანეული“ შეიძლება ერთი თაობით უწინარესი კურსით იქმნეს აღებული, მივიღებთ, რომ იაკობიძეთა სისხლი 1432 წ. — 120 ათ. კირმან. უდრის 120 ათ. დანგ ვერცხ. და თულასძეგებისა 1446 წ. (120 ათ. კირმან.) 120 ათ. დანგ. ვერცხლს. ორივეს სასისხლო ამ გვარად უკვე აღემატება აღბუღას მიერ თვით ციხიან აზნაურისთვის განსაზღვრულ ოდენობას. როგორც სჩანს, მე-15 საუკ. მეორე მეოთხედიდან უკვე იწყება სასისხლო გარდასახადის მეტი დიფერენციაცია და მომატებაც

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მე-15 საუკუნეში სასისხლო გარდასახადი განიცდის ერთგვარ მომატებას. ეს ნათლად სჩანს შემდეგი ფაქტიდან. ვაჩნაძეთა სიგელში 1455 წ. სასისხლო ნაწვენებია 800 ათ. კირმანეული თეთრი, ხოლო ვაჩნაძეთა შესახებ იმავე სიგელში ნათქვამია, რომ „თქვენნი გვარნი ძველთა მეფეთაგან დიდათ პატივცემულნი იყვენით და მეფეთაგან პატივისა და დიდებულობისა ძველნი სიგელნიცა გქონდეს“-ო. ამ ციტატიდან ცხადად სჩანს, რომ ვაჩნაძეთა გვარი მე-15 საუკუნეში დიდებულთა რიგში ითვლებოდა. 800 ათ. კირმანეული თეთრი, ზემოდ (გვ. 81—83) მოყვანილ ანგარიშის მიხედვით ამ დროს შეიცავდა 960 ათ. დანგ ვერცხლს. ხოლო აღბუღას დროს დიდებულის სისხლი 200 ათ. დანგ ვერცხლად იყო შეფასებული. უკვე ამ ფაქტიდან ცხადია, რომ მე-15 საუკუნეში სასისხლო ფასი თვალსაჩინოდ გაზრდილა. საყურადღებოა, რომ სასისხლო განაჩენის მიხედვით დიდებულის სისხლი, როგორც ვნახეთ,  $737\frac{1}{4}$  ათ. დანგ ვერცხლად იყო შეფასებული. მე-15 საუკუნეში არსებული განსაზღვრა დიდებულის სისხლისა რამოდენადმე აღემატება შემდეგ დროინდელ (მე 16 საუკ. დასასრულის) შეფასებას შესატყვის გვარის სისხლისას. როგორც სჩანს, მე-15 საუკუნეში შედარებით მე-14 საუკუნესთან სასისხლოს თვალსაჩინოდ ზრდას მოყოლია მე-16 საუკუნეში იმავე სასისხლოს რამოდენადმე შემცირება.



აღსანიშნავია, რომ გურალისძეების სისხლი 1432 წ. შეფასებულია 500 ათასი თეთრი. ეს ციფრი გურალიძეების სისხლის ერთგვარ ექვს ბადებს სანახშირე გურალიძეებისა ნაჩვენებია 15 ათ. თეთრი, ჯოგის წაღება 12 ათასი. თულასძეების სიგელში სანახშირე ნაჩვენებია 12 ათასი, ჯოგის გატება შეფასებულია 20 ათასი თეთრი (საქ. სიძვ. II, 13—14). ამიტომაც ჩვენ გვგონია, რომ გურალიძეებს, სისხლიც დაახლოვებით იმავე შეფასების უნდა ყოფილიყო, როგორც თულასძეებისა, რომელნიც 1292 წ. დავით ნარინის მიერ მათი გვარისადმი ბოძებულ სიგელის მიხედვით „მეთემე აზნაურებად“ ითვლებოდნენ. თულასძეების სისხლი კი 1445 წლის სიგელის მიხედვით 120 ათ. კირმანეული ღირდა. გურალიძეების სიგელის დედანს ჩვენამდის არ მოუღწევია, არამედ მხოლოდ პირს, მე-16—17 საუკუნის მიჯნაზე შესრულდებულს. ჩვენ გვგონია ამიტომ, რომ თავდაპირველად დედანში გურალიძეების სისხლიც დაახლოვებით 120 ათ. კირმანეული იქნებოდა განსაზღვრული, მით უმეტეს რომ ეს ციფრი მცირე აზნაურის სისხლისთვის მე-15 საუკ. პირველ ნახევარში ჩვეულებრივ ნორმად სჩანს. ხოლო მე-16 საუკუნეში სიგელის პირის გადაწერისას სისხლის რაოდენობა შეცვლილ იქმნა მე-16 საუკუნის სასისხლო სიგელებთან შეფარდებით.

ესევე შეიძლება ითქვას ელიოზისძეთა 1457 წლის სასისხლო სიგელის შესახებ, რომლის დედნად აგრეთვე მე-16 საუკუნეში უძველეს დედნიდან გადაწერილი პირია საგულისხმებელი. მოწვევულ კოპიოში ელიოზისძის სასისხლო ნაჩვენებია 600 ათ. კირმან. თ., რაც აგრეთვე მე-16 საუკუნის შესწორებას უნდა წარმოადგენდეს. მართლაც, ელიოზისძეთა სიგელის მიხედვით უომარი შვილის ცემა განსაზღვრულია 11 ათასი თეთრით, ჯოგის გატება —  $\frac{1}{7}$  სისხლი, დაღის დაჩენა —  $\frac{1}{7}$  სისხლი; სეფე-ქალის ვაუპატიურება —  $\frac{1}{6}$  სისხლი, სეფე-ქალის ცემა — 12 ათასი თეთრი თულასძეების სიგელის მიხედვით კი უომარი შვილის ცემა შეფასებულია მესამედი სისხლი (მაშასადამე 50 ათ. კირმანეული), ჯოგის გატება — 20 ათასი თეთრი, დაღის დარჩენა — 20 ათ. თეთრი, სეფე-ქალის ცემა და ვაუპატიოება — 15 ათასი თეთრი (საქ. სიძვ. II, 13—24). ამ ცნობების შედარებიდანაც ცხადია, რომ ელიოზისძეთა სისხლი თულასძეების სისხლზე ნაკლები ღირდა, მაშასადამე 120 ათას კირზე ნაკლებ. სოციალური მდგომარეობით ელიოზისძენი, როგორც ისრაილურ სჯულის მიმდევარნი, აზნაურნი არ იქნებოდნენ, ისინი იყვნენ ალბად ვაჭარნი. ალბუღას სამართალით კიდევ (§ 97) საპატიო ვაჭრის სისხლი ღირდა 12 ათ. თეთრი, ე. ი. იმდენი, რაჰდენიც უციხო უზნაურისა, ხოლო მის ქვეშეთი ვაჭრისა — 6 ათ. თეთრი.

დასავლეთ საქართველოს ტეროტორიაზედვე და მის მეფეთგან

არის მიცემული მე-15 საუკუნის ორი სიგელი ორალელისძეთა-კვიტაშვილთა (1463 წ.) და ავშანდაძეთა, რომელთაგან პირველში სისხლი განსაზღვრულია 400 ათასი ძველი ცხუმური და მეორეში 200 ათასი ძველი ცხუმური თეთრი და ამას გარდა 12 გლეხი, 12 თეთრი ქორი და სხ. (ზემოდ გვ. 63—64). ამ სიგელებთან ახლო ხანებში, მხოლოდ უკვე აღმოს. საქართველოს ტერიტორიაზე, მიცემულია ჟურულისშვილის სასისხლო სიგელი — 160 ათასი კირმანეული თეთრი, კირმანეული თანგის შესატყვისობის ანგარიშით და ქვენიფნეველის ერისთავის შალვას და მის გვარის წევრების სიგელი, რომელშიდაც სისხლი განსაზღვრულია 170 ათ. კირმანეული. ამ სიგელებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ერთმანეთთან შესადარებლად ჟურულისშვილის და ორალელისძეთა-კვიტაშვილთა სასისხლო სიგელი. ორივე ეს სიგელი მიცემულია მეფის გიორგი ალექსანდრეს ძის მიერ, მხოლოდ პირველი აღმოსავლ. საქართველოსა და მეორე დასავლეთ საქართვე. ტერიტორიაზე. ორივე სიგელი თავისი საჯკეთესო შესრულებით და სტილისტურის ჩამოყალიბებით შეიძლება ჩაითვალოს ქართულ სასისხლო სიგელების კლასიკურ ნიმუშად. ჟურულისშვილის სიგელში მეფე გიორგი სწერს: „მოხუდით წინაშე ჩუენსა და გვაჯეთ, რათამცა ჩუენცა სიგელითა ამით ჩუენცა პატივ გუეცა და შეგუეწყალენით. ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქუენი, ვქენით მოკითხული და ძველთა მეფეთაგანც შეწყალებული იყო ცხრაზმად თქუენი გუარისა კაცი მისი მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და ციხისა შვილი და მქონებელი. აწ ჩუენცა შეგიწყალეთ და ძუელად გაჩენილი სისხლი გაგიახლეთ და გაგიჩინეთ ას სამოცი ათასი კლმანაური თეთრი“ (საქ. სიძვ. I, 4). ჟურულისშვილი ამ გვარად ყოფილა მონასტრის და ციხის მქონებელი, ეკუთვნოდა მაშასადამე, ბექა-ალბულას კვალიფიკაციის მიხედვით, პირველ აზნაურთა რიგს. პირველი აზნაურის სისხლი აღბულას შეფასებული ჰქონდა 100 ათ. დანგი ვერცხლი. სიგელში განსაზღვრული სასისხლო გარდასახადი ჟურულისშვილისა ეკუთვნის 1460 წელზე უფრო ძველს. დროს („ძველად გაჩენილი სისხლი გაგიახლეთ და გაგიჩინეთ“-ო), ასე რომ გიორგი ჟურულისშვილის სიგელი წარმოადგენს ძველი სასისხლო განაჩენის გადაწერის ნიმუშს, თუ დეტალებში რაჰდენად შეუცვლელად, ეს რასაკვირველია სხვა საკითხია. საყურადღებოა, რომ ამ დროს ქართლში კირმანეულის ზომა უკვე კარგად ცნობილი არ იყო, რის გამო სიგელის მინაწერში ბაგრატ მეფე 1472 წ. განსაზღვრავს „კირმანური თანგისა ზომა არისო“. ამისდა მიხედვით ჟურულის სისხლი აქ დროს უდრიდა (160 ათ.  $\times 1,2 =$ ) 192 ათ. დანგ ვერცხლს.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით ფრიალ საყურადღებოა, რომ ორალელისძეთა-კვიტაშვილთა სისხლი იმავე გიორგი მეფის მიერ

1463 წ., ლიპარიტ დადიანისა, მისი შვილის მამია გურიელის და სხვა იმკრელ თავადთა და დარბაზის ერთა შუაგობით, შეფასებულია 400 ათასი ძველი ცხუმური, — „ძველსაც განაჩენსაც აგრე ეწერა და ჩუენცა წესითა გაგიჩინეთ“-ო. აქაც მაშასადამე ჩვენ საქმე გუაქვს წინანდელ სასისხლო სიგელის, მთავარ ხაზების მხრივ მაინც, ხელახლავ დამტკიცებასთან და გაღაწერასთან. ფრიად საინტერესოა რომ ეს სიგელი დაწერილია გიორგი ჟურულისშვილის მიერ, რომლის სახელზე მიცემულია 1460 წლის ზემოდმოხსენებული სასისხლო სიგელი. საყურადღებოა ამასთანავე, რომ მაშინ როდესაც ჟურულისშვილი მღვდელი იყო, ორალელისძე-კვიტაშვილი, გვარის მეთაური, მღვდელ-მონაზონად არის მოხსენებული. მდგომარეობა ორივე გვარის მეთაურთა დაახლოვებით ერთი და იგივე იყო, მხოლოდ ჟურულისშვილი წინად ცხრაზმას მონაპირე ყოფილა, „მონასტრისა და ციხისა შვილი და მქონებელი“ ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორალელისძეს სისხლი ჟურულისშვილის სისხლთან შედარებათ რამოდენადმე ნაკლებ უნდა ყოფილიყო შეფასებული. მაშასადამე 400 ათ. ცხუმური რამოდენადმე შეიძლება 176 ათ. დანგ ვერცხლზე ნაკლებიც ყოფილიყო. თუ ჟურულისშვილი პირველი აზნაურის გვარისა იყო, ორალელისძე შესაძლებელია მეორე აზნაურის გვარისად ჩაითვალოს. მაშინ, აღბუღას სამართლის კვალიფიკაციის მიხედვით, ჟურულისშვილთა სისხლის 192 ათ. დანგ ვერცხლს ორალელისძეთა გვარისთვის შესატყვისება 115,5 ათ. დანგა ვერცხლი. ამის მიხედვით ჩვენ მივიღებდით ცხუმურისათვის დაახლოვებით (115,5 ათ. დან.: 400 ათ. ცხუმ.) 0,3 დანგ ვერცხლს. ცხუმური მაშასადამე უდრიდა თანგას ანუ თეთრის 1/4-ს. ასეთი პატარა ზომის ფული ძნელი დასაჯერებელია ვერცხლის ყოფილიყო. უფრო მისაღებია, რომ ეს ფული სპილენძის იქნებოდა. რომ ამ დროს საქართველოში შავი ფულიც იხმარებოდა, ამას ამტკიცებს ტრაპეზუნტის სამეფოს და თვით სპარსეთის პარალელები. ვხვალა ეს შავი ფული ქართულ ხპარებაში დადასტურებულია დოკუმენტალურადაც. მე-15 საუკუნეში ამ ფულს სახელად ლიხთ-იმერეთში ერქვა რკინა (იხ. ამავე წიგნში ცალკე შენიშვნა ს. კაკაბ., — რკინა ფულის მნიშვნელობით). რას წარმოადგენდა ეს რკინა, ჩვენ არ ვიცით, რადგან საზოგადოდ ტრაპეზუნტის სამეფოსი, ოსმალეთის და სპარსეთის ამ დროინდელი შავი ფულის ღირებულება სათანადოდ არ არის ვარკვეული.

ზემოდ (გვ. 75) ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მე-13 საუკუნეში ცხუმური დაახლოვებით მაშინდელ თეთრის 1/4 უნდა ყოფილიყო. მე-15 საუკუნეშიც ამგვარად ვხედავთ ამავე სურაჲს. მხოლოდ თეთრის ზომის შემცირების გამო, თავის თავად შემცირდა ცხუმურის ზო-

მაც. ამით აიხსნება რომ თუ მე-13 საუკუნეში ცხუმური ჯერ კიდევ ვერცხლის საფასე იყო, მე-15 საუკუნეში კი უკვე ის სპილენძისა უნდა ყოფილიყო. ლითონის გამოცვლა საფასის ერთეულის ასეთი შემცირების გამო, როგორც ცნობილია, არაფერს არაჩვეულებრივს არ წარმოადგენს. ცხუპურის და კირმანეულის განსასხვავებლად შესაძლებელია; ზეჰოდ მოხსენებულის მიხედვით, აღინიშნოს, რომ მე-14 საუკ., ყოველს შემთხვევაში აღმ. საქართველოში, თეთრი უკვე ორიანი (ორ ღრამიანი არის), ამიტომ მე-14—15 საუკ. მიჯნაზე მოხდა კირმანეულის და ძველი კირმანეულის, როგორც ორიანი თეთრის  $\frac{1}{4}$ -ის ფიქსაცია 1,2—1 დანგ ვერცხლის შემცველ ფულად. ცხუმური ამ ნაირად დარჩა ჩვეულებრივ (ერთიან თეთრის  $\frac{1}{4}$ -ად და თავისი ღირებულებით თანდათან შემცირებას განიცდიდა, ხოლო ძველი კირმანეული მე-15 საუკუნეში ხდება ძველი კურსის განსაზღვრულ რაოდენობის ფულის გამომატველ მცნებად (წინანდელი ორიანი თეთრის  $\frac{1}{4}$ ).

კერძოდ ჟურულისშვილის სიგელის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიგელს ახასიათებს დანაშაულობათა დეტალიზაცია, რაც დიდობრივობის განაჩენის შემდეგ აღმ. საქართველოში ზედმეტ იქნებოდა. ჩვენ გვგონია ამიტომ, რომ ჟურულისშვილის „ძველად გაჩენილი“ სიგელი შედგენილი იქნებოდა, 160 ათ. კირმანეულის სასისხლოდ გათვალისწინებით, მე-15 საუკ. პირველ მეოთხედში, ხოლო 1460 წ. სიგელი ხელმეორედ გადაწერილ და დამტკიცებულ იქნა.

ჟურულისშვილის სიგელის განხილვის დროს ჩვენ გვერდს ვერ აუვლით ქვენიფენეელის ერისთავის შალვას სასისხლო სიგელს, რომელიც იმავე წელს და იმავე მეფის სამწიგნობროს მიერ არის გაცემული, როგორც ჟურულისშვილის საგვარეულო საბუთი. ამ სიგელის ტექსტი გამოსცა ბროსემ (Voyages archéol., IV, 84). სიგელს იძლევიან მეფე გიორგი და დედოფალი ნესტანდარეჯანი: „ესე წყალობის წიგნი შეგიწყალებთ და გიბოძეთ თქვენ წინამძღუარს გიორგის, ძმასა თქუნესა ქუენიფენეელს ერისთავს შალვას და ლარგველს... ესე რომე რომელმანცა კაცმან თქუნს სისხლითა შეგცოდონ, ას სამოცდა ათათასი კირმანეული გარდაგიხადოს. კირმანეული ორი შაური არის, რომ იქს ჩვენებურს თეთრსა სულ ერთად :წრ: თუმანსა. ქქს რმც“.

სიგელი ბევრი ფიქრების აღმძვრელია. საკმარისია ითქვას, რომ ერისთავის შალვა ქვენიფენეელის სისხლი აქ შეფასებულია 170 ათ. კირმანეული თეთრი, ხოლო იმავე 1460 წ. ჟურულისშვილის სისხლი ნაჩვენებია 160 ათ. კირმანეული თეთრი. ეს მით უმეტეს უცნაურია, რომ ჟურულისშვილი მართალია მონასტრის და ციხის მქონებელ გვარიდან იყო, მაგრამ მაინც ქვენიფენეელის ყვად ითვლებოდა. გარდა ამისა ქვენიფენეელის სიგელში კირმანეული განმარტებულია როგორც



ორი შაურის შესატყვისი, ხოლო ტერმინი შაური, როგორც ვნახეთ, ჩნდება მე 16 საუკუნის დასაწყისიდან და ამ დროს ქართლის ტერიტორიაზე ხმარებაში არ უნდა ყოფილიყო. გაუგებარია აკრეფე ცნობა 170 ათ. კირმანულის 4,100 თუმანთან შესატყვისობის შესახებ.

ჩვენის აზრით ბროსეს მიერ გამოცემული ტექსტი გადმოწერილი იყო სიგელის პირის პირისაგან. „წრ თუმანი“ შეიძლება პალეოგრაფიულად იყოს დამახინჯება შიფრის „ჩღ თუმანი“-სა მე-16 საუკ. მეორე ნახევარში და მე-17 საუკ. დასაწყისს ტექსტის გადმოწერის დროს. პირველი პირი სიგელისა ამ გვარად მე-16 საუკ. მეორე ნახ. ან მე-17 საუკ. დასაწყისს უნდა იყოს გადმოწერილი. ინტერპრეტაცია — „კირმანეული ორი შაური არის, რომ იქს ჩვენებურს თეთრსა სულ ერთად ჩღ თუმანსა“ — უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ამ ხანას: 1700 თუმანი შესატყვისება სისხლის განაჩენის მიერ დიდებულის სისხლისათვის ნაჩვენებ თანხას (1536 თუმანი). სიგელში ნაჩვენები სასისხლო (170 ათ. კირმან.) ამგვარად გადაკეთებულ იქნა დროის მიხედვით ქნის ერისთავის შესავერ სასისხლო თანხად. გიორგი მეფის 1460 წლის სიგელში ქვენიფნეველის სისხლი ამგვარად ნაჩვენები იქნებოდა მხოლოდ 170 ათ. კირმანეული. მაგრამ ცხადია, რომ ეს სიგელიც წარმოადგენდა ძველი სასისხლოს გადმონაწერს, რადგან ამ დროს ქართლში კირმანეული ფულად არ იხმარებოდა, ხოლო საბუთების გადაწერის დროს კირმანეულს ამავე ხანის თეთრს (თანვას) უფარდებდნენ. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ქვენიფნეველი იყო დიდებული გვარი და მე-13—14 საუკუნეში მისი სისხლი მალა თასობდა. შესაძლებელია ამიტომ კირმანეული აქ ნახმარი იყოს უკვე უფრო მაღალი მნიშვნელობით ვიდრე თეთრის  $\frac{1}{4}$ . ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ მე-14 საუკ. აღმოს. საქართველოში თეთრად უკვე ორდარჰემიანი ფული იწოდება. გიორგი ბრწყინვალე დარჰანში 6 თეთრს სთვლის, ხოლო აღბუღათი ეს თეთრი „ორიანი“ იყო. ეს გარემოება, ჩვენის აზრით, ფრიად საყურადღებოდ სჩანს. გამოდის, მე 14 საუკუნეში აღმ. საქართველოში თეთრის სახელი გადასულა „ორიან“ დარჰემზე (თეთრზე). რადგანაც კირმანეული ჩვენის აზრით თეთრის  $\frac{1}{4}$  იყო, ამიტომ ამით აღმ. საქართველოში კირმანეულიც გახდებოდა უკვე ჩვეულებრივ თეთრას  $\frac{1}{2}$ . გიორგი ბრწყინვალის ორიანი თეთრი 2 დანკს იწონიდა, ამისდა მიხედვით კირმანეული აღმ. საქართველოს გაგებით იქნებოდა 1,25 დანგის ვერცხ. შემცველი. ქვენიფნეველის სასხლი ამის მიხედვით ეღირებოდა 209,5 ათ. დანგი ვერცხლი, ანუ იპდენი, რამდენადაც აღბუღათი ღირს დიდებულის სისხლი. ამასთანავე ეს სიგელი ასეთი განსაზღვრით (170 ათ. კირმ.) შეფგენილი იქნებოდა მე-14 საუკ. ნახევარსა ან მესამე მეოთხედში.

რადგანაც, როგორც ვნახეთ, ცხუმური მე-15 საუკუნეში შავს ფულს და ანგარიშით თეთრის  $\frac{1}{4}$ -ს წარმოადგენდა, ამისდა მიხედვით ავშან-ლაძეთა ზემოდ მოხსენებულ სიგელში აღნიშნული სასისხლო 200 ათ. ცხუმური თეთრი უნდა უდრიდეს დაახლ. 60 ათ. დანგ ვერცხლს.

ასევე შეიძლება ითქვას მთის წმ. გიორგის (რაჭაში) ყმის სასისხლოს შესახებ 1455—1467 წ. წ. სასისხლო აქ უდრის აბჯრიან გაზრდილიანისა 160 ათ. თ. და მის ქვეშეთისა—100 ათ. თ., თუ აქ ცხუმურის შესატყვისი თეთრი იგულისხმება, მაშინ ვერცხლზე გადატანით იგივედლით მთის წმ. გ. გის ყმის სასისხლოს 48 ათ., resp. 33 ათ. დანგ.

ახლა ჩვენ გადავიდეთ მე-15 საუკ. დასასრულის და მე-16 საუკუნის სასისხლო სიგელებზე. თოლოძის სიგელში (ზემოდ, 46—47) სასისხლო აღნიშნულია 260 ათასი თეთრად. კერძოდ ჯოგის გატეხისათვის—15 ათ. თეთრი, მკვდარის გაცარცვა ან სასახლის გატეხა—12 ათ., ბაზიარის ან მეჯოგის ცემა—5 ათ., თოლოძე იყო ფარიჯანიანის მსახური.

თოლოძის სასისხლოსთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს მეორე სასისხლო ნორმა, აგრეთვე მსახურისა, რომელიც ეკუთვნის 1512 წ. (კაბელისძეთა სიგელი). გაბელისძე სიგელში (ზემოდ, გვ. 35) მსახურად არის დასახელებული. ეს გაბელისძე მაშასადამე სხვა გვარისაა, ვიდრე გაბელისძე ამირეჯები ქართლისა. მისი სისხლი ნაჩვენებია 400 ათ. ძველი კირმანეული თეთრი (ზემოდ, გვ. 34)—რიცხვი ექვს გარეშე არის მეტად დიდი. საყურადღებოა რომ ექვსი ასოთაგან ერთის დაშვებისათვის სიგელში 10 ათ. თეთრია დადებული, ხოლო ჩვეულებრივ ამისთვის სისხლის  $\frac{1}{6}$ ,  $\frac{1}{4}$  და  $\frac{1}{3}$ -ც იყო დადებული. სასაფუაოს გატეხა გაბელისძეთა სიგელში—14 ათ. თ. შეფასებულია, ცოლის გაუპატიურება 20 ათ. თეთრი, უიშარი შვილის ცემა—6 ათ. თ., მოახლეს გაუპატიოება—5 ათ. თ., ჯოგის გატეხა—7 ათ. თ., სახლად მოხდომა 24 ათ. თ., მწყემსის და მეჯოგეს ცემა—8 ათ. თ., დაღის დასმა—10 ათ. თ.. კალანდაძეთა სისხლიც 1544—1545 წ. დაახლოვებით ისევე არის შეფასებული (420 ათ. ძველი კირმანეული თეთრი), როგორც გაბელისძის სისხლი (ზემოდ, 36—37). ხოლო დაღის დასპისთვის კალანდაძის სიგელში დადებულია 7 ათ. თ., საფლავის გატეხა—8 ათ. თ., ცეცხლის შემოდება—12 ათ. თ., ჯოგის წახსმა— $\frac{1}{3}$  სისხლი, ჯოგის გატეხა 1,500 თ., უიშარი შვილის ცემა—5 ათ. თ. და სხ.. გაბელისძის სასისხლო ცალკე დანაშაულობათა ჩამოთვლის დროს რამოდენადღე კალანდაძის სასისხლოზე მალაღსჯანს, მაგრამ საერთოდ ორივე მაინც საკმაოდ მისდევნენ ერთმანეთს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა მოხსენებულ იქნას, რომ, მაგ., თულასძეთა სიგელში ეკლესიის და საფლავის გატეხა დაფასებულია სისხლის  $\frac{1}{6}$ , ცოლის წაღება და ანუ მოტაცება— $\frac{1}{2}$  სისხლი, დაღის დასმა  $\frac{1}{6}$  სისხლია შეფასებული, მოხ-

დომა და დაწვა— $\frac{1}{3}$  სისხლი, ჯოგის გატება— $\frac{1}{6}$  სისხლი, უომარო შეილის ცემა \*)— $\frac{1}{3}$  სისხლი, ექვსი ასოთაგან დაშავება— $\frac{1}{3}$  სისხლი, სეფექალის, მეჯინიბეს ან მწყემსის ცემა,— $\frac{1}{8}$  სისხლი. ორალელისძეთა სიგელში ცოლის წაღება ნაჩვენებია  $\frac{1}{2}$  სისხლი, თვალის წამოგდება სისხლის  $\frac{1}{4}$ , ჯოგის გატება— $\frac{1}{4}$  სისხლი. ყურულისშვილის სიგელში სრული სასისხლო 160 ათასი კირმანეულია (თანგის ზომის ანგარიშით), სახლად შემოხდომა—45 ათ. თ., ჯოგის ან ნახირის გატება—12 ათ., თვალის წამოგდება—60 ათ., ხელის და ფეხის დაშავება—50 ათ., სასახლის ან საბძელას, ძნის, თივის, წისქვილის, ვენახის, სახლის, ღობეს დაწვა—30 ათ., ჯოგის ან საქონლის გაცემა მტერზე—15 ათ..

ამ ცნობების შეფარდებიდან, მიუხედავად სასისხლო სიგელებში ცალკე დანაშაულობათა კვალითიკაცის ხშირად თვალსაჩინო სხვადასხვაობისა, შეიძლება გადაჭრით გამოტანილ იქმნას დასკვნა, რომ თუ თულასძეთა სასისხლო 120 ათ. კირმანეულად იყო შეფასებული, ხოლო ყურულისშვილთა—160 ათ. კირმანეული, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გარკვეულად თანგის ზომის ანგარიშით, გაბელისძეთა სისხლის კიდევან რიცხვებად შეიძლება აღებულ იქმნას 18 ათ. და 60 ათ. თეთრი და კალანდაძისა 9 ათ.—64 ათ. თ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩნდება საკითხი, თუ რას უნდა ნიშნავდეს გაბელისძეთა და კალანდაძის სასისხლო სიგელებში 400 ათ. და 420 ათ. კირმანეულის მოხსენება. ჩვენის აზრით, აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს ფულის სპარსულ აღრიცხვის ფაქტთან. სპარსული, სახელდობრ თუმნის ანგარიშზე დამყარებული სისტემა ჩვენში ცხადად მოქმედობს მე-16 საუკუნის დასაწყისიდანვე, 1544 წ. შაჰური, მაგ., გარკვევით დადასტურებულია რაქს ტერიტორიაზედაც კი. საფიქრებელია თუმნის სისტემამ ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში დაიწყო საქართველოში შემოსვლა. 400 ათ. თეთრი ამის მიხედვით შეიძლება იყოს გამოხატულება ფულის სათანადო შიფრისა და უდრიდეს მაშასადამე 400 მინალთუნს. თეთრი ამის მიხედვითა აღებულია აღრიცხვის უკნინეს ერთეულად და არსებითად უდრის ალთუნს. შიფრის პირდაპირ ფულად წაკითხვის ნიმუშები ჩვენ შეგვხდება გარკვევით შემდგეს საუკუნეებშიც და მთავარარქივში მოიპოვება ამისი დამამტკიცებელი საბუთი კერძოდ ერეკლე II-ის დროის შესახებ. მაგ., ერეკლეს მიერ 1771 წ. მიცემულ ბარათში სწერია: „ქ. პაპია თუმანი შეილო, ნეტარად მოხსენებულის ტფილელის ქრისტეფორეს ერთს საწირავად ნიქოზელს: კ. მინალთუნი მოცეცი. აპრი-

\*) ტექსტში შეცდომით დაბეჭდილია „[ვინცა ქ]მარ შეილი გიცენ“... (სკაკაბ. ბაგრატი მე-15 საუკ. მეფ.). უნდა იყოს: „[ვინცა უ]ქმარი შეილი(ი) გიცეს“.

ლის: ივ. ქკს უნთ: ბეჭედი წაწერით: ერეკლე“. გამოთქმა „ქ მინალ-  
თუნი“ არის ფულის შიფრის მაჩვენებელი 5.000 (5 მინალთ).

თუ რა ოდენობის იგულისხმება თუმანი სპარსეთში მე-15 საუკ.,  
ამის შესახებ ცნობა ჩვენს განკარგულებაში მყოფ ლიტერატურაში არ  
შეგვხვდებოდა, მაგრამ არსებულ მასალების მიხედვით ჩვენის გამოანგარი-  
შებით თუმანი მე-15 საუკ. წარმოადგენდა დაახლოებით 1900 დანგ  
ვერცხლის ექვივალენტს, მე-16 საუკ. პირველ პესამედში—1860 დანგ  
ვერცხლისა, ხოლო შაჰ თამაზის (1524—1576 წ.) და შესაძლებელია  
ხუდაბენდეს დროსაც თუმანი 30 ოქრო ღირდა, ვერცხლის საფასეზე  
გადატანით—1570 დანგი ვერც. (ამის შესახებ იხ. ს. კაკაბ., საფასის  
ისტორიისთვის საქართველოში, საისტ. შე წ. I, 1925 წ., 18). თუ  
400 ათ. თეთრის აღნიშვნა გაბელისძეთა სიგელში ნიშნავს 400 მინალ-  
თუნს, მაშინ, ამის მიხედვით ეს თანხა უნდა უდრიდეს ვერცხლზე გა-  
დატანით 74,4 ათ დანგ. ვერც., ხოლო კალანდაძის სისხლის რაოდენ-  
ობა (420 ათ. თ.) ამ შემთხვევაში იქნებოდა 78,1 ათ. დანგი ვერც..

ამის მიხედვით თოდომის სისხლიც 1486—1488 წ.წ. განისაზღვ-  
რება (260 ათ. თ.) 260 მინალთუნი (49,4 ათ. დანგ. ვერც.).

რაც შეეხება გაბელისძას და კალანდაძის სიგელში მოხსენებულ  
სისხლს დანაშაულობათა დეტალიზაციას, ეს ცნობები ორივე სიგელში  
მოყვანილია ჩვეულებრივი თეთრის ჩვენებით. აქ უნდა იგულისხმებო-  
დეს მაშასადამე თეთრი დაახლოებით ოსმალური ასპრის ზომის ოდენა.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ მე-15 საუკუნის დასასრულიდან ფუ-  
ლის სისტემაში კერძოდ ლიხთ-იმერეთს გარკვეული გარდატეხა უკვე  
მომხდარი ფაქტია. თეთრი უკვე გარკვევით უნდა იზარებოდეს ოს-  
მალური ასპრის შესაწყვისობით, ტერმინი კირმანეული კი გადაიქცა  
შკვდარ ტერმინად. ტრადიციით სრული სასისხლო გარდასახადი კიდევ  
ინგარიშება კირმანეულით, მაგრამ კირმანეული ეხლა ფაქტიურად უდრის  
უკნინეს ერთეულს ალთუნს. უკნინეს ერთეულად ალთუნის გარდაქცევას-  
თან ერთად, კირმანეულის სახელი ფაქტიურად გადავიდა ალთუნზე. მე-16  
საუკ.-ში ამგვარად კირმანეული უკვე იგივე ალთუნია. ეს პროცესი შე-  
საძლებელია დაწყებულიყო კერძოდ დას. საქართველოს მიმართ ჯერ  
კიდევ მე-15 საუკ. მიწურულში. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული  
შავ ფულზე რკინის სახელის განმტკიცება ნაცვლად ცხუმურისა,  
რომელიც მე-1460 წლებში ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. რასაკვირ-  
ველია, შესაძლებელია, რომ თვით ტერმინი რკინაც განსაზღვრულ  
ფულის მნიშვნელობით უფრო ძველი იყოს.

რომ მართლაც ფულის სისტემის ამ ახალ საფუძველზე გარდაქმნა  
სწარმოებდა მე-15—16 საუკ. მიჯნაზე, ამას ამტკიცებს გორგაძეთა  
სასისხლო სიგელი 1501 წლისა (ზემოდ, გვ. 67—68, ტექსტი — ქრონ.



II, 193—194) და ქერობიძის სასისხლო სიგელი 1505 წ. (საქ. სიძ. II, 516—517). სრული სასისხლო გორგაძის სიგელში შეფასებულია სამჯერ ასი ათასი კირმანეული თეთრი, რაც უდრის 300 შინალთუნს. სასისხლო დეტალიზაცია კი სიგელში ცნობების ურთიერთთან შეფარდების მიხედვით მოყვანილია უკვე ჩვეულებრივი თეთრის შესატყვის ანგარიშით (თეთრი=ასპრი): სადაღო—20 ათ. თ., საგერშო 12 ათ. თ., სახლოს დაწვა და დარბევა—5 ათ. თ., სასაფლაოს გატეხა და წისქვილის გაცარცვა—1 ათ. თ., მწყემსის ცემა და უომარი კაცის გაცარცვა—1,1 ათ. თ.

ქერობიძის სასისხლო სიგელში 1505 წ. (საქ. სიძ. II 516—517) სრული სასისხლო ნაჩვენებია 120 ათ. „ძველი თეთრი“. აქ ძველი თეთრის სახელით უნდა იგულისხმებოდეს ცხუმურის შესატყვისი ფულის მაშინ მივიღებდით 120 ათ. „ძველი თეთრის“ ოდენობას დაახლოებით 48 ათ. დანგ. ვერცხლს. სასისხლოს დეტალიზაცია კი მიყობა უკვე ჩვეულებრივი თეთრით (თეთრი=ასპრი): ცოლის წართმევა 20 ათ. თ., გრძნეულობის შეთქმა—16 ათ. თ., სახლად მოხდომა 4 ათ. თ., ცოლის გაუპატიურება—5 ათ. თ., უომარი ყმაწვილის ცემა 500 თ., ქალის დაგდება 2 ათ. თ. და სხ.

გორგაძის და ქერობიძის სიგელები ჩვენს აზრით ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ მე-15—16 საუკუნის მიჯნაზე და მე-16 საუკუნის პირველ წლებში ლიხთ-იმერეთს ხდებოდა ფულის სისტემის გარდატეხა. ტერმინი კირმანეული გარდაიქცა ალთუნის შესატყვისად. ცხუმური, როგორც სრული თეთრის  $\frac{1}{4}$ , ქრება და ფულის ერთეულად იქცევა სრული თეთრი (=ასპრი).

ამავე გარემოებას ვხედავთ ბაქრაძის სიგელში 1501 წელს, სადაც სასისხლო ნაჩვენებია 900 ათ. კირმანეული თეთრი (=900 შინალ.). უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ბაქრაძის სიგელი მოწვენილია ახლო დროის კოპიითი. ხოლო ამ პირის ასლი არის დედანი, თუ მე-16—17 საუკუნეში ხელმეორედ გადაწერილი პირი, არა სჩანს. ამ გარემოებას კი აქვს თავისი მნიშვნელობა, რადგან ბაქრაძის სასისხლოს დეტალიზაციაში თითქოს სჩანს ზოგიერთი შემდეგდროინდელი გლოხა. მაგ., სასაფლაოს გატეხა ნაჩვენებია 140 ათ. თეთრი (=140 შინ.?), ცეცხლის შემოდება 180 ათ. თ. (=180 შინ.?), ხოლო ჯრგის გატეხა 10 ათ. თ., მეჯინიზის ან მწყემსის ცემა 4 ათ. თ., გერში—24 ათ. თ. (აქ თეთრი უკვე სრული ერთეულით (=ასპრი) უნდა იყოს ნაანგარიშევი).

აფაქიძის სასისხლო სიგელში 1540 წელს სასისხლო ნაჩვენებია 350 ათ. ძველი თეთრი (ზემოდ გვ. 69). აფაქიძე იყო საეკლესიო ყმა. „ძველი თეთრი“ აქ, ცხადია, იგივე კირმანეულია როგორც ალთუნის შესატყვისი. აფაქიძეთა სისხლი ამკვარად ღირს 350 შინალთუნის.

სასისხლოს დეტალიზაცია მოყვანილია უკვე სრული თეთრით. (=ასპრი).  
დაღრ—3 ათ. თ., მოახლე ქალის ან მეჯინიბეს შეურაცხყოფა—3 ათ. თ..

შერგილაძის სიგელი 1554 წლისა (ქრონ. II. 397—398) საყუ-  
რადღებოა იმით, რომ აქ სრული სასისხლო, აგრეთვე სასისხლოს დე-  
ტალიზაცია ნაანგარიშგვია კირმანეულით. შერგილაძე მოხსენებულისა  
აზნაურშილად; მისი სრული სასისხლო არის 210 ათ. კირმანეული  
ძველი თეთრი (210 მინალთ.), ცოლის წართმევა— $\frac{1}{2}$  სისხლი, გრძნეუ-  
ლობის ჩამოყივლება, პატრონთან დაბეზლება— $\frac{1}{2}$  სისხლი, სასაფლაოს  
გატეხა— $\frac{1}{2}$  სისხლი, თავდათავ ცემა—60 ათ. კირმ. თ. (60 მინალ.),  
ვერში—60 ათ. თ. (60 მინ.), მეჯინიბეს, ბაზიარის, შწყემსის, უომარი  
ვაჟის ცემა—20 ათ. თ., (20 მ.), სახლად დასხმა—100 ათ. თ. (100 მ.).

უკანასკნელ, ტყავაძეთა სასისხლო სიგელი 1601 წლისა, — სასისხლო  
ნაჩვენებია 80 ათ. ძველი კირმანეული თეთრი. ეს განსაზღვრა, ცხა-  
დია, ვადმოწერილია მე 14 საუკუნის ძველი სიგელიდან, რადგან მას  
იქვე მიყვება დიდი რიცხვით აღნიშნული სანახშირე (800 ათ. თეთ-  
რი=800 მინ.), საღალო—400 ათ. თ. (=400 მინ.) და სავერშო  
200 ათ. თ. (=200 მინ.). დეტალიზაცია, რამდენადაც ის ფულად  
არის აღრაცხული, აქაც უკვე ჩვეულებრივი თეთრით არის ნაჩვენები:  
სეფექალის მოტაცება—ათ. თ., მეჯოგეს და შწყემსის გაბერტყვა—300  
თ., ნალიას დაწვა—4 ათ. თ., წისქვილის გატეხა—500 თ.. ამ დროს  
ლიხთ-იმერეთს ფებს იკიდება სპარსული საფასე, რომელიც მე-17 საუკ.  
პირვ. ნახევარში იქ გაბატონებულია. შესაძლებელია ამიტომ, რომ  
ტყავაძეთა სიგელში თეთრი უდრიდეს არა ამდროინდელ ასპრს (ამდროს  
0,27 დანგ ვერცხ., ზემოდ, გვ. 84), არამედ სპარსულ ბისტს (ამ დროს  
1 დანგ ვერცხ.).

რაც შეეხება მაღალაძეთა სასისხლო სიგელს, მიცემულს შაჰნავა-  
ზის მიერ 1675 წ., ის უნდა ეკუთვნოდეს მე-15 საუკუნის უფრო  
პირველ ნახევარს. ამისდა მიხედვით მაღალაძეთა სისხლის ღირებულება  
დაახლოვებით უდრის 300—360 ათ. დანგ ვერცხლს.

ფრიად საყურადღებოა სასისხლოს განსაზღვრა, მოხსენებელი  
აუხაზეთის საკათალიკოზო დიდ გუჯარში (მე-16 საუკ ნახევარი.  
ა. ხახანა შვ., გუჯარები, 123—153), საკათალიკოზო მოინალე კა-  
ციის მოკვლისთვის—„შვიდასი ათასი თეთრი საყდარს დაეურვოს, ოთ-  
ხასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმათ დაეურვოს“  
(გვ. 132). საკათალიკოზო სოფელში „მსახლობელნი გლეხნი მსახურ-  
ნი და მოინალე ვინცა მოკლას, ექსასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს  
და სამასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმას დაე-  
ურვოს“ (გვ. 133). ცხადია, აქ თეთრი იგულისხმება ალთუნის ანგა-  
რიშით. საკათალიკოზო გლეხის სისხლი მაინც ძლიერ მაღლა ყოფილა

შეფასებული—400 ათ. თეთრი, ე. ი. 400 მინალთ.. ს დ ს ხ ლ ი ს გან ა-  
ჩენის მიხედვით გლეხის სისხლი 120 მინალ. ღირდა. მაგრამ გერგე-  
ტელთა სასისხლო სიგელის მაგალითზე (ზემოდ, 48—49) უკვე ვნახეთ,  
რომ საეკლესიო ყმის სისხლი ხშირად თვალსაჩინოდ მეტად ფასობდა.  
ხსენებულ საკათალიკოზო გუჯრის ტექსტი ფრიად ცუდადაა დაბეჭდილი,  
მაგრამ ცხადია, რომ აქ თეთრი უნდა იგულისხმებოდეს ალთუნის  
ექვივალენტად. იქვე შეფასებულია—საკათალიკოზო ძმათაგანის (ბე-  
რის) ცემა და შინ ჩახტომა—ექვსი გლეხი საყდარს და 200 ათ. თეთრი  
მას დაეურვოს, კათალიკოზის ჯოგის გატება—600 ათ. ძველი თეთრი  
საყდარს დაეურვოს. ქორეპისკოპოსის ცემა ანუ შეპყრობა ანუ გინე-  
ბა—12 გლეხი საყდარს და 300 ათ. თეთრი მას. იმავე გუჯარში  
ბიქვინტის ვარემო სოფელს და გლეხის დარბევისთვის გადაწყვეტილია  
600 ათ. ძველი კირმანაული თეთრი (გვ. 132). კირმანაულიც აქ ალ-  
თუნის შესატყვისად უნდა იხმარებოდეს.

მაგრამ ამასთან ერთად გუჯარში გარდაწყვეტილია საყდრის შვილი-  
სთვის ჯოგის გატება—10 ათ. თეთრი საყდარს და 2 ათ. მას დაე-  
ურვოსო, ნაძარცვის უკან დაბრუნებით. კათალიკოზის კაცის გაცარ-  
ცვა—10 ათ. თეთრს საყდარს, 4 ათ. მას. საყდრის და საყდრის ყმის  
ვენახის გაკაფვა—30 ათ. თეთრი საყდარს და 1/2 ათ. ვისც ვენახი იყოს.  
ასევე წისქვილის გატებისათვის (გვ. 131, 133). უკანასკნელ შემთხვევე-  
რებში თეთრი უნდა უდრიდეს ოსმალ. ასპოს.

ყველაფერის ზემოდ მოხსენებულის მიხედვით ცხადია, თუ რამდენად  
დიდმნიშვნელოვან საბუთებს წარმოადგენენ სასისხლო სიგელები. ჩვენ  
ამ ეამად არ გვქონდა განზრახული და ადგილის სიმჭიდროვეც ამის ნე-  
ბას არ იძლეოდა სასისხლო სიგელების დეტალურ და ყოველმხრივ გარ-  
ჩევაზე გავჩერებულიყავით. ამგვარი გარჩევა კი კერძოდ ქართული სა-  
მართლის ისტორიისათვის თვალსაჩინო ინტერესს წარმოადგენს. ჩვენი  
მიზანი იყო მხოლოდ შეძლების დაგვარად დავახლოვებოდით სასისხლო  
სიგელების გაგებას მათი საერთო მოცულობით. როგორც დავინახეთ,  
სასისხლო სიგელები იძლევა ფრიად საყურადღებო სურათს სასისხლოს  
განვითარებასას მე-13—16 ს—ში, ჩვენ აქ ეხლა მოვიყვანთ სქემატიუ-  
რად ცნობებს სასისხლოს შესახებ დაწყებული მე-12 საუკუნიდან.

მე-12 საუკ. დასასრულს (1184 წ.) მხითარ გოში ჩვეულებრივი  
მსოფლიონის სისხლს საქართველოს სამეფოს სომხურ პროვინციებში  
დასდებს 365 დრაჰმანს ქრისტიანებისთვის და ამის მესამედს არა ქრი-  
სტიანებისთვის (დაახლ. ვერცხლზე გადატანით 21,900 დანგ. და 7,300  
დანგი ვერცხ.). 1197 წ. ტუილისში სომეხ მოქალაქის სისხლი ორთა-  
შუა რიცხვით ღირდა 1 ათ. დინარი (= 60 ათ. დანგი ვერცხლი). ბე-  
ქას დროს (1300 წლ. ახლ.) დიდებულის სისხლი ღირს 240 ათ. დანგი.

ვერცხ, ციხოსან აზნაურის.—120 ათ. დანგ., უციხო აზნაურის 72 ათ. დ., მსახურის 72 36 და 6 ათ. დ., გლეხისა—2400 დანგი. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ რომ საერთო ეკონომიურ კრიზისის გამო და ფულის გაძვირების მიზეზით მე-13 ს-ში სასისხლოს საერთოდ დაუკლია. გიორგი ბრწყინვალისა და აღბუღას დროს სასისხლო, ფულის გაძვირების გამო, დაკლებულია ბექას დროსთან შედარებით  $\frac{1}{6}$ -ით, მაგრამ მე-15 საუკ., დაახლ. მეორე მეოთხედიდან, ჩვენ ვხედავთ სასისხლოს თვალსაჩინო ზრდის დაწყებას, ასე რომ 1455 წ. ვაჩნადის სიგელის მიხედვით დიდებულის სისხლი ღირს უკვე 960 ათ. დანგი ვერცხლი. სისხლის განაჩენით მე-16 საუკუნის მიწურულიდან დიდებულის სისხლი ღირს დაახლ. 821,7 ათ. დანგი ვერცხ. სასისხლო სიგელები საერთოდ ადასტურებენ სასისხლოს ცვალებადობის ამ საერთო ხაზს. მართლაც, ნიქაბადის სისხლი მე-13 საუკ. ნახევარში ღირს 50 ათ. დანგი ვერცხლი. ნიქაბაძე იყო ჩხეტიძის ყმა და შესაძლებელია მსახურა. ხოლო მე-14 საუკუნეში მეორე აზნაურთა სისხლი განსაზღვრული იყო 64 ათ. დანგი ვერცხლად. ამდენად ფასობდა, მაგ., აზნაურის მიქელაძის სისხლი (მიქელაძე სასისხლო სიგელში აზნაურად იწოდება, საქ. სიძ. II, 33). ასევე შეფასებულია გელაძის, ფანჯავიძის, ცირილიაძის, გირგალიძის და ტყავაძის სისხლი. მაგრამ ერისთავის ქვენიფნელის და სვანთა ერისთავის გელოვანის სისხლი აღბუღას მიერ დიდებულისთვის განსაზღვრულ ნორმას უღრის (დაახლ. 200 ათ. დან.).

მე-15 საუკუნიდან უკვე ვხედავთ სასისხლოს მომატებას. იაკობიძის სისხლი და „მეთემე აზნაურის“ თულასძის სისხლი 120 ათ. დანგი ვერცხ. ფასობს, ხოლო დიდებულის ვაჩნადისა 1455 წ.—964 ათ. დანგი ვერცხ..\*) ჟურულისშვილის სასისხლო (ჟურულისშვილი აქ საგულისხმებელია პირველ აზნაურად)—192 ათ. დანგ., მაგრამ ორალელისძე-კვიციანიშვილისა—დაახლ. 120 ათ. დ..

მსახურთა თოდოძის (1486—1488 წ.) და გაბელისძის (1512 წ.) სისხლი შეფასებულია 260 და 400 მინალთ. (ამ დროის მინალთუნის ოდენობა გამოსარკვევია. დაახლ. 49,4—74,4 ათ.დ. ვერცხ.), გორგაძისა 1501 წ. 300 მინალთ., ბაქრაძისა 1501 წელსვე 900 მინალთ. ქერობიძის 1505 წ.—48 ათ. დან. ვერცხ., კალანდაძისა—78,1 ათ. დან., საიკლესიო ყმის აფა-

\*) საყურადღებოა, რომ ქალის დაგდებისათვის დადიანის და გურიელის სასისხლო მე-1570 წლებში შეადგენდა 10 ათ. დრაჰკანს (ე ა ხ უ შ ტ ი, ქართლ. ცხ. II, 192). ქალის დაგდებისათვის უფროს მეტად სისხლის ნახევარი იყო დადებული, მაშასადამე ოდიშის და გურიის მთავარის სისხლი ამ დროს 20 ათ. დრაჰკანი ღირებულა. ოქრო სპარსეთში მე-17 საუკ. პირვ. ნახევ. იყო 52,5 დანგ. ვერცხლი ექვივალენტი (ს. კ ა კ ა ბ., საფასის ისტორიისათვის... საი ს ტ. მე-ე, წ. I, 1925 წ., 14). 20 ათ. დრაჰკანი იქნებოდა 1050 ათ. დან. ვერცხ. შესატყვისი.



ქიძის 350 მინ. და აზნაური შვილის შერგილაძისა 155'4 წ. 210 მინალ.-  
შერგილაძეზე უფრო შტლია ფასობდა მე-16 საუკ. ნახევარში საკათა-  
ლიკოზო მოინალე გლეხის სასახლი, სახელდობრ 400 მინალა.. ცხადია,  
მე-16 საუკუნეში და უფრო ადრეც მე-15 საუკ. მეორე ნახევრიდან  
სასახლო ფასის გადაწყვეტა ლიხთ-იმერეთს მეტს კერძობითს და  
ცალკე შემთხვევებში უფრო ინდივიდუალურ ხასიათს ღებულობს.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ სასახლო სიგელები ლიხთ-იმერეთს  
ბოლო დრომდის (უკანასკნელი სასახლო სიგელი, ჯერჯერობით ცნო-  
ბილი, მიეკუთვნება 1601 წ.) შეიცავენ დანაშაულობათა ცოტად თუ  
ბევრად სრულს დეტალიზაციას. საერთო საკანონმდებლო ნორმები  
ლიხთ-იმერეთს, თუ არ ჩავთვლით საკათალიკოზო ეკლესიას (ღიდი გუ-  
ჯარი, მე-16 საუკ. ნახევარში შედგენილი და დაპტიკიციებული მიფეების  
და კათალიკოზების მიერ), სასახლოს შესახებ არ ყოფილა შემუშა-  
ვებული, მაშინ როდესაც მესხეთში ასეთი ნორმები თვალსაჩინოდ ჩამო-  
ყალიბებულია ბეკა და აღბუღას სამართალში, ხოლო აღმ. საქართვე-  
ლოში პირველად მან გამოხატულება პოვა გიორგი ბრწყინვალის ძეგ-  
ლის-დადებაში. მართალია ძეგლის-დადება მხოლოდ განსაზღვრულ  
რაიონს ეხება, მაგრამ მას როგორც კანონმდებლობითი ძეგლს მნიშვნე-  
ლობა აქვს დასახასიათებლად მე-14 ს. არსებულ მისწრაფებისა სამართლის  
მტიკიცი ნორმების დამყარებისადმი. მე-15 ს. პირ. ნახევარში აღმ.  
საქართველოში ჩნდება უკვე დ ი დ ბ რ ქ ი ბ ი ს ა გ ა ნ ა ჩ ე ნ ი, რო-  
მელიც, როგორც სჩანს, განსაზღვრავდა ცალკე დანაშაულობათათვის  
დასაურვებელ ნორმებს სრულ სასახლოს გარკვეული ნაწილადებით.  
დაახლოვებით მე-16 საუკუნის დასასრულიდან ქართლში. შემუშავდა  
ს ი ს ხ ლ ი ს გ ა ნ ა ჩ ე ნ ი, რომელიც შემდეგ შეტანილ იქმნა ვახტან-  
გის სამართალში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სასახლო სიგელების უმრავ-  
ლესობაში სასახლო ნაანგარიშეგია კირმანეული თეთრით. ეს ფაქტი  
ახასიათებს სასახლო სიგელებს ისეთ ხანაშიდაც, როდესაც კირმანე-  
ული თეთრის მოხსენება სასახლო სიგელებისთვის თითქოს მხოლოდ  
ტრადიციულ ნორმას წარმოადგენდა და რეალობას მოკლებული იყო.  
მაგ., ქართლში მე 15 საუკ. მეორე ნახევარში ასეთ ფულის არ ხმარე-  
ბისა გამო (მაგ., ჟურთულიშვილის სიგელი). ხოლო ვინაიდან კირმა-  
ნეული თეთრი დაკავშირებულად სჩანს მე-13 საუკ. მეორე ნახევარსა  
და მე-14 საუკუნეში უმთავრესად დასავლეთ საქართველოსთან, ამი-  
ტომ საფიქრებელია, რომ სასახლო სიგელების გაცემის პრაქტიკამ  
ყველაზე უფრო მკაფიო ჩამოყალიბება პოვა დასავლ. საქართველოს  
ტერიტორიაზე მე-13 საუკ. მეორე ნახევარსა და მე-14 საუკუნეში.  
თავისთავად იგულისხმება, სასახლო სიგელების წარმოჩენა, რიგორც

ისეთი საკანონმდებლო ძეგლებისა, რომელნიც განსაზღვრავენ გვარის სისხლის შესახებ საგვარო წყობილებიდან მომდინარე მცნების უფლებრივ კვალიფიკაციას, მიკუთვნებული უნდა იყოს ფრიად ძველს დროსთვის. ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს, როგორც ვნახეთ, დადასტურება სასისხლო სიგელის გაცემის ფაქტისა ლეონ II აფხაზთა მეფის მიერ მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში. შესაძლებელია მდმავეალში აღმოჩნდეს ასეთი დადასტურება უფრო წინანდელის დროის შესახებაც. მაგრამ სასისხლო სიგელების გაცემის პრაქტიკამ საბოლოო ჩამოყალიბება, როგორც ეს ტერმინის კრძმანულის ტრადიციულ ნორმად გადაქცევის ფაქტიდან სჩანს, ჰპოვა ლიხთ-იმერეთს მე-13 ს. მეორე ნახ. და მე-14 ს. სიგრძეზე.

P. S. Статья уже была сверстана, когда при разборе фонда, поступившего в Центральнй С. С. Р. Гр. из Архива Синодальной Канторы, было обнаружено „Дѣло о имѣнн, оставшемся послѣ Митрополитовъ Кутателя и Генателя“ за № 7 (повидимому из казначейскихъ связей). В этом „Дѣле“ имеются (лл. 1—9) списки публикуемыхъ выше трехъ описей, дающіе, какъ то установлено при бегломъ сличеніи, лишь местами (гл. образомъ в грузинскомъ текстѣ) варианты и орфографическіе разночтенія.

Одна изъ работъ проф. М. А. Полявкова, о коихъ упоминалось в началѣ „вводной записки“ (см. стр. —), печатается в этой кн. Bull. Hist. (см. стр. — и сл.).

ე. თოფურია

**შიდა-ქართლში დაცულ ზოგიერთ სიძველეთა წარწერები.**

შიდა-ქართლი (დიდი და პატარა ლიახეების ხეობა) არქეოლოგიური ნაშთების მხრივ მდიდარ კუთხეს წარმოადგენს. მკვლევართა მიერ ზოგიერთი მათგანი შესწავლილია. თუმცა არქიტექტურული დეტალებით ისინი განსაკუთრებულ ტიპს არა ჰქმნიან, მაგრამ სამაგიეროდ ზოგი წარწერა (რომლითაც რამოდენიმე ძეგლი უხვადაა შემკული) ყურადღებას იპყრობს. წარწერები გამოცემული აქვს მ. ბროსეს, მაგრამ მათ წაკითხვაში ზოგიერთი შეცდომა მოჰსვლია.

გასული წლის ზაფხულს მე შემთხვევა მქონდა რამოდენიმე ძეგლი აღმეწერა, რომელთა ნაწილს აქ მოვიყვან.

**ერედვი.** ვახუშტის სიტყვით: „არს ერედვის ციხე, და ეკლესია მას შინა წმიდის გიორგისა, სასწაულიანი“<sup>1</sup>. ამის მეტი სხვა ცნობა მოხსენებულს ეკლესიის შესახებ არქეოლოგიურ ლიტერატურაში არ მოიპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შემთხვევით გამოწვეულ ზოგიერთ შენიშვნებს<sup>2</sup>. ეს ძეგლი ჯერჯერობით არაა შესწავლილი.

ჩვენამდე მოღწეული დიდი ერედვის ციხის შუა ადგილას (გალანში) დგას თლილი ქვისგან აშენებული უგუმბათო ეკლესია, რომელ-

<sup>1</sup>) Description géograph. de la Géorgie, SPb. 1842, p. 252=საქართველოს გეოგრაფია, რედაქცია მ. ჯანაშვილისა, თფილისი 1904, გვ. 111.

<sup>2</sup>) ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული დ. ბაქრაძის მიერ, ტფილისი 1885, გვ. 167, შწ. ბ. და И. К., Обозрѣвіе Карталинскихъ церквей..., გვ. 20.

სოფ. ერედვი მდებარეობს არბოს ჩრდილოეთით დაახლოვებით სამი ვერსის მანძილზე. იგი გაქიმულია პატარა გორაკის ფერდობზე ცხინვალსა და პატარა ლიახეს შუა და შეიცავს ოთხ უბანს—ფრისი, არგვიცი, ხევის || ხეი-უბანი (იგივე შუა ანუ ბერუანთ უბანი) და დიდი ერედვი (ანუ გალანის უბანი). არგვიცი დაცული პატარა ეკლესია და ციხე საყურადღებოს არაფერს წარმოადგენს. ერედვის ჩრდილოეთით „მაის კალთას, არს ციხე სხვა“ (საქ. გეოგრ., 111) და იქვე მშვენიერი თლილი ქვისგან აგებული უწარწერო პატარა ოთხკუთხი ეკლესია, რომლის გასწვრივ, აღმოსავლეთით, ხეც გაღმა, დანგრეული ეკლესიაა და გადმოცემა მასზე შემდეგს დალადებს (როგორც ეს სოფ. ბროწლეთში მოამბეს): იქ მლოცველი ბერი იმდენად წმიდანი ყოფილა, რომ ჰაერზე გაჩერებული მდგარა. შემოსეულ ურჯულოებს იგი მოუკლავთ და ეკლესიაც დაუნგრევიათ. ბერის სისხლი ეკლესიის კედელს წასცხებია და მისი კვალი დღესაც აჩნიაო.



საც ოთხივე გვერდით ჰფარავს გადახურული მოზრდილი გალერეა-  
 ეკლესიაში შესვლა სამხრეთიდან შეიძლება<sup>1</sup>. კარის მარჯვნივ კედლის  
 ზედა ქვაზე მოიპოვება ნუსხურით ნაწერი გვიანდელი უხვირო წარწე-  
 რა<sup>2</sup>: ე ესე აქან ბჟინი ამისწინ ა ამს (?) ||| ლ || ს(?) ევლეწ ||| ან. (წარ-  
 წერა იმდენად ბუნდოვანია, რომ აზრის გაგება ძნელი ხდება). ხოლო  
 ამის ქვედა ქვაზე ნუსხურითვე წერია: ამასწინ გ<sup>3</sup> ი შემწეა ე<sup>4</sup> ლ<sup>5</sup>  
 ქ<sup>6</sup> ე<sup>7</sup> ||| | თა<sup>8</sup> ა, რაც შეიძლება ასე გავიგოთ: ამას წმიდაა გიორგი შემწეა უო-  
 ველთა ქრისტეანთაა. ამავე კარის მარცხნივ კედლის ქვედა ქვაზე ნუ-  
 სხური წარწერაა შემდეგი შინაარსისა: წმიდათ გ<sup>9</sup> ი შეიწყაქენ მონანი | მო-  
 საფნი | ე<sup>10</sup> ლ<sup>11</sup> ნი ერთობითა მე<sup>12</sup> (?) ნ<sup>13</sup> | ე<sup>14</sup> აფნ, ე. ი. წმიდათ გიორგი შეიწყაქენ მო-  
 ნანი მოსაფნი ფოველნი ერთობითა მე<sup>15</sup> (?) ე<sup>16</sup> აფნ. აქვე კედლის ქვემოდან  
 მესამე დიდ ქვაზე ირჩევა ასო წ. შესაძლებელია, რომ ეს ქვაც ოდეს  
 ღაც წარწერით ყოფილიყო დაფარული.

გალერეის დასავლეთ კედელში, სამხრ.-დასავლეთ. კუთხის მარცხ-  
 ნით, ჩაშენებულია ორნამენტით შემკული ჯვარამოჭრილი ქვა. ჯვრის  
 ქვეშ კი ერთ სტრიქონიანი წარწერა იკითხება. წარწერა მრგვლოვანი  
 ასოებითაა გადმოცემული, ხოლო ღ ნუსხურით: ქე შეაწყლე ჰ(?) ე<sup>17</sup> აფ  
 (ქრისტე შეიწყალე ჰ(?) ე<sup>18</sup> აფ). ამგვარივე წარწერა, გვხვდება აგრეთვე გა-  
 ლერეის აღმოსავლ. კედლის ერთ-ერთ ქვაზე (სამხრ.-აღმ. კუთხესთან,  
 შიგნით), რომელზედაც ჯვარია ამოხურულად გამოყვანილი. ჯვრის  
 მარცხნივ ვკითხულობთ: || ამინ<sup>19</sup> | შე ქ<sup>20</sup> გ მარჯვნივ: ე<sup>21</sup> მნა | შ<sup>22</sup> ნი თ<sup>23</sup> ე  
 ე. ი. ამინ (?) შეიწყაქე ქრისტე ე(სე ანუ ეგე?) მონაა შენი თეოდორე.

რასაკვირველია, ზემომოყვანილი წარწერებით კ<sup>24</sup> არ განისაზღვრე-  
 ბა ამ ეკლესიისადმი აღძრული ინტერესი, არამედ გალერეის სამხრე-  
 თი შესავლის მარცხენა კოლონით, რომელიც ეკლესიის დათვალიერების-  
 თანავე თქვენს ყურადღებას მიიჭრევს. სუფთად გათლილი მრგვალი დი-  
 დი მონოლითი, ოდესღაც მრგვლოვანი ვრცელი წარწერით დაფარული  
 დღეს კარის ერთ-ერთ ჩარჩოდაა გამოყენებული, და დროთა ვითარების  
 წყალობით დაღდამჩნეული და საკმაოდ გადაღეული ეს მნიშვნელოვანი

1) დეტალურ აღწერას მე აქ არ გამოუდგები, რადგან აღნიშნული ეკლე-  
 სია თავისი აგებულებით ჩვეულებრივი ტიპისაა და მის ორიგინალობაზე ზედ-  
 მეტია ლაპარაკი. მაგრამ თუ ვეხები მხოლოდ და მხოლოდ წარწერის ინტე-  
 რესისათვის.

2) სტამბაში ხუსური ასოების უქონლობისა გამო იძულებული ვხდები  
 წარწერები ჩვეულებრივი ასოებით გადმოვცე.

3) პირველი ღ ნუსხურია, ხოლო მეორე მთავრული უნდა იყოს, როგორც  
 ამას მისი მოხაზულობა გვიჩვენებს. კონტექსტით კი თ იყო მოსალოდნელი.

4) ეს უკანასკნელი უფრო წალს წააგავს.

5) შეიძლება ღ წაიკითხოთ, მაგრამ უფრო ე<sup>21</sup> ნი უნდა იყოს, ალბათ:  
 ე(ზე) ან ე(ვე) არის ნაგულისხმევი.

წარწერა ბოლოში მოქცეული გარკვეული თარიღისა გამო წაკითხვის სურვილს იწვევს თქვენში. ცხრა სტრიქონისგან შემდგარი წარწერა სვეტის ირგვლივ დაწერილად უნდა ვიგულისხნოთ, რადგან, როგორც მისი გარჩევის დროს გამოიჩინა, წარწერის ნაწილი გალერეის კედლითაა დაფარული და ამიტომ სიტყვები დაუმთავრებელი რჩება. ცხადია, გალერეა გვიანდელი მინაშენები ყოფილა. მიშენებამდის კი იგი კარიბჭის სვეტი უნდა ყოფილიყო. წარწერის გარდა ეს სვეტი იმ წინითაც საყურადღებოა, რომ ზედა ნაწილზე (თავზე) 16 მსხლისებრი სმარგვლეა გამოქრილი, რომლებიც ხალხის რწმენით ძუძუებს წარმოადგენენ. ურძეო ქალები მათ კარაქს უსვამენ, რომ რძე მიეცეთ<sup>1</sup>.

ჩვენთვის საინტერესო წარწერა, როგორც ზევითაც აღვნიშნე, მარტო სტიქიური ძალების წყალობით როდი გადაღეულა, არამედ ადამიანის ხელის ნავარჯიშევიც საკმაოდ ეტყობა ზედ<sup>2</sup>. სვეტის კირით გათეთრების დროს ასოებისათვის ამოქრილი ადგილები ამოვსებულა, ასე რომ პირველი სამი სტრიქონის რამოდენიმე სიტყვისა და და ბოლო ორი სტრიქონის გარდა ვერ ირჩეოდა, ამიტომ იძულებული ვაგხდები ამოვსებული ადგილები დიდი სიფრთხილით ამომეწმინდა. ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და შესაძლებელი შეიქნა შემდეგის ამოცნობა:

1. ||||| ითა მ|||... ს||| წ(?)დისა [დ]ა მეოხებითა წმდს
2. ათა... ..სითა ეელმწიფობასა ღთვ დი
3. სა წმიდისა... ..(ხ|ნ|?)ე მეუას ნსა რჯნ ბრძანა და ჩავიდა
4. ნჰ(?)ე ||||| რთა მეუეა გა|(იცი?)ა და მონით მშოიდობით იქნა ||...
5. ||ს ილოცა ||წმს|იბრი მას გა|და ჰ(?)ეთა მეორედ ელა დვდ
6. დაღეწა ქართლს შინა თფლობასა ტბელისა ივანესა
7. ს(?)ასა სანატრ||ლისა უ|||ა ჯრითა მისითა გას(?)რანეთ
8. [სანატრელისა სტეფანე ებისკოსოსათა ძალითა შეწყვნითა
9. თე თაფლასქემან დავდე საძირკველი წყლი იუნეს ხფი ქრან-

ამგვარად, როგორც მკითხველი დაინახავდა, სტრიქონები დაუმთავრებელია, და თანაც საკმაოდ წარყვნილი ტექსტი ბურუსით ჰმოსავს იმ ისტორიულ ფაქტს, რომელზედაც აქ ლაპარაკი უნდა იყოს. ნაჩვენები თარიღის თანახმად ძველი მიეკუთვნება მეათე საუკუნის პირველ მეოთხედს,

<sup>1</sup>) ანალოგიური კულტის მატარებელნი არიან ახალქალაქის მაზრაში განძისა და მურჯახეთის ძუძუს ქეები (Mat. по Арх. Кавк., в. XII, Москва 1909, გვ. 28; Сборникъ мат. для опис. мѣст. и пл. Кавказа, XXV, 43-5 „მოგზაური“ 1901, № 1, გვ. 30-31; Извѣстія Кавк. Отд. Моск. Арх. Общ., II, Тфл. 1907, отд. II, 25-26).

<sup>2</sup>) გადმოცემით, ამ სვეტის დასაყრდენი ქვა (კვარცხლბეკი) თითქოს ამოღარულია და შიგ განძი ინახება. დაინტერესებულ პირთ უცდიათ განძის ამოღება. მაგრამ მასიური ქვისთვის ვერა დაუკლიათ რა და მიზნისთვის ვერ მიუხწყვიათ.

ე. ი. 906 წელს, რადგან წელნი იყეს სფი უღრის ქვეყნის გაჩენიდან 6510 წელს, უკეთუ გამოვაცლოებთ ქართველების მიერ მე-XI ს. მდე მიღებული წელთაღრიცხვით 5604 წელს (6510 — 5604 = 906)!. მომდევნო ქრონიკონის რიცხვი კი არა ჩანს. რაც შეეხება ისტორიულ პირთ, თვით თეოდორე თაფლასძეს, ივანე ტბელსა და სტეფანე ებასკოპოსს, ყველანი უცნობნი არიან (ყოველ შემთხვევაში ჩემ მიერ გადათვალიერებულ ისტორიულ საბუთებში ისინი არ იხსენებიან). შეფის სსა რწნ კონტექსტიდან მეფის სახელი გაუგებარია, თუ მას წავიკითხავთ შეფე სსსა მაინც ცნობილი მეფეების სახელს ვერ მივუდგება.

ერედვის ეკლესია სიძველეების მხრივ მეტად ღარიბია; ერთადერთი თვლებით შემკული ღმრთისმშობლის ხატის წარწერა თუა საყურადღებო: || სლდ: . წო: ღთ||ს მშღლ | შე: სლი დიდებღსა: . |||| სი: და: | მეღღღღსა: . მსსა: ბი ||||| ა ღღღღსი: | ან; წარწერა მთავრული ხუცუბრითაა დაწერილი, ზოგჯერ საკმაოდ წარუვნილია. სახელები ვერ ირჩევა.

ქვემო ტბეთის სოფლის დასავლეთით (ციხევალიდან 2—3 ვერსის მანძილზე დასავლ.) დაცული იყო შიგნით და გარეთ თლილი ქვეისაგან ნაშენები პატარა ოთხკუთხი ეკლესია. შიგნით კედელი გჯიით გალესილი და კირით შეღებილი იყო. აქა-იქ საკურთხევის კედელზე ფრესკების ფრაგმენტები შერჩენილა. ქერი დიდი ხანია რაც ჩანგრეული ჰქონია. დასავლეთითა და სამხრეთით თითო შესავალი აქვს. ჩრდილოეთითაც უაჟილა, მაგრამ იგი თავიდანვე დაუჟქმებიანთ. ხუთი სარკმლიდან სამი აღმოსავლეთით მოუღის და 2 სამხრეთით. კარ-სარკმლების ჩარჩოები ჩუქურთმებითა და წარწერებით იყო დამშვენებული. ეკლესია ცნობილია ბორცვის (ბოცის)<sup>1</sup> ან როგორც ადგილობრივ მითხრეს ბო(რ)ისის ჯვრის სახელწოდებით. ხალოცველად ქართველებთან ერთად ოსებიც მოდიოდნენ კვირაცხოვლობას. ეკლესიას წარწერები ბლომად მოეპოვება. იგი გადმოცემულია მრგლოვანი და იშვიითად ნუსხა (ნარევი) ხუცურით. მაგალითად დასავლეთის კარის ზემოთ მდებარე მთლიან ქვაზე ასომთავრულით ვკითხულობთ:

- |                                   |                        |
|-----------------------------------|------------------------|
| 1. ქ სწლთა ღთა ესე ბღღღღღ         | ქ. სახელითა დუთისათა   |
| 2. მე ღვე სნღღღღღ მწსა მწნ სლღღღღ | ესე ბღღღღღღ მე დავდევე |

<sup>1</sup>) დ. ბაქრაძის ცნობა სრულებით ვერ უდგება ჩვენს წარწერას; მისი სიტყვით: „ამ [ერედვის] ეკლესიის წარწერა უჩვენებს ბაგრატსავე კურაპალატად [ოკურპალატად რასაკვირველია კორექტურული შეცდომბა] ქორონ სნბ—1032 წ. (ვახუშტი, საქართვე. ისტორია, გვ. 167, მნშ. ბ). მაგრამ არც ბაგრატ კურაპალატი და არც მაგავსი ქორონიკონი აღნიშნულ წარწერაში არ მოიპოვება.

<sup>1</sup>) შდ. „ადგილი ბურცუის (ბორცვის) ჯუარი (ჯოარი)“ — ბაგრატ მე-IV გუჯარში მოხსენებული (თ. ყორღანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმონასტრისა, თბ. 1896, გვ. 3, 4, 5).

3. ს<sup>ლ</sup>

სწდომან მწსა ძემან ს-

4. ია

ლოცველად სულისა ჩემისა.

5. ჩ<sup>მ</sup>

სამხრეთის კარის ზემოთ ჩუქურთმიანი ქვა იდუა, რომლის ქვეშ არა სიმეტრიულად ამოჭრილი შემდეგი შინაარსის ორსტრიქონიანი წარწერა იკითხება:

1. ქ სხ<sup>ლ</sup>თა დ<sup>თა</sup> ესე ბ<sup>ლ</sup>ჭ<sup>ვ</sup>რ<sup>ი</sup> მე ტ<sup>ბ</sup>ლ<sup>მ</sup>ნ ბ<sup>ტ</sup>კ<sup>მ</sup>ნ ძ<sup>მ</sup>ნ ქ<sup>ვ</sup>თ<sup>რ</sup>ს<sup>ნ</sup>

2. დ<sup>ვ</sup>ღ<sup>ე</sup> ს<sup>ლ</sup>ც<sup>ლ</sup> ს<sup>ლ</sup>ი<sup>ს</sup>ა ჩ<sup>მ</sup>ს<sup>ა</sup> და შ<sup>ვ</sup>ლ<sup>თ</sup>ა ჩ<sup>მ</sup>თ<sup>ნ</sup> (sic) ჯ<sup>რ</sup>ო ბ<sup>რ</sup>ც<sup>ს</sup>ო

გახსნიო:

მ<sup>ს</sup> ქ<sup>ნ</sup>

ქ. სახელითა დუთისთა<sup>1</sup> ესე ბადაჭვარი მე ტბელმან<sup>2</sup> ბატკანმან (?) ძემან ქავთარისამან დავდეუ სალოცველად სულისა ჩემისა და შვილთა ჩემიან<sup>3</sup> ჯუარო ბორცვსაო მკობ შექმენ.

სამხრედი სარკმლის ზედა ქვაზე ჩუქურთმის ზევით აწერია:

ქ<sup>ე</sup> ად<sup>ე</sup> ოქ<sup>რ</sup>ნი ძე ტ<sup>ბ</sup>ლ<sup>ს</sup>აი ა<sup>ნ</sup>, ე. ი.

ქრისტე აღიდე ოქროზირა ძე ტბელისაი ამინ

ამავე სამხრეთის სარკმლის ქვემოთ: ქ ო<sup>რ</sup> კ<sup>ს</sup>ნ<sup>ე</sup> ს<sup>ლ</sup>ა ც<sup>ტ</sup>ს<sup>ა</sup>, ე. ი.

ქ. უფალო განუსუენე სულსა ცოტასსა.

სარკმლის მარჯვნივ, უფრო აღმოსავლეთისკენ, ამავე კედლის ერთ-ერთ ქვაზე:

1. ქ ჯ<sup>რ</sup>ო ბ<sup>რ</sup>ც<sup>ს</sup>ო მ<sup>ს</sup>ქ<sup>ნ</sup> ს<sup>ლ</sup>ა

ქ. ჯუარო ბორცვსაო

2. თ<sup>კ</sup>ლ<sup>ს</sup>ა

მკობ ექმენ სულსა თეკასსა

აღმოსავლეთით შუა სარკმლის ზევით ნახევრად მომრგვალებულ ამობორცულ წრეზე ერთ სტრიქონად შემდეგი იკითხება:

ჯ<sup>რ</sup>ო ბ<sup>რ</sup>ც<sup>ს</sup>ო აღ<sup>ნ</sup> შ<sup>ვ</sup>ლ<sup>ს</sup>ი მ<sup>თ</sup>ნი ოქ<sup>რ</sup>ნი ს<sup>ზ</sup>დ<sup>ლ</sup>დ დ<sup>ვ</sup>თ<sup>ქ</sup>თ<sup>რ</sup>

ამას ქვევით ორი სტრიქონი მოხდევს და მის ქვემოთ კი ჩუქურთმია:

1. ქ<sup>ე</sup> კ<sup>ს</sup>ნ<sup>ე</sup> ს<sup>ლ</sup>ა ტ<sup>ბ</sup>ლ<sup>ს</sup>ა

2. ე<sup>მ</sup>რ<sup>ქ</sup>ს<sup>ა</sup> დ<sup>ს</sup>ა მ<sup>ს</sup>ს<sup>ა</sup>

ერთად გამოდის:

ჯუარო ბორცვსაო აღიდე შეილნი მათნი ოქროზირი სზდლდ (?) დავით ქავთარ.

ქრისტე განუსუენე სულსა ტბელისსა (?) ემრაქსის (?) დასა (დედასა ?) მისსა.

<sup>1</sup>) წარწერა გვიანდელია და ამიტომ საშუალო ქართულის ნორმების მიხედვით ვხსნი ქარაგმებს.

<sup>2</sup>) აკად. მ. ბროსეს მიერ შეტოვით წაკითხულ ამ წარწერას (Rapp. VI, p. 57) აკად. ნ. მარრი შეტოვებაში შეოყვანია. ნ. მარრს ეს ადგილი ასე აქვს აღდგენილი „მე გამრეკელმან...“ და იქვე სწორად შენიშნავს... надписи эта... требует особаго разъясненія и въ другихъ частяхъ по особому ея значенію для грузинскихъ лѣтописей (Хр. Вост., т. VI, вып. III, გვ. 293. შწმ. 3).

<sup>3</sup>) რას ნიშნავს გამოურკვეველია. შეიძლება (თ<sup>კ</sup>)ნ იყოს ნაგულისხმევი.



ამის მარცხნივ პატარა სარკმლის ზედა ჩუქურთმის ზემოთ: ქ და ძნი მსნი ივანე ქბლ  
ქ. და ქენა მისნი ივანე ქაბულ.

აქვე სარკმლის ზევით ჩუქურთმებში:

1. ჳრო ბრც ჳუართ ბორცვსაო ალაღე აბაზაი<sup>1</sup>.
2. სწო ადქ
3. აბაზაი

ამგვარად, როგორც აქედან ჩანს, ასეთი წარწერით იყო დაფარული ეს ეკლესია. შერყეული გრამატიკული ნორმები, უადგილოდ ქარაგმების ხმაურება, სახელების ამგვარი შემოკლება მკითხველის თვალში უცილობლივ ეჭვს დაჰბადებს: შეცთომით ხომ არ არის წაკითხულიო. მაგრამ მე შესაძლებლობა მქონდა თითოეული წარწერა ახლოს წამეკითხა დაკვირვებით. აგრეთვე ბ-ნ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს ა და ჩემი წაკითხვა ძალიან უდგება ერთმანეთს თითო-ორიოლა განსხვავების გარდა. სხვადასხვა ადგილას მოხსენებული პირები კითხვას იწვევს: ხომ არ არის ეს ეკლესიის აშენების შემდეგ სხვადასხვა დროს ამოჭრილი? მაგრამ პალეოგრაფიულად ასოები ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან, აგრეთვე ქარაგმების ერთნაირად გამოყენება, ორთოგრაფია და სხვა. მოწმობს იმას, რომ ყველა ეს წარწერა ერთი კაცის მიერაა ამოჭრილი. ჩვენს ყურადღებას იპყროვს აგრეთვე ორთოგრაფიის მხრით არქიტექტურული ტერმინი ბაღაჭვარი. ამგვარი მართლწერით წარწერებში იგი ჯერჯერობით არ გვხვდება. რაც შეეხება მის სემასიურ მხარეს, შემომოყვანილ წარწერათა მიხედვით (დვან დვდვ ესე ბაღჭვარი).

<sup>1</sup>) აღნიშნულ წარწერათა გარდა, როგორც ბროსეს გამოცემიდანა (Rapp., VI, p. 57, 58) და ბ-ნ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს დიურიდან ჩანს [ბ-ნ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს 1922 წ.ზაფხულს ქართლში მოგზაურობის დროს ბორცვის ჯვრის წარწერაც გადმოღებული აქვს სხვა ძეგლების წარწერებთან ერთად. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემსა და მის წაკითხვაში ზოგჯერ სხვაობაა, მაგ. აბაზაის ნაცვლად მას აქვს აბრამ, პტკმნძმნ—პტკინძმნ და სხვა. დიურის დათმობისათვის ჩემს გულითად მადლობას აუძღვნი, სხვა წარწერებიც არსებულა. მაგ., სამხრეთის მარჯვენა სარკმელს ზევით ყოფილა შემდეგი წარწერა:

ქე ადნ ძნი ვსტნგსნი მქლ სწრმე

ჩრდილოეთის კედლის ქვედა ქვაზე:

1. ქ სხლითა დთა ესე ბაღჭვარა(?)
  2. თიერეღთა || || || || იხსო ესინს დვსთ
- აღმ. მარჯვენა სარკმელზე: 1. ქე შეე 2. მეღი

სამივე წარწერა მომყავს ბ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს წაკითხვით. პირადად შემოხვევა არა მქონდა მათი წაკითხვისა, რადგან მივუსწარი მხოლოდ მაშის, როცა საშხ. ოსკოტს მთავრობის განკარგულებით ნახევარზე მეტი დანგრეული იყო და დანარჩენს ჩემი იქ ყოფნის დროსაც ანგრევდენ. ეკლესიის მასალა გამოყენებულ იქმნა ცხინვალში აბაას ას გეზად. მიღებული ზომების წყალობით წარწერიანი ქვება აბაასოს აედელში არ ჩაუშენებიათ, მაგრამ, როგორც გადმოცეს, რყურადღებოდ ლიანების პირად ჰყრია თურმე.

იგი უნდა წარმოადგენდეს კარის ზემოთ მდებარე დიდ ქვას<sup>1</sup>.  
წარწერაში მოხსენებული პირები უცნობნი არიან ისტორიულ  
წყაროებში. ეკლესიის აშენების, უკეთ წარწერის დროს, ზოგი-  
ერთი მათგანი უკვე მკვდარი ყოფილა; ალბათ მათაც მონაწილეობა  
მიიღეს ეკლესიის აშენებაში. შეიძლება ეკლესია ხაერთო ძალითა და  
ხარჯით ააშენეს, მაგრამ ეგ იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი ძმები უნდა  
ყოფილიყვნენ, როგორც ეს გადმოცემით ყოფილა წარმოდგენილი<sup>2</sup>.  
დრო ეკლესიის ამართვისა პირებთან ერთად გამოურკვეველია<sup>3</sup>.

ტბეთის<sup>4</sup> ახლო ჩრდ. მდებარე ციხე სიძველის შარით არაფერს წარ-  
მოადგენს. თებერვალი, 1924 წ.

1) ბალავარის შესახებ იხილე ნ. მარრის წერილი: Два грузин. архи-  
тект. термина „ачрдилъ“ и „балаваръ“ (Христ. Вост., т. VI, вып. III, გვ.  
390 და შემდეგ). ვსარგებლობ შემთხვევითა და აქვე შევნიშნავ: გომარეთის  
მე-II და VIII ეკლესიების წარწერა, სადაც ბალავარია ნახსენები. ეჭვთ  
თაყაიშვილს შედარებით კარგად აქვს წაკითხული (Арх. Эксп., IV  
Тифл. 1913, გვ. 83, 87; Отд. отт. изв. Сб. мат. для. Опис. М. Пл. Кавк.  
вып. XLIII, იგივე გვ.), თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზედმეტ ქარაგმებსა  
და ორიოდ შეცთომით გადმოწერილ ასოს. ყოველ შემთხვევაში ძრღმნ, რო-  
შელიც საეჭვოდ მიაჩნია ნ. მარრს (Op. cit., 291 და 292, შფ. I), სწორია.  
იგი არა მარტო საშუალო საუკუნეების ქართ. ენის კუთვნილებას წარმოადგენს,  
აღ ძველი მე—10 საუკ. ზოგიერთ ხელნაწერებში სისტემატიურადაც გვხვდე-  
ბა... ისტორიულსა და ლიტერატურულ ძეგლებში ხშირად იხსენიება ბალა-  
ვარი ან ბალაჰვარი...

2) Rapp. VI, 59.

3) ლიტერატურა: Д. Бакрадзе, Кавк. въ ахр. нам. хр., стр. 150;  
Brosset, Rapp. VI, 157-9.; Mat. по Арх. Кавк., IV, Москва 1894, стр  
181—2.

4) ამ ტბეთს თავის სენია შავშეთში არსებულ ტბეთთან არაფერი საერ-  
თო აქვს.

შალვა ამირანაშვილი.

### ხონის ეკლესიის წმიდა გიორგის ხატი.

წინამდებარე წერილის მიზანია გამოქვეყნება ქართული ოქროს მკანებლობის ერთ უძველესთაგანი ძეგლისა, რომელიც სამწუხაროდ სამუდამოდ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს ქართული ხელოვნების მეცნიერებისათვის, ვინაიდან, როგორც კერძო ცნობებიდან ჩანს, ჩამოდენიშე თვის წინათ ეს ძეგლი მოუსპიბათ ანტისარწმუნოებრივ პროპაგანდის დროს ქ. ხონში. ჩვენდა სამწუხაროდ ეს ფაქტი არ წარმოადგენს გამონაკლისს, ვინაიდან, როგორც ირკვევა, ამ გვარ მოპყრობას ჩვენი წარსულის ძეგლებისადმი ადგილი ჰქონია საქართველოს სხვა კუთხეებშიაც. იმ დროს, როდესაც საქართველოს მთავრობა ხარჯს ეწეოდა საქართველოდან გატანილ სიძველეთა რუსეთიდან დაბრუნების საქმეში, რაც თავისთავად წარმოადგენს დაუფასებელ კულტურული მნიშვნელობის ფაქტს, თვით საქართველოში ჩვენს თვალ წინ დაილუბა პირველხარისხოვანი ძეგლები...

ძეგლი, რომელზედაც მე მსურს ვიქონიო დაწერილებით მსჯელობა, დაცული იყო ხონის წმიდა გიორგის ეკლესიაში<sup>1</sup> და წარმოადგენდა წმიდა გიორგის ხატს. ხატი იყო დიდი ზომის, ვერცხლით ნაქედი, რომელიც ყოფილა ოქროთ დაფერილი წინეთ, რის კვალი ეხლაც ცხადათ ემჩნეოდა. წმიდანი წარმოდგენილია მთელი ტანით (იხ. ტაბ. I), ფეხზე მდგომი en face. მარჯვენა ხელში, რომელიც აწეულია ზევით, მას უჭირავს შუბი, მარცხენა ხელი კი დადებული აქვს ფარზე. ხატი ძლიერ დაზიანებული იყო, განსაკუთრებით წმიდანის ქვედა ტანი, რო-

<sup>1</sup> ხონის ეკლესიის და მისი სიძველეთა შესახებ იხ:

M. F. Brosset, Voyage archéologique... rapp. VII, p. 5—10.

Муравьевъ, Грузія и Армения, ч. III, стр. 236—245.

Бакрадзе, Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, стр. 156—158.

Кондаковъ и Бакрадзе, Опись памятникамъ древности... стр. 63—65.

თ. ეორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 403.

ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში გვ. 270—302. (ძეგლი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქრებული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. III, 1913—1914, იგივე ცალკე გადმონაბეჭდი ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი დაშენიშვნანი, წ. II).



ფოტოგრაფიული სურათი მხატვარ თ. კიუნესი.  
ხონის ეკლესიის წმიდა გიორგის ხატი.





ფოტოგრაფიული სურათი მხატვარ თ. კუნესი.  
ხან ს ელესიის წმიდა გიორგის ხატის წარწერა.

მელიც დაშლილი იყო და უმთავრესი ნაწილები აკლდა. დაშლილი ნაწილები დამაგრებული იყო მავთულით; ნაწილობრივ დაზიანებული იყო წმიდანის პირის სახე: ცხვირი, შუბლი და მარჯვენა მხარი. ხატის ჩარჩოებზე მოთავსებული აშიებიც დაზიანებული იყო, განსაკუთრებით ქვედა ნაწილი, რომელზედაც თიხქმის არაფერი არ იყო დარჩენილი. წმიდანს ტანზედ აცვია რომაული სამხედრო ჯავშანი. სახელოები ქვედა ტანსაცმელისა, რომელიც ჯავშანის ქვემო ჩასაცვამს წარმოადგენს, მოქარგულია სახეებისანი შემკულობით. ჯავშანის ზემოთ მხრებზედ გადადებული აქვს მას გრძელი წამოსასხამი ქლამიდა (χλαμύς), რომელიც შეკრულია წინ გულზედ და ეშვება ქვევით. წმიდანის მარჯვენა ხელის ქვემოთ დაკრულია ლითონის მოჩუქურთმებული ნაჭერი, რომელიც ამ ხატს არ ეკუთვნის და კონდაკოვის მიერ შეცდომით იყო მიჩნეული წამოსასხამის სახიან აშიად. როგორი შალვარი ეცვა მას, სამწუხაროთ, არა ჩანს, რადგანაც ძველი აქ, როგორც იყო აღნიშნული, ძლიერ დაზიანებულია. ფეხსაცმელის ყელები ნაკერია მარგალიტებით, წვერი მათი ნაქარგია ძაფით. წელზედ კიდია გრძელი ხრმალი, რომელიც აგრეთვე ძლიერ დაზიანებულია.

თავზედ წმიდანს, როგორც ეს ბიზანტიურ იკონოგრაფიაში იყო მიღებული წმიდა მხედრებისათვის, არაფერი არ ახურავს; სახე ამოყვანილია მაღალი რელიეფით, რომელიც აძლევს სახეს მოპრკვალო მოყვანილობას. თვალები არ ზის ღრმად. თვალის ქვედა და ზედა ქუთუთოები გადმოცემულია გარკვეული მოხაზულობით. თვალის კაკლები ამოყვანილია მოპრკვალო რელიეფით, ხოლო ბირთვები აღნიშნულია ჩაღრმავებული წერტილით. პირი შესრულებულია ჩაღრმავებული მოკლე ხაზით. თმა დაყოფილია ცალკე პატარა ხვეულებად. მის ხვეულთა შორის მოსჩანს ყურის ქვედა ნაწილები. თვალის ადგილი უფრო დაბალი რელიეფითაა გადმოცემული ვიდრე ლოყებისა, სადაც, რელიეფი ისევ დაბლდება, როდესაც კი უახლოვდება ნიკაპს.

შარავანდელი წმიდანისა შემკულია მცენარეულობის სახის ხვეულებით; ზევითგან შარავანდელის მოჩუქურთმებულ პირს დაკრული აქვს ცხრა სარდიონი; შარავანდელის მარჯვნივ და მარცხნივ ამოყვანილია ასომთავრული წარწერა წმიდანის სახელისა:  $\text{წ ა გ ი}$ .

ხატის ზედა აშიაზე შუა ადგილას დაკრულია მაკხოვრას გამოხატულება, რომელიც, ვითარცა მსაჯული ზის „საყდარსა ზედა“. მარცხენა ხელი გაწვდენილი აქვს განზედ, მეორე ხელი კი ზვეიდან დადებული აქვს დახურული წიგნის ზედა კიდებზედ, რომელიც ქვედა კიდით უდევს მუხლის თავზედ. წარწერა მისი სახელისა ჩაჭრილია და მოთავსებულია ნიშნის ორივე მხარეს ასომთავრულად:  $\text{ი თ ქ ე}$ .

ამავე არშიის მარჯვენა კუთხეში დაკრულია მთავარანგელოზის

<sup>1)</sup> Кондаковъ и Баградзе, ib. გვ. 65.

გამოსახულება, რომელიც ძლიერ დაზიანებულია; მაგრამ წარწერა სახელისა დაცულია ასომთავ.: წაგბრღ. მთავარანგელოზი წარმოდგენილი ყოფილა მთელი ტანით en face. წარწერა ამ შემთხვევაში ამოყვანილია და არა ჩაქრლი. მეორე კუთხეში მოთავსებული ყოფილა ამავე რიგის მთავარანგელოზი ალბათ მიქელი, რომლის გამოსახულებიდან ცოტა რამ დარჩენილა.

ძირითადი გამოსახულება წმიდა გიორგის ხატისა დამზადებული ყოფილა ლითონის ერთ მთლიან ნაქრისაგან, ხოლო დამატებითი ნაწილები კი დამზადებული ყოფილა ცალკე ნაქრების საშუალებით. რადგანაც მთელი ხატი წარმოადგენს ამოყვანილ რელიეფურ ქანდაკებას, ამიტომ სიმაგრისაგან ამოყვანილი ცალიერი ადგილები შიგნიდან ამოვსებული ყოფილა რაღაც განსაკუთრებულ ნივთიერებით, რომლის ზოგიერთი ნაქრები ცალკე იყო შენახული.

წმიდანის მარჯვენა ფეხთან მოთავსებული იყო ექვს სტრიქონიანი წარწერა, რომელიც ამოყვანილი იყო მცირე რელიეფით და კარგად ირჩევა (იხ. ტაბ. II).

წრ: მსჷ: რხს: ღწს 1)

წ) გჷფრს ღწს ზღ: მ

(ღ: 2): წხრღოტღ:

ღზ 6) გრსზღ: ზღ 1ჷ 7)

სწღწჷწზღ 3) ოიწჷწჷ 4)

(ღ: წწს 8)

ვინ იგულისხმება ამ წარწერაში დანამდილებით აზის გადაჭრა ძნელი საქმეა, ვინაიდან წარწერას არ მოუღწევია თავისი სრული პირვანდელი სახით, როგორც თვით შინაარსიდანაც ნათლად ჩანს. ყოველ შემთხვევაში აქ მოხსენებული მეფე გიორგი ჯერ მ. ბროსემ<sup>9)</sup> და შემდეგ დ. ბაქრაძემ<sup>10)</sup> და ე. თაყაიშვილმა<sup>11)</sup> მიიმჩნიეს გიორგი I (1014—1027) ან გიორგი II (1072—1084).

1) ე. თაყაიშვილი, ibid გვ. 274. ღწს ღწს.

2) Brosset, ibid p. 7 წღღ, ე. თაყაიშვილი იხ. 274, წღღღღ.

3) ე. თაყაიშვილი, ibid. გვ. 274. წღღწღწღწღ.

4) ე. თაყაიშვილი, ibid. გვ. 274. ოიწჷწჷ; აქ უნდა იყოს კორექტურული შეცდომა რადგანაც მხედრულ ტრანსკრიპციაში ამავე წარწერის (ibid. გვ. 275) ეს სიტყვა სისწორით არის წაკითხული.

5) ე. თაყაიშვილი, ibid. გვ. 274. წწსწღ.

6) ე. თაყაიშვილი, ibid. გვ. 275. წწსწღწღ, Brosset ibid., p. 7. ღზღ.

7) ეს ასოები ზროსეს ვერ გაურჩევია Brosset ibid. p. 7.

8) ე. თაყაიშვილი, ibid. გვ. 275. წღღწღწღ, Brosset, ibid. p. 7—8. წღღ წწს.

9) Brosset, ibid. p. 7—8.

10) Кондаковъ и Баградзе, Опись памятникамъ... стр. 65.

11) ე. თაყაიშვილი, ibid. გვ. 275.

ვინაიდან ძეგლის დაარსება სისწორით მეტად საჭიროა, ამიტომ გავარჩიოთ ხსენებული ძეგლი იკონოგრაფიული თვალსაზრისით და აგრეთვე სტილის და წესრულების ტექნიკის მხრივაც.

იკონოგრაფიული ტიპი წმიდა გიორგისა, რომელსაც ეკუთვნის ხონის ეკლესიის წმიდა გიორგის ხატი, კარვად ცნობილია როგორც ბიზანტიურ ხელოვნების ძეგლებში, ისე ქართულ ხელოვნებაშიც. ამ ნაირად წარმოდგენილია წმიდა გიორგი ღვინში<sup>1)</sup>, ვატოპედის მონასტრის ხატზე<sup>2)</sup>, მარიუპოლის ხატზე<sup>3)</sup>, იურევო პოლსკში<sup>4)</sup> და ბექდებზედ<sup>5)</sup>. ამ მხრივ განსაკუთრებულ საინტერესო ვარიანტებს იძლევა ქართული ხელოვნების ძეგლები, რომელნიც დაწვრილებით ქვემოთ იქნებიან გარჩეული.

ფეხზე მდგომი გამოსახულება წმიდა გიორგისა აკადემიკოს ნ. პ. ჯონდაკოვის მიერ გაყოფილია ორ ძირითად ტიპად<sup>6)</sup> 1) წმიდა გიორგის გამოსახულება როგორც ბიზანტიელი კარას კაცისა და 2) როგორც მხედრისა. პირველ შემთხვევაში მას ტანს აკვია გრძელი კვართი *σχιχ-ჯრison*) და გრძელი წამოსახამი (*χλαμύς*), მეორე შემთხვევაში წმიდანის იარაღ შექურვილია წარმოდგენილია მოკლე კვართით და მოკლე წამოსახამში *σχιση*. აღსანიშნავია, რომ უფრო ხშირად ორივე ტიპის ფეხზე მდგომ წმიდა გიორგის გამოსახულებას აქვს გრძელი წამოსახამი, ვიდრე მოკლე. პირველი ტიპის წმიდა გიორგის გამოსახულება, რომელიც ცნობილია ბიზანტიურ ხელოვნებაში, ქართულ ხელოვნების ძეგლებში ჯერ ცნობილი არ არის. პირაქით მეორე ტიპი არსად

<sup>1)</sup> Кондаковъ и Бакрадзе, *ibid.*, рис. 33 на стр. 59, рис. 51, на стр. 107. МАБ, т. 3 (1893), тбл. 8, 9, 13; т. 4 (1894), тбл. 41, 42, рис. 87 на стр. 113; т. 10 (1904), тбл. 22, 32, 35, 37 рис. 30 на стр. 109, рис. 26 на стр. 106; т. 12 (1909), тбл. 21 და სხვ.

<sup>2)</sup> Н. Кондаковъ, Памятники христианскаго искусства на Афоне С. П., 1902, рис. 81 на стр. 204.

<sup>3)</sup> „Древности“—Труды комисси по сохранению древнихъ памятниковъ Моск. Арх. Общ., т. 3, стр. 190, рис. 31.

<sup>4)</sup> А. А. Бобринскій, Ръзной камень въ Россіи, 1, М. 1916, тбл. 34, рис. 2. С. Фраткинь, Рельефное изображение св. Георгія на поргальн. Георгиевскаго Собора въ г. Юрьевъ—Польскомъ „Святѣльникъ“ 1915 № 9—13, стр. 90—91.

<sup>5)</sup> Schlumberger, *Sigilographie de l'empire byzantin*, P. 1884. pp. 573, 594, 606, 612, 632, 639, 708. სამწუხაროთ ეს თხზულება ამ ეამად არ გამიშინჯავს, რადგანაც არ იპოვება ღვინს წიგნთსაცავებში და მოძყავს С. Гайдн, Резная шиферная икона свв. Димитрия и Георгія стр. 35 Сборникъ вып. 2, государственнйй армитаж. П. 1923 თხზულების მიხედვით.

<sup>6)</sup> Н. П. Кондаковъ, Византийскія эмали на собранія А. В. Звенигородскаго, С. Пб. 1892, стр. 279 და 386.



ისე გავრცელებული არ არის, როგორც ჩვენს ძეგლებში. ამ გარემოებას აქვს თავისი მნიშვნელობა.

ბიზანტიურ ხელოვნების ძეგლებში არსებობს საშუალო ტიპი. რომელსაც ჩვენ გარდამავალს უწოდებთ. წმიდანს, რომელიც შეიარაღებულია როგორც მხედარს შეეფერება, მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს გულის წინ იმ ნაირად, როგორც მოწამეს ჯვარი. მაგალითად წმიდა გიორგი და სხვა წმიდანები ვატიკანის მუზეუმის სპილოს ძვლის კარედი ხატის<sup>1)</sup> ქვედა რიგზე მოთავსებული და ერმიტაჟის ხატი წმიდა გიორგისა და წმიდა დიმიტრისა<sup>2)</sup> ქართულ ხელოვნების ძეგლებში ჩვენ ვიციტ ამის მსგავსი მაგალითები, მაგრამ არც ერთი მათგანი ტიპიურად არ შეიძლება ჩაითვალოს. სახელდობრ მესტიის ეკლესიის შუბის თავზე მოთავსებულია წმიდა გიორგის ქანდაკება<sup>3)</sup> ვერცხლით ნაქედო და ბეთანიის კედლის მხატვრობა<sup>4)</sup>, როგორც შემდეგ დაინახავთ, ანალოგიურ ფაქტებს არ იძლევა. ნამდვილ მკაფიოთ გამოსახულ გარდამავალ ტიპს მხედრისა და მოწამისას წარმოადგენს Casanatense-ის წიგნთსაცავის სპილოს ძვლის კარედი ხატის<sup>5)</sup> ქანდაკებანი რომში, რომელთაც მარჯვენა ხელში ჯვარი უჭირავთ, წელზედ კი კიდიათ ხრმალი. ამ გვარი იკონოგრაფიული ტიპი ქართულ ძეგლებში მე პირადათ არ მინახავს და არც სხვა წყაროდან ვიცი. არსებობს აგრეთვე ბიზანტიურ ხელოვნების ძეგლებში მეორე გარდამავალი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ „წარმოშობით“ ტიპი წმიდა გიორგისა მხედრისა და ბიზანტიელ კარის კაცისა. ამ ტიპის მაგალითს წარმოადგენს ერმიტაჟის წმიდა გიორგის და წმიდა დიმიტრის ხატი<sup>6)</sup> და გეორგიევსკის ტაძრის ქანდაკება<sup>7)</sup> უკანასკნელი ტიპი გვაძლევს წმიდა გიორგის გამოსახულებას, რომელსაც ტანს აცვია საკარისკაცო ტანსაცმელის ზემოდ, სამხედროც. უკანასკნელი ტიპი იმ სახით, როგორც ეს ბიზანტიურ ხელოვნების ძეგლებშია წარმოდგენილი, ჩვენში ცნობილი არ არის. ამ გარე-

1) Munoz, L'exposition de l'art byzantin a Grottaferrata Rome, 1906, fig 70, p. 104.

2) С. Тайдин, Резная шиферная икона свв. Димитрия и Георгия „Сборник“ (Государст. эрмитаж) Птб. 1923, тбл. 2.

3) Д. Бакрадзе, Сванетия, стр. 97.

МАБ. т. X (1904). рис. 44 на стр. 132,

ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოგო. სურ. № 16908.

4) ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია ტ. 2 გვ. 574—575 ცალკე ტაბულაზე გამოცემულია ბეთანიის კედლის მხატვრობა, რომელშიც გიორგი III გვერდით წარმოდგენილია წმიდა გიორგი.

5) Munoz, ibid. fig. 72, p. 106 .

6) С. Тайдин, ibid. тбл. 2.

7) А. А. Бобринский, Ръзной камень в России I, М. 1916, тбл. 34. рис. 2. С. Фраткия, рельефное изображение св. Георгия... стр. 90—91.

ძობას ზაზს ვუსვამ, იმიტომ რომ არსებობს ისეთი ძეგლები ქართული ხელოვნებისა, სადაც წმიდანის ტანსაცმელის ზოგიერთ დეტალებში შედის ჩვენი ცხოვრების რეალები, მაგრამ აქ საქმე გვაქვს სხვა რიგის მოვლენასთან და ზემოთ მოყვანილ მაგალითის საილუსტრაციოთ ვერ გამოდგება.

კლასიფიკაცია ფეხზე მდგომ წმიდა გიორგისა, რომელსაც გვაძლევს ტაუბე<sup>1)</sup> თავის კარგად ცნობილ გამოკვლევაში, თუ ჩვენ უყურადღებოდ დავტოვებთ ქართული ხელოვნების გამოცემულ ძეგლთა მის მიერ სრულებით. უცოდინარობას, არც სწორია და არც სრული. ტაუბეს მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაცია წმიდა გიორგის ფეხზე მდგომარე გამოსახულებათა დამყარებულია მთავარ ატრიბუტის შუბის მდგომარეობაზე. პირველ ტიპს მისი აზრით ეკუთვნის წმიდანის ისეთი გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში ვერტიკალურად უჭირავს შუბი. მეორე ტიპის გამოსახულებას წმიდა გიორგისა შუბი უჭირავს განზე, ისე რომ შუბის ტარი გადადის მის მარჯვენა მხარეზე. პირველი ტიპი მისივე კლასიფიკაციის მიხედვით გვაძლევს სამ ვარიანტს. პირველ ვარიანტს წარმოადგენს ისეთი გამოსახულება წმიდანისა, რომელსაც მარცხენა ხელით ხრამლი უჭირავს ფარის მაგივრად. მეორე ვარიანტის გამოსახულებას წმიდანისას—მარჯვენა ხელში უჭირავს შუბის ქვედა ნაწილი, მეორე ხელი დადებული აქვს ფარზედ. მესამე ვარიანტს ეკუთვნის წმიდანის ისეთი გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს შუბის ქვედა ნაწილი, ხოლო მარცხენა უდევს ხმლის ქარქაშზე.

მეორე ტიპის წმიდა გიორგი წარმოდგენილია, როგორც ტაუბე ამბობს, ვენეტკის დოქთა სასახლის სპილოს ძვლის ხატზე<sup>2)</sup> და ერმიტაჟის წმიდა დიმიტრის და წმიდა გიორგის ხატზე<sup>3)</sup>. ტაუბეს მიერ ზემომოყვანილ ნიჟუშებს შეიძლება დაუმატოთ ვატიკანის მუზეუმში დაცული სპილოს ძვლის ხატი<sup>4)</sup>. მესტიის ეკლესიის ზემოთ მოყვანილი მაგალითი<sup>5)</sup> და ბეთანიის კედლის მხატვრობა<sup>6)</sup>. მაგრამ თუ ყველა აქ დასახელებულ ძეგლებს სათითაოდ გავარჩევთ და შევადარებთ ერთი მეორეს, ბუნებრივად ჰივალთ იმ დასკვნამდის, რომ ერთგვარობა მათი

<sup>1)</sup> Taube, Die Darstellung des heiligen Georg in der italienischen Kunst, Halle, 1910, s. 12, 13.

<sup>2)</sup> Schumberger, L'Épopée byzantine, 2, p. 49.

<sup>3)</sup> Тацдин, ibid, тбл. 2.

<sup>4)</sup> Munoz, ibid, fig 70, p. 104.

<sup>5)</sup> Д. Бакрадзе, Сванетия, стр. 97.

МАК. т. X (1904), рис. 44, стр. 132.

ფოტოგრ. სურ. ერმაკოვის მიერ გადალ. № 16908.

<sup>6)</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, ტ. 2, გვ. 574—575.

შემთხვევითია და არა გარკვეული ტიპის გამოხატველი. მაგალითად ერმიტაჟის ხატზე წმიდანს მარჯვენა ხელი დაყრდნობილი აქვს გულზედ, ვენეტიკის დოქთა პალატის ხატზე მარჯვენა ხელი გაწეული აქვს განზე, ვატიკანის მუზეუმში დაცულ ხატზე წმიდანს მარჯვენა ხელი თუმცა გულზედ აქვს დაყრდნობილი, მაგრამ სხვა წვრილმანებით არსებითად განსხვავდება და უკანასკნელად ზემოთ დასახელებულ ქართულ ძეგლებზედ წმიდანს მარჯვენა ხელი ქვევით აქვს დახრილი და შუბი მიმართულია მის მარჯვენა მხარისაკენ.

ამ გვარად შუბის მდგომარეობა, რომელზედაც ამყარებს ტაუზე თავის კლასიფიკაციას, მეტის მეტად ცალხპრავია და ხელოვნური და სავსებით ვერ ამართლებს არსებულ ფაქტებს და იკონოგრაფიული ტიპების კლასიფიკაციის საფუძვლად სრულებით არ გამოდგება. ეს იმას ამტკიცებს, რომ ავტორს ხსენებული გამოკვლევისა სრულებით არ ესმის რას ნიშნავს იკონოგრაფიული ტიპი ქრისტიანულ ხელოვნებაში<sup>1)</sup>.

როგორც წინეთ აღვნიშნეთ, წმიდა გიორგის ფეხზე მდგომი გამოსახულებანი ქართულ და ბიზანტიურ ხელოვნებაში ორ ძირითად ტიპად იყოფება: ა) წმიდანი საერო საკარისკაცო ტანსაცმელში შესაფერისი ნიშნებით, ბ) წმიდანი მხედარი. აგრეთვე აღნიშნული იყო წარმოშობითი ტიპი, რომელიც წარმოადგენს ორივე დასახელებულ ტიპების შეერთებას. არსებობს აგრეთვე მეორე წარმოშობითი ტიპი—მხედარი მოწამე: წმიდანს ამ შემთხვევაში ტანს აცვია ჩვეულებრივი სამხედრო ტანსაცმელი, ხოლო მარჯვენა ხელში შუბის მაგივრად ჯვარი უჭირავს. მხედარი ფეხზე მდგომი თავის მხრივ იყოფება ორ ტიპად: 1) სიმბოლიჯრი ანუ ატრიბუტით<sup>2)</sup> რეალისტიკური ანუ უატრიბუტო. პირველ ტიპად ვსთვლით ისეთს გამოსახულებას წმიდა გიორგისას, რომელიც ნიშნად გამარჯვებისა დგას ფეხებით ვეშაპზედ. ეს ტიპი გავრცელებულია კოპტურ ხელოვნებაში<sup>3)</sup>, რომელიც იძლევა ვეშაპის გარდა სხვა ატრიბუტებს. ქართულ ძეგლებში ვეშაპის მაგივრად მოთავსებულია ადამიანის გამოსახულება (გვირგვინოსანი?) მაგალითად სვანეთის ერთს ხატზე<sup>3)</sup> არის ამ გვარი გამოსახულება წმინდა გიორგისა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტიპი წმინდა გიორგისა გენეტიურად არ არის

<sup>1)</sup> შეადარე Гафдин ibid стр. 36.

<sup>2)</sup> Al. Gayet, L'art copte, P. 1902 p. 111—117.

Strzygoski, Catalogue générale des Antiquités égyptiennes du musée de Caire. Koptische Kunst, Vienne, 1904.

სამწუხაროდ მეორე თხზულება ჩვენს წიგნთ საცავში არ მოიპოვება.

<sup>3)</sup> სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოგრ. კაბინეტი.

ფოტოგრ. სურათი ერმაკოვის მიერ გადაღებული № 16904.

დაკავშირებული ცხენოსან წმიდანის გამოსახულებასთან, რომელიც ჰგმირავს ანუ ვეშავს ანდა ადამიანის გამოსახულებას. უკანასკნელი ტიპი მომდინარეობს სულ სხვა წყაროებიდან, რაც ნათლად ჩანს, როგორც წერილობითი წყაროებიდან, აგრეთვე ამ სიუჟეტის იკონოგრაფიული მასალების შესწავლიდან<sup>1)</sup>.

უატრიბუტო წმიდა გიორგის გამოსახულება გვაძლევს წმიდანის ერთგვარ რეალისტურ პორტრეტს, რომელიც, როგორც ვხედავთ ირკვევა, მე-Xს. უკვე უნდა ყოფილიყო საბოლოოდ გამომუშავებული. ამ ტიპის ძირითად ხასიათს ნათლად გვაძლევს ხონის ეკლესიის წმიდა გიორგის ხატი (იხ. ტ. I). ეს ტიპი ძლიერ გავრცელებულია ქართულ ხელოვნებაში. ყველა ის „ტიპები“, რომელნიც მოყვანილია აქვს თავის თავის გამოკვლევაში, წარმოადგენს ამ ძირითადი ტიპის სხვა და სხვა ვარიანტებს და არა ცალკე ტიპებს.

ჩვენ არ გვაქვს მიზნად დასახული ამ ტიპის ყველა მნიშვნელოვანი იკონოგრაფიული ვარიანტების აღნიშვნა, რაც, რა თქმა უნდა, მეტად საინტერესო ცალკე კვლევა ძიების საგანს შეადგენს. მით უფრო საინტერესოა ამ გვარი ძიება, რომ ქართული ხელოვნების ძეგლები გვაძლევს უხვს მასალას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტიპი წმიდა გიორგისა ყველა თავისი ვარიანტებით არ წარმოადგენს მხოლოდ ამ წმიდანისათვის შემუშავებულ იკონოგრაფიულ სქემას, ვინაიდან სხვა მხედრები, როგორც თავის დროს ქვემოთ იქნება აღნიშნული, ხშირად წარმოდგენილია იმ ნაირად, როგორც წმიდა გიორგი. ამიტომ საჭიროა ყველა წმიდა მხედრების იკონოგრაფიული ტიპების პარალელური შესწავლა და შედარება. ქვემოთ ჩვენ აღვნიშნავთ ძირითადი ტიპის ზოგიერთ მნიშვნელოვან ვარიანტებს და უფრო დაწვრილებულ შეფერვლებით ხონის ეკლესიის წმიდა გიორგის ახლო მონათესავე ძეგლებზედ.

პირველს ამ მხრივ მონათესავე ძეგლს წარმოადგენს ვატოპედის მონასტრის წმიდა გიორგის ხატი,<sup>2)</sup> რომელსაც აკადემიკოსი ნ. კონდაკოვი სთვლის XI—XII ს. ძეგლად. ხსენებულ ტიპებს შორის, შეიძლება ითქვას, ერთად ერთი იკონოგრაფიული განსხვავება გამოიხატება ფარის მოყვანილობაში. ვატოპედის ხატზე წმიდანს en face უქირავს მოგრძო ფარი, რომლის ქვედა ნაწილი წვეტიანია. ამავე ტიპს ეკუთვნის ჯუმათის წმიდა გიორგის ხატი<sup>3)</sup>, რომელიც ნ. კონდაკო-

<sup>1)</sup> А. В. Гыстенко, Легенда о св. Георгии и о драконѣ въ византийской и славяно-русской литературахъ стр. 1—542 (Записки Ими. Новороссійскаго Университета т. СХІІ, Одесса, 1909).

<sup>2)</sup> Н. П. Бондаковъ, Аѳон, стр. 204, рис. 81.

<sup>3)</sup> Бондаковъ и Бакрадзе, Опись памятникамъ... рис. 51, стр. 103—109. Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гуріи и Адчарѣ. Сп. 1878. стр. 260—261.



ვის აზრით XI—XII-ს. ძეგლს წარმოადგენს, მაგრამ ეს დათარიღება სწორი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში საექვოა და მოითხოვს ცალკე გამორკვევას; ამ გვარი გამოსახულება წმიდა გიორგისა წარმოადგენილია გიორგი III-ს ბეჭედზე<sup>1)</sup> და მარიუპოლის ქანდაკებაზე<sup>2)</sup>, მაგრამ არც ერთი წმიდა გიორგის ზემოთ მოყვანილი გამოსახულებანი არ გვაძლევს ისე ახლო მონათესავე ტიპს, როგორც სუჯუნისა წმიდა გიორგის ხატი<sup>3)</sup>. მათ შორის ისეთი მსგავსება არსებობს, რომ უნდობლივთ იბადება აზრი, რომ სუჯუნის წმიდა გიორგის ხატი უნდა წარმოადგენდეს ხონის ეკლესიის ხატს პირს. ე. თაყაიშვილი, <sup>4)</sup> რომელმაც გამოსცა ეს ხატი, ათარიღებს თვით ხატის მთავარ ნაწილს, რომელზედაც მოთავსებულია წმიდანის ბარელეფი, XIV საუკუნით, ხოლო აშიები ხატისა მისივე აზრით უნდა იყოს შესრულებული XV—XVIII ს., მაგრამ ძეგლის სტილის მხრავ შესწავლა და ეგრეთვე სხვა წვრილმანები არ ამართლებს ამგვარ აზრს, როგორც ხონის ხატის სტილის და შესრულების ნხრავ გარჩევის დროს გვეჩვენება საუბარი.

ეს ტიპი წმიდა გიორგის გამოსახულებისა ჩვენში განსაკუთრებით ყოფილა გავრცელებული და ცოტაოდენი ცვლილებით ხშირად ვპოულობთ ქართულ ძეგლებში; მაგალითების დასახელება სიძნელეს არ წარმოადგენს და აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთებს: ილორის წმიდა გიორგის ხატი<sup>5)</sup>, გების ჯვარი<sup>6)</sup>, სორის წმიდა გიორგის ხატი<sup>7)</sup> ლების წმიდა გიორგის პატარა ხატი,<sup>8)</sup> სუპის წმიდა გიორგის<sup>9)</sup>, ნიკორწმინდის ჯვრის ქვედა ნაწილი<sup>10)</sup> ლაბიჩინის ეკლესიის ხატი<sup>11)</sup> და სხვ.

არსებობს აგრეთვე ამ ტიპის ვარიანტები უფრო მნიშვნელოვანი, რომელნიც უფრო მეტს განსხვავებას გვაძლევს. ზოგიერთ ძეგლებში წმიდანს მარჯვენა ხელი დაშვებული აქვს ქვევით და უქირავს შუბის ქვედა ნაწილი, წელზედ მას არ ჰკიდია ხრმალი. ამ გვარ მაგალითებს გვაძლევს ილორის წმიდა გიორგის ხატი<sup>12)</sup>, სუპის წმიდა გიორგის ხა-

<sup>1)</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია ტ II 572-573. Кондаков и Бакрадзе, Опись. рис. 51 стр. 41.

<sup>2)</sup> „Древности“—Труды комиссии по сохранению древнихъ памятниковъ. Моск. Арх. Общ., т. 3, стр. 190 рис. 31.

<sup>3)</sup> Е. Такайшвили, Суджунская церковь и ея древности. стр. 41, тбл. 27. XV, т. 5, б 1.

ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში... გვ 23.

<sup>4)</sup> Е. Такайшвили, Суджунск. церк. стр. 41.

<sup>5)</sup> МАК, т. 3 (1893), тбл. 13.

<sup>6)</sup> МАК, т. 4 (1894), тбл. 61.

<sup>7)</sup> МАК, т. 4 (1894), тбл. 62.

<sup>8)</sup> МАК, т. 4 (1894), рис. 87 на стр. 113.

<sup>9)</sup> МАК. т. 10 (1904), тбл. 32 рис. 54.

<sup>10)</sup> Кондаковъ и Бакрадзе, Опись... рис. 33, стр. 59.

<sup>11)</sup> სახელმწიფო უნივერსიტ. ფოტოგრ. კაბინეტი ფოტ. სურათი № 16768.

<sup>12)</sup> МАК, т. 3 (1893), тбл. 9.

ტი<sup>1)</sup> ნიკორწმინდის ჯვრის ქვედა ნაწილი<sup>2)</sup>, ლაბიკინის ეკლესიის ხატი<sup>3)</sup>, და სხვა არსებობს აგრეთვე ამ ტიპის უფრო მნიშვნელოვანი ვარიანტები; ზოგიერთ ძეგლებში წმიდანს მარჯვენა ხელში, რომელიც დაშვებულია ქვევით, უჭირავს შუბის ქვედა ნაწილი, წელზედ მას არ კიდია ხრმალი. ამ გვარ მაგალითს გვაძლევს ილორის წმიდა გიორგის ხატი<sup>4)</sup>, სუბის<sup>5)</sup> და სხვ. არსებობს წმიდანის ისეთი გამოხატულება, სადაც წმიდანს მარჯვენა ზევით აწეულ ხელში უჭირავს შუბი, ხოლო მხარე ხელში უჭირავს ხრმლის ქარქაში, ფარი კი ჰკიდია მარცხენა მკლავზე<sup>6)</sup>. მეტად საინტერესო ვარიანტს ძირითადი ტიპისას წარმოადგენს უშკულის საზოგადოების წმიდა გიორგის ხატი<sup>7)</sup>. წმიდანს მარჯვენა ხელი ჩაღლებული აქვს ხრმლის ტარზე, მარცხენა ხელი დადებული აქვს ფარზე. წმიდანის მარჯვენა გვერდით მოთავსებულია შუბი, რომელიც ვერტიკალურად არის ზევით ამართული და წმიდანს არ უჭირავს. ანალოგიური გამოსახულება ქართულ ხელოვნების ძეგლებში, ისე როგორც ბიზანტიურში, მე არ ვიცი. საინტერესო ვარიანტს იძლევა ცაიშის ეკლესიის წინგასაძლო ჯვრის სიონზე მოთავსებული წმიდა გიორგის გამოსახულება<sup>8)</sup>. მარჯვენა ხელი მას თავისუფლად უდევს წელზედ მარცხენა ხელი დადებული აქვს ფარზედ, წელზე კიდია გრძელი ხრმალი. თავი მას ცოტათი ქვევით აქვს დახრილი. არსებობს ისეთი გამოსახულება წმიდა გიორგისა, სადაც წმიდანს ორივე ხელში მარტო შუბი უჭირავს მალა ამართული, მაგრამ ძეგლი,<sup>9)</sup> რომელიც გვაძლევს ასეთ მაგალითს მე XIX ს. დასაწყისის ეკუთვნის.

ყველა ზემოთ მოყვანილი ვარიანტები ძირითადი ტიპისა მცირე გამოჩენის გარდა, რომელიც იყო აღნიშნული, როგორც თვით ძირითადი იკონოგრაფიული ტიპი, არ არის მარტო წმიდა გიორგისთვის გამომუშავებული, როგორც ამტკიცებს ბიზანტიური და ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლა, სადაც წარმოდგენილია წმიდა მხედრები<sup>10)</sup>.

ზემოთ დასახელებულ ძეგლთა ქრონოლოგიური განხილვა, რამდენად ეს შესაძლებელია, გვაძლევს ერთს საინტერესო დაკვირვებას.

1) МАК, т 10 (1904) табл. 32 рис. 54.  
 2) Кондаков и Бакрадзе, Опись... рис. 33, стр. 59.  
 3) ხატელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოგრაფ. კაბინეტი, სურათი № 16768.  
 4) МАК, т. 3 (1893), табл. 9.  
 5) МАК, т. 10 (1904), табл. 32. рис. 54.  
 6) Е. Такайшвили, Суджунская церковь... тбл. 30 и 32.  
 7) სახელმ. უნივერ. ფოტოგრაფ. კაბინეტი ფოტ. სურათი № 17351.  
 8) Кондаковъ и Бакрадзе. Опись... стр. 94, № 3.  
 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურ სამეგრელოში... გვ. 177-178.  
 საქართველოს სა-სტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის სურათები №№ 913/19, 913/18)  
 9) Е. Такайшвили; Древности Гудейкарской церкви стр. 300—301, тбл. 4, XV. т. VI, в. III.  
 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზ. სამეგრ. გვ. 21—22, № 2.  
 10) შეადარე Muncz, ibid, fig 70, p. 104.  
 Schiumberger, L'Europee byzant. t. 2, p. 57. 49, 593, 545.  
 МАК. т. 10 (1904) рис. 30, стр. 109, рис. 27, стр. 106.  
 МАК. т. 3 (1893), тбл. 13... და სხვ.

ნასესხი იკონოგრაფიული ტიპი წმიდა მხედრისა, ამ შემთხვევაში წმიდა გიორგის, განიცდის თანდათანობით ცვლილებას. იგი ღებულობს ეროვნულ ხასიათს, ტრადიციული ტანსაცმელი თანდათან იცვლება და მის მაგივრად ჯერ ნაწილობრივ ადგილს იკავებს ქართული საერო ტანსაცმელის ელემენტები. მაგალითად მას ხშირად აცვია განიერი შალვარი, <sup>1)</sup> ბიზანტიური ხრმლის მაგვარად წელზე მას კიდია მოხრილი ხრმალი. <sup>2)</sup>, გრძელი წვეტიანი ფარის მაგივრად მას მკლავზე კიდია <sup>3)</sup> ან ხელში უჭირავს <sup>4)</sup> მრგვალი ფარი და სხვ.

რაც შეეხება ჩვენი ხატის წმადნის ჩაცმულობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ჩვეულებრივი ტრადიციულია და ძლიერ ჰკავს ჯუმათის მთავარანგელოზ მიქელის <sup>5)</sup> და სუჯუნის წმიდა გიორგის ხატის <sup>6)</sup> ჩაცმულობას.

აშიები ხონის წმიდა გიორგის ხატისა შემკულია რომბისებული ორნამენტებით, რომელიც ძლიერ გავრცელებულია ქართული ოქროს მქანდაკელობის ძეგლებში, XIII ს. მოყოლებული მე XVIII ს. დამლევამდის <sup>7)</sup>. ამ პერიოდის განმავლობაში მოხაზულობა და ფორმა შემკულობისა იცვლებოდა, მაგრამ არსებითი ხასიათის ცვლილება არ მომხდარა. უფრო ხშირად ამ გვარი შემკულობა გვხვდება წმიდა გიორგის ხატებზე, თუმცა სხვა ძეგლებშიაც ხშირად იხმარება იგი აშიების შესამკობლად. ხონის ხატის შემკულობა თავისი სახით და მოყვანილობით XIII—XIV ს. ძეგლებს უახლოვდება, და ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს.

თვით პირსახე წმიდანისა, რომელიც წარმოდგენილია ქაბუჯად, თავის მოყვანილობით ძლიერ მოგვაგონებს ბიზანტიურ ხელოვნების ძეგლებში გავრცელებულ ტიპს, მაგრამ ეს ტიპი ხონის წმიდა გიორგის ხატზე არსებითად შეცვლილია. ბიზანტიურ ხელოვნების ძეგლებში პირსახე წმიდანისა უფრო მომრგვალოა, ყვრიმალის ძეგლები ფართოა, ხოლო ნიკაპი ვიწროა და წვეტიანი, ბაგე უფრო ხორციანია და სხვ. ქართულ ხელოვნებაში არსებობს ისეთი ძეგლები, რომელნიც ამ მხრივ ძლიერ უახლოვდება ბიზანტიურ ძეგლებს, მაგალითად ჯუმათის წმიდა

<sup>1)</sup> МАК, т. 3 (1893), тбл. 8, МАК. т. 10 (1904), тбл. 32.

<sup>2)</sup> Е. Такайшвили, Суджунская церковь... тбл. 30, 32.

<sup>3)</sup> Е. Такайшвили, *ibid.*, тбл. 30, 32.

<sup>4)</sup> МАК. т. 10 (1904), тбл. 35.

<sup>5)</sup> Ковдаковъ и Бакрадзе, Опись... рис. 48, стр. 103.

<sup>6)</sup> Е. Такайшвили, *ibid.*, тбл. 27.

<sup>7)</sup> Конзаков и Бакрадзе, Опись... рис. 15, стр. 32, рис. 47 стр. 101, рис. 71, стр. 135; МАК, т. 3 (1893) тбл. 8, т. 4 (1894), тбл. 42, т. 10 (1904), рис. 29, стр. 108, рис. 35, стр. 117, тбл. 30, 32, 34.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოგრაფიული კაბინეტი, სურათები ერმაკოვის მიერ გადაღებული №№ 16774, 16773, 16775, 16832, 16835, 16851, 16856, 16863, 16864 და სხვ.

გიორგის ხატი <sup>1)</sup> და სხვ., უკანასკნელი ძლიერ უახლოვდება ერმიტაჟის ხატს <sup>2)</sup>, ვატოპედის მონასტრის წმიდა გიორგის ხატს <sup>3)</sup> და სხვ.

აკადემიკოსი ნ. პ. კონდაკოვი ხსნის ამ გვარ ტიპს წმიდა გიორგისას მისი სირიული წარმოშობით, <sup>4)</sup> რომელზედაც მოიპოვება ცნობა ლეგენდაში წმიდა გიორგის შესახებ. იგი აღარებს წმიდა გიორგის პირსახის მოყვანილობას და წმიდა დიმიტრისას, რომელიც იყო სალონიკელი ბერძენი, და აღნიშნავს მათ განსხვავებას. უკანასკნელს სახე უფრო სწორი მოყვანილობისა აქვს და პროპორცია ზედმიწევნით დაცულია, თმა თავზედ არ ეხვევა. წმიდა გიორგის პირისახის მოყვანილობა, ხუჭუჭა თმები, ხორციანი ბაგენი და სხვ. გვაძლევს აღმოსავლურ ელინისტიკურ ტიპს. ამ ორ წმიდანთა შორის განსხვავება ცხადია, თუ ჩვენ შევადარებთ წმიდა გიორგის და წმიდა დიმიტრის გამოსახულებას ერმიტაჟის ხატზე <sup>5)</sup> და ჯუმათის მთავარანგელოს მიქელის ხატის <sup>6)</sup> ჩარჩოზე დაკრული ორივე წმიდანის მინაქრის ხატებს <sup>7)</sup>, რომელნიც აქამდის იყო ზენიგოროდსკის კოლექციაში და ამ ეამად გაყიდულია ამერიკაში და ისახება ნაუოროკის მუზეუმში. ასეთი განსხვავება მათ შორის დროთა განმავლობაში თანდათან ქრება ქართულ ძეგლებში განსაკუთრებით მე-XVII—XVIII-ს. და ხშირად მათი გარჩევა შეუძლებელი ხდება.

ხონის წმიდა გიორგის სახის მოყვანილობას თუმცა საფუძვლად უდევს ბიზანტიური ხელოვნებაში მიღებული ტიპი, მაგრამ უკანასკნელი ძლიერ შეცვლილია, როგორც უკვე აღვნიშნეთ წინეთ. პირი სახის ქვედა ნაწილის მოყვანილობა უფრო მომრგვალოა და შედარებით მაღალი რელიეფით აღმოცემულია. ამ გვარი მოყვანილობა პირისახისა ახასიათებს წმიდა გიორგის გამოსახულებას ქართულ ხელოვნების ძეგლებში, განსაკუთრებით XIV—XV ს. ამ მხრივ მეტად საინტერესო ფაქტია აღსანიშნავი. ჯუმათის მთავარანგელოზ მიქელის ხატის <sup>8)</sup>

<sup>1)</sup> Кондаковъ и Бакрадзе, Опись... стр. 107, рис. 51., МАК т. 10 (1904), рис. 206, стр. 105.

<sup>2)</sup> Гайдн, *ibid* тбл. 2.

<sup>3)</sup> Кондаковъ, Афонъ... рис. 81, стр. 204.

<sup>4)</sup> Кондаковъ, „Эмали“... стр. 281.

<sup>5)</sup> Гайдн—*ibid*, тбл. 2.

<sup>6-7)</sup> Кондаковъ, „Эмали“... рис. 91, стр. 256, тбл. 5 и 6.

<sup>8)</sup> Кондаковъ и Бакрадзе. Опис. рис. 48. стр. 103. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гуріи и Адчаръ II, 1879, стр. 291—263.

ეს ძეგლი ამ ეამად არ არსებობს ჯუმათში სადაც იგი 1885 წ. იყო დაცული, საითგან ეგზარხოსის ბრძანებით იყო „განახლებისათვის“ გატაცებული. მინაქრები ქართული ხელობის, რიცხვით 10, რომელნიც ხატზე უცრო ძველია, იყო გაყიდული რუსეთში, 6 მათვანი ბოლო დროს დაიღუპა შემოქ-



პირისახის მოყვანილობა ძლიერ უახლოვდება ხონის ხატისას, თუმცა პირისახის ქვედა ხაწილის მომრგვალო მოყვანილობა იმდენად არ არის გადაქარბებული, როგორც ხონის ხატზე, მიუხედავად იმისა, რომ რელიეფი აქაც მაღალია და მომრგვალო. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ პირისახის ამგვარი მოყვანილობა ქართულ ხელოვნებაში, როგორც ოქროს მქანდაკელობაში, ისე სხვა დარგებში აღნიშნულია ჩემ მიერ მე-XIV ს. დასაწყისიდან. საუცხოვო მაგალითს იძლევა ამ მხრივ ჩვენი კედლის მხატვრობის ძეგლები, ამ შემთხვევაში კი სახელდობრ საფარის მონასტრის კედლის მხატვრობაში წარმოდგენილი მთავარანგელოზი მიქელი<sup>1</sup>).

ნიმბი შემკულია ხვეული ორნამენტით, რომლის მოყვანილობა და მოხაზულობა ძლიერ ენათესავება ჯუმათის მთავარანგელოზ მიქელის ნიმბის შემკულობას და სუჯუნის წმიდა გიორგის ხატის ნიმბის მოხატულობას, თუმცა უკანასკნელი იძლევა ზემოთ აღნიშნულ შემკულობის ახალ ვარიანტს. ამ გვარი შემკულობის შედარებით ძველ სახეს გვაძლევს ჯუმათის ზემოთ აღნიშნული ხატი, ხოლო ხონის ხატი გვაძლევს ამ შემკულობის განვითარების შექდეგ საფეხურს, რომელიც გამოიხატება ხვეულის შუაგულის გართულებაში, ხოლო სუჯუნის ხატის ნიმბის შემკულობა გვაძლევს მოხაზულობის მცირე განსხვავებასთან ერთად ძირითადი ორნამენტის გეომეტრიულ მოხაზულობას. სტილის მიხედვითაც ხონის ხატის შემკულობაში დეკორატიული ელემენტი უფრო გაძლიერებულია და გართულებული, მაგრამ შემკულობას ჯერ შერჩენილი აქვს ბუნებრივი ერთგვარი რეალისტიკური სახე, რომელიც მედში, ორი მათგანი იყო ბოტკინის კოლექციაში, ერთი მედალიონი ეყიდა ა. ბობრინსკის, ხოლო ერთი კიდევ ჰქონდა საბინგუსს. ორი მინაქრის მედალიონი რომელიც იყო ბოტკინის კოლექციაში, დაუბრუნდა კვლავ საქართველოს.

ამავე მონასტერში იყო მთავარანგელოზ გაბრიელის ხატი მინაქრის ხატებით, რომელიც იყო იმნაირადვე გატაცებული მონასტრიდან. მისი მინაქრის ხატები იყო ზვენიგოროდსკის კოლექციაში და კიდევაც გამოცემულია (Конадаковъ. Византийскія эмали собранія Звенигородскаго СПБ, 1892); ამ ეპოქად ეს კოლექცია გაყიდულია ამერიკაში და ამშვენებს იქაურ მუზეუმს ქ. ნიუიორკში. ერთი მედალიონი ამ კოლექციიდან იყო შემთხვევით ბოტკინის კოლექციაში და დაუბრუნდა საქართველოს.

ორივე ხატი იყო გაშინჯული ჩემ მიერ და გამოირკვა, რომ მთავარანგელოზი მიქელის ხატი უნდა იყოს არა უადრეს მე-13 ს., ხოლო მეორე ხატი კი არა უადრეს მე-14 ს. ეს ხატები აქამდის მე-11 ს. ძეგლებად არის ცნობილი, რაც სრულებით არ შეეფერება სიმართლეს. ამის შესახებ გვსურს სხვა დროს ცალკე ვიქონიოთ მსჯელობა.

<sup>1</sup>) Д. П. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцыхскій уѣздъ в 1917 г. Известия Кавказскаго Истрико-Археологическаго Института т. 1, Петроград 1923. тл. 2.

ჭრება მე-XVI—XVII ს. და მის მაგივრად გაბატონებულია გეომეტრიული ხასიათის სტილიზაცია; ვინაიდან ჯუმათის მთავარ ანგელოზ მიქელის ხატი ჩვენი აზრით უნდა იყოს მე-XIII ს., ამიტომ საეჭვოა, რომ ზონის ხატის შემკულობა, რომელიც წარმოადგენს შემკულობის განვითარების შემდეგ საფეხურს, იყოს მე-XIV ს.-ზე უადრესი.

რაც შეეხება შესრულების ტექნიკას, უნდა ვთქვათ, რომ ქართული ოქროს მქანდაკელობის ძეგლები ამ მხრივ სრულებით არ არის შესწავლილი. ის რაც თავის დროს აღუნიშნავს ქ.-ნ უფაროვისას<sup>1)</sup>, სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს, რადგანაც მას საფუძვლად არ უდევს თვით ჩვენი ძეგლების დეტალური შესწავლა. ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი, მასალა ძლიერ მდიდარია, ბევრი რამ საყურადღებო ფაქტების აღმოჩენა შესაძლებელია. როგორც სურათიდან ჩანს (იხ. ტბ. I), მთელი ძირითადი გაქოსახულება წმიდა გიორგისა ამოყვანილია მთლიანი ლითონის ოთხკუთხე ნაჭრიდან, ხოლო დამატებითი ნაწილები, მაგალითად შუბი, ფეხსაცმელები და სხვ., დამზადებულია ცალკე პატარა ნაჭრებიდან. ამოყვანის დროს დარჩენილი შიგნიდან ცალიერი ადგილი ამოვსებული ყოფილა აგურის ფერი მასით, რომელიც დაკრული ყოფილა ზურგით ხატის ფიცარზე. ვინაიდან ეს მასსა მიკრული ყოფილა პირდაპირ შიგნიდან ლითონზე, ამიტომ იგი სავსებით გადმოგვცემს თვით ხატის მოყვანილობას, განსაკუთრებით იქ, სადაც ლითონის ნაჭრები დაშლილია და ზოგან მოცილებულია. საინტერესოა ამ მხრივ შევადაროთ ჯახუნდერის<sup>2)</sup> წმიდა გიორგის ხატის ზედა ნაწილი, და ის მასსა, რომელიც შიგნიდან აქსებდა რელიეფს და ამ ჟამად გვაძლევს რელიეფის სრულს სურათს სწორეთ იქ, სადაც ხატი დაზიანებულია. კონდაკოვს<sup>3)</sup> ზონის ხატის მასსა, რომელიც ამაგრებდა ამოყვანილ რელიეფს, შეცდომით მიუღია ხეთ, რომელიც უნდა ყოფილიყო იმ ნაირადვე დამუშავებული, როგორც ხატის რელიეფი, მაგრამ მას შეცდომა მოსვლია, რადგანაც ჩვენ თვითონვე ვნახეთ ეს მასსა, რომლის ერთი მცირე ნაჭერი ქიმიური ანალიზისათვის გადავეცი, პრ. იასონ მოსეშვილს, რომელმაც გამოარკვია ანალიზის შემდგომ ამ ნივთიერების შემადგენელი ნაწილები, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუძღვნი. რაც შეეხება მასის მაგიერ ხის დატანებას, უნდა აღუნიშნოთ, რომ საეჭვოა წინეთ ამ გვარი ხერხისათვის მიემართათ: ეს გაართულებდა მუშაობას ძლიერ, რადგანაც რელიეფი ჯერ უნდა ყოფილიყო ამოყვანილი ლითონზე და ხოლო უკა-

1) МАК. т. 10 (1904), стр. 101—103.

2) МАК. т. 10 (1904), т. 34, рис. 59.

3) Кондаковъ и Бакрадзе, Описание... стр. 65.

ნასკნელის მიხედვით უნდა დაემზადებინათ ხეზე იგივე რელიეფი, რომელიც უნდა მოექციათ უშუალოდ ლითონის ქვეშ. მასის ხმარებას, აქვს ის უპირატესობა, რომ იგი მექანიკურად გვაძლევს რელიეფის ფორმას, როდესაც ჩვენ ვავსებთ რელიეფის ცალიერ ადგილს ზურგიდან და მათ ძლიერ ადვილებს საქმეს. მაგრამ ხის გამოყენება შეიძლებოდა ქანდაკების ერთგვარი „ჩონჩხის“ მაგივრად, რომელიც ზევიდან იქნებოდა დაფარული მასით. ამ გვარი ტექნიკისათვის მიუხარბათ ერთი ხატის დამზადების დროს<sup>1)</sup>

როდესაც ძირითადი რელიეფი იქნებოდა ამოყვანილი, მაშინ ზოგიერთი წვრილმანები ზევითგან სხვადასხვა იარაღების საშუალებით იქნებოდა შესრულებული, სახელდობრ ის, რაც მკაფიოდ არ გამოვიდოდა. შემკულობა ტანსაცმელისა, ნაოქები, თმის ხვეულები, თვალის კაკლები, და სხვა. ამ ნაირათ არის შესრულებული ხონის წმიდა გიორგის ხატი. ხოლო როგორ და რა იარაღებით ამზადებდნენ ასეთ ძეგლებს წინეთ ჩვენში, ჯერჯერობით ეს გამოურკვეველია.

წმიდანის ქანდაკება, რომელიც გადმოცემულია შედარებით მაღალი რელიეფით, ახდენს მონუმენტალურ შთაბეჭდილებას. სხეულის მოყვანილობა, რომელიც დაფარულია სამხედრო ტანსაცმელში, გადმოგვცემს მკაფიოდ მის ფორმებს; პროპორციები დაცულია საზოგადოათ, მაგრამ მთელი ტანი ცოტათი მაღალია, თავი სხეულთან შედარებით უფრო პატარაა. მარცხენა ხელი, რომელიც მოხრილია, უფრო გრძელია, ვიდრე მარჯვენა, რომელშიაც მას შუბი უჭირავს. წმიდანს ამშვენებს ვანიერი ბეჭები და ლამაზად მოყვანილი ტანი, რომელიც წელსაჲ ვიწროვდება; თავი უჭირავს სწორად და იცქირება პირდაპირკისერი მაღალი აქვს. მიუხედავად მონუმენტალური შთაბეჭდილებისა, რომელსაც გვაძლევს ეს ძეგლი, მასში ძლიერია დეკორატიული ელემენტებიც: ტანსაცმლის ნაოქების მოყვანილობა და მოხაზულობა, ნიშნის შემკულობა, მოქარგული სამაჯურები და ლამაზად შემკული თეხსაცმელები და სხვ. თვით პირისახის ტიპი, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა დაწვრილებით მსჯელობა, მეტად საგულისხმიერაა.

ყველა აქ ჩამოთვლილი შენიშვნები ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენ გვაქვს იმ პერიოდის ძეგლი, რომელშიაც წარსული ძეგლი პერიოდის მონუმენტალური ხელოვნების კვალი სავსებით ამოშლილი არ არის. მაგრამ ახალი ხანის დამახასიათებელი ნიშნები მკაფიოდ უკვე გამოჩანს. ეს ნიშნები გამოიხატება სხეულის პროპორციების დაგრძელებაში, დეკორატიული ელემენტების გაძლიერებასა და იკონოგრაფიული ტიპის ცვლილებაში. თუმცა სტილისტიკურად ჩვენი ძეგლი უახლოვდება ჯუ-

<sup>1)</sup> სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოგრაფიული კაბინეტი, ერმაკოვის მიერ გადაღებული სურათი № 16779.

მათის მთავარანგელოზ მიქელის ხატს, მაგრამ მისგან არსებითად განსხვავდება. იგი უფრო ქართული ხელოვნების ეროვნული მიმდინარეობის გამომხატველია, ვიდრე ჯუმათის ხატი, რომელიც ბიზანტიური მიმართულების სკოლის ტრადიციებს მისდევს.

თუ ჩვენ გაუკეთებთ ჯამს იმას, რაც ამ ძეგლის შესახებ იყო თქმული იკონოგრაფიული და სტილისტიკური ანალიზის დროს, შესაძლებელი ხდება ამ ძეგლის სწორი დათარიღება, სახელდობრ იგი უნდა ეკუთვნოდეს მე-XIV ს. პირველ ნახევარს და არა მე-XI ს., როგორც აქამდის ფაქტობდნენ. მაშინ წარწერაში მოხსენებული „უძლეველი“ მეფე გიორგი უნდა იყოს გიორგი V ბრწყინვალე, რომელმაც გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო და სახელწოდება „უძლეველი“ მას უფრო შეეფერება, ვიდრე სხვებსა. თვით წარწერის პალეოგრაფიული ხასიათი, 3 ხმარება უ მაგივრად, უფრო უდგება ჩვენ მიერ მიღებულ თარიღს, ვიდრე XI ს, როდესაც ამგვარი მოვლენა შეუწყნარებელად უნდა ჩაითვალოს ქართულ წარწერებისათვის.

ამიტომ ამ საყურადღებო, საკუთრივ ქართული ეროვნული მიმართულების სკოლის გამომხატველი ძეგლის დაკარგვა წარმოადგენს ჩვენი მეცნიერებისათვის დაუფასებელ დანაკლისს.

ტფილისი

10/II—24 წ.



## სარგის კაკაბაძე.

## ვეფხის-ტყაოსნის 1600 წლის ახლოდროინდელი მხატვრული ხელნაწერი.

ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერი, რომელიც წინა დ მოსკოვის ყოფ.-საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში იყო დაცული და გასულ წელის საქართველოს გადმოცემა, წარმოადგენს ერთს საუკეთესო ნაწარმოებს როგორც კალიგრაფიისა, ისე საზოგადოდ ხელოვნების თვალსაზრისით. ხელნაწერი წინა დ 1895 წ. მოკლედ აღწერილი იყო ალ. ხახანაშვილის მიერ (Груз. рукописная поэма Барсова кожа, Труды вост. ком. Импер. Моск. арх. общ. т. II). ა. ხახანაშვილი აკუთვნებდა მას მე-17 საუკუნეს, პირობით კიდევ მე-16 საუკ. დასასრულს ან მე-17 საუკ. დასაწყისს. მაგრამ აღწერილობა ამ ხელნაწერისა, რომელიც აქვს ალ. ხახანაშვილს, იძლევა მეტად საერთო წარმოდგენას ამ მართლაც იშვიათ ძეგლის შესახებ. ხელნაწერი დაწერილია კარგს თხელს ქალაღზე in folio და შეიცავს ალ. ხახანაშვილის აღწერილობით 259 ფურცელს. მთელი ხელნაწერი დაწერილია საუცხოვო ხელით, ტაეპების დასაწყისი სიტყვები კიდევ ოქროთია ამოყვანილი, არშიები ყოველ ფურცლისა შემკულია ჩინებული ხელოვნების მინიატურული მხატვრობით. მხატვრობაში არის დაცული ერთგვარი თანდათანობა. ცხოველების სურათებს და პეიზაჟებს მისდევს სხვადასხვა სახის კომპოზიციები, ხშირად ძალიან რთული, საუცხოვო ხელობით შესრულებული. ყოველი ვვერდი ამ ხელნაწერისა თავისთავად წარმოადგენს ხელოვნების საუკეთესო ნიმუშს. ხელნაწერში არის კიდევ ჩაკერებული სხვა და სხვა ადგილას სამი ფურცელი ცალკე მინიატურების კომპოზიციით, ასეთივე ჩინებული ხელოვნებით შესრულებული. ხელოვნება მხატვრული მოფიქრებით და შესრულებით არის საერო და, როგორც ასეთი, საერთოდ იცავს სპარსული ხელოვნების ნორმებს, მაგრამ ჩემის შემჩნევით ის არ უნდა წარმოადგენდეს სპარსული მხატვრობის ბრმა მიბაძვას, არამედ მხატვარს შიგაშიგ ჩაქსოვილი აქვს თავისი შემოქმედების ისეთი ორიგინალური და იმავე დროს ნაზი და ძლიერი ხაზები, რომელიც ჩვენ უნდა გვიჩვენებდეს მხატვრის შემოქმედების განვითარებას თვით საქართველოს ნიადაგზე. მართლაც, საინტერესოა ის გარემოება, რომ დაკვირვების მიხედვით, როგორც კალიგრაფიულად საუცხოვოდ შესრულებული ტექსტი, ისე არშიების მხატვრობა უნდა ეკუთვნოდეს ერთსა და იმავე პირს. ძნელია ესევე ითქვას ხელნაწერში ცალკე ჩა-

კერებულ სამ მინიატურის შესახებ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ აქ ჩვენს წინაშე წარმოდგენილია ნაღვაწი ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ კალიგრაფის და იმავე დროს მალახარისხოვან მხატვრისა, რომლის ვინაობის გარკვევა, რასაკვირველია, ჩვენს მოვალეობას შეადგენს.

უნდა დავას ამათანავე, რომ ტექსტი პოემისა თავისთავად ახალს არაფერს შეიცავს. თუმცა შიგადაშიგ, ახლად დაკაზმვის დროს, ფურცლები გადაურევიათ, მაგრამ საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ტექსტი მთლად არის დაცული, გარდა უკანასკნელი ფურცლისა, რომელზედაც ყოფილა მოთავსებული ვეფხის-ტყაოსნის უკანასკნელი ტაეპი („ამირან დარეჯანის ძე მოსეს აქებდა ხონელსა“)... ეს ფურცელი შემდეგ შეუვსიათ სხვა ხელით, მაგრამ ნაკლოლევან უკანასკნელ ტაეპისთვის მიუმატებიათ კიდევ 4 სხვა ტაეპი, რომელსაც პოემის ტექსტთან არსებითი კავშირი არა აქვს და ვადამწერის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

ხელნაწერი თავისი მოცულობით წარმოადგენს ერთ-ერთ სრულს რედაქციას ვეფხის-ტყაოსნისას, გაგრძელებით და ნართულ ტაეპების იბ სრულად და აგრეთვე ი-ს წარმოდგენით, ასე რომ ამ მხრივ ის შეიცავს შედარებით ნაგვიანვე ტიპის ტექსტს, რომელსაც ტიპიურ რედაქციათა შორის შემდეგ მიყვება საისტ. საზოგ. მუხ. ხელნაწერში № 757 წარმოდგენილი ტექსტი ნართული ტაეპებით ია (შეად. ს. კაკაბ. ვეფხის-ტყაოსნის პრობლემის გარეშეშო, საისტ. მთაბე, № 1, 135). ხელნაწერის ტექსტის შინაგან მოცულობაზე ჩვენ ალბად გვექნება საშუალება სხვა ადგილას შევჩერდეთ, ამ წერალში კი ჩვენ შევვებებით ერთ კერძო საკითხს თვით ხელნაწერის დათარიღების შესახებ, სახელდობრ როდის არის დაახლოვებით გადაწერილი ეს ხელნაწერი, რა დროს არის, მაშასადამე, შესრულებული მისი მხატვრობა და ვინ უნდა იყოს ეს ერთი საუკეთესო ქართველი კალიგრაფთაგანი და იმავე დროს ერთი ჩინებული მხატვართაგანი?

პალეოგრაფიულად, განსაკუთრებით ასოების — ო, პ, ჰ, გ — გამოხატულებით შესაძლებელი იყო ხელნაწერის მიკუთვნება მე-16 საუკუნის მეორე ნახევრისათვის ან 1600 წლის ახლო ხანისთვის. ხელნაწერის შედარებამ ზოგიერთ საბუთებთან (მაგ., ცენტრარქივში დაცულ თეიმურაზ კახ-ბატონიშვილის მიერ 256 ქორონაკონს — 1568 წ. ბოღბელ მაქსიმესა და სხვა მკაყაშვილებისადმი მიცემულ წყალობის წიგნთან) ეს ცხად პყო პალეოგრაფიული თვალსაზრისით. მაგრამ ამ გარემოების უფრო დანამდვილებით დადასტურება შესაძლებელი შეიქმნა, როდესაც ტფ. სასამართლოს არქივში აღმოჩნდა ერთი საბუთი ამავე ხელით და-

წერილი, როგორც ხსენებული ვეფხის-ტყაოსანი. ეს საბუთი ამჟამად ცენტრარქივშია დაცული.

საბუთი წარმოადგენს გრძელს გრაგნილს, დაწერილს ქალაღზე და შეიცავს წყალობის წიგნს, მიცემულს თეიმურაზ კახ-ბატონის მიერ სამას ქორნიკონს (1612 წ.) ალავერდის ტაძრისადმი თავისი მეფლის ანას გარდაცვალებისა გამო (საბუთი მოკლედ ორიოდ სიტყვით მოხსენებული აქვს თ. ჟორდანიას, ქრონიკ. II, 439—440). საბუთი დაწერილია „კელითა ავალიშვილისა მთავარეპისკოპოსის იოანესითა“. ამ საბუთის აღმოჩენის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ ხსენებული ხელნაწერი ვეფხ.-ტყაოსნისა ამ იოანე ავალიშვილის მიერ არის გადაწერილი. ეს ცხადი იყო საბუთის და ხელნაწერ ვეფხის-ტყაოსნის დამწერლობის ხასიათის ერთი თვალით გადაკვრითაც, დეტალურ შედარების შემდეგ კი ეს აზრი ურყევ ფაქტად იქცა.

ესა საინტერესოა გამოკვეთულ იქმნას ვინაობა ამ ჩინებულ კალიგრაფის და იმავე დროს მხატვრისა უფრო დეტალურად. სახელი მისი ზემოდ ხსენებულ 1612 წლის საბუთში საკმაოდ გარკვევით არის ნაჩვენები—იოანე ავალიშვილი. ის ყოფილა ამ დროს მთავარეპისკოპოსი. რადგანაც იოანე იხსენიება მთავარეპისკოპოსად კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის სიგელში და ამავე დროს ის თითონ სწერს ალავერდის ტაძრისთვის ამ დიდმნიშვნელოვან საბუთს, ამიტომ საფიქრებელია, რომ მას ამ დროს ალავერდის კათედრა სკეროდა. მაგრამ სამი წლის წინად იოანე ჯერ კიდევ წინამძღვრად იხსენიება. 1609 წ. ის ქვათახევის წინამძღვრად ყოფილა, როგორც ეს სჩანს მის მიერ კახეთის დედოფალ ქეთევანისთვის გადაწერილ სახარების მინაწერიდან (თ. ჟორდ. ქრონიკ. II, 438). საზოგადოდ წინამძღვრად ის იხსენიება 1609 წელზე უფრო ადრე, მანუჩარ II ათაბაგის ცოლის ელენეს († 1609 წელს) და მისი შვილის მანუჩარის მიერ მიცემულ წყალობის წიგნში. „ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ ჩუენ კელმწიფის შვილმა ბატონმა ელენე და ძემან ჩვენმან ათაბაგმან პატრონმან მანუჩარ თქუენ ავალიშვილს წინამძღუარს ბატონს იოანეს და თქუენსა ძმასა ზაქარიასა, ასე და ამა პირსა ზედა რომე რას წამ ღთნ იპრიანოს და ჩუენი საბატონო ჩუენ დაგურჩეს და ვცნ იცის სოფლის საქმე, თუ ესრომიშვილი პაპუნა უშვილოდ გადავლინდეს, ჩუენ იმისი კერძი მამულიცა და თქუენი კერძი მამულიცა კელ შეუალად თქუენ გიბოძოთ, თუ მოხვიდეთ და ჩუენი ყმანი შეიქნათ და არა ძე კაცი არ შემოგაცილოთ“... (საქ. სიძვ. III, 533).

ამ საბუთიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ იოანე წინამძღვარი და ძმა მისი ზაქარია გადმოსული ყოფილან სამცხიდან და ამ დროს ჯერ კიდევ უკან დაბრუნების იმედს არ ჰკარგავდნენ. მეორე საბუთიდან

სჩანს, რომ 1605 წ. ზაქარია ავალიშვილი ქართლს მკვიდრად დაბინავე-  
ბული იყო. სახელდობრ, ამ წელს 11 ივლისს გიორგი ქართლის მეფემ  
მიაბარა მას რამინ ამირეჯიბი: „სადამდის ცოცხალი იყოს, მისის მამულითა  
თქუენტუის მოგუიბარებია და კარგა შეინახეთ და რა სოფელმან მისი  
წესი არ დაიშალოს და რამინ მოკუდეს, რაც ბატონის მამის ჩუენისა-  
გან რამინისათუის შაჟული არის ნაბოძები და ფარვანაში უწერია, მის  
სამართლიანის სამძლურითა და საქმითა ის მამულიც თქუენტუის გუიბოძე-  
ბა“... (საქ. სიძე III, 534). ულსანიშნავია, რომ ცოტა ადრე 1605 წ.  
აპრილში რუსთ ხელმწიფის ელჩების ქართლის მეფე გიორგისთან სოფ.  
მეჯვრისხევეს დაბაზობისას იხსენიება ვინმე ავალი. А присылал по них  
(იგულ. რუსის ელჩები) царь на двор звать архиепископа Феодосья, да  
Аристова князя Сонскаго, да ближнего своего человека Асламаз-бека,  
да баярина Авад... (Бълокуров, Снош. России с Кавк., 496) ვინ  
არის ეს ავალი, არ არის ცნობილი, შესაძლებელია ის იყო მამა იოა-  
ნე წინამძღვრის და ზაქარიასი. რომ აქ ავალი სახელი არის და არა.  
გვარის მაჩვენებელი, ამას უნდა ადასტურებდეს სხვა წარჩ ნებულთა და-  
სახელება რუსის ელჩების იმავე ანგარიშში სახელების მიხედვით. ერთი  
საბუთიდან (საქ. სიძე. III, 542, აქედან ამონაწერი იხ. ქვემოლ) სჩანს,  
რომ იოანეს და ზაქარიას მამიდა გათხოვილი იყო იოთამ ფავლენი-  
შვილზე, რის გამო ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იოანეს და ზა-  
ქარიას მამას უკვე ქართლში ჰქონდა ფეხი მოკიდებული.

სახოგადოდ ავალიშვილების მოსვლა ქართლს. კერძოდ ივანეს პი-  
როვნება, დახასიათებულია 1630 წლის თეიმურაზ მაშინ ქართლ-კახე-  
თის მეფის სიგელში. ეს სიგელი მიძღვნილია საფარის ღვთისმშობლის.  
ხატისათვის, რომელიც ამ დროსთვის გადმოსვენებული იყო, საფარის  
მონასტრის გაუქმების გამო, ქართლს. „მეფე თეიმურაზ და დედოფალი  
ხავარაშან და ქე ჩვენი ყოვლად სასურველი დავით შეგვირდებით და  
გვედრებით რათ გუიხსნენე ხილულთა და უხილავთა მტერთაგან და შე-  
მუსრნე ქუეშე ფერკთა ჩუენთა ხილულნი და უხილავნი მტერნი ჩუენი,  
მას ჟამსა ოდეს უღთოთა მოაჰმადიანთა მიერ მონასტერი თქუენი ყოვ-  
ლად დიდებული მოკრებულიყო; პატიოსანი ხატი წარმოსუენებულიყო,  
მამულნი, მეტოქნი, სოფელნი, დაბანი და აგარაკნი წაკლომილიყუნეს,  
ხოლო რაოდენნიმე დაშთომილიყო ყმანი წმიდისა მონასტრისა თქვე-  
ნისანი, მოვაგროეთ და დავასახლეთ სანახებსა ქართლისასა არადეთისა-  
ბოლოს, რომელსა ზგდა სახლებულიყუნეს სხუანიცა მესხნი და ეკლე-  
სიაკა ნაოკარიცა იყო და დავსვით წინამძღურად და მამად წმიდისა  
ხატისა თქუენისა ძმისწული პირველისა მღდელთმთავრისა, ქართლისა  
მთავარეფისკოპოზისა, კაცისა სწაკლათა უფსკრულისა და ზეცისა ბუ-  
ღისა სრულისა და ფილას. აფოსისა იოვანე, მეოთხედ იოვანედ ღირსისა,



ავალიშვილი, აღზრდილივე მისი კეთილად და სამონოდ ქრისტესა და შედგომილი კუალსა მონაზონებისა არსენი, კაცი სარწმუნო, რამეთუ პირველთა ესენი ნათესაობით ღირს ქმნილ იყუნეს სხდომად საყდარსა თქუენსა ზედა... თქუენცა, ქრისტეს მადიდებელნი მღვდელთმთავარნი და ერნი, ესრეთ დაუმტკიცეთ წინამძღუარსა საფარისასა ავალიშვილსა უფალსა არსენის“... (საქ. სიძვ. III, 538—539).

აქ იოვანე, უკვე ქართლის მთავარეპისკოპოსად მყოფი, დახასიათებულია როგორც „კაცი სწავლათა უფსკრული და ზეცისა ბუდე სრული და ფილასოფოსი“. ქისწული მისი არსენი ავალიშვილი დასახელებულია როგორც საფარის წინამძღვარი. არსენი ყოფილა ზაქარიას შვილი, როგორც ეს სჩანს სხვა საბუთებიდან. 1633 წ. თეიმურაზ მეფე ამ ზაქარიას წყალობის წიგნს აძლევს შემდეგი სიტყვებით: „ავალიშვილთა ზაქარიას, შვილთა შენთა არსენის, ავალსა, ქაიხოსროს, დავითს და ღონენასა და მომავალთა სახლისა თქუენისა ყოველთავე (გიწყალობეთ) მას ეამსა, ოდეს ქართლს ყენი მოგუიკდა და ვეღარ დაუდგით და გარდავედით ღიხთ იმერთ და გარდმოგუყევით თანა და მრავალი ქირი და განსაცდელი, ერთგულობა და სამსახური თავს იღვეით, ხოლო ჩუენ ბრძანებითა ღმრისათა თქუენისა ერთგულობისა და ქირნახულობისა სანაცულოდ გიბოძეთ ისევ თქუენი სამკუიდროდ მეფეთაგან მოცემული სოფელი სომანეთი და აბისი მათის სამართლიანითა, რა რიგაცა პირველ გქონებოდა და შენის მამიდაშვილის ფაენელიშვილის იოთამის კერძი მამული, რაც განაყოფთაგან მოხლომოდა“... (საქ. სიძვ. III, 542).

კახეთში კახ.-ბატონის თეიმურაზის ისევ გამეფების შემდეგ (1636 წლიდან) ავალიშვილებს ჩვენ ვხედავთ კახეთში, როგორც ეს სჩანს თეიმურაზ მეფის მიერ ერთ ბოძებულ საბუთიდან, რომელშიდაც მოხსენებული არიან ავალიშვილი ზაქარია და მისი შვილები ბოდბელი მთავარეპისკოპოსი არსენი, ავალი, ქაიხოსრო, დავითი, ღონენა და ბეჟანი (საქ. სიძვ. III, 541. აქ ნაჩვენებია თარიღი 1630—1633 წ. თხოულობს შესწორებას. საბუთი დაწერილი უნდა იყოს 1636—1637 წ.).

თუმცა, ამგვარად ზაქარიას ოჯახს კახეთში მოკალათებულად ვხედავთ (საქ. სიძვ. III, 546, 548, 550—553), მაგრამ მას არც ქართლთან აქვს კავშირი გაწყვეტილი, როგორც ამას გვიჩვენებს როსტომ მეფის მიერ 1637 წ. ზაქარია ავალიშვილისა და მისი შვილებისადმი (ავალი, დავითი, ქაიხოსრო და ღონენა) სომანეთის მამულის დამტკიცების შესახებ მიცემული წყალობის წიგნი. 1648—1649 წ. ახლოს (საქ. სიძვ. III, 557—548, თარიღი შესწორებულია) არსენი უკვე აღიკვეთილად იხსენიება და, როგორც სჩანს, ამ კათედრაზე გადაყვანი-

ლი ჯერ კიდევ თეიმურაზის დროს ყოფილა, მაშასადამე 1648 წელზე უწინარეს.

თვით იოვანე მთავარეპისკოპოსი უკანასკნელად ჯერჯერობით ზემოდ ხსენებულს 1630 წლის საბუთში არის ცნობილი. ზაქარია, ძმა მისი, ცოცხალი ყოფილა 1652 წელსაც (საქ. სიძვ. III, 445).

ყველა ზემოდ მოხსენებულიდან სჩანს, რომ იოანე ავალიშვილი 1605 წლიდან ქართლში ყოფილა როგორც უკვე სასულიერო პირი. თავისი სასულიერო მოღვაწეობა მას ჯერ კიდევ საფარაში დაუწყია, როგორც ეს ცხადდება თეიმურაზ მეფის ზემოდ ხსენებულ 1630 წლის სიგელიდან, სადაც ძეფე ამბობს: „პირველთა ესენი (იოვანე და მისი ძმისწული არსენი) ნათესაობით ღირს ქმნილ იყუნეს სხდომად საყდარსა თქუენსა ზედა (ე. ი. საფარისასა)“. 1604 წ. იოანე — ქვათახევის წინამძღვარია, 1612 წ. უკვე მთავარეპისკოპოზი, როგორც სჩანს, ალავერდისა, ხოლო 1630 წ. ის ქართლის მთავარეპისკოპოზად ითვლება. ამის შემდეგ მის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

როდის უნდა იყოს იოანე ავალიშვილის მიერ ზემოდ ხსენებული ხელნაწერი „ვეფხვის-ტყაოსნისა“ შესრულებული? ამის გამოსარკვევად საჭიროა მოხსენებულ იქმნას, რომ, მიუხედავად ყოველგვარ მსგავსებისა, იოანეს მიერ 1612 წელს გადაწერილ საბუთსა და ხელნაწერ „ვეფხვისტყაოსანს“ შორის არის ერთი განსხვავება. სახელდობრ „ვეფხვისტყაოსანი“ სტოვებს ისეთს შთაბეჭდილებას, რომ ის მწერლის შედარებით ახალგაზრდობაში უნდა იყოს გადაწერილი. ამას აქტივებს შედარებით უფრო მაგარი ხელი და ყველაზედ უფრო კიდევ ის გარემოება, რომ მწერალი „ვეფხვის-ტყაოსნის“ ტექსტში ო-ს აძლევს უფრო ადრინდელ მონაზულობას. ო-ს იოანე ჩვეულებრივ სამკბილოვანად სწერს როგორც საბუთში, ისე ვეფხ-ტყ.-შიც, მაგრამ უკანასკნელში ხანდახან ჩვენ ვხვდებით ოთხკბილოვან ო-საც. ამ გარემოებას აქვს ხელნაწერის დასათარიღებლად დიდი მნიშვნელობა. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ვეფხ.-ტყ.-ის გადაწერა თავისთავად და აგრეთვე განსაკუთრებით მისი მხატვრული შემკულობის შესრულება უფრო ერისკაცისთვის უნდა ყოფილიყო საპრიანებელი, ვიდრე სასულიერო პირისთვის. ყველაფერი ეს კი ჩვენ უნდა გვიჩვენებდეს, რომ იოანე ავალიშვილს, — ასეთი იყო მისი სახელი უკვე წინამძღვრობის და მღვდელთმთავრობის დროს, — ხსენებული ვეფხის-ტყაოსანი გადაწეროს და არშიებით ასე მდიდრულად მოეხატოს თავისს ერისკაცობაში და ახალგაზრდობაში, მაშასადამე, რასაკვირველია, უწინარეს 1605—1609 წლებისა, როდესაც ის ქვათახევის წინამძღვრად უნდა ყოფილიყო, ანდა ქართლს როგორც სასუ-

ლიერო პირი ცხოვრობდა და უწინარეს 1600—1605 წლებისა, რომლის ახლო ხანებში ის იქნებოდა საფარის წინამძღვრად.

ავალიშვილის მიერ ვეფხის-ტყაოსნის დაწერა და მისი მხატვრული ნაწილის შესრულება, ყველაფერ ზემოთ თქმულის მიხედვით, შეიძლება ამიტომ მიეწეროს მე-16 საუკუნის უკანასკნელ მცათედს დაახლოებით 1590 + 1600 წ. წ.. ამ დროით, მაშასადამე, შეიძლება დათარიღდეს ეს იშვიათი ძეგლი ქართულ კალიგრაფიისა და ქართულ საერო მხატვრობისა.

---

ლენინ მელიქსეთ-ბეგი.

ქ ა წ ა რ ე თ ი<sup>1)</sup>

კაწარეთის ანუ სამების მონასტერი მდებარეობს ტფილისის მაზრაში ს. ხაშმის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და ს. პატარძელის ჩრდილოეთ-დასავლეთით, ორივესგან 7—8 ვერსის მანძილზე, ტყით შემოფარგლულ მშვენიერ მინდორზე, მარცხენა ნაპირას ე. წ. სამებისხევისა, რომელიც მარცხნივ ერთვის ე. წ. ლაფიან-წყალს (Пряжан пруд) — ივრის ტოტს.

იქ მომიხდა ყოფნა ორჯელო, ორჯელზე 1922 წ. ზაფხულს: პირველად — ს. პატარძელიდან, 19 ივნისს, აკ. შ ა ნ ი ძ ე ს თ ა ნ ერთად, ხოლო მეორედ და უკანასკნელად ს. ხაშმიდან, 5 სექტემბერს, მართლად.

ეს ადგილი ვახუშტის ასე აქვს აღწერილი: „ნინო-წმიდას ზეით ერთვის იორს სამების კევი... ამ კევიზედ არს ეკლესია ღიღ-შენი, გუმბათიანი (sic ლ. მ.-ბ.) სამებისა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამას ზეითის ქვეყნისა ერწოდმდე“<sup>2)</sup>.

საყურადღებოა, რომ ვახუშტი, როგორც გეოგრაფიის ტექსტში, ისე რუკაზე, არ უწოდებს მას სახელწოდებას „კაწარეთი“, არამედ იხსენიებს „სამება“-დ. ამ მოვლენას კი, რასაკვირველია, აქვს თავისი საფუძველი.

პატარძელ-ხაშმში ყოფნის დროს როგორღაც ჩაუკვირდი, რომ კაწარეთს ამ ჟამად არაეინ ეძახის თავისი პირვანდელი სახელწოდებით, არამედ ეძახიან „სამება“-ს, და ის აწ ცნობილია ხალხში მხოლოდ „სამება“-დ და არა „კაწარეთ“-ად. რომ „კაწარეთი“ მოიხსენიოთ კიდევ, არაეინ გაიგებს: რა კაწარეთიო? ეს გარემოება გამოკვეთილი აქვს დ. ნახუცრიშვილს სპეციალურ სტატიაში<sup>3)</sup>. „ხალხის ხსოვნას, — ამბობს ის, — კაწარეთის ხსენება აღარ შერჩენია. შენახულა მარ-

<sup>1)</sup> მოხსენება, წაკითხული საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე 1923 წ. 6 ნოემბერს, შემდეგში ცოტაოდენ შეცვლილი თანახმად ს. კაკაბაძისა და ვ. თოფურიას მიერ ხსენებულ კრებაზე გამოთქმული ზოგიერთი სამართლიანი შენიშვნებისა.

<sup>2)</sup> მ. ბროსეს გამ., 292=მ. ჯანაშვილის გამ., 135.

<sup>3)</sup> დ. ნახუცრიშვილი, სად წავიღწენ კაწარელნი (ისტორიული გადმოცემა), — გაზ. „ივერია“ 1904 წ. № 237.



ტო სახელწოდება „სამებელნი“, ე. ი. სოფელ სამების მცხოვრებნი. მაგრამ იმ სოფელს უწინ უნდა რქმეოდეს „კაწარეთი“, შემდეგ დაეძახნათ „სამება“, ვინაიდან ადგილ-მდებარეობა ორსავე ერთსა და იმავე ადგილს აქვს მიკუთვნებული, სახელდობრ იმას, სადაც ეხლა წმ. სამების ეკლესიაა“. ამის შემდგომ მას მოჰყავს ხალხში დარჩენილი და ხაშმელი გლეხის ს ვ ი მ ო ნ ქ ო რ ქ ა შ ე ი ლ ი ს ა გ ა ნ ნ ა ა მ ბ ო ბ ი გა დ მ ო - ც ე მ ა ს. სამების უკანასკნელი აკლესიისა და მცხოვრებთა იმ ადგილიდან საშუალოდ გადახვეწის შესახებ, და ბოლოს აკეთებს ასეთ დასკვნას: „ჩემის აზრით, კაწარეთი შესცვალა სამებამ; გამოდევნილმა სამებელებმა დაარსეს ძველი ხაშმი, ხოლო იქიდან გადმოსახლდნენ ეხლანდელ ხაშმში“.

რაც შეეხება ძველ ხაშმს, ის მდებარეობს აწინდელი ხაშმის ჩრდილოეთით, სწორედ იმ ალაგას, სადაც ე. წ. ლაფიან-წყალი ერთვის იორს. იქ ამ ჟამად არვინ სცხოვრობს. ოდესღაც არსებული სოფლის შესახებ კი მოწმობენ ჩვენამდე მოღწეული მრავალ შენობათა ნანგრევები და მათ შორის ძველი (მე-XVII ს.) ეკლესია, რომელსაც ხაშმელები „ყოვლადწმიდა“-ს უწოდებენ, ხოლო საისტორიო საბუთებში ჩვეულებრივ (მაგ. ბესარიონ მთავარეპისკოპოსის 1766 წ. განჩინებაში) დედათა მონასტრად იხსენიება<sup>4</sup>.

რომ კაწარელ-სამებელნი ხაშმში არიან გადმოსახლებულნი, სხვათა შორის აწინდელი ხაშმელების ფსიქოლოგიითაც მტკიცდება: ყოველი ხაშმელი თავის თავს სამებელთა ჩამომავლად სთვლის და მისი მთავარი სალოცავ-ხატი „სამება“-ა.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ სამების გარშემო არსებული მშენიერი ყანები არავის ეკუთვნის, გარდა ხაშმელებისა, და თვით ხაშმელებსაც ერთგვარი მიდრეკილება აქვთ სამებისაკენ. ხაშმელებმა გადმომცეს, რომ ხაშმში ცხოვრების აუტანელი პირობების გამო მათ განზრახული აქვთ ახლო მომავალში თავიანთ მამა-პაპათა ბინას დაბრუნდნენ, ე. ი. კაწარეთ-სამებაში, და რამოდენიმე კომლი, რამდენადაც ვიცი, ამ ჟამად იქ უკვე გადასახლებულა კიდევ.

„კაწარეთი“ ცნობილია აგრეთვე ზოგიერთ სომეხ მემბტიანეთა ნაწარმოებებშიც, მაგ. კვირიკე განძაკელისა (XIII ს.)<sup>5</sup> და ზაქარია დია-

<sup>4</sup>) ძველი ხაშმის აღწერა იხ. [А. Муравьев,] Грузия и Армения, I, стр. 206.—ზღრ. Д. Пурцеладзе, Грузинские церковные грамоты, стр. 29—30.

<sup>5</sup>) *Կիրակոսի Վարդապետի Գանձակեցւոյ Պատմութիւն Հայոց (գլուխ 2-ի 1-ին Մատենադարան » II), Տփղիս 1910, եր. 154—155=* M. Brosset, Deux historiens arméniens, SPB 1870, გვ. 82, 120. ზღრ. Գ. Ինճիճեան, *Ստորագրութիւն հին Հայաստանեայ, վեհախի 18 22, եր 523*

კონისა (XVII ს.)<sup>6</sup>, მაგრამ მის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს გარეკახეთის კაწარეთი-სამება კი არა, არამედ ჰერეთის (ყაზან-განჯის რაიონის) ფარგლებში ცნობილი „კაწარეთის“ ციხე (*Կաթարեի պահակ*)<sup>7</sup>, რომელსაც, ექვს გარეშეა, რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს პირველთან, მით უმეტეს რომ ჰერეთშიც კაწარეთის-ციხის ახლოს ცნობილია ერთი მონასტერი ისეთივე სახელწოდებით, როგორცაა „ხაშმი“, ე. ი. „ხაშმის“ ანუ „ხაშმის“ მონასტერი (*Մամչի վանք*)<sup>8</sup>. ყოველ შემთხვევაში, ორივე სახელწოდების გარეგნული ლახე—ერთში სუფიქსი „*եթ*“, ხოლო მეორეში დაბოლოება „*ჩ*“—გვიმტკიცებს, რომ ისინი ქართული ნომენკლატურიდან წარმომდგარან, ალბათ გარეკახეთიდან ჰერეთში ჯერ კიდევ მე-XIII-ე საუკუნემდე მომხდარ ემიგრაციის გამო.

პროფ. ივ. ჯავახიშვილს ნაჩვენები აქვს „კაწარეთი“ — კოშკის, ზიარის, ფხოველის და ვეიინის-ციხესთან ერთად— ჰერეთის (სიღნაღის მაზრის) საზღვრებში, თუმცა სახელდობრ არ გვითხვებს მის ადგილს<sup>9</sup>, მაგრამ ეს სამართლიანი არ უნდა იყოს, ვინაიდან, ჯერ ერთი, არავითარი კაწარეთი აწინდელი სიღნაღის მაზრის ფარგლებში არც ძველად და არც ახლად ცნობილი არ არის, და მეორე, თუ ძველ კაწარეთად მივიღებთ აწინდელ კაჭრეთს, დავრწმუნდებით, რომ უკანასკნელი სულ ახალი სახელწოდებაა, სრულიად უცნობი საისტორიო საბუთებში, რომლის მაგიერ ძველად იხმარებოდა „ბეჟან-ბალი“<sup>10</sup>.

თვით სახელწოდებას „კაწარეთი“, ექვს გარეშეა, საფუძვლად აქვს სიტყვა „კაწარ“ ანუ, მარტივად, „კაწ“ (კაწ-არ-ეთ-ი), თუმცა მისი მნიშვნელობა გამოურკვეველად რჩება. ყოველ შემთხვევაში, ამ სახელწოდებიდან მომდინარე ეპითეტს „კაწარელი“ (კაწარ[ეთ]ელი) არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს „მკაწრველ“ (მ-კაწრ ვ-ელ)თან, ე. ი. იმ ზედწოდებასა ანუ ეპითეტთან, რომლითაც ძველს ქართულ

<sup>6</sup>) *Ջոզარեի արկանք. Պատմագրութիւն. Վաղարշապատ 1870. հաս. երկրորդ, եր. 40*—M. Brosset, Collection d'historiens arméniens, t. II, SPB 1876, p. 185; შტრ. *Գարեգին եպիսկոպոս, Ազիբեկსնց և Նրանց շինարարական գործը (պատմաճգիտական ուսումնասիրութիւն), Վանքեր Հայաստանի Գիտական ինսტიտուտի* Գ. I-II *Վաղարշապատ 1921-22, եր. 177.*

<sup>7</sup>) ამ რაიონში ცნობილ კაწარეთისა და ხაშმის (ხაშმის) შესახებ იხ. *Մակარ եպ. Բարխուդარხანց: Արցախ, Բագու 1895, եր 358.*

<sup>8</sup>) *Ibid., եր. 309—310*

<sup>9</sup>) ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, Գ. I, ტფილისი 1913, Զვ. 308—ქუთაისის შემოკლ. გამ. 1918 Գ., გვ. 160.

<sup>10</sup>) იხ. „ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა“ (ქართლის ცხოვრება, 6. II, დ. ჩუბინოვის გამ., 140), „ქრონიკა“ (*ibid.*, 254), „ცხოვრება როსტომ მეფისა“ (*ibid.*, 531).

ლიტერატურაში ცნობილია მე-IV-ე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, ასურულ მონოთეიზიტთა ბელადი, ანტიოქელი პატრიარქი პეტრე-„მგელი“ (λαχιαπέτρος): ეს პეტრე-„მკაწრველი“, რასაკვირველია, არ იყო „კაწარელი“, ე. ი. კაწარეთით<sup>11</sup>.

კაწარეთ-სამებას აქვს თავისი სპეციალური ლიტერატურა. ვახუშტის გარდა ის მრავალჯერ არს აღწერილი მე-XIX-ე საუკუნის განმავლობაში: 1846 წელს—პ. იოსელიანის მიერ<sup>12</sup>, 1848—ალ. მურავიევის<sup>13</sup>, 1875—დ. ბაქრაძის<sup>14</sup>, 1891—დ. ფურცელაძის<sup>15</sup>, 1898—ალ. ხახანაშვილის<sup>16</sup>, უკანასკნელად კი 1904—ილ. ჯაშისა და 1912—გ. ლეონიძის მიერ<sup>17</sup>.

\* \*

საისტორიო მწერლობაში კაწარეთი პირველად იხსენიება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, იქ, სადაც ლაპარაკია წმ. ნინოს მოღვაწეობაზე: „მცხეთით, —მემატიანეს სიტყვით, —ნინო შთავიდა (var. წარვიდა) კხოეთა[დ] და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხოელნი და სო[კ]ჯნი ერთიურთ მათით და გარდავიდა კახეთა[დ] და დადგა ქცელ დაბას<sup>18</sup>.

<sup>11</sup>) ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად საჭიროდ ესცნობ აღენიშნო, რომ, როდესაც ე. თაყაიშვილი (Описание рукописей, II, 520) ქართულ ხელთნაწერე ში მოხსენებულ „პეტრე მკაწრველს“ რუსულად სთარგმნის Петр Кацарский, დიდ შეცდომას უშვებს, ვინაიდან სიტყვა „მკაწრველი“ არ ეკუთვნის იმ რიგ წოდებებს, როგორიც არიან, მაგ., „მეგვიპტელი“ (მ-ეგვიპტ-ელ-ი), „მეგრელი“ (მ-ეგრ-ელ-ი), „მაწყვრელი“ (მ-აწყურ-ელ-ი), „მტბევარი“ (მ-ტბეთ-არ ი), „პროველი“ (მ რუ(ის)-ელ-ი), „მესუქეველი“ (მ-ესუქ-ე-ელ-ი) და სხვა, რომ ის რუსულად, Египетский, Егерский, Ацкурский, Тбетский, Рунский etc მხაგვსად, გადმოვთარგმნით Кацарский-ად, იმ დროს, როდესაც მას სჭირია სემასიოლოგიური ახსნა, რაც რუსულად მოგვეცემს Валяльщик, ბერძნ. χυαφας, სომხ. Թափիչ=ქართ. „მკაწრველი“ (Л. Меликсет-Беков, Грузинский извод сказания о посте „араджавор“, —„Христ. Восток“, т. V, стр. 84, стр. 85, 100).

<sup>12</sup>) П. Иоселиани, ц. с., стр. 19—21.

<sup>13</sup>) [А. Муравьев,] Грузия и Армения, I, стр. 205—206.

<sup>14</sup>) Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства („Записки Общества Любителей Кавказской Археологии“, кн. I), стр. 38—39. შდრ. „Кавказский Календарь“ стенной, 1915 г.

<sup>15</sup>) Д. Пурцеладзе. Катцаретский Самебский (Троицкий) монастырь, газ. „Новое Обозрение“ №№ 2475 и 2477.

<sup>16</sup>) А. Хаханов, Катцаретский Самебский (Троицкий) монастырь, —„Материалы по археологии Кавказа“, т. VII, стр. 38—39.—უკანასკნელი წერილი გამეორებაა დ. ფურცელაძის წერაობის თითქმის სიტყვა-სიტყვით.

<sup>17</sup>) Свщ. Илларион Джаши, Катцаретский Самебский (Троицкий) монастырь и Иосиф Самебеди, —„Духовный Вестник Грузинского Экзархата“ 1914 г. № 15, отт стр. 1—6; გ. ლეონიძე, სამების მონასტერი გარედ-კახეთში, —„სახალხო გაზეთი“ 1912 №№ 638 და 640.

<sup>18</sup>) Е. Такайшвили, Описание рукописей, II, стр. 717.

თუ როდისაა კაწარეთის ეკლესია თავდაპირველად დაარსებული, ამის შესახებ არაერთი ცნობა არ მოგვეპოვება საისტორიო წყაროებში.

თ. ჟორდანიას როგორღაც სწერდა: „ძველი ეკლესია კაწარეთისა აღშენებული უნდა იყოს იქ, სადაც წა ნინომ აღმართა წაჯვარი“<sup>19</sup>.

ილ. ჯაში, ლაპარაკობს რა ვახტანგ გორგასალის შესახებ, სხვათა შორის, აღნიშნავს: «Этому то царю предание, сохранившееся среди монахов, приписывает построение Самебской церкви»<sup>20</sup>. შემდეგ იმავე ავტორს მოჰყავს თვით გადმოცემა შემდეგი შინაარსისა: ვახტანგ გორგასალი თავის ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მთიულთა საწინააღმდეგოდ, გაჩერდა ლამისთევად სწორედ იმ ადგილას, სადაც აწ სამება დგაო. კეთილმორწმუნე მეფემ, მის თანამძღოლ მხედართა დასწრებით, მისცა ღმერთს დიდებული აღთქმა, თუ ვინცობაა დაამარცხოს მტერი და მშვიდობიანად დაბრუნდეს ლაშქრობიდან, სადგომის ადგილას ააგოს ეკლესია წმ. სამების სახელზე. ვახტანგმა გაიმარჯვა მთიულეებზე და, თანახმად თავისი ჰირობისა, მალე ეკლესიაც ააშენა<sup>21</sup>. «Не придавая большого значения этому преданию, — ამბობს დასასრულს ილ. ჯაში, — можно сказать, что царю Вахтангу могло быть известно это место, как освященное стопами просветительницы Грузии; мог он и построить храм, но, во всяком случае, не нынешнюю Самебу, которая своею архитектурю напоминает храмы..., построение которых относят к VII веку, хотя было бы вернее отнести их к более позднейшим временам»<sup>22</sup>.

დ. ფურცელაძე ფიქრობდა, რომ სამების აწინდელი შენობა უნდა აგებულ ყოფილიყოს მე-XVI-ე საუკუნეში: «Отсутствие исторических данных о времени постройки Самебской церкви восполняется формами и материалами, из которых она сооружена», — ამბობს ის, და მერე განაგრძობს: «Судя по плану и материалам, нельзя сомневаться, что Самебская церковь сооружена в XVI веке»<sup>23</sup>.

ამასვე იმეორებდა ალ. ხახანაშვილიც: «Судя по плану и материалам, монастырь этот сооружен вероятно в XVI веке»<sup>24</sup>.

და ასეთ განცხადებას დ. ფურცელაძე და ა. ხახანაშვილი ამყარებენ იმ მოსაზრებაზე, რომ ვითომდა ტაძარს ეტყობა

<sup>19</sup>) თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 33, შენ. 63.

<sup>20</sup>) Ил. Джаши, ц. с., стр. 4.

<sup>21</sup>) Ibid.

<sup>22</sup>) Ibid., 4—5.

<sup>23</sup>) Д. Пурцеладзе, ц. с., ц. и.

<sup>24</sup>) Хаханов, ц. с., стр. 38.



კვალი დასავლეთის ზეგავლენისა, რომელიც დაიწყო ჩვენში მე-XV—XVI-ე საუკუნეებში, როდესაც აქ ფეხი შემოდგეს გენუელებმა; გენუელმა ხელოსნებმა თავდაპირველად შემოიღესო ჩვენში რიყის ქვითა და აგურით აღმშენებლობის ტენიკა, რომელიც ვითომდა ეტყობა, სხვათა შორის, კაწარეთის ტაძარზედაც, — აი ის საფუძველი, რომელზედაც ემყარებიან დ. ფურცელაძე და, მის შემდგომ, ა. ხახანაშვილიც, აწინდელი კაწარეთის ტაძრის მე-XVI-ე საუკუნეში აშენების დასამტკიცებლად.

ასეთი აზრი მიმართია სრულიად შეუწყნარებელი, ვინაიდან კაწარეთის ტაძარი, როგორც თავისი გეგმით (სამნაფიანი სიონი ანუ ბაზილიკა, სადაც საშუალო ნაფი შედარებით დანარჩენებთან მაღალია, შიგნითი აფსიდითურთ) და აგრეთვე აგებულობით (შიგნით სიპის ქვითა და აგურითა, გარედან თლილის ქვითა) და აგრეთვე ზოგიერთი თავისებური თვისებებით (ნალისებრი კამარები), წარმოადგენს ერთ-ერთ სამაგალითო ნიმუშს იმ ეკლესიათა შორის, რომელთა რიცხვს ეკლესიის ბოლნისის სიონი, ზედაზენი და სხვა და რომელნიც აღშენებულ არიან დაახლოვებით მე-VI—VII-ე საუკუნეში და გადაკეთებულნი მე-IX-ე საუკუნემდე.

ზემოდ ჩვენ უკვე გავიცანით ვახუშტის ცნობას კაწარეთის შესახებ, სადაც მას, სხვათა შორის, მოხსენებული აქვს ეკლესია დიდშენი გუმბათიანი (sic), სამებისა“. ამ სიტყვებიდან ცხადად სჩანს, რომ მას, ვახუშტს, არ უნახავს სამება, თორემ ის არ დაუშვებდა ისეთ შეცდომას, როგორიცაა სიონური ანუ ბაზილიკალური რიგის ეკლესიის გადაქცევა გუმბათიან ეკლესიად, რანაირიც კაწარეთის სამება არას დროს ყოფილა და, როგორც ეტყობა, არც იქნებოდა. მაგრამ უფრო გასაოცარია ის, რომ ამნაირადვე კაწარეთის ტაძარი გუმბათიან ეკლესიად გადაუქცევია იმ დიდად-დამსახურებულ ისტორიკოს-არქეოლოგს, რომელსაც თავისი საკუთარი თვლით ნანახი ჰქონდა ეს ძეგლი: „Храм с куполом, с остатками древних зданий и хозяйственных сооружений еще цел“, — სწერს პ. იოსელიანი ამ ტაძრის შესახებ<sup>25</sup>.

თუ როდის იყო დაარსებული კაწარეთში საეპისკოპოზო საყდარი ანუ კათედრა, — ჯერჯერობით არაა გამოჩვენებული. ამაზე არაფერი სკოდნია ვახუშტსაც, რომელიც მხოლოდ აღნიშნავს, რომ სამებას „ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამას ზეთის ქვეყნისა ერწოდმდე“.

კაწარეთის საეპისკოპოზო საყდარი არაა მოხსენებული ვახტანგ გორგასალის მიერ დაარსებულ კათედრათა სიაში, რომელიც მოთავსებულია ამ ვახტანგის ისტორიკოსის თხზულებაში<sup>26</sup>.

<sup>25</sup>) П. Иоселиани, ц. с. стр. 19.

<sup>26</sup>) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამ. ე. თაყაიშვილისა, 179=ქართლის ცხოვრება, გამ. მ. ბროსესი, 146.

506—507 წ. დვინში მომხდარ სომეხ-ქართველ-სივნიელთა საეკლესიო კრების ოქმებში, სხვათა შორის, მოხსენებულია 24 ქართველი ეპისკოპოსის სახელიც და მათ შორის, ბოდბელ (*Φιλοφίλι*), ფორთელ (*Φορτσα*), ქერემელ (*Σακρმი*), ხუნანელ (*Χουνανσახერ*) ეპისკოპოზებთან ერთად „კაწარელი“-ც (*Κασαίρα*), როგორც სამართლიანად ფიქრობს ს. კაკაბაძე<sup>27</sup>.

მაშასადამე, კაწარეთის სამღვდელმთავრო საყდარი ანუ კათედრა უნდა დაარსებულ ყოფილიყოს ვახტანგ გორგასალის მეფობის შემდგომ — ან მე-V-ე საუკუნის დამლევს ან მე-VI-ე საუკუნის დამდეგს.

„განგება დარბაზობისა“-ში კაწარელს უკავია მე-19-ე ადგილი წილკნელის შემდგომ და ურბნელის წინ<sup>28</sup>. ხოლო მალაქია კათალიკოზის 1673 წლის განჩინებაში აგრეთვე მე-19-ე ადგილი მხოლოდ ნიქოზელის შემდგომ<sup>29</sup>.

1567 წელს კაწარელი კახეთის სხვა მღვდელმთავრებთან ერთად მოხსენებულია ერთ საბუთში, სადაც ისინი ნიკოლოზ კათალიკოზს პირობას აძლევენ, რომ ამიერიდან სარწმუნოების საქმეში არავითარი ურთიერთობა არ ექნებათ იმ პირებთან, რომელნიც განყენებულ იქნებიან ეკლესიიდან<sup>30</sup>.

კაწარელი ანუ სამეგელი მოხსენებულია აგრეთვე პაპუნა ორბელიანის „ისტორია“-ში, იმ ადგილას, სადაც ჩამოთვლილია მცხეთის საკათალიკოზოს იურისდიქციის ქვეშე მყოფი და აღმოსავლეთ საქართველოში არსებული კათედრები დღეთა ანტონ I კათალიკოზისათა<sup>31</sup>.

1722 წელს ღვთაებისადმი მეფის დავით იმამყულიხანის მიერ ბოძებულ გუჯარში „სამეგელი ეპისკოპოზი სამეგით საყმოთ სამწყსოთ“-ი ექვემდებარებოდა რუსთველ მღვდელმთავარს, როგორც „სპასვეტს“, რომლის დროშის ქვეშე ომის დროს შედიოდნენ კახეთის ზოგიერთი მოურავნი, ეპისკოპოზნი და წინამძღვარნი ყმებიო<sup>32</sup>.

როგორც ეტყობა, კაწარეთის ეპარქიას არა ჰქონდა დიდი საზღვრები. მაში შედიოდა ივრის ხეობის ზეითი ნაწილი იმ ადგილების გამონაკლისით, რომელიც ეკუთვნოდა ნინოწმიდელსა და რუსთველ-მარ-

<sup>27</sup>) ს. კაკაბაძე, „საისტორიო მოამბე“ № 1, ტფილისი, 1924. გვ. 50-51.

<sup>28</sup>) А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, в. 3. стр. 295—т. ქორდანი, ქრონიკები, I, გვ. 46—М. Джанашивили, Описание рукописей, III, 257—259.

<sup>29</sup>) Д. Пурцеладзе, Грузинские церковные грамоты (гуджары). стр. 111.

<sup>30</sup>) Ibid., 108.—т. ქორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 191.

<sup>31</sup>) ქართლის ცხოვრება II, 410.

<sup>32</sup>) ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, I, 42—45.

ტოფელს, და მისწვებოდა, როგორც ვახუშტიც მოწმობს, ერთმანეთს<sup>33</sup>.

ერთ დროს, მე XVIII-ე საუკუნეში, კაწარლის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე იოანე ნათლისმცემლის უდაბნოც, რომელიც 1761 წელს, საბა ნინოწმიდელის შუამდგომლობის თანახმად, დაუბრუნდა უკანასკნელს<sup>34</sup>.

გაუქმდა კაწარეთის საეპისკოპოზო 1765 წელს, როდესაც მისი სამწყსო გაიყო ორსავე მებობელ, ე. ი. ნინოწმიდელ და რუსთველ-მარტყოფელ, მღვდელმთავართა შორის. ეს მტკიცდება მეფის ირაკლი მეორისა და ანტონ I კათალიკოზის საგანგებო გუჯრით, რომელიც გამოცემულია ა. ხახანაშვილის მიერ<sup>35</sup>, და აგრეთვე ბესარიონ კათალიკოზის 1766 წლის განჩინებით<sup>36</sup>.

ამასთანავე ერთად საინტერესოა 1798 წლის გიორგი მეფის გუჯარი, რომლის ძალითაც კაწარეთის მონასტერი ჩაჰბარდა ნათლისმცემლის უდაბნოს ბერებთა ზედმხედველობას<sup>37</sup>.

კაწარელი სხვა-და-სხვა ეპისკოპოზებისა და წინამძღვრების სახელგებო ბი ხშირად იხსენიება უკანასკნელ საუკუნეების სიგელ-გუჯრებში, რომელნიც გამოცემულნი არიან სხვა-და-სხვა პირთ მიერ<sup>38</sup>.

მათ შორის ბევრი განთქმულია თავისი თვალსაჩინო მოღვაწეობით<sup>39</sup>, უმეტესად კი იაკობი, რომელიც როგორც ლიტერატორი იხსენიება აგრეთვე „არჩილიანში“<sup>40</sup> და „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“-ში<sup>41</sup>, და იოსები, ქართული სტამბის მომწყობი მოსკოვში<sup>42</sup>.

<sup>33</sup>) Д. Пурцеладзе, ц. с., 30.

<sup>34</sup>) Ibid., 83.

<sup>35</sup>) ალ. ხახანაშვილი, გუჯრები, 36—37.

<sup>36</sup>) Д. Пурцеладзе, ц. с., 29—30.

<sup>37</sup>) თ. ჟორდანიას, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 170—171.

<sup>38</sup>) Д. Пурцеладзе, ц. с, стр. 74, 79—85, 108; ალ. ხახანაშვილი, გუჯრები, 36—37; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 455 etc. მისივე—ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 18, 22, 32—36, 44—45, 170—171, 191, და მრავალი სხვა.

<sup>39</sup>) П. Носелиани, ц. с., 20; Д. Бакрадзе, ц. с., 128; Д. Пурцеладзе, ц. с.; А. Хаханов, ц. с., стр. 38—39.

<sup>40</sup>) ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა (გაბ. პ. იოსელიანისა), გვ. 181. = Е. Такайшвили, Описание рукописей, II, 241.

<sup>41</sup>) ძველი საქართველო, ტ. I, განყ. III, გვ. 23.

<sup>42</sup>) თ. ჟორდანიას, მთავარ-ეპისკოპოზი იოსებ სამეგელი და ქართულას სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში, — გაზ. „ივერია“ 1884 წ. № II, გვ. 31—56, და III, გვ. 61—93; შდრ. И. Джашин, ц. с., ц. м.

კაწარეთის ანუ სამების ადგილას ამ ჟამად არც სოფელია, არც რაიმე მოსახლეობა. ხშირი ტყით შემოფარგლულ მინდორზე დგა, მაღალი გალავნით შემორტყმული, სამების მონასტერი, შემდგარი სიონური ანუ ბაზილიკალური რიგის უგუშბათო დიდებული ეკლესიისა, მაღალი კოშკისა და ერთ და ორსართულიანი სასახლეებისაგან.

\*  
\* \*

სულ ყველაზე საინტერესოა სავისკოპოზო ტაძარი, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ, თავდაპირველად უნდა დაარსებულ იყოს მე-V—VI-ე საუკუნეში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 506—507 წლებისა. აწინდელი შენობა კი უნდა აკეთებულ და განდიდებულ იყოს მე-VII—IX-ე საუკუნეთა განმავლობაში, ხოლო შემდგომი რამოდენიმე ჯერ განახლებული და გადაკეთებული. რაფერ და როდის, — ამის შესახებ, სამწუხაროდ, არავითარი ცნობა არა გვაქვს. ჩვენ მხოლოდ მოგვეგზოვება ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ის უნდა შემკობილ ყოფილიყო მე-XVI-ე საუკუნის დასაწყისში. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ შედგეში რუს ქორონიკონს ანუ 1510 წელს ქვეშე გაკვრით ნათქვამია, რომ კახთა მეფემ „ალექსანდრემ და დედამან მათმან ბაგრატიონმან დედოფალმან ნესტან-დარეჯან... ეოველივე სავისკოპოზო ეკლესიანი კახეთისანი შეამკვნა და შესწირნა ყოველივე საეკლესიო სამკაულნი“<sup>43</sup>. ვინაიდან კაწარეთი წარმოადგენდა ერთ-ერთ სავისკოპოზოს იმ დროინდელ კახეთის სამღვდელმთავრო საყდრებს შორის (ალავერდი, ნეკრესი, ბოდბე, ქერემი, ნინოწმიდა, კაწარეთი, რუსთავ-მარტყოფი), უნდა ვითქვოდეთ, რომ ისიც აუცილებლად განახლებული და შემკობილი იქნებოდა ხსენებული ალექსანდრე მეფის მიერ.

ტაძარი შემდგვი ზომისაა: სიგრძე 10 სავ. 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> არშინი, სიგანე და სიმაღლე 5 სავენი. შესდგება 3 ნაწილისაგან (ნაწი), რომელთაგან საშუალო შედარებით დანარჩენებთან წაწეულია ზეით. განაპარებიც ერთმანეთთან თანაბარი არ არიან: შიგნით ისინი ერთ და იმავე სიმაღლისა არიან, გარედამ კი სამხრეთისა უფრო მაღალია, ვიდრე ჩრდილოეთისა. თალი ემყარება 4 წყვილ სვეტზე, რომელთაგან თითოს აქვს სიგრძით 2, სიგანით 1 არშინი; მანძილი კი სვეტებს შორის 3 არშინია. საკურთხეველი შიგნით მორგვლოა უბემოთ, სამკვეთელო და სადიაკონო (სალარო) ოთხკუთხედი. საკურთხევლის შუაში დგა ქვის ტრაპეზი, კანკელი ახალი დროისაა და წამოწეული წინ—პირველი წყვილის სვეტებამდე. რომელთა დასავლეთის მხარეს თითო-თითო საღვინოებელია გამოყვანილი. მათ პირის-პირ კი, მეორე წყვილის სვეტებში, აღმოსავლეთის წახნაგში, გამოყვანილია თითო-თითო საჯდომი ჩვეულებისამებრ.

<sup>43</sup>) ქართლის ცხოვრება II, 266.



მარჯვნივ — მღვდელმთავრისათვის, ხოლო მარცხნივ — ერისთავისათვის<sup>44</sup>. გარედან, სამხრეთით, ტაძარს მიშენებული აქვს კარიბჭე, რომელიც უკანასკნელ დროსაა განახლებული აგურით. ტაძარს აქვს 2 შესავალი: დასავლეთით და სამხრეთით (კარიბჭეზე). ორივეზე გამოყვანილია ნალისებრი თაღები. ნალისებრია აგრეთვე საკურთხეველის კონქის კამარასები და აგრეთვე სივრცენი სვეტებს: შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის ანუ დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. იმავე სვეტებს შორის არსებული კამარები ჩრდილოეთ-სამხრეთისაკენ ჩვეულებრივი, მრგვალი, ფორმისაა. როგორც ეტყობა, ტაძარს კარი ჰქონია აგრეთვე ჩრდილოეთის მხრიდან. მაგრამ ეს კარი ამჟამად ამოშენებულია. საინტერესოა, რომ აქ ყოფილ კარების ორივე მხარეს მიშენებულია ნახევარსვეტები; ჩრდილოეთის რიგის მე-2-ე (საკურთხეველიდან) სვეტი კი აღმოსავლეთის ნაწილში იმდენადაა გაგანიერებული, რომ მის და ყოფილ კარების მარჯვნივ მიშენებულ ნახევარსვეტს შორის რჩება პატარა გასავალი. თვით სვეტსაც ამ ადგილას უცნაური ფორმა აქვს: თითქოს მოპრგვალო იყოს და საკურთხეველის აფხიდას მიემგავსებოდეს და ისეთივე მოყვანილობისა. თუ ამასთანავე ერთად მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ტაძრის ჩრდილოეთის ნავს, სწორედ ამ ადგილას, ე. ი. შუაში, გამოყვანილი აქვს შიგნითი გუმბათი, ისე როგორც ჩვენ გვხვდება გარესჯის „მრავალმთის“ დოჯო-რქისა და ჯავახეთის სამსარის გამოქვაბულ მონასტრების ეკლესიებში, ჩვენ აუცილებლად მივალთ შემდეგ დასკვნამდე: თავდაპირველად ტაძარს ჰქონია 3 შესავალი, ე. ი. დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით; შემდეგში, ერთ-ერთ რესტავრაციის დროს, როდესაც ტაძარი გარედან დაუმშენებიათ თლალის ქვით, ჩრდილოეთის შესავალი ამოშენებიათ, და მის წინ, ჩრდილოეთის ნავში, შესაფერისად მომხდარ რეკონსტრუქციის საშუალებით გამოუყვანიათ პატარა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შიგნითი ანუ შიდა ეკლესია, რომელიც შემდეგში კვლავ მომხდარ რესტავრაციის დროს უკვე გაუუქმებიათ. შესაძლებელია, რომ ამ პატარა ეკლესიას შესავალი ჰქონოდა მხოლოდ დასავლეთით და სამხრეთით; ჩრდილოეთიდან კარი ამოშენებული იქნებოდა ისე, როგორც აღმოსავლეთიდან ყრუ კედელი. ნახევარსვეტსა და ჩრდილოეთის რიგის მე-2-ე სვეტს შორის.

ტაძარს აქვს საკმაოდ სარკმელები: აღმოსავლეთით — 3 ქვემოდ და 1 ზემოდ, სულ 4, რომელნიც ასიმეტრიულად არიან მოწყობილი, ვინაიდან ერთი მათგანი, პატარა, სამხრეთის ნავისაა, ერთი დიდი საშუალოსი, და ორი (ერთი მეორეზე) ჩრდილოეთის ნავისა. გარდა

<sup>44</sup>) სომეხთა ეკლესიაში სამღვდელმთავრო საჯდომი მარცხნივ არის (საკურთხეველიდან მარჯვნივ).

აქისა, საშუალო ნავის სარკმელი ცოტად წამოწეულია ჩრდილოეთისკენ. ცხადად ეტყობა, რომ ეს სარკმელები, გარდა ჩრდილოეთის ნავის ზეითი სარკმელისა, შემდეგ დროსაა გაგანიერებული, მხოლოდ ერთი თავისებურობით: იმ დროს, როდესაც სამხრეთისა და ჩრდილოეთის სარკმელები გაუგანიერებიათ თანაბრად ყოფილ სარკმლის ორივე მხარეს, შუა სარკმელი გაუგანიერებიათ მხოლოდ ჩრდილოეთისკენ, და ამით აიხსნება, რომ ეს უკანასკნელი დანარჩენებთან შედარებით ასიმეტრიულად არის მოწყობილი. დასავლეთის მხარეს 3 სარკმელია, სამივე მალლად, თითო-თითო თვითოეულ ნავისათვის. სამხრეთის მხარეს შუა ნავზე გარედამ სარკმელები არ ემჩნევა, ვინაიდან ისინი მოყოლებული არიან ზეით წაწეულ ნავს უკან (შიგნით ეს სარკმელები კარგად სჩანან), გარე ნავს კი აქვს 4 სარკმელი: ორ-ორი კარიბჭის მარცხნივ და მარჯვნივ; ყველა ესენი დაბლა არიან, გარდა ერთისა— სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან, რომელიც იმავე სიმაღლეზეა, როგორც დასავლეთის სარკმელები. გარდა ამისა, კარიბჭეს აქვს 1 სარკმელი კარების თავზე. ჩრდილოეთის მხარეს შუა ნავზე 4 სარკმელია, გარე ნავზე კი 1, ისიც ყოფილი კარების თავზე. საინტერესოა, რომ შუა ნავის სარკმელები იმდენად დაბლა არიან გამოყვანილი, რომ თითქმის გარე ნავის სახურავს მისწვდებოდნენ. ყველა კარებსა და სარკმელს გარშემო დართული აქვს გამოქანდაგებული ჩარჩო (наличники). შიგნით ტაძარი საკმაოდ ბნელია, იმდენად ბნელი, რომ კედლის მხატვრობა ძნელად ირჩევა.

თვით კედლის მხატვრობა ძალიან დაზიანებულია და ძნელად ირჩევა, გარდა საკურობხელოს აფსიდისა, სადაც კონქში წარმოდგენილია ღვთისმშობელი მიქაელ და გაბრიელ მთაფარანგელოზებითურთ და სლავური წარწერებით. რაკი ეს მხატვრობა თავისი ტენიკით ბერძნულ-რუსული სკოლისაა, შეიძლება მიეკუთვნოს არა უადრეს მე-XVI—XVII-ე საუკუნისა<sup>45</sup>.

საფრესკო წარწერების გარდა, ტაძარს არც გარედან და არც შიგნიდან არავითარი წარწერა არა აქვს. თუ ორიოდ შემთხვევითი ხასიათის ჩუქურთმას არ მივიღებთ მხედველობაში, მას აგრეთვე არა აქვს გარედან რაიმე შემკულობა. ყურადღებას იქცევს მხოლოდ ერთადერთი უზარმაზარი ჯვარი, რომელიც მოთავსებულია აღმოსავლეთის კედლის შუა სარკმლის ზევიდან. ეს ჯვარი აღნიშნული აქვს ილ. ჯ ა შ ს ა ც, მაგრამ ის შეცდომით მიაკუთვნის დასავლეთ მხარეს: „В запад-

<sup>45</sup>) ამ მხატვრობის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ძველი მხატვრობა გარეკახეთში, — „ჩვენი მეცნიერება“ № 9—10 (1924 წ.), გვ. 57—63.

ნუი სტენუ (sic) ვსტავლენ კამენნიი კრესტ გრომადნიხ რაზმეროვ“, — სწერს ის<sup>46</sup>, იმ დროს, როდესაც უნდა დაეწერა: „в восточную стену“.

ტაძარი, როგორც მოწმობენ ალ. ხახანაშვილი და ილ. ჯაში, უკანასკნელად განახლებულია 1885 წელს პალადი ექსარხო-სის დროს.

ამიტომ ფრიად საინტერესოა მოვისმინოთ ამ ტაძრის ის აღწერა, რომელიც წარმოდგენილია ალ. მურავეოვის მიერ 37 წლით წინ პალადის განახლებამდე.

აი ეს აღწერა (მომყავს ახალი ორთოგრაფიით):

„Величественно здание храма, складенного из дикого камня; во-семь столбов поддерживают его высокие своды; оно носит отпечаток лучших времен Грузинской церкви; стенная живопись местами сохра-нилась. Два ближайшие к алтарю столба служили опорой для ико-ностаса; в них есть еще места для икон, в роде кивотов с разными украшениями; напротив, в двух других столбах, иссечены места для Епископа и Князя...; в самом престоле выдолблено место для хране-ния ладана. С правой стороны алтаря существовал придел, с левой отдельный жертвенник“<sup>47</sup>.

ამვე ტაძრის მხატვრობაზე 1875 წელს დ. ბაკრაძე სწერდა:

„[Храм] довольно велик и росписан внутри. В числе фресков его я в 1874 г. видел в алтарной части два фреска архангелов, довольно свежие, нарисованные, как видно, русским живописцем, ибо под ними легко читаются слова славянским алфавитом: „Михаил и Гавриил“. Вероятно, это работа одного из тех русских живописцев, которые в исходе XVI и в начале XVII в. были присылаемы из России по просьбе грузинских царей“<sup>48</sup>.

ტაძარი განახლებულია 1885 წელს, პალადი ექსარხო-სის ნებართ-ვით, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს ყოფილ წინამძღვრის, მაკარი არქიმანდრიტის მიერ, როგორც ალ. ჯაში მოწმობს, შემდეგის სა-ხით: შემოდებულია ახალი კანკელი, მოკვარებულია სამხრეთის კედლის შენებულობა, სალაროს ზევიდან აგებულია საგუბარი (перемычки), გა-კეთებულია 3 დიდი ახალი სარკმელი და 13 პატარა, რომელთაგან პირველნი რკინის მოაჯირით, უკანასკნელნი კი უიმისოდ; გაკეთებუ-ლია ორი კარი, საბურავი დაფარულია კრამიტით, ხოლო მისგან ჩაპო-ლებულია ქვის ლოდები<sup>49</sup>.

<sup>46</sup>) Ил. Джаши, ц. с., стр. 5.

<sup>47</sup>) А. Муравьев, ц. с. I, стр. 204—205.

<sup>48</sup>) Д. Бакрадзе, ц. с., стр. 128.

<sup>49</sup>) Ил. Джаши, ц. с., стр. 6.

ამ ტაძარში უნდა ნოიპოვებოდეს საფლავები სამეხელ მღვდელ-შთაკართა და ზოგიერთი, იმ დროისთვის თვალსაჩინო, პირებისა, როგორც, მაგალითად, ბაადურ ჩოლაყაშვილის ძმისა, რომლის დაკრძალვისათვის ამ ტაძარში იოსებ სამეხელს 1716 წელს მიუცია შესაფერი ნებართვა<sup>50</sup>.

\* \* \*

ტაძრის გალავანში სხვა შენობათა შორის საინტერესოა სამსართულიანი კოშკი, რომელიც აგებულია შესავალ ალაყაფთან და ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით.

შედარებით საინტერესოა სასახლე, შემდგარი ორ სართულისაგან, რომლის განახლებაც მოეწადინა 1885 წელს დიმიტრი სქემონაზონს, მაგრამ რაღაც უცნობი მიზეზის გამო ვერ განახორციელა თავისი განზრახვა<sup>51</sup>. ეს ალბათ საეპისკოპოზო სადგომი უნდა ყოფილიყო. მასში განსაკუთრებით საინტერესოა შუა ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ოთხსართულიან კოშკს, სადაც პირველში უბრალო სენაკია, მეორეში თალიანი დარბაზი ბუხარით (2 კარებით და 5 სარკმელით), მესამეში ორნაწილელი სენაკი, ხოლო მეოთხეში (მესამე სართულის ერთ ნაწილზე აღმართებული) საყარაულო. ამ კოშკის მარცხნივ მეორე სართულში ეტყობა დიდი დარბაზი. სასახლეს ტაძრის მხრიდან კიბე აქვს მეორე სართულამდე ასასვლელი.

### დ ა ს ქ ვ ნ ა .

1) კაწარეთი, ისევე, როგორც საშმიც, ორია: ერთი — გარეკახეთში (ტფილისის მაზრა), ხოლო მეორე ჰერეთში (ყაზახ-განჯის რაიონი); პირველი ცნობილია მხოლოდ ქართული წყაროებიდან, მეორე კი სომეხ მემატრიანეთა კირიაკე განძაკელის (XIII ს.)<sup>1</sup> და ზაქარია დიაკონის (XVII ს.) ნაწარმოებთაგან.

2) კაწარეთი, რომელიც ცნობილია ქართლის მოქცევის ისტორიიდან, როგორც ადგილი, სადაც წმ. ნინომ პირველად მონათლა კხოველნი და სუჯნი, მერმინდელი დროის ქართულ საისტორიო წყაროებში საერთოდ სწანს უფრო „სამების“, ვიდრე „კაწარეთის“ სახელწოდების ქვეშე.

3) კაწარეთ სამების ჰეპისკოპოზო საყდარი ანუ კათედრა, რომლის საქეთმპყრობელს საქართველოს დიდების ხანაში ეკავა მე-19-ე ადგილი ქართველ საეკლესიო იერარქიაში, დაარსებული უნდა იყოს

<sup>50</sup>) Д. Пурцеладзе. Грузинские церковные грамоты, стр. 81.

<sup>51</sup>) И. л. Джаши, ibid.



მე-V-ე საუკუნის დამლევს ანუ მე-VI-ე საუკუნის დამდეგს, ყოველ შემთხვევაში კი არა უგვიანეს 506—507 წლებისა, ე. ი. დვინში მომხდარ საეკლესიო კრებისა.

4) კაწარეთ-სამების ტაძარი, რომელსაც მოულწევეა ჩვენამდე, უნდა აგებულიყოს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების განვითარების მეორე პერიოდში, ე. ი. დაახლოებით მე-VII—IX-ე საუკუნეებში, და შემდეგში რამოდენიმე ჯერ გადაკეთებული და განახლებული, მაგალითად: 1) მე-X—XII-ე საუკუნეში, როდესაც ის გარედან შეუმკიათ თლილის ქვით, 2) მე-XVI—XVII-ე საუკუნეში, როდესაც ის მოუხატავთ შიგნით, და 3) უკანასკნელად 1885 წელს, პალატი ექსარხოვის დროს, როდესაც შეუკეთებიათ დაზიანებული ადგილები და გაუგანიერებიათ აღმოსავლეთის სარკმელები. და

5) ეს ტაძარი თავისი კონსტრუქციით წარმოადგენს სამნავიან სიონს ანუ ბაზილიკას და ახლოს უდგება ბოლნისის სიონის, ზედაზენის და სხვა ასეთსავე ეკლესიებს, რომელნიც აგებულნი და განვითარებულნი არიან მე-VI—IX-ე საუკუნეებში.

სარგის ვაკაბაძე.

## მასალები მსაჯულის იესე ოსეს ძის შესახებ.

მსაჯულს იესეს, რომლის მიერ მისივე შვილებისადმი ანდერძის სახით აღწერილმა თავგადასავალმა ჩვენამდის მოაღწია (ავტოგრაფი, მოპოვებული ჩვენ მიერ, ტექსტი დაბეჭდილი 1913 წ.—თავგადასავალი იესე ოსეს ძისა), უჭირავს ქართლ-კახეთის ცხოვრების ზედაპირზე მე-1760—1780 წლებში საკმაოდ თვალსაჩინო როლი. ის იყო, როგორც უკვე ნაჩვენებია (ს. ვაკაბ., საქართვე. ისტ., ახ. საუკ. ტფ. 1921 წ.), მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალურ წრეებს გარეშე გამოსული მაღალი მოხელე, რომელიც ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა, საკმაოდ პასუხსაგებ როლს ასრულებდა. იესეს პიროვნება როგორც მოხელესი განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, თუ როგორ დაბადებით სასულიერო წოდების წევრი, ტფილისის სიონის დეკანოზის შვილი და ტფილისის მემკვიდრეობითი ყმა, მაღალ თანამდებობაზე მიღწევისას თითონ განიცადის, ასე ვსთქვათ, სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრების ფეოდალიზაციის ზედგავლენას, ხდება მსხვილი მემამულე და თავადი—თავისი შვილებისათვის გვარის შეცვლითაც.

იესეს ბიოგრაფიისა და აგრეთვე მისი საზოგადოებრივ როლის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს იმ საბუთებს, რომელნიც გადაწერილად შეტანილი არიან საბუთების კოპიების 1820 წელს შესრულებულ წიგნში № 20. ეს წიგნი, ასეთ წიგნების ეხლა არსებულ მთელ კოლექციასთან ერთად (სულ 56 წიგნი), დაცულია ცენტრარქივში.

საბუთების პირები, რომელიც ეხება იესეს უმთავრესად ნიეთიერ მდგომარეობას, წარმოადგენს მის, ასე ვთქვათ, საოჯახო დოკუმენტების კოპიებს. საბუთები წარდგენილი ყოფილა საქართველოს უზენაეს სამართველოს სასამართლო ექსპედიციაში 1820 წელს მსაჯულის შვილის დავით ბარათოვის მიერ. ასლი საბუთები დაუბრუნდა პატრონს, რის შესახებ საბუთის ყოველ პირის შემდეგ მოიპოვება პატრონის საკუთარი ხელის მოწერა: „დოკუმენტი მივიღე თა' მსაჯულის შვილი დავით ბარათოვი“.

აქ წარმოდგენილი საბუთები არის მრავალმხრივ საინტერესო. უპირველეს ყოვლისა აქ მოიპოვება დამატებითი და ფრიალ საყურადღებო ცნობები თვით იესე მსაჯულის შესახებ, ცნობები, რომელთაც მარტო

ბიოგრაფიული მნიშვნელობა არა აქვთ. სესეს ბიოგრაფიას ეს საბუთები ავსებენ ერთ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობით. სახელდობრ 1801 წელს მსაჯულიშვილის ზაზა ბარათაშვილისა და მოლარეთხუცესის ზაზა სოლალაშვილის დავის შესახებ შედგენილ განჩინებიდან სჩანს, რომ იესე მსაჯული მომკვდარა 1794 წ. საბუთში ზაზა იესეს ძის სიტყვით მოთხრობილია, რომ რაც ვარსიმაშვილები და ირემაშვილი ბარბალოს დავაყენეთ, ამის შემდეგ იესე კიდევ 15 წელიწადი იყო ცოცხალიო, ხოლო თავგადასავალი ბარბალოში იესეს მიერ გლეხების დაყენებას 1779 წ. მარტისათვის მოგვითხრობს (თავგადასავ., ს. კაკაბ. გამოცემა, 118). იესეს სიკვდილი მაშასადამე 1794 წელს მოდს. ამ დროს ის უკვე 66 წლის იქნებოდა. თავგადასავალი, როგორც ცნობილია, მოყვანილია 1786 წლამდის, ამ წელს იესე წავიდა ერევანს იქ გარდახვეწილ თავისი შვილის ოსეს მოსაყვანად. ოსეს ბედი არა სჩანს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ქვემოლ დაბეჭდილ 1796 წლის საბუთში იესეს შვილებს შორის ოსე არ იხსენიება. იესე ყოველს შემთხვევაში უკან დაბრუნებულა და ამის შემდეგ კიდევ უცოცხლია რამდენიმე წელიწადს.

იესე დაბადებით გვარით მიქაძე იყო (თავგადასავ., ს. კაკაბ. გამ., გვ. I), როგორც ეს ცხადად სჩანს ანტონ II კათალიკოზის მიერ იესეს ძმისშვილის, ღვკანოზის სოლომონ, იოანეს ძე მიქაძესადმი 1810 წელს მიცემულ საბუთიდან (საქ. სიძვ. II, 547). საყურადღებოა, რომ მიქაძეები საეკლესიო ყმები ყოფილან ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში და ამაზე უწინარესაც. საბუთების კოპიების შემცველ მე-13 წიგნში დაცულია პირი (№ 97) ერთი საბუთისა, რომელიც 1820 წ. წარუდგენია სამართლის ექსპედიციაში „ნადვორნი სოვეტნიკს თავად მიხეილ ფალოვანდოვს“. საბუთის პირი იკითხვის შემდეგ ნაირად.

ესე განაჩენი განუახლოეთ ჩვენ მეფედ მეფემან ლუარსაბ, ამას ზიდა რომელ ჯვარის მტვირთველნი კარის ჩვენისა შეისარჩლენ მიქაძე ამბროსი და თორელი ქაბულ. თორელმა იჩივლა, ბოლნისთა სახასადრო და მემლობის სარგო საერთო არისო. ამაზე მიქაძემ ძველთა მეფეთა სიგელნი წარმოადგინა, რომელ საკუთარი მისი იყო. აგრევე დიდმა მნათობმა კათალიკოსმა ზებედემ უწამა გუჯართა განჩევით და გამოძიებით. ამისთვის ჩვენც ესრეთ დაუმტკაცეთ ყოველი საჯვარის მტვირთველო სარგო საერთოდ ეფვასთ და ბოლნისთა ათეული საკუთრად მიქაძე ამბროსი დეკანოზისათვის დაგვიც. რადგან ძველადვე ესრედ განწესებულა, ჩვენც აგრევე დაგვიმტკიცებია და ეგრედმცა ჰგიან უცვალეხელად ყოველთა შემდგომთა მეფეთა და მებატრონეთაგან. დამტკიცდა აპროლის ვქკს სმვ (ადგილი ბეჭდისა).

ამ საბუთიდან ცხადად სჩანს, რომ მიქაძეებს მე-16 საუკუნეში და ამაზე უწინარესაც მეფის ჯვარისმტვირთველობა ჰქონდათ მიკუთვნებული. მე-17—18 საუკუნეში კი ისინი უკვე ცხადად ტფილისის სიონთან არიან დაკავშირებულნი. იესეს მამა და პაპა გარკვევით ცნობილნი არიან, საბუთების მიხედვით, როგორც სიონის დეკანოზნი.

ასე, საბ. 1687 და 1712 წ. მოხსენებულია იესე სიონის დეკანოზი (საქ. სიძ. II, 144, 244). ტფილისის სიონის საბუთებში № 265 (ს. კაკაბ., ისტ. საბ. IV, 69) და № 125, რომელთაგან უკანასკნელის ტექსტი ჯერ დაბეჭდილი არაა, მოხსენებულია ტოთ და ტყე ქორნიკონს იესე დეკანოზი. ამ იესეს შვილი იყო ოსე, იესე მსაჯულის მამა. ოსე დეკანოზის შვილად იხსენიება იმავე ტფილისის სიონის საბუთების ტექსტში 1736 და 1749 წელს (ს. კაკაბ., ისტორ. საბ. V, 70—71). ოსე იყო მღვდელი და ტფილელის სახლთ-ხუცესი (თავგადასავ., 5—6). იესეს ყოველი ორი შვილი—იესე მსაჯული და იოანე დეკანოზი. რადგანაც იესე ერისკაცი გახდა, ამიტომ ტფილელის სახლთ-ხუცესობა შემდეგ იოანეს ხელში მოყვა. 1771 წ. იხსენიება ტფილისის სიონის ჯერ დაუბეჭდავ საბუთში დიაკონი სახლთ-ხუცესი იოანე. შემდეგ ეს იოანე, ცნობილი თავისი განსწავლულობით, ხდება დეკანოზი. იოანემ „ჰქმნა რაოდენიმე წერილი სასწავებად ყრპათა“ (მცირე უწყება ქართვ. მწერალთათვის—ძვ. საქართ. I, 32). ეს იოანე ფილიპე მღვდელის და გაიოზ არქიმანდრიტის შემდეგ იყო ტფილისის სემინარიის რექტორად (ვახტანგ ბატონიშვილ.—ისტორიები ალწერა, 33).

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ იესეს ოჯახს განდიდებათან ერთად და თავადობის სისხლის დინების უფლების მიღებასთან ერთად გამოუცვლია თავისი გვარიც. მისი შვილები იწოდებოდნენ ერეკლე II-ის მიერ იესესთვის დამტკიცებულ უფლების მიხედვით ბარათაშვილებად. უფროსი შვილი იესესი—ოსე გახდა კიდევ, ალბად ზედსიძობის წყალობით, ფალავანდიშვილის ოჯახის წევრი და ამისი შვილები, როგორც საგულისხმებელია, უკვე თავად ფალავანდიშვილებად იწოდებოდნენ.

იესეს ბიოგრაფია საინტერესოა იმიტომაც, რომ ცხადად ადასტურებს მე-18 საუკუნეშიც ქართლ-კახეთში არსებულ წესს სხვის საგვარეულოზე „დასმის“ შესახებ გვარის სახელის მიკუთვნებით. თავად დასავალი გადმოგვცემს, რომ 1764 წ. ერეკლე II-მ იესეს დაუშვიდრა სოლოლაშვილის და ბარათაშვილებისაგან ნასყიდი მამულები და „სისხლიც მათი გდიოდეს“-ო (თავგადას., 58). ეს სწორედ უნდა იყოს თავადობის ის წიგნი, რომელიც იგულისხმებოდა 1776 წ. იესეს შესახებ მიცემულ მეფის წყრომის განაჩენში (თავგად., 98) საყურადღებო ის არის, რომ „სისხლის დენას“ და თავადობის მიღებას გვარის გამოცვლაც მოყოლია. ორი გვარისაგან (სოლოლაშვილისა და



ბარათაშვილისაგან) იესეს თავისი ოჯახისთვის ბარათაშვილობა აურ-ჩევია. იესე თითონ ამ გვარის მატარებლად ჯერჯერობით საბუთებში ცნობილი არ არის, ქვემოთ დაბეჭდილი მასალები კი ცხად ყოფენ მისი შვილების (ყოველს შემთხვევაში ზაზას და დავითის) ბარათაშვილობას. მე-18 საუკუნის ქართლ-კახეთის შინაურ წყობილების ნორმების გასაგებად ამ ფაქტის დადასტურებას აქვს თავისი მნიშვნელობა.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ მე-19 საუკუნის პირველ მესამედში კარგად არიან ცნობილი მიქაძისავე გვარის თავადი ფალავანდიშვილები. 1820 წ., როგორც მოვიხსენიეთ, ცნობილია ნადვ. სოვეტნიკი თავადი მიხეილ ფალავანდოვი, ფალავანდიშვილების საბუთების წარმდგენელი სამართლის ექსპედიციაში. ქვემოთ დაბეჭდილ გელათის არქიმანდრიტის ზაქარაძე მიწერ-მოწერაში იმერეთ დედოფალ ანნასთან მოხსენებულა (წერ. მე-7) „მისი ბრწყინვალემა მიქაძე ფალავანდოვი მიხაილ იოსებინი“. ამ მიხეილის ძმები იყვნენ ნიკოლოზი (1832 წლის ცნობილ შეთქმულობის დროს ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორად მყოფი), ზებედე, იესე (ამან გასცა 1832 წლის შეთქმულობა რუსეთის წინააღმდეგ). ამათი მამა—იოსებ—ფალავანდიშვილების გენეალოგიურ ტაბულაში (A Xaxanov, Груз. двор. Акты. ტაბ. 6) ცნობილია როგორც გიორგი ფალავანდიშვილის შვილი. იოსები უნდა იყოს, ჩემს აზრით, იესე მსაჯულის შვილი ოსე, რომელიც ალბად გიორგი ფალავანდიშვილის ზედსიძობით გამხდარა ფალავანდიშვილების გვარის მატარებელი ჯერ კიდევ მეფეების დროს.

იესეს საბუთები ყურადღებას იპყრობენ თავისი გარკვეული შინაარსიანობით და იურიდიულ მხარეების ამოწურვის მიდრეკილებით. ამ მხრივ საბუთები რამოდენადმე დამაბასიათებელია იესესთვის, რომელსაც საერთოდ დამსახურებული ჰქონდა საქმიანი კაცის რეპუტაცია. იესე თავისი დროისთვის განათლებულ კაცად ითვლებოდა. „მცირე უწყება ქართვ. მწერალთათვის“ ამბობს მის შესახებ, რომ ის იყო „სწავლული კაცი და ქართულსა შინა ისტორიასა გამოცდილი და ზედმიწევნით მეცადინე, ამას უცხო მადლი აქონდა მწერლობისა (დამწერლობისა) და ჰქმნა ქართველთა ზნეთა სწავლულებისა წიგნი, იყო კარგი პიტიკოსი და ზრდილობასა შინა მოსაწონი“ (ძვ. საქართვ. № 44). იესე მართლაც კარგი მდივანი იყო, თავისი კარიერაც ამ მდივნობით გააყვითა და ამიტომ ნასყიდობის საბუთებიც მას ყოველგვარ მოსალოდნელ გაუგებრობის წინასწარ გათვალისწინებით აქვს შედგენილი. ფრიად საყურადღებოა ყმობის წიგნი, 1774 წ. მიცემული იესესადმი ქურდრუგანისშვილის მიერ. საბუთი ამტკიცებს, რომ მე-18 საუკუნეში ქართლ-კახეთში გლეხს შეეძლო თავი დაეხსნა ბატონისაგან, გამხდარიყო აზატი.

მოგვეყვას საბუთები ქრონოლოგიურად დალაგებით.

1740 წ. ოსეს ნასყიდობის წიგნი, ყაფლან, ზაალ, ბერი დი გიორგი ყაფლანიშვილების მიერ მიცემული (№ 43).

სახელითა სახიერისა არსებით დაუსაბამოსა და დაუსრულებელისა ღთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ ყაფლანის შვილის დიმიტრის შვილმან უზბაშმა ყაფლან, ძმამა ჩემმან ზაალ, ბერჩა და გიორგიმ შენ, სიონის დეკანოზის შვილს ოსეს, შვილსა შენსა იესეს და მომავალთა სახლისა შენისათა, ასე რომე მამისდაბა ჩვენი ნასყიდი იყო, სოლალაშვილის ბებურისა და მისის ძმის სულხანისაგან მოსყიდული. ახლა დაგვეჭირა და შენ მოგეციდეთ და მათი სიკელიც შენ მოგეცით ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა, შალაბარაშვილები ბეკომლენი და სხვანი თუ სადმე აყრილი გლესი გამოჩნდეს ყოველნივე მათის მამულით, მითთა, ბართა, ტყითა, სათიბითა და უთიბითა, ერთი მიდგმა ღოლოვანმდღს, ბოლოს მიდგმა გარყოლას (sic) და ზეთ<sup>1</sup> მიდგმა წვერულას სამზღრამდის, ყოველივე შენთვის უცილებლად მოგეციდნია. ავიდეთ შენგან ფასი სრული და უნაკლული, რითაც ჩვენი გული შეგვეჯერდებოდა. არა დარჩა რა შენზედა არცა ერთის იოტის ფასი. არავინ იყოს მცილვე და მოდავე, არა ბატონი, არა ყმა, არა ჩვენის სახლის კაცი და ჩვენი მომავალი, არა რომელი სოლალაშვილი და თუ ვინმე წამოგედლოს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ და თუ ვინმე შძლავრობით ინებოს შლად ამისად, რისხავს ღთი და ყოველნი მისნი წმინდანი. არიან ამისნი მოწმენი თავად ღთი, კაცთაგან საამის შვილი ბოქ(ა)ულთ ხუცესი საამ (ადგილი ბუჭდისა), საამის შვილი ელიშერ, ჩემი ყმა დალაქი ოთარა (ჯვანა), სუნბატის შვილი არდ(ა)ზიანი (ადგილი ბუჭდისა), ყაითმაზა შვილი ხოსროვა (ჯვანა). მეამირანს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა აგვისტოს კა ქკს უკც (ადგილი ბუჭდისა).

მე ზაალ ყაფლანის შვილს ამ ყაფლანის სიგლის ყაბული გვაქვს, ეს ჩემი ხელით დამიწერია.

ჩვენ ტფილელი ათანასი ამისი მოწამე ვარ (ადგილი ბუჭდისა).

მე ნამანგლელავი შვილი გურგენა ამისი მოწამე ვარ (ადგილი ბუჭდისა).

მე უსბაშს ყაფლანს ამის ყაბული მაქს (ადგილი ბუჭდისა).

მე ელიშერ საამის შვილი ამისი მოწამე (ადგილი ბუჭდისა).

მე სოლალას შვილი იესე ქაიხოსრო შვილი ამის მოწამე ვარ (ადგილი ბუჭდისა).

ესე წიგნი მოგეცით ჩვენ ოსეს შვილებმა იოვანემ, ტასიამ, თინათინ, სოფიამ, სალომემ შენ, ჩვენ ძმას იასეს, ასე რომე მამისდაბა სოფელი მამის ჩვენის ნასყიდი თელი (sic) გაყრაში შენ შეიციდეთ და რაც დაგედვას, მთელი ფასი გამოგართვით, მოგვებარა. სოფელსა და იმ

1) დედანში: შეთი.

სოფლის კაცებზედ ჩვენ ხელი აღარა გვაქვს, ღთნ მოგახმაროს. ჩვენი შენზედ აღარა დარჩა რა. არის ამისი მოწამე სიონის დეკანოზის (ძე?) ნიკოლოზ (ადგილი ბეჭდის) და ჯვარის დეკანოზი იოანე (ჯვარი). მე სიონის დეკანოზის შვილს ზაქარიას დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა აგვისტოს იმ ქკს უმც. მე ისაჲ სიონის კანდელაკის შვილი ამისი მოწამე ვარ ამათი სიტყვით. ისაჲ. მე მოსე მღვდელი ამისი მოწამე (ჯვარი).

1751 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქავთარის შვილების მიერ იესესადმი (№ 53).

სახელითა სახიერისა არსებით დაუსაბამოსა სამგვამოვანისა სამებისა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა, ჯერ ჩინებითა ყოვლად წმინდისა ღთის მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა ცხოველს მყოფლისა ჯვარისათა და წმინდისა დიდებულისათა წინასწარმეტყუელისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესითა, წმინდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა და ყოველთა წმინდათა ღთისათა, ესე ამიერ ხანთა და ჟამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი ყოვლის კაცის მოუდევარი და უცილებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე ქავთარის შვილის სულხანის შვილმა ნიკოლოზ, ძმამან ჩემჲან გუგუნამ შენ სიონთა ღთის მშობლის დეკანოზის შვილს ოსეს შვილს იესეს, და მომავალთა შენთა, ასე რომე ვალმა დიად საქმე გამიჭირვა, სხვა ღონე და ილაჯი არსაით მქონდა, მოველ, ჩემის ნებაყოფლობით მოგყიდე ახალშენს ჩემის განაყოფის ამოვარდნილის ზაზას მამული, ბატონისაგან ჩვენთვის ნაწყალობევი და ჩემის განაყოფისაგან ბარათში გამოყოლილი, ასე რომე ზაზა ამოვარდა და იმისი წილი მამული ჩვენ საერთოთ ბატონმა წყალობა გვიყო და ეს ჩემის განაყოფისაგან ბარათით წილში მე მერგო. ავიღე და ყოვლის კაცის უცილებლად და მოუდევრად მოგყიდე სამი საკომლო აღვასია შვილი თავის მამულით, თამაზას შვილი თავის მამულითა, ისპუასა და ქოჩორას მამული და ქოჩორა შვილი თამაზა, ესენი მათის სახლ კართა, ქვევრ მარნითა, კალო საბძლითა, ვენახითა, ნავენახობითა, ნასყადითა, უსყადითა, მთითა, ბარითა, სარწყავ ურწყავითა, ტყითა და სათიბითა, წყლითა და ამა მიწებითა.

ქ. ხატის ღთაგებას რომ მიადგება ზეითის გვერდის ხამი (sic) მიწა.

ქ. საღვთის მკარეს იმ მიწის საქცევში თავ ჩაღმა მიწა.

ქ. ბოსლ ბს წინ რომ მიწა არის, იმ მიწის ნახევარი იქითი პირი ხატის ღთაგების პირი.

ქ. არხა ახლა რომ ყანათ არის, იმის ზეით საქცევში ახაშნის მკარეს არხა.

ქ. მუხებს აქედამ თავ ჩაღმა რომ მიწა არის, კალო საბქელი იქივ  
ანსოფლარში.

ქ. ორის დღის მიწა სოლთაშის არხას მიწასთან, ერთი თქვენია, ერთი  
შერანა შვილისა.

ქ. აქეთ ღელე ბოსლებთან რომ ამოვა; ეშვის წყაროს რომ მო-  
ადგება.

ქ. წვერ წვერ მიწა მუხებს ზეიღამ.

ქ. ხოდაბუნნი, წინწყაროს გზას რომ მიადგება, ქვემო შარიღამ  
ახაშნური გზა რომ შემოივლის წინწყაროს გზამდის.

ქ. არხები, წვრილი არხები მშრალს კვეში.

ქ. იქ კიდევ ამ წვრილის არხების პირდაპირ ერთი არხა თავისი  
სანაპიროთი.

ქ. ხოდაბუნების თავში ძეძენარში რაც ჩვენი მიწა იყო, ნახევარი  
თქვენთვის მოგვიყიდნია, ნახევარი შერანის შვილისა არის.

ქ. ამის საქცევეში ვაბაშვილი წინამძღვარი რომ ჰქნევდა ორის  
დღის მიწა.

ქ. მარადუბულს შარასთან იმ ბერის მიწის საქცევეში სამის დღის  
მიწა.

ქ. გამოკოდილ(ი)ს მუხასთან რაც მიწა არის, თამაზას შვილის  
მიწა თავის სანაპიროთი.

ქ. კიდევ სხვა მუხასთან ზეით მუხასთა(ნ) რაც ჩვენი წილი მიწა  
არის, იმაში წილი გაქვსთ, ს(ა)ერთოთ გექონია და საერთოდ გქონ-  
დეს თავის სანაპიროთი.

ქ. მშრალის ხევის თავის არხის მიწა.

ქ. ხოჯიას წყაროსთან ქოჩარას ნახნავე საქცევი რომ გარდავა,  
მშრალი კევი და ამ ხოჯას წყაროსაკენ საქცევი გარდავა თავისის სანა-  
პიროთი.

ქ. დიდს შარას რომე მოადგება, იმას ზეით საჩაჩურს სამქლე-  
რამდის საერთო არის, ნახევარი შენია და ნახევარი ჩვენია.

ქ. მარილობის კევეში ერთის დღისა არხა.

ქ. მლაშობში ლამიღამ რომ გავალთ, იმ მლაშობში სალებისაკენ  
სამის დღის მიწა.

ქ. წყაროს თავში აქათ ახაშნის მხარეს, ლამის წყაროს ზედ რომ  
წაღგება, ერთის დღის მიწა.

ქ. დახაპალაში ერთის დღის მიწა, კვესიაშვილის მიწას რომ მიადგება.

ქ. გულა წაგომეიდა (sic) მიწაში ერთის დღის მიწა.

ქ. ორძს დღის მიწა კალერში კლდის პირში, თამაზაშვილმა რომ  
გაყადა, ღღესიაშვილმა რომ იყადა.

ქ. ერთის დღის მიწა პაპამ რომ კალო გაკევა, ამას რომე მიადგება.



ქ. ამოვედით საურმეში ტყე და ტყეს რომე ისპოას მიწა მიაღ-  
გება, ორის დღის მიწა, ნიგვზის მიწა.

ქ. ახაშნური ურმის გზა რომ შემოივლის, იმისის დარგზე სოფლის  
პირდაპირ ერთის დღის მიწა თავისი სანაპიროთი ურმის გზაზედ.

ქ. ხაროს მიწის ნახევარი.

ქ. აქათ ვართანას შვილის მიწას შუა სამის დღის მიწა თავისის  
სანაპიროთი.

ქ. იმის ზევით ენაგური გზა რომე წავა, ის შარა, ის საძოვარი ამო-  
ვედით სოფელში ყარახანსშვილის სამძღვარს აქეთ, ერთის დღის მი-  
წა ყიზლარაშვილსა ძეს, სხვა სულ თქვენია.

ქ. სომეხიანთ ბანთ უკან სამის დღის მიწა.

ქ. ორბელაშვილის ნაფუძარს ბოლოს ორის დღის მიწა დღე  
ღღე.

ქ. ბაღჩა თავისის ნაფუძრითა, თავისის ბოლოთი ორბელის შვილის  
მიწამდის, სამაჩური ბილიკი რომე გავა იქიმდის.

ქ. ბოქოლაურში თავ ჩაღმა მიწა თავისის სასთაულათი.

ქ. ლამის ხევს გაღმა ენაგეთის მხარეს ორი არხა, ენაგეთის არხა-  
თავისი სანაპიროთი.

ქ. პაპის გორში დიარანთ ვენახს რომ გავხედავთ, სამის დღის მი-  
წა წვერ წვერ.

ქ. კალო საბძელი თავისის შესავლითა და გასავლითა, ძველს ნა-  
სოფლარში არგეთზედ.

ქ. სამის დღის მიწა ქაბუკიანთ გზაზედ მარაბდული შარა რომე  
გაივლის, ნახევარი ზევით, ნახევარი ქვეით დარჩება.

ქ. სამაჩეთილამ რომ კაცი მივა, ბაგრანეთს რომ მიაღებება, უწინ  
იმ ვენაკებს მიაღებება, ორი ვენახი იქი.

ქ. ერთი ვენახი აღნიაშვილს რომ მიაღებება.

ქ. აღესიაშვილის ვენახი ყიზლარასშვილის ვენახის ბოლოს და ორ-  
ბელა შვილის ვენახის ბოლოს ყორღანას შვილის ვენაკის შუაზედა.

ქ. რაც ზაზას წილი ახალშენს მამული იყო ან რისაც მქონე-  
ბელნი გლეხნი იყვნენ და ან იქნებოდინ, ყოველნივე შენთვის უნაკ-  
ლულად მომიყიდნია. თუ ერთის დღის მიწა რაც ზაზას წილი მამულ(ი)ს  
იყოს და დაგვიწყებოდეს, როდესაც ვიპოვნოთ, თქვენვე დაგანებოთ ან  
სადმე დაგვრჩომოდეს, თქვენი იყოს. აწე გქონდესთ და მოგახმაროსთ  
ღთნ როგორც სხვას ალაღს მონასყიდეს მოხმარებოდეს. ავიღევით  
ფასი სრული და უკლებელი და არა დარჩარა ჩვენი თქვენზედ არცა  
ერთის იოტის ფასი. არავინ იყოს მცილე და მოღაფე, არა ბატონი,  
არა ყმა, არა რომელიმე ჩვენის სახლის კაცნი და თუ ვინმე მოგედლოს  
პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. თუ ვინმე მძლავრებით ინებოს შლად

და წართმევად, მასამც ედების მკეთრი გეზისა, შიშთუ(ი)ლი იუდი-  
სა, მეხის ტეხა დიოსკორესი, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონი-  
სი, ძრწოლა კანის და ჩვენის ცოდვის მაგიერ იგინიმც განიკითხვიან.  
ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღონ აკურთხნეს. არიან ამისნი მო-  
წამენი სამის შვილი ედიშე, გოსტაშაბისშვილი პაპუნა (ადგილი ბეჭდისა)  
გერმანოზის შვილი პაპუნა და გუგუნა (ადგილი ბეჭდისა), ჩემი განაყოფი  
ედისერ (ჯვარი), ნამენგლეოვის შვილი ქაიხოსრო (ადგილი ბეჭდისა),  
ზაზუნა შვილი ზაზა (ჯვარი), თაყაშვილი ვახტანგ (ადგილი ბეჭდისა),  
ყარაბუდახის შვილი ლუარსაბ (ჯვარი), საგინაშვილი როსტომ  
(ჯვარი), ყორღანაშვილი ავთანდილა (ჯვარი), ასლამაზას შვილი როსტომ  
(ჯვარი), ბეჟანიშვილი მანუჩარ (ჯვარი), ახაშნელი სომხის შვილი და-  
ვით (ჯვარი), ირაბელა შვილი ნოდარ (ჯვარი), ყიზლარა შვილი პაპა  
(ჯვარი) და ბეთანას შვილი ბარძიმ (ჯვარი) და მე დედოფლის საყდრის  
კარის მღთის მშობლის დეკანოზს იოკიმეშვილს თეოდოტეს შვილს  
მღდელს მიხაილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე  
წიგნი ნოენბრის თვეს: კზ: ქკს ულთ (ადგილი ბეჭდისა).

მე ნიკოლოზს ამისი ყაბული მაქს, ჩემი ხელია: ქ მჯრადი (sic) მუ-  
შრიბი მოწამე (ადგილი ბეჭდისა). მე ყორღანა შვილი ტარიელი ამისი  
მოწამე ვარ (ადგილი ბეჭდისა). მე დედოფლის მგალობელი სოლომან  
ამისი მოწამე (ადგილი ბეჭდისა). მდივანბეგი იოვანე ქ(ა)ეთ(ა)რის შვილი  
ნიკოლოზის (თხოვნით?) ამ სიგელის მოწამე ვარ (ადგილი ბეჭდისა). მე სარ-  
დალი რევაზ ამ ნასყიდობის მოწამე ვარ (ადგილი ბეჭდისა). მე ნკზ აბა-  
შიძე ნკზ ქავთარი შვილის ნება დართვით. მოწამე ვარ ამ ნასყიდო-  
ბისა (ადგილი ბეჭდისა). მე ციცის შვილი ფარსადან ამისი მოწამე (ადგი-  
ლი ბეჭდისა). მე შიოშ მოლარეთ ხუცესი ამის მოწამე ვარ (ადგილი ბე-  
ჭდისა). მე ბოქ(ა)ული ამისი მოწამე ვარ (ადგილი ბეჭდისა), მე ერისთავის  
შვილი სიღამონისა იოანე ამისი მოწამე ვარ (ადგილი ბეჭდისა).

1756 წ. შიუაშვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იესესადმი (№ 42).

ნებითა ღთისათა და შეწევნითა ყოვლად წმინდისა ღთის მშობ-  
ლისათა ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეც მე ლოლოვნელმა  
შიუაშვილმა ბერუამ, კჰამა ჩემმა მახარემ და ზაზამ, შვილმან ჩემან პეტ-  
რემ და პაველემ, შიომ და გიორგიმ თქვენ ბატონის დედოფლის მო-  
ლარეთ უხუცეს იესეს ოსეს შვილს და მამავალთა სახლისა შენისათა,  
ასე რომე წინ ვენახს მდივნის სულხანისაგან ნასყიდობა იყო ალალი  
და ყოვლის კაცის უცილებელი ერთი საკომლო თაყაშვილის დიმიტ-  
რისაგან ეყიდნა თავისის ზედ მსახლობელისა გლეხითა ქუდრეგვენას  
შვილი აბრამა, ქიტა და გოდერძა თავეთის მამულით, ასი დღის მიწით,  
სახლკართა, ნასყიდითა, უსყიდითა, ვენახითა, ქვევრ მარნითა და მი-  
ნის სიგლითა. კიდევ სხვა ქუდრეგვენას შვილის რამაზისაგან მისყიდუ-

ლი საბას ნაქონი ვენახი, იქით ჯაეახას შვილის ვენახის პირში რომ ტყემალი დგას, ამოჭრილს კლდეს ზეით, იმისი გამოწვივრივ ნაპირში რომ მუხა დგას, იმას ზეითი. ამას გარდა ზაზუნა შვილის ზაალისაგან ვლისბარისა და პეტრესაგან მოსყიდული წინ ვენახს ქუდრეგვენას შვილის თეოდორასი, საველასი და ხუსიასეული მამული, იმათის სახლკარით, მიწა წყლით, მთითა და ბარითა, ვენახითა, ტყითა და მიწა-ვრითა, თავის შესავლითა და გასავლითა. კიდევ გურიელის ალექსანდრესაგან მოსყიდული წინ ვენახს მამაცასი და პაპუას კერძი მამული თავის მიწა წყლითა, მთითა, ბარითა, შესავლითა და გასავლითა და თავის სამართლიანის გზითა და სამძღვრითა და თავის სიგლეზითა. ესე-ბი მდივანს სულხანს ეყიდნა, რომ სიგლეზი ხელთ ეჭირა. ამ მდივანის შვილს გიორგისა და მდივანის ჯალაბსა მარიამას საქმე გასჭირებოდა, მოსულ იყვნენ შენტან და შეგრიგებოდენ, ფასი გადაგეწყვიტათ და ჯერ თეთრი არ მიეცა. მე შემამეკითხე და მოგიწონე, კარგი იქნება მეთქი. გამოვიდა ერთი თვე, მე მიველ და შენს შეუკითხავათ ვიყიდე, სიგლეზიც გამოვართვი და ნასყიდობის წიგნიცა. ეს ჩემი ნასყიდობა შეიტყვე და ლაპარაკი დამიწყევ. რადგან შენი შერიგებული იყო და მე შემოგეცილე, სადაც ვილაპარაკეთ, ყველგან მე გამამტყუნეს, უმართებლოც იყო, არც სამართლით მერგებოდა, აღარც მე მოვინდომე და შენვე დაგახსნევენ და რაც თეთრი მიმეცა, შენ უკლებლად გამოგართვი, ჩემის თეთრის მიცემის უკან შენის თეთრის გამორთმევამდე ექვსი თვე გასულიყო და ამ ექვსის თვის თეთრის დახუთვისათვისაც ბოდიში მოიხადე. ახლა ეს წიგნი მომიცია. მე იმისთვის გაჭირვების დროს თეთრი მიშეცა იმისის ნებით, რასაც შენ შერიგებოდი და სიგლეზიც ოთხივ გამომირთმევი და მე შენთვის ყოვლის კაცის უცილებლად მომიყიდია ოთხი ის სიგლეზი და მეხუთე ჩემგან ნასყიდი სიგელი. უღ ეს სიგლეზი თავისის მამულებით ყველა უკლებლად თქვენთვის მამიყიდნია, არათფერი არა დარჩომილა რა ჩემი შენზედა. ღონ მოგახმაროს, გინდოდეს გასასყიდლათ, გინდოდეს სამზითვოთ, ყველაზედ ხელი შეგივა, არავინ იყოს ამისი მცილე და მოდავე არა მე, არა ჩემი ძმანი და შვილნი და არა ჩემი ძმის წულნი, არა ჩემი მონათესავე კაცი, არც ბატონი, არც დიდი, არცა მცირე და ვინც ამას წამოგედოს, პასუხის მიმცემნი ჩვენ ვიყვნეთ. მე იმათგან ალაღათ მიყიდნია და მე თქვენთვის ალაღათ, ულაღატოთა და სწორის გულით მოგვიყიდია. თუ ვინმე ილაპარაკოს, ამ ჩვენმა მოცემულმა სიგელმა გაამტყუნოს და ამ წიგნში დაწერილმა მოწმებმა, რომ ყველასთვის ჩემის პირით მი(თ)ქვამს და დამიბეჭდინებია. თუ ვინმე ან მძლავრებით ან უსამართლოებით ამ სიგლეზის შლად კელ ჰყოს, რისხავს ღთი და სიონთა მღთის მშობელი და ჩემის ცოდვისათვის იქ იკითხოს. არიან

ამისნი მოწამენი გოსტაშაბის შვილი პაპუნა (ადგილი ბეჭდისა), საამის შვილი ელიშერ (ადგილი ბეჭდისა), გერმონოზის შვილი პაპუნა და გუგუნა (ადგილი ბეჭდისა), ქავთარიშვილი ნიკოლოზ, საგინაშვილი ბოქ(ა)ულთ ხუცესი ზურაბი (ადგილი ბეჭდისა), თურქისტანის შვილი თამაზ, ყორღანა შვილი თავილდარი ქაიხოსროვ (ადგილი ბეჭდისა), მემანდარ ტარიელ, ფირუა შვილი გიორგი, თეთრის მითვლაზედაც დამსწრე და მოწამე.

მე ქვაბთაკევთა მონასტრისამან სტეფანემ თვით ბერუასა და მისის ძმათ ნებით და ჯერ ჩინებით რომე არაფერი ძალი და უსამართლოება არ დაუშართებია რა მოლარეთ ხუცესს ბერუასთვის, ბერუა და იმის ძმა ჩემთან მოვიდნენ, შემომხევეწნენ, რომ მოლარეთ ხუცეს ეს ნასყიდობის წიგნი დაუწერეთ. ამათის ყაბულობითა და სიტყვით დავსწერე და მოწმებსაც ყველას ჩემთან უთხრა ამ წიგნის დაბეჭდა და თეთრიც ჩემის ხელით მოლარეთ ხუცისათვის გამომირთმევიდა და ბერუასთვის მიმიცია. დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა სიგელი ესე იანვრის ვ. ქკს უმდ.

მე იარალის შვილი ეშქალათ ბაში ზაზა ამისი მოწამე ვარ. მე მოლარეთ ხუცესი ელისბარ გლურჯიძე ამისი მოწამე ვარ. მე იოთამის შვილი დავით ამისი მოწამე, ჩემი ხელია. მე ნიკოლოზ ქავთარის შვილი ამისი მოწამე ვარ, ეს ჩემი ხელია,

1764 წ. საგინაშვილების მიერ იესე მღივნისადმი მიცემული ნასყიდობის წიგნი (№ 39).

ნებითა და შეწვენითა ღთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე როსტომ საგინაშვილმა და შვილმა ჩემა დემეტრემ და მომავალმა სახლისა ჩემისამან შენ ოსე შვილს მღივანს იესეს და შვილსა შენსა ოსეს და ზაზას და გიორგის, ასე რომე მოგყიდე ჩემი ნასყიდი ბიძის ჩემის ალათან(გ)ის ნაქონი სასაკლე (sic) თავისის საბოსტნით, თავისის წყაროთ, აქეთ და იქით მანუჩარის სასახლის კევამდინ და იქით ჩემი მიწის კევამდინ, ზევით ტეტეკა შვილის ნავენახამდინ, პირდაპირ კიდევ ჩემი ნასყიდი ამზუაშვილის მიწა, გოჩოლაშვილის მიწის სამძღვრამდინ თავისის შესავლით, გასავლით, ტყით, და მით, გქონდეს და გიბედნიეროს ღთან როგორათაც სკვას (sic) ალაუს. მონასყიდეს მოხმარებოდეს. არავინ იყოს მკილე არა ბატონი, არა ჩემი სახლის კაცი და თუ ვინმე წამოგედლოს, პირისა და პასუხის გამცემი მე როსტომ (ვიყო). თუ ვინმე ძალათ წაგართოს, ღთნ ჩემი ცოდვის მაგიერ ის გაიკითხოს. არის ამისი მოწამე თავად ღთი, კაცთაგან ქავთარის შვილი ნიკოლოზ (ადგილი ბეჭდისა), გაბაშვილი რევაზ (ადგილი ბეჭდისა), გაბაშვილი გაბა. მე ზაალ სამისშვილს ამ როსტომის სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თიბათვის ხუთს ქკს უნბ:



მე როსტომას ამის ვალი (sic) ყაბული მაქეს, ხელიც ჩემია:  
მე გაბას ბეჭედი არა მქონდა, მე ამის მოწამე ვარ, ჩემი ხელია:  
გაბა.

1768 წ. ჩხეიძეების მიერ იესე მღვინისაგან მიცემული ნასყიდობის წიგნი (№ 44).

ნებითა ღთისათა და შეწევნითა წმინდის ღთის მშობლისათა ესე უცილებელი და ყოვლის კაცისაგან მოუდევარი ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ ჩხეიძის გორგასალ(ი)ს შვილებმან ქაიხოსრომ, ძმამან ჩემმან დავით, ძმის წულმან ჩემან სეხნიამ, გიორგიმ, თეიმურაზ და მომავალმან სახლისა ჩვენისამან ყოველთავე შენ მდივანს იესეს, შვილსა შენსა ოსეს, ზაზას, გიორგის, დიმიტრის და მომავალთა. შენთა, ასე რომე მოვედით ჩვენის ნება მყოფლობით და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო მამული და მამა პაპათ სამკვიდროთ ქონებული სოფელი ღორის თავი მთელი ყოვლის კაცის უცილებელი თავისის ბედენიას მთითა, სამთოთა და ტყითა, ბარითა, მინდრითა, ალგეთის წყლითა და წყლის პირითა, წისკვილებითა, ვენახებითა, ზვრითა, ხოდაბუნითა, ქვევრითა, მარნითა, სასახლებითა, კოშკითა, მოედნითა, საყდრებითა და სასაფლ(ა)ოთი, ყოვლის მისის სამძღვრითა და სანადიროთი. ერთი სამძღვარი გუდარეზამდინ და მისი მიდგმა მთა ბედენი, მეორე ბოლო ალგეთამდინ, მესამე სამძღვარი მცოვრეთამდინ, მეოთხე ვაკის სოფლის სამძღვრამდე, ესენი ასე ყოვლის კაცის უცილებლად მთელი ღორის თავის სოფელი შენთვის, შვილთა შენთა და მომავალთათვის მოგვიყიდნია და თუ იქაური აყრილი გლეხი ვინმე გამოჩნდეს, ისიც შენი იქნება და შენთვის მოგვიყიდნია, ხელმწიფების წყალობის და სითარხნის წიგნიც თქვენთვის მოგვიცემია, როგორც ჩვენ გექონებია წყალობით ის სოფელი თარხანი ყოვლის ფერი ყოვლის ხელმწიფისაგან, ისე შენთვის მოგვიცემია და მოგვიყიდნია, ის წიგნებიც და ეს მამულიცა. ეს ასე მოგყიდეთ, რომ ოცდა ათის წლის ხარაბა და ოხერი ნასოფლარი იყო ამისთანა ღროს იყიდე, რომ ხენა არ იყო იქა და თესვა და გამოუყენებელი იყო. ღთნ ჩვენის ცოდვით ის გაიკითხოს მეორეთ მოსვლას და ამ სოფელს თავის რისხვით დას(ა)ჯოს, ვინც შენ ეს ნასყიდობა მოგიშალოს და ამ ღორის თავის სოფელს შემოგეცილოს. ავიღევით ფასი სრული და უნაკლებლო, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. არა დარჩა რა ჩვენი თქვენზედა, გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ როგორც სხვას ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს. არავინ იყოს მკილე და მოდავე არა ბატონი, არა ყმა, თუ ვინმე წაჰოგედაოს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. თუ ვინმე ძალით მოინდომოს, ან შემოგეცილოს და ან დავა დაიწყოს, პასუხი ჩვენ გავცეთ და თუ მეპატრონემ ვინმე ჯაბრით და უსამართლოებით ეს ღორის თავის სოფე-

ლი წაგართვან, სხვის ვისმესგანვე შემოცილებით, ჩვენმა შეილმა და შეილის შეილმა ილაპარაკონ და ძველის ხელმწიფების სამკვიდრობით ქონება მოახსენონ და ზალი (sic) მეფის ბაქარისა და მეფის იესეს სართარხნის წიგნები მიართვან, გამოიტანონ და მოგაბარონ და თუ არ ილაპარაკონ, ჩვენმან შეილმა და შეილის შეილებმა და არა ინალონ რა და ის სოფელი შენ გამოგერთვას, იმის მაგიერი ღორის თავის სოფლის ოდენი სოფელი ვენახიანი და მიწიანი სადაც უნდოდეს ჩემს მამულში მოგცენ, ამისთვის რომ ოხერსა და ხარაბაში თეთრი მოგვეცე. ძველ(ა)თაც სულ ჩვენი ყოფილა ღორის თავის სოფელი და ხელ ახლად მეფის ვახტანგისა, მეფის ბაქარისა და მეფის იესესაგანც წყალობა დაგვმართებია და მოგ(ვ)ცემია, დღესაც ჩვენი იყო. ავიღევი და შენ მოგყიდეთ, არას კაცს სიტყუა არა აქვს. ღონ ორისავ სოფელით ის წაწყმინდოს, ვინც შენ ამაზე გეცილოს. არის ამისი მოწავე გერმანოზის შეილი პაპუა, გოსტაშაბი შეილი ქაიხოსროვ, იოთამის შეილი ნაზირი რევაზ, ხიღირბეგის შეილი მამუკა, ქავთარიშვილი ედიშერ, საამის შეილი ზაალ (ხეულ.: ზაალ) ნამანგლელავის შეილი ვახტანგ, გერმანოზის შეილი ნიკოლოზ, თაყა შეილი ვახტანგ, აბაზაძე ზედგინ (ჯვარი), საგინაშვილი როსტომ (ჯვარი), გელია ჩხვითელი (ჯვარი), რამაზა შეილი გიორგი (ჯვარი), ჩვენი ყმა ლეკვია (ჯვარი). მე ბეგთაბეგის ძეს ფეშქაშნივის მდივანს სულხანს ჩხვიძების დავითისა და მისი ძმის წულგების ნებით, კითხვით და მათის ყაბულობით დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ნასყიდობის სიგელი ესე ივნისის იე ქკს უნვ:

მე ჩხვიძეს დავითს ამისი ყაბული მაქვს (ადგილი ბეჭდისა). მე ჩხვიძეს სენხიას ამის ყაბული მაქვს. ჩვენ ამილახვარი რევაზ ამისი მოწამე ვართ დავით ჩხვიძის სიტყვით (ადგილი ბეჭდისა). ჩვენ მღვანბევი ქისიყის მოვრავის (sic) შეილა ქაიხოსროვ ამის მოწამე ვართ ჩხვიძის ყაბულობით (ადგილი ბეჭდისა). მე მილახვარბაში აბაშიძე ნიკოლოზ დავით ჩხვიძის სიტყვითა და ყაბულობით ამ სიგლის მოწამე ვარ (ადგილი ბეჭდისა). მე ქეშქიბაში აბაზაძე იოვანე ჩხვიძის ყაბულობით ამისი მოწამე ვარ. აქ ბეჭედი არა მქონდა, ეს ჩემი ხელია. მე ზაალ საამის შეილი ავ ნასყიდობის დამხდური და მოწამე ვარ, ჩხვიძემა ჩემთან მიჰყიდეს. მე შორდალი დავით დიასამიძე ჩხვიძის ყაბულობით ამ ნასყიდობის მოწამე ვარ (ადგილი ბეჭდისა).

1769 წ. ქაიხოსრო, ევგენი და დავით აბაშიძეების შიერ მიცემული ნასყიდობის წიგნი იესე მღვანისადმი (№ 56).

ნებითა და შეწვევითა ორთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგ(ე)ცე მე აბაშიძე ქაიხოსრომ, ძმამან ჩემმან ევგენ და დავით, შეილთა და მავალთა სახლისა ჩემისათა შენ მდივანს იესეს, შეილსა შენს ოსეს, ზახას, გიორგის, დიმიტრის და დავითს, ასე რომე ქალაქს მთავარ-ფეფის-

კოპოზის სახლის პირდაპირ პაპას ჩემს არაგვის ერისთვის შვილის ზურაბ ეშიკალასბაშისაგან სასახლე ეყიდნა, ერთი სამძღვარი ერისთვის სახლის კედლამდინ, ერთი სამძღვარი შარამდის, თავს გედევანის შვილის სახლის კედლამდის და ბოლოს ნიკოლოსას (sic) მესანთლის სახლის კედლ(ამდ)ის და ეს სასახლე ხარაბა იყო და ცარიელი ადგილი ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი ბიძის ჩემის ნიკოლოზისა. ჩემი წილი ამ სასახლის ნახევარი შე(ნ)თვის მოგვიყიდა, ავიღვეით ფასი სრული და უნაკლულა, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა და არა დარჩა რა ჩვენი თქვენზედა. გქონდეს და მოგახმაროს ღ'თნ. არაგინ იყოს ამისი მცლილე და მოდავე, არა ბატონი, არა ყმა, არა ჩემი სახლის კაცი და თუ ვინმე წამოგედაოს ვინმე, პასუხის გამცემი მე ვიყო. თუ ვინმე ეს ჩემგან მოცემული სასახლის ალაგი წაგართოს, ღ'თნ. ჩემის ცოდვით გაიკითხოს. არის ამისი მოწამე მდივანბეგი ციციშვილი ფარსადან (ადგილი ბეჭდის), სარდლიშვილი ნიკოლოზ, ჩემი აზნაურშვილი ორაჯონიკიძე დათიკა და მე ნიკოლოზ(ს) დამიწერია თვით ქაიხოსროვ აბაშვიძის სიტყვით ნათქვამი და ყაბულ ნაქნარი და მოწამეცა ვარ. აღიწერა მთიბათვის ი. ქკს უნზ (ადგილი ბეჭდის). მე მდივანი სულხან ბეგთაბეგის ძე ქაიხოსროს ყაბულით ამისი მოწამე ვარ (ადგილი ბეჭდის).

1769 წ. ნიკოლოზ აბაშვიძის მიერ იესე მდივანისადმი მიცემული ნასყიდობის წიგნი (№ 55).

ესე წიგნი მოგართვი მე მილახვარბაშმა აბაშიძე ნიკოლოზ და შეილთა ჩემთა თქვენ ჩვენს ძმასა და მეგობარს ბატონს მდივანს იესეს ოსეს ძეს და შეილთა თქვენთა ზაზას, გიორგის, დიმიტრის და დავითს, ასე რომე მამა ჩემს ზურაბ ეშიკალასბაშისაგან ქალაქს სასახლე ეყიდა. საზღვარი ამისი აქეთ გედევანის შვილის სასახლე, იქით ნიკოლოზა მესამთლის სახლის კედელი, გვერდით ერისთვის სახლის კედლამდის და მეორე გვერდით შარამდი. ეს სასახლე ხარაბა იყო, ნახევარი ჩემის ძმის წულღებისა იყო და ნახევარი ჩემი. ეს ჩემი წილი ავიღე და შენ მოგვიყიდე. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა. არის ამისი მოწამე ჩვენი აზნაურშვილი როსტომ ჩხვიძე. დაიწერა ივლისის იბ ქკს უნზ (ადგილი ბეჭდის).

მე მდივანი სულხან ბეგთაბეგის ძე ნიკოლოზ მილახვარის ყაბულით ამისი მოწამე ვარ (ადგილი ბეჭდის).

1774 წ. განჩინების წიგნი იესე მდივანის და რევაზ გაბაშვილის დავის შესახებ (№ 50)

ჩვენ ბატონის შვილი გიორგი ვამტკიცებთ ივლისის კთ ქკს უაბ (ადგილი ბეჭდის).

ჩვენს კელმწიფის შვილს ბატონის შვილს გიორგის ოქმი ებოძა

მე მდივანბეგის თეიმურაზისათვის—იესე მდივანს რაც ნასყიდი მიწა აქვს გაბაშვილის რევანისაგან მისყიდული ოავისი წილი, რაც სიგელში უწერია, გაუყავ, ხუთი ექვსი მცოდინარი გლეხი კაცი დაუყენეო და თავის წილი ავიღამ ავი, კარგიდამ კარგი მოუჭერთ და მიეციო. ჩვენ მოვაყვანინეთ გაბანა, იმათისავე გამოჩრევით გავგზავნეთ ქაშოეთის დეკანოზი ფილიპე, წვერის წმინდის გიორგას დეკანოზი თეოდორე, დიღმის მამასახლისი დავითა, გილაური გიორგი, დიღმელი აბრამა და ამ მამულებს ბელადი და მკვნელ მთესველი თანდილაშვილი შერმაზანა. ამ ექვს კაცს ღთი ვაფიცეთ და წმინდა გიორგი, რომ საქმე სისწორით დაიჭირონ, დათვალონ რამდენის დღის მიწა საზიარო. ნახუცრის შვილი ზურაბ იას(ა)ულად და ზედ მხედველად გავატანეთ. ამ შვიდ კაცმა დაიარეს, გაზომეს რასაც ჰქუა მიუწოდებოდათ, დათვალეს. სულ ვარაზის კევს აქათ ასორმოცდასამ დღედ გაზომეს სააგურის მიწას გარდა. ამ ასორმოცდასამის დღიდან იესე მდივანს ერგებოდა, რადგანც მექვსედს ატხადებდა ამის სიგელი, ოცდაოთხის დღისა. ოცდაოთხის დღის მიწა ასე მოუზომეთ და მივეციო. მონა(ს)ტრის წყაროზედ რომ ბილიკი გაივლის, გვერდა მიწა ერთის დღისა გუთნით საცნავე იქ მივეციო. წყარო რასაც მორწყავს, იმასთან იესეს მდივანს კელი არა აქვს. მონასტერს გაღმა გოდაკანთ ბაღს ამოსწვრივა გოდაკანთ წისქვილის შარიდამ მოკიდებული წისქვილის სერამდინ იქით ღიღღებამდის, ესეც ხუთის დღის გუთნის სახნავე მიწად გაუზომედ და იესე მდივანს მივეციო. კიდევ ვერის შარა რომ გაივლის და ზეით წყნეთის შარა რომ გაივლის, ამათ შუა რაც მიწა არის, თოთხმეტის დღის მიწად გაუზომედ და იესე მდივანს მივეციო. ეს ორივე მიწები ცხრამეტის დღისა ამ გლეხმა კაცებმა თქვეს ფიცით, რომ ყველაზედ მდარე და ცუდი მიწები ეს არისო, მაგრამ რადგან მოჭრით იყო და მოშორებულნი და გამძღვარებულნი, იესე მდივანი დასჯერდა, თორემ სხვები სჯობდა. კიდევ აღნიაშვილი რომ ჰქნავს, ხუთის დღის მიწად გაუზომეთ. ოთხის დღისა იესე მდივანს უნდა მიეცეს და იმ ერთ(ი)ს დღისა თუნდა როგორც გაბანათ გული შესჯერდებოდეს, ფასი გამოართვან იესე მდივანს და თუნდა ერთის დღის მიწა თავში მოუჭრან და სხვა იესე მდივანს დანებონ. ამას გარდა საყდარში რაც წილი აქვს, ხომ ვერ გაუყოფდით და ისევ ექნება. აგრევე საწყლისპირო საფიჩხულისა, საოჩხებისა რაც წილი სიგელში უწერია, ის ისევ უნდა ჰქონდეს. აგრევე სადაც გლეხი კაცი რევანს წილი სახლებულა, ის ნასახლარი უნდა ჰქონდეს. აგრევე წყაროს წილი მექვსედი და საკარის ქირა და სახნავე მიწები კი ასე ვაყვავით. სააგურის მიწა რომ არის ორის დღისა, ის ისევ გაუყოფარია, საერთო არის და ამავე ქაშოეთის (მღვდელს)



ფალიპეს დამიწერია, მოწამეცა ვარ. დაწერა კათათვის იე ქქს უჯბ (ადგილი ბეჭდისა).

მე ზურაბ ნახუცრის შვილი ბატონის შვილის ბრძანებით ღთას წინაშე რომელიც კამარცი (sic) ამ მიწილამან მიწერია, მოწამე ვარ.

მე ზურაბ ნახუცრის შვილი ღთი(ს) წინაშე ამის ასე მოწამე ვარ. ამ კაცებს მღივანბეგმა თეიმურაზმა გამატანა, მღივანბეგს ბატონის შვილის გიორგის ბრძანება ჰქონდა. ამ გლეხკაცებს გაყვევ, როგორც ამ წიგნში სწერია, ისე მოწამე ვარ. რაც იესე მღივანს შაში ზიანი არა სჭირია, მეტი სარგებელიც არა აქვსრა. რაც ნაკლები მიწა არ მივეციოთ, საუკეთესო არა მისცემია რა, ოცდაოთხის დღის მიწა მიეცა. როგორც სხვები გაეზომეთ, ისე ეს გაგვიზომია. სხვები სჯობდა, მაგრამა ერთობის გულისათვის იესე მღივანმა ეს ირჩივა.

მე მელიქიანთ სტეფენას შვილი აშხარბეგ როგორც ზურაბ ნახუცრის შვილმა მოწამობა მითხრა ამისის სიტყვით ამ წიგნზედ ასე მოგაწერე (ადგილი ბეჭდისა). მე შერმაზანა ამისი მოწამე ვარ გაბანთ სიტყვით (ჯვარა). ბატონ(ი)ს მღივანბეგების სიტყვით ამა მღვდლებს გაყვევ და როგორც გავარიგეთ, მოწამე ვარ მე თეთრადე დავით (ჯვარა). მე კოტორაშვილი აბრამ ამისი მოწამე ვარ (ჯვარა). გილაური გიორგი ამისი მოწამე ვარ (ჯვარა).

1774 წ. ყმობის წიგნი, მიცემული იესე მღივანისადმი ქურდრუგანის-შვილის თევდორეს მიერ (პლ 59).

ესე წიგნი მოგეცითა მე წინვენახელმა ქურდრუგანის შვილმა თევდორემა შენ მღივანს იესესა, შვილსა შენსა ოსესა, ზაზასა, გიორგისა, დემეტრესა, დავითსა, ასე რომე ჩემი მამული მამა ჩემს გაეყიდა და თავისი თავი ბატონისგან დაეხსნა. ავდექ და ჩემი თავი თქვენა გაყმე ჩემის ნებითა ამ პირობითა, სანამა მამულზე მივიდოდე, არც მთხოვო საარჯი, არცა მალი. თუ ჩემის ნებით გემსახურო, ჩემი კარ(გ)კაცობა იქნება. როცა მამულზე მივიდე, როგორაც სხვა იმა მამულის კაცი გემსახუროს, მეც ისრე გემსახურო, მაშიცა კიდევა შადავათი გვიყოთა. არის ამისი მოწამე ტბისელი გოსტაშაბის შვილის ყმა მარცემლის შვილი ოქროა, გორელი ტერ მოსესას შვილი ზურაბა და კოტორას შვილი ანდრია (ჯვარა) და მე გაბუნათა. ბაღდასარას შვილს ოსეფას დამიწერია. ამათის-სიტყვითა და მოწამეცა ვარ ამის (ჯვარა). ჩვენა ეს სამივე გორელები ერთათ ვიყავით, რაც თავისის სიტყვით დაგვაწერინა. დაწერა ქრისტიშობის იხ ქქს უჯბ (ჯვარა).

მე გორელი ტერ მოსესას შვილი ამისი დამხდური მოწამე ვარ, ზურაბ რომ თავის სიტყვით დაგვაწერინ(ა).

1778 წ. განჩინების წიგნი იესე მღივანის და იორამ სოლდას შვილის საქმის გამო (პლ 37).

იესე მდივანი და იორამ სოლალას შვილი მოვიდნენ ჩვენ მსაჯულებთან და თავიანთი საჩივარი და ერთმანეთთან რაც სალაპარაკო ჰქონდათ, გაგვასიჯვეს. იესე მდივანი საუფროსოს ითხოვდა, რადგან უფროსის ძმისაგან ეყიდნა მამული და იორამ უპასუხებდა—თუ სამართალი გარგინებს, რა სიტყვა მაქვსო და მეც საუმცროსო სასახლე გამირჩიეთო. ჩვენ იესე მდივანს წიგნები მოვთხოვეთ, ამ მამულში როგორ შესულიყო, ყველა მოვატანიებთ. პირველი წიგნი მოიტანა, ვარსიმაშვილები ეყიდნა სრულად თავიანთის მამულებით და ნასყიდობაებით. მერმე მიქელას შვილები ეყიდნა თავიანთის მამულებით და ნასყიდობაებით. მერმე ელისბარას წილი ტაგნაგეთი ეყიდნა მთლათ. მერმე იესეს წილი ტაგნაგეთი მთლად და ამ იესე(ს) ნასყიდს სასახლე ჰქონოდა, ისიც შიგ ჩაეწერა, კოშკის ნახევარი და რაც წილი ჰქონოდა მანუჩარს ტაგნაგეთში ყოვლის საუფროსოთი, მიწით, ქვევრით, მარნით მიეყიდნა. მერმე ასურეთის მეოთხედი მიეყიდნა თავისის საუფროსოთი, მერმე შინდისის მეოთხედი საუფროსოთი და ნასყიდით, ტაბახმელის მერვედი თავისის საუფროსოთი და ნასყიდით, მერმე სალორისის მეოთხედი თავისის საუფროსოთი და ნასყიდით. ესენი ყველა ძლიერის სიმტკიცით დაეწერა, იორამისაც გაერჩია, უმცროსი ნახევარი იმისთვის დაეგდო და თავისი წილი უფროსი ნახევარი იესე მდივანისათვის მიეყიდნა და თავის ადგილს დაეყენებინა ყოვლის ფერით. ჩვენ იორამს ვკითხვით, ეს ნასყიდობა ან გკითხა, ან შეიტყუო. იორამ თქვა, ჩემა ძმამ კაცნი რომ სულ დაყიდაო, მერმე მამულს მიეყო კელიო. რომ დაუშალეო, მითხრა: ჩემის წილისა შენ რა მოდავე ხარო, ჩემს სიღარიბეს ხომ ხედაო. მერმე ბედნიერს კელმწიფეს მოვახსენეო, ჩემი უფროსი ძმა მამულს ჰყიდისო. თუ შემეძლოს ხომ მე ვიყიდიო, მაგრამ არ შემეძლიან, საქმე უქირს, ხომ ვერ მოვკლავო. ერთი ოქმი მიბოძეთ, ჩემი წილი არავინ იყიდოსო და თავისის წილისა თითონ იყიდოსო. ოქმი მიბოძაო და დღესაც მაქვსო, რომ მანუჩარმა უფროს უმცროსობით როგორც საქართველოს წესია ისე თავისი წილი გაიტანოს და რადგან უქირს, ვისაც უნდა მიჰყიდოსო და თუ იორამის წილი გაჰყვა ვისმე, მსყიდველს თეთრი დაეკარგება და იორამის წილი მამული იორამსვე დარჩება. ჩამოველ ქალაქს, გაუყავ მამულები, შევიტყუე, აქა იქ ავაქრებდა. იესე მდივანს უთხრა, შენ მირჩენიხარ, შვილი გაყიდე და შენ იყიდე და სხუას ნურავის ჩამომიზიარებო. ჩემის სიტყვით იყიდაო და ყველაზედ მეც ხელი მოვაწერეო. ეს სიგლები ეფისკოპოსებისაგან, დიდროვანის კაცებისაგან დაბეჭდილი ჰქონდა და მდივანბეგებისაგანაც. ამ სიგლების შემდგომად ზოგისას ორს წელიწადს უკან და ზოგისას ერთს წელიწადს უკან მისს სიმალლეს მეფეს რაყამი ებოძა იესე მდივანისათვის, შენ რაც ნასყიდობა გიქმნია საბარათაშვილოში და ან სასოლალაშვილოში, ჩვენის ბძანებით არის; ჩვენც ყაბუ-

ლი გვიქმნია და დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია და სისხლიც მათი გლიოდესო. ეს წიგნები გაესინჯეთ ჩვენ, მსაჯულთ. იესე მდივანი სრულად მანუჩარას სოლადასშვილის მოადგილედ გამოჩნდა და რადგანც მისი სიმაღლე იმათს ადგილს აძლევს და თვითან მანუჩარს თავის სიგლებში თავის წილს მამულს თავისის საუფროსოთი ნასყიდობით უწერს მრავლის ბეჭდით და თეთრს ართმევს და იორამ კელს აწერს, ყაბული მაქვსო, ჩვენ ეს განვაჩინეთ. იესე მდივანი და მის შვილები სწორეთ მანუჩარის ადგილს დაიმკვიდრებენ და საუფროსოს და მამულს ყველგან აიღებენ, სანამდის ხარაბა არის და სოფლები აოხრებულა, რასაც მისწვდენ და ღალა აიღონ, ათისთავი საუფროსოს იესე მდივანმა აიღოს და ცხრა შუა გაიყონ. აგრეთვე სხვა რამ იყოს, ისიც ასე გაიყონ. როცა ღთნ ქვეყანას მშვიდობა მისცეს, როგორც საქართველოს წესია, ოცზედ ერთს საკომლოს რომელსაც უნდა იესე მდივანი აიღებს და ერთს რომელსაც უნდა იორამ მისცემს. ეგრეთვე ვენახებს და ყოველს ფერსა იესე მდივანი საუფროსოს ყველგან აიღებს ამ სოფლებში და მერმე შუა გაუყოფს და საუმცროსოსი ასე გავარიგეთ: მართალია მანუჩარს გალავანს შიგნით იესე სოლალა შვილის ნასყიდი სასახლე იესე მდივანისათვის ნასყიდობის წიგნში ჩაუწერია ამ მიზეზით, რომ რაც იესეს და ელისბარს სჭერია, ის თავზედ მიუგდია და ისე მიუყიდნია, მაგრამ ყველა ზაზას დარჩა და დღეს ზაზას შვილებად შევიდნენ მანუჩარ(ი)ც და იორამ(ი)ც და მანუჩ(ა)რის მაგიერი რომ იესე მდივანია, უფროსი ძმა იესე მდივანია და უმცროსი ძმა იორამ არის. საუმცროსოდ რაც ფარგალს შიგნიდ სასახლეა უმცროსს დარჩება ზაზას წერილიცა და ი(ე)სე სოლალაშვილის ნასყიდიც და გალავანს გარეთ საყდარიც სანახევროა და ელისბარის წილი სასახლეცა და იმისი გარეშემოცა და იმ სასახლის ზომა რაც იორამს ეჭოროს, იესე მდივანმა თუ უნდოდეს საყდარს წინ ელისბარის სასახლე გალავანს გარეთ და იმის გარეშემო მო(ი)ზომოს, იქ აიღოს და თუ იქ არ ინებოს რაც ადგილი იორამისთვის გაუშვას, იმისი ზომა ზვარს გარდა საღაც უნდოდეს და იმისმა გულმა მოინდომოს, საერთოს მიწაში იქ მოიზომოს და აიღოს. კოშკი რომ რვა სახლია, ოთხი იესე მდივანისაა და ოთხი იორამისა. თუ იორამს უნდოდეს, იესე მდივანმა დაახსნეინოს როგორც დაფასონ. მაგრამ საღამოს იორამ და მისი შვილები მოვიდნენ სამართალში. თქვეს, ჩვენს ძამა ბოძათაც ისე ჰქონიათო, ნახევარი მაგას და ნახევარი ჩვენაო, არ შეგვიძლიან დახსნაო. რადგანც თავიანთის ნებით ინებეს, დარჩა იესე მდივანს კოშკის ნახევარი თავისის შესავალ გასავლით. ერთს ამას ამბობდა იორამ, რაც სარდალთან საზიარო სოფლები გვაქვსო, საუფროსო ჩვენიაო. ორნივე ერთად ელაპარაკენ საუფროსოზედ, თუ გამოიტანეს კარგია, თუ არა და რაც

ერკოსთ საუფროსო, როგორც დაგვიწერია, იესე მდივანმა აიღოს და სხუა შუა გაიყონ. ესენი რაც დაგვიწერია, სამართალი მიგვიცია, სამართლის წიგნის ძალით მიგვიცია და ორნივე დასჯერებიან და ამაზედ უნდა დადგნენ. რომელიც ამ სამართალს გარდაუქცევს, სამართლის წინააღმდეგი იქნება და სამართალს პასუხი უნდა გასცეს. თათების იგ ქქს უფვი ალიწერა კელითა თუმანის შვილის სულხანისათა (ათი ბეჭდის ადგილი).

მის სიმაღლის მამის ჩვენის ამ მსაჯულოთაგან განჩინებას ბატონის შვილი გიორგი ვამტკიცებთ მაისის იე ქქს უფთ (ბეჭდის ადგილი).

მაისის სიმაღლის მამის ჩვენის ბრძანებით ამ მსაჯულთა განჩინებას ჩვენ ბატონი შვილი იულონ ვამტკიცებთ მაისის იე, ქქს უფთ (ადგილი ბეჭდის).

მაისის სიმაღლის მამის ჩვენის ბრძანებით ამ მსაჯულთა განჩინებას ჩვენ ბატონი შვილი ვახტანგ ვამტკიცებთ, მაისის იე, ქქს უფთ (ადგილი ბეჭდის).

ჩვენ სრულიად საქართველოს მეფე ირაკლი ამ სამართალს ვამტკიცებთ, რომელიც რომ ამ სამართალს გარდახდება, განჩინებისაებრ გარდახდება, ივნისის ე, ქქს უფთ (ადგილი ბეჭდის).

1778 წ. ერეკლე II-ის წყალობის წიგნი იესე მსაჯულისადმი (№ 40).

ჩვენ ქართლისა და კახეთის მეფემ პატრონმა ირაკლიმ ეს წიგნი გიბოძეთ შენ ოსეს ძეს იესეს მსაჯულს, ასე რომე შენგან ცოტას რასმე საქმეზედ გულს დაგვაკლდა, გაგიწყურით, ყმაც წაგართვით, მამულიც და სახელოც. მაგრამ რადგან ორჯულობისა და მუხანათობის ბრალი არა გქონდა რა, ისევ შეგიწყალებთ, შენი ნასყიდობაც მთლათ გიბოძეთ, რომ სხვას არას კაცს კელი არა აქვს, პატრონების ნებით გაქვს ნასყიდი და ჩვენგანაც დამტკიცებული და ჩვენი წყალობა თუ რამ გაკლდა, ამ გზით შეგისრულეთ. საბეჯანო როგორც უწინ გვებოძებინა, ახლაც შენთვის, შვილთა შენთა და მომავალთათვის გვიბოძებია. აგრეთვე დიდომს სოფლებში ოცის დღის მიწა სოჯელში ბეთალმანიდან გვიბოძებია თავის წყლითა, კიდევ ერთი აბდულაბეგს გოსტაშაბის შვილებისაგან ნასყიდი მამული რომ ჰქონდა, ის გოსტაშაბის შვილებისაგან მისყიდული შენთვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია. პაპის ჩვენისაგან გამოღმა მხრის კოდის პურის ამღებლობა შენ, პაპას რომ ჰბოძებოდა, ისიც გვიბოძებია და დაგვიტკიცებია. გქონდეს წყალობა ესე და გიბედნიეროს ღთ ჩვენს ერთგულად სამსახურში, არ მოგეშალოს არცარა ჩვენგან და არცარა შემდგომთა ჩვენთაგან. ალიწერა კელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის ბეგთაზვეგის ძის სულხან ფეშქაშნივისისათა, ნოებერის კზ: ქქს უფვი: (ხუთი ბეჭდის ადგილი).

ჩვენ ყოვლისა ზემოსა საქართველოსა, კახეთისა და სხვათა დედოფალთ დედოფალი ბატონის დადიანის ძეგლი პატრონი დარეჯან



მისის სიმაღლის ბოდებულს წყალობის წიგნს ამავე რიგათ ვამტკიცებთ, იენისის კზ ქკს (უ)ობ (ადგილი ბეჭდის).

1783 წ. იესე მსაჯულის არზა დარეჯან დედოფლის სახელზე (№ 61).

რადგან სანატრელს დიდს მეფეს ნასყიდიც ამათთვის დაუხსნევიანება და დაგირაოებულისა თუ ამათთვის არ ებოძებინა, თვითვე დაიჭერდა და ვალსაც თვითონ უბოძებდა, ამდენი ხანია რომ ამათ კელთ არის და ის დამგირ(ა)ოებელი დაკარგულია, ეს საქართველოს რიგით გაუყავით უფროს უმცროსობით. თუ იმ დამგირაოებელის შვილი გამოჩნდეს ვინმე, რაც ამათ თეთრი გაულიათ, ის მოსცეს და რაც წილი ჰქონებია, ნახევარი იესემ მისცეს და ნახევარი იორამმა. თუ არავინ იყოს, რადგანც დიდს ბატონს ოკერ ხარაბა ამათთვის დაუხსნევიანება, ვერავინ ეცილებს, გაუყავით საქართველოს რიგზედ და სადაც იესე მსაჯულს და იორამს გასაყოფი მამულები აქვსთ, იმისი გასამყრელია რომ ჩვენია, ის ჩვენი გასამყრელია ყოველს სოფელში იესე მსაჯულისა და ჩვენის ნათლულების იმის შვილებისათვის გვიბოძებია საქუთრად და ამას ჰქონდეს ჩვენად წყალობად. ახლა გაიყოფენ, თუ ამას უკან, ჩვენი გასამყრელია ყოველს ამათს მამულში იესესა და ამის შვილებისათვის გვიბოძებია. თებერვალს, იც ქკს უოა (ადგილი ბეჭდის).

ღთნ ჩემის მოწყალის საქართველოს დედოფლის ღირი იესე მსაჯულს მომცეს. მოგესხენებათ ჩემი უამი. ამაზედ დავიდალე, ერთი ორი საკომლო ოკერი ხარაბა ვიყიდე, ზოგი გიქს მეძახდა, ზოგი სულელს — ოხერს მამულში თეთრს რად აძლევსო. ჩემი ნაღვაწი თეთრი მივეცე, ჩემის კელმწიფების დასტურით ვიყიდე. ინება ღთნ და მშვიდობა მოეცა ქვეყანას, ახლა ქვეყანს მეძახიან, ჩემის ქვეყისაგან არ არის, ჩემის კელმწიფის შრავლის შრომისა და გარჯისაგან არის. სოლადაშვილი იასე და ელისბარ ერთის ძმისა იყო და ნახევარი ტაგნაგეთი საუფროსოთი იმათ ჰქონდათ და ზაზა ერთის ძმის იყო, ნახევარი იმ მარტოს ჰქონდა. იასემ თავისი წილი აბდულაბეგს მიჰყიდა და ელისბარ დაუფირავა და ზაზას თავთავისი ეჭირა. აბდულაბეგის შვილები რომ გადარიბდნენ და თავისის გულის სიტყვისაგან ცალიერნი დარჩნენ, სანატრელს მეფეს მოახსენეს, ტაგნაგეთი და სხვა რაც ან ნასყიდი გვაქვს ან გირაო ან თქვენ დაიხსენითო ან განაყოფებს დაახსნევიანეთო. ჩვენ ყიზილბაშში მივალთო, ხარაბა არის და ოკერი, სხვა ვინ იყიდისო. სანატრელმა მეფემ მანუჩარს და იორამს და ზაზას ყარან მდივანი მიუგზავნათ: დაიხსენით გასყიდულიცა და დაგირაოებულისა და თქვენი არის და დაიჭირეთო. უარიც მოახსენეს, რადგან ხარაბა იყო, მაგრამ სხვა მსყიდველი რომ არა-

ვინ იყო, დაახსნევინეს და მანუჩარს და იორამს ჰქონდათ. მაგრამ მგზავრათაც ვერ გაივლიდნენ ლეკის შიშით. მერმე მანუჩარს რომ საქმე გაუჭირდა, ძმა კახეთს გავიდა, იქ რჩებოდა, ეს თავისი წილი მე მომყიდა თავისის ძმის კითხვით და ნებადართვით. ამ წყალობას ვითხოვ, რადგანც მეფე(მ) იასაულით დაახსნევინა ოკერი ხარაბა მამული გასყიდულიცა და დაგირაოებულიცა, თუ იმ დამგირაოებელიც შვილისა გამოჩნდეს ვინმე, თავისი წილი ორთავ მივცეთ და თუ არ გამოჩნდეს, ისიცა და ნასყიდიცა ძმურად გავიყოთ უფროს უმცროსულად როგორც გვაქვს. კაცი ხომ არ არის და მიწა არის მეოთხედი იმისი წილი და სანატრელის მეფის ბრძანებაც ასე არის. ახლა გაყრა მინდა, ამისთვის რომ თქვენს ნათლულებს საშფოთავი არა ჰქონდესთ რა. ჩემის ხემწიფის ბძანება და ოქმიც მაქვს, რომ უნდა გ(ა)ვიყარო და გაყრაში თქვენ გასამყრელო მიწა გერგებათ, ის თქვენი გასამყრელო თქვენს ნათლულებს უბოძეთ. წესი ასეა, გასამყრელო ხემწიფისა არისო. იქნება თვითან დაიქვროსო, იქნება ორთავ აქრთამებინოსო, იქნება ერთს. ბევრი რომ გერგოსთ, ორმოცის დღისა ძლივ გერგებათ, ოცი ჩემი წილი და ოცი განაყოფისა. ეს თქვენს ნათლულებს აღუთქვით და გვიმსახურეთ, თქვენი სადიდებელი იქნება, თქვენს სახელზედ რომ ორის დღის მიწა ჰქონდესთ. საკუთარი სოფელი რომ გვაქვს, იმას ახლა გავიყოფთ და დღეს შენობაც არის და ხარაბა სოფელი ნახევარი ასურეთი გვაქვს, ნახევარი შინდისი, ნახევარი სალორისი, მეოთხედი დაბახმელა (sic). ესენი როდისაც გავიყოთ იმ ხარაბა სოფლებისა რომ ჩვენი არავინ სახლობს, როსცა გავიყოთ, იმების გასამყრელო თქვენი წილი მე მებოძოს და სამსახურიც მიირთვით, დღეს რასაც ვიყოფთ იმისიცა და ან რაც განაყოფი გვაქვს იმისიცა. ერთის ოქმის წყალობა მიქმენით. გირაო რომ დაუხსნიათ, ისიც მამულად გვებოძოს თუ პატრონი არ მოუვიდეს, რადგანც ძმის მამული დაგირაოებული, ოხერი და ხარაბა დაგვიხსნია, არავინ გვეცილებოდეს და გასამყრელოც საკუთრად ჩემი იყოს. ჩემო ხელმწიფე, ასეთი წყალობა მოიღვეით, რომ ბეითალმლად არავინ გვეცილოს ელისბარისაგან დაგირაოებულს და მეფის თეიმურაზის ბძანებით და იასაულით დახსნილს ზახასაგან, მანუჩარისაგან და იორამისგან.

1784 წ. დარეჯან დედოფლის წყალობის წიგნი იესე მსაჯულისადმი (№ 57).

წყალობითა შლთისათა ჩვენ დედოფალმან დადიანის ასულმან პატრონმან დარეჯან ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ მსაჯულს იესესა და შვილთა თქვენთა, ასე რომე გავაზს შენი ნასყიდი კაცები ესახლენ სამი კვამლი. მისის სიმაღლის ოქმები გქონდა აყრისა და ის კაცები ჩვენც ბევრჯელ აგიყარეთ და მოგეცით, მაგრამ ხელში არ ჩაგიცვიდნენ, ზოგი ლეკში გაიქცა, ზოგი დაიფანტნენ. მასუკან შენ ის გლეხები დაგელოპარაკნენ: თუ გავაზიდგან არ აგყერი, ჩამოვალთო.

ისინი ჩვენ მოგვარბი და მაგიერი წყალობა ითხოვე. რადგან შენი ნა-  
სყიდები იყენენ, ოქმებიცა გქონდა და იმ კაცების მოცემული წიგნე-  
ბიც ხელთა გქონდა, ცაჩიელს ვერ გაგიშვებდით, უსამარალო იქნე-  
ბოდა. ის გლეხები გავაზ(ს) დავამკვიდრეთ ჩვენს სახასოთ და თქვენ  
გიბოძეთ ამ გლეხების სამუთაქოთ (sic) დიდვამს ჩვენი სადელოფლო. მამუჩის  
შვილი გიორგი და იესე გენებაშვილი, გოგია თედიას შვილი და მა-  
რიაშვილი და როსტიაშვილი სვიმონა და კავთელა თავეთის წყალითა  
და მამულითა. გენებაშვილი დავითა ჩვენს შვილს გიორგის მზარეულათ  
ახლამს და კიდევ იმისი ძმისწულიცა, იმათან ხელი ნუ გაქვს და იმათ  
მაგიერი როსტიას შვილები რომ დავგიწვრია, ისინი გვიბოძებია. რად-  
გან შენი შვილები ჩვენგან არიან დანათლულები, ეს გლეხები თავე-  
თის მამულითა სამკვიდროთ წყალობით და გაცვლით გვიბოძებია და  
თეშქაშიც კარგი მოგვართვი და ღმერთმან მოგახმაროს. შემდგომთა  
ჩვენთა ყოველთა გევედრებით, თქვენც დაუმტკიცეთ. დაიწერა ხელითა  
კარისა ჩვენისა მდივნის ავთანდილისათა ივლისის: ა: ქკს უაზ (ადგი-  
ლი ბეჭდის).

მე დიდმის მოურავს აბაშიძე ნიკოლოზ მდივანბეგს ჩემის ხელმწი-  
ფის დედოფლის ბრძანება აღმიხრულებია და დამიბეჭდავს და ეს გლე-  
ხები და მამულებიც მომირთქევია და მომიბარებია, ღონ მოგახმაროს  
მათი წყალობა და შენის სიყუარულისა და მეგობრობისათვის ამ შენს  
გლეხებს მე სამოურაო აღარავის (ვ)თხოვო, შენ იმსახურე ყოველის  
ფერით (ადგილი ბეჭდის).

1784 წ. ზაალ ყაფლანის შვილის მიერ იესე მსაჯულისადმი მიცემული  
გირავენობის საბუთი (№ 58).

ავიღე მე ყაფლანის შვილმა ზალმა და ჩემა შვილებმა. შენ იესე  
მსაჯულისაგან და შენის შვილებისაგან ოცდაექვსი თუმანი ახალი ზა-  
რაფხანის სირზა თეთრი. დავიდევ ამისი გირაოდ ჩემი სამკვიდრო ყმე-  
ბი მესროფას შვილები სამი კომლი, ლალა შვილები სამნი ძმანი, დურგ-  
ლიშვილი. ხეჩუა თავისი შვილებით, ეს ხუთი კომლი კაცი ამ ზემო  
ნაწერის თეთრის გირაოდ მოგეც. სამი წელიწადი ვადა იყოს. თუ ეს  
შენი თეთრი გაურჯელადა მოგაბარო, ამ ვადაზედ ეს ჩემი გლეხები მე  
დამანებო, შენ ხელი არა გაქვს. თუ ამ ვადაზე გარდასცილდეს, ეს  
გლეხები შენი იყოს, მე საქმე აღარა მაქვს. ეს პირობა ღონის წანაშე  
უტყუარია, დამიდვია, ეს თეთრი შენ სხვისაგან აიღე, შენი ბალი დას-  
დევ გირაოდ. მე რომ მეჭარებოდა, ქომაგი მიც(ა)ვ. მეც ეს პირობა მა-  
შიცია, თუ სამს წელიწადზე მოგცე, ხომ ამ გლეხებთან საქმე აღარ გე-  
ქნება, თუ ვერ მოგცე და შენი იქნება და მე საქმე აღარ მექნება,  
ღონ მოგახმაროს, ეს ჩემი ხელია და ბეჭედი, ჩემის ნებით მამიცია.  
არის ამისი მოწამე აშხარბე(გ) (ადგილი ბეჭდის) და ნინია თურქისტანის

შვილი (ადგილი ბექდისა), თავილდარი ფარსადან (ადგილი ბექდისა). მე ზალს დამიწერია და ყაბულიცა მაქვს ამ სანათ-სა. თიბათვის იღ გასულს, ქქს უობ (ბექქედა) ქქს უობ:

ზვეულად: ზაალ.

1796 წ. იესე მდივნის შვილების მიერ თავისი რძალისათვის პირისანახავად მამულის მიცემის შესახებ საბუთი (№ 54).

ღთის ძალითა და შეწვევითა ჩვენ ერთობრივ იესე მდივნის შვილებმა ზაზამ, გიორგიმ, დიმიტრიმ და მინამ ჩვენის ძმის დავითისათვის ბებურის შვილის გურგენის ქალი ვითხოვეთ ქეთევან და მიჯართვით ჩვენს რძალს ნიშნათა და პარის სანახავათ ჩვენი სამკვიდრო მამული სეიდბათის ბალი და ამ ბალს გარდა ოქროას შვილი ბექანა. ღთქორწილსაც მოგვასწრას. მთიბათვის ი, ქქს უპდ.

მე ზაზას ყაბული მაქვს.

მე გიორგის ამის ყაბული მაქვს (ჯვარი). მე დიმიტრი ამ წერილის ნება მაქვს (ჯვარი). მე მინას ამ წერილის ყაბული მაქვს. მე იესე მდივნის შვილს დავიფს ამ ბალის მიცემის ყაბული მაქვს. მე ბებური შვილი სვიმონ ამ საქმის დამსწრე და მოწამე ვარ. მე ივანე აფხაზის შვილი ამ წერილის მოწამე ვარ ამ ზემოხსენებულების სიტყვით.

1801 წ. მსაჯულის შვილის ზაზა ბარათაშვილის და მოლარეთხუცესის სოლალაშვილის ზაზას დავის შესახებ განჩინების საბუთი (№ 52).

მოლარეთ ხუცეს სოლალაშვილს ზაზას მათის უგანათლებულებობის საქართველოს მემკვიდრის მეფის ძის დავითისათვის არზა მიერთმევინა და მსაჯულის იესეს ძის ბარათოვის ზაზასათვის ეჩივლა, სამი კომლი კაცი ჩემი საწილო უჭირავსო და წილს არ მიღებსო. ამაზედ მისს უგანათლებულებობის მეფის ძის დავითის ოქმი იყო, რომ სამართალში უნდა ელაპარაკნათ. ესენი ორნივე მოვიდნენ და ჩვენ შემოგვეხვეწნენ ხერხეულიძე ლაშქარნევისი ომანს და თურქისტანი შვილს იოანეს და გვითხრეს: ჩვენ ორთავ თქვენ გამოვირჩივეთო და ჩვენი სამართალი თქვენ უნდა ჰქმნათო. ჩვენ უარი უთხარით სამჯერ და ოთხჯერ და არ მოგვეშვენენ. დავსხედით წინაშე მღწისა და ვალაპარაკეთ. სოლალაშვილი მოლარეთ ხუცესი ზაზა ჩიოდა: ვარსიმა შვილი ნასყიდა, ირამა შვილი დავითა და ვარსიმა შვილი ძულიას შვილი ნინია ჩემი საწილო არისო და საკუთრად მავას უჭირავსო და წილს არ მიღებსო და კიდევ ერთი ოქმიც მოიტანა, მეფის ირაკლისათვის სოლალაშვილს იორამს არზა მიუერთმევა და იმ არზის ზურგზე თავის ცემების სახელები სიათ მოუწერია და ამ არზაზე ოქმი იესე მსაჯულს მოუწერია, რომ ეს კაცნი ამ იორამის მემკვიდრე ყმანი არიანო და ამას დაანებეთო. სოლალაშვილმა ზაზამ გვითხრა, აი მაგისის მამის ხელიო და მავას რაღასიტყვა აქვსო. იესე მსაჯულის შვილმა ზაზამ მიუვო, მართალია ეგ არა



шой церковью (о ней см. ук. мой „Краткий отчет... и т. д.“ в V вып. Изв. КОМАО,  
стр. 27—29 и 34—35; к приведенной там главнейшей старой литературе должно до-  
бавить здесь ссылку на „Труды комиссии по сохранению древних памятников“ в осо-  
бой серии „Древностей“ Московск. Археологич. Общ., т. IV, Москва, 1912, стр. 34—39  
и табл. I и II, а так же т. VI, Москва, 1915, стр. 122). План этого К'инцвисского  
храма (работа гражданского инженера А. Н. Калыгина) теперь уже напечатан в ук.  
«Album»'е (см. примеч. 2), табл. 48.

<sup>24)</sup> Публикуемый впервые заново святой план Мартвильского собора наглядно  
показывает (различными видами отштриховки) тот новый подход к разбору памят-  
ника, каковой достигнут недавними обследованиями, установившими ошибочность  
анализа А. М. Павлинова (Христианские памятники. Материалы по археологии Кав-  
каза, вып. III, Москва, 1893, стр. 46 и сл.; ср. рис. 36 на стр. 48). Основная построй-  
ка (взято частой заштриховкой) вполне по плану примыкает к группе церквей „типа  
Мхетского Джвар-и“; при последней «реставрации» (в середине XIX в.) древние сте-  
ны во многих местах проломаны (показано рваной заштриховкой), а продольные  
фасады закрыты новыми кожухами (взято редкой заштриховкой). С запада примыкают  
разновременные пристройки (не заштрихованы).

<sup>25)</sup> Предложенная Г. Н. Чубинашвили датировка этого своеобразного па-  
мятника едва ли может быть принята безоговорочно. Вопрос нуждается, по моему  
мнению, в пересмотре.

<sup>26)</sup> Описание см. в ук. соч. „Краткий отчет... и т. д.“ в V вып. Изв. КОМАО,  
стр. 11—12.

<sup>27)</sup> Описание см. там же, стр. 12—14. Изображение трюма и южного входа  
взяты из этого же издания. Некресский купольный храм, вследствие наличия многих  
характерных черт, должно, по всем вероятностям, отнести ко времени несколько более  
позднему, сравнительно с датировкой предложенной Г. Н. Чубинашвили.



Акварель—вид на алтарную часть, с показанием остатков стенописи. Б) Колокольня; кирпичная, столбобразная, четырехэтажная; XVI в. Планы, фасад и разрез. 3 витрины фотографий.

Руис-и—რუისო (Крт). Купольный храм; X—XI в.в. (многочисленные починки и перестройки). Незаконченный план.

Сагурамо — სავურაძის (Кх). Георгиевская базилика „К'асур-и“. VIII в. План и восточный фасад.

Самц'еврис-и—სამცევერისო (Крт). Центральнокупольный крестовый храм<sup>28)</sup>; нач. VII в. (позднейшая пристройка с юга). План, два фасада—южн. (см. рис. 2) и вост., два разреза (продольный и поперечный) с чертежами деталей на полях. Рисунок—общий вид с юга. Витринка фотографий.

Сионский собор (см. Тифлис).

Старое Гаваз-и (см. Гаваз-и).

Старая Шуамт'а (см. Шуамт'а).

Тифлис—ტიფლისო. А) Анчисхатская трехнефная базилика; нач. VI в. (многочисленные починки и перестройки). План, вост. фасад и 2 разреза (продольный и поперечный). Б) Подробный обмер Анчисхатской колокольни 1675 г.<sup>29)</sup>. В) Джварис-Мама. Поздний храм типа купольных зал с пристройкой с зап. План (см. рис. 11). Г) Сионский собор. Купольный храм (многочисленные

починки и перестройки). План. Щит и еще три витринки с акварелями, изображающими старый Тифлис и его окрестности.

Т'хинвал-и—თხინვალი (близ Тифлиса; бывш. владение Габашвили). Акварель—общий вид развалины дворцового сооружения и части базилики.

Урбнис-и—ურბნისო (Крт). Трехнефная базилика; нач. VI в. (многочисленные починки и перестройки). Два плана, зап. фасад и два разреза—продольный (на юг) и поперечный (на вост.)<sup>30)</sup>.

Ч'икаан-и—ჭიკაანისო (Кх). Купольный храм; кон. XVI в. План и рисунок (внутренний вид).

Шильда—შილდა (Кх). Рисунок (общий вид) кладбищенской базилики.


Шихнан-и—შიხნანისო (см. Аг'дго-ма).

Шуамт'а (старая)—ძველი შუამთისო (Кх). А) Схема расположения зданий монастыря. Б) Базилика; V в. План и два разреза—продольный (на юг) и поперечный (на вост.). В) Бóльший центральнокупольный крестовый храм; VII в. План и два разреза—продольный (на юг) и поперечный (на вост.). Г) Малый центральнокупольный крестовый храм; VIII в. План и продольный разрез (на юг).

<sup>28)</sup> Более подробно см. Указатель I выставки, стр. 23, №№ 235—245. Этому памятнику был посвящен доклад Г. Н. Чубинашвили, читанный 13/II. 1919 г. (см. Известия Кавк. Отд. Моск. Арх. Общ., вып. VI, стр. 43, VII).

<sup>29)</sup> M. Brosset, Voyage archéologique en Transcaucasie. Rapports... etc., 2-e livraison, S.Pb., 1850, V rapport, p. 27 № а. Текст и русский перевод надписи, датирующей колокольню, см. так же Платонъ Юсселиани, Описание древностей города Тифлиса. Тифлисъ, 1866, стр. 25.


<sup>30)</sup> Все эти чертежи вошли в ук. «Album» (см. примеч. 2), табл. 50—53.



Обмерял и чертил Н. П. Северов.

მარტივის. მარტივის სობორი. პლან.

Рис. 2.



Обмерял и чертил Н. П. Северов.  
სამცხევისკის. სამც'ევრის-ი. Южный фасад.

Рис. 3.



По снимку С. П. Полевого рисовал М. Г. Калашников.  
ბეკრესის. Южный вход Некресского купольного храма.


Рис. 4.



Обмерял и чертил Н. П. Северов.

ბეკრესი. Продольный разрез Некресского купольного храма.


Рис. 5.



По снимку С. П. Полевого рисовал М. Г. Калашников.


ბეკრესი. Сев.-зап. тропა Некресского купольного храма.





Обмерял и чертил Н. П. Северов.


Бугуруч. Малая Некресская базилика. А) План. Б) Поперечный разрез. В) Продольный разрез.



Обмерял и чертил Н. П. Северов.

Бугуруч. Большая Некресская базилика. План.


Рис. 8.



Обмерял и чертил Н. П. Северов.


ზედაზენის, ზედაზენის დიდი ბაზილიკის. პლანი; სპერეკის რეზი და დეტალი  
(არხი სე. აბსიდის).

Рис. 9.



Обмерял и чертил Н. П. Северов.


ალავერდი ალავერდისკი სობორი. პლან.



Обмерял и чертил Н. П. Северов.

ალავერდის. ალავერდსკი собор. Восточный фасад.





Обмерял: Д. П. Гордеев.

Чертил Н. П. Северов.

ჯვარის მამა. Джварис-Мама. План.

## პატარა წერილები და უენიშვნება

ეგრედ წოდებულ ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესახებ. როგორც ცნობილია, ბექა-აღბუღას სამართალს კანონების საერთო კრებულებში თან მსდევს (§ 99) ბაგრატ კურაპალატის სამართალი, რომელიც იწყება ამ გვარად: „სახელითა ღუთისათა დაიწყების საღმთოსა გაჩენილი და გასჩენელი პირველად დავითიან ბაგრატ კურატპალატ და აღაშენებელთა მეფეთა მეფეთა ბრძანებითა და მერმე ებისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ქუჩიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამდ გაჩენილი განგებითა ღუთისათა“... ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძემ ვახტანგის კანონების რუსულ თარგმანის გამოცემის დროს (Сборник законов груз. царя Вахтанга VI, Тиф. 1887 г.) აღნიშნა (გვ. 117: შენ. 2), რომ ამ ადგილის მიხედვით აღბუღას უნდა ცოდნოდა ძველად ქართულად დაწერილი კანონების შესახებ. ამასდა მიხედვით დიმიტრი ბაქრაძე ყრულ თითქოს ფიქრობდა ამ კანონების მიკუთვნებას უფრო ძველი დროისთვის, ყოველს შემთხვევაში, ტექსტში ბაგრატ კურაპალატის მოხსენების გამო, არა უგვიანეს მე-11 საუკუნისა. შემდეგ ამისა ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა მეტად პრობლემატიური დებულება, თითქოს ეგრედ წოდებული ბაგრატ კურაპალატის კანონები შედგენილი იყოს მე-8-9 საუკუნეთა მიჯნაზე (ქურნალი ერი 1909 წ. № 2, წერილი ივ. ჯავახიშვილისა ქართულ სამართლის ისტორიიდან და შემდეგ კიდევ სახალ. ფურც. № 278 1915 წ., შეად. კიდევ მისივე — ქართული საფას-შეცოდნობა, ჩვ. მეცნ. № 1, 1924 წ. გვ. 147, სადაც ავტორი ფიქრობს თეთრის დადასტურებას საფასის ერთეულად მე-11 საუკუნისათვის, როგორც ჩანს, ბაგრატის სამართლის მიხედვით, რადგან ამ სამართალში ფულის ერთეულად თეთრი იხსენიება).

1912 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში „სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი“ (ტფ. 1913 წ.) ამავე საკითხის შესახებ ჩვენ ვწერდით: „ამ სჯულმდებლის ბაგრატის სამართალი, რომელიც დ. ჩუბინოვის გამოცემით 77 მუხლს შეიცავს, ჯერ სრულიად შეუმჩინებელი იყო, ხოლო შემდეგ მისი შედგენა მაკუთვნეს მე-11 საუკუნეს. მაგამ როგორც გარეგანი სტილისა, ისე რეალური შინაარსის მიხედვით ყოველად შეუძლებელია ეს სამართალი ასე ადრინდელ დროს შედგინოთ. ერთის შეხედვითვე ის წარმოადგენს შუა საუკუნეების ბოლოდროინდელ ნაწარმოებს. ამ საკითხის გაკვეთას ის გარემოება აფერხებდა, რომ ჩვენ-

მა ისტორიამ არ იცის არც ერთი მღვწე ბაგრატი კურაპალატის სახელწოდებით შემდეგ მე-11 საუკუნისა“ (გვ. 3). შემდეგ, მე-11 საუკუნის ნიკორწმინდის ცნობილ სიგელის მინაწერის მიხედვით, რომელ მინაწერშიდაც მოხსენებულა „მეფე კურაპალატი“, მინაწერის ქორონიკონის 236 აღწაკითხვით\*), ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს მეფე ბაგრატი კურაპალატი უნდა ყოფილიყო რაქა-არგვეთის (ჩხარის) მფლობელთაგანი და ზედ სახელად კურაპალატად იწოდებოდა. სხვა სიგელებში მოხსენებულ ამავე მეფის ინდიქტიონის მიხედვით ჩვენ კიდევ ვფიქრობდით, რომ ბაგრატი კურაპალატი უნდა გამეფებულიყო 1541 წ. 13 ივნ.—8 აგვ. შორის და ცოცხალი ყოფილიყო 1548 წელსაც. ამ ბაგრატი კურაპალატის პიროვნებასთან ჩვენი მაშინდელი აზრით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სჯულმდებელის ბაგრატი კურაპალატის ვინაობაც (დასახ. მონოგრაფია).

ამ ეპოქად შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ხსენებული აზრი ბაგრატის 1541 წლიდან რაქა-არგვეთის ტერიტორიაზე მფლობელობის შესახებ არ გამართლდა. ჩვენ შეცდომაში შეგვიყვანა იმ გარემოებამ, რომ მიიპოვებოდა ორი სიგელი და ეხლა კიდევ მოიპოვება დამატებით ერთი, რომელშიდაც ბაგრატი აფხაზ-იმერთა მეფის გამეფება ინდიქტიონის მიხედვით ნაჩვენებია არა 1510 წელს, არამედ 1541 წ. ეს სიგელებია: 1) ნიკორწმინდის 1544 წლის სიგელი, ეხლა უკვე დაკარგული, მიცემული 9 აგვ. 1544 წ. ბაგრატის მეფობის მე-4 ინდიქტიონს. ამ სიგელის ტექსტი დაბეჭდილი იყო ნახსენებ მონოგრაფიაში (ს. კაკაბაძე. სჯულმდებელი ბაგრატი კურ., 4—11), 2) გელათის წმ. გიორგის დიდი სიგელი, 1545 წ. 12 ივნისს მიცემული იმავე ბაგრატის მე-4 ინდიქტიონს (საქ. სიძვ. I, 17—25; ს. კაკაბ., აფხ. საკათ. გლმ. დიდი დავთარი, 48—50) და 3) ცირლილაძეთა სიგელი, მიცემული იმავე ბაგრატი მეფის, მისი ცოლის ელენე დედოფლის და შვილების: გიორგი, თეიქურაზ, კოსტანტინეს მიერ, გენათელის მღვდლისედიკ საყვარელიძას შუამდგომლობით 1545 წ. 19 ივლისს მეფობის ინდიქტიონს მეთხუთხე. ეს უკანასკნელი სიგელი, ტყავზე დაწერილი, დაცულია ამ ეპოქად ქუთაისის მუზეუმში. საყურადღებოა, რომ სამივე ეს სიგელი და-

\*) შემდეგ ჩვენ შევასწორეთ ამ მინაწერის ქორონიკონის წაკითხვა 106-ად (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი, 4), მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მინაწერის ტექსტში მოხსენებულია შაური (სჯულმდ. ბაგრ. კურ., 5), ხოლო შაური, როგორც ფულის სახელწოდება, უკავშირდება მე-16 საუკუნეზე არა-აღრინდელ ხანას (ზემოდ ს. კაკაბ., სასისხ. სიგელების შესახებ, 86), ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ნიკორწმინდის მე-11 საუკუნის სიგელის მინაწერი, მანოელ ნიკორწმინდელის მიერ შესრულებული ბაგრატი კურაპალატის მოხსენებით, უნდა ეკუთვნოდეს მე-16 საუკუნეს. მინაწერის ქორონიკონის პირველი წაკითხვა (236=1548 წ.) უფრო სწორი უნდა იყოს.

წერილია ერთი და იმავე პირის გიორგი აბაშიძის ხელით. ინდიკტიონების მიხედვით ბაგრატის გამეფებას ეს სიგელები თითქოს ადასტურებენ 1541 წ.. მაგრამ ამასთანავე ერთად საყურადღებოა და საკითხისთვის საბოლოოდ გადაწყვეტი მნიშვნელობის გარემოება, რომ, როგორც დედნების შედარებიდან დავრწმუნდი, ბაგრატ მეფის ხელისმოწერა 1545 წ. ცირილიაძეთა სიგელზე იგივე არის, როგორც გაბელიძეთა 1512 წლის სასისხლო სიგელზე. ამიტომ ეს საკითხი—გარდა ბაგრატ ალექსანდრეს ძისა მე-15 საუკ. პირველ ნახევარში ლიხთ-იმერეთის ტერიტორიაზე კიდევ სხვა ბაგრატ მეფის არსებობის შესახებ—უნდა მოიხსნას და ხსენებულ სიგელების მიერ ინდიკტიონის არა-ჩვეულებრივად მოხსენებას მოეპოვოს სხვა განმარტება. ჩვენის აზრით, ბაგრატ-ს მეფობის ინდიკტიონის ხელმოწერედ დაწყება 1541 წ. შეიძლება აიხსნებოდეს სამეფოს შინაგან ცხოვრებაში მომხდარ რაღაც თვალსაჩინო ცვლილებებით. აღსანიშნავია, მაგ., რომ მე-16 საუკ. დასაწყისში ლიხთ-იმერეთის სამეფოს სავაზირო შეიცავდა 8 ვეზირს, ხოლო 1554 წ. კი ხოლოდ 3 ვეზირს (ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი, ტფ. 1920 წ. 70—71). ეს გარემოება კი შეიძლება გვიჩვენებდეს ლიხთ-იმერეთის სამეფოში მე-16 საუკ. პირველ ნახევარის სიგრძეზე მომხდარ რაღაც შინაგან ცვლილებას. მაგრამ ისიც შესაძლებელია (თუმცა უფრო ნაკლებ მისაღები), რომ მწიგნობარი გიორგი აბაშიძე ინდიკტიონის რიცხვის აღნიშვნით ნამდვილად უჩვენებს მის მიერ სამეფო კარზე მწიგნობრის როლში მუშაობის დაწყების თარიღს.

საქიროდ ვთვლით ამასთანავე აღნიშნოთ, რომ ვინაიდან საერთო შთაბეჭდილების მხრივაც ბაგრატ კურაპალატის სამართლის მიკუთვნება მე-16 საუკუნისთვის ძნელი იყო (თუმცა რასაკვირველია ასეთი დათარიღება ბევრად უფრო ახლოს იყო ქვეშარიტუბასთან, ვიდრე ამ ძეგლის მე-8—9 საუკუნისთვის მიკუთვნება), ამიტომ შემდეგ ჩვენ გავერით ვუკავშირებდით ხსენებულ სამართალს მე-15 საუკ. პირველ ნახევარს, როდესაც ლიხთ-იმერეთს 1432 წელზე უწინარეს მართლაც დადასტურებულია ბაგრატის სახელის მატარებელი პირი მეფის ტიტულით (ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი, 1—6).

საკითხი იგრედ წოდებულ ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესახებ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ცდა ამ საკითხის გარკვევისა ჯერ კიდევ რამოდენიმეჯერ შეიძლება განმეორებულ იქნას. ჩვენ ამ ეამადაც ვაზრახვა არ ვვაქვს საკითხს ამოწურვით შევცხოთ. მხოლოდ შევეცდებით ზოგიერთ მოსაზრების მოყვანას საკითხის რამოდენადმე მაინც გასაშუქებლად. ეხლაც, ისე როგორც წინადა, ჩვენ უმთავრესად ვვაინტერესებს საკითხი კანონების შედგენის დროს შესახებ, რასაც რასაკვირველია აქვს უღატესი მნიშვნელობა ძეგლის სათანადოდ გამოსაყენებლად.



ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ძველი, რომელიც სულ 77 მუხლს (§§ 98—175) შეიცავს, წარმოადგენს სისხლის საპართლის ცალკე დანაშაულობათათვის დადებულ საგარდასახადო და საპატიყო ნორმების განსაზღვრას და ეს განსაზღვრა იმ შემთხვევებში, როდესაც ის ფულით წარმოებს, თეთრის ანგარიშით არის მოყვანილი: „თუ კაცმა ხუცისა ცოლი შეჰკუარდეს:.. მისსა სისხლსა სამოცი ათასი თეთრი სხვა ეპატოს“ (§ 104). „თუ ეპისკოპოსსა დიდებულმან აგინოს ორმოცი ათასი თეთრი დაუფრვოს და დიდად შეხვეწნით“ (§ 106 და სხ. შეად. კიდევ § 107, 115, 119 და სხ.). ეს გარემოება მტკიცედ უკავშირებს ძველს მე-13 საუკუნის შემდეგდროინდელ ხანას, რადგან თეთრი გარკვეულ ფულის აღსანიშნავად, როგორც ვნახეთ (ზემოდ წერილი—სასისხლო სიგელების შესახებ), შემოდის მხოლოდ მე-13 საუკუნის ნახევრიდან. გარდა ამისა საყურადღებოა, რომ ძველს მოხსენებული აქვს საპირო გარდასახადი შემდეგნაირად: „§ 159. საპირო და სანახშირო (დ. ჩუბინოვს შეცდომით დაბეჭდილი აქვს: ს ა ნ ა გ ე ბ ი) რამე წინა გასაძღვანებელი არის სრულისა სისხლისა ოცი ათასი, ნახევარი სისხლისა ათი ათასი, ხელთა შეპყრობისა ხუთი ათასი, გასინჯვა უნდა რაცა ვის რა სასისხლო სჭირდეს. § 160. საპირო და ამის მისითა წესითა წინა გაუძღვანეთ და აგრე გაიბრქვენ, დიდისა დიდი გააჩინეთ და ცოტასი ცოტა. ესე გლეხის სისხლისა დიდებულთა და აზნაურთა საპირო იქნების ოცდაათი ათასი, ჩვიდმეტი ათასი, თორმეტი ათასი, შეიდი ათასი, როგორც ვის მართებს აგრე გააჩინეთ“. მე-159 მუხლში მოხსენებული საპირო სანახშირო წინა გასაძღვანებელი განსაზღვრული უნდა იყოს, ჩვენის აზრით, დიდებულის ნორმის მიხედვით, მე-160 მუხლში კი ნაჩვენებია საპირო დიდებულისთვის 30 ათ., პირველ აზნაურისთვის 17 ათ., მეორე აზნაურისთვის 12 ათ. და მსახურისთვის 7 ათ. თეთრი. ბექას და აღბულას კანონები, სადაც სისხლი განსაზღვრულია წოდებრივ მდგომარეობის მიხედვით დაახლოვებით ამავე გრადაციით (დიდებულის სისხლი 40 ათ. თ., ციხოსან აზნაურის— 20 ათ., უციხო აზნ.— 12 ათ., მსახურის 12 ათ. და 6 ათ. და გლეხის 1 ათ. თ. და 400 თეთრი), უნდა ადასტურებდეს ამ მუხლის ცნობების ასეთ კვალიფიკაციას. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ სასისხლო სიგელებში მე-15 საუკუნის დასაწყისამდის ამის თანამითვლით უმეტეს ნაწილად არ იხსენიება ცალკე გარდასახადი სანახშირე და საპირო, არამედ სანახშირე და, საგულისხმებელია საპიროც, შედის სასისხლოს პთელს, ჯამში. ამას ვხედავთ ნიქაბაძეთა 1251 და 1325 წლის სასისხლო სიგელში. აგრეთვე გელაძის სასისხლო სიგელში, ცირლილასძეთა 1408 წ., ყიფიანთა მე-15 საუკ. დასაწყისში მხოლოდ მიქელაძეთა 1326 წლის სიგელში მოხსენებულია სანახშირე:

გარდასახადი. მე-15 საუკ. პირველ ნახევარში კი ეს დამატებითი გარდასახადი მოხსენებულია გირგალისძეთა სიგელში, კოტრიძეთა 1432 წლის, გურალიძეთა აგრეთვე 1432 წლის საბუთში, მაგრამ არ არის იაკობისძეთა 1432 წელსვე მიცემულ სიგელში. მე-15 საუკუნის მეორე მესამედიდან კი სანახშირე და აგრეთვე საპირო-საზაოც ერთად ან ერთი მძინე ახასიათებს დას. საქართველოში დაწერილ სასისხლო სიგელებს უკვე ჩვეულებრივ. რადგანაც ბაგრატის სამართალში საპირო და სანახშირე გარკვევით დაკანონებულია, ამიტომ შესაძლებელია სასისხლო სიგელებზე დაკვირვების მიხედვით დაშვებულ იქნას სამართლის შედგენის დროდ დაახლოვებით მე-15 საუკ. პირველი ნახევარი, როდესაც, როგორც ამას სასისხლო სიგელები ადასტურებენ, პრაქტიკა და უფლებრივი შეგნება თხოულობდა სანახშირე და საპირო გარდასახადის დაკანონებას.

გარდა ამისა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბაგრატის სამართალი უჩვენებს სანახშირეს სრული სისხლისას 20 ათ. თეთრს. თუ აქ დიდებულისთვის დადებული სანახშირე იგულისხმება, მაშინ მივიღებთ, იმავე სამართლის საპირო გარდასახადის ნორმების მიხედვით, პირველი აზნაურისთვის სანახშირეს დაახლ. 12 ათ. თეთრს, მეორე აზნაურისთვის 7—8 ათ. თეთრს და სხ.. და მართლაც საყურადღებოა, რომ თულასძეთა 1446 წლის სასისხლო სიგელში სანახშირე ნაჩვენებია 12 ათასი, მაშინ როდესაც სრული სისხლის მიხედვით თულასძეთითქოს პირველ აზნაურთა რიგს ეკუთვნოდა (მისი სასისხლო ოღნავ აღმატებოდა აღბულას მიერ ციხოსან აზნაურისთვის დადებულ ნორმას, ამის შესახებ იხ. ზემოდ, ს. კაკაბ., სასისხლო სიგელების შესახებ, 93). თულასძეთა სიგელის ამ ცნობის შესაბამისა ბაგრატის სამართლის შესატყვის ცნობასთან, გათვალისწინებით იმ გარემოებისა, რომ თულასძეთა სიგელი წარმოადგენს სასისხლო სიგელებს შორის მკვეთრად ჩამოყალიბებულ და კანცელარული სტილის თვალსაზრისით კარგად შესრულებულ საბუთს, უნდა უკავშირებდეს ბაგრატის სამართლის წარმოშობას თულასძეთა 1446 წლის სიგელთან ახლო ხანას.

თვით თეთრის რაოდენობის რიცხვობრივი ხმარება სამართალში გასაგები ხდება ყველაზე უფრო მე-15 საუკუნის პირველი ნახევარისათვის. მაგ., მღვდლის ცოლის შეცდენისათვის სრულს სისხლს ემატებოდა 60 ათასი თეთრი (§ 105), ეპისკოპოსის გინებისთვის დადებულია დიდებულისაგან 40 ათ. თეთრი, აზნაურისაგან 20 ათ. თეთრი (§ 106—107). ეს ცნობები შეუძლებელია მე-14 საუკუნეს იქნას მიკუთვნილი, რადგან თეთრის ზომა მაშინ საკმად დიდი იყო და მასში ორი დრამა ითვლებოდა. აღბულას სამართალით თვით დიდებულის სისხლი 40 ათ. თეთრი (აღბულასავე განჩინებით 200 ათ. დანგი ვერც.)

ლირდა. მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში კი ჩვეულებრივი თეთრი დაახლ. 1<sup>1/2</sup> დანგის ვერცხლის შემცველი უნდა ყოფილიყო. ამ ზომის დაახლოვებით უდგება ბაგრატიის სამართალში თეთრის ანგარიშით მოხანებული რიცხვები სასისხლო სიგელებში დაცულ ანალოგიურ ხასიათის ცნობებთან დაკავშირებით.

საყურადღებოა, რომ სამართალი გაჩენილი ყოფილა „პირველად დავითიან ბაგრატ კურატპალატ და აღმაშენებელთა მეფეთ მეფეთა ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ქვეიანთა კაცთა (მიერ) მეფეთა წინაშე“. რადგანაც სამართლის დაკავშირება მისი საერთო ხასიათის მიხედვით შეიძლება მე-15 საუკ. პირველ ნახევართან, ამიტომ ცხადია, რომ „აღმაშენებელ“ მეფეთ-მეფედ აქ შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ დიდი ალექსანდრე I.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ბაგრატიის სამართალი შეიცავს სხვათა შორის სასისხლო გარდასახადის დეტალიზაციასაც ცალკე დანაშაულობათა მიხედვით. ასე, მაგ., იქ განსაზღვრულია სისხლის რაოდენობა ცოლის წაღებისათვის (§ 135), გამოთრევისა და ხელად გატარებისათვის (§ 123), თვლის, ხელფეხის დაგეშისა, პირის დაღისათვის (§ 124), ცემისთვის (§ 126), მუქარისთვის (§ 127—128), წინა და ლკანა კბილის ჩაგდებისათვის (§ 142—143), ჯოგის წასმისათვის (§ 141), გრძნეულობის შეყვივებისათვის (§ 146) და სხ. მოკლედ, ყველაფერი ის, რაც საერთოდ ახასიათებს სასისხლო სიგელებს დანაშაულობათა დეტალიზაციის მხრივ, ბაგრატიის სამართალში თითქმის მთლიანად და ამას გარდა კიდევ ახალი მუხლების დამატებით წარმოდგენილია ზოგადად ჩვენებით, სახელდობრ ამა თუ იმ დანაშაულისთვის უმეტესად სისხლის ნაწილადების განსაზღვრით. ამიტომ, ჩვენის აზრით, შესაძლებელია დაშვებულ იქნას, რომ ვერ. წოდებული ბაგრატიის სამართალი არის სწორედ ის „დიდისა ბრჭობისა განაჩენი“, რომელიც იხსენიება ვაჩნასძეთა 1455 წლის სასისხლო სიგელში და რომელიც, როგორც სჩანს, შეიცავდა სასისხლოს დეტალიზაციას ცალკე დანაშაულობათა მიხედვით. ხოლო ვინაიდან „დიდისა ბრჭობისა განაჩენი“ მოქმედობდა აღმოს. საქართველოში (იხ. ზემოდ წერილი სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 51—52), ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბაგრატი, კურატპალატად წოდებული, არ უნდა ყოფილიყო ლიხთიმერეთს მე-15 საუკ. პირველ მეოთხედში მეფედ ცნობილი ბაგრატი, მამა ვახტანგ გორგასალად წოდებულისა, არამედ ძმა დიდ ალექსანდრე მეფისა. ეს ბაგრატი, ალექსანდრე მეფის ძმა, იხსენიება 1414 წლის მკხეთის ერუას სიგელში (ქრონ. II, 221; ისტორ. საბუთ. II, 10) და შემდეგაც აღბად ცოცხალი იქნებოდა. საყურადღებოა, რომ სამართალში ბაგრატი მეფედ არ იხსენიება („პირველად დავითიან ბაგრატი

კურატპალატ და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა“...), თვით ის ფაქტი, რომ სამართალის „გაჩინაში“ მონაწილეობას ღებულობდენ ებისკოპოზნი, დიდებულნი, აზნაურნი და ქვეიანნი კაცნი, მართლაც უნდა გვიჩვენებდეს სამართლის შედგენისას „დიდი ბრჭობის“ მოწვევას.

ამიტომაც და სასისხლო სიკვლებთან დაკავშირებით ახლად მოპოებულ საბუთიანობის მიხედვით გამოდის, რომ ეგრედ წოდებული ბაგრატი კურატპალატის სამართალი, რომელიც მ-ს დევს აღუღას სამართალს (§§ 98 - 175), შედგენილი უნდა იყოს დიდ ალექსანდრე მეფის დროს დიდი ბრჭობის მიერ. მთავარი მოღვაწე ამ საქმისა უნდა ყოფილიყო ალექსანდრე მეფის ძმა ბაგრატი, რომელიც, როგორც სჩანს, კურატპალატის (ტექს.: კურატპალატის) ზედმეტ სახელს ატარებდა. ტერმინი აქ ალბად უნდა იგულისხმობდეს არა მისი რეალური შინაარსით, ე. ი. არა როგორც ხარისხი, არამედ როგორც ისტორიულ მონაგონართა მიხედვით ზედმეტ სახელად მიღებული სიტყვა. ამასთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ დასავლ. საქართველოში მფლობელი მეფე ვახტანგი მე-1430 წლებში ატარებდა ზედმეტ სახელს გორგასალს. ბაგრატის სამართალი ამგვარად უნდა იყოს დიდი ბრჭობის განაჩენი და ამ სახელით ის ცნობილი ყოფილა მე-15 საუკ. ნახევარში. სამართალი (=დიდისა ბრჭობისა განაჩენი) შედგენილი უნდა იყოს 1420—1440 წლებში.

განჩინება მთის გიორგის ყმათა სისხლის შესახებ. ეს განჩინება, რომლის ტექსტი პირველად დაბეჭდილი ჰქონდა თ. ჟორდანიას ქრონიკებში II, 307—309, წარმოადგენს ფრიალ საყურადღებო იურიდიულ ძეგლს. თ. ჟორდანიამ ეს საბუთი დაბეჭდა მის განკარგულებაში მყოფ ორი ახალი პირის მიხედვით და მიაკუთვნა ის აფხაზ-იმერთა მეფის ბაგრატის ხანას (1455—1478), თუმცა ამის დამამტკიცებელი მოსაზრებები არ მოუყვანია. მეორეჯერ ეს საბუთი ჩვენ დავბეჭდეთ (ბაგრატი, უცნობი მე-14 საუკუნის რაქა-არგვეთის მფლობელი, ტფილ. 1913 წ.) გელათის არქიმანდრიტის ზაქარიას მიერ 1806 წ. გადაწერილი პირის მიხედვით (ეს პირი დაიკარგა 1922 წ. გეორგიევსკში). ზაქარია არქიმანდრიტის პირის მიხედვით დაიბეჭდა თვით საბუთი, ხოლო ბოლო მინაწერები კი პეტერბ. აზიურ მკვლევრის კოპიოს თანახმად. საბუთს ჩვენ, მასში დაცულ გენეალოგიურ ხასიათის ფაქტების მიხედვით, ვაკუთვნებდით მე-14 საუკუნეს და მასში მოხსენებულს ბაგრატი შეფხვს ვთვლიდით მე-14 საუკუნის მესამე მეთოხედში რაქა-არგვეთის მფლობელის სახით მცხოვრებ პიროვნებად. ამ ფაქტად ქუთაისის მუზეუმში მოიპოვება ამ სიგელის ძველი პირი, გადაწერილი, პალეოგრაფიულ თვისებების მიხედვით მე-16 საუკუნეში და უფრო ამ საუკუნის ნახევარში ან მეორე ნახევარში, დაწერილი ტყავზე. რო-



გორც სიანს, გელათის არქიმანდრიტის მიერ 1809 წ. გადაწერილი პირი ამ ახლად მოპოვებულ პირთან შედარებით დასოუიკიდებლად ყოფილა შესრულებული. აქვე ვბეჭდავთ ტექსტს საბუთისას ქუთაისის მუზეუმის ძველი პირის მიხედვით. შენიშვნებში აღნიშნულია როგორც ტექსტის შესწორებანი, ისე ზაქარია არქიმანდრიტის პირის მთავარი ვარიანტები ჩვენი 1913 წ. გამოცემის მიხედვით (დედ. = ქუთ. მუზ. პირი, ზაქ = ზაქარია არქიმანდრიტის პირი).

თქუენ: შმადაო: გ'გი: მათისა: მთავარ: მოწა'გო: რაგუარაც: დავით: აღქაშენებლისა: და ძისა: მისისა: დიმიტრისგან: შემოწარული: ყოფილიყო: და (ი)ყო: ჩუენ: მეფეთ: მეფემან: ორთავე: საკელმწიფოთა: ლიკო: იმერისა: და ლიხთ: ამერისა: თუით: ფლობით: მპყრობულმან: პარმშომან: ბაგრატ: და თანამეცხედრემან: ჩუენმან: დედოფალთა: დედოფალმან: ელენე: და: ძეთა: ჩუენთა: გ'გი: და აღიქსანდრე: ვიგულოვთ: თქუენისა: ძალმწეობისა: მოპართ: და<sup>1</sup> ვიგულსმოდგინეთ: და კელეყავით: ახლად: აღშენებად: და შემკობად: ტაძრისა: წენსა: და გარდაიქედეთ: ზეთ: ტყუივითა: და სპილენძითა: და მოვკედნეთ: ხატნი: წმიდის: გ'გისანი: და წმიდისა: მარინასანი: და სხუანი: ძველნი: ს[ა]ხნელნი:<sup>2</sup> ხატნი: გავაახლენით და: შევკვაზმენით: კარნი: ავაბენ: და მოუქედენ: და კლიტენი: მოოწყუენ: და დავაპაგრენ: და ახლად: დაუმტკაცენ: და შემოვსწორენ: მამულნი: და გლეხნი: სახადს: აგარა: მათითა: სახლ: კარითა: სასაფლაოთა: წყლითა: წისქვილითა: მქალითა: (sic) სათიბითა: საყანი: ტყითა: ველითა: მზღურითა: სამართლიანითა: ჟცილებელად: უცვალებელად:<sup>3</sup> შეუცვალებლად: შავორი: ვათა: ძველთაგან: შავორის: მთავარ: მოწამე: იქი: სვენებულიყო: დიდი: სოფელი: ყოფილიყო: შაორი: და აოხრებულიყო: ქამისა: გამოსრულობისათვის: და აწი: ახლად: კელოყავით: აღშენებად: და კაცის: დასახლებად: და სოფელი: შევქენ: (შაორი და) აწ: ახლად: შემოგწირი(თ): და დაგამკუიდრეთ: დავალთ: (sic) სამარხსა: და შერაულ(ას): შუა: წყალსა: გამოღმა: და გაღმა და საწალიკეს: აქათი: ასრე: რომე: თუ არა: მეფემან: და მებართლომემან: ვერავერ: იკადროს: ნადირობად: ქალტა: და ვერკვა: სათიბთა: თიბუა: და ვერკვა: წყლისა: და თევზთა: ნადირობა: ასრე: მკუიდრად: და უსარჩლოვად: დაგუიმკიცებია: აზნაურ: შვილ(ნი):<sup>4</sup> კაცნი: სამნი: სულაძე: გუენცაძე და ფაქოტაძენი: ყუილანი: მ(ა)თითა: ნზღურითა: სამართლიანითა: სახლკართა:<sup>5</sup> ეკლესიითა: (სა)საფლაოთა: (წყლითა) წიქვილითა: ქალთა: სათიბითა: ტყითა: და ველ[თა]: მზღურითა: სამართლიანითა: ყოველთა: ასე და ამა: პირსა: ზედან: რომე: გარაყანიძისა: გუარსა: კაცსა: არა-

ვისრა: კელი: შეუვიდოდეს: არცარა: საქმე: დაიდვას: თბმო-  
რი: ვითა: ძველთაგანც: ყოფილა: მისითა: მიმდგომითა: მზღუ-  
რითა: სამართლიანითა: ძმუისი: ცხრათაფითა: ძველთაგან(აც):  
ყოფილიყო: მისითა: მიმდგომითა: მზღურითა: სამართლიან-  
ითა: კაცეთს: მსხდომნი: ბულუშაძენი: და ზაქარაძენი:  
მათითა: მიმდგომითა: მზღურითა: სამართლიანითა: და შემო-  
გწირეთ: კაც(ი)ეთის: ადგილი: სრულიად: სომყეთის: 6 ქალას:  
აქათა: და ზემო: კერძო: საზღვარს: ქვა: ყუნჯა: წოდებული: ად-  
გალი: ზენა: შუა: ველიეთის მინდორს: აქათ: და სომყეთის: ქა-  
ლას: აქეთ. ამ საზღურებს: შუა: შემომიწირავს: ყოვლის: კაცის:  
უცილებლად: წყნორს: მითათა: შუილები: და ქლიკაძენი: და: აგა-  
რა: რომე: სასახლედ: ქონებია: მებართლომესი: მას: აქათი: მიმო  
და სოფელნი: გლუხნი: ქაშლთას: ქუნქულაძენი: ქოთბოძეძე: მა-  
თი: მიმდგომითა: სამართლიანითა: ასე და: ამა: პირსა: ზედან:  
რომე: ინასარიძემან: გვარმან: ამას 8: ზედან: არა: საქმე: დაიდვას:  
ბობოთს: ვრაძენი: სრულიად: მათითა: წისქულითა: წყლითა: ვე-  
ნახითა: ტყითა: და ველითა: მზღურითა: და როგორათაც 9: პირვე-  
ლად: ასე და: ამა: პირსა: ზედან: ლანანიძემან: და ძაგანის: 10  
შვილთა: მომავალთა 11: საქმე: ვერა: და(ი)დვას: ფონას: [ნოზბევა-  
ნიძე] მათით: მზღურითა: სამართლიანითა: ამა: პირსა: ზედან: სურამი:  
ვისი: გინდა: იყოს: მებართლომეს: მეტსა: კაცსა: კელი: არავის: შეუ-  
ვიდოდეს: არავის არა: ესე: წმიდარა: გვი: მთისა: მთავარ: მოწამეო:  
ჩუენ: მეფეთა: მეფემან: ბაგრატ: ვითარ: პირველითგან: პაპათა ჩუ-  
ენტაგან: შეპოწირული: და: განჩენილი: იყო: აწ: ჩუენ: ახლად:  
დაგიტკიცეთ: და შემოგწირეთ: ჩუენად: სადიდებლად: და ჩუე-  
ნის: მეფობის: წარსამა(რ)თებელად: აწ: ვითა: არა: კადრებულ  
არს: ვგრეთვე: ნუმცა: ვის: მოუგონია: და უკადრებია: და თუ:  
ვინქე: ავაზაკმა(ნ): კაცმან: გვაძალ: მთისა: მთავარ: მოწამე: ხატი:  
კელ(პ)კოს: გატეხად: მისი: სახსარი: სხვა: არ: იქმნების(რა):  
ძელს: აცვან: მის: აქეთ: ვინც: შეცოდებით: შესცოდოს: ან:  
ჯოგი: წაუ-ხას: და ან: მო(პ)პაროს: [მი]სი 13: შემოექცეს: და სა-  
უპატიო: კაციც გ(აე)მარტაოს 14: და: გაუუპატიოს: საუპატიოთ 15:  
მისდა: შეცოდებისა: წილისა: გვის: შეცოდებ[ა]: იქნება: ასი:  
ათასი: ძველი: თეთრი: დაეურვოს: ვისაც: წმიდის: გვის: მამუ-  
ლის: შვილი: შეაკუდეს: გინდა: უზედანსა: და გინდა: უქვედაეს-  
სა: ესე: ჩუენტაგან: განჩენილი: აბჯრიან: გაზრდილიანსა: 16 ას: სა-  
მოკცი: ათასი: თეთრი: დაეურვოს: სანახშირო: ორი: ათასი: თე-  
თრი: დაეურვოს: და მას: ქვეშემან: ასი: ათასი: თეთრი: სისხლი:  
დაეურვოს: და სანახშიროთ: ათასი: თეთრი: გერში: დალი: ცო-

ლის: წახთენა: და წაღება და: ქალის: დაგდება: ვინც: (3)ყოს:  
ამან: სიგელმან: და მონასტერმან: სამართლიანითა: ასი: ათასი:  
თეთრი: დაეურვოს: აწე: ჩუენ: მეფეთა: მეფის: ბაგრატის: და-  
მტკიცებული: ესე: შეწირულობის: წიგნი: ესე: ვინც: ნახოთ: შე-  
მდგომად: ჩუენსა: მომავალთა: მეფემან: ან დედოფალმან: <sup>17</sup> კარი-  
სა: ჩუენისა: <sup>18</sup> ვაზირთა: მეჭურჭლეთა: დიდებულთა: ერისთაუთა:  
ციხე: ქვეყანათა: ველსა: ქუეშე: მპყრობელთა: მოურაუთა: და  
ყოველთავე <sup>19</sup>: და დიდთა: და მცირეთა: თქვენც: ასე დაუმტკი-  
ცეთ: და ნუ მოუშლით: (და ნურცა რას დააკლებთ ნუ დიდთა)  
და ნუ მცირეთა: თვინიერ: თანა: დგომისა: და შეწევნისა: აწ:  
ვინც: ხელ(3)ყოს: ამისდა: შლად: და ქცევად კრულიცა: არის:  
პირველად: დაუსაბამოსა: ღთის: პირითა: და უფროსად: კურთ-  
ხეულისა: დედოფლისა: ჩუენისა ღუთის: მშობელისა: მარადის:  
ქალწულისა: მარიამისა: მადლითა: და პატიოსნისა: ჯუარის: მად-  
ლითა: და წმიდათა: მოციქულთა: და ათორმეტთა: სამოციქულო-  
თა: საყდართა: და მოსაყ(დ)რეთა: მადლითა: (და შეიძთა კრებათა  
მადლითა, ექმნების მას კეთრი გეზისი, ძრწოლა, კანისა, მოშთო-  
ბა გმირთა, დაწვა და რისხვა სოდომელთა, დანთქმა, დათან და  
აბირონისი, გვემა მეგვიპტელთა, შიშთუილი იუდასი, მეზისტცხა  
დიოკორესი, სირცხვილი კრისკენტი და საბიანესი და ყოველ-  
თა მგმობართა თანამცა არც ნაწილი და სამკვდრებელი მისი და  
ვინც ვინ მტკიცედ იპყრას, ონ აკურთხენ და წამან კათოლიკე  
და სამოციქულომან საყდარმან) და წმიდამან: მღუდელთ: მოძღუარ-  
მან: ნიკოლაოს: ამინ:

ქ. ჩუენ: მეფეთ: მეფემან: ალექსანდრე და: თანა: მეცხედრემან:  
ჩუენმ(ა)ნ: დედოფელ(ა)ლთა: (sic) <sup>20</sup> დედოფალმან: თამარ: და ქემან:  
ჩუენმან: ბაგრატ: ვახტანგ: ესე: წიგნი: მოგახსენ(ე)თ: თქუენ:  
მთის მთავარ: მოწამეს: წმიდას: გგის ასრე და: ამა: პირსა: ზედა:  
რა:ც: ამას: ზემო: სიმაგრე: სწერა: ჩუენც: ამის: გამთავებელი:  
ვართ: ნებიითა: ღთისათა: და ანუ: ვინც: ჯოგი: გატეხოს: წმი-  
ლის: გგის: შეცოდებით: გარდახდეს:

ქ. ნებიითა: ღთისა(თა): ჩუენ: მეფეთა: მეფემან: კოსტანტინე: და თა-  
ნა: მეცხედრემან: ჩუენმან: დედოფალთა დედოფალმან: თამარ: და  
ქთა: ჩუენთა პირმშომან: დავით: გიგი: და: ბაგრატი: ესე: ახ-  
ლად: მტკიცე: და უცუალელებელი: ნიშანი: მოგახსენეთ: თქუენ:  
მთისა მთავარ: მოწამეს: წმიდასა: გიგის მას: ჟამსა: ოდეს: მოკო-  
თხული: ექენით: და: ძუელითგან: ულაყის: გამოღება: არ ექი-

რეზობდა: აწ: ახლად: ჩუენცა: ულაყი: ამოუკუეებუთ: ასრე: და:  
 ამა: პირსა: ზედანა: რომე: გიორგობას: დღეს: ორი[თა:] ხუცითა:  
 ორითა: ცხურითა: თქუენით: პურლოუ[ნი]თა: აღაჰს: გარღიხდი-  
 დეთ: ნებითა: ლთისათა: ჩუენად: ს(ა)ღღეგრძელოდ: გასამარჯუე-  
 ბელად: და: საუკუნედ: შემწედ: აწ: ვინცა: ესე: ჩუენი: ნიშანი:  
 მოშალოს: ჩუენისამცა: ცოდვის: სანაცლოდ: განიკითხვის: მას:  
 დიდსა: დღესა: განკითხვისასა: და: დამამტკიცებლნი: აკურთხ-  
 ნეს: ლქერთმან: გქონდეს: ნიშანი: ესე: და: არაოდეს: მოგეშა-  
 ლოს: რაგინდარა: დაჭარება იყოს: თქუენ: ულაყი: არავინა: გთხო-  
 ვოს: დანიწერა: ნიშანი: ესე: ქენს: რათ: თვესა: აგვისტოსასა:  
 (sic) კ: კელითა: კარისა: ჩუენისა: მწიგნობარ: მუშობის: და მე-  
 სტუ[შრისა]: თავაქალა: შვილისა: სადათიერისათა: (sic)\*).

სიგელის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მთის წმიდა გიორგის (რაჭაში) აბჯრიან-გაზრდილიანის ყმის სისხლი სიგელში შეფასებულია 160 ათასი თეთრი და მის ქვეშეთისა — 100 ათასი თეთრი. ხსენებულ მონასტრის ჩვეულებრივი ყმის სისხლი ამ გვარად შეფასებულია 100 ათ. თეთრი, — რიცხვი, რომელიც მე-14 საუკუნისთვის, როგორც ვნახეთ (ზემოდ, წერილი სასისხლო სიგელების შესახებ), გაუგებარი იქნებოდა. მე-15 საუკუნეში და სახელდობრ უფრო ამ საუკუნის მეორე ნახევარში, — მხედველობაში ძილებით აგრეთვე იმ გარემოებისა, რომ საეკლესიო ყმების სისხლი ცალკე შემთხვევებში სამმაგადაც, როგორც, მაგალითად, გერგეტელთა საყდრის შვილთა სისხლი, ყოფილა შეფასებული, — ხსენებულ რიცხვს, სასისხლო ოდენობის შესახებ სხვა ცნობების გათვალისწინებით, შეიძლება ჰქონდეს თავისი გამართლება.

მართლაც საჭირო არ არის სიგელის მიმცემთა ბაგრატ-ელენეს ვინაობა აუცილებლად მე-14 საუკუნეში ვცებოთ. სიგელში მოხსენებულია ბაგრატ-ელენეს შვილები გიორგი და ალექსანდრე. ხოლო რადგანაც ცნობილია, რომ ბაგრატს ყავდა შვილი ალექსანდრე, რომელიც მხოლოდ არის მოხსენებული 1467 წლის სიგელში (ქრონიკ. II, 288), ამიტომ ამ გარემოების გამო ჩვენ ფიქრობდით მთის წმიდა გიორგის სიგელის მიმცემ ბაგრატ-ელენეს დაკავშირებას სხვა ხანასთან. მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ბაგრატის მამას, როგორც

\*) <sup>1</sup> ზაქ.: უკანასკნელი 5 სიტყვა არ არის. <sup>2</sup> დედ.: ბნელნი. <sup>3</sup> დედ.: + უცვალეზლად (bis) <sup>4</sup> ამ ორი სიტყვის მაგიერად ზაქ.: შავრს მსხდოწნი. <sup>5</sup> დ დ.: საკლკარითა. <sup>6</sup> დედ.: სამყეთს <sup>7</sup> დედ.: მიმი. <sup>8</sup> დედ.: +ამას (his). <sup>9</sup> დედ.: როროთაც (sic). <sup>10</sup> დედ.: მაგანის. <sup>11</sup> ზაქ.: ეს სიტყვა abs. <sup>12</sup> დედ.: მეფეთა მემეფემან (sic). <sup>13</sup> დედ.: +მისი (his). <sup>14</sup> დედ.: გმარტაოს: <sup>15</sup> გაუუპატტოს. <sup>16</sup> დედ.: გ---ლიანსა. <sup>17</sup> ზაქ.: მეფეთა და დედოფალთა. <sup>18</sup> დედ.: თქუენისა: <sup>19</sup> დედ.: ყოუელთაუე. <sup>20</sup> ზაქ.: დედოფალთა.



ეს ეხლა საბოლოოდ გამოჩვენებულია (ს. კაკაბ., გენეალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ტფ. 1912 წ.), გიორგი ერქვა და რადგანაც ჩვეულებრივ მეფის და მთავარ-თავადთა გვარში უუჩოსი შვილისშვილი ატარებდა პაპის სახელს, ამიტომ შესაძლებელია, რომ ბაგრატ მეფეს მართლაც ყოლოდა უფროსი შვილი გიორგის სახელის მატარებელი, რომელიც ადრე გარდაცვლილა. მაშინ ჩვენ მივიღებდით, რომ მთის წმ. გიორგის სიგელი მიცემული უნდა იყოს ბაგრატ გიორგის ძის მიერ და სახელდობრ 1455—1467 წლებში, რადგანაც უკანასკნელ წელს ბაგრატის შვილი გიორგი უკვე არ იხსენიება. საყურადღებოა, რომ სიგელის მინაწერში მეფე ალექსანდრე ბაგრატის ძე სწერს: „რაცა ამას ზემო სიმაგრე სწერია, ჩუენც ამის გამთავებელი ვართ“-ო. ეს გამოთქმა, ჩვენს აზრით, უნდა უჩვენებდეს ამ მინაწერის ხანასთან სიგელის მიცემის თარიღის არც თუ დიდად დაშორებას. ხოლო ალექსანდრე მეფის მინაწერი დაწერილია მაშინ, როდესაც მას უკვე ყოველ შვილი ბაგრატი (მაშასადამე 1495 წლის შემდეგ), მაგრამ მესამე და მეოთხე შვილი გიორგი და დავით კი ჯერ დაბადებული არ იყვნენ, დაახლოებით მაშასადამე 1497—1502 წლებში.

იქვე, ზემოდ მოყვანილი კოსტანტინე მეფის მინაწერი დათარიღებულია 1491 წლით.

ამგვარად მთის წმ. გიორგის სიგელი უნდა მიცემული იყოს ბაგრატ გიორგის ძის აფხაზ-იმერთა მეფის მიერ 1455—1467 წლებში და შემდეგ ეს სიგელი დამტკიცებულია კოსტანტინე მეფის მიერ 1491 წ. (კოსტანტინე ქართლის მეფეს ამ წლის ახლო ხანებში იმერეთი, როგორც სჩანს, კვლავ დაუპყრია). 1497—1502 წლებში სიგელი დამტკიცებულია ალექსანდრე იმერეთის მეფის მიერ (სიგელის დედანში, როგორც სჩანს, ალექსანდრე მეფის მინაწერი სიგელის ტექსტსა და კოსტანტინე მეფის მინაწერს შორის ყოფილა მოთავსებული).

მხედველობაში მისაღებია ამასთანავე, რომ სიგელში სასისხლო გადასახადი 160—100 ათასი თეთრი საკმაოდ მაღლად ჩანს თვით საეკლესიო გლეხისთვისაც. ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ საბუთში სანახშირე ნაჩვენებია აბჯრიან-გაზრდილიანისათვის 2 ათ. თეთრი და მის ქვეშეთისათვის 1 ათ. თ., მაშინ როდესაც, მაგ., თულასძეთა 1446 წლის სასისხლო ნიგელში სანახშირო უდრის მთელი სასისხლოს 10%-ს. შესაძლებელია ამიტომ ვიფიქროთ თეთრი, მთის წმიდა გიორგის საბუთში ნახსენები, არ უნდა იყოს მთელი ლირებულების მქონი. ზემოდ (ამავე წიგნში ს. კაკაბ., სასისხლო სიგელების შესახებ) უკვე ნაჩვენები იყო რომ მე-15 საუკ. ნახევარში ცხუმური თეთრი შეადგენდა სრული თეთრის 1/4-ს. მართლაც ირკვევა, რომ მე-15 საუკუნეში ულუგ-ბეგის დროს (მეთობდა 1447—1449 წ. მაგრამ

ფაქტურად განაგებდა იმპერიას უფრო აღრეც, თავისი მამის შაკ-რუხის დროსაც) იყო ორგვარი ანგარიში — ვერცხლის და სპილენძის. დოვლეტ-შაჰი სახელდობრ გადმოგვცემს ულუგ-ბეგის შესახებ (The tadhkiratu 'sh-shu'ara of Dawlatshah, edited by F. Brown, London, 1901, p. 362<sub>14</sub>): „ამბობენ, რომ (ულუგ-ბეგის ბრძანებით) 1 გრიე მიწაზე, რომელსა მოჰქონდა 20 ხარვარი ხორბალი, გარდასახალად (მალი და ხარაჯა) მიჰქონდათ 4 დანგი სპილენძისა, რაც ვერცხლის ღირებვის ანგარიშზე უდრიდა 1 დანგს“. რადგანაც დანგი ღირებვის ნაწილადაა, ამიტომ ცხადია, რომ მე-15 საუკ. ნახევარში დოვლეტ-შაჰის მიხედვით სპილენძის ღირებეი შეადგენდა ვერცხლის ღირებვის 1/4-ს. ჩრდლოეთი სპარსეთი მე-15 საუკუნის სიგრძეზე თემურიდების ხელში იყო. შესაძლებელია ამიტომ ვიფიქროთ, რომ საქართველოშიც მე-15 საუკუნეში საგულისხმებელია ანალოგიური შეფარდება ვერცხლის და სპილენძის დრამის (=თეთრისა). ამისდა მიხედვით სპილენძის თეთრი შესაძლებელია ანგარიშში ჩათვლილ იქმნას ვერცხლის თეთრის 1/4-ად. რადგანაც ცნობილია, რომ კარგ და მდარე ღირსების ფულის ერთად ტრიალის დროს უპარატესობა რჩება მდარე ფულს, ხოლო კარგი ფული კი ქრება ასპარეზიდან, ამიტომ შესაძლებელია რომ დასავლეთ საქართველოში ამ დროს სპილენძის თეთრს ანგარიშების წარმოების დროს მეტი მსვლელობა ექნებოდა, ვიდრე ვერცხლისას. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ მივიღებთ მთის წმიდა გიორგის სიგელის სასისხლოს — 160 და 100 ათას თეთრს — 40, resp. 25 ათ. თეთრის ექვივალენტად. ვერცხლზე გადატანით ვერცხლის ოდენობით სასისხლოს ღირებულება გამოდის მე-15 საუკ. ნახევრისთვის დაახლ. 48 ათ., resp. 30 ათ. დანგი ვერცხლი. აღბუღას თავისს სამართალში გლეხის სისხლი განსაზღვრული აქვს 400 თეთრი (=2 ათ. დანგი ვერც.) და უყვთესი გლეხის 1,000 თ. (=5 ათ. დანგი ვერც.). მთის წმ. გიორგის ყვის მიმართ ჩვენ ვხედავთ თვით სამმაგად (გერგეტელ საყდრიშვილთა ანალოგიით) ვადიდებული სისხლის ფასის მაინც მომატებას. როგორც ვაცით (ზემოდ, სასისხლო სიგელების შესახებ), მე-15 საუკ. მეორე ნახევრიდან დადასტურებულია სასისხლო გარდასახადების საკმაოდ თვარსაჩინოდ მომატება. ამასვე ვხედავთ ზემოხსენებულის მიხედვით მთის წმიდა გიორგის ყმების მაგალითზედაც. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ მთის წმ. გიორგის სიგელში ჩვენ უკვე გვქონდეს საქმე მახვლი ციფრების დასახელებისას თუმნობით ანგარიშთან. მაშინ აბჯრიან-გაზრდილიანის სისხლი ელირებოდა 160 ათ. დინარი ანუ 16 თუმანი (ამ დროინდელი ზომით დაახლოვებით 30,4 ათ. დანგი ვერცხლი) და მის ქვეშეთისა — 10 თუმანი, 19 ათ. დანგი ვერც.). ეს ციფრი მაინც უფრო უხდა უღატებოდეს მთის გიორ-

გის სიგელის სხვა ცნობებს, რომლის მიხედვით ცოლის წახმისთვის, მაგ., 2 ათ. თეთრია განწესებული. უკანასკნელ შემთხვევაში თეთრი უკვე სრული ერთეულის ანგარიშით (=ასპრს) უნდა იგულისხმებოდეს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სასისხლო სიგელები მე-15 საუკუნის დასასრულიდან, როგორც ვნახეთ (ამავე წიგნში ს. კ ა კ ა ბ, სასისხლო სიგელების შესახებ), თითქოს ადასტურებენ მე-15 საუკუნის დასასრულიდან თუმნობით ანგარიშის ხმარებას—რვეალ რიცხვად საერთო ჯამის შემცველ დინარის ან ალთუნის რაოდენობის გამოხატვით, შესაძლებელია დაუშვათ, რომ მთის წმ. გიორგის სიგელშიც ხმარებული იყო თეთრის საერთო ჯამის ჩვენების დროს თუმნობით ანგარიში. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით თუმნობით ანგარიშის დადასტურებას დასავლ. საქართველოს ტერიტორიაზე 1460 წლის ახლო ხანებშიც. ეს ახსნა უფრო უდგება ჩვენ მიერ წამოყენებულ მოსაზრებას საერთოდ სასისხლო სიგელებში მე-15 საუკ. დასასრულიდან თუმნობით ანგარიშის დადასტურების შესახებ, მაგრამ ვინაიდან საკითხი ჯერ არ შეიძლება საბოლოოდ გამორკვეულად ჩაითვალოს, ამიტომ ზემოდ ჩვენ მოვიყვანეთ მეორე ახსნაც—თეთრის ანგარიშში აქ ცხუმურის ექვივალენტ წერილ ერთეულის დაშვების შესახებ. მომავალში ახალი მასალები და განსაკუთრებით საქართველოში მე-15—16 საუკუნეში არსებულ ფულის სისტემის დანამდილებით გამორკვევა ამ საკითხს, იმედია, საბოლოოდ გარკვევს.

**გუფავას გვარის სასისხლო სიგელი.** მთავარ არქივის მასალებში, სახელდობრ ყოფ. სოხუმის მიწის გამმიჯვნელ კომისიის (бывшей сучумской поземельной комиссии) საქმეში 1890 წლისა სათაურით—*О разборѣ сословныхъ правъ привилегированныхъ сословій туземнаго населенія бывшей Абхазіи и Самурзакани.*—*Документы по которымъ опредѣлены права причисленія лицъ къ вышнему сословію,* აღმოჩნდა მთავარარქივის თანამშრომლის გ. ჩაჩანიძის დახმარებით საყურადღებო, აქამდის უცნობი სასისხლო სიგელი გუფავას გვარისა: სიგელი, რომელიც აქვე მოგვყავს, დაწერილია ქალაქდზე და სამწუხაროდ ძლიერ დაზიანებულია, თავი და ბოლო აკლია, რის გამო არ ჩანს სიგელის მიმცემის ვინაობა. მაგრამ ხელის მიხედვით სიგელი უნდა ეკუთვნოდეს უფრო მე-15 საუკუნის მეორე ნახევარს. საყურადღებოა სასისხლოს განსაზღვრა—ერთი ეკლესია 12 კომლით და ამას გარდა 120 ათ. კირმანეული თეთრი, რის პარალელს რამოდენადვე ვპოულობთ მე-15 საუკუნის სხვა სასისხლო სიგელებში (ასათიანისა ვახტანგ გორგასალის დროს და სხ.). სიგელი იბეჭდება უცვლელიად:

--- თა: . ტყითა: . წყლითა: . [სა]ნადიროთა: . ქორითა: . მარქათითა: .

ხრპალა:-- მითა: აწე: თავად: ნუმცა: იკადრების: უბრალო[ოსა]:  
კაციისა: სისხლისა: დაღურა: არა და: თუ: ვისმე: ეშმაკისა: მან-  
ქანებითა: ქაიმაროზისა: გუფავას: გუარისა: კაცი: ანუ: სახ-  
ლისშვილი: შეაკუდეს: ესე: ჩუენგან: გაჩენილი: სრული: სის-  
ხლი: ერთი: ეკლესია: [თ]ორმეტის: კვამლით: კაცითა: და:  
მას: აქათ: ასოცი: ათასი: ძველი: კირმანაული: თეთრი: დაეფ-  
როს: მას: აქათ: სამოცი: ათასი: ძველი: თეთრი: სანახში-  
რედ: დაეფროს: მას: აქათ: ათი: ათასი: საზაოდ: დაეფროს:  
დაეფროს: (sic) ვინც: ცოლი: მოგიტყნას: ნახევარი: სისხლი:  
დაგივროს: ვინც: შენისა: გუარისა: ქალი: დააგდოს: ნახევარი:  
სისხლი: დაგივროს: ვინც: ცოლი: და: ანუ: შენისა: გუა-  
რისა: ქალი: გაგიუპატიოს: ნახევარი: სისხლი: დაგივროს:  
ვინც: სასაფლაო: გაგიტეხოს: სრული: სისხლი: დაგივროს:  
ამად: რომე: ეკლესის: კარიც: გაუპატივებული: იქნების:  
და: რასდენიც: მკუდარი: საფლაოზს: ვინც: უომარი:  
შვილი: გაგილანძლოს: და: შეგიშინოს: ნახევარი: სისხლი:  
დაგივროს: ამად: რომე: მკუდართა: ესწორების: ვინც: უბა-  
ტონომან: კაცმან: სასახლეზედან: დაგესხას: ნახევარი:  
სისხლი: დაეფროს: თუ: ქურდობით: სახლშიან: მოგ-  
პაროს: შესამედი: სისხლი: დაგივროს: ვინც: უბრალოდ:  
ბატონსა: შეგაბეზლოს: ნახევარი: სისხლი: დაგივროს: ვინც:  
ექუსთა: ასოთავან: ერთი: დაგიშაოს: მეექუსედი: სისხლი:  
დაგივროს: ვინც: ცხენიდალმან: ჩამოგაგდოს: ცხენი: წაგილოს:  
თუ: შენი: შეგექცეს: შესამედი: სისხლი: დაგივროს: ვინც:  
ცოლისა: მუახლე: გაგიუპატიოს: მეოთხედი: სისხლი: დაგივროს:  
ამად: რომე: ცოლისა: უპატიობა: იქნების: ვინც: ცეცხლი:  
შემოგიდვას: ნახევარი: სისხლი: დაგივროს: ვინ: ყანაშიან: (sic)  
დაგესხას: მეოთხედი: სისხლი: დაეფროს: ვინ: გერში: გადი-  
ნოს: შესამედი: სისხლი: დაგივროს: ვინ: საჯინიბო: გაგი-  
ტეხოს: მეოთხედი: სისხლი: დაგივროს: ვინც: ჯოგი: გაგი-  
ტეხოს: ოცი: ათასი: თეთრი: დაგივროს: ვინ: მეთევზე: ანუ  
შენი: გაგზავნილი: კაცი: გაგძარცოს: ანუ: გიცეს: სამი:  
ათას: თეთრი: დაგივროს: ვინ: შენი: კაცი: მოკალას: (sic) გაუ-  
სინჯეთ: სიგელი: და: რარიგადც: ეწეროს: ისრე: დაგივროს:  
ვინც: ბაზიარი: ანუ მეჯინიბე: გაგიძარცოს: რვა: ათასი: თეთრი:  
დაგივროს: სხვა: რაგინდა: რა: უპატიობა: დაეგმართოს: დაიდუ-  
ვიძ: ესე: ჩუენგან: ბოძებული: სიგელი: მტკიცე: და უქცევე-  
ლი: და: ამაზედან: დაეფროს: აწე: თქუენ: ქს: ღთისა: ჩიერ:  
კურთხეულო: აფხაზეთისა: და: ქართლისა: კზო: ქუთათელო:



მ. წყუფერელი.: მოქველო.: ბ[ედ]იელი.: [ქყ]ონდიდელი.: ცაიშე-  
ლო.: დრანდელი.: ---- ბოძებული ----

სიტყვა რკინა ფულის მნიშვნელობით. ქუთაისის შუზეუმში მუ-  
შაობისას მე შენხვდა ერთი საყურადღებო საბუთი, როგორც სჩანს  
იმერეთშივე მოპოვებული, რომელშიდაც იხსენიება რკინა ფულის  
ერთეულის მნიშვნელობით. საბუთი (№ 486) დაწერილია ტყავის პატარა  
ნაჭერზე და ხელის მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს უფრო მე-15 საუკუ-  
ნის მეორე ნახევარს და შესაძლებელია მე-16 საუკუნის დასაწყისსაც  
დაწერილია ცუდი ხელით, მართლწერას ზოგ შემთხვევაში ახასიათებს  
ზედმეტი ა-ს ხმარება. მოგვყავს ეს საბუთი სრულიად უცვლელად.

ქ. ხალევა. ღმრთის: თავს: დებითა: და ყოველთა: მის. წმიდათა.  
თავსდებობითა. და წმიდისა. გიორგის. ვანისა. თავს. დებობითა.  
და ბეჟანისა. იაშვილისა. თავსდებობითა: და მისთა. შვილთა.  
ზვიადისა. და გიორგისა. და მაყასა. და მათთა. ძმათა. თავსდე-  
ბობითა: მოგყიდე: მე ქველმა ცოტნაჲმა. და ბევროზაჲან და ჩვენთა.  
შვილთა. და მომავალთა. ყოველთავე. მოგყიდე. ვენა: კი. ერთისა.  
საპალნისა. თქვენ. ჩემსა. განაყოფსა. მამაჩანსა: ჩათაგასა. და გი-  
ვანიასა. და ქაეთარასა. და თვალასა. და მამიასა. და თქვენთა.  
ძმისწულთა. და თქვენთა. შვილთა. და მომავალთა. ყოველთავე.  
მოგყიდე. ვენაკი. მას. ჟამსა. ოდეს. შეიქნა. ასეთი. ჟამი. რომე-  
დელა. შვილისა. არ იხასდა. და [მომტცი]თ. თქვენ. ფასი. რაგვა-  
რაც. გული. შემეჯერდებოდა. ერთი ზროხა. და ერთი. [კო]ზაკი.  
და თორმეტისა. რკინისა: პური. ასრე. რომენ ლიტრა. პური.  
ერთი. თა, რკინათა. იყო. და ჩენა. (sic) თროლი. მოგეცით: ერთი.  
თოკი. მოგეცით. და ორი. [წ?]ყვილ. ფაფური. და სამისა. რკი-  
ნისა. მარლი. და მისა. მოწმე. და შუამდგომელი. არის. ვახტაგა-  
მაისურაძე. და ვინც. ესე. წიგნი. შეგიცვალოს შემცა იცვლება-  
რჯულისაგან. აქა და. საუკუნოსა. და იუდასაჲც. ეწამება. მისი  
სული. და მე მაუასა: დამიწერია. და მოწაჲც ვარ.

თხზი ჟვარი.

რკინა აქ, ცხადია, იხსენიება თეთრის ანალოგიით. როგორც  
სჩანს, მე-15—16 საუკუნეში იმერეთში შავი ფული რკინის სახელს  
ატარებდა. რა ზომისა იყო ეს რკინა, ჯერჯერობით არა სჩანს. ამის  
გასარკვევად საჭირო იქნება ახალი ცნობების მოპოება. ტერმინი  
რკინა წარმომდგარა ისე, როგორც თეთრი არსებითად წარმომდგარი

იყო ვერცხლის ფულის აღმნიშვნელ სახელისაგან, მაგრამ ნიშნავედა საერთოდ ფუღს.

ამის დამატებად შეიქლება მოყვანილ იქნას იმავე მუზეუმის საბუთებში დაცული (№ 485) ტყავისავე პატარა ნაქერზე დაწერილი საბუთი, რომელშიდაც იგივე ისტორიული პ-რნი არიან მოხსენებული. ეს საბუთიც იბეჭდება უცვლელად. ზედტეტი ბ-ების დაცვით.

ქ. ღმრთის: თავსდებობითა: წმიდის: გიორგის: ვანის: თავსდებობითა: ბატონის: ჩუენის: იაშვილის: ბეჟნის: მისთა შვილთა: თავსდებობითა: მოგყიდეთ: ჩენა: სამსონიშვილმან: მამისთვალამან: ოლიამან: (sic) შალიკმან: ბერკან: ჩვენთა: შვილთა: და შამავალთ: მოგყიდეთ: ზედვაკეს: ყანა: ერთისა: ურმის: თქვენა: შერაზადი შვილს: ვახტაგას: მამჩს: ჩალგს: ქავთარს: გიგნიას: თვალას: მამიას: თქვენთა: შვილთა: და მამულთა: მოგვეცი: შენა ფასი: სრული: ავსა: ჟამს: ზპუოობისას: ერთი: კარი: რომა: ჩენა: გამოვირჩიეთ: ერთისა: ზრომისა: პური: ეგეკ: სხვიგნითა: მანიდავი: გიბედნიეროს ღმერთანა: რავარაცა: მკვიდრსა: მამულსა: მართებს: ვინცა: ესე: წიგნი: და ნიშანი: შევიკვალოს: შემტაიცილება: აქა და: სუენას: ამისი: შუამყოფი (sic) არის: ოქროპირ: ტყეშელაშვილი: დამიწერია: მე: იოვანეს: არჩვამეს: მოწაჰეკა ვარ: ამა დაწერილის:

8 ჟვარი

ერთი ურმის ანა,—ასეთი ზომა ჯერ ჩვენ არსად შეგვხვედრია. აქ მოხსენებულ შერაზადაშვილთა გვარს ეკუთვნოდა ზემოდ (გვ. 44—45) დაბეჭდილი სასახლო სიგელი.

## ქრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

პროფ. კორნ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I ტომი. ძველი მწერლობა. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისი 1923. 695 გვ.

კორნ. კეკელიძის წინამძღვარე წიგნი მხოლოდ ნაწილია (I ტომი) იმ კაპიტალური ნაშრომისა, რომელიც მას განუზრახავს, და შეიცავს ძველი მწერლობის ისტორიას. იგი შესდგება საკმაოდ ვრცელი „შესავალი“-სა და ორა ნაწილისაგან, რომლებსაც წინ მიუძღვის პატარა „წინასიტყვაობა“ გერმანულად. შესავალში (გვ. 3—116) განხილულია შემდეგი საკითხები: ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მდგომარეობა; ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული მწერლობისა; პერიოდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა; სწავლა-განათლება და ლიტერატურის ცენტრები ძველს საქართველოში. პირველი ნაწილი (გვ. 119—440) შეიცავს ცნობებს ყველა იმ „გამომეტყველთა და თარგმანთა“ შესახებ, რომლებიც კი ცნობილი არიან, ამა თუ იმ წყაროდან, ძველი ქართული ლიტერატურის ასპარეზზე, რიცხვით სულ 77. ხოლო მეორე ნაწილში (გვ. 443—664) წარმოდგენილია თვით მწერლობის ისტორიის განხილვა დარგებისა მიხედვით, და განხილულია შემდეგი დარგები: ბიბლიოლოგია; აპოკრიფები; ეგზეგეტიკა; დოქმატიკა; პოლემიკა; ჰაგოკრაფია; ასკიტიკა; ჰომილეტიკა; კანონიკა; ლიტურჯიკა; პოეზია. წიგნს ბოლოში დართული აქვს „საკუთარი სახელთა საძიებელი“ (გვ. 665—689) და სხვა.

როგორც მკითხველი ხედავს, კ. კეკელიძის ნაშრომში ქართული „ძველი მწერლობა“ სავსებით არ არის წარმოდგენილი. მას აკლია საერო ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც, რამდენადაც ვიცით, გამოყოფილია მეორე ტომისათვის, და აგრეთვე მასში არ არის შეტანილი „საისტორიო მწერლობა“ იმ სრულიად გასაგები მიზეზის გამო, რომ ეს დარგი ქართული მწერლობისა საკმაოდ ვრცლად და საფუძვლიანად განხილულია და გამოცემული ივ. ჯავახიშვილის მიერ მისი გამოკვლევაში „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლათ. წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII ს. ს.)“ (კამოც. ტფილისის ორჯელ: პირველად—1916 წელს, ხოლო მეორედ [თამარ მათის ისტორიკოსამდე მიყვანილი]—1921 წელს); თუმცა ავტორი ზოგიერთ ძველ მეთოდურ-ისტორიკოსებსაც ეხება (მა-

გალითად ლეონტი მროველს) საზოგადო სურათის დაუშლელობისათვის.

სამართლიანად უნდა ითქვას, რომ კ. ქეკელიძის წიგნი ფრიალ საყურადღებო და საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს, რომლის მსგავსიც, ქართული ლიტერატურის ისტორიის შესაწავლად, აქამომდე ჯერ არ გვექონია, თუ, რასაკვირველია, ანგარიშში არ მივიღებთ განსვენებული ალ. ხახანაშვილის რამოდენიმე ტომად გამოცემულ „Очерки по истории грузинской словесности“-ს და მის შემოკლებულ რედაქციას ქართულს ენაზე, რომლებიც ერთ დროს დამაკმაყოფილებელ სახელმძღვანელოებად და სასწავლო წიგნებად ითვლებოდნენ, მაგრამ ამ ეჟმად თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნილებათ ვეღარ შეეფერებიან.

თავის კაპიტალურ ნაშრომში ავტორი გვიხატავს ძველი ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებისა და აყვავების სურათს იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო არსებული დაქედით და დაუბეჭდავი წყაროებისა მიხედვით. თვით თხზულების სისტემა და საერთოდ მისი მთელი აგებულება ფრიალ საყურადღებოა და ორიგინალურიც. მეთოდოლოგიური მიდგომა სრულიად დასაკმაყოფილებელია და არსებული სამეცნიერო ლიტერატურა თითქმის მთლად ამოწურული. ანასთანავე ერთად, ვინაიდან თვით წიგნი საკმაოდ მაზრდილია, და ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი სამეცნიერო მუშაობისა და მეტადრე წიგნის ბეჭდვის პირობები, ამიტომ სრულად გასაკვირი იქნება ის რამოდენიმე დეფექტი, რომელიც, ჩვენის აზრით, ცოტაოდენ ასუსტებს წიგნის ზოგიერთი ადგილების ღირებულებას და რომელიც ჩვენ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნათ იმ იმედით, რომ ჩვენი ავტორი, გაიზიარებს რა ქვემოთ შენიშვნების სამართლიანობას, ეცლება მომავალში და კერძოდ მეორე გამოცემის დროს თავიდან აიცილოს უნებლიეთი შეცდომები.

ასე, „ძველი ისტორიულ-ლიტერატურული მასალების“ განხილვის დროს ავტორს დავიწყებული აქვს ზოგიერთი ისეთი ძეგლები, რომლებიც თუმცა პირდაპირ არ ეხებიან ქართულ სასულიერო მწერლობას, მაგრამ შეიცავენ რამოდენიმე ცნობას ამა თუ იმ ძველი მწერლის შესახებ, მაგალითად „არჩილიანი“, სადაც მოხსენებულია იაკობ სამეხეული ვითარცა „ბმნად მოუბარი“, და მეტადრე უსახელო ავტორის ნაშრომი რუსულად სათაურით: „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии. Сочинено в Александр-Невской Академии“ (Спб. 1802), რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ქრონოლოგიურად წინ უსწრობს ცნობილს ტრაქტატს (ავრეთვე უსახელო ავტორის) „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს“ (კვ. 9).

ახალი დროის მეცნიერულ კვლევა-ძიებათა ჩამოთვლის დროს ავ-



ტორს არ ავიწყდება ისეთი დილექტანტური შრომა ქართული ლიტერატურის შესახებ, როგორც არის F. N. Finck-ის „Die Georgische Literatur“, მაგრამ იმავე დროს აზრადაც არ მოსდის მოიხსენიოს ისეთი გამოცემები, როგორც არიან A. Baumgartner-ის ნაწერი იმავე სათაურით სერიაში „Geschichte der Weltliteratur“ (t. I, Freiburg in B. 1897) და აგრეთვე „Histoire Monastique Géorgienne“. ბოლანდისტების ცნობილ ჟურნალში „Analecta Bollandiana“ (t. I, XXXVI—XXXVII, Bruxelles 1922), რომელიც შეიცავს იოანე და ექვთიმესი (გვ. 8—68), გიორგი მთაწმინდელის (გვ. 69—159), სერაპიონ ზარზმელის (გვ. 159—207) და გრიგოლ ხანძთელის (გვ. 207—309) ცხოვრებათა ლათინურ თარგმანს P. Peeters-ის „შესავლითურთ“.

თავის წიგნში ავტორი, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის გამომხატველ მოვლენების აღწერას. სამწუხაროდ, სწორეთ ამ საკითხების გარჩევას დროს მას დაშვებულა აქვს ზოგიერთი ნებსითი თუ უნებლიეთი lapsus-ები. და ვინაიდან მის ნაშრომს ვეცნობებოდი უმთავრესად არმენისტული ინტერესების თვალსაზრისით, ამიტომ ჩემ თავს ნებას მივცემ აღვნიშნო ამ ნაშრომის სისუსტე მხოლოდ ცალმხრივ, ე. ი. არმენისტის მიდგომით:

არ ვიცი, რით აიხსნება ის ფაქტი, რომ კოჩნ. ქეკელიძე არ უწყევს ანგარიშს არმენისტულ ლიტერატურას სომხურს ენაზე ისედაც საკითხებში მაინც, როდესაც სომხური და ქართული მწერლობანი გვეხატება ასე თუ ისე ერთმანეთში გადახლართულად, კერძოდ ვენის მხითარისტის ნერსეს აკინიანის წერილებს და აგრეთვე ამ სტრიქონების დამწერის სპეციალურ სტატუას ამ სათაურით: „სომხები ქართულ ძველ ლიტერატურის ასპარეზზე“ (აღმანახი „გენდარვესტ“. № VII. 1921 წ., გვ. 34—49).

ქართული ანბანის შემოღების საკითხი, ექვს გარეშეა, მკიდროდ დაკავშირებულია სომხური ანბანის წარმოშობის საკითხთან. აქედან ცხადია, რომ, როდესაც ავტორი დაბეჯითებით ამბობს, რომ „არამც თუ ქართველებს, მათ მეზობელ სომხებსაც“, „გაქრისტიანების შეპყდევაც ერთი საუკუნის განმავლობაში, მეოთხე საუკუნეში“, არაფიქროს „მწერლობა არ ჰქონიათ“ (გვ. 25), მას აუცილებელი უნდა გაერჩია სომხური ანბანის წარმოშობის საკითხიც, რომელიც არც ისე უდავოა, როგორც ის ფიქრობს (იხ. კამათი ამის შესახებ მინასიანსა\*) და თორაქიანს შორის, „კოჩნაკ“ XXII, 1922, გვ. 876—877, 1110—1111; 943—945, 1208—1209; აგრეთვე ბასმაჯიანის წერილი:

\*) მინასიანის აზრით, სომხური ანბანი ცნობილი უნდა ყოფილიყო 189 წ. ქრ. წინ—300 წ. ქრ. შემდეგ.

იქვე, გვ. 1234; შტრ. წერილები სომხ. პალეოგრაფიის შესახებ: და შინანის 1893 წ., გალუსტ ტერ-პეტრიანის 1913 წ., გ. ოვსეფიანის 1913 წ., მარკვარტის 1917 წ., აქარიანის [1923 წ. და სხვათა). აქვე გაკვირით აღვნიშნავ, რომ ქართული ანბანის შემოღების საკითხს ავტორი სწყვეტს, განსაკუთრებით მე-V-ე საუკუნდს (?) სომეხი ისტორიკოსის კარიენის ანუ კოზაუნის ჩვენების თანახმად, მესროპ მოძღვრისა (ვარდაპეტისა) და მისი კომისიის სასარგებლოდ, ვილაც ჯალის, უკეთ ჯალას, ქართველი მწიგნობრის, მოწაწილეობით, და ამასთანავე ერთად არ ცდილობს გამოარკვიოს უკანასკნელის ვინაობა, თუ განდ მისი დაპოკიდებულება საქართველოს ისტორიიდან კარგად ცნობილ „ჯაყელ“-ების გვარეულობასთან. ვაჟდა ამისა, ავტორი დასახელებულ სომეხ ძველ ისტორიკოსს რატომღაც უწოდებს „ქარიონ“-ს (გვ. 28 და შტნ. 3 იქვე, 82, 119), როდესაც უნდა ყოფილიყო „კარიონი“ ანუ „კოზაუნი“, რომელიც სომხურ გამოთქმას წარმოადგენს ბერძნულ-ქართულ სახელწოდების „კვირონი“ — „კირიონ“-ისას.

მეშვიდე საუკუნის დასაწყისში ცნობილი კირიონ ქართველთა კათალიკოზის შესახებ მსჯელობის დროს ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ქართულს წყაროებში კირიონი კარგად ცნობილი არაა, სამაგიეროდ სომხურ წყაროებს სჯეპო, მაგრამ არა სრულიად ობიექტური, ცნობები შეუწინააღმდეგებ მის შესახებ“ (გვ. 124). და, თუ ეს ასეა, მაშინ ავტორს სათანადოდ მაინც უნდა ამოეწურა ყველა ის, რაც კი კირიონის შესახებ შეიძლება იქნას; ამ შემთხვევაში კი მას დიდ საქსახურს გაუწევდა ისეთი სპეციალური თხზულება კირიონის შესახებ, როგორც არის ვენის მხითართან ძმობის ცნობილი წარმომადგენლის, ნერსეს აკინიანის, საკმაოდ ვრცელი ნაშრომი სათაურით „კირიონ, კათალიკოზი ქართველთა. ისტორია სომეხ-ქართველთა ურთიერთობისა მეშვიდე საუკუნეში“, რომელიც გამოქვეყნდა იმავე ძმობის სერიის „ეროვნული ბიბლიოთეკის“ მე-LX-ე წიგნის სახით (ვენა 1910, XXVII + 315 გვ.).

არსენ დიდის კათალიკოზის ცნობილი თხზულების სათაური ავტორს, სამწუაროდ, არ მოჰყავს სრული სისწორით და ამ შემთხვევაში გყრდნობა უძველეს ხელნაწერს კი არა (№ 735 უნივერსიტეტის მიძველეთსაცავისა), არამედ განსვენებულ დ. ჟორდანიას „ქრონიკებს“, როდესაც, სხვათა შორის, ეყარება ს. კაკაბაძეც (როდის არის დაწერილი ტრაქტატი—განყოფანათვის ქართლისა და სომხითისა [საისტორიო ძიებანი, ტფილისი 1924, გვ. 38]), როდესაც სურს გადმოგვცეს ტრაქტატის სრული სათაური. ვინაიდან არსენის შესახებ არსებულ ყველა წერილებსა და გამოკვლევებში ამ სათაურის აღნიშვნაში გამოტოვებულია ისეთი სიტყვა, როქელსაც დადი მნიშვნელობა აქვს ჩვენი

წარსულის ზოგიერთი ისტორიულ-კულტურული საკითხების ვასაშუქებლად, ამიტომ საკიროდ მიმაჩნია მოვაგონო სპეციალისტებს მისი „სრული სათაური“: „თქული წმიდისა მამისა ჩუენისა არსენისი მოძღუარისა მცხეთელ კათოლიკოზისა, რომელი იყო სანახებთა-გან სამცხისათა საფართო, განყოფისა-თჳს ქართლისა და სომხითისა“ (იხ. ჩემი „ქართული ვერსია საჰაპარტელის წინასწარმეტყველებისა, — ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, II, 1922—23, გვ. 205). ტერმინი „მოძღუარი“ აქ უღრის სომხურ „ვარდაპეტ“-ს და მჩვენებელია შესაფერი-სი ინსტიტუტის არსებობისა ოდესღაც საქართველოში ისევე, როგორც სომხეთში (იხ. ერთის წერიც — Корн. Кекелидзе, Иерусалимский капиарь VII века. Грузинская версия. Тфл. 1912, გვ. 41, და Н. Марр-ის რეცენზია ამ გამოცემაზე ჟურნალში „Христ. Восток“, т. I, в. 1, 1912, გვ. 117 და შენ. 4 იქვე. მეორე მხრივ კი — Н. Марр, Яфетические элементы в языках Армении. X, — „Известия Рос. Акад. Наук“ 1918, стр. 317—318 и прим. 1 на стр. 318; გრიგოლ ტათეველის ქადაგებანი, კოსტანტინოპოლი, ტომი „ზამარისა“ 1740. Н. Марр, рец. „Тексты и Разыскания по армяно-грузинской филологии“, кн. V, 1903, გვ. 31—37; Мариэтта Шагинян, Что такое „вардапет“, — გაზ. „Кавк. Слово“, 1917 წ. № 196, და სხვა).

ავტორი იხსენიებს „მეხიტარ გოშ“-ს (გვ. 362), რომელიც ალბათ რუსული Мехитар Гош-ის ქართული ტრანსკრიპციაა მხოლოდ, მაშინ როდესაც უნდა იყოს „მართარ გოშ“; „ლაზარ ქუყელი“ (გვ. 73), როდესაც უნდა იყოს „ლაზარ ჯაჭუყელი“; კრება „Schirachavensis“ (გვ. 137) Mansi-ს გამოცემისდა მიხედვით, როდესაც შეიძლებოდა რომ ეთქვა და უნდა ეთქვა „შირაკავანისა“; აგრეთვე, სომხურ ძეგლებს „პატიმოთინი“ კი არ ერქვა (გვ. 535), არამედ „პატკოვითინ“ ანუ „პატკეთაუნ“, რომელიც ქართულ მწერლობაში გადამახინჯებულია „პატიმოთინი“ — „პატკოთანა“-ს სახით.

იოანე ოსესძის, resp. ოსეშვილის, მოღვაწეობის დახასიათების დროს (გვ. 426—427) ავტორს დავიწყებულია აქვს ის გარემოება, რომ ხსენებული იოანე ერთ-ერთი ინიციატორთაგანია კარაბადინების გადმოღებისა ქართულად. ასე, მას, სომეხი მღვდლის ტერ-პეტროს-ს თანამშრომლობით, 1788 წელს, ბატონიშვილის გიორგი ირაკლის-ძის ბრძანებით, გადუთარგმნია ქართულად „საჰკურნალო ცხენისა“ ანუ „ცხენის კარაბადინი“ იმ სომხური ტექსტის მიხედვით, რომელიც თავი რიგზე, არაბულიდან ყოფილა გადმოღებული 1504 წელს (იხ. Ф. Жордания, Описание рукописей, II, გვ. 137—138; შდრ. ჩემი „სომხები ქართული ძველი ლიტერატურის ასპარეზზე“, გვ. 48).

ამგვარი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ეს

შორს წაგვიყვანდა, მით უმეტეს, რომ ყველა ესენი ბოლოს-და-ბოლოს შეიძლება ეპათიოს ავტორს იმ დიდი და პირდაპირ ფასდაუდებელი სამსახურისათვის, როპელიც მან გასწია ქართული ლიტერატურის ისტორიის წეცნიერულად დამუშავებისა და სისტემატიზაციის საქმეში.

დასასრულად, ვუსურვებთ კორნ. კეკელიძეს „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის პირნათლად შედგენასა და გამოქვეყნებას ისევე, როგორც წინამდებარე პირველი ტომიარის, ქართველი ერისა და მისი შემოქმედების ბრწყინვალე წარსულის ერთ-ერთი გამოხატულობის ნათელსაყოფად.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი

Н. Марр. Термины из абхазо-русских этнических связей „лошадь“ и „тризна“ (К вопросу о племенном происхождении Средиземноморского населения). Издание Наркомпроса Абхазии. Ленинград 1924, 57 зб.

წიგნის 1 გვერდზე აწერია: „Первому Краеведческому Съезду в Абхазии посвящает автор“.

„თვითოეული ქვეყნის იათეოურ სახელწოდებას ერთა და ღმერთთა იათეტური სახელწოდებანი მისდევნო, ხოლო ერთა და ღმერთთა იათეტურ სახელწოდებათა შექდგომ—იათეტური სახელწოდებანი არა მხოლოდ კულტის საგნებისა, არამედ აგრეთვე ყოფა-ცხოვრების საგნებისაც“ (გვ. 6).—აი ის ერთ-ერთი მთავარი დებულებათაგანი, რომლიდანაც მომდინარეობს ავტორი იმ საკითხის გამოსარკვევად, რომელიც განუზრახავს წინამდებარე ნაშრომში და რომელსაც ნაწილობრივ ეხებოდა ორიოდ წლის წინეთ ერთ პატარა სტატიაში ამ სათაურით: „«Лошадь» || «птица», тотем урарто-этрасского племени и еще два этапа в его миграции“ (Ифегический Сборник; I, Пгр. 1922, зб. 133—136).

საკითხი ეხება ცხოველ „რაშ“-ს, ე. ი. იმ ზღაპრულ ცხენს, რომელიც, სხვათა შორის, ცნობილია (თუმცა ამაზე თვით ავტორი არაფერს ამბობს) ამირანის თქმულებაშიაც. ამასთანავე ერთად „რაშ“-„როშ“-„რუშ“ || „რას“-„როს“-„რუს“ || „ლაშ“-„ლოშ“-„ლუშ“ || „ლას“ || „ლოს“ || „ლუს“ ტომის სახელწოდებაც არის. და ვინაიდან თვითოეული იათეტური ტომის სახელწოდება იმავე დროს შესაფერი ტოტემის სახელწოდებაც არის, ამიტომ „რაშ“-ი გამოიხატება როგორც ღვთაებაც. ეს ტომი კარგად ცნობილია ბიბლიიდანაც „როშ“-ისა და აგრეთვე „რას-ენ“-ის სახით, ხოლო უკანასკნელი სავა-და-სხვა ფორმით.



რასაკვარველია, გავრცელებულია საკუთარ ვრცელ ტერიტორიაზე, მაგალითად, „უ-რას-ტუ“ („უ-რარ-ტუ“), აქედან „ა-რარ-ატ“, ვითარცა ქვეყნისა და შემდგომ მთის სახელწოდება, „ე-რას-ხ“, აქედან „ა-რაქ-ს“ — მდინარის სახელწოდება, „ტ-რუს-კ“ — იტალიაში ცნობილი ტომის სახელწოდება, „უ-რას“-„უ-რარ“ — „უ-რალ“ მთის სახელწოდება\*), და სხვა. ამ სახელწოდებებიდან, ავტორის აზრით, მოქდ-ნარეობს აგრეთვე სომხ. „რუტუნიქ“ („რუშ-ტუნ-იქ“) და ქართ. „ერუშეთი“ („ერუშ-ეთ-ი), ვითარცა პროვინციების სახელწოდებანი; აგრეთვე — სევანური „ლაში“ („ლაშ-ხ“) > „რაშ“, რაც ცხენს ნიშნავს და რომლის სიტყვა-სიტყვითი თარგმანია ქართ. „ცხენის-წყლი“, ხოლო ბერძნული „პიპოსი“. მაგრამ ავტორი ამახედდაც არ ჩერდება, და „რაშ“-ს უკავშირებს „რაქ-ა“-ს სახელწოდებასაც. აგრეთვე სომხ. სიტყვა „არშავანქ“ („არუშ-ავანქ“), „არშაველ“ („არუშ-აველ“), რაც თავდასხვას ანუ ლაშქრობას ნიშნავს. გარდა ამისა, ეგების აქედანვე იყოს სომხ. სიტყვა „პრაშქ“ („პ-რაშ-ქ“), სასწაულის მნიშვნელობით, რომელსაც ის არ იხსენიებს.

მთელი თავისი ნაშრომის სიგრძეზე ავტორი კვლავინდებულად იძლევა მრავალ სიტყვათა ახსნა-განმარტებას. მათში, სხვათა შორის, საინტერესოა, თუმცა საეჭვო, ახსნა სომხ. ზმნის „ა-რარ-ი“ (ა-რას-ი), გ. ი. „ექქენ“, რომელიც, ავტორის სიტყვით, პალეონტოლოგიურად ნიშნავს „я сърасенил“ или „съэтрусил“-ო, ვინაიდან ძველად არ იყო განსაკუთრებით ტერმინი თქმის აღსანიშნავად და ამ („თქვა“) ზმნის გამოხატავად იხმარებოდა სწორედ ის სიტყვა, რომელიც იმავე დროს ტომსაც ნიშნავდაო. ვინაიდან ეს — მეტის-მეტად პრობლემატიური საკითხია და მასთან დაკავშირებით ავტორი ფრიად ორიგინალურად განმარტავს იოანეს თავის სახარების სიტყვებს „პირველით-გან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა“ (I, 1), საინტერესოა მოვისმინოთ, თუ რას ამბობს ის თავის ერთ სხვა ნაშრომში, რომელიც აგრეთვე ახლახან გამოიცა. „Каждое основное яфетическое племя имело собственный глагол в значении „говорить“, совпадающий в звуковом отношении с его племенным названием, т. е. термин слова „говорение“, „речь“ было формально тотемом или этнонимом, предметом, величаемым его-же, племени, названием, священным или „знаменным“ названием, так как яфетидологически всякое имя есть уже „знамя“, „знамение“. Может быть, и по существу „слово“ для племени было, действительно, тотемом, его богом. Впору думать, что евангелист Иоанн берет не из схоластических соображений, а из источника живого

\*) იხ. Н. Марр, Книжные легенды об основании Вуара в Армении и Киева на Руси, — „Известия Рос. Акад. ист. мат. культуры“, т. III, 1924, 33-264.

предания о действительном до-историческом положении вещей то, что пишет: „в начале было слово, и слово был бог“, и это надо понимать не мистический, а совершенно реально и конкретно. Факт во всяком случае тот, что племенного термина для речи не было, и выражая акт говорения, пускали в дело этнический термин в зависимости от яфетического племени, о котором шла речь, и выходило, что „новяниц“ или „иоп“ „понит“, „ибер иберит“, „этруск расенит“, „скит скифит“... и т. д. \*).

„რუმ“ თან ავტორი აკავშირებს აგრეთვე ქართ. სიტყვას „მ-რუმ-ი“, რაც „распутное существо, прелюбодей“-ს ნიშნავსო, ვინაიდან იაფეთიანთა შორის გარკვეული დროიდან ღმერთების სახელწოდებანი იხმარებოდა უკვე „ბილწი არსებათა“ აღსანიშნავადო (გვ. 27—28).

არა ნაკლებ საინტერესოა, თუშკა პრეობლემატიური, ერთი განმარტება, რომელსაც იძლევა ავტორი სომეხი ერის სახელწოდების „ჰაჲ“ — „ჰაჲკ“-ის შესახებ, რომელიც „ბასკ“-ის გადასახებააო: „Закон, действовавший на перерождение Pasa'a в Haug'a. очевидно, особенность одного лишь слоя армянского языка, того слоя, который индоевропейское pater „отец“ обратил в haug „отец“ (стр. 11). ამასთანავე ერთად ის ფაქტობს, რომ თუ სომხ. „ჰაჲრ“-იო მომდინარეობს არქეტიპის „pater“-საგან, ხოლო უკანასკნელი იგივეა, რაც ეტრუსკელების pater „მამა“ იტალიაში, მაშინ აიხსნება ქართ. სიტყვაც „წინაპარნი“ („წინა-პარ-ნი“), რომელიც უდრის სომხ. „ნახა-ჰაჲრ“-ს (გვ. 11).

თავის ნაშრომს ავტორი ასრულებს, სხვათა შორის, ერთი შენიშვნით, სადაც უარყოფს იმ დებულებას, ვითომცა „კავკასია ერთა აკვანბია“-ო („Кавказ есть колыбель народов“), ვინაიდან, მისი სიტყვით, „сама мысль об искании до-исторической колыбели какого-либо народа в одном определенном месте отмечается как пережиток библейского мировоззрения“ (გვ. 57).

### ლეონ მელიქსეთ-ბეგი

ივ. ჯავახიშვილი. ს. კაკაბაძის შენიშვნა საისტორიო რუკაზე (საისტ. მ-ე I, 293—297). ჩვ. მეც-ბა № 11—12 (აპრ. და მა-სი) 1924 წ.

ჩვენს, მეტად შეღავათიანად დაწერილს რეცენზიას ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ ისტორიულ რუკის შესახებ (საისტ. მოამბე, წ. I, გვ. 293—297) მოყვა ივ. ჯავახიშვილის ავე შემოდღასა ხელეპული პასუხი, რომელშიდაც ავტორი ამბობს, რომ „ჩემი მთა-

\*) Н. Марр, Из поездки в европейским яфетидам (Отчет по второй заграничной командировке, октябрь 1922—июнь 1923), отд. оттиск из „Яфетического Сборника“. III, стр. 49—50.

ვარი მიზანი იყო — გამომერკვია ძველი გეოგრაფიული სახელების თანამედროვე რუსული შესაბამისობა, რუსულ რუკებზე რომ არის აღნიშნული... როდესაც ჩემი საისტორიო გეოგრაფია დიბეჭდება, განაგრძობს ის, მაშინ ყველანი, მათ შორის ს. კაკაბაძეც, რომელმაც ამ რუკებს გარჩევა, უმეტესად გაუგებრობაზე დამყარებული, უძღვნა „საისტორიო მოამბეში“, დარწმუნდებიან, რამდენი შრომა და წინასწარი კვლევა-ძიება იყო საჭირო ბევრი საგეოგრაფიო სახელის რუსული რუკების შესატყვისობის გამოსარკვევად. რუკას უნდა დართული ჰქონოდა სახელების საძიებელი და იქ გასწორებული უნდა ყოფილიყო შეცდომები, რომელთა აცილება პირველი ცდის დროს შეუძლებელია. მაგრამ საძიებელი ვერ დაიბეჭდა. უნდა განეცხადო, რომ ნამდვილი შეცდომები ს. კაკაბაძეს ვერ შეუმჩნევია და შეცდომად კი მიაჩნია წყაროებზე დამყარებული ცნობები“ (ჩვ. მეცნ. № 11—12, 1924 წ. გვ. 129—130). ამნაირად ივ. ჯავახიშვილს რეცენზიის მთელი სიძიმე ცალკე გეოგრაფიულ სახელების ტრანსკრიპციაში დაშვებული შეცდომებისაკენ გადააქვს და ყრულ ამბობს — „ს. კაკაბაძეს (ეს) ვერ შეუმჩნევია და შეცდომად კი მიაჩნია წყაროებზე დამყარებული ცნობები“. ნამდვილად კი ცალკე გეოგრაფიულ სახელების ტრანსკრიპციაში დაშვებულ შეცდომებს ჩვენ, სრულებით არ შეგვხებიათ იმ მიზეზით, რომ რუკა მთავარ მიზანღობლივ თვისებების მხრივ კრიტიკას ისედაც ვერ უძლებს და ჩვენ არ გვინდოდა რეცენზიის დამძღვება. ამასთან ერთად, „საისტ. მოამბეს“ შეიძლება აინტერესებდეს უმთავრესად რუკის ისტორიული მხარე, სადაც ისტორიკოსის ხელი უნდა სჩანდეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში დაშვებული შეცდომებიც შეუწყნარებელია და მათი თავიდან აცილება ადვილი საქმე იყო. ამ მიზეზების გამო ჩვენ ვწერდით მხოლოდ შემდეგს: „ჩვენ შევვხეთ (რეცენზიაში) მხოლოდ მთავარ ფაქტებს, დეტალებზე სიმოკლისათვის არ გავჩერებულვართ. კეძოდ საკუთარ სახელების ტრანსკრიპციაში ზოგ ადვილას, თუმცა არც თუ ხშირად, არის შეცდომები, მაგრამ ასეთი შეცდომების თავიდან აცილება, გარეშე კორექტურულ ხასიათის ლაპსუსებისა, ისტორიულ რუკის პირველ გამოცემისას თუ შეუძლებელი არა, ყოველს შეითხვევაში ძნელი იქნებოდა“ (საისტ. მოამ. I, 297). ივ. ჯავახიშვილმა ამნაირად საკითხის მთელი სიძიმე გადაიტანა ისეთ სფეროში, სადაც მას ბრალს არავინ სდებდა. ეს მ.ნ. მოიძოქცდა ცხადია იმ მიზნით, რომ ჩატუჩიგებიანა რეცენზიაში აღნიშნული უდიდესი, ასე ვთქვათ, პრინციპიალური შეცდომები, რომელიც ახასიათებს ამ ისტორიულ რუკას და მას ყოველგვარ ღირებულებას უკარგავს. ასეთ შეცდომათაგან ჩვენ ვღრვენდით, რომ პირველ ქარგაზე (სულ რუკა

შეიტანეს სამს ქარგას—1 საუკ. ქრ. წ., მე-12 საუკ. და 1783 წლის საზღვრებს) იბერიის საზღვარი ნაჩვენებია მუხურის-სვირის ხაზზე, აქა-რა ნაჩვენებია კოლხიდის საზღვრებში და კლარჯეთი იბერიაში, ტაო შეტანილია იბერიაში, იბერიის აღმ. ფარგლებში შეტანილია არა თუ კამბეჩოვანი, არამედ ალაზანს გაღმა შემდეგდროინდელი ქარ-ელისე-ნიც. ამასთანავე ჰერეთი იბერიის ნაწალადაა ნაჩვენები, ზენა-სოფელი ნაჩვენებია სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე, მოვაკანი ნაჩვენებია ხო-რანთას გვ. რით 10 კილომეტრზე და სხ. (საისტ. მოამბე 1, 293 — 294). ყველაფერი ეს წარმოადგენს გასაოცარ შეცდომებს. ასეთივე მძიმე შეცდომებით არის შედგენილი მე-12 საუკუნის საქართველოს ქარგა და რაც კიდევ უფრო გასაკვირველია, საქართველოს სამეფო-სამთავროების 1783 წლის საზღვრებიც, რომლებიც ძალიან კარგადაა ცნობილი, (საისტ. მ., გვ. 294—296). შიგადაშიგ ივ. ჯავახი-ხიშვილს ისეთი შეცდომები აქვს დაშვებული, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მას საქართველოს არა თუ ისტორიულ, არამედ ზოგიერთ შემთხვევებში თანამედროვე გეოგრაფიაზედაც ფრად სუსტი წარმოდგე-ნა აქვს. ასეთია, მაგ., მის მიერ ნაჩვენები სამურზაყანოს, აფხაზეთის, სალიპარტიანოს და სხვა პროვინციების ფარგლები, რომელიც მთლიან-ნად შეცდომით არის წარმოდკ ხალი. ყველაფერს ამას და ჩვენ მიერ აღნიშნულ სხვა მსხვილ შეცდომებზე ივ. ჯავახიშვილი გვერდს უვლის და ნხოლოდ ყრუდ ამბობს—(ს. კაკაბაძეს) შეცდომად მიიჩნია წყაროებზე დამყარებული ცნობებიო.

ჩვენ შეუწყნარებლად მიგვიჩნია ასეთი პოლემიკური ფანდების ხარე-ბა. სამწუხაროდ ივ. ჯავახიშვილი მათ წინადაც ხშირად მიმართავდა (მაგ. მოსე ჯანაშვილის, ჩვენდა მომართ, უკანასკნელად ნიკ. მარრის მიმართაც), მაგრამ ყველაფერი ეს რჩებოდა უპასუ-ხოდ. ამ უმად კი ჩვენ იძულებული ვარხ ეს ერთი ფაქტი მაინც და-ვადასტუროთ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ არა-დასა-შვებ გარდათქმათა საბოლოოდ აღსაკვეთად. არსებითად კი საკი-როდ ვრაც განვაცხადო, რომ ივ. ჯავახიშვილი ვერასოდეს ვერ შესძლებს მის მიერ შედგენილ და რეკორდულ უმეცრებაზე აგებულ ისტორიულ რუკის გამამართლებელ წყაროების ჩვენებას, ვინაიდან ასეთი წყაროები არ არსებობს, ხოლო უკეთუ ივ. ჯავახიშვილი ასეთ წყაროებს დაასახელებს, ეს იქნება ძალიან საინტერესო. თავის თავად იგულისხმება, რომ ისტორიკოსისთვის ძალიან ადვილი უნდა იყოს ისტორიული რუკის შედგენა, უკეთუ მას განსაზღვრულ საგნის შესახებ აქვს პერსპექტიული წარმოდგენა. ასეთი წარმოდგენა საქარ-თვლოს ისტორიის საერთო მსვლელობის შესახებ, როგორც სჩანს, ივ. ჯავახიშვილს არ ჰქონია. ივ. ჯავახიშვილი ბრძა-



ნებს მის მიერ გაწეულ დიდ შრომისა და წინასწარ კვლევა-ძიების შესახებ. ეს გარემოება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქედნის შრომას ფუქად ჩაუვლია, რასაკვირველია ძლიერ სამწუხაროა. მაგრამ უფრო მეტად სამწუხაროა და გასაოცარი ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილს აქამდის ვერ მოუხერხებია, მიუხედავად 25 წლის სიგრძეზე მეცნიერულ შრომისთვის და ძიებისთვის ფრიად ხელსაყრელ პირობებში შეუწყვეტილ მუშაობისა, საქართველოს ისტორიის ელემენტარულ ფაქტების გაგება და შეთვისება.

ს. კაკაბაძე.

ივ. ჯავახიშვილი—ქართველი ერის ისტორია, მეოთხე წიგნი, 1 ნაწილი (მე 15 საუკუნე), ტფლისი 1924 წ., გვ. 1—230.

დასახელებული ნაშრომი ივანე ჯავახიშვილისა, რომელიც ნაწილნაწილ იბეჭდებოდა ჟურნალ „ჩვენს მეცნიერებაში“, დაწყებულია, როგორც თვით ავტორი ამბობს (გვ. 4), 1917 წ. და დაწერილი ყოფილა 1918—1921 წლებში, თუმცა ამის შემდეგაც მასში ბევრი რამ ჩამატებულა. ავტორს აკვარად ამ წიგნის შედგენისათვის მიუძღვის ძლიერ ბევრი შრომა. მაგრამ, სამწუხაროდ წიგნი ოდნავადაც ვერ ამართლებს გაწეულ შრომას. საკმარისია ითქვას, რომ ავტორი სრულებით ანგარიშს არ უწევს მთავარ და იმავე დროს ელემენტალურ მეთოდოლოგიურ მოთხოვნებებს, რომელთაც წინ უყენებს ისტორიკოსს თანამედროვე ისტორიოგრაფია. წიგნში არ არის, ან ძლიერ სუსტად და ზოგიერთ შემთხვევაში საკმარისად გულგებრყვილოდ წარმოდგენილი სოციალურ-კულტურულ ფაქტების განვითარება, არ სჩანს ცალკე ისტორიულ მოვლენებს შორის მიზეზობრივ კავშირის ჩვენებისა. ავტორი უჩვენებს ჩვენი ქვეყნის მე-15 საუკუნის ისტორიის შესახებ მასალების სიმცირეს, რაც სიპართლეს წარმოადგენს, მაგრამ არსებული მასალებითაც შესაძლებელია საქართველოს სოციალურ-კულტურულ განვითარების საერთო პერსპექტივა შემუშავებულ იქნას და ამასთან დაკავშირებით წარმოჩენილ იქმნას პოლიტიკური ფაქტების განვითარება. სამწუხაროდ ავტორმა ვერ შესძლო ეს და აქედან წარმომდინარეობს როგორც წიგნის არა სათანადო ხაზზე აგება, ისე აგრეთვე ძირითადი მეთოდოლოგიური დეფექტები, რომელიც წიგნს ახასიათებს.

უნდა აღნიშნოს უპირველეს ყოვლისა, რომ ივ. ჯ-ლის ეს წიგნი, მიუხედავად მისი სახელისა („ქართველი ერის ისტორია“) ნამდვილად ისტორია არ არის, არამედ ძაღბა ცალკე მეფეების ცხოვრებისა, მათი ოჯახურ ნათესავებისა და ცალკე პოლიტიკურ ფაქტების შესახებ. ყველაფერი ეს იმავე დროს არის ფრიად გავრცელებულად მოთხოვნილი ისე, თითქოს აქამდის ამავე საკითხებზე არაფერი ყოფილიყო დაწერილი. მაგალითად, დიდ ალექსანდრე მეფის გამეფების დათარი-

ღებას ივ. ჯ-ლი სამ გვერდს ანდომებს (გვ. 7—10), მაშინ როდესაც თუ მართლა ალექსანდრე 1412 წლის თებერვალ-მარტში გამეფდა და არა სექტემბერში, როგორც ამის შესახებ წინაღ გამოთქმული იყო მოსაზრება (ს. კაკაბ., დიდის ალექსანდრე მეფის გამეფ. თარიღი, 5), ამისთვის სრულიად საკმარისი იყო რამოდენიმე სტრიქონი. მართალია, ამავდროულად ჩვენც შევჩერდით თავის დროზე. მაგრამ მაშინაც ჩვენ ეს საკითხი გვიანტერესებდა დაკავშირებით სხვა უფრო დიდ მნიშვნელოვან საკითხთან, სახელდობრ, თუ როდის იწყებოდა ჩვენში მე-15 საუკუნეში ახალი წელიწადი—1 სექტემბერს, თუ 1 იანვარს. მეორეჯერ ალექსანდრეს გამეფების თარიღზე ასე ვრცლად გაჩერება შეუძლებელია მიზანშეწონილად ჩითვალოს, იმდენად ნაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი ალექსანდრეს გამეფების შესახებ 1412 წლის სექტემბერში (ჩვენ ეხლა ცამ აზრის ვართ), თუ თებერვალ—მარტში\*). სამწუხაროდ, ასეთი ადგილები ავტორს თავის წიგნში ძლიერ ბევრი აქვს დავასახელებთ რამოდენიმე მაგალითს. მაგრატ. გიორგისძის მეფის ვინაობას ივ. ჯ-ლი 4 გვერდს ანდომებს (გვ. 80—84) მხოლოდ იმისთვის, რომ გაიმეოროს დიდი ხანია უკვე გამორკვეული აზრი (ს. კაკაბ., გენეალ. მაგრატ VI აფხ. და ქართ. მეფისა), რომ მაგრატი არის გიორგის ძე მარტო იმ (ჩვენის აზრით არა-სწორი) შესწორებით, რომ ეს გიორგი უნდა ყოფილიყო ბატონიშვილი და არა მართველი მეფე. ასევე ვრცლად და სრულიად ზედმეტად ეხება ავტორი ამვე მაგრატ მეფის გამეფების თარიღს მთელი ორი გვერდის სიგრძეზე (გვ. 100—103) და მხოლოდ იმით, რომ სრულიად უსაბუთოდ ეჭვი გამოაცხადოს (გვ. 101, შენჯ. მაგრატის 1455 წ. გამეფების თარიღში, რაც უკვე ცნობილია და რაც დასტურდება თვით ი. ჯ-ლის მიერვე მოყვანილ, აგრეთვე ცნობილ მასალებით (გვ. 101). ასევე ზედმეტად უნდა ჩითვალოს ხელახლა მსჯელობის გამართვა მეფის კოსტანტინე დიმიტრის ძის მამისშვილობაზე (გვ. 136) ანდა ამვე კოსტანტინეს თანამეცხედრისა და მისი შვილების სახელების შესახებ, რადგან ყველაფერი ეს უკვე ელემენტალურად ცნობილია. ასევე ზედმეტია ჩვენი აზრით აზნაცები „კახთა მეფე ალექსანდრე და მისი სახლობა“ (გვ. 139—140), „ალექსანდრე მეფის სახლობა“ (გვ. 142) და სხვა ანალო-

\*) რომ ივ. ჯ-ლი აქაც ცდებოდა, ეს სჩანს იქიდან, რომ ემირის ყარაიუსუფის გალაშქრება შირვანზე, სადაც მას დახვდა ჯარით შირვანშაჰი იბრაჰიმი და საქართვე. მეფე კოსტანტინე, ეს უკანასკნელი ხონდემირის სიტყვით 12 ათ. ცხნოსნით, მოხდა აბდ ერრეზაკის სიტყვით 815 წ. ჰიჯრ. (1412 აპრი—1413 აპრი). ამ ომში შეიპყრეს ტყვედ და შემდეგ მოკლეს მეფე კოსტანტინე, მამა მეფე ალექსანდრესი, Delremery, *Fragm. de géogr. et d'hist. arabes et pers.*, 245). ცხადია, რომ ალექსანდრე გამეფებულია 815 წ. ჰიჯრ., მაშასადამე შეუძლებელია მისი გამეფება მიეკუთვნოს 1412 თებერვალ-მარტს, არამედ ამ მხრივ უფრო მართალი უნდა იყოს ჩვენი თარიღი—1412 წ. სექტ.

გიურ ანაგებზე წარმოშობილი აბზაცები, რომლებიც ცალკე ფაქტების შესახებ უკვე ცნობილ არგუმენტაციის გამეორებას წარმოადგენს. ამგვარი მაგალითების გამჩაელებსათვის, თვით პოლიტიკურ ფაქტების შესახებაც, ივ. ჯ—ლის წიგნი იძლევა, სამწუხაროდ, ძლიერ ბევრ მასალას. მთელი წიგნის სიგრძეზე, ასეთი ფაქტების დეტალურ არგუმენტაციის განმეორების ან მოყვანის დროს, არსად არ არის გამოთქმული რაიმე ახალი აზრი ან მოცემული რაიმე ახალი გაშუქება. ამიტომაც მით უმეტეს ზედმეტად უნდა ჩაითვალოს ამა თუ იმ მეფის გამეფების თარიღისა, დედოფლების და მეფისძეთა შვილების სახელებისა და თვით ცალკე პოლიტიკურ ფაქტების შესახებ უკვე ცნობილ დეტალებსა და არგუმენტაციაზე დახარჯული შრომა.

მართლაც ვისთვის რა საინტერესო უნდა იყოს, მაგ., ვრცელი მსჯელობა იმის შესახებ, რომ რადგანაც ყვარყვარე ათაბაგის (1447—1498 წ.) ცოლი დედისიმედი, გარდაცვალებული 1491 წ. 54 წლისა, დაბადებულა 1437 წ., ხოლო ალაპებში ყვარყვარეს და დედისიმედის შვილად მოხსენებული ქაიხოსრო (ათაბაგობდა 1498—1500 წ.) დაბადებულია 1447 წ., ამიტომ, ამბობს ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, „ისე გამოდის-ო, რომ დედისიმედი 9 წლის უნდა გათხოვილიყო და ქორწინების პირველსავე წელს შვილი ჰყოლოდა, რაც ამ ხანში იშვიათ მოვლენად ითვლება“. აქვე ივ. ჯ—ლი სოლიდურად იხსენიებს გერმანელ პროფესორის შტრასმანის წიგნს ქალის ჰიგიენის შესახებ და დამარწმუნებელი კილოთი დაასკვნის—15 წლამდე ჩვეულებრივ შვილს სნობა იშვიათ მოვლენადა არის ცნობილიო. (გვ., 115) და მეტა არაფერი. ავტორს მაინც ვერც ამ ძიებამ უშველა და ვერც გერმანელ პროფესორის ავტორიტეტმა და ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი ალბად დარჩება ღიად, სანაძღის ივ. ჯ—ლი ისევ თითონ მოიპოვებს დროს და ხალისს აუჩქარებლივ ამ საკითხის გამოსაკვლევად. საშური არაფერი არას, რადგან არა გვეონია ამ საკითხს ვინმე გამოეკიდოს. თავისთავად იულისხმება, მკვლევარს უხდება ხშირად სხვადასხვა წვრილმან საკითხებზედაც ყურადღების შეჩერება, მაგრამ დაკავშირებით რთულ გენეალოგიურ საკითხებთან, რომელთაც თავის მხრივ კავშირი აქვთ სხვა უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ ხასიათის საკითხებს გარკვევასთან. მაგრამ ისე თავის თავად, განკერძოებით ყოვლად უმნიშვნელო საკითხზე დაწვრილებით ყურადღების შეჩერება და ისიც ისტორიის თხრობაში წარმოადგენს სრულის non-sens ს. ივ. ჯ—ლის სანუგეშოდ შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ ალბად ქაიხოსრო არ არის დედისიმედის შვილი, არამედ ყვარყვარე ათაბაგის პირველი ცოლის, ხოლო მისი სააღაპო მოსახსენებელში ყვარყვარე—დედისიმედის პირმო შვილად დასახელება ჩვეულებრივ გამოთქმის უბრალო

განმეორებას უნდა წარმოადგენდეს. ყოველს შემთხვევაში ამ საკითხს თავისთავად არა აქვს არავითარი მნიშვნელობა და ჩვენ იძულებული ვიყავით აქ ამაზე შევეჩერებულიყავით, რათა ამით შევწყვიტოთ ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის ფაქტიური მხარის გარჩევა. ეს ფაქტიური მხარე სამწუხაროდ აგებულია ზემოდ მოყვანილ მაგალითების მზგავსად მეტისმეტად განვრცელებით მოთხრობილ ყოველად უმნიშვნელო წვრილპნების გარჩევაზე. ეს გარემოება კი იმის მაჩვენებელია, რომ ავტორს არა აქვს წარმოდგენა თანამედროვე ისტორიულ მეცნიერების მოთხოვნილებათა შესახებ და პოლიტიკურ ისტორიის ქარგაც ამიტომ ხშირად მეფე-მთავართა ცოლებისა და მათი შვილების სახელების გამო-რკვევასთან აქვს არეული. ვიმორებთ, მკვლევარს შეიძლება უზღუოდეს ხანდახან წვრილ საკითხებზედაც გაჩერება, მაგრამ არა დამოუკიდებელი მათზე, არამედ დაკავშირებით სხვა უფრო მნიშვნელოვან ფაქტებთან და ანაგებებთან.

არა ნაკლებ იქცევეს ყურადღებას ავტორის მიდგომა ცალკე პო-ლიტიკურ საკითხების გაშუქების დროს და მისი მეოოდო, მიმართული რთულ პოლიტიკურ ფაქტების ასახსნელად. ყუვარყვარე ათაბაგი, ამბობს ივ. ჯ—ლი (გვ. 49), იმდენად დაბრმავებული ყოფილა ამ მტრობით (მეთისადმი) და განკერძოებისთვის ბრძოლით, რომ უთან-ხმოება და სიძულვილი საეკლესიო სფეროშიც გადაუტანია... ათაბაგე-ბი იმდენად გაკანდიერებულნი იყვნენ, რომ ადგილობრივი ვიწრო თე-მობრივი მამულიშვილობით და მტრობით დაბრმავებულნი წირვა-ლო-ცვაში, როგორც ეტყობა, უკვე საქართველოს მეფესა და კათალიკოსს არ იხსენიებდნენ“. ასეთ „გაკანდიერებულ“ ათაბაგების დროს „უუქკელია, ამბობს სხვა ადვილას ავტორი, ყოველი შეგნებული ქართველი მოღვაწის თანაგრძობა მაშინაც, როდესაც ეს ბრძოლა სწარმოებდა, ქართული ეკ-ლესიის მწყემსთმთავრის მხარეზე იქნებოდა და ეხლაც, საუკუნეთა შემ-დგომაც, საქართველოს კათალიკოსთა ეს მეღვარი ცდა საქართველოს განხეთქილებისა და განკერძოების პროცესის შესაჩერებლად მშვენიერი მიმხილველობით მოსილ ბრძოლად გვეხატება. განა ქართველი ერისა-თვის მართლადაც დამტუბველი არ უნდა ყოფილიყო მესხეთის ეკლე-სიის წადილი და მცდელობა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საყდრისაგან ჩამოსაშორებლად?“ და სხ. (გვ. 56). ავტორს ამგვარად ჰგონია, რომ მე-15 საუკუნეში საქართველოს ბედნიერება ტფილისის მეფეზე და მცხეთის კათალიკოსზე იყო დამოკიდებული და ვინც ამ ორი საქმეპყრობელის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა, ის მოღალატეთ გა-მოდის. ასეთი ადვოკატური და იმავე დროს გულუბრიყვოო განმარ-ტება მე-15 საუკუნის სურძებზე ჩვენში მომქმედ მძლავრ ფაქტორების ზედკავლენისა კერძოდ პოლიტიკურ ფაქტების სფეროში პიოდაპარ



გასაკვირველია. ეს არ არის ფაქტებთან მიდგომა თუნდაც ინდივიდუალისტურ მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, არამედ ეს არის პირდაპირ უბედურება. მართლაც, რომელი საბჭოთათ სჩანს, რომ ათაბაგები ან მაწყვეჩლები მე-15 საუკუნეში ქართველობის, ე. ი. თავისი თავის მოლაღატენი იყვნენ. ივ. ჯ — ლისთვის უცნობია, რომ მე-15 საუკუნეში ქართველი ხალხი, მთელი წინა-აზიისათვის გარდამწყვეტ მნიშვნელობის მქონ ფაქტორების ზედგავლენით, ახდენდა თავის შინაგან ძალთა ახალს დაჯკუფებას არს. ბობის შესწინარჩუნებლად და მართალია მე-16—18 საუკუნეებში ნელნელა ამ არსებობისთვის ბრძოლას შეეწირა მესხეთი ეროვნულად (მოსახლეობის აქთურქობაზე გადასვლის დაწყების გამო), მაგრამ სავაგიერო ქართველობა, როგორც ერი, გადაკვარებას მაინც გადაარჩა ვიდრე მე-19 საუკუნეში იმავე მსოფლიო მწუშინელობის ფაქტორების ზედგავლენით მან არ იწყო კულტურულ-ეროვნულ განვითარების თვალსაზრისით სამშვიდობოზე გამოსვლა. ივ. ჯ — ლს ლოდიკით დიდი აღექსანდრე მეფეც მოლაღატე იქნებოდა. რადგან მან თავისსავე სიცოცხლეში სამივე თავისი შვილი მეფეებად გამოაცხადა და ისიც ერთი მათგანი იმერეთში და მეორე კახეთში, მაგრამ მე-16—15 საუკუნის ქართველებს მთლიანად რომ მე-20 საუკუნის ივ. ჯავახიშვილის ქკუაზე ევლოთ შესაძლებელია ეხლა ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი ისტორიის წაკითხვისაგანაც თავის უჭალი ვყოფილიყავით, რადგან შესაძლებელია არც ქართველი ერი, როგორც ინდივიდუალურ ეროვნულ-კულტურულ შეგნების მქონი, წინახულიყო გადაუსხვაფერებლივ და გადაუგვარებლივ. რასაკვირველია, ამაზე მსჯელობა ეხლა ზედმეტია, საქიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ ისტორიკოსის ელემენტარული მოვალეობის — ფაქტების შორის მიზნობრივ კავშირის დადასტურების და აქედან გამომდინარე ობიექტივობის დაცვის საქიროება — ივ. ჯ — ლს ოდნავ გადაც არა აქვს შეთვისებული. ეს სჩანდა სხვა წინანდელ მის შრომათაგან, მაგრამ განსაკუთრებულ და შეიძლება ითქვას ფრიად სამუხარო სიძლიერით ეს ძირითადი ნაკლი აშკარავდება ავტორის ამ ნაშრომში. ამ საბედისწერო მეთოდოლოგიური ნაკლით აიხსნება, რომ ავტორი ყველგან მოლაღატეების ძენაშია. აი მაგ., როგორ ამკობს ივ. ჯ — ლი 1470—1474 წ. წ. ანტიოქიის პატრიარქის მოსვლისას ბაგრატ მეფის დასტურით ბიკინტის საკათალიკოზო ტახტზე იოაკიმე ცაიშელბედიელის კურთხევს ფაქტს. ივ. ჯ — ლს უკვირს, როგორ მოხდა, რომ ანტიოქიის პატრიარქმა აფხაზეთის კათალიკოზი აკურთხა. ამ კურთხევაში ორი შესაძლებლობა უნდა ყოფილიყო, ნაკურთხეველი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უნდა ყოფილიყო, ან თვით აფხაზეთის ეკლესიის თვითმწყობა და დანოუყიდებლობა უქკველია დაცული იქნებოდაო, ამბობს ივ. ჯ — ლი. მაგრამ მას ავიწყდება, რომ ამ ორი მის

მიერ მე-20 საუკუნის შიგნების თვალსაზრისით შეთხზულ შესაძლებლობის გარდა იყო კიდევ მესამე შესაძლებლობა, სახელდობრ — ანტიოქიის პატრიარქი საქართველოში მისვლისას შეესწრო იმ დროს, როდესაც აბხაზეთის საკათალიკოზო ტახტზე ახალი პირი უნდა დაენიშნათ, ნაცვლად ახლად გარდაცვალებულ წინანდელი კათალიკოზისა. ანტიოქიის პატრიარქმა მიიღო მონაწილეობა კანდიდატის შერჩევაში, აგრეთვე მის კურთხევაში და ამასთან ერთად ფრად სანტერესო საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლის „მცნებაჲ სარჯულოჲ“-ს შედგენაშიდაც. ივ. ჯ — ლის სამწუხაროდ მოხდა სწორედ ეს მესამე შესაძლებლობა და საკმაოდ უხუთათოდაც, მით უმეტეს რომ არც ანტიოქიის პატრიარქს, ალბად ფულის ჩამოსათხოვად ჩამოსულს, ექნებოდა იმპერიალისტური ზრახვები და არც ბაგრატ მეფე იყო ისეთი სულელი მოღალატე, რომ პატრიარქის სურვალზე ევლო. საქაროა აღინიშნოს, რომ ეს ის ბაგრატ მეფეა, რომ ღსაც იმერეთში სასტიკი კაცის სახელი ქონდა დავარდნილი (კონტარინის ცნობა) და როგელმაც ქართლი და ტფილისი დაიპყრო და საზოგადოდ, როგორც სჩანს, საქართველოს მთლიანობისათვის იბრძოდა და საკმაოდ დაუზოგავადაც. მართალია ეს მთლიანობა მას მხოლოდ თავისთვის უნდოდა, მაგრამ მარტო თავისი პოლიტიკის ამ მიმართულებითაც, ცხადია, მას ივ. ჯ — ლის სიჰპატია უნდა მოეპოვებინა. მაგრამ ივ. ჯ — ლი ებრძვის ქარის წისქვილებს და ამბობს: „ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილმა... დანვა იოვაკიმე აბხაზეთის კათალიკოზად. ანით აბხაზეთის ქართული ეკლესიის თვითშწყსობის უფლება შეიღახა, დამოუკიდებლობა მოისპო... ამ საქციელით პატრიარქმა მიხეილმა ბაგრატ მეფემ და დადიან-გურიელმა შამადავლამ ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლა მონაპოვარი ქართული ეკლესიის თავისუფლება მისპეს და გაანადგურეს! მარტო ეს გარემოებაც კმარა მაშინდელ საქართველოს და ბაგრატ მეფის ეროვნულ-პოლიტიკური თვითშემეცნების დაქვეითებისა და დაცემის საბუთად“ (გვ. 121—122). ჩვენ გვგონია, რომ ეს გარემოება, ივ. ჯ — ლის მიერ შეთხზული, იმდენად ბაგრატ მეფეს არ ამცირებს, რამდენად ისტორიული ფაქტის ბეჭდვით აზგვარად განმარტება მართლაც აქვეიფებს და ამცირებს ჩვენი აწმყო ისტორიოგრაფიის ღირსებას.

საზოგადოდ ამ ბაგრატ მეფეს ივ. ჯ — ლი არ წყალობს. მას ჰკონია, რომ თეორია ანდრია მოციქულის მიერ ღიხთ-იმერეთის მოქრისტიანების შესახებ ანტიოქიის ხსენებულ პატრიარქმა ბაგრატ მეფის ხელის შეწყობით წამოაყენა იმ მიზნით, რომ ღიხთ-იმერეთი უფრო ადვილად დაეშორებინა ნინოს მიერ მოქრისტიანებულ ქართლისაგან. ბაგრატ მეფისაგან ეს ივ. ჯ — ლს იმდენად „უგუნურ საქციელად“ მიაჩნია

(გვ. 124), რომ ექვი შეაქვს თვით მცებაჲს არჯულოს 1470—1474 წ.წ. დაწერაში, რადგან ამ დროს ქართლი ბაგრატს ეჭირა. მთელი ეს მოსაზრება აგებულია ისტორიულ ფაქტის ყალბად გაშუქებაზე წინადადებულ აზრის მიხედვით. მართლაც, ანდრია მოციქულის განმანათლებელ მოღვაწეობის შესახებ გარკვეული აზრი, როგორც ეს, რასაკვირველია, ივ. ჯ—ლმაც იცის (იხ. მისი—ანდრია მოციქულის და წ. ნინოს მოღვაწეობა, მოამბე № 6, 1900 წ.) ქართულ მწერლობაში გამკვიდრებული იყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან. მცებაჲს არჯულოჲში ჩვენ ვპოულობთ ანდრია პირველწოდებულის შესახებ ლიტერატურულად განატკიცებულ აზრის ანარქულს. მართალია ამ დროს საქართველოს ცხოვრებას ახასიათებს თემობრივ პარტაკულარიზმის მიდრეკალება, ეკლესიის სფეროში მას შედევად უნდა ჰქონოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს დამოუკიდებლობის გაძლიერება, მაგრამ მთელი ეს პროცესი, ღრმა მიზეზების მქონი, არ იყო დამოკიდებული ცალკე პიროვნებათაგან და ამიტომ მე 15 საუკუნის მიმართ მე-20 საუკუნეში შეთხზულ მოსაზრებების მიხედვით ასევე შეთხზულ „საქციელის“ უგუნურად მონათვლას ისტორიულად მოაზროვნე ყოველ პიროვნებაში შეუძლია მხოლოდ გაკვირება გამოიწვიოს.

ჩვენ ვერ აღვნიშნავთ, რასაკვირველია, ივ. ჯავახიშვილის ამ ნაშრომის ყველა ანალოგიურ ნაკლს, რადგან ასეთი შემთხვევები წიგნში ბლომად არის და მათი აღნიშვნა, ისედაც არა საინტერესო, ბევრს ადგილს დაიკავებდა. მაგალითისთვის აღვნიშნავთ მხოლოდ, თუ როგორ ესმის ივ. ჯ—ლს კოსტანტინოპოლის თურქთა მიერ დაპყრობის მნიშვნელობა საქართველოსათვის. ეს მნიშვნელობა ჩვენ, საკმაოდ რთულ წინასწარ მუშაობის შემდეგ, გამოსახული გვაქვს „საქართველთა ისტორია“ ახალი საუკუნეების ეპოქა, 1920 და 1921 წლების გამოცემებში დასაწყის აბზაცში: „მსოფლიო ისტორიის მოვლენები საშუალო და ახალი საუკუნეების მიჯნაზე და მათი მნიშვნელობა საქართველოსთვის“. აქ მოხსენებულია ბოსფორის ოსმალების მიერ ჩაკეტვის მნიშვნელობა საქართველოსთვის, შემდეგ მთავარ სავაჭრო გზათა ჩრდილოეთ სპარსეთიდან სამხრეთ სპარსეთზე გადასვლა, რამაც დააჩქარა საქართველოს და მისი მიმდგამ ქვეყნების ეკონომიურად უკან დახევა და სხ.. ივ. ჯავახიშვილი ქართულად გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობას ვერ იკადრებდა, ამიტომ ის კოსტანტინოპოლის აღების მნიშვნელობას საქართველოსთვის გამოხატავს ამგვარად, რომ „კოსტანტინოპოლის თურქთა მიერ დაპყრობა საქართველოსათვის მარტო პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით კი არ იყო სავალალო, არამედ მისი სპეციალური სახლობისათვისაც ეს აბზაკი პირადი უბედურებისა და მწუხარების მომასწავებელი იყო, რადგან ვიორგი მეფეს და მის ასულს ამავე დროს ბრწყინ-

ჯალე სასიძოსი და საქროს (ბიზანტიის იმპერატორის) სიკვდილი უნდა ეკლოვათ. ამ პირადი და ოჯახური გარემოების გარდა, ბიზანტიის პოსპობა და ოსმალთა გაბატონება კოსტანტინოპოლში საქართველოს დასავლეთისაკენ მიმავალს მთავარ და უმოკლეს გზას უკრავდა“... (გვ. 64). აქაც, ამ მართლაც უდიდეს ყურადღების ისტორიულ ფაქტის მნიშვნელობის დასურათებისას, მთავარი სიმძიმე ავტორს, როგორც კონტექსტიდან სჩანს, გიორგი მეფის და მისი ქალის პირად უბედურებაზე გადააქვს, თუმცა შესაძლებელია ი. ჯ—ლი ამაშიდაც ცდებოდეს და გიორგი მეფის ქალი ამით სრულიადაც არ ყოფილიყო გაუბედურებული: პირადად მისთვის შესაძლებელია უფრო უპრიანი იყო რომელიმე ქართველ დიდებულზე გათხოვება, ვიდრე სულის მღაფავ უცხო სახელმწიფოში დედოფლობა. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ნუ თუ შესაძლებელია ისეთ უდიდეს მნიშვნელობის მოვლენის, როგორც იყო კოსტანტინოპოლის ოსმალთა მიერ დაპყრობა, უმთავრესად საქართველოს სამეფო სახლის წევრთა პირადი გრძნობებით განმარტება.

ასეთ გულუბრყვილო ახსნა დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა ავტორისთვის ფრიად [დამახასიათებელია. ადვილი გასაგებია, რომ ამიტომ ავტორი ვერ ერკვევა რაულ სოციალიზურ საკითხების გარკვევაშიც. ივ. ჯავახიშვილს, მაგ., ძლიერ უკვირს, რომ ბაგრატ მეფე 1468 წლის ერთს სიგელში ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილების შესახებ ამბობს, რომ „ძუელნი სიგელიც უნახენით თამარ მეფისაგან და სხვათა ჩვენთა ნათესავთა და ჩამომავალთაგან საქვიდროდ მათვას ბოძებული და ახლავე დიდი ფასი და საქონელი გამოიღეს და მათთვე მკვიდრი მამული-მათივე ალალითა საქონლითა მათვე მიეჭყიდეთ და დაუმტკიცეთ“—რ და დაასკვნის: „რასაკვირველია, როდესაც ასეთ საქმეს თვით მეფე კადრულობდა (ე. ი. სამკვიდრო მამულში ფასს ღებულობდა), მისი მოხელეები და ჩვეულებრივი წვრილფეხა ხალხი უფრო უარესსაც ჩაიდენდნ“ (გვ. 106). ასეთი განმარტება წარმოადგენს რამდენადაც გულუბრყვილობის, ისე გასაოცარ უცოდინარობის ერთ-ერთ ნიმუშს. ნამდვილად კი ამ ფრიად საყურადღებო სიგელში ჩვენ გვაქვს ფეოდალურ ხანაში ფეოდალურ მებატონეს მიერ მიწაზე მისი სუბრემატულ უფლებების დადასტურების ფაქტი, რაც საყოველთაოდ ცნობილია დასავლეთ ევროპის შესახებ ისტორიულ ლიტერატურაში. საქართველოშიდაც ამ მოვლენას ჰქონდა ადგილი, რის გამო საქირო ხდებოდა, ყმის მდგომარეობის მიხედვით, მებატონისაგან თუ ხელმწიფისაგან, ახალი მეპატრონის მიერ „ქრთამით“ (ე. ი. სასყიდლის მსგავს საჩუქრით) თავისი სამკვიდრო მამულის უკან მიღება. ჩვენ გვაკვირვებს, რომ ეს გარემოება უცნობი ყოფილა ივ. ჯავახიშვილისათვის.

რადგანაც ავტორი ამგვარი უცნაური და იშვებ დროს პრინციპ-



ული მეთოდით მუშაობს, ამიტომაც გასაკვირველი არ არის, რომ მე-15 საუკუნის საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის დახასიათება (გვ. 200—202) უშთაბრესად მას ცმ-ს, როგორც ათონისა და პალესტინა-სინას მთის ქართულ მონასტრების ნივთიერად მე-15 საუკუნეში დაბეჭდვებულ მდგომარეობის შესახებ ცნობების მოცემა! სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ავტორს ვერ მოუხერხებია ჯეროვნად გამოეყენებინა ის ფრიად საყურადღებო მასალა, რომელიც მოიპოვება მე-15 საუკუნის ქართულ ისტორიულ საბუთებში საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის. ჩვენ არას ვაძბობთ იმის შესახებ, რომ ავტორი გვერდს უვლის ზოგს ისეთს მასალას, რომელიც საშუალებას იძლევა ბევრი საკითხის სხვაგარად, თუმცა შესაძლებელია არა ყოველთვის ექვ მიუტანელად, დაყენებისას, ვიდრე ეს თავის დროზე ვახუშტის ჰქონდა შეგუშავებული და ამ გარემოებამ, ექვს გარეშეა, იქონია კიდევ უფრო უარყოფითი გავლენა წიგნის საერთო ხასიათზე.

მთელს წიგნში არას ერთად-ერთი ახალი მასალა, ამოღებული რამე უზიოს ცნობილ წიგნიდან, სახელდობრ ჯიოვან მარია ანჯიოლოლოს თხზულებიდან უზუნ-ჰასანის შემოსევის შესახებ საქართველოში 1477 წ.. სამწუხაროდ რამე უზიოს წიგნი ტფილსში არ მოიპოვება, ამიტომ ჩვენ არ გვექონდა საშუალება ი. ჯავახიშვილის მიერ ქართულად მოყვანილ ცნობები იტალიურ ტექსტს შეგვეჯერებინა. ამ ცნობათაგან საყურადღებოა, რომ ბაკრატ მეფე იძულებული იყო უზუნ-ჰასანისათვის 16 ათ. დუკატის ანგარიშში 4 მონგოლური ოქროს ბალიში გაეგზავნა, მაგრამ უზუნ-ჰასანს ბალიშები დაუწუნია, რადგან ნაკლებ ღირებულობის გამოძვარა და 16 ათ. დუკატის გარდახდა ისევ ფულად მოუთხოვნია (გვ. 126—131). ივ. ჯავახიშვილს მოყავს იტალიური სიტყვა იქ, სადაც ეს საქრო არ არის, — ალბად გარეგან ეფექტის მოსახდენად, თითქოს იტალიური ტექსტის ნაწევრების წაკითხვა ხანგრძლივი სტაჟის მქონე სამეცნიერო დარგზე მომუშავესთვის სასწულეებრივ რაღეს წარმოადგენდეს, — ხოლო ტერმინების დასახელებისას კი იტალიური დენის გამოთქმა არ სჩანს. ეს კი საქრო იყო, რადგან ამ შემთხვევაში ექვს იწვევს ის გარემოება, თუ როგორ მოხდა 16 ათ. დუკატის 4 ბალიშად გამოყვანა. ცნობილია კატრმერის მიერ შემოკრებილ ცნობების ნახედვით (Histoire des Mongols de la Perse, écrite en persan par Raschid-eldin, Paris, 1836, t. I, 320—321, n. 120), რომ მონგოლური ოქროს ბალიში 50 მის იწონიდა, ხოლო ვერცხლისა — 500 მის. 16 ათ. დუკატი კი 4 ბალიშიდან არ გამოდის მაშინაც, თუ 500 მისელიანი ბალიში ოქროდ იქმნა ნაგულისხმევი. შესაძლებელია რასაკვირველია, რომ აქ იტალიურ ტექსტში მართლაც დუკატებზე იყოს დაბარაკი და 4

ბალიშად მაშინ აქ იგულისხმება პირდაპირ 4 ოქროს საკმაროდ მოზრდილი ნაღობი. მაგრამ ის გარეშობა, რომ ერთ ადგილას, სახელდობრ ქართველების მიერ 16 ათ. ლუკატის ფულად გადახდის მაგიერ 4 ოქროს მონგოლურ ბალიშის გაგზავნის შესახებ ცნობის გადმოცემისას ძტალიურ სიტყვას danaro ივ. ჯ—ლი შეკლდომით „ფლოურად“ თარგმნის (კვ. 12ა; უნდა იყოს—საერთოდ ფული), საქიროდ ხდის საერთოდ ამ ცნობის ზოგიერთ დიტალების იტალიურ დედანთან შეჯერებას მისი სათანადოდ გამოსაყენებლად. სიფრთხილედ აქ უნდა ნაკარნახევი იყოს იმ გარემოებითაც, რომ, როგორც ეს უენიშნულია ივ. ჯავახიშვილის სხვა ნაწერების მიხედვით, მის მიერ სხვადასხვა წყაროებიდან მოყვანილ ცნობებზე დამყარება ყოველთვის არ არის საიმედო, რადგან ასეთი ცნობები, მეთოდოლოგიურ დეფექტების გამო, ავტორს ხშირად არასისწორით და ყალბად აქვს ვაგებული.

რეკენზია გაგიგრძელდა და ამიტომ ამით დავამთავრებთ. ყველაზე სამწუხარო ივ. ჯავახიშვილის ზემოდ გარჩეული წიგნის გამოსვლით არის ის, რომ შეიძლება, ავტორის მდგომარეობის გამო, გამოტანილი იქნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს თანამედროვე მეცნიერული მოთხოვნილებათ რამოდენაღმე მაინც შესაფერი წიგნის დაწერა საქართველოს მე-15 საუკ. ისტორიის შესახებ თუ შეუძლებელი არა, ყოველს შემთხვევაში ძლიერ ძნელი იყოს. სიძნელეს, მასალების სიმცირის გამო, არც ჩვენ უარვყოფთ. მაგრამ თქმა იმის, რომ ივ. ჯავახიშვილის ზემოდ გარჩეული ნაშრომი ოდნავაც მიახლოებით გამოხატავს ამ მხრივ ეზლაც მასალწევად შესაძლებელ ფარგლებს, ყოფილად შეუძლებელია. „საისტორიო მოამბე“ ეკლდება, თუ რაიმე მოსაზრებების გამო ამას შესრულების გადადება აუცილებელი არ იქნა, წამოაყენოს ამ მხრივ ახალი ცდა.

ს. კაკაბაძე.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომების მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა. ჩვენი მეცნიერება № 1—2, 1924 წ.

საქართველოში ტრიალებულ საფასის შესახებ საკმაროდ ბლომად და ფრად საყურადღებო მასალებია დაგროვილი, მათი სისტემაში მოყვანის მოთხოვნილება დიდი ხანია უკვე არსებობდა. უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილს შრომა არ დაუზოგავს და სათანადო ცნობები ვრცლად და ფართოდ აქვს ამოკრებილი, ზოგიერთ შემთხვევაში ზომიერ მეტად განვრცელებითაც. მაგრამ რაც შეეხება თვით დაგროვილ მასალების შესწავლის მეფოდს და ამ მასალების გაგების ცდას, ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი აშკარავეს შეძლებს. გარჩევის გასაადვილებლად ჩვენ პირდაპირ დავაწყებთ ავტორის

ძირითად და მთელი ნაშრომისთვის დამახასიათებელ მეთოდოლოგიურ და ფაქტიურ მოპენტებით.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტორს, როგორც ეს საზოგადოდ მის სხვა ნაშრომებიდანაც სჩანს, სრულებით არა აქვს შეგნებული საუკუნეთა სიგრძეზე დროის პერსპექტივის დაცვის საჭიროება. ამ ძირითად მეთოდოლოგიურ ნაკლის გამო ავტორი ვერ ახერხებს თემის სწორად დაყენებას და საკითხის გაგებასაც. დასახასიათებლად ამისა შეიძლება მოყვანილ იქმნას ერთ-ერთი ძირითადი მეთოდოლოგიური და ფაქტიური შეცდომათაგანი, რომლის მიხედვით ავტორს მაგალითად ჰგონია, რომ საუკუნეთა განმავლობაში ქართული ვერცხლის ფულის წონა, „ხანმოკლე გამონაკლის გარდა, როდესაც საამისოდ განსაკუთრებული მიზეზიც იყო, თითქმის ერთი და იგივე დარჩენილა. საყურადღებოა ამასთანავე, განაგრძობს ის, რომ ჩვეულებრივ ქართული ღრამა ანუ თეთრი წონით მერმინდელს მე-17—18 ს.ს.-ის ვერცხლის აბაზიანს უდრიდა, ხოლო რუსუდანის  $\frac{1}{3}$  ღრამა—ორწაურთანს“ (ჩვ. მეცნ. № 1, 155).

ამ დებულების უარსაყოფად ბევრი მსჯელობა არ არის საჭირო, იმდენად ცხადია მისი არა-შესაძლებლობა. მართლაც გარკვევით და ფრიად კარგად არის ცნობილი, რომ ღრამა საქართველოში ზომის მიხედვით თვალსაჩინოდ იცვლებოდა. ქართულ-სასანიდური ღრამები 3 გრამს (4, 2 დანგს) იწონიდენ, დავით კურაპალატის დახლოვებით ამდენსაც (3,05—3,10 გრ.), მაგრამ ბაგრატ III-ის—მხოლოდ 1,78 გრამს და დავით აღმაშენებლისა 0,82—0,87 გრამს. რუსუდანის ღრამა იწონიდა 2,60—2,67 გრამს (3,64 დანგს), ღრამა მე-13—14 საუკ. მიჯნაზე უკვე 3 დანგს, 1316—1333 წლებში  $2\frac{1}{2}$  დანგს, მე-15 საუკუნეში დაახლოვ. მხოლოდ 1,1—1,2 დანგს (დაწვრილებით ს. კ ა კ ა ბ., სასისხლო სიგელების შესახებ). აბაზიანი მე-18 საუკ. პირველ წლებში, ვახტანგის სამართლის ცნობების მიხედვით შეიცავდა  $9\frac{3}{5}$  დანგ ვერცხლს, 1730 წლიდან გვლდენშტედტის ცნობების მიხედვით  $6\frac{1}{3}$  დანგს, ხოლო 1769 წელს მრჭრილი აბაზი კი იწონიდა მხოლოდ  $4\frac{2}{7}$  დანგს (შეად. ს. კ ა კ ა ბ., საქ. ისტ., ახალი საუკ. ეპოქა, 206). ეს ცნობები იმდენად ელემენტარულია, რომ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს შეცდომა ამ საკითხში პირდაპირ გასაკვირველია. ყოვლად შეუძლებელია მასთანადმე ძველი ქართულ ღრამასა ან თეთრს და მე-17—18 საუკუნის აბაზიანს შორის წონის და ზომის ნხრივ საერთო პარალელის გატარება. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საფასის ერთეული ყველგან განიცდიდა ცვალებადობას ზოგჯერ ათეულ წლების სიგრძეზედაც. ახლად შემოღებული საფასის ერთეული ჩვეულებრივ მოზრდილი ზომის აიღებოდა, მაგრამ შემდეგ დაკნინებას განიცდიდა, რაც ცნობილია ყველა ქვეყნებისათვის.

მაგ., სხვა ქვეყნებს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება დასახელებულ იქნას შუა-აზიასა და სპარსეთში—მე-14—15 საუკუნეში დინარის ბედი, მე-14 საუკუნის დასასრულიდან თან გას შემოღება, რომელიც თავდაპირველად შუა-აზიაში 6 მთლიან დაკნინებულ კოპეკ-დინარის ექვივალენტი იყო, შემდეგ სპარსეთში შაჰ-აბაზ I-ის დროს 1600 წ. ახლო ხანეში ახალ მსხვილ ერთეულის—აბაზის შემოღება, რომელიც ამ დროს 10,8 დანგს (1,79 მისხ.) იწონიდა. დაწვრილებით ამ ფაქტების განილვაზე არ გავჩერდებით, ვიტყვით მხოლოდ რომ აბაზის ცვალებადობა მე-18 ს-ში რამოდენიმეჯერ იყო ნაჩვენებო სათანადო ლიტერატურაში ქართულად (ს. კაკაბ., საქართვ. ისტორ., ახალი საუკ. ეპოქა, 1920 და 1921 წლის გამ., საქართვ. ეკონომიური ვითარება მე-18 საუკ., მნათობი № 2 და 3, 1924 წ.), რა მიზეზით არ უნებებია ივ. ჯ—ლს, სხვა არა იყოს რა, ამ განმარტებებით სარგებლობა, ჩვენთვის გაუგებარია.

დროის პესპექტივის უქონლობის გამო, რასაც ეკონომიურ ისტორიის საკითხების გარდაწყვეტისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ივ. ჯავახიშვილი სჩადის სხვა ძირითად შეცდომებსაც. მე-16 საუკუნეიდან სპარსეთში და ჩვენ შიკ შემოდის ხმარებაში შაური, რომელსაც ავტორი სთვლის წინად არსებულ ერთეულის სახელად. აბაზში ოთხი შაური ითვლებოდა, ხოლო „ჯერ კიდევ მე-18 ს-ის მეორე ნახევარში შაურის მაგიერ ამ ერთეულის ძველი სახელიც იყო შერჩენილი. 1777 წ. ერთს ვალის წიგნში ნათქვამია: „ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი აბაზი“ (საქ სიძვ. III, 522)... მაშასადამე „დანგი“ შაურის შესატყვისი ერთეულის სახელად არის ნახპარიო“ (გვ. 145). შემდეგ ი. ჯ—ლს მოყავს აღბუღას შესავალიდან ცნობილი ციტატა—„დიდისა... პეფისა გიორგის თეთრი გავაჩინეთ ორიანი ხუთი დანგი წმიდა ვერცხლი“—და დაასკენის: „ამ ცნობითვან ცხადი ხდება, რომ მე-14 ს-შიც გიორგი ბრწყინვალის თეთრის შემადგენელ ნაწილს, ერთ-ერთ ერთეულს დანგი რქქვია“ (გვ. 157). ეს დებულებაც მასალების ვერ-გაგებაზე არის დამყარებული. დანგი ფულის სახელად იხმარებოდა საქართველოში მე 13 საუკუნემდის (ს. კაკაბ., სასისხლო სიგელოების შესახებ, ზეკოდ. გვ. 80). მე-13 საუკუნიდან კი დანგი, როგორც ფულის ნიშანი ჩვენში, უკვე არა სჩანს (თუ არ ჩავთვლით თანგას, რომელიც იმავე ძირის სიტყვაა), ის იხმარება უკვე თავისი მეორე მნიშვნელობით, რომელიც ამ სიტყვას, როგორც ფულის აღმნიშვნელ სხვა ტერმინებსაც, თავიდანვე ახასიათებდა, სახელდობრ წონის მნიშვნელობით. „ოთხდანგიანი“ აბაზი შემოდის ჩვენში, როგორც მოვიხსენიეთ, მხოლოდ 1770 წლიდან და ნიშნავს ოთხი დანგის ვერცხლის წონა აბაზს. შაურის დანგთან დაკავშირება, როგორც ამას ივ. ჯ—ლი ფიქრობს, ყოველად შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ, მაგ., მე-18 საუკ. დასაწყისში აბაზი  $9\frac{3}{5}$  დანგვერცხლს



შეიცავდა და მაშასადამე აბაზშიც მაშინ, ივ. ჯ—ლის მიხედვით,  $9\frac{3}{5}$  შაური უნდა ყოფილიყო. გიორგი ბრწყინვალის თეთრი იყო ორ დრამიანი და იწონიდა ხუთ დანგს. ამავე წონის იყო თანადროული აბუსეიდის ორიანი ანუ ორ-დირჰემიანი ფულიც. აქაც მაშასადამე დანგი წონის აღმნიშვნელია და არა თეთრის შემადგენელ ერთეულის. ამ ფრიად მანიშნებელიდან გარემოების ვერგაგება ივ. ჯ—ლის მთელი ნაშრომისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

მართლაც, გიორგი ბრწყინვალის თეთრის შესახებ აღბუღას სამართლის წიგნის 1670 წ. გადამწერს ხელნაწერის არშიაზე მოთავსებული აქვს განმარტება: „ორიანი ხუთი დანგი ერთი აბაზა“ (ქრ. II, 257). ივ. ჯ—ლს აქედან დაუსკვნია თეთრის და აბაზის იგივეობის შესახებ და მთელი თავისი ნაშრომის ისტორიული მხარე ამ დებულებაზე აქვს აგებული. ავტორი ამისდა მიხედვით ფიქრობს, რომ დანგი და შაურიც ერთი და იგივეა (ჩვ. მეც. № 2, 21—22), მხოლოდ „რასაკვირველია ამ შემთხვევაში ორიანი დანგი უნდა ვიგულისხმოთ, ერთიანი დანგი კი მაშასადამე  $\frac{1}{2}$  შაურს უდრის“-ო. მთელი ეს, ამისი მომავალი და ამაზე აგებული მსჯელობა უბრალო გაუგებრობაზეა აგებული: „ორიანი ხუთი დანგი წმიდა ვერცხლი“ ბეკას და აღბუღას სამართლის გადამწერს 1670 წ. ვაუგია როგორც  $(2 \times 5 =) 10$  დანგი ვერცხლი. აბაზიანიც ამ ამ დროს დაახლოებით 10 დანგ ვერცხლს შეიცავდა. გადამწერს მაშასადამე, როგორც მოსალოდნელიც იყო, მიუცია აღბუღას სიტყვებისათვის თავისი დროის შესაფერი განმარტება, რასაც სჭირდება სწორად გაგება და შეფასება.

ასეთივე გასაოცარი მეთოდოლოგიური შიკდომა მოდის ივ. ჯ—ლს, როდესაც ძველი ქართული საფასის გამოსარკვევად ცდილობს ძველის-დადების მე-17 საუკ. ერთი ხელნაწერის მინაწერის გამოყენებას. ამ ხელნაწერში პირდაპირ სიტყვებისა—(ჰეროვანის მკვლევლობის ივის უნდა) „ორასი დრაჰკანი დაუურკოს, ათას ორასი თეთრი“—ამ სიტყვების პირდაპირ, აღბად არშიაზე, კითხვა ყოფილა და მგული: „თეთრი რა არის ანუ დრაჰკანი“ და იქვე სხვა ხელით განმარტებულია: „ერთი დრაჰკანი ფლური ერთი, თეთრად ორ მარჩილ ნახევარი და ერთი თეთრი ხუთიანი არის“ (ჩვ. მეცნ. № 2, გვ. 22). ამის მიხედვით ივ. ჯ—ლი დასკვნის—თეთრი ხუთიანი ყოფილაო და დრაჰკანიც  $2\frac{1}{2}$  მარჩილი და 1 ხუთიანი თეთრი ყოფილაო, დრაჰკანი და ფლური მაშასადამე  $7\frac{1}{2}$  თეთრ ხუთიანს უნდა უდრიდეს-ო (გვ. 22). ნამდვილად კი გადამწერი აქ განმარტავს—დრაჰკანი იგივე ფლურია, თეთრად (ვერცხლად) ორ-მარჩილ ნახევარიო, ხოლო ერთი თეთრი ხუთიანი არისო. რადგანაც, პაპუნა ორბელიანის მოწიპობით, ჩვენ ვიცით, რომ 1748 წ. (ქ. ცხ. II, 417) ფლური  $2\frac{1}{2}$  მარჩილად (ან 30 შაურად) ღირდა, ამიტომ სა-

ფიქრებელია ზემოდმოყვანილი განმარტება მე-18 საუკ. ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს. რადგანაც დრაჰანში ან ფლურში 30 შაური იყო, ხოლო დრაჰანში ძეგლის-დადება 6 თეთრს გულისხმობს (ქველ. დად. § 11), ამიტომ უცნობ გადაწერის უფლება ჰქონდა მის დროის ფულზე გადატანით დაესკვნა—თეთრი ხუთიანი (ანუ ხუთ შაურიანი) არისო. თუ ივ. ჯ—ლი მეოცე საუკუნეში ამკვარი მეთოდს მიმართავს, მათ უმეტეს ევატება ეს მე-18 საუკუნის უცნობ კომენტატორს.

როგორც ზემოდ დავინახეთ, ბექა-აღბუღას სამართლის 1670 წელს გადაწერილი ხელნაწერის კომენტატორის განმარტება თეთრის და აბაზის იგივეობის შესახებ ივ. ჯ—ლს პირველად მიუღია, რასაც მოყვა სხვა მსხვილი შეცდომები ივ. ჯ—ლის ძირითად დებულებებში. ამის მიხედვით ივ. ჯ—ლი თეთრს აბაზის ექვივალენტად სთვლის და სრულიად ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ღრამა და თეთრი, როგორც ვნახეთ, საუკუნეთა სიგრძეზე თვალსაჩინო ცვლილებას განიცდიდა (ზემოდ, ამავე წიგ., ს. კაკაბ., სასისხლო სიგელების შესახებ). „როდესაც საქართველოში აბაზიანები შემოვიდა, მაშინ, როგორც სჩანს, „აბაზი“ ძველი „თეთრის“ ოდენა ერთეულად ყოფილამიწნეული“, ამბობს ივ. ჯ—ლი და ამ აზრის ანვითარებს თავისს ნაშრომში მრავალ ადგილას (ჩვ. შეცნ. № 2, გვ. 21, შეად. კიდე 22, 23, 24, 25, № 1. გვ. 155, 157). ამ დებულების მალემა ყოვლად შეუძლებელია, რადგან დროთა სიგრძეზე ერთი და იმავე სახელის ფულიც საქართველოში, როგორც ვნახეთ, ცვლილებას განიცდიდა და ეს ცვლილება დამოკიდებული იყო უფროს-მეტად მეზობელ და ეკონომიურად უფრო მძლავრ გვეყნების საფასის ცვალებადობაზე. მართლაც, თეთრი რომ იგივე აბაზი იყოს, მაშინ ჩვენ მივიღებდით მე-16 საუკუნის აფხაზეთის დიდ საკათალიკოზო გუჯარის მიხედვით სასისხლოს მეტად უცნაურ რაოდენობას. სახელდობრ ამ გუჯარის მიხედვით, რომელიც 8 კათალიკოზის მიერ არის დამტკიცებული და რომლის სინამდვილე ექვივალენტია, ბიჭვინტის საყდრის (ე. ი. საკათალიკოზო) მონიანლის სისხლი შეფასებულია 400 ათ. თეთრი და ამას გარდა კიდევ ჯარიმად საყდარს 700 ათ. თეთრი. საკათალიკოზო სოფელში მსახლობელ გლეხის, მსახურის და მონიანლის სისხლი კიდევ შეფასებულია 300 ათ. თეთრი და გარდა ამისა ჯარიმად ეკლესიას 600 ათ. თეთრი (ა. ხახანაშ., გუჯრები, 132—133). ივ. ჯ—ლის მიხედვით გამოდის, რომ საკათალიკოზო გლეხის (მონიანლის) სისხლი მე-16 საუკ. ნახევარში ღირდა 80 ათ. მინალთუნი (რადგან 400 ათ. თეთრი უდრის შემდეგ დროინდელ 400 ათ. აბაზს), მაშინ როდესაც სისხლის განაჩენით, რომელიც ვახტანგის სამართალშია შეტანილი, გლეხის სისხლი ღირდა 120 მინალთ., მესამე თავადის 3840 მინალ. და დიდებულ თავადის 15360 მინ.. საკათალი-

კოზო გლეხის სისხლი ამგვარად ღირდა 666-ჯერ მეტი ვიდრე სისხლის განაჩენით ჩვეულებრივ გლეხისათვის არის დადებული, 21-ჯერ მესამე თავადზე მეტად და ხუთჯერ თვით დიდებულ თავადზე მეტად! ამგვარ მოულოდნელ დასკვნამდის მისვლა ცხადად ამტკიცებს ივ. ჯ — ლის ნაშრომის ძირითად დებულებათა სრულს შეუსაბამობას.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ივ. ჯ — ლს ფლური და ოქროსხვადასხვა ფულის სახელი ჰკონია (ჩვ. მეც. № 2, გვ. 28) მხოლოდ იმიტომ, რომ ფლური მე-18 საუკ. პირველ წლებში 1,40—1,50 მინალთ. ფასობდა, 1748—1770 წლებში გარკვევით 1,50 მინალთ., ხოლო ქალაქის სარგოს გარიგების წიგნში 1781 წ. ოქრო იხსენიება ორი მინალთუნის ექვივალენტად. „ფლური ორ მინალთუნად“ იხსენიება კიდევ ერთს საბუთში, რომელიც საქ. სიძ-ში (II, 361) დაბეჭდილია ცხადად შემცდარი თარიღით. ეს საბუთი დათარიღებულია ბეჭედის წარწერის მიხედვით, რომელიც სწორად წაკითხული არ უნდა იყოს. სახელდობრ ჯვარის-მამის გერასიმეს ბეჭედზე შეცდომით წაკითხულია თარიღი 1717 (საქ. სიძვ. II, 361). ამ საბუთს ეყარება ივ. ჯავახიშვილი-მაგრამ საბუთი უნდა ეკუთვნოდეს მე-1760--80 წლებს, როდესაც ფლური (=ოქრო) მართლაც 2 მინ. ღირდა. უკვე ამ ფაქტიდან (რომ ფლურიც აქ 2 მინ. ექვივალენტად არის მოხსენებული) ცხადია, რომ ფლური და ოქრო ერთი და იგივეა. მხოლოდ საჭიროა მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ აბაზის წონის დაკლებასთან ერთად ოქროს ფულიც გაუარესებას და შემცირებას განიცდიდა. ოქროს ფულის შემცირება კერძოდ ოსმალეთში დადასტურებულია, მაგ., 1758 წ., როდესაც ახლად მოქრილი დუკატი (ხოლოთა) რამდენიმე ოცეულ ფარით ნაკლებ ღირდა ვიდრე წინანდელი დუკატები (Hammer, Gesch. des Osm. Reiches, IV, 509). მაგრამ ამაზე უფრო ადრეც, სახელდობრ 1757 წ., ეგვიპტეში მოქრილი ოსმალური დუკატი, სარმანიდი, რომელიც გვლდენშტედტის დროს Reisen, I, 392) ლიხთ-იმერეთს ტრიალებდა, იწონიდა 42 გრანს (=3,67 დანგს), მაშინ როდესაც ვახტანგის დროს ქართლში ტრიალებული გაუარესებული დუკატი მაინც 4,8 დანგს იწონიდა (ჩვეულებრივ დუკატი 5,2 დანგის წონისა იყო). ცხადია, მაშასადამე, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში დუკატიც იწყებდა შემცირებას. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ფლურის ფასი გვლდენშტედტს სხვადასხვა ნაირად აქვს ნაჩვენები. სარმანიდი ღირდა 2 მარჩილი ანუ 104 ფარა (Reisen, I, 392), ხოლო მარჩილი მისივე სიტყვით 1 მინალთუნი ღირდა და 15 ფარაც 1 ტუილურ აბაზს უდრიდა (იქვე, 391—392). გამოდის მაშასადამე, რომ ფლურის ფასი გვლდენშტედტს ერთს შემთხვევაში 2 მინალთ. აქვს ნაჩვენები, ხოლო მეორე ადგილას 6 $\frac{1}{2}$  აბაზი. უკანასკნელ შემთხვევაში ცხადია რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს, თუ მივიღებთ

მხედველობაში, რომ 1769 წლიდან ტფილისში ოთხდანგიანი ( $4\frac{2}{7}$  დანგ.) აბაზი იჭრება, მაშასადამე აბაზის წონაც დაკლებული იყო, მაგრამ დუკატთან შედარებით მაინც უფრო მეტად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გკლდენშტედტი მართალი უნდა იყოს იქ, სადაც დუკატის ფასს 2 მინალთუნად აღნიშნავს. ყოველს შემთხვევაში დუკატის ფასის ცვალებადობის გამო, მე-18 საუკ. მეორე ნახევარში უკვე საჭიროდ სთვლიან ოქროს ან ფლურის ღირებულების აღნიშვნას აბაზებად (მაგ. „ფლური ორ მინალთუნად“).

ყველაფერი ეს ივ. ჯ—ლს შეუმჩნევლად დარჩენია, რის გამო მისი მსჯელობა აქაც სწორ ხაზს არის გადაცილებული.

ასევე შემცდარ დასკვნებზე, წყაროების ვერ-გაგების გამო, არის აგებული ივ. ჯ—ლის დებულება, რომ თითქოს 1) ქართული ფულის აღრიცხვისა და სისტემის ერთეულად  $\frac{1}{2}$  დრახმა სპილენძი ყოფილა მიღებული, 2) აღრიცხვა ლითონის წონის რაოდენობაზე ყოფილა დამყარებული და 3) რომ თვით ვერცხლის ფულის ერთეულებისთვისაც საფუძვლად სპილენძის წონით რაოდენობა მიუღიათო (ჩვ. მეცნ. № 1, 165). მთელი ეს დასკვნები, რომელსაც ივ. ჯ—ლი ყველა საუკუნეებისთვის მისაღებად სთვლის, გამომდინარეობს გკლდენშტედტის ცნობების განხილვიდან. ვინაიდან ფულის სპარსულ სისტემას მე-16 საუკუნიდან ანდა მე-15 საუკუნის დასასრულიდან საფუძვლად ალთუნის ანგარიში ედვა, შაურჩიანში, რომლის შიფრი 50 იყო, 50 ალთუნი ითვლებოდა, ხოლო უკნინეს სპილენძის ფულად გკლდენშტედტის) დროს ფული ირიცხებოდა, რომელშიდაც  $2\frac{1}{2}$  დრახმა სპილენძი იყო, ხოლო ფულში კიდევ 5 ალთუნი ითვლებოდა, ამიტომ სათანადო ანგარიშის მიხედვით ალთუნი თეორიულად გკლდენშტედტის დროს შეიცავდა  $\frac{1}{2}$  დრახმა სპილენძს. მაგრამ ინიშნავს ეს თუ არა იმას, რომ ქართული ფულის სისტემას არა თუ წინა ხანებში, არამედ მე-17 საუკუნე და მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში საფუძვლად  $\frac{1}{2}$  დრახმის სპილენძის შემცველი ერთეული ედვა. რასაკვირველია არა. მართლაც, 1772 წ. ტრიალებული  $2\frac{1}{2}$  დრახმიანი სპილენძის ფული შეფარდებული უნდა ყოფილიყო აბაზთან (აბაზში 40 ფული ითვლებოდა), რომელიც ამ თითქოს  $4\frac{2}{7}$  დანგ ვერცხლს შეიცავდა. მაგრამ როგორც ვნახეთ, აბაზის წონაცვალებადი იყო, ხოლო ფული კი ყოველთვის წარმოადგენდა აბაზის  $\frac{1}{40}$ -ს, მაშასადამე ფულის წონაც უნდა ცვალებადი ყოფილიყო. მართლაც, ვახტანგის დროს, როგორც მოხსენებული იყო, აბაზი  $9\frac{3}{5}$  დანგს შეიცავდა, მე-17 საუკუნეში კიდევ აბაზი დახლოვებით ამავე ზომისა იყო (ორთა შუარიცხვით 10 დანგი). ტავერნიეს სიტყვით მე-1650—1660 წლებში აბაზი სპარსეთში=ფრანგულ 18 სოლის და 6 დენიეს Voyages, II, 591). ამ დროს, მისივე სიტყვით 30 სოლი ვერცხლის.



ფული 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> გროსს ანუ დრახმას და 4 გრასს იწონიდა (იქვე), საიდანაც სჩანს, რომ ამ დროს სპარსული აბაზი ქართულ წონაზე გადატანით ყოფილა 10,2 დანგის სიძიმის.

არსებულ ცნობებისა და ი. კ ა უ თ მ ა ნ ი ს წიგნის (Серебряный рубль в России от его возникновения до конца 19-го века, Спб. 1910 г.) მიხედვით, რომელიც ხელთ ჰქონია ივ. ჯავახიშვილს, შეიძლება გამოკვეთდეს იქნას აბაზის წონა მე-17 საუკუნის პირველ წლებშიდაც. 1605 წ. თუმანი ჩვენში ღირდა 6 რუსული მანეთი (А. Белокуров, Сношения России с Кавказом, 509). ამდენივე ღირდა ამ დროს თუმანი სპარსეთშიც (Памятн. дипломат. и торг. снош. Моск, Русн с Перс., под ред. Н. Веселовскаго, II, 310, შედ. 442 და სხ.). 1535—1606 წლებში რუსული მანეთი შეიცავდა გრივენკის (48 მისხ.) <sup>1</sup>/<sub>3</sub>-ს ანუ 16 მისხალს ვერცხლს (Н. Кауфман, op. cit., 68—69 და სხ.). ამის მიხედვით თუმანი 1605 წ. ფულად შეიცავდა 96 მისხ. ანუ ქართულ—სპარსულ წონაზე 576 დანგს ვერცხლს, აბაზი თითქოს გამოადის 11,5 დანგ ვერცხლის შემცველი. საყურადღებოა, რომ ოლგარიუსი 1637 წ. უჩვენებს თუმანს რუსულ 8 მანეთის და 16 რეიხსტალერის შესატყვისად (იხ. მისი მოგზაურობის რუსული თარგმანი Путешествие в Московию, Спб. 1906 г. გვ. 138, 359, 463, 510). ამ დროს სახელდობრ უკვე 1626 წლიდან რუსული გრივენკიდან (48 მისხ.) იჭრებოდა 4,3 მანეთი, ზოგიერთ შემთხვევებში ოდნავ ნაკლებ ან მეტი (Н. Кауфман, op. cit. 79—117, უფრო გვ. 98). ამის მიხედვით ოლგარიუსის დროს თუმანი უდრის 89,28 მისხ. ანუ 535,68 დანგ ვერცხლს, აქედან აბაზი 10,7 დანგ ვერცხლს. ამნაირად გარეშე სპეციალურ ლიტერატურის განხილვისა და სპარსულ ნუმისმატიურ ფაქტების პრაქტიკულად გასინჯვამდისაც, ზემოდ მოხსენებულის მიხედვით ირკვევა საკმაოდ მტკიცედ აბაზის წონა მე-17 საუკუნეში: 1605 წ.—დაახლ. 11,5 დანგი ვერცხ., 1637 წ. 10,7 დან., 1650—1660 წ.წ.—10,2 დანგ. ვახტანგის დროს კიდევ აბაზი ქართლში იწონიდა 9<sup>3</sup>/<sub>5</sub> დანგს, 1748 წ. ქართლშივე 6<sup>1</sup>/<sub>6</sub> დანგს და 1770 წლიდან 4<sup>2</sup>/<sub>7</sub> დანგს. საყურადღებოა, რომ რუსების მიერ ტფილისში 1804—1833 წლებში მოჭრილი ორ აბაზიანი იწონიდა 1<sup>43</sup>/<sub>96</sub> მისხ., აბაზიანი მანასადამე <sup>35</sup>/<sub>48</sub> მისხ. ანუ 4<sup>3</sup>/<sub>8</sub> დანგ ვერცხლს.

ყველაფერი ამის მიხედვით ცხადია, რომ რადგანაც აბაზში 40 ფულია, ყოვლად შეუძლებელია აბაზის ცვალებადობასთან ერთად ფული, როგორც ძირითადი ერთეული, ერთი და იმავე ზომისა დარჩენილიყო. მართლაც, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს მოყავს ოლგარიუსის საყურადღებო ცნობა სპარსული ფულის მის დროინდელ ზომის შესახებ (ოლგარიუსის სპარსეთში მოგზაურობის აღწერილობა გერმანულად

ამ ეპოქად ჩვენთვის მიუწოდებელი იყო, რადგან წიგნი ივ. ჯავახი-  
შვილის ხელთ იყო, ცნობებს ვადარებთ ოლფარიუსის მოგზაურო-  
ბის ფრანგულ თარგმანს, ლეიდენის გამ., 1719 წ.) ამ ცნობის მიხედვით  
1637 წ. სპარსეთში აბაზში 40 სპილენძის ფულს ყასბეგს იძლეოდნენ.  
ერთი გირვანქა (Pfund) სპილენძი აბაზად ღირდა, ხოლო ამავე ერთი გირ-  
ვანქა სპილენძიდან 64 ყასბეგის მოქრა შეიძლებოდა (ოლფარიუსი,  
ფრანგ. თარგ., 771). ყასბეგი — იგივე ფულია, აქედან უკვე აღვი-  
ლია ვერცხლსა და სპილენძს შორის ამ დროს არსებულ შეფარდების გაგე-  
ბა. გერმანულ გირვანქაში 128 დრახმა ითვლებოდა, დრახმა უდრის  
60 გრანს, ქართულ-სპარსულ ზომით 5,25 დანგს. ყასბეგი ანუ  
ფული მაშასადამე იწონიდა  $\frac{1}{64}$  გირვანქას ანუ 2 დრახმას (10,5  
დანგ.) სპილენძს. ვერცხლზე ანგარიშით ფული (აბაზის  $\frac{1}{40}$ ) ამ დროს  
იქნებოდა (10,7:40 =) 0,2675 დანგ. ვერცხ.. შეფარდება 0,2675:10,5  
უდრის 1:39,2. ეს არის შეფარდება ვერცხლის და სპილენძის საფასის  
ურთიერთ ღირებულობისა და აა, რასაკვირველია, თვით ლითონები-  
სა, რადგან ოლფარიუსიც უჩვენებს, რომ გირვანქა სპილენძი მის დროს  
სპარსეთში აბაზი ღირდა, მაგრამ ამ გირვანქიდან გამოდიოდა 64 ფუ-  
ლი და არა 40. სპილენძის ფული შეიცავდა ნომინალურ ღირებუ-  
ლობაზე ნაკლებ ლითონს 22,5<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ით.

1637 წ. ამგვარად სპილენძის ფული სპარსეთში იწონიდა 2  
დრახმა (10,5 დანგ.) სპილენძს, მაშინ როდესაც აბაზი 10,7 დანგი  
ზომისა იყო. 1769 წლიდან აბაზი მხოლოდ  $4\frac{2}{7}$  დანგის ზომისა არის,  
ამიტომაც შეცდომებელია ფული ამ დროს  $2\frac{1}{2}$  დრახმის წონისა  
ყოფილიყო, როგორც ამას გაუმოგვევს გვლდენშტედტი. მართლაც  
გვლდენშტედტი ფულს აღწერს შემდეგნაირად: „ფული არის  
წვრილი ხურდა საფასე, ხან რგვალი და ხან კუთხიანი,  $2\frac{1}{2}$  დრახმის  
წონა. ერთს მხარეზე გამოხატულია სასწორი, რომლის შიგნით მო-  
თავსებულია ქვეყნის სფერო ჯვარით, ზემოთ კიდევ არის გვირგვინი,  
გვირგვინის მარცხნივ ხვალისა, მარჯვნივ სკიპტრა. ფულის მეორე  
მხარეზე არაბული ანბანით ნაჩვენებია ფულის მოქრის იდგილი და წე-  
ლიწადი. მისი ღირებულება უდრის რუსულ დენეშკას ანუ  $\frac{1}{2}$  კაპეის“  
(Reisen... I, 357). გვლდენშტედტის მიერ ნაჩვენები ფული ამ გვარად  
იწონის,  $2\frac{1}{2}$  დრახმას ანუ 13,1 დანგს. ჩვენ მიერ შემახვევით და  
სახელდახელოდ აწონილი ასეთივე ფული გამოვიდა 8,5 გრამი  
(=11,9 დანგი). მაგრამ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტიპის ფული  
ლიტერატურაში ცნობილია 1770 წელზე უფრო ადრინდელ ხანაში  
მოქრილად. სახელდობრ მ.ხ. ბარათაევს მისი თარღი კარგად ვერ  
წაუკითხავს, უკანასკნელი ციკრი მის ეკზიზპლიარებზე არ სჩანდა მაგ-  
რამ სპარსული წარწერა თარიღით (114-) შესაძლებლად ხდის ფულის

დათარილებას მე-1170 (-) წლებით ჰიჯრისას ანუ 1747—1756 წლებს შორის (Нумизм. факты... разр. IV, 11). საყურადღებოა, რომ თეიმურაზის ფული, 1747 წ. (1160 წ. ჰიჯრით) ტფილისს მოჭრილი (იქვე, раз. IV, 6), ჩვენ მიერ სახელდახელოდ აწონილ ჩვენს განკარგულებაში მყოფ ეკზემპლიარის მიხედვით იწონის 15,3 გრამს (=21,42 დანგი). ხოლო 1752 წ. თეიმურაზ-ერეკლეს მიერ მოჭრილი ორი ფრინველის გამოხატულებით (Нумизм. факт. IV, 8).—9,5 გრამს (=13,3 დანგს). 1745 წლის ფულის სპარსულ წარწერაში მოხსენებულია  $\text{سوله}$ , ანუ ფული არაბული მრავლობითი რიცხვით. ამავე დროს ცნობილია ერეკლე II-ის 1776 წ. მოჭრილი სპილენძის ფული თევზის გამოხატულებით (М. Баратаев, იქვე, გვ. 13), რომელიც სახელდახელოდ აღებულ ეკზემპლიარების მიხედვით იწონის ერთი 11,5 გრ. (16,1 დანგს) და მეორე—9,38 გრამს (=13,1 დანგს). ერეკლე II-ის დროსავე 1781—1782 წ. ორთავიანი არწივით მოჭრილი სპილენძის ფული, ასევე სახელდახელოდ აწონილ ეკზემპლიარების მიხედვით, იწონის ერთი 7,3 გრამს (=10,9 დანგი) და მეორე 17,3 გრ. (=13,9 დან.). ხოლო 1796 წ. ერთ თავიანი არწივით მოჭრილი ფული (Нумизм. факт., раз. IV, 15), შემთხვევით სანიმუშოდ აღებულ ცალის მიხედვით, იწონის 20,2 გრ. (=28,28 დანგს).

საკითხის გასარკვევად უნდა ცალკე აღებულ იქნას სპილენძის ფული მე-1730 წლებამდის მოჭრილი, 1730—1770 წლებს შორის და 1770 წლის შემდეგ თანახმად იმ ცვალებადობისა, რომელსაც, როგორ ვნახეთ, განიცდიდა აბაზიანი. ამის მიხედვით საყურადღებოა, რომ 1752 წ. თეიმურაზ-ერეკლეს მიერ მოჭრილი ფული იწონის 13,3 დანგს, 1747—1757 წ.წ.—11,9 დანგს, გვლდენშტედტის მიხედვით—13,1 დანგს. მეორე მხრივ 1770 წლის შემდეგ, 1776 წ. მოჭრილი ფული იწონის 13,1 და 16,1 დანგს, 1781—82 წ. 10,9 და 24,9 დანგს, 1796 წლისა კიდევ—28,28 დანგს. მიუხედავად ციფრების სხვადასხვაობისა, რაც გამოწვეულია ფულის მოჭრის დაბალი ტეხნიკით, ცხადია, რომ 1776 წლიდან ჩვენ გვაქვს შავი ფული 10,9—16,1 და 24,8—28,28 დანგის წონისა. პირველი კატეგორია უნდა იყოს ნიშნის მიხედვით მეორე კატეგორიის ნახევარი. რა სახელისა იყვნენ ეს ფულები? ამის გასარკვევად ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ 1803 წლიდან რუსებმა ტფილისში დაიწყეს ქართული სახელის მატარებელ ფულის მოჭრა ვერცხლის ფულში თითქმის წანანდელ ზომის და ლიგატურისა ცკი და ცვით. ამის გამო ეს რუსების მიერ მოჭრილი ქართული აბაზი იწონიდა  $4\frac{3}{8}$  დანგს და შინჯადობითაც ის რუსულ ვერცხლს ფულზე თვალსაჩინოდ მაღლა იდგა. რუსების მიერ მოჭრილი ქართული სპილენძის ფული იწონიდა (შემთხვევით აღებულ ცალების მი-

ჭედვით) 1 ფული 6,3 დანგს, 2 ფულიანი—10,78 დანგს (ეს ვეზემპლიარი, როგორც სჩანს, მცირეწონიანია), 1 ბისტანი—25,2 დანგს. ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1776 წლიდან 10,6—16,4 დანგის წონა შავი ფული ნამდვილად არის 2 ფული, ხოლო 24,9—28,27 დანგისა—ბისტი (4 ფული). მართლაც გვლდენშტედტი ამბობს, ფული უდრის რუსულ დენეშკას ანუ  $\frac{1}{2}$  კაპეიკო, ხოლო დენეშკა ამ დროს შეიცავდა ქართულ წონაზე გადატანით 7,2 დანგს (ერთი ფუთი სპილენძიდან რუსეთში ამ დროს იჭრებოდა 16 მანეთის შავი ფული). ამის მიხედვითაც ცხადია, რომ გვლდენშტედტის ცნობაში შეცდომა არის და ქართული ფული მის დროს არ შეიძლება ყოფილიყო  $2\frac{1}{2}$  დრახმის (13,1 დანგ.) წონა, არამედ ამ წონის შეიძლება ყოფილიყო ორ ფულიანი საფასე. რომ ტფალისში ამ დროს იჭრებოდა 1 ფულიან საფასეს გარდა 2 ფულიანიც (=რუს. კაპეიკი), პირდაპირ სჩანს კავ. იაზიკოვის სიტყვებიდან 1770 წ.: „Денги грузины имеют свои, только выпущены монеты не так как в 30(?) копейки серебромъ, а по их называется абазъ, а мѣдныя копейки и денги подъ именем Царя Ираклія делаютъ въ Тифлисѣ“ (Цагарели, Грамоты... I, 191). მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის, რომ სამეფოს არსებობის უკანასკნელ ხანებში სპილენძის საფასე უფრო ნაკლებ ღირებულობის მქონ ლითონის შემცველ ყოფილა, ვიდრე ვერცხლის საფასე. ეს სჩანს იქიდან, რომ 1801 წ. პოლანდიურ ოქროს (ჩერვონცის) კურსი (რუსის მთავრობა ჯარისთვის ამ ოქროებს აგზავნიდა) იყო ქართულ ვერცხლს ფულზე 3 მან., ხოლო სპილენძის ფულზე 4 მ. 80 კავ. (Акты Кавк. II, 45). სპილენძის ფულის აშკარად ვერცხლის ფულთან შედარებით ნომინალზე უფრო დაბლა იდგა  $60\frac{0}{10}$ -ით \*). რადგანაც რუსეთში 1764 წ. ფული რეფორმის გატარების შემდეგ მთავრობა თავდაპირველად ცდილობდა ვერცხლის და სპილენძის ფულის შესატყვისობის დაცვას (Кауфман, op. cit., 177), ამიტომ შეიძლება თეორიულად ვიფიქროთ, რომ ქართული ფული გვლდენშტედტის დროს შესაძლებელია რუსულ დენეშკაზე არა თუ ოდენა, ოდნავ ნაკლებიც იყო. ამისდა მიხედვით ფული 1770 წლიდან იქნებოდა დაახლოებით  $5\frac{1}{2}$ —7—8 დანგის შემცველი, 2 ფულიანი საფასე 11—16 დანგისა და ბისტი 22—28 დანგისა. საყურადღებოა, რომ დაახლოებით

\*) ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის დროინდელი პოლიტიკა ფულის სისტემაში ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მაგრამ შესაძლებელია, რომ 1801 წ. ქართულ სპილენძის ფულის ნომინალის დაცემა აიხსნას რუსეთის ფულის სისტემის ზედგავლენით. რუსეთში ამ დროს ასიგნაციები დაცემას განიცდიდა და ასიგნაციების დონეზე, ღირებულობის დაცემის მხრივ, იდგა რუსეთის სპილენძის ფულიც (Кауфман, op. cit., 171, pass.).



ანალოგიურ ზომის ყოფილა 2 ფულიანი საფასე 1748—1770 წლებში და (11,9, 13,3 და 13,1 დანგი). ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ 1770 წლიდან მიუხედავად აბაზის წონის დაკლებისა  $6\frac{1}{3}$  დანგიდან  $4\frac{2}{7}$  დანგამდის, მაშასადამე 22,6%ით, სპილენძის ფულის ზომა თითქმის არ შემცირებულა. ფაქტები თითქოს ამის სასარგებლოდ ლაპარაკობენ. მაგრამ რაც შეეხება შავს ფულს 1730 წლამდის მოკრილს, აქ ჩვენ ვხედავთ სხვა სურათს. თეიმურაზის შავი ფული 1747 წლისა 21,42 დანგს იწონის, მაგრამ ბაქარის დროის (1716—1719 წ.წ.) ერთი შავი ფული, ფარშევანგის სურათის მქონი, იწონას 8,7 გრ. (=12,1 დანგს), შეიძლება ამიტომ ვითქვით, რომ მე-18 საუკ. პირველ მესამედში (1730 წლამდის), როდესაც აბაზი  $9\frac{3}{5}$  დანგის ახლო ზომისა იყო, შავი საფასის ერთი ერთეული (ფული) დაახლოვ. 12,1 დანგს იწონიდა და მეორე ერთეული (ორეულიანი) — დაახლ. 21,4—24 დანგს. პროპორცია ვერცხლის და სპილენძის ფულის ზომის შექცევებისა დაახლოვებით დატულია — აბაზი შემცირდა დაახლ.  $9\frac{3}{5}$  დანგიდან  $6\frac{1}{3}$  დანგამდის, მაშასადამე თითქმის  $\frac{1}{3}$ -ით, ხოლო ფული დაახლ. 10—12 დანგიდან (მე-17 საუკუნეში, როგორც ვნახეთ, ოლეარიუსის დროს ფული 10,5 დანგს იწონიდა)  $5\frac{1}{2}$ —7 დანგამდის. ამისდა მიხედვით ვერცხლის და სპილენძის ფულის, მათი ლირებულობის მიხედვით, შეფარდებას ვღებულობთ, როგორც ვნახეთ, მე 17 საუკ. პირველ ნახევარში, სპარსეთში და საგულისხმებელია ქართლშიაც — 1:39,2; მე 18 საუკ. პირველ ნახევარში დაახლოვებით ასევე, 1730—1770 წ.წ. (ბისტის ზომად ორთა შუა რიცხვით 25 დანგის აღებით) დაახლ. 1:39, ხოლო 1770 წლიდან — 1:58,3. ეს ფაქტი ფრიად საინტერესოა როგორც ქართული ფულის სისტემის განვითარების დასახასიათებლად, ისე ეკონომიური ისტორიის ინტერესების თვალსაზრისით.

ყველა ამ ზემოდ სხელდახელოდ მოყვანილ მაგალითებიდან და ფაქტებიდან ყოველს შემთხვევაში ცხადია, თუ რამდენად შემცდარი და ყოველად შეუწყნარებელი როგორც ფაქტიური, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უნდა იყოს ივ. ჯავახიშვილის დებულება, თითქოს ქართული ფულის სისტემა  $2\frac{1}{2}$  დრახმა წონის სპილენძის ფულზე იყო დამყარებული და ისიც რამოდენივე საუკუნის განმავლობაში თითქმის უცვლელად. ეს დებულება თავის თავად იწინააღმდეგებოდა გულუბრყვილად არის წამოყენებული, რომ მისა შეუსაბამობა თავისთავად ცხადია, მაგრამ ჩვენ მაინც სახელდახელოდ მოვიყვანეთ ფაქტები ავტორის ამ დებულების შეუწყნარებლობის საჩვენებლად. თავისთავად იგულისხმება, ქართულ საფას-მცოდნეობაში შეიძლება ბევრი საკითხი შეიქცეს სადაო, მაგრამ თუ თანამედროვე ევროპიულ მეცნიერების მეთოდოლოგია უკუგდებულ იქნა, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი სჩადის, მაშინ არაფრის გამოჩვენება არ იქნება შესაძლებელი.

2<sup>1</sup>/<sub>2</sub> დრახმიან სპილენძის ფულის ერთეულად აღიარებიდან ივ. ჯავახიშვილი ვრცლად გადადის ალთუნის გარკვევაზე და ცდილობს ვაარკვიოს, რომ ალთუნი (ფულის  $\frac{1}{5}$ )  $\frac{1}{2}$  დრახმის სპილენძის შემცველი იყო, და უდრიდა მაშასადამე 1,975 გრამს. რადგანაც რუსულ-თათრული „ალთინი“ მე-14—17 საუკუნეში რუსეთში 6 ხმლიან დენგას შეიცავდა, ხოლო ხმლიანი დენგა მე-16 საუკუნეში 0,341 გრამს იწონიდა, ამიტომ ავტორს დასკვნის — თათრული ალთინი 2,046 გრამს იწონიდა და თათრულ-რუსული „ალთინი“ ქართული ფულის სისტემის საფუძვლად მიღებულ ერთეულს 0,971 გრამით სქარბობდაო (ჩვ. შეცნ. № 1, 166—167). არ ჩანს მხოლოდ, ხომ არ უნდოდა ამით ავტორს თავისი უკანასკნელი სიტყვებით ქართული ფულის ზომის თავისებურობა დაედასტურებინა.

ამგვარი მეთოდით საკითხთან მიდგომა პირდაპირ გასაკვირველია, იმდენად ცხადია მისი შეუსაბამობა. ავტორს ავიწყდება ელემენტარული რამ, სახელდობრ — რომ ფულის ერთეულის წონა ყველა ქვეყნებში საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა, იცვლებოდა რუსული დენგას ზომაც (დენგა რუსეთში იწონიდა მე-14 საუკ. დასასრულს 0,33... მილსხალს, მე-14 საუკ. ნოვეგოროდის დენგა იწონიდა დაახლ. 0,18 მისხ., მოსკოვის დენგა — 0,09 მისხ., ესევე მოსკოვის დენგა 1535 წლიდან 0,04 მისხ. და სხ., დაწვრილებით ცნობები არ მოგვეყავს). მაშასადამე ყოვლად შეუძლებელია მე-18 საუკუნის ქართული ფულის ზომიდან თეორიულად გამოყვანილი ალთუნის ზომა (ჩვენ დავინახეთ, რომ ივ. ჯავახიშვილი აქაც უშვებს მძიმე მეთოდოლოგიურ შეცდომას) შეფარდებულ იქმნას შორეულ რუსეთის მე-15 საუკ. დენგასთან, მით უმეტეს, რომ საქართველოს მე-15 საუკ. თითქმის არავითარი ეკონომიური კავშირი არ ჰქონდა რუსეთთან. მაგრამ ამის გარდა აღსანიშნავია, რომ რუსულ-თათრული დენგა — თენგა (=ქართულ თანგას) ვერცხლის ფულია. როგორ მოხდა, რომ ივ. ჯავახიშვილი შესაძლებლად სთვლის მე-14—15 საუკუნის რუსულ-თათრული ვერცხლის ფული წონის მხრივ დაუკავშიროს მე-18 საუკუნის შესახებ მის მიერვე თეორიულად (და ამავე დროს, როგორც ვნახეთ, ფანტასტიურად) გამოყვანილ ქართულ ალთუნს — სპილენძის ნახევარ დრახმიან ერთეულს — ეს ჩვენთვის სრულიად გაუგებარია. ამ შედარებას ვერც ვერავინ გაიგებს, იმდენად მეთოდოლოგიურად ყოვლად უცნაურს წარმოადგენს ის და იმდენად ცხადია მისი შეუძლებლობა.

საზოგადოდ ალთუნის საკითხზე ავტორი ძლიერ ვრცლად ჩერდება, დეტალურად და ზომაზე მეტად განვრცელებულად უჩვენებს თუშნის შიფრის (10 ათასი) საფუძვლად ალთუნს, რაც ფრიად კარგად ცნობილია (აქედან მინალთუნი — 1000 ალთუნი, უხალთუნი — 100 ალთუნი

თურქულად და სხ.) და პარალელურად გაბედულად ეკამათება შოღ-  
არს, ბროსეს, ლანგლუას, ა. ცაგარელს, არ უჩვენებს,  
რომ, მართალია გაკვრით, ეს გარემოება მოხსენებული ჰქონდა ჯერ კიდევ  
ბროსეს (Introduction..., CLXXXVIII), და ამასთანავე არას აშობს იმის  
შესახებ, რომ ეს გარემოება უცნობი იყო თვითონ მისთვისაც, როდესაც  
ის ამა წლის მხრტში კითხულობდა მოხსენებას ქართული ფულის სი-  
სტემის შესახებ საქ. საისტ.-საეთნ. საზოგადოების სხდომაზე. მაშინ ამ  
საკითხს შეეხო დავ. კარიქაშვილი, რომელსაც ივ. ჯავახიშვი-  
ლი იქვე კატეგორიული უარყოფით უპასუხებდა. თუ ივ. ჯავახი-  
შვილი ზედმეტად სთვლიდა ასეთ ელემენტალურ ფაქტს შეხსოვნი-  
აღნიშვნას, ჯერ იყო ბროსე, ლანგლუა და სხვები მაინც მოესვენ-  
ებინა, რადგან ისინი ცდებოდნენ ამ წწ წლის წინად, ივ. ჯავახი-  
შვილი კი ცდებოდა წელსვე\*).

ასეთია ზემოდ მოხსენებულის მიხედვით ძირითადი დებულებანი ივ-  
ჯ—ლის ნაშრომისა ქართული ფულის სისტემის შესახებ. წვრილმანებზე  
ჩვენ არ გავჩერდებით. ზოგიერთი ელემენტარული რამეც ავტორს დიდ  
აღმოჩენად მიაჩნია და ვრცლად ჩერდება მასზე, მაგ., სიტყვის წითე-  
ლის ხმარება ოქროს ნაცვლად (ჩვ. მეცნ: № 2, გვ. 17), რაც კარ-  
გად ცნობილია სხვა წყაროებს გარდა ვეფხისტყაოსნიდანაც. ვერცხ-  
ლის და ოქროს ორმაგი მნიშვნელობა როგორც ლითონის და რო-

\*) ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვაგონდება ერთი ფაქტი ძველი ქართველ-  
მემატიანეების შესახებ საკითხის გარშემო. ივ. ჯავახიშვილმა ჩვენ მიერ  
1908 წ. მისთვის შეხსენებული ზოგიერთი მოსაზრებანი ძველი ქართულ მატია-  
ნეების მე-11 საუკუნეში შედგენის შესახებ (1907 წ. ივ. ჯავახიშვილი გარკვე-  
ულად ოდნავ შეცვლით ნ. მარრის მიერ წინად გაკვრით გამოთქმულ აზრისა-  
იყო და ლეონტი მროველს მე-9 საუკ. მწერლად-სთვლიდა—იხ. მისი „საქ. ეკონომ.  
ისტ.“ ტფ. 1907 წ. გ. 3) გამოიყენა ისე, რომ 1915—1916 წ. ბექდვით ჩვენ თი-  
თონ გვაბრალა მისი აზრების ფაქტიურად მითვისება, ჩვენ არ ვამბობთ, რომ  
ივ. ჯავახიშვილი 1908 წ. თითონაც დამოუკიდებელივ არ აღრმავებდა მუ-  
შაობას ამავე თემაზე—პირიქით ეს მართლაც ასე იყო, ე. ი. ივ. ჯავახიშვი-  
ლი ამ დროს თითონაც მუშაობდა ამავე თემაზე (ამის შესახებ იხ. ს. კაკაბ.,  
საისტორიო ძიებანი, გვ. 192—193). მაგრამ ამ მუშაობის შედეგები მაშინ  
ჩვენთვის, ისე როგორც სხვებისთვისაც, უცნობი იყო. თავის თავად იგულის-  
ხმება, მუშაობის დროს დაინტერესებულ პირთა მიერ ერთმანეთისთვის აზრთა  
გაცვლა-გამოცვლა არის სრულიად ნორმალური მოვლენა და ჩვენ არც ამ  
ძველს შეხსენებას მატიანეების შესახებ მოვიგონებდით (მით უმეტეს რომ მას  
არ ვიგონებდით ტაქტიკური მოსაზრებით წინა ხანებშიც) და არც ეხლა  
შეეჩერებოდით ქართული ფულის სისტემის შესახებ კერძო ფაქტების შეხსენე-  
ბაზე, რომ ივ. ჯავახიშვილი თითონ იჩენდეს სამართლიანობას და სიფრთ-  
ხილეს სხვების მიმართ (როგორც ცოცხალთა, ისე მკვდართა მიმართ).

გორც ფულისა, რაც ახასიათებს სხვა ენებსაც, საზოგადოდ იმდენად კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ დარიგების კილო მკვლევართაძი (ჩვ. მეცნ. № 1, გვ. 141) ზედმეტად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს როდესაც თვით ავტორის საკუთარი ნაშრომი, როგორც ვნახეთ, არსებითად მეთოდოლოგიურად ყოველად უმართებულო დებულებებზეა აგებული.

ავტორი ამასთანავე ცდილობს ზოგიერთ შემთხვევაში ხელოვნურად დატვირთოს თავისი ნაშრომი ციტატებით, რის გამოც ცნობა ყოველთვის პირველი წყაროდან არ უნდა იყოს ამოღებული, მაგრამ ნაჩვენებია მაინც პირველი წყარო. ჩვენ შევნიშნეთ ასეთი ფაქტი, მაგ., ჩვ. მეცნ. № 2 მე-24 გვერდზე, სადაც ავტორი იხსენიებს ა. მარკოვის წიგნს Каталог жёланирических монет, საიდანაც ვითომ ამოაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ ყაზან-ყაენის დირჰემი 2,15 გრამს იწონიდა, ე. ი. ნახევარ მიხსლიანი იყო. შემდეგ აქვე ივ. ჯავახიშვილს მოყავს სპარსული ციტატა, რომელიც შეიცავს ყაზან-ყაენის მიერ სამ-მიხსლიან ვერცხლის დინარის მოჭრის შესახებ ბიძანების გაცემის ცნობას. ნამდვილად ეს ცნობები, თვით სპარსული ციტატაც, რომელიც რაშიდ-ედ-დინის ეკუთვნის, ამოღებულია არა პირველ-წყაროდან, არამედ ვ. ბარტოლდის წიგნიდან Персидск. надпись на стене Ангийской мечети Мануче, შეად. გვ. 18, შენ. 2 (თვით ვ. ბარტოლდის წიგნი ივ. ჯავახიშვილს დასახელებული აქვს აბზაცის ბოლოს). ანალოგიურს შემთხვევას აქვს ადგილი ჩვ. მეცნ. № 1, გვ. 150. ლიტერატურული ლოიალობა კი, რასაკვირველია, მოითხოვს, რომ ციტატები სწორედ იყოს ნაჩვენები, რადგან არა-პირველ წყაროდან ამოღებული ცნობა შესაძლებელია უნებლიედ (ივ. ჯავახიშვილს ეს სხვა შემთხვევებშიდაც არც თუ იშვიათად მოსდის) სხვაგვარად ან სხვა გაგებით იქმნეს წარმოდგენილი, და როდესაც ასეთ ციტატას ყალბად ნაჩვენები პირველ-წყარო ახლავს, მაშინ ასეთი ნაშრომით როგორც მასალითაც სარგებლობა სახიფათო ხდება. ციტატების საჭიროება თავისთავად იგულისხმება, მაგრამ ყალბად დასახელება არ-ნახულ წიგნებისა შესაძლებელია გარეგან ეფექტისთვის საჭირო იყოს, მაგრამ ნაშრომის სხვა ძირითად ნაკლთ სულერთია მაინც ვერ დაფარავს.

ავტორს ეტყობა თანამედროვე ევროპიულ სამეცნიერო მოთხოვნილებათა დონეზე, გარეგნულ მსგავსების მხრივ მაინც, მუშაობის მიდრეკილება, მაგრამ რადგანაც ამ სამეცნიერო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება გულისხმობს როგორც სათანადო სამეცნიერო მეთოდოლოგიის წინასწარ შეთვისებას, ისე კვლევისა და ძიების საღ უნარს, ამიტომ ხშირად ვარდება მეტისმეტ უხერხულ მდგომარეობაში. ერთს ადგილას, მაგ., ავტორი ცდილობს გამოარკვიოს ქართულ ვერცხლის



ფულში ვახტანგის დროს (მე-18 საუკ დასაწყ.) შენართი ლითონის ოდენობა, მოყავს სხვადასხვა ცნობები, ასახელებს, გარეგან ეფექტის მოსახდენად, სხვადასხვა ავტორებს და წიგნებს და ატარებს. იმ აზრს, რომ რადგანაც სიკილა, დასტურლამალით, 14 შაურია (დასტურ., გვ. 33), ხოლო შაური ამ დროს იწონის 0,4 მისხალს, ამიტომ სიკილა უდრის 4,8 მისხალს ვერცხლს. დასტურლამალი კი გადმოგვცემს, რომ „ოჰხასი სიკილა ერთს ყურსად უნდა ჩაიღიდეს ცეცხლში ამისგან გამოვა ცეცხლიდამ თამამ აიარა ვეცხლი ორი ათას სამასი“ (დასტურ. გვ. 33). 400 სიკილა (სიკილა=4,8 მისხ.), ავტორის სიტყვით უდრის 1920 მისხალს, მაშასადამე, დაასკვნის ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, (2300—1920=) 380 მისხალი უნდა იყოს თითო ყურსზე შენართი ლითონი, რაც იძლევა 16,87% შენართი ლითონს და 83,11% წმიდა ვერცხლს. ვერცხლის ფულის შინჯადობა ვახტანგის დროს მე-18 საუკ. დასაწყისს ამგვარად გამოდის 83,13% (ჩვ. მეცნ. № 1, გვ. 182—183). მთელი ეს მსჯელობა და დასკვნაც დაწყარებულია უბრალო გაუგებრობაზე. რადგანაც სიკილა ვერცხლის 14 შაურის წონის ოდენაა, შაური კიდევ 0,4 მისხალს იწონიდა, სიკილას წონა გამოდის 5,6 მისხ. და არა 4,8 მისხ., 400 სიკილის წონაც 2240 მისხ. იქნება, ე. ი. თითქმის სრული ყურსი (2300 მისხ.). არავითარ შინჯადობის გამორკვევაზე ამ ცნობის მიხედვით ლაპარაკი არ შეიძლება. ჩვენ გვაკვირვებს კიდევ ასეთი შეცდომა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ეს თავისი ნაშრომი რამოდენიმეჯერ წაუკითხავს უნივერსიტეტში „ვიტარცა საისტორიო-სამეცნიერო დამხმარე დარგი—ნუმისმატიკა“ (ჩვ. მეცნ. № 1, გვ. 134) და შემდეგ საისტ.-საეთნოგრ. საზოგადოების კრებაზედაც მოხსენების სახით (მოხსენებაში ეს ადგილი ამავე სახით იყო წაკითხული).

ჩვენ რასაკვირველია, არა გვაქვს განზრახვა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ამ ნაშრომის ყველა დეფექტზე გავჩერდეთ, ვერ ავლნიშნავთ აგრეთვე, სამწუხაროდ, ღირსებებსაც, რადგან მართალია ავტორი შეეცადა მასალა რაც შეიძლება ბლომად დაეგროვებინა, მაგრამ მასალების ჯეროვნად დაგროვებაც საძნელო ხდება, როდესაც არ არის ყველა ამ შემოკრებილ მასალის სწორი გაგების შესაძლებლობა და მართლაც, რომ არ შეიძლება, მაგალითად ღირსებად ჩაითვალოს განვრცელებული მსჯელობა ან ციტატების მოყვანა იმის შესახებ, რომ შინალთუნში 5 აბაზი არის, ან რომ აბაზი 4 შაურია, ანდა ბისტში 4 ფული და სხ., რაც ყველასთვის ფრიად ელემენტარულად ცნობილია სხვა არა იყოს რა მე-19 საუკ. დაბეჭდილ ყველა ქართულ და რუსულ კალენდრებიდან. ანდა, მაგალითად, ცნობილია ძლიერ კარგად და ზედმიწევნით, რომ მარჩილი მე-18 საუკუნეში 3 აბაზს უდრიდა. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

შინც საჭიროდ სთვლის ვახტანგ VI-ის დასტურლამალიდან ერთი „გამოსადევი“, როგორც თითონ ეძახის, ცნობა მოიყვანოს, რომ 14 შაურიდან მარჩილის გამოკლებით 2 შაური დარჩება და დაასკვნის: „ცხადია მარჩილი 12 შაური ანუ 3 აბაზი ყოფილა“-ო (ჩვ. მეცნ. № 1, გ. 154). სამწუხაროდ, ასეთ „აღმოჩენებზე“ გაჩერება ივ. ჯავახიშვილის ძლიერ ეხერხება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი, მეთოდოლოგიურად პრიმიტიულად დამუშავებული, წარმოადგენს ჩვენი აწმყო სამეცნიერო ლიტერატურისთვის ფრიად სამწუხარო მოვლენას, მით უმეტეს რომ გარეგნულად მრავლად სხვადასხვა ციტატებით შემკობილს ამ ნაშრომს შეუძლია დასტოვოს სრულიად ყალბი წარმოდგენა მისი ნამდვილი ღირებულობის შესახებ. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი განსხვავდება სხვა მის ნაშრომთაგან იმითაც, რომ ავტორი სხვაგან ყოველთვის კმაყოფილდებოდა უმთავრესად მასალების დამუშავებით და პათი ვრცლად აღნუსხვით. ქართულ საფას-მცოდნეობაში კი ავტორი შეეცადა ფარდო კონცეპციების შემუშავებას და სხვადასხვა საუკუნის ფაქტებს შორის კაღშირის გაბმას, მაგრამ მეთოდოლოგიური ხასიათის დეფექტების გამო ეს ცდა დამთავრდა ზემოდ გარჩეული შედეგებით. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ხსენებული ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის მიერ ტფილისში შესრულებულ სხვა ნაშრომებთან ერთად (ქართველი ერის ისტორია წ. IV, ზემოდ გარჩეული; საქართველ. ისტორიული რუკა; აგრეთვე გამოკვლევა ხანშეტ ტექსტების შესახებ), მეთოდოლოგიურადაც დიდად განსხვავდება იმ ნაშრომთაგან, რომელიც მის მიერ შესრულებულია 1917 წლამდის პეტერბურგში ნიკ. მარტთან პრევატ-დოცენტად ყოფნის დროს. მიუხედავად სხვადასხვა ხშირად თვალსაჩინო დეფექტისა, ეს წინანდელი ნაშრომები (Государств. строй древн. Груз. и др. Армении, СПб. 1905 г.; საქართველოს ეკონომიური ისტორია წ. I, ტფილ. 1907 წ.; ქართველი ერის ისტორია წ. I—II, ტფ. 1913 და 1914 წ.; ძველი ქართული საისტორიო მწერლობა წ. I, ტფ. 1916 წ.; ქართული სამართლის ისტორია წ. I, ქუთ. 1919 წ. — უკანასკნელი წიგნი დაწერილია რუსეთში მუშაობის დროს, ქართული სამართლის ისტორიის შესახებ ივ. ჯავახიშვილის წერილები დაბეჭდილი იყო ჯერ კიდევ 1909 წ. ჟურნალ. ერ-ში—და სხ.) თავის დროზე წარმოადგენდნ მასალების დეტალურად დამუშავების და აღნუსხვის მხრივ ჩვენი ფრიად ღარიბ საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურისათვის თვალსაჩინო შემატებას. 1918 წლის შემდეგ, — ტფილისში პროფესორად გახდომის შემდეგ, — ივ. ჯავახიშვილი მეთოდოლოგიურადაც ცხადად შორდება მეცნიერულ ნიადაგს და თანდათან ხდება, მიუხედა-

თულში ვახტანგის დროს (მე-18 საუკ დასაწყ.) შენართი ლითონის ოდენობა, მოყავს სხვადასხვა ცნობები, ასახელებს, ვარგვან ფეფქტის მოსახდენად, სხვადასხვა ავტორებს და წიგნებს და ატარებს იმ აზრს, რომ რადგანაც სიკილა, დასტურლამალით, 14 შაურია (დასტურ., გვ. 33), ხოლო შაური ამ დროს იწონის 0,4 მისხალს, ამიტომ სიკილა უდრის 4,8 მისხალს ვერცხლს. დასტურლამალი კი გადმოგვცემს, რომ „ოახასი სიკილა ერთს ყურსად უნდა ჩავიდეს ცეცხლში, ამისგან გამოვა ცეცხლიდამ თამამ აიარა ვეცხლი ორი ათას სამასი“ (დასტურ., გვ. 33): 400 სიკილა (სიკილა=4,8 მისხ.), ავტორის სიტყვით უდრის 1920 მისხალს, მაშასადამე, დაასკვნის ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, (2300—1920=) 380 მისხალი უნდა იყოს თითო ყურსზე შენართი ლითონი, რაც იძლევა 16,87% შენართი ლითონს და 83,11% წმიდა ვერცხლს. ვერცხლის ფულის შინჯადობა ვახტანგის დროს მე-18 საუკ. დასაწყისს ამგვარად გამოდის 83.13% (ივ. მეცნ. № 1, გვ. 182—183). მთელი ეს მსჯელობა და დასკვნაც დაყარებულია უბრალო გაუგებრობაზე. რადგანაც სიკილა ვერცხლის 14 შაურის წონის ოდენაა, შაური კიდევ 0,4 მისხალს იწონიდა, სიკილას წონა გამოდის 5,6 მისხ. და არა 4,8 მისხ., 400 სიკილის წონაც 2240 მისხ. იქნება, ე. ი. თითქმის სრული ყურსი (2300 მისხ.). არავითარ შინჯადობის გამორკვევაზე ამ ცნობის მიხედვით ლაპარაკი არ შეიძლება. ჩვენ გვაკვირვებს კიდევ ასეთი შეცდომა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ეს თავისი ნაშრომი რამოდენიმეჯერ წაუკითხავს უნივერსიტეტში „ვიტარკვა საისტორიო-სამეცნიერო დამხმარე დარგი—ნუმისმატიკა“ (ივ. მეცნ. № 1, გვ. 134) და შემდეგ საისტ.-საეთნოგრ. საზოგადოების კრებაზედაც მოხსენების სახით (მოხსენებაში ეს ადგილი ამავე სახით იყო წაკითხული).

ჩვენ რასაკვირველია, არა გვაქვს განზრახვა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ამ ნაშრომის ყველა დეფექტზე გავჩერდეთ, ვერ ავლნიშნავთ აგრეთვე, სამწუხაროდ, ღირსებებსაც, რადგან მართალია ავტორი შეეცადა მასალა რაც შეიძლება ბლომად დაეგროვებინა, მაგრამ მასალების ჯეროვნად დაგროვებაც საქნელო ხდება, როდესაც არ არის ყველა ამ შემოკრებილ მასალის სწორი გაგების შესაძლებლობა და მართლაც, ხომ არ შეიძლება, მაგალითად ღირსებად ჩაითვალოს განერკველებული მსჯელობა ან ციტატების მოყვანა იმის შესახებ, რომ მინალთუნში 5 აბაზი არის, ან რომ აბაზი 4 შაურია, ანდა ბისტში 4 ფული და სხ., რაც ყველასთვის ფრიად ელემენტარულად ცნობილია სხვა არა იყოს რა მე-19 საუკ. დაბეჭდილ ყველა ქართულ და რუსულ კალენდრებიდან. ანდა, მაგალითად, ცნობილია ძლიერ კარგად და ზედმიწევნით, რომ მარჩილი მე-18 საუკუნეში 3 აბაზს უდრიდა. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

შაინც საჭიროდ სთვლის ვახტანგ VI-ის დასტურლამალიდან ერთი „გამოსადევი“, როგორც თითონ ემახის, ცნობა მოიყვანოს, რომ 14 შაურიდან მარჩილის გამოკლებით 2 შაური დარჩება და დაასკვნის: „ცხადია მარჩილი 1-2 შაური ანუ 3 აბაზი ყოფილა“-ო (ჩვ. მეცნ. № 1, გ. 154). სამწუხაროდ, ასეთ „აღმოჩენებზე“ გაჩერება ივ. ჯავახიშვილის ძლიერ ეხერხება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი, მეთოდოლოგიურად პრიმიტიულად დამუშავებული, წარმოადგენს ჩვენი აწმყო სამეცნიერო ლიტერატურისთვის ფრიად სამწუხარო მოვლენას, მით უმეტეს რომ გარეგნულად მრავლად სხვადასხვა ციტატებით შემკობილს ამ ნაშრომს შეუძლია დასტოვოს სრულიად ყალბი წარმოდგენა მისი ნამდვილი ღირებულობის შესახებ. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი განსხვავდება სხვა მის ნაშრომთაგან იმითაც, რომ ავტორი სხვაგან ყოველთვის კმაყოფილდებოდა უმთავრესად მასალების დამუშავებით და მათი ვრცლად აღნუსხვით. ქართულ საფას-მცოდნეობაში კი ავტორი შეეცადა ფარსო კონცეპციების შემუშავებას და სხვადასხვა საუკუნის ფაქტებს შორის კაფშირის გაბმას, მაგრამ მეთოდოლოგიური ხასიათის დეფექტების გამო ეს ცდა დამთავრდა ზემოდ გარჩეული შედეგებით. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ხსენებული ნაშრომი, ივ. ჯავახიშვილის მიერ ტფილისში შესრულებულ სხვა ნაშრომებთან ერთად (ქართველი ერის ისტორია წ. IV, ზემოდ გარჩეული; საქართველ. ისტორიული რუკა; აგრეთვე გამოკვლევა ხანმეტ ტექსტების შესახებ), მეთოდოლოგიურადაც დიდად განსხვავდება იმ ნაშრომთაგან, რომელიც მის მიერ შესრულებულია 1917 წლამდის პეტერბურგში ნიკ. მარტთან პრивატ-დოცენტად ყოფნის დროს. მიუხედავად სხვადასხვა ხშირად თვალსაჩინო დეფექტისა, ეს წინანდელი ნაშრომები (Государств. строй древн. Груз. и др. Армении, СПб. 1905 г.; საქართველოს ეკონომიური ისტორია წ. I, ტფილ. 1907 წ.; ქართველი ერის ისტორია წ. I—II, ტფ. 1913 და 1914 წ.; ძველი ქართული საისტორიო მწერლობა წ. I, ტფ. 1916 წ.; ქართული სამართლის ისტორია წ. I, ქუთ. 1919 წ. — უკანასკნელი წიგნი დაწერილია რუსეთში მუშაობის დროს, ქართული სამართლის ისტორიის შესახებ ივ. ჯავახიშვილის წერილები დაბეჭდილი იყო ჯერ კიდევ 1909 წ. ჟურნალ ერ-ში—და სხ.) თავის დროზე წარმოადგენდნენ მასალების დეტალურად დამუშავების და აღნუსხვის მხრივ ჩვენი ფრიად ღარიბ საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურისათვის თვალსაჩინო შემატებას. 1918 წლის შემდეგ, — ტფილისში პროფესორად გახდომის შემდეგ, — ივ. ჯავახიშვილი მეთოდოლოგიურადაც ცხადად შორდება მეცნიერულ ნიადაგს და თანდათან ხდება, მიუხედა-



ვად გარეგნული ეფექტის დაცვის ცდისა, აშკარა დილეთანტიზმის მსხვერპლი. მართლაც, თუ არ ქართულად და საქართველოს ისტორიის შესახებ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ნაშრომების გამოქვეყნება, როგორც არის ი. ჯ-ლის უკანასკნელი ნაწერები, სხვა ქვეყანაში და სხვა ენაზე სხვა ქვეყნის ისტორიის შესახებ შეუძლებელი იქნებოდა. როგორც სჩანს, ნიკ. მარჩის ხელმძღვანელობას და დახმარებას ივ. ჯავახიშვილისთვის მისი მუშაობის წინანდელ პერიოდში ძლიერ დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ალბადამით აახსნებოდა, რომ ივ. ჯ—ლი ნიკ. მარჩს ბექდვით წინად ყოველთვის დიდი მადლობით იხსენიებდა და 1916 წ. ტფილისში დაბეჭდილი თავისი დიდი შრომა—ისტორიის მიზანი და მეთოდები... ქართული საისტორიო მწერლობა, წ. I—ბექდვითვე (დასახელ. წიგნი, გვ. V) მიუძღვნა მას. 1918 წლიდან ნიკ. მარჩი უკვე აღარ ხელმძღვანელობს ივ. ჯავახიშვილის მუშაობას და, როგორც სჩანს, ეს გარემოება ივ. ჯავახიშვილის მიერ სათანადო მეცნიერულ დონეზე მუშაობის წარმოების შესაძლებლობისათვის საბედისწერო შედეგების მქონე აღმოჩნდა.

სარგის კაკაბაძე.

ს ხ ა ლ ი წ ი ბ ნ ე ბ ი,

გამოსული 1924 წ.

სარგის კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილსი 1924.

შინაარსი: 1) სახარების ქართულ თარგმანთა შესახებ მე-5—6 საუკუნეში ხანმეტ ტექსტებთან დაკავშირებით (გვ. 1—37), 2) როდის არის დაწერილი ტრაქტატი—განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა (38—55), 3) მოქცევაჲ ქართლისაჲ (56—92), 4) ძველი ქართული მატრიანეები (93—183).

თარგმანებაჲ ქებისა ქებათასაჲ. პალეოგრაფიული რვეული გამოქვეყნებული აკაკი შანიძის მიერ. ტფილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამოცემა. უნივერსიტეტის ლითოგრაფია. ტფილისი ჩუკლ. II+35 გვ. in folio.

Г. Н. Гехтман. Экономическая география Грузии. Изд. Заккниги. Тифлис 1924, 143 стр.

O. G. Wesendonk. Über georgisches Heidentum. Leipzig 1924.

А. Ф. Ляйстер и Г. Ф. Чурсин. География Кавказа. Природа и население, Издание Закавказского Коммунистического Университета. Тифлис 1924. VIII+350 стр. (28 გრაფიკითა და კარტოგრაფით და კავკასიის 40-ვერსიანი რუკით).

კავკასიის მოსახლეობას ეხება გ. ჩურსინის მიერ შედგენილი თავები მე-X (Политическое и административное деление Кавказа), გვ. 259—268, და XI (Население Кавказа), გვ. 269—340).

М. М. Дубенский. Очерки по экономической географии Закавказья. Издание Закавказского Краевого Ком. Р. К. П. (ბ.). Тифлис 1924. 362 стр.

ზაქარია ჭიჭინაძე. საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები. ტფილისი 1924, გვ. 180 (სურათებით).

ლევან ლეონიძე. საქართველოს მელორეობა [ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა] წიგნში: „მელორეობა“, წითელ წიგნის გამოცემა, ტფილისი 1924. გვ. 197 და შემდეგი.

Л. Меликсет-Бекон. Введение в историю государственных образований Юго-Кавказа [Caucasica I], Тифлис 1924. 115 стр.

Н. Марр. Термины из абхазо-русских этнических связей „лошадь“ и „тризна“ (К вопросу о племенном происхождении Средиземноморского населения). Издание Наркомпроса Абхазии. Ленинград 1924. 57 стр. (იხ. ცალკე რეცენზია ლ. მელიქსეთ-ბეგისა).

ქართული ხუროთმოძღვრების აღბოძი. შედგენილი ე. თაყაიშვილის მიერ. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი 1924. 7 გვ.+80 in quarto.

ი. ჯიშკარიანი. აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის, ტფილისი 1924.—19 გვ. (1 რუკით).

მ. წერეთლის მონოგრაფია ხეთების საკითხის შესახებ, დაბეჭდი-  
ლია კონსტანტინოპოლს 1924 წ.

### უზრნალების მიმოხილვა.

კავკასიონი 1924 წ. № 1—2 და 3—4.

„ქება და დიდება ქართულისა ენისა“ (აკად. ნ. მარშის სამეც-  
ნიერო მოგზაურობიდან სინას მთაზე, რედაქციის მიერ დართული  
შესავლითა და განმარტებით), № 1—2, განყ. IV, გვ. 267—270.

პავლე ინგოროყვა. ჩახრუხაისძე. პოეტი, მოგზაური. № 1—2,  
განყ. IV, გვ. 271—230; № 3—4, განყ. V, გვ. 58—79.

გიორგი ჩუბინაშვილი. ქართული პლასტიური ხელოვნების შეს-  
წავლის ამოცანები. წერილი პირველი. № 3—4, განყ. IV, გვ. 221—  
234 (დასრულებელი არაა).

ლეონ მელიქსეთ-ბეგი. სიმბოლო ქართულ-სომხურ ხუროთ-  
მოდღვრებაში. № 3—4, განყ. IV, გვ. 235—237.

შალვა ამირანაშვილი. ძველი ქართული ხუროთმოდღვრების გა-  
მოფენა. № 3—4, განყ. VII, გვ. 115—119 (სურათებით).

მნათობი 1924 წ. გამოვიდა 8 №-ს.

სარგის კაკაბაძე. საქართველოს ეკონომიურ ვითარების შესახებ  
მე-18 საუკუნეში (საზოგადო მიმოხილვა). № 2, გვ. 214—242; № 3,  
გვ. 266—286.

ნ. მარში, ნაპერწკლები და შენიშვნები იათეტური თეორიის შე-  
სახებ. № 5, გვ. 231—237.

ს. გორგაძე. ბესარიონ გაბაშვილის დღემდე უცნობი სამგლო-  
ვიარო ოდა — „სამძიმარი“. № 7—8, გვ. 293—308.

ჩვენი მეცნიერება 1924 წ. გამოვიდა 5 წიგნი.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ძველი მხატვრობა გარეკახეთში. № 9—10,  
გვ. 57—63 (გიორგი ჩუბინაშვილის დამატებით, იქვე, გვ. 64).

ვარლამ თოფურია. გეოგრაფიულ სახელთა თა სუფიქსისათვის  
ქართულში. № 11—12, გვ. 7—10.

აკაკი შანიძე. Miscelanea: III. მაჩიტისძის ჩინი. IV. ოცობით  
თვლა და ათობით წერა ქართულში. № 11—12, გვ. 11—14.

გიორგი ახვლედიანი. „ქაჯური ენის“ ნიმუშები ოსურში. № 11—  
12, გვ. 80—82.

ს. ყაუხჩიშვილი კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული  
მინაწერების დათარიღებისათვის. № 11—12, გვ. 83—86.

ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. IV. (იხ. ცალკე  
რეცენზია ს. კაკაბაძისა)

ს. გორგაძე. ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) ახლად აღმოჩენილი ლექსები და ავტოგრაფი, ტ. I, № 1, გვ. 26—33.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი. მანგლისის ნეკროპოლი. № 1, გვ. 82—87 (სურათებით).

მისივე—საქართველოს პირველი სამეცნიერო ექსპედიცია სომხეთში. № 1, გვ. 177—180.

ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომების მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია. № 1, გვ. 133—176 და № 2, გვ. 17—64 (იხ. ცალკე რეცენზია ს. კაკაბაძისა).

ტ. ფარცხალაძე. ფიცხელაურიანთ ოჯახის ეკონომიური პოლიტიკა. № 2, გვ. 65—72.

გიორგი კოკოჩაშვილი. ქუთაისის მუზეუმის ოდიკის ხის კლიშე (ცხრუკვეთის ოდიკი). № 2, გვ. 73—81.

ვ. თოფურია. ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში (მასალები დიალექტოლოგიისათვის). № 2, გვ. 89—96.

#### ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IV

ალ. ჯავახიშვილი. სომხები ანთროპოლოგიური თვალსაზრისით. გვ. 63—81.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი. ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის. გვ. 82—91.

ბენ. ჩიქობავა. გრძელი ხმოვნები მთიულურში. გვ. 333—348.

ს. ყაუხჩიშვილი. ტურინოს კომპილაციისათვის. გვ. 351—355.

#### ახალ სკოლისკენ 1924 წ. № 1 და 2—3.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი. მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით. სახელმძღვანელოდ საზაფხულო ექსკურსიების მოსაწყობად. № 2—3, გვ. 71—80.

მისივე. საქართველოს შესწავლისათვის, იქვე, გვ. 81—83.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მოამბე, 1924 წ. № 1.

შეიცავს სტატიებს სხვადასხვა საკითხების შესახებ ალ. ჯავახიშვილისა, ალ. დიდებულიძისა, ს. ცხაკაიასი, სოსო ასლანიშვილისა, გიორგი ნიკოლაძისა და K. von Hahn'-ისა.

Новый Восток, изд. Науч. Ассое. Востоковедения СССР. № 5 (1924).

Н. Марр. Об яфетической теории. გვ. 305—339 (და ცალკეც). Доклады Российской Академии Наук, серия В. 1924, январь—март, апрель—июнь.

Н. Марр.

1) К толкованию имени Гомер. გვ. 2—5.



- 2) Индоевропейские языки Средиземноморья. გვ. 6—7.
- 3) „Север“ и „мрак“ || „левый“ от Пиренеев до Месопотамии. გვ. 8—11.
- 4) О „небе“, как гнезде пра-значений. გვ. 23—26.
- 5) Из семантических дериватов „неба“. გვ. 27—28.
- 6) Яфетические переживания в классических языках и „вера“ в семитическом кругу „неба“. გვ. 29—31.
- 7) Шумерские слова с основой en в освещении одного из положений яфетической семантики. გვ. 45—46.
- 8) Пережитки еще семантических групп „Неба+Вода“ из шумерского языка. გვ. 63—64.
- 9) Из яфетических пережитков в русском языке. გვ. 65.

განსაკუთრებით საინტერესოა პირველი ორი წერილი, რომელთაგან პირველში ავტორი ცდილობს დაუკავშიროს „გომერ“-„გამირ“-ი „თობელ“-„იბერ“-„იმერ“-„შუმერ“-თან; ხოლო მეორეში აცხადებს, რომ არიო-ევროპეელები იაფეტეიანთაგან მომდინარეობენ და წარმოადგენენ „რასის“ განვითარების ახალ საფეხურს, ისე რომ წმიდა „იაფეტურ“ და წმიდა „არიო-ევროპიულ“ საფეხურებს მიმართ სომეხი ერი წარმოადგენს საშუალო ეტაპს, ე. ი. „იაფეტეიანთა“-გან დაშორებულს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ „გაარიელებულს“.

**Известия Российской Академии истории материальной культуры.**

т. III (1924 г.)

**Н. Марр.** Книжные легенды об основании Киева на Руси и Куара в Армении. გვ. 257—287.

**Н. Токарский.** Об основной мере длины в древней Армении. გვ. 329—336.

## A d d e n d u m

სასისხლო სიგელების აღრიცხვისას (წერილი—სასისხლო სიგელების შესახებ) შემთხვევით გამოჩნდებოდა აზნაურის გუგუნავას სასისხლო სიგელი, რომლის ტექსტი დაბეჭდილი იყო ჩვენ მიერ ლენინგრადის აზიურ მუზეუმში ბროსეს ნაქონ ქაღალდებში დაცულ პირის მიხედვით (ს. კაკაბ., გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფ. 1913 წ., 18—19). ქუთაისის ყოფ. სათავადაზნ. სადეპუტ. საკრებ. არქივში (საქმე № 885/1265) აღმოჩნდა დაბეჭდილი პირი ამავე საბუთისა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევებში უფრო სწორ წაკითხვას იძლევა, ვიდრე ბროსეს ნაქონი პირი. გუგუნავას ეს სიგელი მიცემულია საქართველოს მეფის გიორგის მიერ (1395—1406 წ.). გუგუნავა იყო მოლარეთ-უხუცესის ქველი ქილაძის აზნაური. მისი სისხლი, სიგელის მიხედვით, შეფასებულია—„ასი ორმოცი ათასი თეთრი ცხუმური; თეთრი ჯორი, თეთრი ქორი მისითა ბაზიერითა, ოცი ათასი სანახშირო, სამი ათასი გერში დაეურვებოდეს<sup>1</sup>. ვინაც სადაო და სამჯაგრო საქმე უყოს, ანუ კელი დაუშავდეს, ანუ ფეცი დაუშავდეს, ანუ წინა კბილი ჩააგდებინოს, თექუსმეტი ათასი თეთრი დაეურვებოდეს. ვინცა თვალი წამოაგდებინოს, თექუსმეტი ათასი თეთრი დაეურვებოდეს. ვინცა გაუპატიოს და გაძარცოს ანუ შეარცხინოს, ათი ათასი თეთრი დაეურვებოდეს. ვინცა პატრონთან შეაბეზლოს, სრული სისხლი დაეურვებოდეს, ამისთვის რომე ორი სიკვდილი არის<sup>2</sup>. ვინც ცოლი შაუციდინოს, თერთმეტი ათასი თეთრი დაეურვებოდეს<sup>3</sup>. ვინც ცოლი გაუუპატიოროს<sup>4</sup>, ზარმოცდაათი ათასი თეთრი დაეურვებოდეს. ვინც ქალი დაუგდოს რომე დასაგდები არ იყოს, ჩვიდმეტი ათასი თეთრი დაეურვებოდეს. ვინაც ასეთი აგინოს რომ არა სქირდეს, ცხრა ათასი თეთრი დაეურვებოდეს. ვინაც სასახლეშიდან ჩაუხდეს, ოცდაათი ათასი თეთრი დაეურვებოდეს. ვინაც გარეთ გლეხი დაურბიოს, თხუთმეტი ათასი თეთრი დაეურვებოდეს. ვინაც ეკლესიის კარზედ უშუღლოს, შვიდი ათასი თეთრი დაე-

<sup>1</sup> ბროსეს ნაქონ კოპიოში ნაცვლად სიტყვისა დაეურვებოდეს ყველგან ნახმარია—დაგეაჯებოდეს.

<sup>2</sup> ბროს.: უკანასკნელი 5 სიტყვა არ არის.

<sup>3</sup> ბროს. აქ უმატებს: ამისთვის რომ ორი სიკვდილია (ეს სიტყვები ნამდვილად წინა წინადადებას უნდა ეკუთვნოდეს).

<sup>4</sup> ბროს.: დაუორსულოს.

ურვებოდეს. ვინაც ჯოგი გაუტეხოს ანუ წაუსხას, ოცდათორმეტი-ათასი თეთრი დაეურვებოდეს“....

გუგუნავას სისხლი ამგვარად შეფასებულია 140 ათ. ცხუმურთ თეთრი და მიმატებით თეთრი ჯორი, თეთრი ქორი მისითა ბაზიერითა. თუ ცხუმური მართლაც სრული თეთრის  $\frac{1}{4}$ -ს უდრიდა, მაშინ საყურადღებოა, რომ მანოელ III-ის (1390—1417 წ.) ასპრი უდრიდა 1,17—0,73 გრამს (იხ. ზემოდ, გვ. 74). რადგანაც გუგუნავას სასისხლო სიგელი შეიძლება მიცემული იყოს მანოელ III-ის მეფობის პირველ ნახევრის თანადროულ ხანაში, ამიტომ შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს თეთრი დაახლოვები  $n$  1—1,1 გრამის (ასპრის შემცირება ალბად მანოელის მეფობის უფრო მეორე ნახევარს უნდა უწევდეს) ანუ 1,4—1,54 დანგის წონის. 140 ათ. ცხუმური მაშინ შეადგენს დაახლოვებით 49—53,9 ათ. დანგ ვერცხლის ექვივალენტს. ამას ემატება სასისხლოდ „თეთრი ჯორი, თეთრი ქორი მისი ბაზიერით“. აღსანიშნავია, რომ ალბულას განსაზღვრით უციხო აზნაურის სისხლი, როგორც მოხსენებული იყო, შეადგენდა 60 ათ. დანგ ვერცხლის ექვივალენტს.



### შეტადობის განწორკება.

75 გვერდზე მე-3 სტრიქ. დაბეჭდილია: كسانا; უნდა იყოს اقات.